



ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ქართველოლოგიის ცენტრი

მამია ფალავა, ჭმერი ცინცაძე, მაია ბარამიძე

ქართული ენის კლარჯული
დიალექტი
(გამოკვლევა, მასალები, ლექსიკონი)

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2023



Batumi Shota Rustaveli State University
Faculty of Humanities
Centre for Kartvelian Studies

**Mamia Paghava, †Meri Tsintsadze, Maia
Baramidze**

A Klarjian Dialect of the Georgian Language

„Meridiani” Publishers
Tbilisi 2023

გამოკვლევა ეძღვნება ქართული ენის კლარჯულ დიალექტს, რომელიც ისტორიულ კლარჯეთშია გავრცელებული, ასევე თურქეთის ქვეყნის შიგა პროვინციებში გაშენებულ კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლების სოფლებში.

წიგნი სამი ნაწილისაგან შედგება:

პირველ ნაწილში განხილულია კლარჯულის ფონეტიკური, გრამატიკული და ლექსიკური თავისებურებანი;

მეორე ნაწილში - კლარჯეთის ტოპონიმიკა;

მესამე ნაწილში შეტანილია კლარჯული დიალექტის მასალები (ლექსიკონითურთ).

მონოგრაფია განკუთვნილია ქართული დიალექტოლოგიით, ისტორიული გეოგრაფიით, ეთნოლოგიით, ფოლკლორით, ზოგადად, ჭოროხის აუზით დაინტერესებული მკვლევრებისათვის, სტუდენტებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

მამია ფალავას საერთო რედაქციით

რეცენზენტები: პროფესორი ზაზა შაშიკაძე
ასოცირებული პროფესორი ნანა ცეცხლაძე

პირველი გამოცემა

© მამია ფალავა, ჭმერი ცინცაძე, მამია ბარამიძე, 2023

გამომცემლობა „მერიდიანი“

ISBN

შესავალი

კლარჯულს ვუწოდებთ ისტორიული კლარჯეთის მკვიდრთა მეტყველებას. მისი გავრცელების ძირითადი არეალია ჭოროხის ხეობა; კლარჯეთის უმეტესი ნაწილი თურქეთის რესპუბლიკაში, ართვინის ილის (გუბერნიის) ბორჩხის, ართვინის, მურღულისა და არტანუჯის რაიონებშია, ნაწილი კიდევ - საქართველოში, - მირვეთი, ქვემო მარადიდი და კირნათი (აჭარის არ, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი); სხვაგვარად, კლარჯული გავრცელებულია ძველი კლარჯეთის ვრცელ ქვეყანაში.

თურქეთის კლარჯეთის ერთი ნაწილი მექართულეა, მეორე - მეთურქულე.

ისტორიულ კლარჯეთში ქართული ისმის ბორჩხისა და მურღულის რაიონებში და კლარჯეთის საქართველოს ნაწილში, - მირვეთში, ქვემო მარადიდსა და კირნათში.

მეთურქულე კლარჯეთში შენახულია ქართული ტოპონიმია, უმეტესად დაცულია მცენარეთა ქართული სახელები, ქართული ლექსიკა დალექილა კლარჯთა თურქულ მეტყველებაშიც, ქართული კვალი ჩანს აქაურთა ყოფაში (ფაღავა, 2015(1)). ყველაფერი თქმულის გათვალისწინების გარეშე კლარჯული კილოს ერთიანი სურათის აღდგენა ვერ მოხერხდება. ვითვალისწინებთ რა ისტორიული კლარჯეთის თანამედროვე ვითარებას, ვსაუბრობთ კლარჯულ კილოზე და არა ლივანურზე (ტერმინი შექმნილია კლარჯეთის იმ ნაწილის მიხედვით, სადაც შენარჩუნებულია ქართული ენა).

მუჰაჯირობისა (1877-1978 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ) და ახალი მიგრაციების შედეგად კლარჯებს სოფლები დაუარსებიათ თურქეთის რესპუბლიკის სხვა პროვინციებშიც, კერძოდ:

ქოჯაელის ილი, გიოლჯიქის რაიონი (ილჩე):

ჰამიდიე (ბორჩხა. ასე უწოდებენ სოფელს აქაური კლარჯები. აქვთ ქართული ტოპონიმები: გაღმა ყანა, ღელე ყანა), **აივაზფინარი** (ძვ. ჩათალთაში. ართვინი), **სიჰრეთიე** (მურღული), **მამურთიე** (ძვ. ჩუბუქ ბაგერი), **იჯაადიე** (ძვ. ალი მეზარი), **ირშაადიე** (ძვ. ბეილი, კატაფხია), **ნუსრეთიე** (ძვ. დოშამე), **ლუთბიე** (ძვ. ბეგოლლი), **სოფულარი** (მამანეთი//მამანათი. კლარჯებისა და ჩხალელი ლაზების სოფელია), **აენი ფერადიე** (ცოცხობა. კლარჯეთის ცოცხობაში ქართული არ იციან, აენი ფერადიელმა ცოცხობელებმა იციან ქართული), **ესკი ფერადიე**.

იზმითის ილი:

ბილაბილი (ბორჩხა), **ნუსრეთიე** (მარადიდი, ბორჩხა, მურღული. ცხოვრობენ თურქებიც. ყველას თავისი უბანი აქვს), **შირინ სულიე** (ბორჩხა),

ჩუბუქლუბალა (მარადიდი), **აუზლუ** (ბორჩხა).

საქარას ილი, ხენდევის რაიონი (ილჩე):

ნურუსმანიე (ძვ. მიჩქიდერე. მარადიდი. აქვთ ქართული ტოპონიმები: შავყანა, ჭალა, ვაკე, პაწა ბახჩა, ბათუმი, ნაპურავი, ნასახლევი).

საქარას ილი, საფანჯეს რაიონი (ილჩე):

ისტამბულ დერე (ძვ. ერდემლი. ბორჩხა), **გულდიბი//გოლდიბი** (კირნათი), **მაამუდიე** (მარადიდი).

დუზჯეს ილი, აქჩაკოჩას რაიონი (ილჩე):

მელანააზი (მირვეთი. აქვთ ქართული ტოპონიმი: მელენი პირი...).

ბურსის ილი, ქესტელის რაიონი (ილჩე):

საიფიე (ძვ. ბაიდინი. მურღული; აქვთ ქართული ტოპონიმები: ნაქერავი, წისქვილიკარი, ჭანები, ბოლოყანა, ვაშლოვანი), **ალაჩამი** (ძვ. თეშვიქიე. მურღული), **ორჰანიე** (ხატილა. შედარებით კარგად იციან ქართული), **ოსმანიე** (ხატილა. ცუდად, უფრო არ იციან, ქართული).

აღვნიშნავთ, რომ ართვინის ხატილაში ქართული არ იციან, მუჰაჯირმა ხატილელებმა შეინარჩუნეს მშობლიური ენა. ჩანს, მუჰაჯირობის პერიოდში ხატილას ხეობა მექართულე იყო...

ბურსის რაიონი:

სულეიმანიე (ტანძოთი, დოლისყანა), **სოუთფუნარი** (ჯმერკი, დაბა, ბერთა. ქართული არ იციან), **კარაისლაჰი** (ართვინი, ქართული არ იციან).

გემლიქის რაიონი (ილჩე):

ადლიე (ირსა, სინკოთი, ბეშავი. სოფელში ასოცი სახლია, აქედან რვა ირსულმა ოჯახმა იცის ქართული, სხვებმა - არა. ცნობისათვის: კლარჯეთის ირსაში ქართული არ იციან), **ხამიდიე** (ნარევი სოფელია, ცალკე უბნებში ცხოვრობენ მაჭახლელები და კლარჯები), **სელიმიე** (ბერთა. ქართული არ იციან), **დერიყალანი** (ქართული არ იციან), **ჰაირიე** (ძვ. ჩიფთლიკი. ადაგული, დევსქელი. აქვთ ქართული ტოპონიმები: კორდები, დიდი ყანა, ბელქეჩები, ფალიოში კარები, დიშბუდაები...), **სელიმიე** (ბორჩხა), **თეშვიქიე** (ბორჩხა).

მუსტაფა ქემალ ფაშას რაიონი (ილჩე):

კარაფინარი (ბორჩხა), **ქომურჯი ქადი ქოი** (ძვ. აქიმი. ბორჩხა).

არმუთის რაიონი (ილჩე):

ჰაირიე (ბორჩხა), **მეჯიდიე** (ბორჩხა), **სელიმიე** (ბორჩხა), **გემლიქი** (ძვ. ელჯივა, ბორჩხა), **ჰაიდარიე** (ბორჩხა).

ბალიქესირის ილი, გონენის რაიონი (ილჩე):

ბალჯი დედე, ექში დერე, კოჩბაირი, სუჩიქთეში, დოჰანჯი (ბორჩხა), ჯუმურიე (ძვ. სულთანთე. გეველი - ასე ეძახიან კლარჯეები).

ბალიქესირის ილი, შამლის რაიონი (ილჩე):

არმუთალანი (ოსმანიეს მაჰალე - ბორჩხა).

სინოპის ილი, სინოპის რაიონი:

ლალა (ფირენქი მაჰალე, თაუქჩი მაჰალე – ხეზა, ნაჯვია. ცნობისათვის: კლარჯეთის ნაჯვია მეთურქულეა, სინოპელი ნაჯვიელები ლაპარაკობენ ქართულად). აქქირაჩის მაჰალე, თანგალის მაჰალე, ლევრანთი ნაჯვიელების უბანია, ოღონდ არ იციან ქართული.

ერფელეკის რაიონი (ილჩე):

კეისელი, დერმანჯილი, ინჯე მეიდან, აფთურაჰმან ფაშა, აენიჩამი (შერეული სოფელია, კლარჯეები ცალკე უბნად ცხოვრობენ), ჰასან დერე (შერეული სოფელია), ჰამიდიე (ბორჩხა), ჰათუქო (ბორჩხა. შერეული სოფელია, ბორჩხელები ცალკე უბნად ცხოვრობენ), ვეისელი (ქლასკური), დერმანჯილი, ინჯე მეიდან, აფთურაჰმან ფაშა, ლალა, ავდალი, თანგალი (ნაჯვია. ქართული არ იციან), ქილიჩელი (ნაჯვია).

გურზეს რაიონი (ილჩე):

აქქირაჯი (ართვინი, ნაჯვია), იუვალი (ართვინი), მახადიბი, ახჩა ჩამი (ძვ. ხასანდერე).

თოქათის ილი, ნიქსარის რაიონი (ილჩე):

თეფე მათალი (არტანუჯი, ქართული არ იციან).

სამსუნის ილი, ვეზირქოფრუს რაიონი (ილჩე):

იურთდალი (ებრიკა) (იხ. ფაღავა, 2015).

ყურადღებას მივაქცევთ ერთ საინტერესო ფაქტს, კერძოდ, ისტორიული კლარჯეთის ზოგიერთ სოფელში ქართული აღარ იციან, ქართულად ლაპარაკობენ ამავე სოფლიდან თუ ხეობიდან მუჰაჯირად წასულთა შთამომავლები, რაც კიდევ უფრო ზრდის მუჰაჯირ კლარჯთა მეტყველების ლინგვისტურ ღირებულებას.

წინამდებარე მონოგრაფიაში ვცადეთ შეგვექმნა კლარჯეთის ლინგვისტური პორტრეტი. გამოკვლევა რამდენიმე ნაწილისაგან შედგება, კერძოდ, 1. კლარჯული დიალექტი (ფონეტიკა, გრამატიკა, ლექსიკა), 2. კლარჯეთის ონომასტიკა; 3. კლარჯული დიალექტის მასალები ლექსიკონითურთ.



დაბოლოს, კლარჯული დიალექტის მასალები ჩვენ მიერაა შეკრებილი ისტორიულ კლარჯეთსა და კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლების სოფლებში საველე ექსპედიციების დროს. კვლევისას საჭიროებისამებრ გამოვიყენეთ სხვა მკვლევართა ჩანაწერებიც.

მონოგრაფია ვერ იქნება უნაკლო. ავტორები ყველა საქმიან შენიშვნას მაღლიერებით მიიღებენ.

ნაწილი პირველი

კლარჯული დიალექტი

თავი 1. ფონეტიკა

§1. კლარჯულის ბგერითი შედგენილობიდან

კლარჯულში, თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენისაგან განსხვავებით, გვხვდება ნახევარხმოვანი **ი**, უმარცვლო **უ** და იშვიათად, მაგრამ მაინც, უმლაუტიანი ხმოვნები.

1.1. ი კლარჯულში. კლარჯულში **ი** ნახევარხმოვანი ისევე წარმოითქმის, როგორც ძველი ქართულისათვის და ქართული ენის სხვა დიალექტებისათვის ივარაუდება, კერძოდ, „ენის შუა წელის მაგარ სასასთან მიახლოებით“ (იხ. შანიძე, ბარამიძე, აბულაძე, 1934: 28; შდრ. ნიჟარაძე, 1975:58; ნოღაიდელი, 1972:19).

კლარჯულში **ი** დასტურდება შემდეგ პოზიციებში:

V-#: **კუდსაქანაი** ბრეში ჩიტია (კირნათი. ბსკიფს 43:52); ერთი **ნაცარქექიაი** იყო მეგერ (მარადიდი. მც. 1998:317)...

V-C: აღნიშნულ პოზიციაში **ი** დასტურდება რამდენიმე შემთხვევაში. უპირატესად იგი ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვების ნიშნისეული **ი**'ს დასუსტების შედეგია:

რამთ ჭრი, გო, **დანამთ**, ჰო? (მარადიდი. მც., 1998: 324): ღელი **გაღმაღან** ავლილა ისი (კირნათი. მ.ც., 1998:333)...

V-V: **ხელცაიელი** არ მოხვიდე, ქისა იყოს ფარიანი (მც., 1950:11)...

კლარჯულში **ი** წინამავალ ხმოვანთან ქმნის დამავალ დიფთონგს. თურქულიდან ან თურქულის გზით შემოსულ სიტყვებში **ი** გვხვდება ხმოვნის წინა პოზიციაშიც **y** ბგერის გადმოსაცემად: **იაზმა** (თ. yazma) „ლეჩაქი“, **იასალი** (თ. yasak) „აკრძალვა“... საკუთრივ ქართულ სიტყვებში **ი** აღმავალ დიფთონგში არ გვხვდება.

ი ქიზიყურის მსგავსად „შესაძლოა იყოს **ს** ბგერის დასუსტების მაჩვენებელი“ (ქავთარაძე, 1964:68), მისი რეფლექსი (ჯორბენაძე, 1989:316):

ჩემი **ზიმაი** (=ზიძას) ცოლი ყავდა, ჩემკითხვებდა, მორუნებდა ლობიო სამ დღე, **დილაი** (=დილას) საჭმელი უჭმელაი (სირეთი); ის მამამისის სახში **დილაი** წევდა (მარადიდი); ნაცარ შევაყრიდი, შევნახდი, **დილაი** გამოვჩხრიკევი (ჯივანი)...

ი იმავე პოზოციაში სხვა სამხრულ კილოებშიც დასტურდება (იხ. ფალავა, ცინცაძე, ბარამიძე, 2022: 8-9; ტაო, 2020:683)

1.2. უმარცვლო უ: კლარჯულ კილოში დასტურდება უმარცვლო **უ**. იგი ფონეტიკური გარდაქმნის შედეგი ჩანს, მაგალითად:

ვ>უ:

მაგას **წევყუან** (<წევყვან) მე და **სხუა** (<სხვა) არ **ჩამუალ** (კირნათი. მც., 1998:323)...

ოგ>უ:

და **გამუარდა** (<*გამვარდა<გამოვარდა) გარეთ და მოკლენ მათ (მარადიდი. მც.,1998:320)...

ო>უ:

მუიდინაჲ (<მოედინი) წევდა... (მც.,1998:327)...

კლარჯულში უმარცვლო უ იმავე ფონეტიკური გარდაქმნებითაა მიღებული ვ. თოფურიაჲ ძველი ქართულისათვის რომ დაადგინა მეორე და მესამე გზად (იხ. თოფურია, 1979:77-82).

უმარცვლო უ დასტურდება სხვა სამხრულ კილოებშიც (იხ. ფალავა, 2007:3-7; ფალავა, ცინცაძე, ბარამიძე, 2022:9; ტაო, 2020:684).

1.3. უმლაუტი კლარჯულში. უმლაუტი თუ უმლაუტის მსგავსი მოვლენა მეტ-ნაკლები ინტენსივობით დასტურდება თითქმის ყველა სამხრულ დიალექტში და კლარჯულშიც. იგი კლარჯულისათვის, ზოგადად სამხრული მეტყველებისათვის, არაა ორგანული, მეორეული მოვლენა ჩანს და ძირითადად აღნიშნული კილოების თურქულ ენასთან ხანგრძლივი კონტაქტებით უნდა აიხსნას. თუმცა დასტურდება უმლაუტის ისეთი შემთხვევებიც, სვანური ენისათვის რომაა დამახასიათებელი. ცნობილია, რომ ამ მოვლენას სვანურში საფუძვლად უდევს საუმლაუტო ხმოვანზე მომდევნო ე ან, განსაკუთრებით, ი ხმოვნის გავლენა, მაშინ როდესაც თურქულში წინამავალი ხმოვანი ახდენს გავლენას მომდევნოზე (ნაწილობრივ იმსგავსებს მას) და რაც „ხმოვანთა ჰარმონიის სახელით არის ცნობილი” (შანიძე, 1981:323).

ე>ო:

მოვდონ (<მოვდენ) და **წევდონ** (<წევდენ) (კირნათი. მც. 1998:328);
ემრიეს დუუძახე, ერთი **გამოვდოს** (<გამოვდეს) აგზე... (მც.,1998:332)...

ვე>ო:

სადლობელი (<სადღვებელი) ვთქვითა და რა მომაგონდა... ის ჩემი მიწიანი **სადლობელია** (მურლული)...

ბარემ აღვნიშნავთ, რომ სამხრულ მეტყველებაში უმლაუტიანი ხმოვნები (ო,უ) მიღებულია შემდეგი ფონეტიკური გარდაქმნებით:

ა. ვე>ო, ვა>ო, ე>ო; ბ. ვი>უ, ო>უ, ვა>უ, ი>უ (იხ. ფალავა, 2002:119). ჩვენს ხელთ არსებული მასალებიდან ჩანს, რომ სამხრულ კილოთაგან კლარჯულში ყველაზე ნაკლებად გვხვდება უმლაუტის შემთხვევები.

§2. ფონეტიკური მოვლენები

კლარჯულის ფონეტიკურ მოვლენათაგან ზოგიერთი საერთოდ სამხრულ მეტყველებაში ან ქართული ენის სხვა კილოებში არის გავრცელებული, ზოგიც მხოლოდ კლარჯულის თავისებურებაა.

2.1. ბგერის დაკარგვა. ბგერის დაკარგვა სხვა ფონეტიკურ მოვლენებთან შედარებით ფართოდ არის გავრცელებული. იკარგება როგორც თანხმოვანი, ისე ხმოვანი.

2.1.1. იკარგება მ. ხშირია თავკიდური მ თანხმოვნის დაკარგვა:

წარე (<მწარე) წყალია (ბუჯური); ჩვენ **თელი** (<მთელი) გურჯი ვართ (ჯივანი); **წვანე** (<მწვანე) რენგი (=ფერი) არ შემხდა (კირნათი); სიმინდის კოტოშია (=ტაროა), **კლავსაც** (<მკლავსაც) ვეტყვით (ისკები); წრეველა სიმინდებმა წვერში აძლევენ **კლავი** (კირნათი); ამხელა **კლავები** ქონდენ ამ სიმინდებ (კირნათი); ახლა აღარ მაქვან **სხალები**, დავგლიჯევი ბოდნე (მარადიდი); ბექმეზი არი **სხალის** (<მსხალის), ვაშლისა... (მამაური); **თებზე** (<მთებზე) ბევრი ნავლილი ვარ (ქართლა); **შვიდობით**, ჩემო მინდორო (კირნათი); **თა** (<მთა) არ მიყვარს (ებრიკა); **თაზე** ჩვენი ფესტივალი იქნა (ებრიკა)...

შდრ.

ბოლოს **დევემშვიდობე** და თვალცრემლით ასე ვუტირე (კირნათი).
იკარგება **არწევს** ზმნის სასუბიექტო მიმღობის მაწარმოებელი მ-პრეფიქსი:

მერიკოდ **რწებელია** (<მრწებელია) თუ? (კირნათი)...

მ-ს დაკარგვა დამახასიათებელია სხვა სამხრული კილოებისთვისაც, მაგალითები:

აჭარული:

ხნა-თესვა სამსე **თვარეზე** (<მთვარეზე) იციან (ნიჟ. 1957:149); იქ ზოგან პური იციან, ზოგან **ჭადი** (<მჭადი)(ნიჟ. 1957:152)...

შავშური:

[სანთელი] **გვალი** (<მგვალი<მრგვალი) იქნება (ქდ, 379); თარჰანა **ჟავე** (<მჟავე) დოით გაკეთებულია (ჩვ. ქართ. 21)...

ტაოური:

ერთხელ **თის** (<მთის) წვერზე ცოტა გათოვლებულა (ტაოური, 2005: 146); ვიცით **თუარე** (<მთვარე), **ზე** (<მზე), **ზითუალიც**

(<მზისთუალიც) ვიცით (ტაოური, 2005: 152)... (ვრცლად იხ. ფაღვა, 2003:227-232; ტაო, 2020: 687).

აღნიშნავთ, რომ მ'ს დაკარგვის შემთხვევები დასტურდება ძველ ქართულშიც: უჩნდეს კაცთა მარხველად მ. 6, 16 C; შდრ. მმარხველად იქვე, DE... (ვიმოწმებთ: ძიძიშვილი, 1960:105'ის მიხედვით).

2.1.2. იკარგება ს. კლარჯულში (და საერთოდ სამხრულ მეტყველებაში) ნორმაა **სწ** კომპლექსში **ს'**ს დაკარგვა:

შეიცვალა ძველი ცხოვრობა, ახალ ცხოვრობას **წავლა** ჭირდება (კირნათი); იმას კრეფვა **ვაწავლი** მე (კირნათი); ნელ-ნელა გურჯულ **დეაწავლებენ** (მურღული); ბაღანისთვინ **უწავლებია** (აივაზფინარი); გუჯული არ **აწავლენ** (ჯივანი); ჩვენ რატონ არ **დამაწავლეთო** (გურბინი); ლოცვა არ **დავაწავლე** (ჯივანი); ჩემმა ბაღნებმა არ **დეაწავლენ** (ჯივანი)...

სწ კომპლექსში იშვიათადაა შენარჩუნებული **ს** თანხმოვანი:

ესეც გეფხა, **დეისწავლებენ** (ქართლა); ძველებმა **მასწავლეს** (ლუთბი)...

სწ კომპლექსში **ს'**ს დაკარგვის სხვა შემთხვევები:

ჯემალამ **წორე** (<სწორე) იმახს (კირნათი); ასე მუაკოჭავთ, **გავაწორებთ** (<გავასწორებთ) (იქბალიე); დღეს ქორმა **გამაწრა** (<გამასწრა) (კირნათი); აქავრ დუგუნ'ნა **შეეწრო** (<შეესწრო) (ავანა)... შდრ.

აქავრები **სწორე** გურჯიჯა ვერ ლაპარიკობენ (იჯადიე).

სწ კომპლექსში **ს'** თანხმოვნის დაკარგვა სამეცნიერო ლიტერატურაში საერთოქართველურ მოვლენად არის მიჩნეული (ქავთარაძე, 1964:140).

იკარგება **ის**, **ეს** ნაცვალსახელისეული **ს** თანხმოვანიც:

ი (<ის) ღარჭი (=ბავშვი) შემეცოდვილა (ებრიკა); **ი** ჩემი გოგოა (მურკვეთი); ხარი აქ არ არი, **ი** ხარი კარჩხალშია (ჯივანი); **ე** (<ეს) გოდრები შენია, გო? (კირნათი)...

დასახელებულ ნაცვალსახელებში იკარგება მიცემითი ბრუნვის ნიშანიც:

მე რომ **იმა** (<იმას) დუყვირაგ... (მარადიდი); მგელი **იმა** რამეს ვერ უჯება (დეესქელი); **იმა** უმახიან, რატონ არ წაყვიო (თხილაზორი); **ამა** რამ არ ეცოდინება (ებრიკა)...

სუბსტანტიურ მსაზღვრელებში დაკარგულია ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის თანხმოვნითი ნაწილი:

ამ **სახლი**[ს] გოგო ვარ (დეესქელი); **პური**[ს] კაკალი გარცხა მინდა (კირნათი)...

ს დაკარგულია ხმოვანფუძიან სახელებში -**თან** თანდებულის წინ:

ბაბოთან (<ბაბოსთან) კაცი წავა (ისკები)...

იკარგება მიცემითი ბრუნვის ნიშანი:

უთხრეს მეგერ ამ **კაც[ს]**... (კირნათი. მც.,1998:316); არ ვკრიფავ გომა **პამიდორ[ს]**, მწიფდეს-მეთქინ (მარადიდი. მც.,1998:335); ადგილი მუუცემია **გუბერნატორ[ს]** (მურღული)...

ს თანხმოვნის დაკარგვის სხვა შემთხვევებია:

სამი რძალი **მყავ[ს]** (გურბინი); ბაბო მყავდა ცოტა **ხან[ს]** (აივაზფინარი); ჩემი შვილი **წასლი[ს]** ხან არ მინახია (მარადიდი)...

მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ კლარჯულში **ს** იკარგება შემდეგ პოზიციებში:

თანხმოვნის წინ (#-C): **[ს]წავლა**...

ხმოვანსა და თანხმოვანს შორის (V-C): **დავა[ს]წავლე**...

სიტყვის ბოლოს ხმოვნის მომდევნო პოზიციაში (V-#): ი[ს], იმა[ს], **პური[ს]**...

სიტყვის ბოლოს თანხმოვნის მომდევნო პოზიციაში (C-#): **მყავ[ს]**, **ხან[ს]**, **კაც[ს]**...

აღნიშნავთ, რომ კლარჯულში (სხვა სამხრულ კილოებშიც) **ს**'ს დაკარგვის შემთხვევებს პარალელები ეძებნება სალიტერატურო ქართულსა (იხ. მიმიშვილი, 1960:107) და დიალექტებში (ფაღავა, 2003: 236-241), რაც გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ **ს**'ს დაკარგვის საფუძველი ქართულ წარმოთქმაში უნდა ვეძიოთ

2.1.3. იკარგება ვ. მთელი სამხრული მეტყველებისათვის დამახასიათებელია **ვ**'ს დაკარგვა რიცხვით სახელში **ექვსი** (>ექსი) და **ექვსის** შემცველ რთულ ფუძეებში:

ექსი ღარჭი მყავს (ქლასკური); თხა და ცხვარი **ექსასი** მყავდა (ქლასკური)...

ვიდ ფუძის შემცველი ზმნის მესამე პირის ფორმებში დაკარგულია **ვ**:

თიფლისიდან რძალი **მოიდა** (ერენქო); ის ისტამბულიდან **მოიდა** (თხილაზორი); ორი თვის მემრე **ჩამოიდენ** (ისკები); თაზე **გამოიდენ** (ისკები)...

ვ იკარგება **ვალ** ფუძიანი ზმნის პირველი პირის ფორმაში:

მე **მივალ** (<მივალ) ბათუმში (ნუსრეთი).

შდრ.:

მე არ **მივალ**, ესე **მივა** გურჯისტან (მურღული).

კიდევ>კიდე: ერთი გოგო **კიდე** მეყოლა (აივაზფინარი)...

ბავშვი>ბავში: ვინცხას **ბავში** არ ეყოლა (ჯივანი); ჩემი **ბავშია** (ჯივანი)...

ვ'ს დაკარგვა დამახასიათებელია ძველი (ძიძიშვილი, 1960: 99-103) და საშუალო ქართულისათვის. სუსტი არტიკულაცია და ნაკლები მჟღერობა მიაჩნია ივანე ქავთარაძეს ვ'ს დაკარგვის ერთ-ერთ მიზეზად (ქავთარაძე, 1964:114). კლარჯულში ვ' იკარგება შემდეგ პოზიციებში:

C-C:

შენი **მოსლა** (<მოსვლა) არ იქნა აქ... (მურღული); **ექსი** ჩეთი სხვაგან იქნება (მურღული)...

V-V:

მოიდა (<მოვიდა), **გადმოიდა** (<გადმოვიდა), **მიალ** (<მივალ)...

აღნიშნულ პოზიციაში ვ'ს დაკარგვა ყველა სამხრული კილოსათვის არის დამახასიათებელი. იკარგება უმეტესად **ო** და **ი** ხმოვნების მომდევნო ვ'.

C-V:

ლიორიან (<ღვიორიან) ნიჩაბს შვიდეჯერ შემოავლებ აკვანზე (მარადიდი. ბსკიფ 67, 59)...

V-#: **კიდე** (<კიდევ)...

შეიძლება დაიძებნოს ვ'ს დაკარგვის სხვა შემთხვევებიც, მაგრამ იგი არაა სისტემური, გამონაკლისია და არ ვრცელდება მთლიან კლარჯულზე.

2.1.4. **იკარგება რ. რ'**ს დაკარგვა დამახასიათებელი მოვლენა იყო ძველი და საშუალო ქართულისათვის. სამართლიანად მიუთითებს ივ. ქავთარაძე: „რ'ს დაკარგვის მოვლენები შინაგან კავშირშია თვით ამ ბგერის ბუნებასთან. ისტორიულად იგი არ იყო მყარი ფონემა ქართველურ ენებში: **რ** ხშირად განიცდიდა პალატალიზაციას და იკარგებოდა როგორც ხმოვნებს შორის, ისე თანხმოვნებთანაც“ (ქავთარაძე, 1964:134. შდრ. შარაძენიძე, 1963:229; იმნაიშვილი, 1974:202). **რ** თანხმოვანი იკარგება სამხრულ კილოებშიც, მათ შორის, კლარჯულშიც:

[თვალი] იმანაც დიმიჭუჭა, **შემ[რ]ცხვა** (ჰამიდიე); გოდორი არ **მოტ[რ]იალდა**, შენ'ნა **მოტ[რ]იალდე** (კირნათი).

შდრ.

ატრიალავ დემექ, ერეხვები (იქბაალიე).

ოსმელები **[რ]ქმევია** იმ სოფელს (ნუსრეთიე); **[რ]თველობაზე** კად შრომადლე კეთდება (კირნათი); **[რ]თველზე** ისევ წევალ იზმითში (ერენქოა)..

შდრ.

რთველზე მეც ჩევარ (გურბინი).

ებ[რ]ძოდა მეგერ ქალს; ჩემი ბაბოა დემელაპა[რ]აკებოდა (დაბა);
ჭკვა არ დამ[რ]ჩა (ბუჯური); ზოგი აქ დამ[რ]ჩალა (მურღული); აქ
დამ[რ]ჩალი ვარ (თხილაზორი); ღია გ[რ]ჩება კარი, მიძარ (კირნათი)...
შდრ.

ჩვენ ორი დავრჩით (თხილაზორი); პაწაწიკვანი დავრჩით
(აივაზფინარი); მე აქ ბევრხან არ დავმრჩალვარ (ერენქოა)...

[რ]ძალი რომ მოსულა, „ფოთა ეფენდიო“ მეგერ დუღძახა
(მარადიდი); სამი-ოთხი [რ]ძალი ერ სახში იქნებოდა (ქოშვი)...
შდრ.

რძალი უხმო ტირის (დეესქელი)...

ზარდ ფუძეში, მესამე პირის ფორმაში იკარგება ა და რ:

გეაზ[არ]და ბიჭი (ავანა); ისტამბულ გეაზ[არ]და (ერეგუნა);
აკვანში ჩავაწვიწე, გეაზ[არ]და (თხილაზორი); ბაბოა აქ გეაზ[არ]და
(დეესქელი)...

რ უნდა იყოს დაკარგული სიტყვაში **ჭანურებ** (<ჭანურებრ):

ჩემი ანაა **ჭანურებ[რ]** დედლაპარიკებდა (ისკები).

კლარჯულში **რ** იკარგება შემდეგ პოზიციებში:

V-V:

მე **ცაიელაა** (ცარიელაა) ვიარები ბითუმ (კირნათი. მც.,1998:316);
იმდენ **სია[რ]ულში** ოცდაექსი მანათი ფარა ამომყვა (კირნათი.
მც.,1998:325)...

V-V პოზიციაში **რ**ს დაკარგვის შემდეგ მომხდარა სხვა ფონეტიკური
გარდაქმნები: **ცარიელაა>ცაიელაა>ცაიელაა** (აიე ხმოვანთკომპლექსი
გარდაიქმნა ააე'დ).

C-C: ჩანს, **რ**ს დაკარგვა ყველაზე ხშირია თანხმოვანთშორის პოზიციაში:

რა ვიჯები და მუცელი ვ[რ]წყავ, გვეყოფა ჭადი თუ არა
(მარადიდი. მც.,1998:317); მაშინა თქვა საწყალმა, მუშაობა მე დამ[რ]ჩაო
(კირნათი. მც.,1998:322)...

თანხმოვანთშორის პოზიციაში **რ**ს დაკარგვა დამახასიათებელია
სამწერლობო ქართულისათვისაც:

და დონსა ქუემოთ ონადმდე, რომელ წერილ არს, მდდელმან
ბ[რ]ძანე, ერისაგან „ამინის“ მთქუმელობითა (ტბელი, 70, 4-5. ვრცლად
იხ. ცინცაძე, ფაღავა, 1998:12-13).

ჩანს, რომ კლარჯულში (და საერთოდ სამხრულ მეტყველებაში)
თანხმოვანთშორის პოზიციაში „**რ**ს დაკარგვა გამოწვეულია კომპლექსის
გამარტივებისაკენ მიდრეკილებით...“ (ფაღავა, 2002(1):191).

V-C:

შენ მაქ რა ი[რ]ჯები, არ ჩამუარდე, ჭო (მურღული).

C-V:

დემესიზმ[რ]ა გომა ვინცხა მიძახს (მარადიდი, მც., 1998:318);
ხერტალს ხელით **დავატ**[რ]იალებდით (კირნათი. ბსკი ფ. 67:21)...

#-C: რ იკარგება სიტყვის თავში თანხმოვნისწინა პოზიციაში:

დამამწარე მოსავალი [რ]**თველისა** (მურღული); ცხენი შეძრა მეგერ
[რ]კინის ღარში (მარადიდი. მც., 1998:319)...

შენიშნავთ: სპეციალურ ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ დიალექტებში რ'ს დაკარგვის ზოგიერთი შემთხვევა შეიძლება უცხო ენობრივი გარემოს გავლენის შედეგი იყოს (კუზიბაბაშვილი, 2001:63). ვერ გავიზიარებთ აღნიშნულ მოსაზრებას, რამდენადაც სამხრულ კილოებში რ'ს დაკარგვის შემთხვევებს პარალელი ეძებნება ძველსა და საშუალო ქართულში. ჩანს, მოვლენა ისტორიულად იყო დამახასიათებელი ქართული ენისათვის (იხ. ფალავა, 2002:196-197).

2.1.5. იკარგება თ. თანხმოვანი თ იკარგება ერთის შემცველ კომპოზიტში, **ერთხელა** (=ერთად):

ხუთ წელწად **ერ[თ]ხელა** ვიყავ დედამთილთან (ნურუსმანიე);
სამთვენი (<სამთავენი) **ერ[თ]ხელ** ეყოლა (მურკვეთი).

შდრ.:

ერთხელაა ვნახოთ (ბუჯური).

თ იკარგება აგრეთვე დამოუკიდებელი წევრის მნიშვნელობით გამოყენებულ რიცხვით სახელში **ერთი**:

ერ[თ] თვის შემდეგ ედვსობა (ქართლა); სამი-ოთხი ძალი
იქნებოდა **ერ[თ]** სახში (ქომქი); **ერ[თ]** სახში მივალთ (ქართლა)...

ერთ' რიცხვით სახელში **თ**'ს დაკარგვა განსაკუთრებით ქობულეთური კილოკავისათვის არის დამახასიათებელი.

2.1.6. იკარგება ლ. კლარჯულში დასტურდება **ლ**'ს დაკარგვის შემთხვევები. დასახელებულ დიალექტში **ლ** ყველაზე ხშირად იკარგება თანხმოვანთშორის (C-C) პოზიციაში:

წყავა მას **სახ[ლ]ში** (მარადიდი. მც., 1998:317); ის შიშა ბოლაქი არ
გადმოზავდეს, თუარა **ძად[ლ]ს** დიეყრება (კირნათი. მც., 1998:325); ერთი
ბიჭის მეტი არ მყავს, სხვა ბიჭები **დამაკ[ლ]და**; ქომო **სახ[ლ]ში** ჩადი
(ბაგინი); ამ **სახ[ლ]ში** ვინმე არ არი (ისკები)...

აღვნიშნავთ, რომ **ლ**'ს დაკარგვის ანალოგიური ნიმუშები გვხვდება საშუალო ქართულის ძეგლებში (ქავთარაძე, 1964:123-126) და ქართული ენის სხვა კილოებშიც.

ლ'ს დაკარგვის მიზეზი კლარჯულში (ზოგადად სამხრულ მეტყველებაში) კომპლექსთა გამარტივებისაკენ სწრაფვაა. ქართველურ ენებში მოვლენის საბაზს ასევე ხედავენ **ლ**'ს პალატალურ ბუნებაში (იხ. ქავთარაძე, 1964:123. შდრ. Кипшидзе, 1914:5; ჩიქობავა, 1936:142).

2.1.7. იკარგება **გ**. **გ** დაკარგულია არქაულ ზმნიზედაში **შიგან**:

ში[გ]ან გასანთობელი ძერი დუუტევიან... (მამურე).

გ დაკარგულა სპორადულად გავრცელებულ ნაცვალსახელებში - **იგი**, **აგი**:

ა[გ]ი პატარაა, **ა[გ]ი** - დიდია (ჰამიდიე); **აი** ქალი მოიდა, დაჟდა (ჰამიდიე); **აი** ჩემი არაა, **აი** საანია (ჰამიდიე);

ი[გ]ი მედენაჟა, ახლა არ აქ (ისკები); ... აადულებენ, **იი** გახდება ტათლი (ჰამიდიე)...

მოყვანილ მაგალითებში **გ** დაკარგულია C-C პოზიციაში. საერთოდ აღვნიშნავთ, რომ **გ**'ს დაკარგვის შემთხვევები სამხრულ კილოებში შედარებით იშვიათია (იხ. ფაღავა, 2003: 241-242).

2.1.8. იკარგება **ნ**. იკარგება შუალობითი კონტაქტის ნიშნისეული **ნ**:

მამაშენი რაფერ ვერ **გააშევი[ნ]ეთ** (კირნათი); ჩემ სიძეს **ათქმევი[ნ]ეთ** (ერენქოძე); ორსულ ქალებს **დაასმევი[ნ]ებდა**; ვაშლი **აკრეფი[ნ]ე** მამაშენს (კირნათი); ბაბამ ცეცხლი **დააქრობი[ნ]ა**, ჰო? (კირნათი)...

შუალობითი კონტაქტის ნიშნისეული **ნ**'ს დაკარგვის შემთხვევებს ივ. ქავთარაძე ადასტურებს საშუალო ქართულშიც (ქავთარაძე, 1964:130).

ნ დაკარგულია –**კენ** თანდებულში:

კაცი დგას და **ბოსტნისკე[ნ]** ებუცება (ქართლა); **მარჯვენისკე[ნ]** არ'და შეხვიდე (დევსქელი); წევა ნავი **წინესკე[ნ]** (ხება)...

შეგნიშნავთ, რომ **კე** (<კენ) თანდებული დასტურდება ქართული ენის ბევრ ქვესისტემაში, კერძოდ: შავშურში, ტაოურში, მოხეურში, ფშაურში, თუშურში, კახურში, რაჭულში, იმერულში, ლეჩხუმურში, გურულში (იხ. ფაღავა, 2011:246-247), შეიძლება სხვა კილოებშიც. ბარემ აღვნიშნავთ, რომ ცოცხალი მეტყველებიდან **კე**' სამწერლობო ენაშიც შესულა: მათ **ლაშქართაკე[ნ]** (ვტყ. 979,1); **ქვეშეთკე[ნ]** (1112,3)... სულ ოცდასამი შემთხვევა დასტურდება „ვეფხისტყაოსანში“ **კე[ნ]** თანდებულის ხმარებისა (იხ.

სიმფონია, 1956:161). კე[ნ] გვხვდება საშუალო ქართულის სხვა ძეგლებშიც (იხ. ქავთარაძე, 1964: 133). ყველა დასახელებული შემთხვევა „წარმოშობითაც და გავრცელებითაც დიალექტურია” (ქავთარაძე, 1964:133).

ნ'ს დაკარგვის სხვა შემთხვევებია:

მესამე პირის ნაცვალსახელის მოთხრობით ბრუნვაში ჩავარდნილია ნ:

ვინცხას შექერი ბევრი აქვა, იმა[ნ] არ იჭირავს (ბაგინი)...

დაკარგულია ზმნის ფორმაში ფუძისეული თავკიდური ნ:

დედესთვის მიცემა [ნ]დომებთან (ნუსრეთიე)...

დაკარგულია შიგან ზმნიზედის ბოლოკიდურა ნ:

კაცი შევიდა შიგა[ნ] (ქლასკური)...

აქვე აღვნიშნავთ, რომ ნ'ს დაკარგვა სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში მეორეულ მოვლენადაა მიჩნეული (იხ. ჩიქობავა, 1936:72; ჩიქობავა, 1942:104 და შემდეგ).

ნ დაკარგულია ჩნდ ფუძეშიც:

ახლა თელეფონით შეყვარება გამოჩ[ნ]და (მურღული)...

მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ კლარჯულში ნ' იკარგება V-V, V-#, #-C, C-C პოზიციებში.

2.1.9. იკარგება დ. ზმნიზედის ბოლოკიდური დ იკარგება:

რძალმა უხმო[დ] ტირის (ისკები); გურჯულა[დ] ჰიჩ არ ვილაპარიკავთ (თხილაზორი)...

დაკარგულია კომპოზიტის პირველ ნაწილში დ თანხმოვანი:

ბოსტანში ჩემი დი[დ]ნენეა დათესავდა (ჰამიდიე)...

დ იკარგება ვიდ ზმნის პირველი პირის მრავლობითში:

იზმით მივე[დ]ათ (მამურიე); ბათუმში წვეე[დ]ა, შევშალე (შირინსულიე)...

დ იკარგება უნდა ნაწილაკში: უნდა-ნდა-ნა:

გურჯისტანში ჩხუბი'ნ[დ]ა ასწოთ, დოხსა გაწყდება მილეთი (ტრაპენი. ჩვ. ქართ. 325).

მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ კლარჯულში დ იკარგება:

სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში ხმოვნის მომდევნო (V-#), ინტერვოკალურ (V-V), ხმოვანსა და თანხმოვანს შორის (V-C), თანხმოვანსა და ხმოვანს შორის (C-V) პოზიციებში.

2.1.10. იკარგება ქ: ქ დაკარგულია თურქული სუფიქსის წინ სიტყვაში თურქა:

თურ[ქ]ჩა ვიცი (ჰამიდიე); შენ დიგიწავლია **თურ[ქ]ჩე** (მურკვეთი); „გელინი” **თურ[ქ]ჩეა** (ნუსრეთიე); ხისიმები მოვდენო, **თურ[ქ]ჩე** - „აქრაბა” (მურკვეთი).

ქ იკარგება სხვათა სიტყვის ნაწილაკში:

გო, მეგნების ამბავიც უთხარ, ყვირიან-თ[ქ]ვა (კირნათი)...

კლარჯულში შეიძლება შეგხვდეს თანხმოვანთა დაკარგვის თითო-ოროლა სხვა შემთხვევაც. სხვადასხვა პოზიციაში თანხმოვანთა დაკარგვა უმეტეს შემთხვევაში კომპლექსის გამარტივებისაკენ სწრაფვით უნდა აიხსნას.

კლარჯულში შედარებით იშვიათია (თუმცა მაინც დასტურდება) ხმოვანთა დაკარგვა.

2.1.11. იკარგება ა: რიცხვითი სახელის თან’იანი მრავლობითის –ვე ნაწილაკიან ფორმაში დაკარგულია –თა სუფიქსისეული ა:

ორთ[ა]ვეს უყვირიან (დევესქელი); **ორთ[ა]ვენის** ქალები გურჯები არიან (ნუსრეთიე); **ორთ[ა]ვენი** დებს უყურებენ (ნუსრეთიე); **ორთ[ა]ვე** მუღელიმები ხართ? (დევესქელი); შვილი და ბაბო **ორთ[ა]ვეი** მუუკლია (ავანა); **სამთ[ა]ვენი** ერხელ ეყოლა (მურკვეთი); ამას სამი შვილი ყავს, **სამთ[ა]ვენი** - ბიჭი (იჯადიე)...

ჩანს, რომ კლარჯულში ა’ ხშირად იკარგება C-C პოზიციაში:

ხვალა ბუღები’ნა **დავ[ა]ჭედოთ** (მურღული); აღარ **მომ[ა]გონდა**, ვერ ვუთხარი (კირნათი)...

2.1.12. იკარგება ი. კლარჯულში პარალელურად იხმარება **წელიწადი** და **წელწადი**:

ხუთი **წელ[ი]წადი** ერხელა ვიყავი დედამთილთან (ნურუოსმანიე); ყველ **წელ[ი]წად** ახალ დავრგავ (ნუსრეთიე); კაცი მომიკდა, ხუთი და ექსი **წელ[ი]წადია** (ხება); დედამთილი, სამი **წელ[ი]წადი** გახდა, მოკტა.

შდრ.:

ირმიბეშ **წელიწად** ასაქმებდა (ავანა); სამ **წელიწად** უკან მოკდა (აფვაზფინარი)...

ი იკარგება **ვიდ** ფუძის ზმნაში:

ჩვენც იქ **მოვ[ი]დეთ**, არ მომართმევთ საჭმელ? (ჯივანი); **მოვ[ი]დოდა** ქი ელჩები (ირშადიე)...

კლარჯული გამოთქმისათვის ბუნებრივია **მიძახს** (<მიძახის<მეძახის), **გიძახს** (გიძახის<გეძახის), **უძახს** (უძახის<ეძახის) ფორმები:

დემესიზმა გომა ვინცხა **მიძახ[ი]ს** (მც., 1998:318). შდრ. **შენ გიძახს**,
მას **უძახს...**

ი'ს დაკარგვა მოსდევს ასიმილაციას:

ჩემი დედე ჩანაქკალეზე **წევ[ი]და**, არ **ჩამევ[ი]და** (გოლჯიქი);
წევ[ი]და ბაბა მუჰაჯირში...

გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს **ჭირმე-ჭირიმე**, უფრო მთქმელის
ინდივიდუალურ გამოთქმად:

გოგოვ, შენი **ჭირ[ი]მეო** (ნურუსმანიე).

2.1.13. იკარგება ე: იკარგება ბოლოვიდურა ე ზმნიზედაში **მალე** და ამ
ზმნიზედის შემცველ კომპოზიტში:

ქალები **მალ[ე]** გეეთხვებიან (დევსქელი); თეთრი ბალი **მალ[ე]**
დალპება (ბუჯური); ისინი **მალ[ე]** მოკდენ (აივაზფინარი)...

მალ[ე] მოსული ბალია (ბუჯური); **მალ-მალ** იჯებიან...

კლარჯულში ე'ს დაკარგვის სხვა შემთხვევებია:

მინდა, რომ ჩვენ **მოვ[ე]რიოთ** იმას (მურღული); პური მარცვალი
გარ[ე]ცხა მინდა და ისე დაკაზმა (კირნათი. მც., 1978:323)...

2.1.14. იკარგება უ: უ ყოველთვის იკარგება ნაწილაკის მნიშვნელობით
გამოყენებულ **უნდა** ზმნაში. იშვიათია მარტო უ'ს დაკარგვის შემთხვევები:

გახოცო'უნდა მაშინ, ახლა **რა'უნდა** ქნა? (ნუსრეთიე); ჰეძკიდი ჰაჲ,
შუქ'ური'ნა ქნა (მურღული)...

ხშირად იკარგება **უ, დ** და **უნ** კომპლექსი:

იმას **რა'უნ[დ]ა** ექნა (კირნათი); ჩემი **დერდები'უნ[დ]ა** გევგნაო
(კირნათი); ანკარაჲდან **უჩალი'უნ[დ]ა** **მოიდეს'უნ[დ]ა** (დევსქელი);
სა'უნ[დ]ა წევდე, არ ვიცი (ხება); **ახალი'უნ[დ]ა** მოვქსოვო,
გაზრეს'უნ[დ]ა (გურბინი); **დემეძინენ'უნ[დ]ა**, დავწევი, არ დემეძინა
(ჯივანი); **რა'უნ[დ]ა** გახდე (გურბინი)...

რაზე'უნდა გაგადო? (ადაგული); **სახში'უნდა** ვილოცო
(აივაზფინარი); **ჩა'უნდა** ვსვათ, **მერე'უნდა** გიგიშვათ (მურღული);
მარჯვენასკე **არ'უნდა** შუუხვიო (დევსქელი); **საცხა'უნდა** გაჰკითხო
(ქლასკური); აქ **ჩაირი'უნდა** **ააწევიო'უნდა** (კირნათი)...

უ დაკარგულია **მასკან** (<მას უკან) სიტყვაში, რომელსაც კონტექსტში
შემდეგ, მერე ზმნიზედების მნიშვნელობა აქვს.

დედწრიტოს და **მას'უკან** ჩაყარე (კირნათი); **მას'უკან** ნიშანლი
ვიყავი (მურკვეთი)...

ბგერის დაკარგვის ანალოგიური შემთხვევები დასტურდება სხვა სამხრულ კილოებშიც.

დაბოლოს დაისმის კითხვა: რა არის მიზეზი სიტყვაში ბგერის (ხმოვნისა თუ თანხმოვანის) დაკარგვისა? მიუხედავად იმისა რომ ჩვენს შრომაშიც და საერთოდ ქართულ ენათმეცნიერებაში არის ცდები ბგერის დაკარგვის ცალკეული შემთხვევის ფონეტიკური საფუძველის ძიებისა, ბგერის დაკარგვის მიზეზი ხშირად აუხსნელი რჩება. აღვწერეთ ბგერის დაკარგვის შემთხვევები კლარჯულში, მოვიხმეთ შესაბამისი დიალექტური მასალაც, შესადარებელი მასალები სხვა დიალექტებიდანაც, დაკარგვის მიზეზები, დაკარგვის ფონეტიკური საფუძველი კი ჯერაც საძიებელია. ვფიქრობთ, არაა საკმარისი აღნიშვნა, რომ რომელიმე ბგერა დაიკარგა კომპლექსის გამარტივების მიზნით. ეს მიზეზები ენის შინაგანი განვითარების ტენდენციით უნდა აიხსნას...

2.2. ბგერის ჩართვა. კლარჯულში ბგერის ჩართვის შემთხვევა არცთუ ბევრია. თანხმოვანთაგან უპირატესად ჩაერთვის სონორები.

2.2.1. ჩართულია ვ, ხშირია ვ'ს ჩართვის შემთხვევები:

ვიციოთ საბელი, **თოკ[ვ]ი** (ხება); შდრ. იმასაც **თოკი** მაკოჭებდი (ისკები); ეს ადგილი **გასაღობ[ვ]ელია** (კირნათი); იცით თუ **სამ[ვ]ა...** **სამ[ვ]იხან** ერთიერთმანეთს სამღერა ეტყოდენ (საფულარი); **ჩხუბ[ვ]ა** იციან (კირქხარმანი); **ლაპარიკ[ვ]ა** არ აქვან (ნიმეთიე); ფიშტოს **დააქუხ[ვ]ებენ** (ისკები); თაბუთში **ჩად[ვ]ებენ** (სირეთიე); ვინმე **ც[ვ]ავს** თუ იმას? (ხება); ბაღნების **გაჩენ[ვ]ამდე** თლათ ასე ვილაპარიკებდით (ხება)...

ვ ჩართულია სხვათა სიტყვის ნაწილაკის, **ო'ს წინ:**

იმან[ვ]ო ფეხი ბუკზე დამადგაო (ჰამიდიე); **ოჩო** და ხერხი'და **ვიციდო[ვ]ო** (კირქხარმანი); დამაბით ვენახში, იქა **ვჭამო[ვ]ო** (ჰამიდიე)...

ვ შენარჩუნებულია **პატივი** სიტყვისაგან ნაწარმოებ ზმნაში:

გეხვეწები, **მაპატი[ვ]ე** (კირნათი)...

შეინიშნება, რომ **ვ** კლარჯულში (სხვა სამხრულ კილოებშიც) უმეტესად ვითარდება C-V პოზიციაში. ივ. ქავთარაძის დაკვირვებით, „ქართველურ ენებსა და მათ დიალექტებში **ვ** ვითარდება ხმოვნების წინ რბილი შემართვის ნიადაგზე...“ (ქავთარაძე, 1964:168-169). იგივე დასკვნა შეიძლება გავრცელდეს კლარჯულზეც.

2.2.2.. ჩართულია მ. მ ჩართულია განსაზღვრებით ნაცვალსახელში ყველაფერი:

ყველა[მ]ფერი დააბიწყდა (კირნათი); იმის უკან **ყველა[მ]ფერი** იქნება (შირინსულიე)...

მ ასევე ჩართულია:

ა. ზმნის ფორმებში:

პური **ღ[მ]ქავს** (ჰამიდიე); წაყვანა რომ **გამუუ[მ]ცხადეს**, გაყვიტდა (კირნათი)...

ბ. საწყისში:

და[მ]კვრა რომ ნაკლები იყო, ქალები იმღერებდნენ (ქლასკური)...

გ. მ ჩართულია არქაულ **მოცურევა**ში, რომლის მნიშვნელობაა **მოგროვება, მოკრევა**:

ღელედან კენჭები **მეი[მ]ცრევენ** (სირეთიე); ქლიავი **მოგი[მ]ცრიო** (ბუჯური); ბევრი კიტრი **მევ[მ]ცრიე**, ღარჭები **მეა[მ]ცრევენ** (თხილაზორი); თხილი'ნა **მოვ[მ]ცრიო** (ჯივანი); ლახანა **მეა[მ]ცრიო**, გარცხა (დევსქელი)...

გვხვდება ამოსავალი ფორმაც:

კენჭებ **მოვმცრევდით** (სირეთიე); მაგ ვაშლი მე **მოვმცრიე** (მარადიდი); ხეჭეჭურაჲ **მევმცრევთ**, გუუფენტ (ისკები)...

შდრ.:

არა უკუნ'იქვე **მოცურევა**დ კერძოთა შენთა (აბულაძე, 1973. ვრცლად იხ. ცინცაძე, ფაღავა, 1998:188; 189).

აღვნიშნავთ, რომ სიტყვაში **მ**'ს განვითარება გავრცელებული მოვლენაა ქართული ენის დიალექტებში, ასევე მრავალი შემთხვევაა დადასტურებული სამწერლობო ქართულში (ძიძიშვილი, 1960:104-106; ქავთარაძე, 1964: 175-177).

2.2.3. ჩართულია ნ: საკვლევ დიალექტში **ნ**'ს ჩართვის თითო-ოროლა შემთხვევა დასტურდება. **ნ** ჩართულია საწყისში:

უწინ სიმინდი **რჩევ[ნ]აში** ნადი იყო (ისკები); სიმინდი **რჩევ[ნ]აში** ნადზე გედესულან (მამაურიე)...

2.2.4. ჩართულია ლ. კლარჯულში იშვიათია **ლლ** კომპლექსის გამოყენების შემთხვევები:

თელლული (ოთახის ჩუსტები) მივცეთ, ზამთრულია (ჰამიდიე); შენ **მოლლა** ხარ (ნუსრეთიე); **თელლი** აქ ვზივართ, **თელლი** ვართ (საფულარი)...

გემინირებული ლ'ს ხმარების შემთხვევებს ასახელებს ბ. ჯორბენაძე სამცხურ-ჯავახურიდან უპირატესად არაბულ-თურქული წარმოშობის სიტყვებში, იმოწმებს არამ მარტიროსოვს (იხ. ჯორბენაძე, 1989:381); გაორმაგებული ლ'ს შესახებ მსჯელობს ივ. ქავთარაძე ქართული იტორიული საბუთების ენაზე დაყრდნობით (ქავთარაძე, 1964: 189-192). საერთოდ უნდა აღნიშნოს, რომ გემინირებული თანხმოვანი ქართულისათვის უცხოა. ჩვენს მიერ მოყვანილ მაგალითებშიც **ლლ'** კომპლექსი თურქულიდან შემოსულ სიტყვებში დასტურდება, შენარჩუნებულია მსესხებელი ენის ნორმა, სხვაგვარად, დასახელებულ მაგალითებში **ლლ** ბუნებრივი კომპლექსია.

ლ ჩართულია სიტყვაში **გამერჩხ[ლ]ება**, რომელშიც გადასმულია რ (გამერჩხრება > გამერჩხება). კონტექსტის მიხედვით მისი სინონიმია **გაშირშვალება** (ქლასკური).

2.2.5. ხმოვნის ჩართვა. გვხვდება ხმოვნის ჩართვის რამდენიმე შემთხვევა:

ი ჩართულია:

ა. ზმნაში –**ოდ** სავრცობის წინ: მე **მეშინ[ი]ოდა** (ელმალი).

ბ. არსებით სახელში: ამოიკითხა **წიგ[ი]ნი**, შეყვარებია ვინმეო (კირნათი).

გ. თანდებულის მნიშვნელობით გამოყენებულ ზმნიზედაში გარდა:

ვენახში ჰიჩ რამ არ არის, კაკლის **გარ[ი]ეთ** (ხურუოსმანიე).

2.3. ასიმილაცია. ასიმილაცია ფართოდ გავრცელებული მოვლენაა კლარჯულში. გვხვდება ხმოვანთა და თანხმოვანთა ასიმილაციის ყველა სახე – სრული და ნაწილობრივი, პროგრესული და რეგრესული, კონტაქტური და დისტანციური.

2.3.1. ხმოვანთა ასიმილაცია

აე>ეე: რეგრესული ასიმილაციის შედეგად აე ხმოვანთკომპლექსი გვამლევს ეე'ს:

ღარჭი რომ **დეეხარჯენ** (<დაეხარჯენ), მაშინ... (ხება); მულეხს'და **დეეკითხო** (<დაეკითხო) (ადაგული); ძალს **დეეყრება** (<დაეყრება) (კირნათი); ქორმა რომ **დეეცა** (<დაეცა) (კირნათი); **დეეხმარება** (<დაეხმარება) დიდი ბიჭი (ბუჯური); მეგერ **დეეფხანაკა** (<დაეფხანაკა<დაეფხანაკა) დივებ (კირნათი); ქართველი ქართველთან **გეეთხვებოდა** (<გაეთხვებოდა) (ჰამიდიე); კაჲ კაცი თუ არ ნახო, არ **გეეთხვო** (<გაეთხვო) (ხება); ამ ადგილ **დეერქვა** (<დაერქვა) „დურჩა“

(ისკები); თუ **წესლება** (<წაესლება<წაესვლება), მივა (მარადიდი); **გეეჩვია** (<გაეჩვია) და ღამეშიც ახილებს თვალი (კირნათი)...

აე კომპლექსს ენაცვლება ეე მაშინაც, როცა კომპლექსში ჩართულია პირველი სუბიექტური პირის, ან ობიექტური პირველი და მეორე პირების ნიშნები ვ-, მ-, გ- და ზმნის ფუძისეული ვ:

ვის **დევენახვო** (<დავენახვო)... მე არ **დემენახვო** (<დამენახვო) და ვისაც გინდა, იმას დეენახვეო (ხება); **დევემშვიდობე** (<დავემშვიდობე) და ასე ვუტირე (კირნათი); სიცოცხლეში **დემენატრენ** (<დამენატრენ) ბაღნები (მარადიდი); მე მექთებში **წვეელ** (<წაველ) (მურღული); ტვინი **დემენგრა** (<დამენგრა) (ისკები); ბაღანამ იტირა, **გემელვიძა** (<გამელვიძა) (ჯივანი); **ჩევედით** (<ჩავედით) იქა (კირნათი); **დეგესმინა** (<დაგესმინა) რა[ს] ამბობს (მარადიდი)...

აი>ეი (>ეი): ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაციის შედეგად აი კომპლექსს ენაცვლება ეი, უმეტესად პროცესი გრძელდება და ი>აჲ:

ექსიპირ ეს'ნა **ჩეაკითხო** (<ჩაიკითხო) (ჯივანი); ლამაზათ **ჩეაშუშვის** (<ჩაიშუშვის) (ჯივანი); აქიდან **დეინახ** (დაინახ[ავ]) (კირნათი) (ხება); ამის ნენემ ვერ იტირავს, **დეიბნიდვის** (<დაიბნიდვის) (დევსქელი); მერე **დეიბანენ** (<დაიბანენ) (ქართლა); გოგო და ბიჭი ერთმანეთ **დეინახვენ** (<დაინახ[ავ]ვენ) (სირეთიე); ერთი ჯვალი **ევისობა** (<ავისობა) (სირეთიე); ესეც ამ სოფელში არ **დეიბადა** (<დაიბადა), იზმითში **დეიბადა** (ჯივანი)...

დისტანციური ასიმილაციის დროს ვიდ ზმნური ფუძის ფორმებში იკარგება ი:

წვედა (<წვეიდა<წვაიდა) გოგო, გეეთხვა (გურბინი); ბიჭები ჰა **წვედენ?** (ჯივანი).

მაასიმილირებელი ი დაკარგულია **დევენახე** ზმნაშიც: დავინახე>დევენახე>დევენახე:

ერთი რავა ვერ **დევენახე** (კირნათი)...

ვ'ს მომდევნოდ ი'ს დაკარგვას სამეცნიერო ლიტერატურაში ორგვარი ახსნა ეძლევა: ა. პროცესი ფონეტიკურია; ბ. ცვლილების მიზეზი მორფოლოგიურ დონეზე უნდა ვეძიოთ, ი'ს დაკარგვა მორფოლოგიური სტრუქტურითაა შეპირობებული (ჯორბენაძე, 1989:584. იმოწმებს: გოგოლაშვილი, 1984). ჩვენი აზრით, პროცესი ფონეტიკურია, რომელიც გავლენას ახდენს სიტყვის მორფოლოგიურ სტრუქტურაზე.

შავშურის მსგავსად კლარჯულშიც (კირნათ-მარადიდის მეტყველების გამოკლებით) გვხვდება ასიმილაციის ისეთი შემთხვევები, როცა ზმნისწინიან

პირველი და მეორე ობიექტური პირის ფორმებში პროცესი ბოლომდე არ არის მისული.

ყარაგოლში **გემიჭიჭყეს** (<გამიჭიჭყეს) თავი (ქლასკური); მე თუ არ ვილაპარაკე, ენა **გემისივდება** (<გამისივდება) (ქოშვი); მაშინ **გემიგულიანდენ** (<გამიგულიანდენ), **გემიჯავრდენ** (<გამიჯავრდენ) (აივაზფინარი); ჰამა მე **გემიხარდენ** (<გამიხარდენ) (ლუთბიე); ჭკვა **წემივდა** (<წამივ[ი]და) (გურბინი); მომკტარა ტირილში მეგერ, უნდა **წემიყვანონო** (<წამიყვანონო) (დევსქელი); ორი წელიწადია, **წემიხდა** (<წამიხდა) ყური (ჰამიდიე); **დემირეკა** (<დამირეკა), ქი... (მარადიდი); მე უთხარ **დემიცადეო** (<დამიცადეო) (მარადიდი); თავრობა **ეგიწერავს** (<აგიწერავს), **დეგიწერავს** (<დაგიწერავს) (მურღული); ამ კაცებმა'და **დეგინახონ** (გურბინი); ჩაი **ჩეგისხა** (<ჩაგისხა) (ისკები)...

შდრ. შავშური:

ამედაა კაა (=ვარგად) არ იყო, **გემისკდა** (<გამისკდა) გული (ზიოსი); გაზომეს, რამდენი **გემივლია** (<გამივლია)... (იხ. შავშეთი, 2011:224).

შენიშნავთ: დასახელებულ შემთხვევებს შეიძლება მოეძებნოს სხვა ახსნაც. კერძოდ: ა-ი-ი-ის ასიმილაციით, შემდეგ პროცესი გრძელდება და დისიმილაციით ვლებულობთ ე-ი-ის: **დაგიწერავს>დიგიწერავს>დეგიწერავს...**

დამოწმებული ფორმების მიხედვით, კლარჯული და შავშური გამონაკლისი ჩანს. ქართული ენის არც ერთ დიალექტში ეს მოვლენა არაა შენიშნული. ასეთი ფორმები იშვიათად გვხვდება აჭარულშიც. აჭარულისთვის ნორმაა სრული ასიმილაციის შედეგად მიღებული ფორმები - გიმიკეთა, დიმირეკა, დიგინახა... ტიპისა. მართალია, სრული ასიმილაციის ნიმუშები კლარჯულშიც გვხვდება, მაგრამ მეტად იშვიათად:

ერცხვა ვერ **დიგინახავთ** (ისკები).

დაგინახავთ>დიგინახავთ>დეგინახავთ.

თავიდან ჭკვა **გიმივიდა** (<გამივიდა) (მამურიე); ანე, ფეხი **გიგიცივდება** (<გაგიცივდება) (ადაგული); ყავე გააკეთებდა, **ჩიმისხემდა** (<ჩამისხემდა) (ლუთბიე); ფიქრი **წიმივიდა** (ჯივანი)...

ამ მოვლენაზე ყურადღებას ამახვილებს ბ. ჯორბენაძე ე.წ. იმერხელი (შავშური და კლარჯული - ტერმინი ორივე დიალექტს გულისხმობს - ავტ.) დიალექტის მიმოხილვისას: „მალიან იშვიათია, როცა ი პრეფიქსი იწვევს სრულ რეგრესულ ასიმილაციას...“ (ჯორბენაძე, 1989:578-579).

რთულ ზმნისწინიან ფორმაში იცვლება ზმნისწინის ორივე ხმოვანი:

გედეარცხა ჩვენი გურჯიჯე (თეშვიქიე).

გადაარცხა>გადეარცხა>გედეარცხა.

იმის დრო **გედემწევიდება** (ხება); თეთრი'ნა **გედიბურო** (ხება)...

აუ>უუ:

დუუყრი (<დავუყრი) კარებს და წავალ ღარჭთან (ბუჯური); თვალი **დუუჭუჭე** (<დავუჭუჭე), მანაც დიმიჭუჭა (ჰამიდიე); **უუცილებელი** (<აუცილებელი) იყო, ერთათ წევიდოდით (ხება)...

ოუ>უუ:

ქირვა **მუუტანს** (<მოუტანს) რაცხებს (ისკები); კაცი **მუუკდა** (დევსქელი); **მუუსარჯეს** ათი წელიწადი (კირნათი); წაყვანა რომ **გამუუმცხადეს**, გაყვითდა (კირნათი)...

ოა>აა'ს სრული რეგრესული ასიმილაციის შედეგად:

მააგორე (<მოაგორე), **მააგორე** (მურღული); მემრე **გამაასხამ** თეფსზე (დევსქელი); იმასაც თოკი **მააკოჭვებდა** (მურღული); წყალი **მააშხეპებდა** (ერენქოდ), **გამაარჩევდენ** კად ქვებს (თეშვიქი)...

ასიმილაციის ეს სახე დასტურდება შავშურშიც:

მას რაცხას **გამაატანებენ**... იხ. შავშეთი, 2011:401)

ანალოგიური ფორმები უფრო აღმოსავლური კილოებისათვის არის დამახასიათებელი, სამხრული მეტყველებისათვის უჩვეულო ჩანს, მაგრამ ფაქტია.

ოე>ეე რეგრესული კონტაქტური და დისტანციური ასიმილაციის შედეგად:

ალთუნი **გამეესხა** (<გამოესხა), იმა ქიები **გამეესხა** (კირნათი); ერთი **მემეხმარე** (მომეხმარე), გო! (ნიმეთიე); **მეგერვენე** (<მოგერვენე), თუ? (აივაზფინარი); ხებიდან **გამევეთხოვე** (<გამოვეთხოვე) აქ (მურღული); ჩემი ხალაშვილია, ახლა **ჩემემეკიდა** (ქირიმითი).

ჩამომეკიდა>ჩამემეკიდა>ჩემემეკიდა.

უკანასკნელ მაგალითში იცვლება ზმნისწინის ორივე ხმოვანი.

ოი>ეი(>ეე):

ხელი **ამეისვი** (<ამოისვი), თავზე **მეისვი** (ჯივანი); ახლა მე ერთი რამე **მეგიყვე** (<მოგიყვე) (ხება); ბევრი ალთუნი **მემიტანეს** (<მომიტანეს. ნურუოსმანიე); დიდი ბადიში უნივერსიტეტი **მეიგო** (დევსქელი); წყალი **ამეველებდი** (ხება); ჩემ დედემ წევდა და არ **ჩამევედა** (გოლჯიქი).

ჩამოვიდა>ჩამევიდა>ჩამევედა.

ხმოვანთა ასიმილაციის სხვა შემთხვევებია:

რემელ (<რომელ) ინსანსაც ბორჯი (=ვალი) ექნება... (კირნათი); კომშებმა საჭმელი **მუუტანეს**, **მოზობლებმა** (<მეზობლებმა) (გოლჯიქი); **მოზობელი**, ჰა მიხვალ? (ჩუბუქლუბალა); ბიძამა **მოზობელი** დაჭრა (ხება).

მდრ.

მეზობლები მოვდენ (ხეზა).

ყანაში **ბრეწველი** (<ბროწეული) არი, იცი თუ **ბრეწველი?** (ნუსრეთიე); ერთი ნალიქვეშ, აქ დავაზავ, **ზომო** (<ზემო) (მარადიდი); ერთი აქაა, **ზომო** (მურკვეთი); **ზომო** მაჰალეა (ისკები); **ოჩო** (<ეჩო) და ხერხი'და ვიყიდო (კირქხარმანი)...

2.3.2. თანხმოვანთა ასიმილაცია

გვხვდება თანხმოვანთა ასიმილაციის, უმეტესად რეგრესული ასიმილაციის, შემთხვევები.

გც>ქც:

ღმერთმა **გაქცვითოს** (<გაგცვითოს), გაგაფაქოს (კირნათი); ერთ ვირ ალთუნ **მოქცემო** (<მოგცემო) (კირნათი); ღმერთმა კარგობა **მოქცესო** (<მოგცესო) (ჯივანი).

შდრ.:

ღმერთმა რამ აჯი არ **მოგცესო** (ჯივანი).

გხ>ქხ:

შექხედებენ (<შეგხედებენ) (თხილაზორი)...

ნლ>ლლ:

... **ლელა-ლელა** წამეარე (ჯივანი)...

შდრ.: **ნელა-ნელა**.

სჭ>შჭ:

ლახანას გავაკეთავთ, **დავშჭრით** (ისკები).

სჩ>შჩ: რჩ კომპლექსში თავდაპირველად რ'ს ენაცვლება სპირანტი ს', შემდეგ ხდება რეგრესული ასიმილაცია:

ნახა ქათმი[ს] ბაყვი **დაშჩენოდა**...

შდრ.: **დარჩენოდა>დასჩენოდა>დაშჩენოდა**.

ს-ჯ>შ-ჯ:

თოკი **გაშინჯა** (ქლასკური); **შჯობს** ამას თუ (კირნათი); მაშინ რამდონი **მოგიშაჯეს?** (კირნათი)...

ცდ>ზდ, ძდ:

ოზდაჩვიდმეტი სახლი ვართ (სირეთიე); ჩემი ცოლი **ოძდათორმეტი** წლის იყო, მოკტა (მურღული)...

მხ>ფხ:

აფხანაკები გახლავან (ისკები); **დიმიაფხანაკდენ**... (ავანა)...

ეს მოვლენა ივ. ქავთარაძეს ბაგისმიერთა მონაცვლეობად მიაჩნია (ქავთარაძე, 1963:207).

სღ>ზღ: ეს პროცესი მთელ სამხრულ მეტყველებაში არის გავრცელებული. ჩვენებითი ნაცვალსახელის მიცემითი ბრუნვის ფორმას ერთვის არსებითი სახელი **ღამე** ბოლოკიდური ხმოვნის გარეშე - **ღამ'**:

ამასღამ>ამაზღამ დისიმილაციით გვამღევს **ამეზღამ**:

ამეზღამ მირვთ მივალ (მარადიდი); **ამეზღამ** მოიღონ (ზაგინი)... (იხ. ცინცაძე, ფაღავა, 1998:25-26).

დყ>ტყ:

დედამთილი **ავატყოფია**, რამეს ვერ აკეთეფს (კირნათი).

ავადმყოფი>ავადყოფი>ავატყოფი.

ბტ>პტ:

ასე **პტყელია** (ხეზა).

ბრტყელია>ბტყელია>პტყელია.

ქზ>გზ: მთელ სამხრულ მეტყველებაში (ქობულეთური კილოკავისა და ბათუმის შემოგარენის სოფლების მკვიდრთა მეტყველების გამოკლებით) გავრცელებულია **აქ, იქ, მაქ** ზმნიზედების -**ზე** თანდებულიანი ასიმილირებული ფორმები: **აგზე, იგზე, მაგზე**:

ერთიგ **აგზე** (<აქზე) ცოცხლობს (ხეზა); **აგზე** ბერებთან ეყყვანე (ზაგინი); **აგზე** სული შუუწუხდება (დევსქელი); რა იჯები, გო, **აგზე** (კირნათი); **იგზე** სახლი ვაკეთებ (დევსქელი)...

გვზდება ამ ზმნიზედების -ში თანდებულიანი ფორმებიც, რომლებშიც, ბუნებრივია, ასიმილაცია არაა მომხდარი: **აქში, მაქში, იქში**. საყურადღებოა, რომ კლარჯულში გავრცელებულია **აგში, მაგში, იგში** ფორმებიც.

გყ>კყ:

ბიჭი დასახლილი **კყავს?** (ერენქოძე);

შდრ: **კაცები გყავს** თქვენ? (ერენქოძე).

პროგრესული კონტაქტური ასიმილაციის ნიმუშებია:

ღღ>ცხ:

ვინცხას გინდა იმას დიენახვეო (ისკები).

ვინცაღა>ვინცღა>ვინცხა.

რაცხას მისცემენ, ყიდულობს (ჯივანი); ქირვა მუუტანს **რაცხაეფს** (იბრიქლი); **რაცხა** მაცვიოდა, ისაა (მურკვეთი)...

რაცაღა>რაცღა>რაცხა.

ანალოგიური ფორმები გვხვდება შავშურში, აჭარულში, მესხურ-ჯავახურში, იმერულში, გურულში (იხ. ფაღავა, 2009:68-69).

ხღ>ხთ:

ახლა მათებურ ვლაპარიკობ და **ხთომილობენ** (მაამურიე); შენ რომ ადექ, თან **მივხთი**, რაზე ადექ (კირნათი)...

შდრ.: რამე არ **დამხდა** (კირნათი).

პროგრესული კონტაქტური ასიმილაციის შედეგად **კდ** კომპლექსში (**კვდ** თანხმოვანთკომპლექსში **ვ**'ს დაკარგვის შემდეგ) ყრუდება **დ**:

ამ ძმამ **მომიკტა** (ქართლა); **მოკტენ**, მცოდნელები **მოკტენ** (ჯივანი); ბაბომ, ნენემ ავადეველი იყო, **მოკტა** (ირშადიე); ქალი **მომკტარა** (დევსქელი); ჯენაზე **მომკტარა** მეგერ, ტირილში (დევსქელი); დედემ **მომკტარი** არიან (ბუჯური)...

ასიმილაციის ეს სახე აჭარულშიც არის გავრცელებული, ოღონდ უმეტესად ქობულეთურ კილოვანში, სხვაგან ამ ფუძეში დაცულია **კდ**. ასე ჩანს კლარჯულშიც: მიუხედავად ასიმილირებული ფორმების სიმრავლისა, ჭარბობს უასიმილაციო ფორმები. შეფარდება დაახლოებით ასეთია: ოცდაათი შემთხვევიდან ოცდაერთში ასიმილაცია არაა მომხდარი:

სამი წელწადი იქნა, ისიც **მომიკდენ** (ავაზფინარი); ცხრა წლის ვიყავი, ნენემ **მომიკდენ** (ჯივანი); **მოკდენ** ბერები (მურკვეთი); ვრა ბიჭი ვართ, ორი **მოკდა** (მურღული); მოაჯირობაში **მომკდარან** (ერენქო); **მოკდენ**, ჰად არიან (ბუჯური); ჩემი დედემ ცხენზე დამჯდარა, **მოკდა** (მურღული); **სიკდილი** ყველას კალოზე მივა (ხება)...

ერთსა და იმავე წინადადებაში გვხვდება ასიმილირებული და შეუცვლელი ფორმები:

მოკტა, ამ მეორეა, პირველი **მოკდა** (ჰამიდიე); კაცი **მომიკტა**, ხუთი თანე ბიჭი მყავს, ერთი **მომიკდა** (ხება)...

2.4. დისიმილაცია. დისიმილაცია ხდება აქ ზმნიზედისაგან –ურ სუფიქსით წარმოქმნილ სახელში: უ ხმოვნის დავიწროებით მიღებულია **აქავრი**, რომელიც დისიმილაციით გვამლევს ფორმას - **აქევრი**:

შენ **აქევრი** სახელი გაქ „მერიემი“ (გურბინი).

აქაური>აქავრი>აქევრი.

აქევრ დუგუნ'ნა შეეწრო (ავანა); **აქევრი** ხალხი თელი ქართველია (ბორჩხა); ჩვენი, **აქევრი** ჩადა (ისკები)...

შდრ.:

აქავრი ვარ (დევსქელი).

ზედსართავისაგან **აქევრი** –ობა სუფიქსით წარმოიქმნება **აქევრობა**: ერთსადაიმავე წინადადებაში გვხვდება დისიმილირებული და ამოსავალი ფორმები:

აქევრობა გურჯისტანი ყოფილა, **აქავრობა** ზათი უწინ თელი გურჯისტანი ყოფილა (ისკები).

სამეცნიერო ლიტერატურაში დისიმილაციად არის მიჩნეული **მიორე** (ჯორბენაძე, 1989:420):

ენ დიდ ოდაში ბიჭი, **მიორე** ოდაში - **მიორვანები** (ადაგული).

დისიმილაცია ასიმილაციის შემდგომი საფეხურია: **მეორე*****მოორე**>**მიორე**. შდრ. ქობულეთური **მორე** (<*მოორე).

ხმოვანთა დისიმილაციის სხვა შემთხვევებია:

ვინცხას გინდა, იმას **დიენახვეო** (დევსქელი). **დაენახვე**>**დეენახვე**>**დიენახვე**.

ისენი (<ისინი) მოიდენ აქ (ისკები); **ისენი** არ ვიცი (მეჯიდიე); **ისეც** ხართველია (ჰამიდიე); ვერ **ილაპარიკებს** (იჯადიე); ჩინი არ მაქვა, ვერ **ვილაპარიკებ** (მამაშურიე)...

თანხმოვანთა დისიმილაცია ხდება ხაზგასმულ სიტყვებში:

სხვა **არალი** (<არ არი) (ავანა); ბაღანა ვინმე **არალი** (კირქხარმანი); გვარი ქედი ბოლოს **არაფელი** (<არაფერი) არაა (მარადიდი).

შდრ.: აქ გურჯი **არარი**, რამ არარი (იბრაქი).

ოროლი (<ორორი) გელინები მყავს (ბაგინი); **წრეველ** არ ვაკეთებ, წინ ვაკეთებდი (ისკები); **წრეველ** თხილიც არარი (ადაგული)...

შდრ. **წლეულ**>**წრეულ**.

გურჯობა **დავკარქეთ** (ადაგული).

შდრ.:ფიქრი **დავკარგე** (ჯივანი).

2.5. სუბსტიტუცია. სუბსტიტუცია, ბგერათა მონაცვლეობა ნაკლებად გავრცელებული მოვლენაა კლარჯულში. ამა თუ იმ ბგერის შენაცვლების თითო-ოროლა შემთხვევა გვხვდება, რომელთაგან ნაწილი ინდივიდუალური ჩანს. ჩვენს მასალებში დავადასტურეთ სუბსტიტუციის შემდეგი შემთხვევები:

ვ||ზ:

თელი **დამბიწყდა** დღეს (ქართლა).

შდრ.: **დამავიწყდა**>**დამვიწყდა**>**დამბიწყდა**.

რ||თ:

იმის სახელი მე **დამათქვეს** (მამაშურიე).

შდრ.: **დამარქვეს**>**დამათქვეს**.

თ||ზ:

შიშა[ს] დაჭრიან, მიაწყობენ **ერთმანებ** (ხება).

შდრ.: **ერთმანეთ[ს]**>**ერთმანებ**.

ძ||ზ:

ზალმა ნენედ მიძახს (ავივაზფინარი).

შდრ.: [რ]ძალმა>ძალმა>ზალმა.

სიზე (<სიძე) ლაზია (ჰამიდიე); კაცებმა **ზინავს** (<ძინავს) კაჰვეში (მაამურიე).

ჩ||ც:

ნენემა **ცაქით** (<ჩაქით) დაჭრიდა მაკარინას (ნუსრეთიე).

შდრ.:

რადთ ჭრი, ნაზიმ ბიძასი **ჩაქი** აქაა? (კირნათი);

ყური არ დუუგდო, არ **ცამოკიდოო** (მაამურიე); სამი იყვენ, ერთი იქ მოკტა, მუსტაფა **ცაუში** (<ჩაუში) (გულდიბი).

ქ||ხ:

სახმეს (<საქმეს) ვერ უძლობ (მაამურიე); ისეც (<ისიც) **ხართველია** (ჰამიდიე)...

ხ||დ:

ჭოროღში (<ჭოროხში) ქუთულები ჩაყარენ (ნურუოსმანიე)...

ხ||დ სუბსტიტუციურ ფორმებს განსხვავებული მნიშვნელობა აქვთ: თურქულიდან მომდინარე **ოჯალი** (ocak[gi]) აღნიშნავს ბუხარს, ხოლო მისი სუბსტიტუციური ფორმა - **ოჯახი** არის „ერთად მცხოვრებ უახლოეს ნათესავთა (ცოლ-ქმარი, მშობლები, შვილები, შვილიშვილები) ჯგუფი“ (ქეგლ):

ვინცხა დიღია, **ოჯალიან** ოღაში დაწვებოდენ დაბანისთვინ (ნურუოსმანიე); **ოჯალები** იყო სახში, ბუხრები (ჰამიდიე); ყველა ოღაში **ოჯალი** იყო (ნურუოსმანიე); ხორცი გააკეთეო, **ოჯალზე** დადგო... **ოჯალზე** ხორცი დადგმულია (ისკები); **ოჯალი** ორ ოღაში იქნებოდა (თეშვიქიე)...

ოჯახში ყველამა იცოდა (ნუსრეთიე); მაქვერ **ოჯახზე** არ შეიძლება ლაჰადვი, კად **ოჯახიო** (კირნათი); უწინ ყველა **ოჯახში** ორი ხარი ეყოლებოდენ, ხარი არ გაქვა, **ოჯახი** არ ხარ (სირეთიე)...

ოჯახსა და **ოჯალს** შორის ისეთივე მიმართებაა, რაც **კვამლსა** და **კომლს** შორის.

ჭ||ჩ:

აქა **ჩოროხი** (<ჭოროხი) არი (ნურუოსმანიე)...

ჭ||ჯ:

ემიას ქალი **აჯარელია** (<აჭარელია) (მაამურიე); ჩემი ბაბანედ **აჯარელი** იყო (იჯადიე); **ჯინჭველი** (<ჭინჭველი) არ იყოს აქ (კირნათი)...

ს||რ:

საათი მეიძრო, ჩემ კაც **მირცა**... ფარას ჯუზდანი, ისიც **მირცა** (აივაზფინარი).

მ||ზ:

ზითვალი ჩეერბინა (კირნათი); ჩემსას არ უნდა **ზზე** თუ? (კირნათი)...

ფ||პ:

ჩვენები **გამოპანტენ** (<გამოფანტენ) იქიდან (ნუსრეთიე); ქორწილი **დეფანტა** (ისკები).

შდრ.:

სამსონ არიან **დაფანტული** (ადაგული).

ც||ს:

ამან არ იცის, არც მე **ვისი** (<ვიცი) (გოლჯიქი)...

ბგერათმონაცვლეობის მრავალი შემთხვევა მოვიყვანეთ. უმეტეს შემთხვევაში მონაცვლეობა შეპირობებული არ არის, რაღაცით მსგავსი ბგერები ენაცვლებიან ერთმანეთს, მონაცვლეობის მიზეზი არ ჩანს. საკვლევ დიალექტში ბგერათმონაცვლეობა ზოგჯერ თურქული ენის გავლენით შეიძლება აიხსნას.

2.6. მეტათეზისი. გვხვდება მეტათეზისის, ბგერათა გადასმის შემთხვევებიც:

ენ||ნვ:

ნავზე, ის ვერ **ნავზე** (ქართლა); ხალხი ვერ **ნავზავთ** ქოსოფელში (თხილაზორი)...

ეს ფორმა უჩვეულო ჩანს კლარჯულისათვის და საერთოდ სამხრული მეტყველებისათვის. მეტათეზისის აღნიშნული შემთხვევა დადასტურებულია ზემოიმერულში (ჯორბენაძე, 2009:454; ძოწენიძე, 1973:43).

ფქ||ქვ:

დაქვილოს, **ქვილსავენ** მივა; **ქვილის** სული წუუვა; დედმა ცომი გააკეთებდა **ქვილით** (ჰამიდიე).

შდრ.:

ფქვილი წყალში'ნა გასხნა (დევსქელი).

ქვილი დასტურდება ქვემოაჭარულშიც:

წისქვილიდან ჭადის **ქვილი** მოიტანა (ორთაბათუმი).

რვ||ვრ: ვ გადასმულია რიცხვით სახელში **რვა:**

ვრა ბიჭი ვართ (მურღული); **ვრა** და ოთხი წლის, **ვრა** საათ ვასაქმებდით (ისკები)...

მღ||ღმ:

მათაც **უღმერიან** (ხება); ღელი ქენერზე ქორწილი გუუწევთან, **ღმერობენ** (ქირიმითი); **ღმერობდა**, ყველანაირად **ღმერობენ** (ქირიმითი);

უწინ იღმერავდენ, ყარშიბერი იღმერავდენ (ხება); ღმერობა არ ვიცი (ქართლა); მარტო ღმერობდა მისთინ (მარადიდი); ჰემ ვჰრი, ჰემ სიღმერა ვთქვი (აზიზიე); მათა უღმერიან (მელანააზი)...

ხს||სხ:

თელეფონი გიმისხნა (იბრიქი); ოქული გასხნას (მურღული); ღმერთმა გზები გეგისხნას (ჯივანი); ყისმეთი გეესხნება (კირნათი); ზამთარში გზები გასხნიან (ისკები)...

სხ ამ ფუძის (**ხს**) ფორმებში მთელი სამხრული მეტყველებისათვის არის დამახასიათებელი.

2.7. ბგერათა შერწყმა. კლარჯულში დავადასტურეთ ბგერათა შერწყმის ნიმუშებიც:

ვე>ო:

ქომო (<ქვემო) არიან (ისკები); ერთი აგზე ცოცხლობს, ერთიც - **ქომო** მარადიდში (ხება); **ქომო** ჩვენი სოფელია (ისკები); აქ **ყოლღამ** (<ყველღამ<ყველაღამ) ქორწილია ზაფხულში (ისკები); **სადღობელი** (<სადღვებელი), მაღის, იცი? (სირეთიე)...

თს>ც: კლარჯულში შერწყმის ნიმუშია **ერცხვა** (<ერთისხვა), მისი მნიშვნელობაა **კიდევ, ისევ, მეორეჯერ**:

ერცხვა წლამდი რომ ზარალი მექნას...(ჯივანი); თუ გონჯია, **ერცხვა** არ მეყვანდენ (ერენქოჲ).

შდრ.: **ერთისხვა** ღმერთ ამანეთ გუუგზანი (სირეთიე).

ევ>ო:

ჩვენ **კიდო** (<კიდევ) შევყარეთ (ჯივანი)...

2.8. ტონური მახვილი. კლარჯულისათვის, ისევე როგორც სხვა სამხრული კილოებისათვის, დამახასიათებელია ტონური მახვილი, რომელიც ფიქსირებულია და სიტყვას ბოლოდან მეორე მარცვალზე მოუდის. აღვნიშნავთ, რომ ტონური მახვილი კლარჯულში (აჭარულსა და შავშურშიც) უკვე მიღებულია, მაგრამ მაინც შეინიშნება ასაკოვანი კლარჯებისა და განსაკუთრებით კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებაში:

ჩიტ დაჟდა ტყემალზე, თავი **გედეი'წყო** მანზე (მურღული); ჩვენ **ქორწილე'ფში** ფადიკოს **ცეკვა'ვენ** (მურღული); **შელა'ლე** არი იქა (ნურუოსმანეი); **იქა'ვრი** ხალხი არ მოვდოდენ, **ილოცე'ვდენ** (მურღული); იმის გაღმა **სინკო'თი**, სოფელია (ისკები)...

შდრ.:

გაცოცხლოს გამჩენმა ღმერთმა; **სიცოცხლის** ზამანია, **სიცოცხლის**; ჩვიდმეტ ქათამში წყევანა ჩვენი **კოკოტა** ქათამი; იჯექი ბურსას **ქალაქში...** (მაგალითები ჩაწერილია მუჰაჯირთა შთამომავლების სოფლებში - ავტ.).

ტონური მახვილი გამოიხატება სიტყვის ბოლოდან მეორე ხმოვნის დაგრძელებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამხრული კილოებიდან ტაოური, შავშურისა და კლარჯულის დიდი ნაწილი თურქულის გავლენას განიცდის, ამიტომაც დაისმის კითხვა: სამხრულ მეტყველებაში ტონური მახვილი ხომ არაა თურქულიდან შეთვისებული? სხვაგვარად, თურქული გამოთქმის გავლენის შედეგი? კლარჯები, ტაოელები, შავშები, ამ კუთხეებიდან გადასახლებულ მუჰაჯირთა შთამომავლები ხომ ორი ენის მატარებელნი არიან და ამ ორიდან დომინანტობს თურქული? პასუხი ყველა შემთხვევაში უარყოფითია. მართალია, თურქულს ახასიათებს ე.წ. სიტყვის მახვილი, მუსიკალური ძალის მქონე, მაგრამ იგი სიტყვას მოუდის ბოლოდან პირველ ხმოვანზე (იხ. Кононов, 1965:51-58; Hengirmen, 1995:97-103; Banguoğlu, 1990:114-123. შდრ. ფაღავა, 2017).

ბარემ აღვნიშნავთ, რომ ტონური მახვილი დამახასიათებელია ქართული ენის სხვა კილოებისთვისაც (იხ. ჩიქობავა, 1924:333-348; სომხიშვილი, 1983:9; მარტიროსოვი, 1985:137; ჟღენტი, 1956:259-266; ქავთარაძე, 1985:31-34...) და ზანურისთვისაც (ჩიქობავა, 1936:42;124). გიორგი როგავა ვარაუდობს, რომ ქართულში და ზანურში ისტორიულად უნდა გვექონოდა ორი განსხვავებული მახვილი – დინამიკური და ტონური, რომელთაგან „ტონური მახვილი უნდა იყოს დომინანტი“ (როგავა, 1963:7). ჩანს, სამხრულ კილოებში გამოვლენილი ტონური მახვილი ქართველურ ენათა ისტორიული ვითარების ანარეკლია.

თავი 2. მორფოლოგია

§1. სახელები

1.1. არსებითი სახელი

1.1.1. მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი, მრავლობითი რიცხვი, მავრცობი ხმოვანი. მოთხრობით ბრუნვაში ხმოვანფუძიან სახელებს (როგორც საზოგადოს, ისე საკუთარს) მოუდით –**მა** სუფიქსი:

ამ არაბამა არ წავა იქა (ნუსრეთიე); ჩემი დამა მასენა მითხრას? (მარადიდი); ახლა თავრობამა უყურავს (მარადიდი); თხამა შევდა და ფიდანო გადაკნიტა (ხება); ბიძამა მეზობელი დაჭრა (ხება); ჩემი მულის დედამა იტყვის (ადაგული)...

ჩემ ნენემა დედნახა ლამაზი ბიჭი (სირეთიე); ჩემ ნენემა დათესავდა (ჰამიდიე); სიცხემა დააწვა (იბრიქლი); ჩემი ცოლის დედემა იტყვის... (ადაგული); ბაბანემა ჩიმიკითხევდა (სირეთიე)...

ისამებენ ბიჭი და გოგომა (ავანა); კაცის ბაბომა მითხრა (ესკიფერადიე); ემომა ბევრი იცის (ქლასკური)...

ზივერამა იცის და გამეარს (კირნათი); გამგეობა ნაილემა იჯება (კირნათი); ის გოგო აიშემა იცნობს, ჰო? (მარადიდი); ავნიმა ურტყავს ბალანას (კირნათი); აქ საქმობდა ალიკომა (ჰამიდიე); მე და გულომა ვისეირავთ (კირნათი)...

გვხვდება –**მ** ნიშნიანი მოთხრობითის ფორმებიც:

ხოჯამ გაბლეზდა (თხილაზორი); მაჭახლემა ჩემ ნენემ იცოდა (ჯივანი)...

ერთსა და იმავე წინადადებაში ერთი და იგივე სახელი ორივე ფორმით – **მ** და –**მა** ნიშნებით გვხვდება:

შევექეთამ ძებნა დედწყო... ფიქრობაში შევექეთამა ეს ამბავი შეიტყო (კირნათი)...

იშვიათად მოთხრობითის ნიშანია –**მან**:

ზალმან ნენედ მიძახს (აივაზფინარი); თქვენ ორთვესა დმერთმან გიყუროსო (აივაზფინარი); იმის უკან ხოჯამან თელლის შუუძახავს (სირეთიე); ბერი ხარის [რ]ქამან მოხნისო (ჰამიდიე); დარჭებმან მითხრეს, რომ... (ნურუოსმანიე)...

კირნათის მეტყველებაში თანხმოვანფუძიანი ადამიანის საკუთარი სახელის ფუძეს ერთვის **ა** და იქცევა ხმოვანფუძიანად. ასეთი სახელი წოდებითში ორგვარად არის წარმოდგენილი – ვ(<ო) ნიშნითა და თანხმოვნიანი ფუძით:

ზივერავ, ზივერ! შენი ანემსილია? **ჰაჯერავ, ჰაჯერ!** რაები წიგიკითხო!...

ამათი ანალოგიით ე ხმოვანზე დაბოლოებული სახელიც ამგვარად არის წარმოდგენილი: ე დაბოლოების გარეშე ან ვ ნიშნით:

ზექი, ზექიევ! ემრიეს დუუმახე (კირნათი).

მრავლობით რიცხვს ძირითადად –**ებ** სუფიქსი აწარმოებს, იშვიათად – **ნ** და –**თ**. მრავლობითი ეწარმოება ყველა შინაარსობრივი ჯგუფის სახელს:

აქ თუთა, **ქლიავები** არიან (გურბინი); რუსიაში ჭამენ ამის **ხორცებსა** (ადაგული); ასე რომ **ჭკვები** დააწყო, ყველამ მის ჭკვას აწევს (ბუჯური); **სისხლები**... (ჰამიდიე).

სისხლები აქ სისხლით ნათესაობის აღმნიშვნელია.

სიმწარეები ბევრი ვნახე (ჰამიდიე); **მოლები** (=ბალახი) მოვითბე, ვახმოზ (ისკები); აქ ბევრი **მოლები** არიან (ადაგული).

მრავლობითის ფორმით გვხვდება თურქული **მეფვა** (ხილი):

მეფვები არის (იბრიქი); **წყევლები** არ ვიცი (ჯივანი)...

მრავლობითის, კრებითის, მნიშვნელობა აქვს მხოლოდობითის ფორმას:

ცხვარიც ყავან (ბუჯური)...

ნ'არიანი მრავლობითი:

აქ **კოლონი** არისო ბევრი (ხება).

შდრ.:

კოლვებ უკბენიან (მარადიდი)...

ქვეითად სიარულის აღსანიშნავად იხმარება **ფეხებით** სიარული:

გემით მოსულან, **ფეხებით** მოსულან, ისეც მოსულან... (ლუთბიე).

შდრ.:

იქიდან აქ **ფეხით** მოსულან (აივაზფინარი)...

სამხრულ მეტყველებაში პროდუქტულია მავრცობი ხმოვანი, განსაკუთრებით მიცემითსა და ნათესაობითში:

ქასეტები აქვა ჩემ **ბიჭსა** (ისკები); დააბმენ **ბეჭედსა** (გურბინი); მოვზელ **ცომსა** (გურბინი); გურჯიჯე აკითხავ **ღარჭსა?** (გურბინი); რას ეტყვით **წაბლსა?** (ლუთბიე); აქ ჩვენ **ჰუქუმათსა** ჩვენ ვუყურავთ (ნუსრეთიე); ასე ჩავარდა და უტირა იმ **ცხენსა** (ჩუბუქლუბალა)...

ნათესაობითში მავრცობი უმეტესად მსაზღვრელ სახელს დაერთვის:

ავტობუსი **აჭარის აღმართისა** ჩავლილი იქნება (კირნათი); მაქინა მაქვა **სარეცხისა** (იბრიქი).

იშვიათად მოქმედებით ბრუნვაშიც არის მავრცობი:

დედეებმა აქ **თოხითა, ნაჯადითა, ცულითა** გახსნენ ყანები (ჩუბუქლუბალა)...

1.1.2. კუმშვა. სალიტერატურო ქართულის კუმშვადი სახელები კლარჯულში უკუმშველია:

ამ **ყურძენის** წვენიტ ღვინოს აკეთებენ (ბუჯური); ბათუმ **საქონელის** წაღება ისე ყოლაჲ არალი (კირნათი); წინდა **ცხვარის** ბუმბულიდან იშტე (მამურიე); ეს **სოფელის** პროფესორია (მურკვეთი); თხა ბაღნებმა წეყვანონ ტაჲას **სხალი**[ს] ძირში (მარადიდი); ფიქრიჲ ხომ ის არ იყო, **აკვანის** ბაღანა (მარადიდი); **აკვანები** დავარწევდით, ვუმღერდით (ჯივანი); ჩვენი **სოფელის** ჰისტორიას რომ წერავს (ჰამიდიე); **მაყარის** სახში მისლამდე ენ წინ მახარობელი მივა (ხება); **ფხალის** ფურცელიდან ხორცის სარმა იქნება (ხება); პური[ს] **კაკალით** მოარუნიებდა ბაბამა (მამურიე); აქ ძველათ ალთუნის **ფინჯანით** ყავეს სმიდენ (მარადიდი); გაალამაზავ, **საპონით** გარეცხავ (გურბინი); თეთრი ყურძენი მქონდა ერთ **გოდორამდე** (კირნათი); ახლა აღარ მაქვან **სხალები**, დავგლიჯევი (მარადიდი); **ბებერების** თეთრი თმა... (ერენქოჲ); **ბებერები** ამდენ ანჯახ იქმენ (გურბინი); ვისია ე **გოდორები**? (კირნათი); **მანგალით** გვერდ მერებსა ვჭრიდით (ელმალი)...

-**ებ** დაერთვის შეუკუმშავ **ამზავ** სახელურ ფუძეს:

მე უთხარ ბიძას ის **ამზავები** (მარადიდი).

ერთსა და იმავე წინადადებაში ერთი და იგივე სახელი შეკუმშული და შეუკუმშავი ფორმითაა:

აქ **თათრები** ყოფილან, **თათრები** გუუდევნიან (ნუსრეთიე)...

იშვიათად შეკუმშული ფუძეებიც იხმარება

ნიორით და **კაკლით** შეანელებენ (ისკები); ჩოხა, მელეგი ქეჩის **ბუმბლით** გაკეთებული... (მამურიე).

1.1.3. კვეცა. უკვეცელია სალიტერატურო ქართულის ნორმის მიხედვით კვეცადი სახელი:

ჩვენი **წვიმას** კითხვა (=შელოცვა) იქნებოდა (სირეთიე); **ლაფერადთ** ემე იჯებიან (შირინსულიე).

შდრ.:

იმის უკან დავრეგვავთ **ლაფერით** (სირეთიე)...

სიმღერას დერდი არ მაქ (ახალდაბა); **აჭარას** სოფლებში დაჰა კარქა ილაპარაკებენ (აივაზფინარი); **ხებადან** მოვდენ (მამურიე); ყანა **ლეღეს** ძირშია (ჰამიდიე); **ხეს** სახლია (ჰამიდიე).

შდრ.:

[ჯილდა] **ხის** იყო (ჰაჯიოსმანი).

საქმესთვინ მოსულა აქა (ჯივანი); **საქათმესთინ** რაფერი ხიები მოგიტანია? (კირნათი); **ლეუდან** კენჭები მედმცრევენ (სირეთი); **არაბად** მოვლენ სახში (ერენქოა); **გუდათ** წიკვიდენ მეგერ სხალი (კირნათი); წყალი ხომ ვერ გაჭრი ამ **დანათ**? (კირნათი); **ამერიკადან** მოვდა (ებრიკა); **ასპინძადან** ვართ (ხეზა); ჩვენ ბათუმიდან მოსული ვართ, **აჭარადან** (ხეზა); **ღვინოსთინ** კადა ისიც (კირნათი)...

როგორც ვხედავთ, შეუკუმშავი და შეუკვეციელი ფუძეები მრავლადაა კლარჯულში (სამხრულ მეტყველებაში ზოგადად), გვხვდება პარალელური ფორმებიც. ჩანს, „რედუქციის პროცესი ჯერჯერობით არაა დასრულებული“ (ნიჟარაძე, 1975:111). საენათმეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ „ცოცხალ კილოებში რედუქცია უფრო ცხოველია აღმოსავლურ ჯგუფში, ხოლო დასავლურში უფრო მეტად არის შესუსტებული“ (შანიძე, 1981(1): 317). სუსტია რედუქცია სამხრულ კილოებშიც, თუმცა ფაქტის აღნიშვნა არაა საკმარისი, რომ მოვლენა ახსნილად ჩაითვალოს. რედუქციის პრობლემა სამხრულ კილოებში კომპლექსურ კვლევას მოითხოვს.

1.1.4. ხმოვანზე (ა,ე) დაბოლოებული სახელების –ებ’იანი მრავლობითი. შავშურის მსგავსად კლარჯულშიც თავისებურებებით ხასიათდება ა და ე ხმოვნიანი სახელების ებ’იანი მრავლობითის ფორმები.

ა ხმოვანზე დაბოლოებულ სახელებს (შავშურისაგან განსხვავებით) მრავლობითობის სუფიქსი დაერთვის შეუკვეციელ ფუძეს:

ავართვით ხელიდან **მიწაები** (ნუსრეთი); იქიდანაც მოვა **ხმაები** (იბრიქი); ესენი **ჯუმაებზე** წეძჩხუბებოდენ (მარადიდი); მეტი უყვარს **მანქანები** (კირნათი)...

იმვითად –ებ დაერთვის შეკვეცილ ფუძესაც:

ჩვენი **დეები** არაბჩაა (თხილაზორი).

შდრ.:

ნამაზის დუაები ვიცით (ქლასკური).

ბაქლავაები გავაკეთავთ (ტრაპენი); დედეს ბევრი **ბაღანაები** ყავდა (ნურუოსმანი)...

შავშურისაგან განსხვავებით, კლარჯულში იმვითია შეუკვეციელი ასიმილირებული ფორმები **გზეები**, **ყანეები** ტიპისა, რომელთა დისიმილირებული ვარიანტებია **გზიები**, **ყანიები** (შდრ. შავშეთი, 2011:248; ფადავა, ცინცაძე, ბარამიძე, 2022: 56), კლარჯულში დასტურდება უკანასკნელის ანალოგიური ფორმები:

[რ]ქა: იმას [რ]ქიები გამეესხა (კირნათი);

ბახჩა: **ბახჩიეფში** ლობია თუ იქნება (კირნათი);

მამა: ჩვენი მამის **მამიები** ყოფილან... (ჯივანი)...

აღვნიშნავთ, რომ **ბახჩიებ**'ის მსგავსი ფორმები დასტურდება აჭარულშიც, კერძოდ, ბათუმის მიმდებარე სოფლების მეტყველებაში:

ყანიები დეიდვა ხალხმა; **ბახჩიები** მოსრაგნეს ბაღნებმა (ორთაბათუმი)...

შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ დასახელებულ მაგალითებში აქ კომპლექსს შეენაცვლა იე ნაწილობრივი, რეგრესული ასიმილაციით. მომავალში ანალოგიურ ფორმებს სხვაგვარი ახსნაც რომ მიეცეს, პროცესი მაინც ფონეტიკურია.

ე ხმოვანზე დაბოლოებულ სახელებში –**ებ** მრავლობითობის სუფიქსის დართვით ვღებულობთ **დეებ**'ის ტიპის ფორმებს:

იმხელა **ხეები** ყოფილა აქ (გვერი); ასოზდაათი წლის წინ მოვდენ ჩვენი **დედეები**, **ნენეები** ბაგადან (ლუთბიე); **დედეებმა** ქომურ იჯებოდენ (ლუთბიე); **დედეებმა**, **ნენეებმა** თლათ ჩვენებური ვლაპარიკობთ (ლუთბიე); ამნების დიდი **დედეები** ლაზები ყოფილან (იჯადიე); მემრე **ხეებს** გუუდებდით (თეშვიქიე)...

დასტურდება **ხიები** ტიპის ფორმებიც: ეე>იე:

საქმიები დედწყებენ (ნუსრეთიე); რაცხა **საქმიები** მქონდენ (მარადიდი); მოკდა ის **დღიები** (ნუსრეთიე); მად საქათმესთინ რაფერი **ხიები** მოგიტანია? (კირნათი); **ხიებზე** მუშაობს ტყეში (კირნათი)...

'**იებ** დაბოლოება კლარჯულში გვხვდება თანხმოვანფუძიან და **ო**'ზე დაბოლოებულ ხმოვანფუძიან სახელებშიც:

დერდი: შენ **დერდიფს** გიგიგნებსო (კირნათი);

ხოზო: **ხოზიები** ჰად არიან? (ჯივანი); მოდყვადთ და ჩააგდეთ **ხოზიები** (კირნათი)...

ანალოგიური ფორმები დადასტურებულია ქართლურში. ბ. ჯორბენაძე იმოწმებს გრ. იმნაიშვილს და აღნიშნავს: „-**იებ** გაიაზრება ერთიან ფორმანტად და დაერთვის თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ ერთმარცვლიან კუმშვად სახელებსაც (ჯორბენაძე, 1989:294. ამ მოვლენაზე მსჯელობს აგრეთვე ავტორი მესხურის, სამცხურ-ჯავახურის დახასიათებისას).

1.2. რიცხვითი სახელი

კლარჯები უმეტესად იყენებენ თურქულ რიცხვით სახელებს. ქართულად უჭირთ დათვლა, არ იციან. ამის შესახებ თვით ინფორმატორები აღნიშნავენ: „ქართულად||გურჯულად არ ვიცი“:

ჩემი სახელი ჰარუნ, **ონ დოქუზ** (ცხრამეტი), გურჯულად არ ვიცი (იჯადიე); **ელლი დოქუზ** (ორმოცდაცხრამეტი) წლის, ვერ ვიტყვი [ქართულად] (ესკიფერადიე)...

წარმოთქმისას რიცხვითი სახელის დაწერილობას, გრაფიკულ გამოსახულებას გაიაზრებენ და ისე აგებინებენ თანამოსაუბრეს:

კირქ ბირ წლის - **ოთხი** და **ერთი** (41) წლის (იჯადიე); მელიქოღლი ზედობნიდან, **აეთმიშ ბეშ** - შვიდი და ხუთი (75) წლის (ხება); **ვრა** და **ოთხი** (84) წლის (სირეთიე); **კირქ ალთი** - **ოთხი** და **ექვსი** (46) (ჰამიდიე); **აეთმიშ იქი** - **შვიდი** და **ორი** (იბრიქი)...

გვხვდება სხვაგვარი „გაანგარიშებაც“:

ონ ბირ თანე - ათი და **ერთი** (თერთმეტი) (ხება); **ელლი სექიზ** წლის - **ორმოცი** და **ერთიც ათი** და **კიდო ვრა** (58, დევსქელი); **ერთი ოცი** - ირმი, ორი ოცი - **კირქ** (ბალაბანსირთი); **ონ ალთი** წლის - ათი და **ექსი** წლის (მამურეი)...

ოცობითი „ანგარიში“ გავრცელებულია ჭოროხის ქვეყნებში, განსაკუთრებით ტაოურში, უფრო ნაკლებად კლარჯულში. ბუნებრივია, გაჩნდეს კითხვა, ხომ არ არის იგი ოდინდელი ოცობითი თვლის გადმონაშთი? (ოცობითი თვლის შესახებ ქართულში იხ. თოფურია, 1979:132-136).

იშვიათად დასტურდება მეერთე (=პირველი):

მეერთე არა, მევრე - არა, მესამე'და გამეარო (ისკები)...

მერმე მეორეს უნდა ნიშნავდეს წინადადებაში:

მერმე გოგო გიოლჯუქს ზის (მურკვეთი).

შდრ.:

იყო მუნ მარიამ მაგდანელელი და **მერმე** მარიამი (მ.27,61C); მოვიდა მარიამ მაგდანელელი და **მერმე** მარიამი ხილვად საფლავისა მის (მ.28.1)...

მერმე მეორეს მნიშვნელობით საინტერესო შეხვედრის ნიმუშია კლარჯულისა სამწერლობო ქართულთან.

1.3. ნაცვალსახელი

არსებით სახელთა მსგავსად ნაცვალსახელებსაც, რომელთა ფუძე ხმოვანზე ბოლოვდება, მოთხრობითში მოუდით –**მა** სუფიქსი:

ყველამა ერთმანებს ეხმარებოდენ (ძალოვა); **ყველამა** ფისთოლეტებით ისროდენ (ჰამიდიე); **ვინცხამა** ახლა ქონებას ჰამს (ხება); **ვინმემა** არ მიცეს (აივაზფინარი); გურჯული **რამემა** ვერ დააწავლის (ხება); **სხვამა** სხვა იჯებოდა (ხება)...

მესამე პირის ნაცვალსახელი მხოლობითში გავრცელებულია **ისი** ფორმით:

ჩემი მაზლია **ისი** (იბრიქი); იმას ყიდავს **ისი** (ისკები); მე მივალ, **ისი** მომყვება (ისკები); შენი რაა **ისი**? (ბუჯური); **ისი** ჩემი დაა (საფულარი)...

ისი განსაკუთრებით ხშირად იხმარება კირნათისა და მარადიდის მეტყველებაში:

დეფჯერე **ისი** (მარადიდი); რავა საათსავეფ მუშაობს **ისი** (კირნათი); მეც მომკლის **ისი** (კირნათი)...

გვხვდება ჩვენებითი ნაცვალსახელი **ესე** ფორმით:

რანშე **ესე** თავრობის ადგილი იყო (მურღული); რადთ ჰრი, გო, **ესე**? (კირნათი); ჰიდავრი გოდორია **ესე**? (კირნათი)...

დასახელებულ ნაცვალსახელებს ბოლოკიდური ხმოვნები აღარ გადაჰყვებათ მრავლობითში. მრავლობითი იწარმოება ორივე ნიშნით - **ნ** და **ებ** სუფიქსებით:

ისნები ბათუმ მივლიან (ჰამიდიე); **ისნები** რომ ლაჰადკობდა (მარადიდი); **ესნები** და ჩვენ ჰელიძეები ვართ (კოზლულქო)...

-**ნ** სუფიქსიან მრავლობითში გვხვდება დისიმილირებული ფორმა **ისენი**:

ისენი გადმოვდენ აქ (ქლასკური).

იმვითად მხოლობითშიც -**ც** ნაწილაკიან ფორმაში არის **ე** ბოლოსართი:

ისეც ხართველია (ჰამიდიე)...

მეორე პირის ნაცვალსახელი მხოლობითსა და მრავლობითში ბოლოვდება **ე** ხმოვანზე:

არ გეტყვი **შენეო** (კირნათი); **თქვენე** არ გასვავთო (მარადიდი)...

მრავლობითი რიცხვის -**ებ** სუფიქსი დაერთვის **ის**, **ეს**, **ეგ** ნაცვალსახელთა მოთხრობითის ფორმას და გვაქვს: **იმნები**, **ამნები**, **მაგნები**... კონტექსტის მიხედვით სხვადასხვა ბრუნვაში:

ჩვენ ხაჰ ვეტყვით, **იმნებმა** - აყრო (გიოლჯუქი); **ამნებმა** არ იციან (აივაზფინარი); **იმნების** ერთხელა წამოსული ვართ (მარადიდი); ჩემი მაზლის გოგო **იმნების** გელინია (ჰამიდიე); ჩემი გოგო **იმნების**, ომეროღლების გელინია (ჰამიდიე); **ამნების** გვარი ბენდეროღლი

ეტყვიან (ლუთბიე); **ამნების** დიდი დედეები ლაზები ყოფილან (იჯადიე); დაწერე **მაგნების** ამბავი (კირნათი)...

-**ებ** დაერთვის **თ** ანაიანი მრავლობითის ფორმასაც:

მათებ რაცხა სახელები ქონებიან, აქ დუურქმევიან (ქლასკური)...

კითხვითი **ვინ** ნაცვალსახელი მრავლობითის ფორმითაც იხმარება:

ვინები არიან აქ ნეტად (კირნათი); ძირად ვაშლი **ვინებს** მიაქვან? (მარადიდი); **ვინები** მოგდევენ? (მარადიდი)...

რა ნათესაობითში შეკვეცილი და შეუკვეციელი ფორმით გვხვდება:

რისა მუღელიმი ხარ? (დევსქელი); **რისთვინ** წერავთ? (მამურიე);

ე **რა**ს თესლია? (კირნათი)...

რა სახელობითში ბრუნვის ნიშანს - **ი** (<ი) დაირთავს:

იქა მარილი დათესეს, არ ამოსულა, აჯაბა **რა**მ ჭამსო? (ბაშქოძე).

რა სემანტიკურად დატვირთული ნაცვალსახელია როგორც საერთოდ ქართულ ენაში, ისე მის დიალექტებში:

იყოს, **რა** გვეჩქარება (ხება); **რა** (=რატომ) გეჩქარებიან (ბუჯური);

რას (=რატომ) ეჭენები? (დევსქელი)...

რა ნაცვალსახელს ეწარმოება **ებ** იანი მრავლობითი:

აწმამდი **რაები** არ იძახდა (კირნათი)...

განსაზღვრებით **ყველა** ნაცვალსახელს აქვს **თელი** ნაცვალსახელის მნიშვნელობა და პირიქითაც: **თელი** მნიშვნელობით იგივეა, რაც **ყველა**:

დუუკრენ **თელმა** (ხება); **თელი** მექთები შორაა (ისკები); ინგლიზა **თელმა** იციან (თხილაზორი); მიდიან **თელი** (იბრიქი); **თელი** აქ ვართ (დევსქელი); **თელი** აქ ვზივართ (ნიმეთიე); ენ წინ **თელი** გურჯი იყვენ (ნუსრეთიე)...

ყველა სოფელმა გააგდებდა (ჰამიდიე)...

პარალელურად იხმარება **ზოგი**, **ზოგიერთები**, **ზოგვანები**, **ზოგები**:

ზოგმა ჯმუხი ეტყოდენ, **ზოგმა** - წოწოქა (ქლასკური); **ზოგი** იქ დამჩალა, **ზოგი** - აქა (ისკები)...

ზოგების საქმე კადა (ბუჯური)...

ზოგიერთებმა იჯებიან (ჯივანი)...

ზოგვანებმაც იტყოდენ, ჯაზი ვარო (ქლასკური)...

პარალელურია განუსაზღვრელობითი **რამე** და **რამ** უფრო ნეგატიური შინაარსის წინადადებაში:

ჰიჩ **რამე** არ მიმღერია (თხილაზორი); **რამე** ვერ აკეთეფს ხომ (ისკები); **რამე** არ მუუტანიან (ჰამიდიე); აქ თხილის იქეთ **რამ** არ არის (გევრი); მა[ს] **რამ** არ ეცოდინება (იბრიქი); ღმერთმა **რამ** აჯი არ მოგცეს (ჯივანი); თავში **რამ** არ დამჩა (ბაგინი); ჰეჩ **რამ** არ დარჩა (დევსქელი);

წვიმას **რამ** ვერ ვუყავით (ქლასკური); სხვა **რამ** არაა იშტე (ქლასკური); გურჯიჯე **რამ** არ ვიცი (შირინსულიე); **რამ** ვერ ვთქვი მასთან (თეშვიქიე)...

რამე იკვეცება:

რამიდან დერდი გაქვან? (ჯივანი)...

განუსაზღვრელ ნაცვალსახელს - **ვინმე** მრავლობითის გაგება აქვს:

ვინმე ჭად არ ჭამენ-მეთქი (მურღული).

ურთიერთობითი ნაცვალსახელია **ერთერთმანეთი**:

სამეიხან **ერთერთმანეთს** სიმღერა ეტყოდენ (საფულარი)...

შავშურის მსგავსად კლარჯულშიც დასტურდება შემთხვევები, როცა უკუქცევითი ნაცვალსახელი **თავი** პირის ნაცვალსახელის ბადალია და უკავშირდება ზმნას. მას მსაზღვრელად ახლავს კუთვნილებითი ნაცვალსახელი - **ჩემი, შენი, მისი, თქვენი**, იმის მიხედვით, რომელი პირის ნაცვალსახელია ნაგულისხმევი წინადადებაში:

დუუქორწილებიან **ჩემი თავი** (დალოვა); **ჩემი თავი** ამ სოფლიერს ბოვრი უყვარს (თეშვიქიე); **ჩემი თავი** ღარჭები იქ წიმიყვანენ (ერენქო); **ჩემ თავ** იმკენ მიყავს (ქლასკური)...

იმა **ჩვენი თავი** არ უყვარს (მაამუდიე)...

იმად დუუნახიან **თქვენი თავი** (ჯივანი); **თქვენი თავი** მცოდნებოდა, კად იყო (ერენქო); მოსურდებოდა **თქვენი თავი** (ქართლა)...

ის იძახს **მისი თავი** (ნუსრეთიე)...

ჩემი თავი იგივეა, რაც **მე; თქვენი თავი - თქვენ**.

ნაცვალსახელი **თავეთ, თავად** გამოიყენება **თვითონ** ნაცვალსახელის მნიშვნელობით:

მე წაველ **თავეთ ჩემითო**, თუ იტყვის გოგო... (ისკები)...

ნაცვალსახელის ფორმათა ასეთი მრავალფეროვნება კლარჯულს გამოარჩევს სხვა სამხრულ კილოთაგან.

§2. ზმნა

2.1. პირისა და რიცხვის ნიშნები

ქართულ ენათმეცნიერებაში ერთ-ერთ საყურადღებო პრობლემად ითვლება დიალექტებში **-ან, -ენ** სუფიქსთა ფუნქციის საკითხი.

კლარჯულში გაფართოებულია –ან, –ენ სუფიქსთა ხმარების არე. ეს ნიშნები იმდენად სხვადასხვა პირის კომბინაციებში იხმარება რიცხვის განურჩევლად, რომ შეუძლებელია რაიმე კანონზომიერების დადგენა.

–ან, –ენ სუფიქსების ფუნქცია უნდა განვსაზღვროთ კონტექსტის მიხედვით: ისინი შეიძლება აღნიშნავდნენ როგორც სუბიექტს, ისე ობიექტს, როგორც ინვერსიულ, ისე არაინვერსიულ ზმნებში, როგორც მხოლობითში, ისე მრავლობითში. აღნიშნულია, ქართული ენის დიალექტთაგან გლოლური „ერთადერთი კილოკავია, სადაც მხოლობითი რიცხვის III სუბიექტური პირის ნიშნად –ნ გვაქვს” (ჯორბენაძე, 1989:423). ერთმანეთს ემთხვევა მხოლობითისა და მრავლობითის ფორმები. ბ. ჯორბენაძე რაჭულის მიმოხილვისას ანალოგიური მოვლენის შესახებ აღნიშნავს, რომ „დიალექტში შესაძლოა მოხდეს ფორმანტა ფუნქციური გადააზრება” (ჯორბენაძე, 1989:428). –ან,–ენ სუფიქსთა ფუნქციებს კლარჯულში განიხილავს ნ. ცეცხლაძე (იხ. ცეცხლაძე, 2014:24-33; შდრ. ფალავა, ცეცხლაძე, 2017: 233-240). პირის ნიშნებსა და პირთა კომბინაციებს კლარჯულში განიხილავს ნ. ფარტენაძეც (იხ. ფარტენაძე, 2014:40-44; მარადიდი, 2020:569-572). ვფიქრობთ, საკითხი კვლავაც საკვლევი, ზოგიერთი დასკვნა - დასაზუსტებელი.

ქვემოთ წარმოვადგენთ დასახელებულ აფიქსთა გამოყენების შემთხვევებს პირთა კომბინაციების მიხედვით სხვადასხვა ზმნასთან. განსაკუთრებით ჭრელია –ან, –ენ სუფიქსთა ხმარების შემთხვევები **მაქვს** და **მყავს** ზმნებთან.

2.1.1. –ან:

მე, ის:

მე იქაც **მაქვან** სახლი, ზამთარში იქ წავალ (ბუჯური); სახლი **მაქვან** ბორჩხას (ავანა); მე იქაც **მაქვან** სახლი (ბუჯური); არ **მაქვან** ფასაფორთი (ბუჯური); ბაბოჲ არ **მყავან** (დევესქელი); ერთი გოგო **მყავან** (ისკები); ტრაქტორი **მყავან** (ისკები)...

ჩვენ, ის:

ახალ წელზე ის ადეთი **მაქვან** (ჯივანი); შავი თუთა არ **მაქვან** ჩვენ (იბრიქი); ფასაფორთი არ **მაქვან** ჩვენ (სირეთი)...

ჩვენ მარადიდელი რძალი **მყავან** (ჯივანი); აქიდან ძალი **მყავან** ჩვენ (მარადიდი); მაჭახლეელი ხოჯა **მყავან** (ჯივანი)...

თქვენ, ის:

დაწერიდან რა ქარი (=სარგებელი) **გაქვან** (თხილაზორი); ღვინო არ **გაქვან?** (მურღული); რამიდან დერდი **გაქვან?** (ჯივანი)...

მათ, ის:

რა საქმე აქვან, დაჟდებიან (ჯივანი); ჩაი აქვან (ჯივანი)...

ამათ, ისინი:

ამათ პროხები ყავან (ბაგინი): თხილები მაქვან (ბუჯური)...

მე, ისინი:

ემიაშვილები მყავან (ჯივანი); შვილები მყავან (ბუჯური)...

ჩვენ, ისინი:

ღორები ბევრი მყავან (ადაგული); ახლა წყლები მაქვან (ჯივანი);
ბათუმიდან შილები მყავან ჩვენ (იბრიქლი)...

თქვენ, ისინი:

ქალაქში სახლები გაქვან თქვენ? (დევსქელი).

ზმნასთან შეწყობილი სახელი მხოლოდითის ფორმითაა, მაგრამ მასში
იგულისხმება მრავალი, მოსაუბრეც ასე აღიქვამს მას:

შორიდან მომსლელი ყავან (დევსქელი); ბევრი საქონელი ყავან
(ჯივანი); სამივეს მანქანა ყავან (დევსქელი); ორი დაამაქვან (ისკები); მე
არ მყავან ქათამი (გურბინი)...

იშვიათად ერთსა და იმავე წინადადებაში ზმნების განსხვავებული
ფორმებია წარმოდგენილი:

მე სიძე მყავან... ზორ კად სიძე მყავს (ერენქოძე)...

სიცხადისათვის დავიმოწმებთ დასახელებულ ზმნათა ზმნისწინიან
ფორმებს:

მე, ისინი:

რავად გათოვდება, [შვილები] მიმყავან ჩარში (ადაგული)...

მათ, ისინი:

ეძარევით, შოთები გაყავან (გურბინი)...

მინდა, უნდა ზმნათა ანალოგიით მაქვს ზმნაში გვაქვს ორმაგი ან (ანან):

მე, ის:

კაფე მაქვანან, მე იქ ვსაქმობ (ერენქოძე); ვენახი დრამი მაქვანან
(ნურუოსმანიე); მიწა ბევრი მაქვანან (ჯივანი)...

ჩვენ, ის:

ლამაზი სოფელი მაქვანან (ბუჯური); ჩვენ ახლა სამარგელი
მაქვანან (ქართლა)...

ჩვენ, ისინი:

მაქვან ყანა, ყანები ბევრი მაქვანან (ნურუოსმანიე)...

თქვენ, ის; ჩვენ, ის:

თქვენ ფული გაქვანან, ჩვენ ფული არ მაქვანან (ბუჯური)...

ობიექტური წყობის, სხვა ინვერსიულ ზმნებთან –ან გვხვდება პირთა
სხვადასხვა კომბინაციაში:

მე, ის:

მეტი არ **მახსოვან** (ქლასკური); ძროხა მყავს ერთი, ისიც **მეყოფიან** (ჯივანი)...

მე, ისინი:

მეტი **მიყვარან** გოდა, არ მშორდებიან (კირნათი); რძლები **მიყვარან** (ბაშქოძე)...

ჩვენ, ის:

წყალი **მეყოფიან**, ჩვენი ყანები რწყავს (გიოლჯიქი); ჩვენი ყურიდან გაგონილი **მახსოვან** (ჰამიდიე)...

მას, ის:

ჩვენი ცოდვა ეყოფიან ჰურიესო (კირნათი)...

ამათ, ის:

ამათ **უყვარან** (დევესქელი); ჩვენი ლაპარაკი არ **მოწონან**, ვერ აგნებენ (იჯადიე)...

ამათ, ისინი:

მახსოვს მე ისინი, ამნებს არ **ახსოვან** (მაჰმუდიე)...

-ან გვხვდება ვნებითის ფორმებში –თ სუფიქსის ნაცვლად:

ისე **შეგეშლებიან** (დევესქელი); რა **გეჩქარებიან** (ბუჯური); სველში არ **გემეველებიან** (მარადიდი)...

მსგავსი ფორმები გვხვდება აჭარულშიც, განსაკუთრებით დამახასიათებელია ის ბათუმის შემოგარენის მკვიდრთა მეტყველებისათვის.

კლარჯულში ხშირია მხოლოდ –ა (<-ან) სუფიქსიანი წარმოება: მაქვა, გაქვა, აქვა.

მე, ის:

შენზე არ **მაქვა** თვალი (ქლასკური); ბელელი მეც **მაქვა** (თეშვიქი); თოხიც **მაქვა** (ბუჯური); ზაფრანა არ **მაქვა** (იბრიქი); კაკალი ერთი ძირი **მაქვა** (იბრიქი); ცოტა ჭკვა არ **მაქვა** (ჯივანი); მე ყანა **მაქვა** (ჰამიდიე); კალო **მაქვა**, კეხი **მაქვა** (მარმარწმინდა); ამდენი დრო არ **მაქვა** (ჰამიდიე); ფარა **მაქვა**, ვჭამ (იბრიქი); ახლა არ **მაქვა** ჭარხალა, წყალი არ **მაქვა** (იბრიქი)...

ჩვენ, ის:

გარგნები **გვაქვა** (გურბინი)...

შენ, ის:

ხარი არ **გაქვა**, ოჯახი არ ხარ (სირეთიე)...

ერთსა და იმავე წინადადებაში გვხვდება **მაქვან**, **მაქვა**:

მე ხებერი არ **მაქვან**... მე რამ არ ვიცი, ხებერი არ **მაქვა** (ბუჯური).

გვხვდება ამ ზმნის უსუფიქსო ფორმებიც: სუფიქსთან ერთად იკარგება ფუძისეული ვ თანხმოვანიც:

შექერი **მაქ** (ქლასკური); თურქჩა ნათქმები **მაქ** (ქართლა); ფიქრი არ **მაქ** (ჯივანი); მეც დერდი **მაქ** (ადაგული); ახლა არ **აქ** (ისკები)...

სამხრული მეტყველებისათვის I თურმეობითის მწკრივში მრავლობითის ფორმებში თ'ს ნაცვლად სხვადასხვა ჯგუფის ზმნაში ჩვეულებრივია –ან:

ის დერი **უნახიან** აქა, გედესულან და იქ **უთქმიან** (ნუსრეთიე); **ამუღლიან** ალთუნი (იბრიქი); ჭადი ნენეებს **უცხიან** კეცზე (დევსქელი); მეზერში **წუყყვანიან**, მერე **მუყყვანიან** სახში (ერენქომ); ქილისაში **ყოლიან** (ერენქომ); ადგილი **უყიდიან** (ავანა); არიგებენ და ვერ **ულაპარაკნიან** (ავანა); კოღვებ **უკბენიან** (გურბინი)...

ერთსა და იმავე წინადადებაში გვხვდება განსხვავებული ფორმები:

მეტი ბევრი **უტირიან**, მეზერში **წუყყვანიან**, მაშინ **უტირიათ** (ერენქომ)...

გაორებული –ან (ანან) დასტურდება **მინდა**, **გინდა**, **უნდა** ზმნაში:

ბათუმ წასლა **მინდანან** (კირნათი); ფარა **მინდანან**, ფარა (ადაგული); წყალი ვის **გინდანან** (კირნათი); ახლა დანახვა არ **უნდანან** (მამაურიე)...

შდრ.:

ზემოაჭარული: ძალი, ყველი **გინდანან**?

შავშური: სამა **გინდანან**? (ნ. მარი).

ორივე ფორმა ერთ ფრაზაშიც გვხვდება:

მინდანან ძველი მუსიკები, ახალი არ **მინდა** (ნუსრეთიე)...

2.1.2. -ენ:

-ენ მოუდით ზემოგანხილულ ზმნებს დ'სავრცობიან ფორმებში. აქაც სუბიექტისა და ობიექტის რიცხვს მნიშვნელობა არა აქვს:

მე, ის:

აქ უსუფდედედ **მყავდენ** (მამაურიე); ერთი ქალი **მყავდენ** (დევსქელი); ბაბომ ხედრსუზი **მყავდენ** (ჯივანი); აკვანზე ბადე **მქონდენ** დაბმული (ქლასკური); მე აქ ქორწილი **მქონდენ** (ბუჯური); ფემტემალი **მქონდენ** (სირეთიე); მე ხებერი არ **მქონდენ** (იალოვა)...

მე, ისინი:

დემირჩები სოფელში **მყავდენ** (ქლასკური); ნალიები **მქონდენ** (რიშადიე); კად ვაკეები **მქონდენ** (ხება); წინ **მყავდენ** პროხები

(ისტამბულდერე); ჭუჭულები **მყავდენ** (იბრიქი); ქორწილი **მქონდენ**, სტუმრები **მყავდენ** (ერენქომ)...

ჩვენ, ის:

წუხელი ქორწილი **მქონდენ** (ერენქომ)...

სახელის მხოლობითის ფორმაში იგულისხმება **მრავალი**:

ფუტკარი ჩვენ ბევრი **მყავდენ**, დაივსენ თელი (ისკები)...

ჩვენ, ისინი:

ყანიები **გვქონდენ** (ერენქომ); ადგილები შორ **გვქონდენ** (ზ.მარადიდი)...

მათ, ის:

ჩვენი კაცები არ დაჟდებოდენ: მაუზერი მიდებული **ქონდენ** გვერდზე (ქლასკური); ელქენჯებს არ **ყავდენ** ნავი (მარადიდი)...

-ენ გვხვდება სხვა ზმნებთანაც:

მე, ის:

მე **გემიხარდენ**, ასე-ასე მოვდონო (ლუთბიე); [ძალი] ისე **მიყვარდენ** (ქლასკური); მაშინ **მეყოფოდენ** (ჰამიდიე); აქ ლაპარაკი არაა, **დამამიწყდენ** (ჰამიდიე)...

ზემოგანხილული ზმნური ფორმების გვერდით გვხვდება „ნათელი“, გარკვეული ფორმებიც:

ორი გოგო **მყავს**, ერთი - სიმე (იბრიქი); ორი ბადიში **მყავს** (ბორჩხა)...

მთავარი საკითხი, რომელიც დაკავშირებულია **-ენ** სუფიქსთან, არის ზმნის ფორმებში რიცხვის განურჩევლობა - ეს ნიშნები ზმნაში მაშინაც არის, როცა მასთან შეწყობილი სუბიექტი (ერთპირიან ფორმაში) ან სუბიექტიცა და ობიექტიც მხოლობითია:

გიმითხელდენ თავი (ქლასკური); მე ბაღნობა არ **დიმინახიან**, ნენეა **დავხარჯენ** (ჯივანი); თხილი **მომივდენ** (ჯივანი); ნენეა მეც **მომიკდენ** (ჯივანი); ნენეა **მომიკდენ**, ბაბომ **დიმიქორწილდენ** (ჯივანი); ცხრა წლის ვიყავ, ნენეა **მომიკდენ** (ჯივანი); ანალული **მომიკდენ** (ჯივანი)...

როგორც დამოწმებული მასალიდან ჩანს, ობიექტურ უღვლილებაში პირველი პირის ფორმებში **გვ**- პრეფიქს ენაცვლება **მ**-:

გურჯული ჩვენ რატონ არ **დამაწავლითო** (ბუჯური); ჩვენ თუ არ **მჯობან**, შეხე ერთი (კირნათი); გვევლით, გამუელით და **დიმილამდენ** (მარადიდი)...

-ან, -ენ სუფიქსთა გამოყენების მრავალფეროვანი მასალა მოვიყვანეთ, მოვახდინეთ მისი გარკვეული კლასიფიკაცია. ერთგან ვმსჯელობთ ინვერსიულ ზმნებზე კლარჯულში და ვწერთ:

„1. მრავლობითობის ფორმანტის სემანტიკური გადააზრება საერთო-ქართველური მოვლენაა, რომელიც აქ (კლარჯულში - ავტ.) მეტადაა თვალში საცემი;

2. არქაიზმებია: ა) **აქუს** ზმნის ვარიანტები, რომელთაგან **მაქვანან** ტიპის ფორმები უძველესი ჩანს, **მაქვან** და **მაქვა** მერმინდელია; ბ) ზმნები, რომლებშიც **ან/ენ** სუფიქსები ინკლუზივ-ექსკლუზივის ფორმაზეა დართული: გურჯი **მიძახიან**; ჩვენ მარადიდელი **რძალი მყავან**; რატომ **მეკარქვიან დანა**? გ) ზმნები, რომლებშიც პირდაპირი ობიექტის მრავლობითობა აჩენს ნიშანს: ემიაშვილები **მყავან**;

3. კლარჯულის თავისებურება ვერ იხსნება ძველ ქართულთან მიმართებით: **მიყვარან** ტიპის ფორმათა ანალოგიით კლარჯულში აღარ ეწევა ანგარიში სახელის რიცხვს: ამსოდ **საქმე გიმიკეთენ** (გამიკეთა) **შეითანმა, მე ხოჯა მყავან, მაჭახლელი არიან...**ეს ტენდენცია სხვა ზმნებთანაც იჩენს თავს. **გემეველებიან** (მე) ფორმაც მრავლობითის ანალოგიით უნდა იყოს გაჩენილი.

ზოგი მაგალითი: **ვინ მათამაშებდენ, ფეხებზე შემცივდენ** და ა.შ. აზრობრივი შეთანხმების ნიმუშია“ (იხ. ფაღავა, ცეცხლაძე, 2017:240). მომავალმა კვლევამ იქნებ სხვა დასკვნამდე მიგვიყვანოს.

2.2. მომავალი დროის გადმოცემა

მომავალი დრო კლარჯულში ჩვეულებრივ გადმოიცემა ზმნისწინიანი აწმყოთი:

მემრე ძალი **გაადნოფ**, იმა **დაასხავ**, მემრე სუფრას **დადეფ**, ღერლილ **დააყრი** (ბაგინი); დემეწვება **საჭმელი** და **რძალმა წემეკინდლება** (ბალაბანსირთი)...

მომავალი დრო გადმოიცემა კავშირებითის ფორმებითაც:

ჩაი **გასვა**, ყაჰვე, ნესკაფე (იბრიქი); პატინა ჟავე, ისინი **მოგიტანო** და ჭამე (იბრიქი); ვაშლი არი, სხალი არი, **მოგიტანო** (თხილაზორი); ათი-თხუთმეტი წლის უკან გურჯი არ **დარჩეს** (ჯივანი); მე **გითხრა** და **დაწერე** (გურბინი); მერე პური **მოგიტანო**, გაყირმიზებული (ერენქოძე); ამან არ **გაცივდეს**, ჩაი **ჩეგისხა** (ისკები); ვუთხარ, ერთი ბაღანა **გამოგიზავნო** (დევესქელი); თვეში რამდენი მუა? მე **გითხრა** შენ... (მურღული); ჩემი ქალი **გახდეს**, ქალს არ ვასამებ (ისკები); მე ახლა ნუფუსის **გითხრა** შენ (ჰამიდიე); ახლა რაცხა **გითხრა** (ნურუსოშანიე); ჰელე ყველაძე თუ **გევხსენო** (ხეზა); ხელი **წაგავლო**, არ **წაცურდე** (ლუთბიე); **ვიცოდე**, გეტყოდი (თხილაზორი)...

შდრ.:

რომ ვიცოდე, გეტყვი (ჰამიდიე); ახლა მე ერთი რამ მეგვიყვე (ხება); ერთი რაცხა ჰეჟეიე გაგაგნებო (ჰამიდიე)...

ვიქმ ზმნას მყოფადში იშვიათად ენაცვლება **ზამ** ფუძე:

მე ვერ ვიქავ (ნურუოსმანიე); მეც ვერ ვიქავ (მარადიდი); ზათი ვერ ვიქავთ (მარადიდი); ჩვენ არ ვიქავთ, ემიაშვილი მიცემა არ ვიქმთ (ირშადიე); მოზვერმა არ იქნავს (ჰამიდიე); გლახა მოზვერმა რამ არ იქნავსო (ჰამიდიე)...

პაწამა რაცხა დედნახა შენიდან, იმა იზამს; დიდიდან რაცხა დედნახავს, პაწამა იმას იზავს (მაამურიე); ფულიზა რას იზმენ (დევესქელი)...

2.3. ზმნისწინი

შავშურისაგან განსხვავებით, კლარჯულში ზმნისწინი არ ხასიათდება ბევრი თავისებურებით.

გა- ზმნისწინი შე'ს ნაცვლად იხმარება:

სხვა ვერ მოვდენ ჰირ, გაწუხებულან (ნურუოსმანიე); არ გამაწუხო (ნუსრეთიე); მე არ გავწუხდები (გურბინი)...

შესაბამისი მიმდებარე **გა** ზმნისწინიანია:

გაწუხებულია ეს თვე (მარადიდი)...

გა იხმარება და'ს ნაცვლად:

მკალი მოსულა, გააჟდა კაცსა შუბლზე, დააჟდა (ბაშქოე); ცეცხლ გაანთებდა (ჰამიდიე); ცეცხლ გაანთავს (ხება); გასანთობელი დერი დუუტევიან (მაამურიე)...

გაანთე დაანთეს ნაცვლად გვხვდება ქვემოაჭარულშიც:

სალამოა, ცეცხლი გაანთე, აცივდა (ორთაბათუმი).

გვხვდება საპირისპირო მოვლენაც: **და-** გა'ს ნაცვლად:

ნიორიც'ნა ჩავყარო, დამახსენდა (მამუდიე)...

აჭარულში **დახსენება** ვინმეს, „როგორც უნამუსობის ჩამდენის“ ცუდად მოხსენიებას ნიშნავს (შდრ. ნიჟარაძე, 1971:177).

გა- ზმნისწინის უჩვეულო მნიშვნელობა ჩანს ზმნაში **გამკითხე**, რომლის მნიშვნელობაა „შემეკითხე“, „მკითხე“:

რამე დასწავლა თუ გინდა, გამკითხე (რიშადიე); შენ თუ გამკითხე, ეს ვინ არიო, დედამთილი, - გეტყვიო (ნუსრეთიე); საცხა'და გაჰკითხო (ქლასკური)...

წინადადებაში „თქვენი თავი გვეკითხოთ“ (ნუსრეთიე) **გა-** მო'ს მნიშვნელობითაა.

მი- ზმნისწინის ნაცვლად ნახმარია **და-**:

დამაჩვია კაცმა (იბრიქი); აქ **დაჩვევლი** არიან (ბუჯური); **დაჩვევლი** არ ვარ (ნუსრეთიე)...

ანალოგიური ფორმები გვხვდება აჭარულშიც:

დაჩვევლია სახში ჯდომას... (ორთაბათუმი)...

კლარჯულში დასტურდება ზმნისწინი **გადა შე**'ს ნაცვლად:

ათი კაცით, ქალით **გადარეველი** წეხვალ (ხება)...

გვხვდება ფორმა, რომელშიც მოსალოდნელი ზმნისწინი არ ჩანს:

ახლა ჩვენი თავი არ **წონან**, არა! (ჰამიდიე)...

არის შემთხვევები, სადაც **მი-** ზმნისწინი მეორე პირისაკენ მიმართულ მოქმედებას აღნიშნავს:

გათხოვნა სხვაზე აკძალულია, თქვენ **მიგცეს** უფლება (მურღული)...

აღვნიშნავთ, რომ **მიგცეს** ტიპის ფორმები იშვიათია.

და- ზმნისწინი მოქმედების ინტენსივობას გამოხატავს, აღნიშნავს მოქმედებას, რომელიც ცალ-ცალკე ხდება:

ტყეში შეძრენ, გამოკაფენ, **დაკდენ** (ადაგული); ბუზებიდან **დამკდარან** ჩვენი ძველები (სირეთიე); გოგობიც **დავათხვე** (ადაგული);... კამ რაცხებ **დავაკუთებდი** (ისკები); ფუტკარი ჩვენ ბევრი მყავდენ, ახლა **დავხილეთ** (ისკები); დიდვანები **დაკდენ** (მარადიდი); ქილიმსავენ **დაქსოვდენ** (ნუსრეთიე); ლობიას ლამაზათ **დავტეხავთ** (ჯივანი)...

დასახელებულ მაგალითებში გვაქვს ე.წ. „თითობის და“.

ასევე გვხვდება:

ა. **მი- მო-**ს ნაცვლად:

ჩვენ მაგ ქითბებსა ვერ **მივესწართ** (კირქხარმანი)...

ბ. **მო- შე-** ზმნისწინის ნაცვლად:

წყალი **მოგვიწყვიტეს** (კირქხარმანი)...

შდრ.: აჭარული: წყალი **მოწყდა**...

გ. **მო- და-**ს ნაცვლად:

ყური **მომიგდე** (ჯივანი); ქალებმა ყურ არ **მომიგდებენ** (იქბაალიე)...

ზმნისწინთა მონაცვლეობის ზოგიერთი შემთხვევა სპორადულია, არაა ინტენსიური, თუმცა მაინც დასტურდება კლარჯულში.

ზმნისწინთა სისტემა კლარჯულში არამყარია, შესაბამისად, არამყარია მათი ფუნქციები.

2.4. თემის ნიშანთა მონაცვლეობა

თემის ნიშნებს სალიტერატურო ქართულში თავიანთი „მეტ-ნაკლებად მკვეთრად შემოხაზული გამოყენების არე აქვთ. იხმარებიან მხოლოდ გარკვეული ტიპის ზმნებთან გარდამავლობის, სტატიკურობისა და ფუძის აგებულების მიხედვით“ (ნათამე, 1959:129).

„თემის ნიშანთა სისტემა ყველაზე არამყარი, ცვლადი სისტემაა. თუ თანამედროვე ქართული ენის დიალექტებს ამ მხრივ გადავხედავთ, სურათი კიდევ უფრო შთამბეჭდავი იქნება“ (გოგოლაშვილი, 2011:667). ეს მოსაზრება სამხრულ კილოთაგან განსაკუთრებულ ვრცელდება კლარჯულზე.

თემის ნიშანთა გამოყენებისა და გავრცელებულობის მხრივ კლარჯულში ჭირს რაიმე კანონზომიერების დადგენა. სურათი მეტად ჭრელია. შეიძლება ვთქვათ, რომ პარალელურ ფორმათა უმეტესობა სწორედ თემის ნიშნებთან არის დაკავშირებული (იხ. ფაღვა, 2014:3-8; ბარამიძე, 2015:60-67; შდრ. ფაღვა, ცეცხლაძე, 2017:243-253; მარადიდი, 2020: 577-579;).

ა. ერთი და იგივე ზმნა სხვადასხვა თემის ნიშანს დაირთავს სხვადასხვა ან ერთსა და იმავე კონტექსტში. ბევრია ერთსა და იმავე ფუძის ზმნაზე ორი სხვადასხვა თემის ნიშნის დართვის შემთხვევა.

ვაკეთებ - ვაკეთავ:

აკეთებ ფუძის ზმნა კლარჯულის აქტიური ლექსიკის ერთ-ერთი ფრიად გავრცელებული ზმნაა. ჭარბობს –ავ ნიშნიანები. ჩვენი მასალის მიხედვით შეფარდება ასეთია: 60 ფორმიდან 35 –ავ სუფიქსიანია, 25 –ებ’იანი.

ძელის სახლებ **გავაკეთებდით** (ჰაჯიოსმანი); გენიშმა **აკეთებენ** (იბრაქი); რებ **აკეთებენ**, კაცი **აკეთებს**, ბარჯებ **აკეთებენ** (მურღული); ერთ ძერზე **გაკეთებენ** ქორწილს (ისკები); კად რაცხებ **დავაკეთებდი** (ისკები); მიწიდან **აკეთებენ** კეცებ (თეშვიქი)...

ლეღვიდან **ვაკეთავთ** ლეჩერი (ადაგული); სამ დღეს მემრენ **გავაკეთავთ** საჭმელი (ისკები); ჩაი **გავაკეთავ**, სვით (გურბინი); ხავიწი ასე **გავაკეთავთ** (დევსქელი); ანწლიდან ცოტა რამეს არ **ვაკეთავთ** (იბრაქი); კაკლითაც **ვაკეთავთ** (დევსქელი); ხმიადი პურის ფქვილიდან **გაკეთავენ** (მამურიე); ყოველდღე ფხალი **აკეთავ** (ჰამიდიე); ვის **უკეთავ**, ვებნევი (მურღული); მასლული **ვაკეთავთ** (იბრაქი)...

ერთსა და იმავე წინადადებაში ეს ზმნა ორი ფორმით –ებ და –ავ თემის ნიშნებით არის წარმოდგენილი:

ხაჭოს **ვაკეთავთ**, ყველ **ვაკეთავ**, წრეველ არ **ვაკეთებ**, წინ **ვაკეთებდი** (ისკები).

ვუყურებ - ვუყურავ:

ვერ **უყურებ?** შარშანდელი იქნება თუ? (კირნათი); ერთმანეთს ვერ დემახვიდენ, შორიდან **უყურებდენ** (ავანა); რას **უყურებთ** მას?

(კირნათი); სარკეში **უყურებენ** (ავანა); სახლ-კარ ვერ **ვუყურევ** (ჰაჯიოსმანი)...

მე ამას **ვუყურავ** (ბუჯური); ახლა **ვუყურავ** (ჯივანი); ამ გოგოს **ვუყურავთ** (ჰამიდიე); შენ რომ მე **მიყურავ** (ქლასკური); თქვენ ორთვეს ღმერთმან გიყუროსო, მე არ **გიყურავთო** (აივაზფინარი); მე კაც ვებუცები, **ვუყურავ** (მურღული); უქუმეთსა ჩვენ **ვუყურავთ**, იგი არ **გვიყურავს** (ნუსრეთიე); გოგომა ბაბოს **უყურავდა** (ირშადიე); ნუ **მიყურავ** (ჯივანი); ახლა თავრობამა **უყურავს** (მარადიდი)...

ამ ფორმებშიც ჭარბობს –ავ თემისნიშნისანი.

ვარიგებ - ვარიგავ (გაგების, მიხვედრის მნიშვნელობით):

ვერ **გაარიგებენ** და გადაკარდებიან [დაიკარგებიან] (ქართლა); **არიგებენ**, **არიგებენ**, ჰამაა ლაშიდან ვერ უთქმიან (ქართლა); **არიგებენ** და ვერ ულაპარაკნიან (ავანა)...

თქვენ ლაპარიკ ვერ **ვარიგავ** (ისკები); **ვარიგავ**, ჰამა თელი ვერ **ვარიგავ** (თხილაზორი); ვერ **ვარიგავ** ქი შენი ლაპარიკი (დევსქელი); ჰიჩ ვერ **არიგავდა** თურქჰა, ახლა **არიგავს** (ისკები); ის ცოტა ავატყოფია, **არიგავს** იმას (ქართლა); ქიმი **ვარიგავ**, ქიმი ვერ **ვარიგავ** (ჰამიდიე)...

ვიგონებ - ვიგონავ:

ვერ **ვიგონებ**, ფიქრი არ მაქ (ჯივანი); ვერ **ვიგონებ**, ქეროლლანის ჰეჟია ჰელბეთ იქნებოდა (კირქხარმანი)...

მახსოვან ისე, მარა ვერ **ვიგონავ** (ქლასკური); მე მაბიწყდება, შენ **მაგონავ** (ჰამიდიე); შენ ვერ **გააგონავ** (ნუსრეთიე)...

დეაჯერებთ - დააჯერავ:

თქვენ არ **დეაჯერებთ** ხომ (კირნათი)...

უმუდო, ნუ **დააჯერავ** (ქლასკური)...

დარგებენ|დაარგებენ - დავრგავ|დავარგავ:

თხილი **დაარგებენ** (თხილაზორი); ლობიო **დარგებენ** (მურკვეთი)...

რაზე **არგავდი?** (მარადიდი); ლობიო **დავარგავთ**, **დარგავ**, გეფდება (მარადიდი)...

დევბურავ - დეაბურება:

სოფელში **დევბურავ**, მარტომ აქ **დევბურავ** (ნურუოსმანიე); ჩაყრი, **დაბურავ** ყაფალი (ჰამიდიე); რასოდ ჩეცვემენ, **დეაბურვენ** (ჯივანი)...

ყაფალი დიდი **დააბურებდენ** (ჰამიდიე); ერთი მემლექეთის კაცი ასე **დეაბურება** (ნუსრეთიე)...

იტირებენ - იტირავს:

ერთი დღე **იტირებენ** (დევსქელი); რა **გატირებსო** (კირნათი)...



ამის ნენემ ვერ **იტირავს** (დევსქელი); ნენე დაჟდებოდა, **იტირავდა** (მარადიდი); ჰუქუმეთი გაგიყოფს ოჯახს, დედას **გიტირავს** (მურღული)...

მაწუხებ - მაწუხავ:

ლორი ასე **მაწუხებენ** (გურბინი); ტვინს შიგიჰამენ, **გაგაწუხებენ** (ქლასკური)...

რაზე **მაწუხავ?** არ **მაწუხავ** (ადაგული)...

ისეირებენ - ვისეირავთ:

კაცმა წეძქცევა, **ისეირებენ-ჰო?** (კირნათი)...

მე და გულომა **ვისეირავთ** (კირნათი)...

ისაქმებენ - ისაქმავს:

ერთ სახში იქნებოდენ, **ისაქმებდენ** (ქართლა); დედამთილი არ **ისაქმებდა** (გურბინი); კად ხალხია, თემიზი **ისაქმებენ** (მარადიდი)...

ის ბევრს **ისაქმავს** (ნუსრეთიე); შვადლი უკან არ **ისაქმავს** (ქლასკური)...

ვილაპარიკებ - ილაპარაკავს:

ჩინი არ მაქვა, ვერ **ვილაპარიკებ** (ბაშქოდ); ძმები **ილაპარიკებდა** (მარადიდი)...

ამან ჰანურ **ილაპარიკავს**, მე ჰანურ **ვილაპარიკავ** (აივაზფინარი); იმან არ **ილაპარიკავს** (მარადიდი)...

ერთსა და იმავე წინადადებაში ორი სხვადასხვა ფორმაა:

მალ-მალე **დეილაპარიკვენ**, ცოტა ნელა **დეილაპარიკებენ** (იქბალიე)...

ამ ზმნის შესატყვისი საწყისი –ავ თემისნიშნია:

თქვენსავით **ლაპარიკვა** არ ვიცით (შირინსულიე); აგნებენ, ჰამა **ლაპარიკვა** არ იციან (საფულარი)...

ვუკრავ - უკრებენ:

ვუკრავ დავლ (კირნათი); თარს **ვუკრავ** (ლუთბიე); ჩემი ბიჭი **უკრავს** (ჯივანი)...

სამობენ, ჩალი **უკრებენ** (იბრიქი); ახალი ის ემეები დუუკრავთ, ბუზიკას **დუუკრებენ** (ლუთბიე)...

იფერხულებენ - ვიფერხულავდით:

იფერხულებენ დუზხორომი, დელი ხორომი (ისკები); გადარევილი (შერეული) **იფერხულებენ** (ბუჯური)...

ევდოდით, **ვიფერხულავდით** (ქლასკური)...

მოვხრაკავთ - მოვხრაკებდით:

ერბოს **მოვხრაკავთ** (ისკები); ძალ **მოვხრაკავთ** (გურბინი)...

ძროხის ხორცი თ ყაურმას ვიქდით, **მოვხრაკებდით** (ჰამიდიე);
ხორცი **მეაბრაკება** (ხება)...

იკითხავს - იკითხებს:

ამ ფუძის ზმნებს კონტექსტის მიხედვით აქვთ კითხვის, სწავლის, სწავლების, ლოცვის, შელოცვის მნიშვნელობა:

ის ანკარას **იკითხავს** (ტრაპენი); გურჯიჯა **აკითხავს** ღარჭებსა? (გურბინი); მევლუდსაც **ვუკითხავთ** (იბრიქი); ესა ღარჭებს **აკითხავს** (ქართლა); მე **ვიკითხავ** და მოვალ (თხილაზორი)...

ჩემი ბადიშებმა **აკითხებენ** (ჯივანი); ხოჯამა **იკითხებს**... ქალებმაც **იკითხებენ** უჩუმარად (იქბაალიე); ყურანს **იკითხებენ** (დევსქელი); ჰემ **იკითხებდა** (სირეთიე)...

ეძვსება - ეძვსობა:

ჰაწახან უკან ყველამფერი **ეძვსება** (მარადიდი)...

ერთი თვის მემრე **ეძვსობა** (ბუჯური); ერთი ჯვალი **ეძვსობა** (ჰამიდიე); დრო მივა, **ეძვსობა** (დევსქელი)...

იჩხუბებენ - ვიჩხუბავთ:

ბიძაშვილებმა **იჩხუბებენ** (ხება); ესენი ჯუმაებზე **წეაჩხუბებოდენ** (მარადიდი); ბორჩხელებმა **იჩხუბებენ** (ხება)...

მოქ, არ **ვიჩხუბავთ** (მარადიდი); აქავრი ხალხი არ **იჩხუბავდა** (მარადიდი)...

დავჰკიდებდი - დეჰკიდავ:

...რომ ყოფილიყო, **დავჰკიდებდით** (გურბინი)...

ბეშიბილ ყიაზე **დეჰკიდავ** (ბაგინი)...

გავტეხავ - გავტეხებდით:

ამასა **გავტეხავ**, გავრცხავ, ამოვშუშავ თენჯერეში (იბრიქი); ეზანი იქნება, **გავტეხავ**, მემრე დასლულია (დევსქელი)...

ხარებით პურ **გავტეხებდით** (ნუსრეთიე); ამას **ატეხებენ**, შიან ჩიჩეგს დებენ (ქართლა)...

ყოლია - ყოლებია:

ერთი გოგო **ყოლია** (კირნათი)...

ვინცხას ბადვი არ **ყოლებია** (ისკები)...

შეხედევდით (<შეხედავდით) - შეხედებენ:

ჰაწაწვანი ვიყავით, ერთმანეთ **შეხედევდით** (ბაშქოდ)...

შეხედებენ, **შექხედებენ**, სიმეა უთხარით (თხილაზორი);

შეხედებენ, ლამაზია თუ ჰკვიანი (ჰამიდიე)...

დავაბამთ - დავაბავ:

ბაგაზე **დავაბამთ** ზენჯირით, ისთა თოკვითა (ბუჯური)...

ამ ძალს ერთი ნალი ქვეშ **დავაბავ** (კირნათი); ამ ძაფ ავაბავ (კირნათი)...

სვამს - სვავს:

ილაჯებ **სვამს** (თხილაზორი); შვიდი დღე **ასვამდენ** (ქლასკური); იჩქით **სმენ** გენჯები (ადაგული); ჩვენ ქორწილზე არ **სმენ** (ისკები)...

ჩაის **სვავთ?** (იბრიქი); თქვენ არ **გასვავთ** (კირნათი)...

მოვჭრით - დაჭრავს:

მოვჭრით, ჩვენი ტყეა, **მოვჭრით** (იბრიქი); **ჩავჭრით** თენჯერეში (ჯივანი)...

ხოჯა იმას **დაჭრავს**, სისხლებ დაადინავს (ქართლა)...

სხვადასხვა თემის ნიშანს დაირთავს ერთისა და იმავე ფუძის ხმოვანმონაცვლე ზმნა.

ახილებს - ახილავს:

ბალანამ ღამეში **ახილებს** თვალი (კირნათი)...

თვალზე ვერ **ვახილავ**, მეძინება (თხილაზორი)...

დეფქირავს - დეფქირებდენ:

იმ ძერსაც ის **დეფქირავს** (ქართლა)...

დედამთილი და ზალი იმსოფ **დეფქირებდენ** (ქართლა)...

ბ. ერთმანეთს ენაცვლება ერთისა და იმავე ზმნის ათემატური და თემისნიშნის ფორმები:

დეინახავს - დეინახს:

იქ ეხვალთ, ჩამოხვალთ, **დეინახავთ** (ჯივანი); ჰიჩ ქი არ **დეინახავ** კაც (გურბინი); იმას მარტო ის ავადევლი **დეინახავს**, სხვა ვინმე ვერ **დეინახავს** (ქართლა); კიდევ **დეინახავთ** (მურლული)...

რა გააკეთებ, **დეინახ** (მარადიდი); აქიდან **დეინახ** (კირნათი); მან **დეინახს**, შენ ვერ **დეინახ**, იმანაც **დეინახს** იქა (ქართლა)...

შეენახთ - შეენახავდით:

ისიც აინი დერგში **შეენახდით** (ჰამიდიე); პატინას მაწონ უზამ, ბუზდოლაბში **შეენახ** (ისკები); მერეგში **შეენახთ** (ისკები)...

ძალ დერგებში **შეენახავდით** (ჰაჯიოსმანი)...

თიბავს - თიბდა:

ჩემ კაცსა ფეხი მოატყდა, ვერ **თიბავს** (ისკები); მოთორით **მოთიბავ** (ბუჯური)...

სამი გოგო თივასა **თიბდა** (ერეგუნა); ისვენადა, მოლი **მოთიბდა** (გურბინი)...

გ. ერთისა და იმავე ფუძის ზმნის სამი (სხვადასხვა თემისნიშნის, ათემატური) ფორმა ენაცვლება ერთმანეთს.

წიყვან - წიყვანავ - წიყვანებ (სხვადასხვა ზმნისწინით):

არ-მი **წიყვან**, იგზე გახვალ (ავანა); თუ გონჯია, ერცხვა არ **მიყვანდენ** (ერენქოდ); რავად გათოვდება, **მიყვან** ჩარში (ადაგული)...

იმის მემრე **მოყვანავთ** ჯამეში (ისკები); **წიყვანავ** კაციც (იბრიქი)...

გოგო გექცევა, ან ზორით **წიყვანებენ** (ავანა); გათენდებოდა, მაშინ კარზე **მიმიყვანებდენ** (ქართლა)...

დაბანს - დავბანავთ - დავბანებდით:

ქალი თუა, ქალი **დაბანს**, კაცი თუა კაცმა **დაბანს** (მურღული); მევერებით, ვილოცავთ, ტანი **დაბანენ** (მურღული)...

მოკტება, მემრე **დავბანავთ** (ავანა); **დაბანავ**, იმის მერე ვიკითხავთ დასინს (იქბალიე); იქ **დებანავს**, დუას იქმენ (ჯივანი)...

გავაცხელებდით წყალ, **დავბანებდით** (ავანა); ღარჭი ქი მოკდება, ტანი **დაბანებენ**, ტანი-მანი **დაბანებენ** (იბრიქი)...

ვუგზავნი - გამგზავნებენ - გამოგზავნავს:

მე ფარას **ვუგზავნი** ა იქა (გურბინი)...

თუ **გამგზავნებენ**, ხეჭეჭურად მევერევთ (ისკები); აშილი გახდება, ელჩ **გუგზავნებენ** (ქართლა)...

ჰუქუმეთი **გამოგზავნავს**, გაწმენდენ (ბუჯური); ბაბოდ თუ მოკტა, **გამგზავნავთო** (ავივაზფინარი)...

იმღერებენ - მღერიდენ - იმღერავდენ:

იფერხულებენ, **იმღერებენ**, გურჯულად **იმღერებენ** (ბუჯური); ჩვენზე დიდვანები **იმღერებენ** (ქართლა); პურის ჭრამი **იმღერებდენ** (ლუთბიე); ნანი, ნანი... **მუუმღერებდით** (მარადიდი)...

ყველად რომ **მღერიდენ** (ქლასკური)...

დედსწავლავს, **იმღერავს** (ქართლა); სიმინდის ტეხვაზე **იმღერავდენ** (შირინსულიე)...

დევწავლით - დედწავლებენ - დედსწავლავს:

ერცხვა მოხვალთ, **დევწავლით** (დევესქელი)...

კად იქნება, ბალნებმაც **დედწავლებენ** (თხილაზორი)...

ესეც გეაზდა, დედსწავლავს, **იმღერავს** (ქართლა)...

ჩაფლავენ - ჩაფლიან - ჩაფლებენ:

ჰაცხან მოკტება, იქ **ჩაფლავენ** (ისკები); თუ მეეწრა, **ჩაფლავენ** (ერენქოდ)...

ილოცებენ, **ჩაფლიან** (სირეთიე)...

ქალი მომკტარა, თან **ჩაფლებენ** (ისკები)...

ვჭამ - ვჭამავ - ჭამებენ:

ფარა მაქვა, **ვჭამ** (იბრიქი); ის ქათამ **ჭამს** (გურბინი); დათვები მოდიან, **გვიჭამენ** (გურბინი)...

აქა **ვჭამავ** მე (თხილაზორი);

რუსებმა **ჭამებენ** ღორი ხორცი (იბრიქი); **აჭამებენ** ხორციანი ფილავი (იქბაალიე); აქ ზორ ყურძენი იჯებნება, აქ **ჭამებენ** (ლუთბიე)...

კლავენ - მკლით - კლებენ:

ღორები ჭამენ, ყაჩთანე **კლავენ** (ბუჯური); ჩვენ, ინსნები, **დავკლავთ** ერთმანებ (ბაშქოა)...

დათვი მომიკალით, მეც **მკლით**-მეთქინ? (კირნათი); ყურბანს **დუუკლიდენ** (ჯივანი); დუშმანი ჩემ ქალთან არ **მომკლის** (ხება)...

ღორები ბევრი მყავან, **კლებენ** (დევესქელი)...

დუუძახ - დუუძახებენ - დევძახავთ:

თელეფონი ვიცოდე, **დუუძახ** (თხილაზორი); ახლა კი **მიძახს**, გააგდევო (იბრიქი); ვინცხა **მიძახს** (კირნათი)...

კაცის ძმას „მაზლი” ვერ **დუუძახებენ** (მურკვეთი); ყველა სოფელში **დეძახებენ** (სირეთიე);

იმის მერე სოფელში **დევძახავთ** (მურკვეთი); **ვუძახავთ** სადამოობით (ჯივანი); აართვითო, **დევძახავთ** იშტე (იქბაალიე); იმას ხოჯა **დუუძახავდა** (იქბაალიე); ხოჯამან თელი **შუუძახავდა** (გოლჯიქი)...

ვაგნავ - აგნებენ - ვაგნობ (მიხვედრის მნიშვნელობით):

ზორით (=ძლივს) **ვაგნავ** (ჰამიდიე)...

ჩვენ ლაპარიკ **აგნებენ**, ვერ პარიკობენ (დევესქელი); **აგნებენ**, ჰამა ლაპარიკვა არ იციან (შირინსულიე)...

მე **ვაგნობ**, ჰამა ვერ ვლაპარიკობ (აივაზფინარი)...

ვთესავთ - დავთესდით - დათესებენ:

მიწი ხაპი, სიმინდი, ლობიო... თელი **ვთესავთ** (დევესქელი); ბოსტანში ჩემი დიდნენემა **დათესავდა** კიტრი (ჰამიდიე)....

ჯილდით **დავთესდით** (ჰაჯიოსმანი)...

პურ **დათესებდენ**, სიმინდ **დათესებდენ** (თხილაზორი)...

იქს - ვიქავთ - იქამს:

ბაღანამ ვერ **იქს** (მარადიდი);

მეც ვერ **ვიქავ** (მარადიდი); ნუ **იქავ** მაგა (კირნათი); ქორწილ სოფელში **ვიქავდით** (ქლასკური)...

ჩვენი საქმე **ვიქამთ** (მარადიდი)...

ასხამს - ვასხავ - ჩიმისხებდა:

წყალი ასე **ასხამს** (ქართლა); წყალ **მოვასხამთ** სახში (ადაგული); ყველი ამეღღევ, შრატ **გადაასხამ** (ბუჯური)...

აქა რაზე **ასხავ?** (მარადიდი); წყალი **ვასხავთ** (ჯივანი); იმა **დაასხავ** (ბაგინი)...

დედმა ყავე გააკეთებდა, მე **ჩიმისხებდა** (ლუთბიე)...

იყიდენ - ყიდავს - ყიდებდენ:

რაცხა გჭირიან – ძალი, მარილი, **იყიდებენ** (ჰამიდიე)...

იმას **ყიდავს** ისი (ისკები); მოდიან, **ყიდავენ** (ბუჯური); ყველას არ **გავყიდავთ** (ბუჯური); **ყიდავს**, მოვა სახლებში (ბუჯური)...

ისინი **ყიდებდენ** გოლჯუხში (ჰამიდიე)...

დ. კლარჯულში დასტურდება თემის ნიშანთა მონაცვლეობის სხვა შემთხვევებიც:

ებ:ავ:

ორ თანეს ვერ **მოიფიქრავ** (გველი); ვერ **ვაბრუნავთ** (ავანა); ამას **აღლავს** (მარადიდი); ვერ **მიაფერავ** (ნურუოსმანიე); თქვენ **დაამზადავთ-თუ?** (გოლჯიქი); ბედიავა ნიჩაბს **ატყაპუნავ** (მარადიდი); **გავათხელავთ** სობაზე (ქლასკური); ასე **ვატოლავ** (ჰამიდიე); თავს არ **ვიქავ** (=ვიქებ) (აივაზფინარი); **გაალამაზავ**, საპონით გარცხავ (გურბინი); კომბოსტოს ჟავეს **გავაწითლავ** (იბრიქი); ბათუმში ფაბრიკას **ავაშენავ** (დევსქელი); ასე **მოატრიალავ** (თხილაზორი)...

ობ:ებ:

კაკალი და წაბლი **გავახმებდით** (ჰამიდიე); ავადეველებს ნემსი **დაასებს** (სირეთიე)...

ობ:ავ:

ჩვენ ვერ **ვიცნავთ** (ჰამიდიე)...

ავ:ობ:

მარილ **ვურთობთ** (დევსქელი)...

ებ:ობ:

საქმეს ვერ **უძლობს** (მაამურიე)...

კლარჯულში თემის ნიშანთა მონაცვლეობის დიდძალი მასალიდან განვიხილეთ მხოლოდ ნაწილი. ერთისა და იმავე ზმნის პარალელური ფორმებიდან ზოგი ემთხვევა სალიტერატურო ქართულის ან სხვა დიალექტის ნორმას, ზოგიც კლარჯულის თავისებურება ჩანს. ყველაზე მეტია –**ებ** და –**ავ** თემის ნიშანთა მონაცვლეობა, ჭარბობს –**ავ**. შევნიშნავთ, რომ დამოწმებულ შემთხვევათა გარდა –**ავ** ხშირია შუალობითი კონტაქტის ფორმებშიც:

ის არ **აცემიავს** (ნუსრეთიე); ნუსხას **ვაკეთებიავ** (ჯივანი); ხოჯა **დააწერიავს** (თხილაზორი); კოფე **დაგაღვიავთ** (ხება); ხოჯამა **დააბანიავს** (მურკვეთი)...

ანალოგიური ცვლილებები სპორადულად დასტურდება აჭარულში, სხვა სამხრულ კილოებშიც. კლარჯულში ამ მონაცვლეობას სისტემური ხასიათი აქვს. ჩანს, კლარჯულში **ეზავ** არ არის ახალი მოვლენა, რამდენადაც იგი კლარჯ მუჰაჯირთა მეტყველებამაც დასტურდება.

რა არის საფუძველი ასე ფართოდ გავრცელებული თემის ნიშანთა მონაცვლეობისა?

შესაძლებელია, მოვლენის მიზეზი ვეძიოთ თემის ნიშანთა საერთო ფუნქციაში, თუმცა ცვლილებები ფონეტიკური გარდაქმნის შედეგად შეიძლება იყოს.

2.5. ვნებითი გვარის ფორმათა წარმოება

კლარჯულშიც ფართოდ არის გავრცელებული მთელი სამხრული მეტყველებისათვის დამახასიათებელი ე'ნიანი ვნებითი **დონ'**ნიანის ნაცვლად:

ქალები მალ **გეთხვებიან** (დევსქელი); ორი დაქორწილდა, **გეთხვენ** (ჯივანი); ახლა მისით **ეთხოვებიან** (მარადიდი); იქიდან არ **გამევეთხოვე** (ერენქომ); ალმანიაში **ეთხოვებიან** აქიდან (ავანა); გოგო **გეთხვა** (გურბინი).

შდრ.:

ჩემი ემიაშვილის გოგო **გათხოვდა** (ხება).

მე მოვალ სახში, **მომემშია** (კირნათი); ახლა **მოგემშიოდენ** (აივაზფინარი); მალ-მალ რატონ **მემშევა?** (მარადიდი)...

იშვიათად მოსალოდნელი ე'ნიანის ნაცვლად იხმარება **დ'**ონიანი:

მოწონდება, გოგო-ბიჭი აშილი გახდება (ქართლა); რომ გოგო **მოწონდებიან**... მეღლაპარიკებდენ (ჰამიდიე); ქილისე **მოგწონდენ?** (იბრიქი)...

დავიბადე ზმნის მნიშვნელობით იხმარება **დასვა** ზმნის ი'ნიანი ვნებითი: **დევსვი** (დევისვი<დავისვი):

აქ **დევსვი**, აქ გევზარდე (ირშადიე)...

ე'ნიანი და ი'ნიანი ვნებითით გადმოცემულია მოქმედების შესაძლებლობა ან შეუძლებლობა (უარყოფითი ნაწილაკის დართვით):

ხალაშვილი **მეყვანება**, ბიბიშვილი **მეყვანება**, ემიაშვილი **მეყვანება** (სირეთიე); სად **გეათენება** (=სად შეიძლება გათენება), იმათ

იცოდენ (ხება); იქიდანაც **ამეისლება**, აქიდანაც **გედეისლება** (დევისქელი); შვახევეში ახლა **გეისლებოდა** (დევისქელი); ფეხითაც **ჩეისლება** (ისკები)...

ბიბოძ არ **ითხოვება**, ძუძუნაჭამი არ **მეფყვანება** (დევისქელი); არ **გეფვლება**, გო (ბაგინი); სველში არ **გემეველებიან** (კირნათი)...

მოქმედებითი გვარის **ხეთქ'** ფუძე შენარჩუნებულია ვნებითში:

რადიატორი **გახეთქდება** (=გასკდება), გავაკეთავ (ბუჯური)...

რიცხვში მონაცვლე ფუძეებია:

ტება და **ლეწვა**:

დერგები **დალეწეს** ღარჭებმა (ბუჯური); ლობიოს პარკი **ვლეწავთ** (დევისქელი)...

გდება და **გაყრა**:

შენ მარტომ ვერ **გაგადებ** (იბრიქი); ბაბოძ და ანაძ **გავყარე** (ბუჯური)...

ყარ' ფუძე მხოლოდითის ფორმასთანაც გვხვდება:

ბაბოძ **გავყარე**, ამასთან წამოველ (დევისქელი)...

2.6. მწკრივთა წარმოება

–აგ და –ამ თემისნიშნიან ზმნებს აწმყოსა და მყოფადის მწკრივების მესამე პირში მრავლობით რიცხვში ეკუმშებათ თემის ნიშანი:

ახლა **შეხედვენ** ქი (ერენქოდ); კაცებმა ქალებს არ **შეხედვენ** (იქბაალიე); არ **შეინახვენ** (ბუჯური); მეფეები არის და ვერ **დეინახვენ** (იბრიქი); იმათ საწურ თორბაში ბილე **წურვენ** (მარადიდი); სახლში არიან, **ძინვან** (ნუსრეთიე); რასომ **დეძურვენ** (ჯივანი); რაცხას ჩედდებენ, **მეძპარვენ** (ისკები)...

შდრ.:

იმას **გაზომავენ**, ადგილებ (ისკები).

ძროხას ყუას **დაარტყმენ** და ისე დაკლიანო (მარადიდი); **მირტყმენო**, არ'ნა ურტყა (კირნათი); ბოძნე **სმენ** (გურბინი); არ უარებთან, **ურტყმენო** (კირნათი); არ წევდა, **დამაბმენო** (მარადიდი); გელინოს **მუუტყმენო** (გურბინი); ესენი **ასხმენ** (კირნათი)...

ულლების ამ წესს მიჰყვება ათემატური და ის ზმნებიც, რომელთაც სხვა თემის ნიშნის ნაცვლად აქვთ –აგ:

დომუხებმა თხილი-მილი ჭამდენ, ახლა კიდევ **ჭამვენ** (მარადიდი); იქ **წერვენ** (დევისქელი); ნადდი **დიმიძახვენ** (იბრიქი); ხოჯას **დუუძახვენ** (სირეთიე); მალ-მალ **დეძლაპარიკვენ** (იქბაალიე); კაკლიანი ჩურჩხელა **გაკეთვენ** (მამურიე)...

-ავ და -ამ თემისნიშნიან ზმნებს სავრცობიან მწკრივებში I და II პირებში ეცვლება თემისნიშნისეული ხმოვანი: ავ>ევ, ამ>ემ ისევე, როგორც ძველ ქართულში:

უწინდელ კაცებს **ნახევდე**, ბევრ დედწავლიდი (ბუჯური); პურ **მოვჭრევდით** (ბაგინი); ენწინ **დავთესევდით** (ერენქოა); ერთმანეთ **შევხედევდით** (იბრიქი); დილაად **გამოვჩხრიკევდი** (ჯივანი); **შევწვევდით** ძალი-კვერცხსა (კირქხარმანი); პურს **გავფენევდით** (რიშაადიე); თხილი წინ **ვიყიდევდით** (იბრიქი); არაბები **ვწერევდი** (ლუთბიე)...

ბოლო სამი ზმნის ამოსავალია: **გავფინავ, ვიყიდავ, ვწერავ.**

ძველი ქართული ენის ნორმების მიხედვით, მესამე პირში იყო -ვიდ, -მიდ წარმოების ფორმები (ნახვიდა, ხედვიდა, სუმიდა...). კლარჯულში და საერთოდ სამხრულ კილოებში ფართოდ არის გავრცელებული -ევ და -ემ'ნიშნიანი ფორმები:

უწინ სიმიინდ **დათესევდენ** (ისკები); რაცხას **ნახევდენ** (ქლასკური); **დააკრევდენ**, საჯ **დაახურევდენ** (ჰაჯიოსმანი); კორდერონზე **უკრევდენ** (ბუჯური); წყალი გამოიღებდენ, **გაწურევდენ** (ჰამიდიე); ბაღნები **მეძპარევდენ** და **გაყიდევდენ** (კირნათი); ნენეა **იკითხევდა** (ადაგული); დედამთილი ამას **შუულოცევდა** (ქლასკური)...

-ავ'თემისნიშნიანების რიგშია **ვექნი** ზმნაც:

ცხენით კალოს **ვექნევდით** (რიშაადიე)...

-ამ'თემისნიშნიანები აღნიშნულ მწკრივებში საერთოდ იშვიათია:

ბუკში **მირტყმიდა** (ნურუოსმანიე)...

გოგო და ბიჭი ერთმანებს ვერ **დეინახვიდენ** (ავანა); ვერ **ხედვიდა** იგზე (კირნათი)...

იშვიათად -ავ თემისნიშნიანი შენარჩუნებულია I და III პირებში:

დეინახვდა, უღელი გატყდებოდა (ქართლა); ძალ დერგებში **შევნახვდით** (ჰაჯიოსმანიე)...

-ებ'თემისნიშნიანი ი'პრეფიქსიანი ვნებითის მყოფადის ფორმებია: **მეძალავის, დეძადვის**:

ჩვენებური ინსანი არ **მეძალავის** (ირშაადიე); **დეძადვის**, მაშინაც დანიშნა იქნება (ავანა)...

წყვეტილის ფორმებს, რომელთაც მწკრივის ნიშნად აქვთ ე, დაერთვის ვი მარცვალი:

ეს სექვი იყო, **ავწიევით** (გურბინი); რძალი **მევეყანევი** (ისკები); შეითანი ჰა **ნახევი**-მეთქინ (კირნათი); ისინი ვერ **ვნახევით** (ავივაზფინარი); **ამევლევი, ვკიდევი** (ჩუბუქლუბალა); ერთი გოგოც **გავათხუევით** (ერენქოა); საჭმელები **ვჭამევით, ვისაქმევით** (ქლასკური);



ჰად **ჭამევით**? (აივაზფინარი); კიკვაძეები **მევეარევით** (გურბინი); **ვიძინევი**, კიდევ მეძინება (იბრიქი); ჩემი დის ბიჭი **დავაქორწილევით** (ბუჯური); ყველგან წაველით, **დევლაპარიკევით** (გურბინი); ბედევა ჩვენ **დავაწერიევით** (თხილაზორი); ის **დაწერევით** (ბუჯური); აქიდან **შეხედევით**, ლამაზია (ბუჯური); გოლოჯუქში რომ **ჩეგბარგევით** (მურკვეთი); დანაყე, **დანაყევი** (ჯივანი); თოჯინეთი **დაწერევით** (ქართლა)...

ასე იუღლვის **ვექნი** ზმნაც:

ყინაგეჯე შინ **ვექნევით** (ნუსრეთიე); ფერხული, სიმღერა, ზორ **ვექნევით** (ერენქოძე); ისე **ქენევით**, ასე **ქენევით**, ასწავლის (ბუჯური)...

ზოგჯერ მოკვეცილია ი:

ერთი ლემსი **ეიღევ** (კირნათი); სობაში შევდებ, **დახრისევ** (ადაგული); გაჭარ და **წეიღევ** (მარადიდი); ჰადმე ვერ **წევღევით** (კირნათი); ისე არ **ვექნევით** (გურბინი)...

წყვეტილის I და II პირებში ზოგჯერ არ ერთვის ი:

მოჭარ ისიც (მარადიდი); დიზგინი არ **მივეც** (კირნათი); შენ **დადექ** სახში, ერთი იმუშავე (კირნათი); შენ ზურნა **დეუკარ** (კირნათი); მე არ **ვექნ** (ქართლა); გზაზე **დადექ** (ქლასკური)...

მეორე კავშირებითში ე ნიშნის ნაცვლად არის **ო**:

მოვღონ ნა იქიდან (ჯივანი); ისე **წევღონ** (გვერი); არ მიწდა, კაცი **წევღოს** ბაბოს სახშიო (ხება); ღმერთმა ყუვეთი **მოგცოსო**, ჰალი, ჯანი **მოგცოსო** (ქლასკური)...

I თურმეობითში –**ამ** თემისნიშნაწებს არ გადაჰყვებათ თემის ნიშნისეული ა: გვაქვს **უთქმია** მხოლობითში და **უთქმიან** მრავლობითის ფორმები. მესამე პირში, რიცხვის ნიშანია –**ან** მრავლობითში (თ'ს ნაცვლად), ა მხოლობითში **ს'ს** ნაცვლად:

ჩემზე **უთქმია** (დევსქელი); **უთქმიან**, ქი ხეზე გადიო, იმასაც უთქმია (ისკები); არიგებენ, ჰამა ვერ **უთქმიან** (ქართლა); ზომო ყანა **უთქმიან** (ჰამიდიე).

შდრ.:

ღმერთს **უთქვამს** (გურბინი).

ახლა არ წევსვავე, ჰამა **წიმისმია** (დევსქელი)...

უთემისნიშნო ფუძეს ეყრდნობა I თურმეობითში –**ავ** თემისნიშნაწი ზმნა:

თმები **შუუღებია** (ბუჯური); ჩვენ არ **დიგვინახია** (ერენქოძე); იმისთინ ვერ **გინახია** (ხება); იქ **დეუფლიან** (ქლასკური)...

მეორე და მესამე პირში მრავლობითში –**ან** ნიშნის წინ არის თემისნიშნისეული ვ:

აქ წყალი **უნახვან**, დამუდარან (გოლჯიქი); ლამაზი დერი **უნახვან** (მურღული); თქვენ **გაკითხვან**, ჩვენ არ გვიკითხავს (დევესქელი)...

გვხვდება უვინო ფორმითაც:

ზორ ლამაზი **გინახიან** თქვენ (ქართლა)...

მისცემს ზმნას I თურმეობითში გადაჰყვება –**ემ**:

ლივერი **მუუცემიან** (ავანა).

–**ებ** თემისნიშნიანი **აკეთებს** ზმნა II სერიის თემას ეყრდნობა I თურმეობითში:

შვიდი თაბუთი **გუუკეთიან** (გოლჯიქი)...

საწყისის ნაცვლად I თურმეობითში მიმღობის ფუძეა გამოყენებული:

აქ გამოსულან, **მორევლან** ერმენები (ნუსრეთიე)...

ათემატურ **ჰამს** ზმნას ისევე ეწარმოება I თურმეობითი, როგორც –**ამ** თემისნიშნიანს:

ბოლათ ღორის ხორცი **უჰმია** (ქლასკური).

კლარჯულში ერთმანეთს ენაცვლება ზმნის ა' პრეფიქსიანი და უპრეფიქსო ფორმები; ჰარბობს უპრეფიქსო ვარიანტები:


რაცხა **მომგონდებოდა**, დავარქმევდი (ქლასკური); ახლა ყველა არ **მომგონდა** (თხილაზორი); ბოლაქი **მომგონდეს** (ჯივანი); სიყვარული რომ **მომგონდება** (დევესქელი); რაცხა **მომგონდებოდა**, ვიტყოდი (ქლასკური); დააწავლე, **მომგონდა** (დევესქელი); ნიშან **დამდებენ** (ბაგინი); თუ **გამგზავნებენ**, ხეჭეჭურად მევმცრევთ (ისკები); თხილ **დარგებენ** (თხილაზორი); ახლა მაშინაჲს საქმენა გევგნა, რომე მალე **გავგზანო** (კირნათი); თუ მოკტა, **გამგზავნავთო**, უთქმია (აივაზფინარი); თელი **დამვიწყდა** (ქართლა)...

შდრ.:

მომგონდა, ვალახ! (ესკი ფერადიე); **მომგონდეს**, აირი-და **მომგონდეს** (ნიმეთიე); ჩვენ **დავარგავთ** (თხილაზორი); თხილი **დავარგვი**, კაკალი **დავარგვი** (ჰამიდიე); ტყეში **გავგზანეთ**, მომიკტა (ჰაჯიოსმანი); რაც ვიცოდი, იგიც **დამამიწყდა** (ჰაჯიოსმანი); ჩვენც **დამაბიწყდენ** ჩვენებური (ავანა); აქ ლაპარიკი არაა, **დამამიწყდენ** (ჰამიდიე)...

წყვეტილის მწკრივის I-II პირებში ვედ'თან შედარებით ჰარბობს ველ ფუძის ზმნა: ერთმანეთს ენაცვლება ი'სუფიქსიანი და უსუფიქსო ფორმები:

მითხრა, ჰამა ვერ **წიველი** (ჯივანი); იქეთ **წიველ**, ახორში **წიველ** (კირნათი); **წიველ** უჩ-დორთ და **მოველ** (იბრიქი); **წიველ** დემეძინენ'ნა



(ჯივანი); მარადიდში ჩვეელი (ერენქო); ახლა მოველ (ქლასქური); სტამბულში მიველ ღამე (გურბინი); ჩამოველ ბათუმ (ჯივანი); იზმითიდან აქ მოველი (გურბინი); ამოველი ბორჩხაში (ჯივანი); შენ არ წახველ ისტამბულ (ერენქო); ე თურქია გადახველ (დევსქელი); იქ რასოდ გახველიო? ავახტი და გაველიო (ისკები)...

მრავლობითი იწიანი ფორმა ორივე - პირველ და მეორე პირში:

გუშინ ამოველით (ჯივანი); ახლა აქ გამოველით (გურბინი); ექი, გურჯისტანიდან მოხველით (ბუჯური); ბუჯურ გახველით თუ თქვენ? (დევსქელი); სახლებში მიხველით (იბრიქი); ასე ხოფიდან მოხველით? (ბორჩხა); ჰაიდან, ჰიდავრობიდან მოხველით? (თხილაზორი)...

შენიშნავთ, რომ ველ ფუძის ზმნის ფორმები ნორმა ჩანს „ყარამანიანში“, „ამირანდარეჯანიანში“, „რუსუდანიანში“ „სიბრძნე-სიცრუისასა“ და „ქილილა და დამანაში“:

მე რომ წამოველ (ყარ. 293); ვაშად მოხველ, ამირან დარეჯანის ძეო (ამირ. 31); არ ძალისა იმედული წამოხველ ჩინეთიდან (რუსუდ. 43); ისპანს რომ ჩაველ... (ქილ. 1)...

იშვიათია ვედ ფუძე:

აგზე ქი ჩამოხველით (იბრიქი); ერთპირ ჩამოველით (ხეზა); ასე ხოფიდან მოხველით? (ბორჩხა); წევედი იქიდან (კირნათი)...

-ავ თემისნიშნისანი მოქმედებითი გვარის ზმნათა შესაბამისი ვნებითი ნაწარმოებია არქაული წესით:

მოხარშავს: ცოტა მეხარშვის (ბაშქოდ)...

ვშუშავთ: დეაშუშვის, ქფილის სული წუშვა (დევსქელი)...

დაბნიდავს: ამის ნენემ ვერ იტირავს, დეაბნიდვის (დევსქელი).

პროდუქტულია სახელზმნური ფუძის ზმნები:

სხალი ვერ ვჭამ, მწყენულობს, შექერი მაქ (ბუჯური); ვერ გნებულობდენ (ქლასკური); რაცხას მიცემენ, ყოფნილობენ, რაცხას მოქცემს, ვყოფნილობთ (ჯივანი); მოვხრაკავთ, მე მწყენულობენ (ისკები); ცოხნულობს ბალახს (ქლასკური); მის განაყოფს თუ აქვა, ვერ ტანულოფს (ხეზა); ჩემი ბაბომა მისი ბაბოდ არ ცნობილოფს (შირინსულიე); იბერიას ცნობილობ-თუ? (ისკები); გავლილა არაბა (ჰამიდიე); ი ღარჭი მეტი შემეცოდვილა (იბრიქი)...

ქმნ ფუძის ზმნები სავრცობიან მწკრივს აწარმოებს არქაულად, - იმავე ფუძით:

ღამეში ნადებ ვიქმოდით გურბინი); ნად ვიქმოდით, ნადებ ღამეში ვიქმოდით (ჯივანი); იქნებოდა საქმე, იქმოდა (გურბინი); ხოჯებმა დუას იქმოდა (სირეთიე)...

იმვითად –ავ თემისნიშნინანი, დ სავრცობიანი ფორმაც გვხვდება:
წინ ქორწილ სოფელში ვიქავდით (აივაზფინარი)...

§3. სახელზმნა

3.1. საწყისი

გვხვდება ერთისა და იმავე ფუძის საწყისის პარალელური, სხვადასხვა აფიქსით ნაწარმოები ფორმები:

ის მღერვა თუ? (ნურუოსმანიე); მე არ მიყვარდა მღერობა (ისკები);
ამან ბევრი მღერობა იცის (ხება)...

გამოყოფილი საწყისების შესატყვისი ზმნებია: იმღერავდენ, მღერობენ
(იხ. ზემოთ).

პარალელურია სამვა და სამობა (=ცეკვა):

სამვიხან ერთმანეთს სიმღერა ეტყოდენ (ნიმეთიე); იცით თუ
სამვა? (ლუთბიე).

გვხვდება უვინო ფორმაც:

რა სამა გითხრა? (ზაგინი); ადგა გურჯი სამობა (შირინსულიე).

შდრ.:

ერთიც იმა ვისამავდით (ქლასკური).

წ'არიანი საწყისია გათხოვნა:

გათხოვნა (=გათხოვება) სხვაზე აკმალულია (მურღული).

წ'არიან საწყისს –ობა სუფიქსიც ერთვის:

ჩემი დედე ჩემ არყოფნობაში ყოფილა (ერენქო).

შდრ.:

ღმერთმა გახაროს, გამოყონოს (ქლასკური).

-ობა სუფიქსით ნაწარმოებ სიტყვებს: კაკანობა, ღალატობა, ფიქრობა
საწყისის ფუნქცია აქვთ (შდრ. კაკანი, ღალატი, ფიქრი):

დედწყებენ კაკანობა ამ დილაზე (კირნათი); ჩვენთან ღალატობა არ
იქნება (მურღული); ფიქრობაში შევექეთამა ეს ამბავი შეიტყო
(კირნათი)...

ხმარებას ცვლის ხმარვა:

მე ხმარვა არ ვიცი (სირეთიე).

-ომ'იანი საწყისია მოკდომა:

მოკდომა'ნა იყოსო; მოკდომა რომ არ იყოს, ჩვენ, ინსნები,
დავკლავთ ერთმანებ (ზაშქო).

3.2. მიმღეობა

კლარჯულში სასუბიექტო მიმღეობას მხოლოდ რამდენიმე აფიქსი აწარმოებს, ფორმები იმდენად მრავალფეროვანი არ არის, როგორც საობიექტო მიმღეობისა.

პარალელურია **მცოდნე** და **მცოდნელი**:

აენგე ჩვენზე კაა **მცოდნეა** (ჯივანი); **მცოდნელები** მოკტენ (ჯივანი).

ქმნ ფუძისაგან იწარმოება **მქნელი** (=გამკეთებელი):

მქნელი არ იტყვი? (კირნათი).

პარალელურია ერთსა და იმავე მოსაუბრესთან **მახარობელი** და **მახარებელი**:

მახარობელი მივა, **მახარებელმა** სახში მოთხოვს (ხება).

მ-ელ აფიქსებით არის ნაწარმოები შემდეგი მიმღეობები:

რამაზანი არ იჭირავ? **დამჭირველიც** არიან (ობრიქი); იმნაირი კაცი ყოფილა, **მსრველი** (ქლასკური).

მსვრელი - ვინც ისვრის, მსროლელი.

შდრ.:

კარქა **ვსრი** მაუზერ (ქლასკური).

ვსრი იხმარება მაჭახლურშიც:

ბაბამ ლივერი მიყიდა **ვსრი** და **ვსრი** (ქედქედი).

ფალიგ ვეტყვით შავშელებს, **მცრეველ** ვეტყვით (ქლასკური).

მცრეველი - მომგროვებელი, ამკრეფი. შესატყვისი საწყისია **მოცრევა** ||**მომცრევა**.

მო-არ: ვისაც ეშინია, ისაა **მოშიშარე**;

მოშიშარე არიან ესენი (ნუსრეთიე)...

მა-არ აფიქსებით არის ნაწარმოები კომპოზიტი **თვალმაცემარაა**:

ჭყიმაა კაცი - **თვალმაცემარაა** (მამურიე).

წარსული დროის საობიექტო მიმღეობის მაწარმოებელი უმთავრესად არის **-ილ** და **-ულ**: მნიშვნელობა არ აქვს, რომელი თემის ნიშანი აქვს ზმნას. ჭარბობს **-ილ** სუფიქსი (ხშირად იხმარება **-ულ**'ის ნაცვლადაც):

'ილ:

ოცი დღე კაცი სახში **დამალილი** მყავდა (ხება); დაწერილი **დამალილი** აქვა (ჰამიდიე).

ზოგჯერ **-ავ** თემისნიშნისეული **ვ** თანხმოვანიც არის **-ილ** სუფიქსის წინ მიმღეობის საყრდენ ზმნაში:

[თეიზეი] იქ **დამალვილა** (აივაზფინარი).

ავსილი ხალხი იყო (ბუჯური); არი **დარგილი**, ჰამა არ გამუუსხია (იბრიქი); **გაბუტილი** არიან (კირნათი); **მოხარშილი** იქმება (კირნათი); კახაბერში **გადაბარგილი** ვარ (მარადიდი); აქავრი გოგვები ჩალიშიდან (=მუშაობით) **გამაღლილი** არიან (ქლასკური); აქ ქი დერგებია **ჩაფლილი** (ბუჯური).

დაწვილი, **დაწვილი** ვიძახით... (ავანა); თლათ **დაწვილი** იყო (მარადიდი); ე ვაშლიც **შეწვილა** (მარადიდი).

ჩემი დედეს დედემ **მოკდომილი** იყო (ადაფაზარი).

ერთ ხიდზე არიან **გავლილი** (მარადიდი).

ჩემი დედეს და ერთი ბიჭი **შეყვარილი** ყოფილა და ართვინში აქიდან გაქცევლა (ჰამიდიე)...

-ულ:

შეკერული არ იყოს'ნა (თეშვიქიე)...

ერთსა და იმავე ფუმესთან იხმარება **-ილ** და **-ულ** აფიქსები. ჩამოყალიბებულა პარალელური ფორმები:

ბიჭი **დასახლილი** კყავს? (ერენქომ); **დასახლული** ვიყავ (ერენქომ); აგი ჩვენი სოფლიდან **დასახლულია** (ირშადიე).

ჰუდუდი ჩეიკილტა, **დაბადილი** არ ვიყავი (ხება); ჩემი ბაბომ აქ **დაბადულა** (ნუსრეთიე).

სოფელში **დალაგილან** (იჯადიე); აქ **დალაგულან** იშტე (იჯადიე)... გვხვდება **ნა-** პრეფიქსით ნაწარმოები მიმღეობები:

იმას **ნაციდი** აქვა (კირნათი); თურქჩა **ნათქმები** მაქ (ქართლა); **განაყოფი** მყავს (ქართლა)...

ნა- პრეფიქსიან ფორმას იშვიათად ერთვის **-ულ** და **-ილ** სუფიქსები:

თებზე ბევრი **ნავლილი** ვარ (ქართლა); **ნაცნობილები**, დები, ძმები... ჩევდოდენ (ჰამიდიე); იქ **ნაკითხული** კაცებიც იყვენ (ჰამიდიე)... მომავალი დროის მიმღეობას აწარმოებს **სა-** და **სა-ელ** აფიქსები.

სა-:

კაცები მედყრებოდენ, **საკლავი** წეყვანდენ (ჯივანი); **საციდავი** მოვა (გურბინი); ერთ თერეფზე **დასაბანავი** ძერი გააკეთებდენ (მალოვა)...

სა-ელ:

ჩემი ხელიდან **მოსაკლელია** (მარადიდი); ხელში **დასაკვენელა** არ მემეტება (მარადიდი)...

უარყოფითი მიმღეობის მაწარმოებელია **უ-ელ** კონფიქსი:

უტირელი არ იქნება (დევსქელი); **ულოცველიც** არიან (დევსქელი); თურქიეში **წუუსლელი** ძერი არ დუურჩა (იბრიქი); **გუუთლელი**

მეტყვიან, დათვი მეტყვიან (ქლასკური); მე **დუუნახველი** გვეთხვე (ისკები)...

ორი აფიქსით, ორმაგი მაწარმოებლით ნაწარმოები უარყოფითი მიმღობაც გვხვდება:

იგი **უგუთთლელი** არიან (ადაფაზარი); ღმერთო, მალე ნუ მომკლი, ჩემი **უდუუნახველი** (მარადიდი); **უწუუსლელი** არ იქნება (მარადიდი)...

§4. უდეტრები

4.1. ზმნიზედა

შორს ადგილის ზმნიზედას ეკვეცება ბოლოკიდური თანხმოვანი:

შორ იყო და აქ მოვდა (ერენქომ); ადგილები **შორ** გვეკონდენ (ჯივანი); მე ამ სოფლიდან **შორ**, არხვაში ვარ (ბაშქომ); მულები **შორ** გავათხოვე (ადაგული)...

იქ ზმნიზედა დაირთავს თანდებულებს: **ზე, ში**:

ბაშქომ **აგზეა** (<აქზეა) (მურღული); **იქში** მოლა ვარ, ათი წელია (დევესქელი)...

-**ზე** თანდებულს დაირთავს დროის ზმნიზედაც. **მაშინ** და **გუშინ** ზმნიზედები ბოლოვდებიან ე ხმოვნით:

ჩვენ **მაშინეზე** ახალმოზდე ვიყავით (ხება); მაგ ბაღანა **გუშინეზე** მივდიდა მარადიდ (კირნათი); მარადიდ არ გევდა იმან **გუშინეზე**? (კირნათი); მაგ ქალი ხომ არ მოსულა **გუშინეზე** კირნათ?

იგივე ზმნიზედები გვხვდება ე' ხმოვნის გარეშეც:

მაშინზე საჭმელები თელი კაა იყო (ჰამიდი)...

შეგნიშნავთ, რომ **მაშინზე, მაშინეზე, გუშინზე, გუშინეზე** ფორმები ოდენ კლარჯულის კუთვნილებაა, მსგავსი არ დასტურდება სხვა სამხრულ კილოებში.

დასტურდება უთანდებულო ფორმაც:

ხეჭეჭურად მეცვრევთ, თოვლი ქი მოსული იქნება, **მაშინ** (ისკები); **გუშინ** მოვდენ ესენი (ჯივანი)...

დროის ზმნიზედებია **უწინ** და **წინ**, რომელთაც ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვთ:

„ისკები“ თურქული არ არის, **უწინ** ერქვა, **უწინ** ეს მეზრე ყოფილა (ისკები); აკვანში **უწინ** ვაწვენდით (ჯივანი);

ახლა არ არი, **წინ** იყო, **წინ** (ჯივანი); **წინ** მალე დაასახლებდენ (ავანა); **წინ** ვიქმოდით... წყალ ამევლებდით (ჯივანი)...

ვითარების მნიშვნელის მნიშვნელობით იხმარება ზედსართავი **მეტი**:

მე **მეტი** მიაგება (ჯივანი); **მეტი** ბევრი უტირია (ერენქო); წინ **მეტი** კად იყო (ერენქო); **მეტი** კად არიან (ჯივანი)...

დასახელებულ წინადადებებში **მეტი** იგივეა, რაც **უფრო**, **ძალიან**. მეორე წინადადებაში „მეტი კად“ ზმნიზედის მნიშვნელობითაა.

მეტის პარალელურად გვხვდება თურქული **ჩოქ**, **ზორ**, **ენ**, **დაჰა**, რომელთა მნიშვნელობაა: **ძალიან**, **უფრო**:

ჩოქ გუხელია (= ძალიან ლამაზია) ბათუმი (მურღული);

ზორ (=ძალიან) ბევრი წვიმს (თხილაზორი); **ზორ** კად ქალია (თხილაზორი); **ზორ** ლამაზი იცი... (ისკები);

ჯანსული **ენ** (=უფრო) ქომოა (ისკები);

პური გავაყირმიზეთ, **დაჰა** (=ძალიან) კადა (ერენქო)...

ვითარების ზმნიზედის მნიშვნელობა აქვს ზედსართავის ვითარებითი ბრუნვის ფორმას:

მე მკითხავს **თურქულად**, მე **ქართულად** ვეტყვი (ჯივანი); ნახვარი **თურქულად** მოტრიალებულია (ჯივანი); **ძველათ** ჯევედეთს მეტყვიან (მურღული)...

ამავე მნიშვნელობითაა რიგობითი **პილაა**, **პილლაა** (<პირველად):

პილაა იმფერი იყო (ჰაჯიოსმანი); **პილლაა** ორი მეტრი [თოვლი] მოვდოდა (ჰაჯიოსმანი)...

ვითარებითი ზმნიზედაა კომპოზიტი - როგობითი რიცხვითი + არსებითი სახელი **პირ** (მნიშვნელობით ჯერ):

შვიდპირ (=შვიდჯერ) ამელია ვარ, გამჭრეს (ჯივანი); ამის ბაბოდ **ორპირ** დაქორწილებულა (ისკები); **ექსიპირ** ეს'ნა ჩეეკითხო (ჯივანი)...

წარმოქმნილი სახელი „ლამაზობით“ მნიშვნელობით იგივეა, რაც „ლამაზად“:

ღმერთო, **ლამაზობით** მომარჩინე (გურბინი)...

ზმნიზედებია: **წრეველაა** (წელს), **ერთხელაა** (ერთად), **ერცხვა** (კიდევ, მეორედ), **რასოდ** (=როგორ, სიტყვასიტყვით: ქართული რა + თურქული soy=ჯიში, გვარი, სახე, ხარისხი (ნიჟარაძე, 1971; შდრ. ჩლაიძე, 2001). დასახელებულ ზმნიზედასთან კავშირშია უკანასკნელი მნიშვნელობა - ხარისხი), **ჩუმარაა** (=ჩუმის გარეშე, ჩუმად), **ერთგან** (=ერთად):

კაკალი **წრეველა** არ იძებნება (იბრიქი); **წრეველ** თხილიც არ არი (ადაგული)...

ერთხელაა ვნახოთ (ბუჯური); **ერთხელა** ისამებდენ, მიაყოლებდენ (მარადიდი)...

თუ გონჯია, **ერცხვა** არ მედყვანდენ (ერენქო)...

რასოდ ჩეიცვამენ (ჯივანი)...

უჩუმარად დეჰპარიკებდენ (ადაგული)...
ჯარში ერთგან ვიყავით (ხება)...

4.2. თანდებული

ზოგ ზმნიზედას თანდებულის მნიშვნელობა აქვს.

მემრე:

მე მივცე ფარა, **მემრე** ჩეაროს და წევდეს (დევსქელი); **მემრე** ქორწილი იქნა (ტრაპენი); **მემრე** იმა მოკლენ მაინც (ავანა); თუ არ მეეწრა, ჩაფლავენ ორ დღეს **მემრე** (ერენქოდ); ორი თვის **მემრე** ჩამოდდენ (ისკები); ერ თვის **მემრე** ევსობა ყველაფერი (ბუჯური)...

შიგან:

შიგან ცოტა მარილ ჩაყრი (დევსქელი).

შდრ.:

იმ **დერგშიგან** არ მედშლება (ჰამიდიე).

ერთად:

დანაყევი ორთვენი **ერთად** (ჯივანი); ახლანდელი ზლები კი არ დაჟდებიან დედამთილის **ერთათ** (ნუსრეთიე)...

იქეთ ზმნიზედას **გარდა** თანდებულის მნიშვნელობაც აქვს:

აქ თხილის **იქეთ** რამ არ არის (ქართლა)...

თანდებულის მნიშვნელობით იხმარება ასევე ზმნიზედა **გართ:**

დურსუნავ, ნადის **გართ** ერთი დღე მომეხმარეთ (მარადიდი).

კლარჯულში **უკან** ზმნისართული თანდებული იხმარება **შემდეგ**'ის მნიშვნელობით:

ერთ თვეს **უკან** (=ერთი თვის შემდეგ) მოვალ (იხ. ფადავა, 2011:251; ცინცაძე, 2015:55-59).

თვის თანდებული გვხვდება **თვინ** ფორმით:

მე ჰიჩ **ვინმესთვინ** არ დიმიწყევლია (სირეთიე); გეხვეწები, ნენევ, ნუ ტირი **ჩემთვინ** (ერეგუნა); წყალი მაქვანა **მორწყვისთვინ** (აივაზფინარი)...

ვით თანდებული **ვენ**, **ვეფ** სახითაა:

დედამთილი **დედასავენ**, მამამთილი **მამასავენ**, მული გყავს-და **დასავენ** (ჯივანი).

დედასავეფ უყურეფს ამან (კირნათი)...

თან თანდებული თანხმოვანფუძიანი სახელის ნათესაობით ბრუნვას-თანაც გვხვდება:

ერთი დღე გოგოსთან, ერთი დღე **ბიჭისთან** (მარადიდი)...

გემი გათანაბრებულია ხმოვანფუძიან სახელთან და სახელობითში დაირთავს –ში თანდებულს:

გემიში ჩამყდარი ვარ (იბრიქი).

შდრ.:

ერთი **გემში** ოცი სოფელი იყო (მამამურიე).

გვხვდება –**დამ** თანდებულები:

კაკლიდამ გავაკეთეთ ბაქლავა (თხილაზორი); **გაღმიდამ** ნახვიდე... (მურღული); **რიზედამ** მეტანე (ისკები)...

აღნიშნავთ, რომ კლარჯულთან ერთად –**დამ** თანდებული გვხვდება შავშურში, აჭარულში, ტაოურში, მთელს სამხრულ მეტყველებაში და ქართული ენის მრავალ დიალექტში (იხ. ფაღავა, 2011: 235-241).

კლარჯულში **კენ** თანდებულს ზოგჯერ მოკვეცილი აქვს ბოლოკიდური **ნ**, რაც აღნიშნულია კიდევ სპეციალურ ლიტერატურაში:

წინესკე მიდის; **ზეისკე** შეიარა (იხ. ფუტკარაძე, 1995:17).

4.3. ნაწილაკი

კლარჯულში **მი** ნაწილაკი დაერთვის წინადადების სხვადასხვა წევრს და გამოხატავს კითხვას:

დაწერე-მი სიმღერა? (თხილაზორი); **ის-მი** მახსოვს ახლა, რავად გეეთხვეო? (ახალდაბა); ახლა **ხოფა-მი** გამეარეთ-და ქემალ ფაშასთან? (თხილაზორი)...

მი კლარჯულში (და საერთოდ სამხრულ მეტყველებაში) თურქული ენიდანაა ნასესხები. მსესხებელ ენაში იგი სხვადასხვა მოდალობას აღნიშნავს, კერძოდ: კითხვას, გაოცებას, იმასვე, რასაც ქართული კავშირები რადგან, თუკი, აძლიერებს მოქმედებას. დასახელებულ მნიშვნელობათაგან **მი** ქართულში მხოლოდ კითხვას გამოხატავს (იხ. ჩლაიძე, 2001).

კითხვის გამოსახატავად იხმარება –**ა** ნაწილაკიც, რომელიც დაერთვის ზმნა-შემასმენელს:

შენ საქმეზე **ხარა?** ორეთმენი **ხარა?** (გურბინი); ჰაჯიაა, ბეე, ჰა **ხარა?** (სირეთიე); ჯემალავ, ჰა **მიხვალა**, ჰა? (ნუსრეთიე); რავლი **ხართა?** (ისკები); ჩვენ ახლა გურჯი **ვიცითა?** (გვერი); ჩაი **სვითა?** (ისკები); სევგი აბლა, შენ რაფერ **ხარა?** (ნუსრეთიე)...

აღნიშნავთ, რომ დიალექტთაგან კითხვითი **ა** დასტურდება ტაოურში, კლარჯულში, შავშურში, იშვიათად აჭარელ მუჰაჯირთა მეტყველებაში, ხევსურულში, თუშურში, ფშაურში, ინგილოურში, რაჭულში, ნაწილობრივ ფერეიდნულსა და იმერულში. კითხვით **ა**ს ფუნქციური და ფონეტიკური

შესატყვისები მოეპოვება სვანურსა (ა, ი) და კოლხურში (ო). ჩანს, კითხვითი ა საერთოქართველური კუთვნილებაა (იხ. ფაღავა, 2009:29-39; წიკლაური, 2019:141-156).

რაჭულის მსგავსად კლარჯულშიც დასტურდება ნართაული ა ზმნასთან, მაგრამ რაჭულისაგან განსხვავებით, არა უმეტესად სხვათა სიტყვის –**ო** ნაწილაკ-მორფომოდის წინ (ჯორბენაძე, 1989:436).

ზაფხულში აქ ვარა (მურღული); აქვერი მუხტარი მე ვარა (აივაზფინარი); კენჭობილა ვიცითა (ჩუბუქლუბალა). ბობებს ჩვენი სოფლიერები არ ჩეიცვამსა (ნუსრეთიე); მეორე გოგო სტამბოლს ზისა (ნუსრეთიე); თქვენ სეფერი ხართა (ლუთბიე); ორ-ორი ვრწყავთა (აივაზფინარი); მე იმფერი დუშმანი მყავსა... (ხება); ერთი ბიჭი მყავსა (ნუსრეთიე); ორი ღარჭი ყავსა (ნუსრეთიე); იდარელი ხარა (ნუსრეთიე); მარტო კაცია, ქალი არ ჰყავსა (ნუსრეთიე); დიდი მექთები გათავებული აქვსა (ნუსრეთიე)...

წინადადებაში რამდენიმე ზმნიდან ა დაერთვის ერთს:

ვქამეთ, ვსვითა, ვიფერხულეთ, ვიმღერეთ (ჰამიდიე)...

იშვიათად ა დასტურდება ზმნაში სხვათა სიტყვის ო ნაწილაკის წინ:

კა ვართაო, ჩვენ ვერ ვიტყვით (ისკები)...

აღვნიშნავთ, რომ რაჭულში „ა დაერთვის მხოლოდ თანხმოვანზე დაბოლოებულ ზმნებს“ (ჯორბენაძე, 1989:436). კლარჯულში ა ნაწილაკი ხმოვნის მომდევნოდაც დაერთვის ზმნის ფორმას:

ვფიშმანობ, ვფიშმანობ, ვერ მოვგონეა (კირქხარმანი); მე ფარას ვუგზავნია იქა (გურბინი); ფაბრიკები არია (ლუთბიე); ეს არია ჯამის ხოჯა (ავანა); მისი ემოდ ვიძახია (ნუსრეთიე)...

ა ხშირად მე ნაცვალსახელით გადმოცემულ წინადადების წევრს დაერთვის:

მეა მურღული ძლები მყავს (გურბინი); მეა შიშაზე'ნა წევდეო (ისკები); იქ ვიკითხე მეა (ისკები); ჩვენ ორი დავჩით: ერთი ტადაა და მეა (აივაზფინარი); რა მქვია მეა თუ? (გურბინი); ორი მანქანა მყავს მეა (გურბინი)...

უარყოფითი არ ნაწილაკი ახლავს წყვეტილის ფორმას, ნაცვლად I თურმეობითისა (კონტექსტის მიხედვით):

გოგო ჯერ არ გაგათხვე (ჯივანი); ესეც იზმით არ დემადა (ჯივანი); ესეც სოფელში არ დემადა, იზმით დემადა (ჯივანი)...

კლარჯულში არ ვერ ნაწილაკის ნაცვლად იხმარება, ზოგჯერ - პირიქითაც:

მუხლი მტკივა, არ დავიძინე წუხელ (ესკი ფერადიე)...

იმსოფ აქა ვერ ვიცი (ირმადიე)...

ჰო ნაწილაკი კირნათსა და მარადიდში კითხვითი ნაწილაკის მნიშვნელობით იხმარება:

ხიზარი ვისი ხმაროფ, გო, ტადასი-ჰო? შენ რომ დაგარტყან, არ იტირეფ-ჰო? ამა ორი ყავს ძროხა-ჰო? ეს ვისია, გო, ხუშნეთასი-ჰო? ვისია ე გოდორები? ოსმანას ქალისა-ჰო? ბაბამ ცეცხლი დააქრობია-ჰო? ის გოგო აიშემა იცნოფს-ჰო? ჯემალამ რა ქთხოვდა, ჰო, ჟავე ქთხოვდა-ჰო?

ჰო ნაწილაკი გამოხატავს შემკითხველის დარწმუნების სურვილს იმაში, რაც მან იცის: მართალია, შემკითხველმა იცის, რომ მის თანამოსაუბრეს მჟავეს სთხოვდნენ, მაგრამ სურს, ამაში დარწმუნდეს.

§5. სინტაქსი

5.1. პირდაპირი დამატების ბრუნვა I სერიის ფორმებთან

პირდაპირი დამატება ზმნის პირველი სერიის ფორმებთან სახელობითშია (იხ. ბარამიძე, 2014:14. შდრ. მარადიდი, 2020:600-601). ეს მოვლენა კლარჯულის მკვეთრად გამოხატული თავისებურებაა და შეიძლება იგი ნორმად ჩაითვალოს. გვხვდება იგი შავშურშიც (სხვა სამხრულ კილოებშიც), მაგრამ არ აქვს სისტემური ხასიათი.

სახელობით ბრუნვაშია როგორც თანხმოვანფუძიანი, ისე ხმოვანფუძიანი სახელებით გადმოცემული პირდაპირი დამატება, თუმცა ჭარბობს თანხმოვანფუძიანი. დავიმოწმებთ სხვადასხვა პირისა და მწკრივის ფორმებს:

მიწი ხაპი ვთესავთ (დევესქელი); წყალი ვასხავთ (ჯივანი); ხახვი-მახვი, თელი ვურთავ (იბრიქი); მასლული ვაკეთავ, ფილავი, მაკარნა, ძულურთი (იბრიქი); ვერ ვარიგავ, გო, შენი ლაპარიკი (დევესქელი); ქართული ჰიჩ ვერ ვაგნავთ (ჯივანი); ჭადი არ ვაცხოზ (თხილაზორი); წევყვანავ კაციც (იბრიქი); ფუჩეჩი ჰა ყრი, გო? (კირნათი); თხილი წინ ვყიდევდით (იბრიქი); რმიდან ასე გვალი ყველი ვაკეთებდით (ქლასკური); ღერღილი დააყრი (დევესქელი); პური ღმეჭავს (ჰამიდიე); სამოხენ, ჩალლი უკრებენ (იბრიქი); ჩემი ლაპარიკი ვერ არიგებენ (მურღული); ახლა ხაზირი ეძღებენ (ჰამიდიე); წყალი გამეძღებდენ (ჰამიდიე); ბახშიში მიცემდენ გოგოს (მარადიდი); კალით დავაზამდით ფური (ჰაჯიოსმანი); გელინი რომ მამამისის სახლიდან გამეძყვანდენ, ბანი ეტყოდენ (მარადიდი)...

ხმოვანფუძიანი სახელები პირდაპირ დამატებად:

მექორწილები **ბაქლავა მოითხოვდენ** (ხება); ზედან **გადავხურავთ აზმა** (ავანა); იმის უკან **ერბო მოვასხავთ** (სირეთი); **თმა დავაჭრიდით** (ჰამიდიე); იმის მემრე **დეაწყებდენ ხუმრობა** (მარადიდი); ამას ჩვენ **ურუსელაი ვეტყვით** (ქლაკური); გენჯების საქმე ჩვენ ვერ **გავარიგავთ** (ისკები); **შიშა ჩავაყრიდი**, შევნახდი (ჯივანი); **გენიშლამა აკეთებენ** (იბრიქი); ამას რა **უძახიან?** (ჰამიდიე); **ყაურმა** ზამთრისთინ **შევნახდით** (ჰამიდიე); აქ **მოლა ეტყვიან** (ჰამიდიე)...

ებ'იანი მრავლობითიც სახელობითის ფორმითაა წარმოდგენილი:

ძველათ **ბაღნები მეაპარვიდიან** (კირნათი); **საჭმელები გააკეთებდენ** (ჰამიდიე); იქა **ხარები წეყვანდენ** (მურღული); **ძროხები აძვებდენ** (ისკები); ღობეზე ახტებიან, **სიმინდები ჭამენ** (მარადიდი)...

იშვიათადაა პირდაპირი დამატება მიცემითში:

ლელიდან **ვაკეთეფთ ლეჩერს** (ადაგული); კად **ფულს ვაკეთავთ** (ხება); **ლობიოს** ლამაზათ **დავტეხავთ** (ჯივანი); რავა **დეაწყოფ სიცილს** (მარადიდი); **ყურბანს დუუკლიან** (ჯივანი); **ხაჭოს ვაკეთავთ** (ისკები); ჩვენში ხოჯა **ნუსხას დაწერავს** (ავანა); იმასაც **ფარას მიცემენ** (სირეთი); **მიგარას ვსვავთ** (იბრიქი); ბაღნებმა **რას ამზობენ?** (კირნათი); ფეხის გულებზე **ინას ვიდებ** (ერენქომ); **გოგოს** რომ **გამოიყვანდენ**, ... **დავაყრიდით** (ხება); **გუუწვადებდენ თოფებს**, მოკლიდენ (ქლასკური); **ილაჯებს ვსვამ** (ერენქომ)...

თანხმოდანზე დაბოლოებული სახელი იშვიათად ფუძის სახითაა, დაკარგულია მიცემითის ნიშანი როგორც მხოლოდით, ისე მრავლობით რიცხვში:

წყალ ამევლებდით (ჯივანი); **ნაცარ შევაყრიდი**, შევნახდი (ჯივანი); ჩემ დედმა ყველა დერზე **წყალ მააშხაპებდა** (ერენქომ); **კიტრ დავთოფავთ**, ნიორ (გურბინი); ჰიჩ ქი არ **დეინახავ კაც** (გურბინი); **შრატ გადაასხამ** (ბუჯური); ის **ქათამ ჭამს** (გურბინი); ვინმეს **ხათრ** ვერ **დავარჩენ** (სირეთი); იგზე **სახლ ვაკეთებ** (დევსქელი); **მაწონ მოვასხავთ**, მად (გურბინი); **სახლებ ვაკეთავთ** (ისკები); **სიმღერებ** გოგვებმა **იტყოდენ**, **ძროხებ გამოყრიდენ**, წეყვანდენ (ქლასკური)...

ერთსა და იმავე წინადადებაში პირდაპირი დამატება სახელობითშიცაა და მიცემითშიც:

ახლა რომ არ **ვთესავ სიმინდი**, **პურს** (გულდიბი); **ქათამი დუუკლავენ**, **ფარას დუუდებენ** (მარადიდი)...

პირდაპირი დამატებისა და ზმნის ურთიერთობის საკითხები სპეციალურ ლიტერატურაში არაერთხელ გამხდარა მსჯელობის საგანი (ნიჟარაძე, 1975: 156-157; ცინცაძე, 1954:14-18; სურმავა, 1990:80; ფუტკარაძე,

2016: 218-219; ფაღავა, 2017(1): 29-31), გამოითქვა განსხვავებული მოსაზრებები: მიჩნეულია ა. ჭანურის გავლენად; ბ. დიალექტის შინაგანი განვითარების შედეგად.

5.2. ქვემდებარის ბრუნვა

როდესაც პირდაპირი დამატება I სერიის ფორმებთან მიცემითის ნაცვლად სახელობითშია, ქვემდებარე მოთხრობითშია, როგორც არის ეს საერთოდ ქართულ ენაში მეორე სერიის ფორმებთან:

ქათმები მიდიან და **ჭამენ** თესლი **ქათმებმა** (კირნათი); **რუსებმა ჭამებენ** ღორი[ს] ხორცი (იბრიქი); ჩვენი ჩაი მარადიდ **პროხებმა ძოვდენ** (კირნათი); ფული ბევრი არ **აძლევს ჰუქუმათმა** (ჯივანი); ამის **დედემისმა აწევდა** ნავი (მარადიდი); **ქედელმა** კაცი **მოკლიდა** (მარადიდი); გოგოს **უმფროსმა** მისი ხალხი **აწვევს** (ხება); მეივამა მიცემს ყვავილი (კირნათი); **ძაღლმა** თაფლი **ჭამს** (მელანააზი); **დედემა** ცომი **გააკეთებდა** (იბრიქი)...

შდრ.:

ძაღლი თაფლს **ჭამს**; **დედე** ცომს **გააკეთებდა**...

გამონაკლისია ქვემდებარე სახელობითში:

ჩემი **ღარჭები** ყურანი **კითხულობენ** (იბრიქი).

კლარჯულშიც დასტურდება ქართული ენის სხვა დიალექტებში გავრცელებული თავისებურება - გარდაუვალი ზმნით გადმოცემული ზმნა-შემასმენლის მეორე სერიის ფორმებთან ქვემდებარე მოთხრობითშია:

შეეყარა დათვმა (კირნათი); **ამან** გურჯისტანში **გეიზდა** (თხილაზორი); ჩემმა **ძმამ** შუაში **ჩადგა** (ხება); ამ **ძმამ მომიკტა** (ქართლა); **ქალებმა** შვიდ ღამ **იკითხებენ** (=ილოცავენ) (ავანა)...

ქვემდებარე მოთხრობითშია ასევე გარადუვალი ზმნით გადმოცემული შემასმენლის I სერიის ფორმებთან:

აქა ბუკში **მირტყმიდა მუჭელიმმა** (ნუსრეთიე); ჩვენი ქართველი **კაცმა**, მის განაყოფს თუ აქვა, ვერ **ტანულოფს** (ხება); **არაბამა** არ **წავა** იქა (ნუსრეთიე); **დედამისმა უყვიროდა** (გულდიბი); **ვინმემ** არ **გცემს** (ჰამიდიე)...

იშვიათად ქვემდებარე სახელობითშია გარდამავალი და მედიოაქტიური ზმნით გადმოცემულ შემასმენელთან მეორე სერიაში:

ამის **ბიძაშვილი** (=ბიძაშვილმა) იქ **იკითხა** (ჯივანი); დიდი **ბადიში** (=დიდმა ბადიშმა) უნივერსიტე **მეფგო** (გურბინი)...

5.3. შემასმენლის რიცხვი სხვადასხვა ჯგუფის სახელით გადმოცემულ ქვემდებარესთან

ვინ ჯგუფის არსებითი სახელის მრავლობითი რიცხვის ქვემდებარესთან შემასმენელიც მრავლობითია:

ბიბიებიც დარჩენილან იქ (ელმალი); **დადეები** სუფრიდან რაცხას **ჩედებენ**, მეძარვენ (ისკები); **კაცები** არ არიან, რამ არ იციან (დევსქელი); **ბიჭებმა** გოგვებს **გამუუთქვემდენ** (ჯივანი); **ლარჭებმა** **დაარქვეს** ზულუდ (გურბინი); **ჭადი ნენეებს უცხიან** კეცზე (დევსქელი)... ასეთ სახელთან შემასმენელი ზოგჯერ მხოლობითია:

მოვლოდა ქი **ელჩები** (გურბინი); თლათ თურქი **ნენეები დარჩა** (აზიზიე)...

სულიერი, რა ჯგუფის სახელის მრავლობითით გადმოცემულ ქვემდებარესთანაც შემასმენელი უმეტესად მრავლობითია:

დომუზები არიან, დათვები არიან, ვენახებში მოდიან, გვიჭამენ (გურბინი); **ხარები მოხნევდენ**, ახლა თრაქტორი მოხნავს... (გურბინი); თხილები გავაშენე, **ღორები ჭამენ** (ადაგული); **ძროხები გაქცევია** (ჯივანი); **ხარები იზუდლებენ**, ვერ გაარიგებენ და გადაკარდებიან (ქართლა); **ხოზიები** ჰად არიან, ჰემ დემეკარგენ (კირნათი)...

უსულო რა ჯგუფის სახელის მრავლობითის ფორმასთან შემასმენელი მხოლობითშიც არის და მრავლობითშიც:

აქ **კოდები** არი-და (ისკები); ჩემ ყანაში **ქუთები** იყო (ქართლა)...

აქ **ქლიავები** არიან (დევსქელი); **ყოლთულები** არიან (ისკები); **ძველი მეზრები** არიან (იბრიქი)...

[მ]თელი, **ზოგი, ვინმე, ვინ, ყველა** ნაცვალსახელებით გადმოცემულ ქვემდებარეებს შემასმენელი მრავლობითში შეეწყობა:

ყველა რაცხებს **მღერობენ** (ავანა); ინგლიზა **თელმა** იციან (თხილაზორი); მინდა, **თელმა** იგოდონ (ჰამიდიე); ყალე აქ **ზოგი** არიან (მურღული); **ვინ** დაგაწერიეს, ქალმა თუ კაცმა დაგაწერიეს (დევსქელი); **ვინმემ** არ დამაწავლეს (ჯივანი); **ვინმე** ჭადი არ ჭამენ-მეთქინ (მურღული)...

შდრ.:

ვინმე არ **დარჩა** (ბუჯური)...

ზოგი ნაცვალსახელიც მრავლობითია:

ზოგებმა ნახეს (ბუჯური)...

კრებითი სახელით გადმოცემულ ქვემდებარესთან შემასმენელი უმეტესად მრავლობითია:

იქ არიან ხალხი (იბრიქი); ხალხი გავლენ იქ (ქართლა); ჩომა (საქონელი) არ მოვლენ, ჩომა გარეთ დარჩენ (ქლასკური); საქონელი შეშინდენ, დადინდენ (ქლასკური)...

თუ ქვემდებარეს მსაზღვრელად ახლავს რაოდენობითი რიცხვითი სახელი, ქვემდებარე მხოლოდობითია, შემასმენელი - მრავლობითში:

ორი გოგო ისტამბულ არიან (ერენქო); **ხუთი** ძმა ყოფილან (ჰამიდიე); **ორი** ბიჭი ბურსას არიან, საქმოხენ (ბუჯური); **ორი** ბიჭმა ვერ ლაპარაკობენ (მარადიდი); **სამას** ოცდაათი სახლი (=კომლი) აქ არიან (დეესქელი); **ექვსი** ძმა არიან (დეესქელი); ყურზე მეცილებიან **ორი** ქალი (ნურუოსმანიე); ღამეში **ორი** მანქანა ჩამოვდენ ჩემთან (ჰამიდიე); **სამი** კაცი **მოვლენ** მიწისთინ (ავანა); **ერთი** დიდი მანქანა ჩევდოდენ (ჰამიდიე)...

მართალია, ბოლო წინადადებაში მსაზღვრელად არის „ერთი“, მაგრამ „მანქანა“ მრავლობითს ან კრებულს გულისხმობს. **შდრ.:** ერთი მანქანა ხალხი, კაცები, ახრაბები...

ასევეა, თუ მსაზღვრელად არის „ბევრი“, ქვემდებარეც მრავლობითშია:

ზოგი **ბევრი ქალები** მოსული არიან სამსუნდიან (ისკები); **ბევრი დედაბრები** თაზე არიან (ადაგული)...

იშვიათად ასეთ ქვემდებარესთან შემასმენელი მხოლოდობითშია:

იმ კარებზე **ორი** ინსანი ვერ დაჟდება (ისკები)...

ნაცვალსახელთან „იმდენი“ ქვემდებარე მხოლოდობითშია, შემასმენელი - მრავლობითში:

იმდენი გურჯი არ არიან (თხილაზორი)...


თუ ქვემდებარედ რაოდენობითი რიცხვითი სახელია, შემასმენელი მრავლობითშია:

ორი აქ მუშაობენ (დეესქელი); **ოთხი** აქ ჩამოსულან (ჰამიდიე); **ექსი** ჩამოვდენ, **ექსი** (ჰამიდიე); **ბიჭი** **ორი** არიან (მურღული); **ორი** დაქორწილდენ (ჯივანი): ერთი გოგო მყავს, **ორი** მომიკტენ (ისკები); **ორი-სამი** არიან (ისკები); მურღული[ს] სოფლებიდან **ბევრი** აქ მოვლენ (ისკები); **ბევრი** ართვინ მიდიან, **ბევრი** აქ მოდიან (ქართლა); **ბევრი** თუ იქნებიან, გარიგდებიან (ავანა)...

კომპოზიტით გადმცემულ ქვემდებარესთან შემასმენელი მრავლობითშია:

ბიჭ-გოგო წავლენ მის სახში (ისკები); **ნენეა-ბაბო** ფეხზე ადგებიან (ავანა)...

შემასმენელი მრავლობითშია ვინ ჯგუფის სახელით გადმოცემულ ერთგვაროვან ქვემდებარეებთანაც:



ბიჭები და გოგვები მეაყრებოდენ (აზიზი); **ისამებენ ბიჭი და გოგომა** (ავანა); **ბიჭმა და გოგომ** ერთმანები **მეაწონეს** (ისკები); **გოგო და ბიჭი** ერთმანებს ვერ **დეინახვიდენ**, შორიდან უყურებდენ (ავანა)...

იშვიათად ერთგვარ ქვემდებარებთან შემასმენელი მხოლობითშია:

ამის **ნენემა, ბაბომა, რა ქნას?** (იბრიქი); ერთი **ქალი** და ერთი **გოგო** ჰაცხან მიმავალი **ყოფილა** (ისკები)...

კლარჯულის ერთ-ერთი თავისებურებაა შემასმენლის მრავლობითი რიცხვი მხოლობითში მდგარ ქვემდებარესთან. მნიშვნელობა არა აქვს, რომელი ჯგუფის სახელია ქვემდებარედ - ვინ თუ რა ჯგუფისა:

დედე მომკტარი **არიან** (ბუჯური); ახლა მე **ხოჯა მყავან**, მაჭახლელი **არიან** (ჯივანი); **თურქმა** პარვა **იციან**, ჰამა **იციან**, პარვა მეტი **იციან**, დიდი მოპარვა (დევსქელი); ჩემი **დედე** იქიდან **მოსულან** (ნუსრეთი); ჰეკიაჯი **ნენე** ზომო სახში **არიან** (ბუჯური); ამის დედას დედემს **და** მუჰაჯირობაში შიგ **დარჩენილან** (იბრიქი); **მომსლეღმა დაბდღნეს**, ალთუნ ემებდენ (იბრიქი); ქართველი **ნენე** არ **დამჩალან** (აზიზი); იქ **გურჯი** არ **არიან**, ლაზები **არიან** (თხილაზორი); **ნენე** მეც **მომიკდენ**, **ბაბო** **დიმიქორწილდენ** (ჯივანი); ... ჩემი **მაზლი** არი, იმას **დუუბახნიან** თქვენი თავი, დანახვა **უნდოდენ** (ჯივანი); **ანალუდი მომიკდენ** (ჯივანი); კა **ქალია**, **მივარებიან** (თხილაზორი); **ბუზი აფრინდებიან** (ერენქო); აქ დირეგები იყო, **ყალე** არ **არიან** (მურდული); ის ემე, **წყალი არიან**, წარე წყალია (ბუჯური); [რამაზანის] **დამჭირველიც არიან** (იბრიქი)...

თუ მრავლობითშია შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი, ქვემდებარე მხოლობითშია:

ჩემი **კაცი აღუჩელეზია**, მე - ოსმელი (ნურუოსმანი)...

აღვწერეთ სახელისა და ზმნის სინტაქსური ურთიერთობის თავისებურებანი კლარჯულში, ყურადღება მივაქციეთ ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში გამოვლენილ ყველა შემთხვევას, კერძოდ:

ა. პირდაპირი დამატების ბრუნვა I სერიის ფორმებთან;

ბ. ქვემდებარის ბრუნვა;

3. შემასმენლის რიცხვი სხვადასხვა ჯგუფის სახელით გადმოცემულ ქვემდებარესთან.

გვაქვს ფორმათა მრავალფეროვნება, რომელთა უმეტესობა კლარჯულის მახასიათებლად უნდა ჩაითვალოს, რაც ამ დიალექტს გამოარჩევს ქართული ენის სხვა დიალექტებისაგან.

5.4. განსაზღვრება და საზღვრული წევრი

კლარჯულში სამივე სახის განსაზღვრება გვხვდება - შეთანხმებული, მართული, მართულ-შეთანხმებული. გადმოცემულია იგი სხვადასხვა მეტყველების ნაწილით: არსებითი სახელით, ზედსართავით, რიცხვითი სახელით, ნაცვალსახელით, მიმღობით.

შეთანხმებული განსაზღვრება უმეტესად პრეპოზიციურია:

მღრეა **ზომო წყალი** (ბუჯური); **თეთრი ვაშლი** მალ დალპება (ბუჯური); **ასი თხა** ერთ საათზე მოვწველიდი (ქლასკური); **ჩვენი დედები** მოსულან (აივაზფინარი); **შენი კაცი** არ გახლავს? (გურბინი)...

პირველი და მეორე პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელით გადმოცემული პრეპოზიციური განსაზღვრება სახელობითში თითქმის ყოველთვის შეთანხმებულია საზღვრულ წევრთან:

ჩემი ქალი ხართველია (ჰამიდიე); **ჩემი სახელი** ებზედი არ გეტყვი (გოლჯიქი); **ჩვენი ჩაი** მარადიდ ძროხებმა მოვდენ (ჯივანი)...

იშვიათია ფუძის სახით:

ჩემ ბაბო ლამაზათ გააძრობდა ყავარს (თემვიქი); **ჩემ დედე** იტყოდა (გურბინი); ბობებს **ჩვენ სოფლიერი** არ ჩედცვამსა (ნუსრეთიე)...

სხვა ბრუნვებში განსაზღვრება სხვადასხვა ფორმით არის წარმოდგენილი: მოთხრობითში იშვიათად არის შეთანხმებული:

ჩემმა ბადიშებმა არ დეძწავლენ (ჯივანი); **ჩემმა ბაბომაც** [ნავი] ამუშავა (ხება); დიდი ქუმუგები ამოილო **ჩემმა დედმა** (დევსქელი)...

ხშირად ნაცვალსახელი ფუძის სახითაა:

მოთხრობითი:

ჩემ ნენმა მეტი კად არ იცის (გურბინი); **ჩემ კაცმაც** ჰასტანეში დაწვა (აივაზფინარი); მე ახლა თეიზეს მიძახის **ჩემ ღარჭმა** (აივაზფინარი); ეს **ჩემ ბაბომ** დამაწავლა (გურბინი); ახლა მევლუდიწა აკითხიოს **ჩემ გოგომა** (თხილაზორი); **ჩვენ ახლებმა** გურჯული არ იციან (ერენქო); **ჩვენ ბაბომა** იმუშავა (ისკები); **ჩვენ ხალხმა** უყურავდით (მარადიდი); **შენ წევრებმა** გაფხიკეს გზა (კირნათი)...

მიცემითი:

ჩემ ბადიშ ვუძახი (ადაგული); ჩამოდთ და დევვაპაკოთ **ჩემ ნენეს** (დევსქელი)...

ნათესაობითში:

ეს **ჩემ ტადას** გოგოა (თხილაზორი); **ჩემ შვილის** ქორწილი გავაკეთე (ბუჯური)...

მოქმედებითი:

წყალი ჩაასხა და მეტანა ერთ თითით (კირნათი)...

განსაზღვრება სახელობითი ბრუნვის ფორმითაა მოთხრობითში მდგარ საზღვრულ წევრთან:

ჩემი ბაბომა მისი ბაბოა არ ცნობილოფს (შირინსულიე); **ჩემი ღარჭებმა** ანერთმა არ იცის (მაამურიე); **ჩემი ნენემა** დედნახა ლამაზი ბიჭი (სირეთიე); **ჩემი ბადიშებმა** იკითხებენ (ჯივანი); **ჩემი ბიჭებმა** იქ იარეს (ერენქოა); **ჩვენი ქითაბებმა** იძახის (მაამურიე); **შენი ნენემა** იცოდა-თუ? (თხილაზორი); **ჩემი ძაღმა** შეეძახება (ისკები)...

განსაზღვრება სახელობითი ბრუნვის ფორმითაა მიცემითში მდგარ საზღვრულ წევრთანაც:

იმა[ს] მიდევს ჰე, **ჩემი ძმას** (კირნათი); **შენი დერდიებს** ყველამფერს გიგინეფს იმანო (კირნათი)...

საზღვრულ წევრთან ბრუნვაში შეუთანხმებელი განსაზღვრების სხვა შემთხვევები:

ახლანდელი მოზარდებმა არ იციან (ბაგინი); **ერთი ბაღანამ** იქ იკითხა (დემირაჩმა); **ერთ კვირის** უკან დუუნახვან სიძე (ადაგული); ბათუმიდან ართვინში **სამი დღეზე** ევდოდა (ხება); გედევხადევით **სამ კაცმა** (კირნათი); **ბერ კაცმა** რა'ნა ქნას ზამთარში? (კირნათი); **ბევრი ინსანმა** ხმარობს წამალი (ჰამიდიე); **ოთხი კუთხეს** თუ იფიქრე... (მარადიდი); **ბაღნებმა** ზათი არ ეპატრონებიან **მისი სახს** (კირნათი); **მისი კაცმა** თუ რამ არ ამბოფს (მარადიდი)...

არსებითი სახელითა და მსაზღვრელი კუთვნილებითი ნაცვალსახელით შედგენილ კომპოზიტს ახლავს განსაზღვრება, გვაქვს ორმაგად განსაზღვრული საზღვრული:

ესა **ჩემი მამაჩემია**, ესეც დედაჩემი (ქლასკური); **ჩემი მამაჩემი** იყო სექსან დორთ დაშინდა (ახალდაბა); **ამის დედამისმა** აწევდა ნავი (მარადიდი); **მაგის დედამისი** არ დიმიწახია (კირნათი); ვერ ხედვიდა იგზე **მის დედმის?** (მარადიდი); **ქაზიმას დედამისმა** მიძახს (მარადიდი); ადშედგ მივა **მისი აბლამისის** სახში (კირნათი); დაგანდო **შენმა ნენეშენმა** ედიო? (მარადიდი); **ჯემალას მამისი** ყოფილა (მარადიდი); თექქემ (=ოლონდ) ჰექიმს ნუ გააგონეფ **მის მამის** (მარადიდი)...

მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობას კლარჯულში არაერთი მკვლევარი შეეხო (იხ. კლარჯეთი, 2016: 572-573; ფაღავა, ცეცხლამე, 2017: 259-260; ფუტკარამე, 2016:216-217; მარადიდი, 2020: 602-604), ანალოგიური ფორმები დასტურდება სხვა სამხრულ კილოებშიც: აჭარულში (იხ. ნიქარამე, 1975: 155), შავშურში (იხ. შავშეთი, 2011: 275; ფაღავა, ცინცამე, ბარამიძე, 2022:

120-121; მაჭახელი, 2017:259), ტაოურში (იხ. ტაო, 2020:760). ლინგვისტურად საყურადღებო მოვლენასთან გვაქვს საქმე. და რაც მთავარია, აღნიშნული თავისებურებები მეტ-ნაკლები ინტენსივობით ყველა სამხრულ დიალექტში გვხვდება, რაც კიდევ ერთი დასტურია, რომ სამხრული კილოები სამხრული მეტყველების დიფერენციაციის შედეგია.

§6. გარემოებანი

6.1. ადგილის გარემოება

ადგილის გარემოება უმეტესწილად გადმოცემულია სახელის ფუძით, თუ სახელი თანხმომავანფუძიანია მოკვეცილია მიცემითი ბრუნვის ნიშანი:

ისნები **ბათუმ** მივდოდენ (კირნათი); **ბათუმ** წვევლით (კირნათი); **ბათუმ** ხართ? (ავანა); იზეთამ რაზე წვედა **ბათუმ**? (კირნათი); ხვალ **ბათუმ** უნდანან წასლა (მარადიდი); მოგვიშვებენ **ბათუმ**? (ადაგული); მე ზამთარში **გოლჯუქ** ვარ (აივაზფინარი); ჩემი ემიაშვილის გოგო გათხოვდა **მარადიდ** (ერენქო); ამაზლამ **მირვეთ** მივალ (ადაგული); **იზმით** მივეით (მაამური); გაყიდევდენ **სტამბულ** (კირნათი); იქიდან იგზე გედევდა, **შუმანეთ** (კირნათი); ბერიძეები **თხილნარ** არიან (ქლასკური); მე **ტრაპინოზ** ვარ (თხილაზორი); აქიდან **ყარაგიოლ** გადახვალ (ქლასკური)...

გვხვდება ნაწილკიანი ფორმა:

ბათუმაც ხისიმები ყავს აბლას (ხება)...

ხმომავანფუძიანი სახელით გადმოცემულ ადგილის გარემოებაში შენარჩუნებულია მიცემითი ბრუნვის ნიშანი:

სანახშირეს მინდა ასლა (კირნათი); მე ზამთარში **ბორჩხას** ვარ (იბრიქი); სახლი მაქვან **ბორჩხას** (ავანა); ეს **ანკარას** იკითხავს (ტრაპენი); ეს **ალმანას** საქმობს (ჰამიდიე); აქ ორმოცი-ორმოცდაათი ნავი იქნებოდა: **ხებას** იქნებოდა, **კატაფხიას** იქნებოდა, ართვინ იქნებოდა, **ბორჩხას** იქნებოდა (ხება); ექსი წელი **ჰოლანდას** ვისაქმე (ჰამიდიე); ის აქ არ არის, **გერმანას** წესულა (ჰამიდიე)...

ს იშვიათად თანხმომავანზე დაბოლოებულ ფუძეებთანაც არის შენარჩუნებული:

მეორე ძალი **სტამბოლს** ზის (ნუსრეთიე); **გოლჯუქს** ირმი თანე სოფელი არი (ჰამიდიე); არაბისტანიდან გადმოსულან **თიფლისს** (ქლასკური)...

იშვიათია ადგილის გარემოებად –ში თანდებულიანი სახელი:

ბათუმში ჩამოვდეთ და რა ვქნათ? (ადაგული); მე **გოლჯიკში** ვარ (ჰამიდიე); ჩვენებმა **ბორჩხაში** ჩამოსულან (ჰამიდიე)...

თურქულ სახელში **ჩარში** (თ. carşi – ბაზარი) ფუძისეული **ში** ჩათვლილია ქართულ თანდებულად:

ზამთარში **ჩარში** ვართ, ზაფხულში აქ ვართ (გურბინი); ბითუმ **ჩარში** ხარ, სული არ გიწუხს? (იბრიქი); ვიყიდავთ, **ჩარში**’ნა ედლო (იბრიქი); რავად გათოვდება, მიმყავან **ჩარში** (ადაგული)...

ერთი შემთხვევა შეგვხვდა შავშურში (ბაზგირეთის მეტყველებაში), როცა სახელს **ჩარში** დართული აქვს –**ში** თანდებული:

აიჰანა **ჩარშიში** წევდა (შავშეთი, 2011:270).

6.2. დროის გარემოება

დროის გარემოება გადმოიცემა დროის აღმნიშვნელი სახელის –**ზე** და –**ში** თანდებულისანი ფორმით.

–**ზე**:

დილაზე არ’ნა დედლაპარიკო (ჯივანი); ერთ **კვირზე** სადილ მუტანდენ (ხება); ახლა’ნა წამოვდეს, **სალამოზე** კი არ მინდა (კირნათი); გაწვიმდება **დილაზე** (კირნათი); ასი თხა ერთ **საათზე** მოვწველიდი (ქლასკური); ბათუმიდან ართვინში [ნავი] სამი **დღეზე** ევლოდა (ხება); ორ **დღეზე** გახმება, სამ **დღეზე** ამოვა (მარადიდი)...

–**ში**: უფრო მეტია –**ში** თანდებულისანი სახელი დროის გარემოებად:

ღამეში ნადებ ვიქმოდით (გურბინი); ჩვენ **ღამეში** ძასლულზე ვდგებით (ნუსრეთიე); ჩვენი მაშინა **ღამეში** მივა (კირნათი); **ღამეში** დაბეჩდებაო (ქართლა); მე **ზამთარში** გოლჯუქ ვარ (აივაზფინარი); აქ **ზაფხულში** მუალ (მარადიდი); **ზაფხულში** აქ ვარა (ბაშქოა); **მაისში** ამოვალთ (ბაგინი); ყველი კვირე **ხუთშაბათში** ერთი ძროხა დედკლებოდა (ჰამიდიე)...

უთანდებულო მიცემითი დროის გარემოებად:

დგანან ორ **თვეს** (ბაგინი)...

მიცემითშია კომპოზიტის მეორე ნაწილი, პირველი კომპონენტი თურქულია:

ლემს ვიჯები **ახშამ-დილას** (ერენქოა)...

დროის გარემოება სახელობითის ფორმით:

ერთი **დღე** იტირებდა (დევსქელი); შენ სახში დადექ ერთი **დღე** (კირნათი); ბითუმ **ღამე** მევგონეფ ყველამფერს, ჰამა **დღე** ველარ ვაკეთებო (კირნათი)...

დროის გარემოება სახელის ფუძითაა გადმოცემული:

ზაფხულ ჭოროხი პაწად იქნება (ხება); **ზამთარ-ზაფხულ** აქ ვარ (ქართლა); თუთუნსა **ზაფხულ-ზამთარ** მუშაობა უნდა (ნუსრეთიე)...

ო და **ე** ხმოვნებზე დაბოლოებულ სახელებს - **საღამო, ღამე**... ჩამოეკვეცება ბოლოკიდურა ხმოვანი და აქვთ დროის გარემოების ფუნქცია:

საღამ ჭამა იქნება (ჰამიდიე); ქალებმა შვიდ **ღამ** იკითხებენ (ავანა)...

საღამ ფუძე კომპოზიტის ნაწილიცაა:

დილა-საღამ ნუ ურტყავო (კირნათი)...

საღამ და **ღამ** ამ შემთხვევაში ზმნიზედის მნიშვნელობით იხმარება. ეს ის შემთხვევაა, როცა „სახელები ბრუნვათა პარადიგმიდან გამოსვლის შემდეგ იქცევიან ზმნიზედებად, ანუ გარემოებებად” (უთურგაიძე, 1986:96). აქვე შეიძლება დავასახელოთ საერთოდ სამხრული მეტყველების **ამეზღამ**||**ამაზღამ** ფორმების კლარჯულში გავრცელებული უასიმილაციო ვარიანტი - **ამესღამ** დროის გარემოების ფუნქციით:

ამესღამ ყინა არის ამის დადს: **ამესღამ** დუგუნი მაქვანა, ყინა'ნა გავაკეთოთ (ქართლა).

ამასღამ>**ამესღამ** (დისიმილაციით).

ამასღამე, ამაზღამ, ამეზღამ გვხვდება ზემოაჭარულში, მაჭახლურსა და იმერხეულში (შავშურში), ქართული ენის სხვა დიალექტებში არ იძებნება. დასტურდება „ამირანდარეჯანიანში”, „რუსუდანიანში”, „ვისრამიანში”, „ყარამანიანში” (იხ. ცინცაძე, ფალავა, 1998: 25-26; ფალავა, ცინცაძე, ბარამიძე, 2022: 21).

კლარჯულში დროის გარემოების ფუნქციით იხმარება კომპოზიტი **ახლოპირ**, რომლის მეორე ნაწილი არსებითი სახელის ფუძეა:

შენი მული **ახლოპირ** იყო აქა? (კირნათი); მარადიდში ჩეველი **ახლოპირ** (ერენქოძე); ნარტყამი იყო **ახლოპირ**? (კირნათი)...

ახლოპირ იგივეა, რაც „ცოტა ხნის წინ”.

-**ობა** სუფიქსით ნაწარმოები -**ში** თანდებულიანი **ღარჭობა** (=ბავშვობა) გადმოსცემს დროის გარემოებას:

აქ მოველ **ღარჭობაში** (თხილაზორი).

შდრ.:

ბველობაში (=ბველად) ასე ყაზანები გვქონდენ (თეშვიქიე).

დროის გარემოება გადმოიცემა სალიტერატურო ქართულის **დღისით** ფორმის კლარჯული ვარიანტით - **დღესით**:

მე **დღესით** სხვა რამ საქმეს ვიჯებოდი (გურბინი)...

კირნათ-მარადიდის მეტყველებაში დროის გარემოება გადმოცემულია **ვალ/ვლ** ფუძის საწყისის სახელობითი ბრუნვის ფორმით, რომელიც გამოხატავს სხვა მოქმედებასთან ერთად, სხვა მოქმედების პრალელურად შესრულებულ ან შესასრულებელ მოქმედებას: **ჩამოვლამ** - ჩამოვლის დროს, **ავლამ** - ავლის დროს:

ნავებს **ავლამ** საბელით დეეწიკებოდენ, **ჩამოვლამ** - სისტარით (მარადიდი); **გავლამ** გაღმა არ დადგე (კირნათი); ისინი **ჩამოვლამ** ტადას ყურძენზე გევლენ (კირნათი); გაღმა რომ წეხვალ, **გავლამ** გუგუმები წედლე (კირნათი); თუ ვინმე ვნახევი, **ჩავლამ** გავციდავ (კირნათი); **ჩავლამ** გუგუმები მიმქონდენ (მარადიდი); ერთიც რავა ვერ დევნახე **ჩავლამ** (კირნათი); წითელაძე რემში **ჩავლამ** გადავარდნილა (კირნათი); **ავლამ** ერინჯი'ნა ავდენო ზედთკენ (კირნათი)...

6.3. აღწერითი წარმოება

კლარჯულში არწერილობითი წარმოების შემთხვევებია:

გამგეობა **ნაილემა იჯება** (კირნათი); ჩემ შვილი **შოფერობას იჯება** (აივაზფინარი); არ **იჯებიან ლაპარიკ** ახლა (ბაგინი); დიდი **თოვლი იჯება** (იჯადიე); **მერაყ** (=დარდს) **ვიჯები** (აივაზფინარი); ზამთარში **ხაზირობას** (=სამზადისს, მზადებას) **იჯებიან** (იბრიქი); ჩემი კაცი **საქმეში იყო** (მუშაობდა) (ჯივანი); **დუას** (ვედრებას) **იქმენ** (ჯივანი); მე ვენახში **ლობიოს ვიქავ**, ჩემ საფერ (ნურუოსმანიე); ქედ-ქედ **გადავლილი** არ **ხარ ჰიჩ?** (კირნათი); ავტობუსი აჭარისადმართისა **ჩავლილი იქნებაო** (კირნათი); **სუნეთაოზა იჯებოდა** (ქლასკური); ისტამბოლის დიდი პოლიციის **უმფოსობა ქნა** (ჰამიდიე); მე **ასკერი ვისაქმე** (ჰამიდიე); ჩვენ არ ვიქავთ, ემიაშვილის **მიცემა** არ **ვიქმთ** (ირშადიე)...

თავი 3. ლექსიკა

§1. კლარჯულის ზოგიერთი ლექსიკური თავისებურება

კლარჯული ლექსიკა, ბუნებრივია, სამხრული მეტყველების, სხვა სამხრული კილოების ლექსიკის ნაწილია. დავიმოწმებთ ზოგიერთ საერთო მასალას შავშური და კლარჯული კილოებიდან:

ადგა - აღნიშნავს რაიმე საგნის ხმარებიდან გასვლას, რომელიმე ჩვეულების თუ წესის მოშლას. ეს მნიშვნელობა მხოლოდ ზმნის ამ ფორმით გადმოიცემა:

ადგა გურჯი სამობა (შირინსულიე); თუთუნი **ადგა**, ახლა პური და სიმინდი ითესება (სირეთიე); ახლა ისინი **ადგა**, ახლა ერთი ყინაგეჯე იქმენ (მარადიდი); სახლების დუგუნები არაა, **ადგა** (მარადიდი)...

სიცოცხლე, ცოცხლობა, სიცოცხლობა ცხოვრების მნიშვნელობითაც იხმარება:

[შვილები] ერთი აგზე **ცოცხლობს**, ერთიც - ბორჩხაში (ხება); დმერთმა კამ **სიცოცხლე** მოგცეს, **სიცოცხლობა** მაქ (ჯივანი); იმის მერე **ვცოცხლობთ** აქაურობაში (დევსქელი)...

იშვიათია **ცხოვრება**:

იქაც არ **ვცხოვრობ**, მივალ, მუალ (მარადიდი)...

თურქულში yaşama, yaşamak აღნიშნავს **ცხოვრებას, არსებობას, სიცოცხლეს**.

ცხოვრების, დასახლების, დაბინავების მნიშვნელობით კლარჯულში (საერთოდ სამხრულ მეტყველებაში) ფართოდ არის გავრცელებული **ჯდომა, დაჯდომა** კონტექსტის შესაბამისად სხვადასხვა მწკრივის ფორმით:

ართვინ **ვზივარ** (ქართლა); იზმით **ზის** (ჰამიდიე); ბიჭიც გოლჯიქში **ზის** (თხილაზორი); თეელი აქ **ვზივართ** (თხილაზორი); ერთათ **ზიხართ?** (ერენქო); ახლა ნურეთიეს **ზიან** (ჰამიდიე); ბორჩხას **ვიჯექი** ათ წელწად (ერენქო); იზმითში **დავჯექი** (ბაშქო); ახლანდელი ზლები არ **დაჟდებიან** დედამთილთან ერთათ (ხება); აქ წყალი უნახვან და დამჟდარან (სირეთიე); მისი ემო და ძენგაა ერთხელაა **დავჯექით** ოთხ წელწად ერთ სახში (ნუსრეთიე)...

თურქულში ჯდომას, დაჯდომას (Oturmak) აქვს **ცხოვრების** მნიშვნელობაც (ჩლაიძე, 2001).

დაჯდომას|დაჟდომას სამხრულ კილოებში აქვს სხვა მნიშვნელობაც - გასათხოვარი ქალის თვითნებური მისვლა სასურველი მამაკაცის ოჯახში მომავალ ცოლად - „ქალად დაჟდომა“. ასევე შესაძლებელი იყო ქალი მიეყვანათ მომავალი მეუღლის ოჯახში და „დაეჟდუმლებიათ“. ასეთ შემთხვევაში იტყოდნენ „ქალი დუჟუდა“ ან „ქალი დუჟუდუმლესო“. დაჯდომა ამ მნიშვნელობით აღარ გვხვდება, რადგან თვით მოვლენა აღარ არის. ეს „დაჯდომა“ და „დაჯდუმლება“ მთელ აჭარულშია ცნობილი: ძველი მთხრობელებისაგან გაიგონებთ, იმას **ქალი დუჟუდაო**, ანდაც **დუჟუდუმლესო**. ჩანს, ეს წესი თურქეთელ ქართველებში დღემდეა შემორჩენილი.

ბორჩხელი მუჰაჯირის ერთ-ერთი შთამომავალი ჰყვება: „აჲ ქალი მოვდა, **დაჯდა**. ამის ქალი'და გავხდეთ. ჰოლანდადან მოველ, ქორწილი ვქენ, ვართ ასე” (ჰამიდიე).

დაბა ყარაფურჩეკელი გვიამბობს: „მე ასკერში ვიყავ, ქალი დამხდა, არც შემეკითხენ”.

თეშვიქიელი ჰყვება: „მე ხებერი არ მქონდენ, მე ასკერში წვეელ, მოველ, დუუქორწილებიან ჩემი თავი“.

„**ფარის დაწვენა**“ ბანკში ფულის შენახვის მნიშვნელობით იხმარება კლარჯულში (ზოგადად ჭოროხის ხეობის ქართულში):

მე ემექლი ვარ, **დავაწვინე ფარა** (მაჰმუდიე)...

თურქულში yatirmek uzatmak აღნიშნავს **დაწვენას, ჩაწვენას**, აგრეთვე ფულის შეტანას, შენახვას ბანკში: parayi bankya yatirnak.

სიტყვას **თვე** კლარჯულში სინონიმად აქვს [მ]თვარე:

ერთი კილო თუთუნი ერთი **თვარე** მეყოფა (ჰამიდიე); ბიჭი ასკერში თუთხმეტი **თვარე** დარჩება (სირეთიე); არც მარტმა გამახარა, არც აპრილის **თვარემ** (თხილაზორი)...

ამ მნიშვნელობისათვის ამოსავალია თურქული ay, ნიშნავს 1. მთვარე, 2. თვე. შდრ. რუსული месяц.

სალიტერატურო ქართულისა და სხვა კილოებისაგან განსხვავებით კლარჯულში (საერთოდ სამხრულ მეტყველებაში) ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვთ სიტყვებს: **ჭამა** და **მირთმევა**. **მირთმევა** არ არის პატივისცემის გამომხატველი სიტყვა:

ჭუჭულეზ **მირთვი** კაკალი, ბაღანას მირთვი, გო! (კირნათი).

ჭამა და **მირთმევა** კლარჯულში ერთმანეთის გვერდით იხმარება:

საჭმელი **მოგართევს, გაჭამეს?** (იბრიქი); **ვჭამთ**, ძროხასაც **მივართმევთ** (ისკები); ჩვენ იქა მოვდეთ, არ **მომართმევთ** რამეს? (ჯივანი); საჭმელი არ **მოგართვა**, მოგიხდება? (მოგეწონება) (დევსქელი)...

სტუმრისადმია მიმართული კლარჯის სიტყვები:

ჭამეთ და ისე დაწერეთ (დევსქელი); ახალი მოწყვეტილია, **ჭამეთ** (დევსქელი); **ჭამეთ** და მასუკან წეძთ (ნიმეთიე); მაღლია, **ჭამეთ** (ავანა)...

შევნიშნავთ, რომ მორიდებულ საუბარში **ბრძანება** **ჭამის, მირთმევის** მნიშვნელობით იხმარება აჭარული დიალექტის ქობულეთურ კილოკავში, იშვიათად სხვა სამხრულ კილოებშიც (ფუტკარაძე, 1993:406).

ბრძანება მირთმევის მნიშვნელობით კალკია თურქულისა (გურგენიძე, 1973:81). Bayurak თურქულში ორი მნიშვნელობით იხმარება: 1. ბრძანება, მობრძანება. 2. მირთმევა. Buyrum - მიირთვით. სპარსულის კალკად მიაჩნია ეს

სიტყვა აღნიშნული მნიშვნელობით რ. რამიშვილს (იხ. რამიშვილი, 2001:86). **ბრძანებას მირთმევის** მნიშვნელობით ზემოაქარულში ადასტურებს თ. სახოკია (სახოკია, 1950:62). მირთმევის მნიშვნელობა აქვს მას „რუსუდანანსა“ და „ამირანდარეჯანიანში“ (იხ. ცინცამე, ფაღავა, 1998:198). საშუალო ქართულის ძეგლებში **ბრძანების მირთმევის** მნიშვნელობით დადასტურება გვაფიქრებინებს, რომ იგი არაა თურქული ნასესხობა.

ცეცხლი კლარჯულში აღნიშნავს ნაღვერდალსაც:

იმის უკან (=იმის შემდეგ) **ცეცხლი** და დააყარო (ხება); საჯ დაახურევდენ [კეც], დააყრიდენ **ცეცხლ**, გამოცხვებოდა ჭადი (ჰაჯიოსმანი).

ცეცხლს ზოგჯერ ენაცვლება ღვიორო:

ახლა **ღვიორო**’ნა დააყარო (დეესქელი)...

თითქოს უცნაურია, რომ „თაობის“ მნიშვნელობით იხმარება „მუცელი“:

დიდვანებიდან გაგონილი მაქ, სამი **მუცელი** გამეიცვალოს’ნა, იმის უკან შეიძლება... დეიდაშვილებში ნათხოვნობა (ქლასკური).

იგულისხმება, რომ სამი თაობის შემდეგ, მეოთხე თაობაში შეიძლება ნათესავების, აქ, დეიდაშვილების ქორწინება.

ქართული ენის, მისი დიალექტების სინონიმები - **დაგვა**, **დახვეტა** კლარჯულში ნიუანსობრივად განსხვავებულია: დასუფთავების მნიშვნელობით იხმარება მხოლოდ **დაგვა**:

დაყარე, რა უშავს, მე **დაგვი** (თხილაზორი); **გვის**, ალამაზავს (ირშადი)...

შდრ.:

გადმოვხვეტ, გადმოვხვეტ, თოვლი დიდა (ისკები) (იგულისხმება შენობის სახურავიდან თოვლის გადმოყრა).

ეს განსხვავება აღნიშნული სიტყვების მნიშვნელობაში მთელ სამხრულ მეტყველებაში ჩანს.

შდრ. შავშური:

კარები’და **დაგვაგო**-მეთქი. შედიო, არაფერი **დაგვა** არ უნდაო (შავშეთი, 2011:400); დედეი **გვის**, აწყნარებს სახლსა (ფუტკარამე, 1993: 203).

დაგვა დასუფთავების მნიშვნელობით ნორმაა აქარულში, ქობულეთური კილოკავის გამოკლებით. ვიმოწმებთ მ. ცინცადის მიერ XX საუკუნის 50-იან წლებში აჭარასა და მაჭახელში ჩაწერილ მასალებს:

რა (=ყოველი) დღე ჩაყარეთ კალოზე, **დაგვა** მეტი გიგიხარდებიან’და? დაგვილი გაქვან (ქედქედი)...

შდრ.:

ვინცხა დარჩება ჯამიკარ, იმა **მოხვეტენ** (აჭარისაღმართი); აი, ცავ, **მუუხვეტია** წყალს და მემრე გამოჩენილა (ხალა); ჰემ **დასახვეტი** ბლომათ არ გექნება, ახლა ბოლომდე და **დახვეტო** (ხალა); ოდიები **დასახვეტია** (ხალა)...

დახარჯვა იხმარება **გარდაცვალების** მნიშვნელობითაც. იგი ევფემიზმია:

ნენე **დავხარჯენ**, შვიდი წლისა ვიყავ (ჯივანი); ღარჭი რომ **დეხარჯენ**, მის უკან... (ქლასკური)...

ვაზირობა კლარჯულში საუბარს ნიშნავს:

მე **ვევაზირობ**, რატონ ატყვილავ? (ქლასკური); ჩვენ, დიდვანები, **ვევაზირობთ** (ქლასკური).

მდრ.: **ვაზირობა** - საქმის რჩევა (ორბელიანი, 1949).

ნაჭარი||**ნაჭერი** ფულის მნიშვნელობით იხმარება:

ნაჭარი უნდა, ფარა, გურჯიჯა **ნაჭარ** ვეტყოდით (ავაზფინარი); **ნაჭერი** აქვა, **ნაჭერი** - ფარა (სირეთიე)...

უკან (<უკუნა) განეკუთვნება უფორმო – პირველადი, ანუ ოდინდელი ზმნიზედების ჯგუფს. ქართული სალიტერატურო ენისა და დიალექტების პარალელურად იგი ფართოდ არის გავრცელებული კლარჯულშიც (იხ. ცინცაძე, 2015:55-59).

უკან ზმნიზედის ძირითადი მნიშვნელობაა მოქმედების ადგილის აღნიშვნა, წინადადებაში იგი ადგილის გარემოებაა:

კაცები **უკან** მოგყვებოდნენ (ჰაჯიოსმანი); **უკან** სამი-ოთხი კაცი არიან (ჰაჯიოსმანი); სტამბული **უკან** დაგვჩა (ჰაჯიოსმანი); ხან წინ მივა, ხან – **უკანა** (ავაზფინარი); კარიპირში თუთა იქნება, **უკან** – სხალი (სირეთიე)...

ადგილის გარემოების ფუნქციით გამოიყენება ამ ზმნიზედის ფონეტიკური ვარიანტის თანდებულიანი ფორმა:

ერთი **უკნედან** მოვცხე ფიშტოჲ (ქირიმთი); **უკნიდან** კვალი არ აჩნევს (ქლასკური); ბუკში მიცინის, **უკნედან** არ ვიცი, რას მიჯება (ჰამიდიე)...

შ. აფრიდონიძე ვრცლად განიხილავს **უკან** და მისი ანტონიმის – წინ ზმნიზედების ფუნქციებს, ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ **უკან** სიტყვის მნიშვნელობა ქართულში დაბრუნების სემანტიკასთანაა დაკავშირებული. იმოწმებს გამოთქმებს: უკან დაიხია, უკან გაბრუნდა/გატრიალდა, უკან მისცა(=დაუბრუნა, ისევ მას მისცა) (აფრიდონიძე, 1984:256). ამ მნიშვნელობით „უკან“ კლარჯულშიც გვხვდება:

ჩანჩ წიდელებ, უკან მედტან (ნუსრეთიე); იმას გამუუგზანია უკან (დეესქელი); მუჰაჯირათ რომ წევდენ, რომ დაწყნარდა, უკან წამოვდენ (ხეზა); მაშინეზე უკან მოსულან (ფუტკარაძე, 1993:176).

იშვიათია –ზე თანდებულიანი „უკან“ დროის გარემოებად:

უკანეზე (=ბოლოს) ერთი მედყვანა (ერენქოი)...

მ. ჩინჩალაძე „ფრიად საინტერესო გარემოებად“ მიიჩნევს იმას, რომ უკან ზმნიზედა სხვა ზმნიზედათა (წინ, ზევით, ქვევით, ზემოთ, ქვემოთ, გაღმა, გამოღმა და სხვ.) მსგავსად ხშირად ზედსართავის ფუნქციითაც გამოიყენება დაკარგული „ა“-ს აღდგენით, თუ დართვით და წინადადებაში ჩვეულებრივ განსაზღვრების ფუნქციას ასრულებს. იმოწმებს უკანა, ქვევითა, ზევითა, ზემოთა ფორმებს (ჩინჩალაძე, 1955: 30). ამ მნიშვნელობით კლარჯულში იხმარება უკანა:

უკანა შენ თქვი, მეტი არ ვიცი (ბუჯური); სხვა, უკანა არ ვიცი (ჯივანი)...

ამ ფრაზებში იგულისხმება შელოცვის მომდევნო ნაწილი.

ბაშქოდ და უკანა სოფლის ჰუდუდია (ბაშქოი).

იგულისხმება უკან მდებარე სოფელი.

„ზმნიზედა ზმნის წყვილის ცალია, მაგრამ ამასთანავე ჩვეულებრივია ზოგი ზმნიზედის გამოყენება თანდებულის ფუნქციით“ (შანიძე, 1973: 603).

უკან თანდებულის ფუნქციით ერთვის არსებითი სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმას და აღნიშნავს მოქმედების ადგილს:

სახლის უკან კიტრები (ნურუოსმანიე); ჩვენ სახლის წინ წაბლია, უკან თუთა იყო (ჰაჯიოსმანი).

ამ ფრაზაში უკან თანდებულთან იგულისხმება „სახლის“, წინადადების მეორე ნაწილში იგი არ მეორდება.

თანდებულის მნიშვნელობით უკან უფრო ხშირად მოქმედების დროის გამსახატავად იხმარება. დაერთვის იგი დროის სემანტიკის მქონე არსებითი სახელების ნათესაობითი ბრუნვის ფორმას, „შემდგომი, მომდევნო, გვიანდელი ვითარების აღსანიშნავად გამოიყენება“ (აფრიდონიძე, 2002:34).

შვადლი უკან არ ისაქმავს (ქლასკური); ათი-თორმეტი წლის უკან გურჯი არ დარჩეს (ჯივანი)...

ამ ფრაზის მიხედვით მთქმელის აზრია: ათი-თორმეტი წლის შემდეგ ქართული ენა აღარ იქნება.

ამ მნიშვნელობით „უკან“ დაერთვის მესამე პირის ნაცვალსახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმას:

იმის უკან ღერდილი მოვაცრით, იმის უკან ერბო მოვასხამთ, იმის უკან დავრეგვავთ ლაფერით (სირეთიე); დაარგავ, იმის უკან

ყველამფერი იქნება (შირინსულიე); იმის უკან ხუთი-ექსი თვე გეარს (ხება); იმის უკან ბიჭის სახში მივლენ (ხება); იმის უკან ცეცხლი'და დააყარო (ხება); ვუკითხავდით, იმის უკან გაწვიმდებოდა (სირეთიე)...

შემდგომი ვითარება, მომავალში შესრულებული მოქმედება იგულისხმება შემდეგ წინადადებებშიც, თუმცა ზმნა-შემასმენელი წარსული დროის ფორმას:

ორი დღის უკან ერცხვა (=კიდევ, ისევ) მოვდა (სირეთიე); იმის უკან ბერები მეყრებოდენ (ჰაჯიოსმანი); ხარბი რომ გამოსულა, იმის უკან ჩამოვდა (ოჯადიე)...

უკან იშვიათად ნაცვალსახელის მიცემითი ბრუნვის ფორმას ერთვის:

ჭამეთ და მას უკან წყით (მამანეთი); რომ წვედოდენ დედამთილის სახში, მას უკან ვიტირებდი (ქლასკური).

მესამე პირის ნაცვალსახელის (ის) მიცემითის ფორმასთან „უკან“ ფონეტიკური ცვლილების შედეგად ქმნის კომპოზიტს მასკან (=შემდეგ), რომელიც ფართოდ არის გავრცელებული მთელ სამხრულ მეტყველებაში.

მასკან ნიშნული (=დანიშნულები) ვიყავით (მურკვეთი); შეხედე და მასკან თქვი, დაბერდაო (კირნათი).

მას უკან (>მასკან) გვხვდება საშუალ ქართულშიც (იხ. ცინცამე, ფაღავა, 1998:90-91).

უკან, იმის უკან, მას უკან იგივეა მნიშვნელობით, რაც შემდეგ, მერე/მემრე, რომლებიც ენაცვლება კიდევ მათ:

მერე ისტამბოლ წვედა (ქლასკური); მემრე კარქა მედხარშვის (სირეთიე); იმის მერე ვცოცხლობთ აქაურობაში (დევესქელი); ლოცვის მერე დაფლავთ (ავანა); იმის მემრე ქორწილის დროზე შეთანხმდებოდენ (ხება); სამი დღის მემრე გავაკეთავთ საჭმელ (ისკები); ჩაფლავენ ორ დღეს მემრე (ერენქოი); იმის მერე ვიკითხავთ ძასინს (ავანა)...

„უკან“ სახელთან ერთად კლარჯულში იშვიათად გამოხატავს წარსულში მომხდარ მოქმედებასაც, დაერთვის იგი უმეტესად ნათესაობითს:

თორმეტი დღის უკან ზადრამზე იყო (კირნათი); ორი კვირის უკან წვედენ (ჰამიდიე)...

„უკან“ იშვიათად მიცემითი ბრუნვის ფორმას დაერთვის, ბრუნვის ნიშანი დაკარგულია:

სამ წელწად უკან მოკტა (აივაზფინარი)...

უკან თანდებულს ენაცვლება წინ:

ასოზდაათი წლის წინ მოვდენ (ლუთბიე).

„უკან“ და „წინ“ ზმნიზედისა და თანდებულის ფუნქციით ანტონიმებია კლარჯულშიც, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ **წინ** დამოუკიდებელი ხმარებისას – ზმნიზედის მნიშვნელობით აღნიშნავს დროს (წარსულს). ამ შემთხვევაში „წინ“ იგივეა, რაც „უწინ“:

წინ მალე დაასახლებდენ; ახლა არ არი, **წინ** იყო (ტრაპენი); **წინ** ირმიბემ წელიწად ისაქმებდენ (ავანა); წრევლა არ ვაკეთებ, **წინ** ვაკეთებდი (ისკები); აქ ზორ თოვლი იქნებოდა **წინ**, ახლა არ არი (ისკები)...

„უკან ტრადიციულად მომდევნო, გვიანდელი ვითარების აღსანიშნავად გამოიყენებოდა: მოგვიანებით დროული ფუნქციის შესუსტებამ ამ სიტყვას დიალექტური ჟღერადობა შესძინა და მას შემდეგ შეენაცვლა, რომელსაც სინონიმებს შორის (უკან, მერე, აქეთ) ამჟამად გაბატონებული მდგომარეობა უჭირავს ქართულ სალიტერატურო ენაში“ (აფრიდონიძე, 1984:256).

უკან სიტყვასათან დაკავშირებით საინტერესოა ერთ-ერთი შავშის შენიშვნა: „ორი წლის **წინა**, ჩვენ **წინ** ვამბობთ, **უკან** ჰალადა მოიდეს, იგია **უკან**“ (მაჩხატეთი).

კლარჯულში „უკან“ იხმარება –**თან** თანდებულის მნიშვნელობით, აღნიშნავს იგი თანაობას, ერთად შესრულებულ მოქმედებას (იხ. ცინცაძე, 2015:56). **უკან** სიტყვის ეს თავისებურება ქართული ენის სხვა კილოთაგან შენიშნულია შავშურსა და ტაოურშიც (იხ. ტაო, 2020:557; ფაღავა, 2011:249-251). შესაბამისი საილუსტრაციო მასალა დამოწმებული აქვს შ. ფუტკარაძესაც „ჩვენებურების ქართულში“. ამ მნიშვნელობით **უკან** ძირითადად დაერთვის სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმას.

არსებით სახელთან:

ჩვენ **კაცის უკან** (=კაცთან) თლათ ვლაპარაკობთ [ქართულს], თურქჩეს ჰიჩ არ ვლაპარაკობთ (ნუსრეთიე); ერთი კაცი მოვა **ხარების უკან** (=ხარებთან ერთად), ხარები'ნა ამუშაოს (ნუსრეთიე); **კაცის უკან** (=კაცთან) ვარ, მარტო (ბაშქოი); **კაცის უკან** (=კაცთან) არი, ჰამა ის იყოს, არ იყოს, ერთია (=სულერთია), ავადევლია (თხილაზორი); [ლობიო] **ვაშლის უკან**'ნა (=ვაშლთან) მედხარშოს (ფუტკარაძე, 1993: 306); ჩემ **ხალაშვილების უკან** რახ ვსუემდით (ფუტკარაძე, 1993: 328); ჩემ **ძმის უკან** (=ძმასთან) რახი სუემდენ (ფუტკარაძე, 1993: 329).

იშვიათად ამ მნიშვნელობით „უკან“ დაერთვის არსებითის მიცემითის ფორმას:

სომეხებს უკან ერთნაირათ ლაპარაკობენ ჰემშილები (ფუტკარაძე, 1993: 316); მე და ჩემი კაცი'ნა წევდეთ ვინცხა **არქადაშებს** (=ამხანაგებს) **უკან** (ნუსრეთიე); ცხვრები **ძაღლებს უკან** არიან (ნუსრეთიე).

მიცემითშია არსებითი სახელი შემდეგ წინადადებაშიც:
შავ აყიროს უკან ლობიოს გუურევთ (ფუტკარაძე, 1993: 313)...

მოსალოდნელი იყო ნათესაობითი: **შავი აყიროს.**

ნაცვალსახელთან:

არ გეეთხვებოდა, ნენე-ბაბოძე თუ ცოცხალი ყავდა, **იმის უკან** იქნებოდენ (ქართლა); **იმის უკან** არ ვლაპარაკოფთ (აივაზფინარი); შენ **იმის უკან** წად (ერენქოი); გააგდე, წევდეს **ამის უკან** (ქართლა); **ვის უკან** მოხუელ? (ფუტკარაძე, 1993: 579); **ვის უკან** საქმობენ? (ფუტკარაძე, 1993: 579); **ვის უკან** დგები, სად ხარ ახლა, სად იძინავ (ფუტკარაძე, 1993: 306); მოი, **ჩემს უკან** გედეცი (იბრიქლი); **ჩემს უკან** დაწექ, ანე! (ავანა).

ზოგჯერ თანაობის, ერთადობის გამოსახატავად ერთდროულად გამოიყენება **უკან, ერთად ან ერთხელად**:

თუ ჩვენს **უკან**, ჩვენ **ერთხელად** ხარ (ისკები); შენ ღარჭების **უკან, ერთად** დაგაბეროს ღმერთმა (თხილაზორი).

თანაობის, ერთადობის მნიშვნელობა -**თან**, -**ერთად** თანდებულებითაც არის გადმოცემული:

თურქებთან **ერთათ** ვართ, მავიწყდებიან ქართული (თხილაზორი); **ერთხელა** დავჯექით ოთხ წელწად, ახლანდელი ზღები (=რძლები) არ დაჟდებიან დედამთილის **ერთათ** (ნუსრეთიე).

შენიშნავთ, რომ **უკან** სიტყვის გამოყენება **თან** (ერთად) თანდებულის მნიშვნელობით შავშურში ფართოდ გავრცელებული არ ჩანს. ჩვენ მიერ მოპოვებული მასალის მიხედვით იგი რამდენიმე ფრაზაში ჩანს:

გორბაჩოვს **უკან** გერჩივნენ? (მაჩხატეთი)...

შდრ.:

თქვენ **რუსებთან** იყავით (ჩიხისხევი); [გურჯული] მე ანას **უკან** დევწავლე (წეთილეთი); ღმერთმა მშვიდობით ჩემ შვილს **უკან** დაგაბეროს (ზაქიეთი).

უკან სიტყვის გამოყენება -**თან**, -**ერთად** თანდებულების მნიშვნელობით კლარჯულის ერთ-ერთ საინტერესო თავისებურებად მიგვაჩნია.

§2. სიტყვაწარმოება

კლარჯული ლექსიკის ერთი ნაწილი წარმოქმნილი სიტყვებია. გამოიყოფა სხვადასხვა შინაარსობრივი ჯგუფი.

2.1. მქონებლობის სახელები

მქონებლობის სახელები იწარმოება –იან და –ა სუფიქსებით.

‘იან:

გააღო დოლაბი, რომ **თოფიანი** დგას შიან (კირნათი); ერთმა კაცმა მოვდა, **თოფიანმა** (კირნათი); კაცი მოვდა **წვერებიანი** (ჯივანი); ილიასამ წამედკიდა **ძიანი** კარდალი (ჯივანი); **ჭკვიანი** კაცი სერსემი რატომ’ნა გახდე? (ბუჯური); ცოტა **წამლიანია** (გურბინი)...

–ა სუფიქსი აწარმოებს სხვადასხვა სახეობის ცხოველთა, მცენარეთა სახელებს. აღნიშნავს ამა თუ იმ თვისების მქონებლობას, რომელიმე ნიშნის მიხედვით რაიმესთან მსგავსებას:

ჩემი **შავიამ** გაზდილა, კოლექტურში მუშაობს (კირნათი).

შავიამ ხარის სახელია.

ყოჩამ თხილი ჯობია (ადაგული)...

ნიკორამ ძროხის სახელია, ნიკორი აქ (ქართლა).

შდრ. აჭარული: **ნიკორი** - პატარა ნიშანი გამოსახული ადამიანის ან ცხოველის სახეზე (ჩვეულებრივ შუბლზე) (ნიჭარაძე, 1971).

ძროხას ყარაყიზას ვეტყვით, **პირნათელას**, **ბუკნათელას** (ქლასკური); მოზვრები მყავან, არის **ალთუნამ** (ისკები); **ლამაზამ**, **ფუსკულამ**, **ჩიჩეგამ** - ესენი თელი ფურის სახელებია (ისკები)...

ალთუნ - ოქრო.

ფუსკული (თ. püskül) ფერადი ძაფის ან სირმის ფუნჯად ასხმული ფოჩია (ნიჭარაძე, 1971. **შდრ.**: საბა: ძაფის კონა (ორბელიანი, 1949).

ჩიჩეგი (თ. çiček) ყვავილი.

ლეღვი არი თეთრი, შავი, **ფათლიჯანამ** (ბუჯური); **შექერამ**, **ჭანურამ** სხალი გუუთევს (ბუჯური).

ა სუფიქსით იწარმოება სხვადასხვა ზედსართავი:

ძირამ (=ძირს ჩამოყრილი, ჩამოცვენილი) ვაშლი ვის მიაქვან, ჭო? (მარადიდი); **უკანამ** (=შემდეგი, მომდევნო) არ ვიცი (ჯივანი); ბაშქოდ და **უკანამ** სოფლის ჰუდუდია (დევესქელი).

იგულისხმება ბაშქოდს უკან მდებარე სოფელი.

2.2. წარმომავლობის სახელები

წარმომავლობის სახელებს აწარმოებს –ელ, –ურ/-ულ, –დელ სუფიქსები.

–ელ ჩვეულებრივ აღნიშნავს ადამიანთა წარმომავლობას, სადაურობას, –ურ სუფიქსი კი - რა ჯგუფის სახელებისას.

–ელ(>–ალ):

მაჭახლელი ხოჯა მყავან (ჯივანი); ახალი [რ]ძალი მევეყადთ, კახელი ქალია (დევესქელი); ბურსელია, მუსაფირი იყო (გურბინი); ერევანელები სომხები არიან (მურღული); ის რიზელია (ბუჯური); არხველი გოგო ვარ (ერენქომ); არხველებს ბევრი რაცხები ცოდნიათ (ერენქომ); ერზრუმელი გურჯი არ არი (ისკები); ბაშქომდან ვარ გათხოვილი, ლომიკეთელი ვარ (ისკები); მეჭელელი რემზი იქნება (კირნათი); მარადიდელი ვარ (ჯივანი); ჩვენ მარადიდელი რძალი მყავან (ჯივანი); ესეც გურჯია, ბორჩხელი (ჰამიდიე); ჩემ ბაბანე აჯარელი იყო (იჯადიე); ისინიც ბორჩხელია (ნუსრეთიე); ე ჩემი ძალია, ტრაპზონელი ლაზია (საფულარი); შავშეთლებმა ბოტ ეტყვიან (ქლასკური); ომანელი ბერი დედეს ეტყოდენ (ჰამიდიე)...

-ურ||-ულ:

ჩვენი, აქევრი (<აქავრი<აქაური) ჩაია, თურქული (ისკები); ჰიდავრი (<ჰიდაური) გოდორია, გო, ესე? (კირნათი); არ ილაპარაკა, დეილია გურჯული (ბუჯური); ახლებმა გურჯული არ იციან (ერენქომ); გურჯული რამემ ვერ დააწავლა (ხება)...

სადაურობის აღნიშვნის ეს წესი კლარჯულში მტკიცე არ არის: -ელ სუფიქსით აღინიშნება რა ჯგუფის საგანთა წარმომავლობაც, ხოლო -ურ||-ულ სუფიქსით - ვინ ჯგუფის სახელთა სადაურობა.

-ელ:

ისტამბოლელ ელმას (=ვაშლს) ვეტყვით (ისკები); ყურძენი ისტამბოლელია (ბუჯური); ქართველი (ენა) ზორ კად არ ვიცი (ჰამიდიე); უწინდელი სახელია ბუჯურელად ვაშლი, სახელი ამ სოფლიდანაა (ბუჯური)...

უკანასკნელ მაგალითში ორი სუფიქსია -ელ და -ა.

ათ და ხუთი სოფელი ქართველია (აქ: ქართული) (ბორჩხა).

მდრ.: ქართული.

-ურ||-ულ:

ეს ქალი ქართული არაა, ართვინიდანაა (ბუჯური); ჩემი ნენემ, ბაბომ ქართული არაა (ბუჯური); აქა, ქომო, მურღულური არხატამ ვარ (ამხანაგი არის) (ნუსრეთიე)...

მდრ.: ქართველი, მურღულელი.

ერთი და იგივე მოსაუბრე ადამიანის სადაურობის აღსანიშნავად ერთსა და იმავე წინადადებაში იყენებს სხვადასხვა სუფიქსს:

ჩემი რძალი გურბინელია, მე - ისკებური (ისკები); ჩემი ოჯახი ქართველია, ცოლი ქართული იყო (მურღული)...

ეს მოვლენა, **-ელ** და **-ურ**||**-ულ** აფიქსების განურჩეველი გამოყენება **ვინ** და **რა** ჯგუფის სახელებთან ისე ფართოდ გავრცელებული, თვალში საცემი არ ჩანს, როგორც შავშურში.

ვინ ჯგუფის სახელთაგან სადაურობის სახელი **-იერ**||**იელ** სუფიქსითაც იწარმოება:

ჩემი თავი ამ **სოფლიერს** ბოვრი უყვარს (ჰამიდიე); ბობებს ჩვენ[ი] **სოფლიერები** არ ჩეცვამს (ნუსრეთიე); **სოფლიერებმა** ლობიო დაარგებენ (მურკვეთი)...

აქ ზმნიზედისაგან სადაურობის სახელი ერთდროულად **-ურ** და **-ელ** სუფიქსებით აღინიშნება:

ისიც **აქა-ვრ-ელ'ი-ა** (<აქა-ურ-ელ'ი-ა>), გურჯია (ჰამიდიე); **აქევრელები** ზორ ბევრი არიან (ჯივანი); ისიც **აქევრელია**, ჩემ სოფლელია (ბორჩხა)...

აქა-ურ-ელ'ი>**აქა-ვრ-ელ'ი**>**აქე-ვრ-ელ'ი**.

ქალიც **აქავრელია**, გურჯია (ჰამიდიე).

აქა-ურ-ელ'ი>**აქა-ვრ-ელ'ი**.

ორმაგი წარმოებისაა აგრეთვე **ქედელური**:

ეს **ქედელურია** (ახალდაბა).

აფიქსური წარმოების პარალელურად სადაურობა ზოგჯერ აღინიშნება შესაბამისი ძირეული სახელით, უაფიქსოდ:

მეა **მურღული** [რ]ძლები მყავ (დევსქელი); ხოჯა ჩემი **მაჭახელია** (=მაჭახლელია) (ჯივანი); **მაჭახლები** ხაპ ეტყვიან (ჯივანი); „ეზოს“ **მურღულმა** (=მურღულელმა) ბელქი იხმარავს (ხება).

შდრ.: ეს **მურღულელია** (ესკი ფერადიე).

წარმომავლობის მნიშვნელობის გადმოცემასთან დაკავშირებით არნ. ჩიქობავა წერს: „**-ელ** და **-ურ** ქართულმა რომ გამოიყენა სადაურობის აღსანიშნავ სუფიქსებად ადამიანისა და ნივთის კატეგორიის სახელთათვის, ეს მეორეული მოვლენაა“ (ჩიქობავა, 1942:189, შდრ. 137 და შემდეგ). მეცნიერი იმოწმებს ნივთის სადაურობის **-ელ** სუფიქსით გადმოცემის ორიოდ შემთხვევას იმერეთის - ბაღდათისა და ჭიათურა-საჩხერის რაიონების მეტყველებიდან: **ბაღდადელი ღვინო, ონელი შალი**.

-დელ:

შარშანდელისთენი იქნება თუ? **შარშანდელს** იძლევიან? (კირნათი); ის **უწინდელი** ნენეა იშტე (ადაგული); **უწინდელი** სახელია ბუჯურელად ვაშლი (ბუჯური)...

გვხვდება **წინდელიც**:

წინდელი დრო ამსომ იყო (ადაგული); **წინდელები** კამ ვართ (ბაგინი)...

სადაურობის გადმოცემის გარდა –**ურ**||-**ულ** სუფიქსი სხვა ფუნქციითაც გამოიყენება. ალ. მანჯგალამე აღნიშნავს, რომ –**ურ** სუფიქსის „თავდაპირველი ფუნქცია არის სახელის დეტერმინაცია“ (მანჯგალამე, 1953: 473). ავტორის დაკვირვებით, თვისების გამოსახატავად იგი მე-11 საუკუნიდან გვხვდება, ისიც სპონტანურად, მე-12 საუკუნეში კი - უფრო ხშირად.

კლარჯულში ხშირია –**ურ** სუფიქსი ზედსართავთა საწარმოებლად - დაერთვის პირის ნაცვალსახელს, ზედსართავსაც:

შენ **შენური** საქმე დაგჩა (გურბინი); იმან **თქვენური** იცის (დევსქელი); „მერიემა“ **ჩვენური** სახელია (ისკები)...

შდრ.: **შენებური, თქვენებური, ჩვენებური.**

გვხვდება აგრეთვე **შენებური**: შენ **შენებური** გააწყე (დევსქელი)...

ძველური ინსნები არ არიან, **ძველური** (ნუსრეთი)...

შდრ.: **ძველებური.**

2.3. აბსტრაქტული სახელები

აბსტრაქტულ სახელთა საწარმოებლად პროდუქტულია –**ობა** სუფიქსი:

ფერმის **გამგეობა** მე არ მიჭრის ჭკვამ (კირნათი); **ელჩობის** (=შუამავლობის) მემრე გავაქციე (იბრიქი); ენ წინ დავთესევიდით, ჩემ **გოგვობაში, დარჭობაში** (ერენქოდ); **დარჭობაში** (=ბავშვობაში) მიყვარდა (დევსქელი).

შეგნიშნავთ: **გოგვობაში, დარჭობაში** აღნიშნავს დროს.

უწინ **ფუხრობა** იყო (ჰამიდიე); მეტი კამ **ძალობა** (=რძლობა) იჯება (ჯივანი); მე **ბაღნობა** არ დიმიწახიან (ჯივანი); **მაყრობა** იჯებიან (ტრაპენი); ბადიშები ჩამოვდენ დედეს **ავადობაში** (ახალდაბა)...

–**ობა** დაერთვის ამ ფუძის –**ეულ** სუფიქსით ნაწარმოებ სახელს **ავადეული** (<ავადეული):

ინა შექერი (=შაქრის) **ავადეულობისთვინ** კამ ყოფილა (ერენქოდ); გონჯი **ავადეულობა** ქონდა (ჯივანი); ერთი **ავადეულობა** მოვდა (ნუსრეთი).

შდრ.

ბაღანა **ავადეულია**, ჯაზებიდან ზორი აქვა (კირნათი); დედამთილი **ავადეული** ყავს (ჯივანი)...

–**ობა** სუფიქსი მოქმედების აღმნიშვნელი, საწყისის ფარდი სახელებისაგან აწარმოებს აბსტრაქტულ სახელებს:

ჩვენთან **ღალატობა** არ იციან (მარადიდი); მე არ მიყვარდა **მღერობა** (ისკები); **ფიქრობაში** შევქეთამა ეს ამბავი შეიტყო (კირნათი)...
ფიქრობა ილია ჭავჭავაძის თხზულებიდან დამოწმებული აქვს კ. ხუბუტიას: „რატომ **ფიქრობა** ფეხებში არ იქნება?“ (ხუბუტია, 1959:191).

პარალელური ლექსიკური ერთეულებია **საქმე** და **საქმობა**:

იქნებოდა **საქმე**, იქმოდა (გურბინი); ერმენები მოსულან **საქმობისთვინ** (ტრაპენი).

სი-ე კონფიქსით ნაწარმოები აბსტრაქტული სახელი დაირთავს –**ობა** სუფიქსს, გვაქვს ორმაგი წარმოება:

სიცოცხლობა მაქ (ჯივანი).

შდრ.: ღმერთმა კაჲ **სიცოცხლე** მოგცეს (ჯივანი).

არ. მარტიროსოვი აღნიშნავს, რომ ძველ ქართულში **სი-ე** აფიქსთა გამოყენების სფერო –**ება**, –**ობა** სუფიქსთან შედარებით შეზღუდულია (მარტიროსოვი, 1958:128). ძველი ქართულის შესახებ არ. მარტიროსოვის ეს დასკვნა კლარჯულ კილოზეც ვრცელდება.

–**ობა** სუფიქსს კლარჯულში სხვა ფუნქციაც აქვს, ენაცვლება მრავლობითობის –**ებ** სუფიქსს:

თქვენობიდან (=თქვენებიდან) ქალი ახლავს (იბრიქი); სველში არ გემევლებიან, რა **ამბავობაა** (=ამბებია) აჯაფ ბახჩიფში? (მარადიდი)...

მრავლობითობას (და არა კრებითობას) უნდა გამოხატავდეს –**ობა** ამ წინადადებაშიც:

დასაქორწილებელი არვინაა, **ბერობაა** უმფო (დევესქელი).

შდრ.: ბერები.

–**ობა** სუფიქსი დაერთვის ზედსართავს, წარმოიქმნება ზმნიზედის მნიშვნელობის მქონე სიტყვები:

ძველობაში (=ძველად) ასე ყაზანები (=ქვაბები) გვეკონდენ (იქბაალი); ღმერთო, **ლამაზობით** (=ლამაზად) მომარჩინე, ვეხვეწებოდი ღმერთს (გურბინი)...

2.4. ნასახელარი ზმნები კლარჯულში

კლარჯულში გვხვდება ქართულ და თურქულ სახელთაგან ნაწარმოები ზმნები. ძირეულებია: **გული**, **სანთელი**, **შიშა**, **სუფთა**, **ფერხული**, **დელი**, **ზენგინი**, **ყირმიზი**, **აშილი**, **ფაქი**, **ბეთი**...

გული:

ჩემი გელინის ბაბოჲს ნენეჲ **გაგულიანდებოდა** (=გაბრაზდებოდა) (ჯივანი).

შიშა:

ემრიევ, ღმერთმა **გაგაშიშა**, გო! (კირნათი).

სანთელი:

რა ქნა იცი? **გასანთლო**'ნა (კირნათი).

სუფთა:

სამი დღეა, ვერ **მოსუფთა** (კირნათი).

ფერხული (ცეკვა):

იფერხულებენ, დუხხორომი, დელი ხორომი (ისკები); გადარეული **იფერხულებენ**, იმღერებენ (ბუჯური).

დელი (თ. deli – გადარეული, გიჟი):

მატყლით შევხვით და ასხალდი (კინაღამ) **გავდელდი** (გურბინი).

ზენგინი (თ. zengin – მდიდარი):

ერთად **გავზენგინდეთ** (ბუჯური); ახლა გააგდეს საქმობა, **გაზენგინდენ** (ისკები).

ყირმიზი (თ. kirmiz – წითელი):

პური **გავაყირმიზეთ** (ერენქომ); მიერე პური მეგიტანე, **გაყირმიზებული** (ერენქომ).

აშილი (თ. aşik – შეყვარებული):

დეაშილდენ, ერთი გოგო გავათხუევით, მივეცით ბიჭსა, **დეაშილდენ** (ერენქომ).

ჰერსი (თ. hers – ბრაზი):

გაჰერსდე'ნა (უნდა გაბრაზდე), რომ დაწყევლო (ჯივანი); **გამაჰერსეთ** და რა ვიცი (კირნათი); **გაჰერსდებოდა**, მუუფერებდი (დევსქელი).

ბეთი (სპ. beti – მახინჯი, უშნო, უგვანო, ულამაზო):

ამოდის, **ბეთობს** (ჯივანი); თუ გიყვარს ინსანი... იგი სულ ლამაზი არი, არ **გაბეთდება** (დევსქელი).

მერაყი (თ. merak – დარდი, წუხილი):

მეტი **ვიმერაყე** (ჯივანი).

მოსაფირი (თ. mosafir – სტუმარი):

ამეზღამ აქ იყავით, **დემემოსაფირეთ** (ფუტკარამე, 1993:308).

2.5. კომპოზიტები

კლარჯული ლექსიკის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს კომპოზიტები. შედგენილობისა და კომპონენტთა შეერთების წესების მიხედვით გვხვდება თხზულ სიტყვათა სხვადასხვა ჯგუფი.

გამოიყოფა გაორკვეებულფუმიანი კომპოზიტები, რომლებიც სხვადასხვაფუმიანებთან შედარებით მცირეა.

2.5.1. გაორკვეებულია ზედსართავი სახელები

ასეთი კომპოზიტები გადმოსცემენ საგნის თვისების მეტ ხარისხს ან სიმრავლეს (**ლამაზ-ლამაზი, მალალ-მალალი, დიდვან-დიდვანი, წვიტ-წვიტი...**).

გაორკვეებულფუმიანი კომპოზიტის პირველი ნაწილი - არსებითი სახელი ნათესაობით ბრუნვაშია:

კარისკარზე იარებით და აწერიებთ-ჰო? (ერენქო).

გაორკვეებულია ზმნიზედა:

მემრე-მემრე დასახლკარდებოდენ (მალოვა).

პირველ ან ორივე კომპონენტს მოკვეცილი აქვს ბოლო ხმოვანი:

გურჯი კანალები **ჩქარ-ჩქარა** იმახის (ჯივანი); **მალ-მალ** რატონ მემშევა, არ ვიცი (კირათი); **მალ-მალ** დედლაპარიკე (ნუსრეთი); მათმაც **ნელ-ნელა** დედწავლიან (გურბინი)...

გვხვდება ასიმილირებული ფორმაც:

გელინო, გელინო, **ლელა-ლელა** წამეარე (ჯივანი).

გაორკვეებულია ზმნური კომპოზიტი:

მული **მულმულობს**, რძალი **კუნკულობს** (ჯივანი).

მულმულობს ნასახელარი ზმნაა (სახელისაგან მული), კუნკულობს -- დისიმილირებული ვარიანტი ჩანს.

შდრ.: აჭარული **კუნკული** - უკმაყოფილო, ჩუმი ლაპარაკი, გვხვდება ბათუმის მიმდებარე სოფლების მკვიდრთა მეტყველებაში:

დედამთილი რაცხას **კუნკულებდა...**

2.5.2. ასონანსური კომპოზიტები

გაორკვეებულფუმიანებში გამოიყოფა ასონანსური კომპოზიტები, რომელთა მეორე ნაწილი პირველის ფონეტიკურად შეცვლილი ვარიანტია.

ფართოდ არის გავრცელებული ისეთი ასონანსური კომპოზიტები, რომელთა მეორე კომპონენტში შეცვლილია პირველი ნაწილის პირველი მარცვლის პირველი თანხმოვანი:

ღელე-მელე აქ არაა (ერენქო); **ძილ-ძილ** მუუთლიდენ (ჯივანი);

ხარები-მარები ყავან (ბუჯური); **თოფი-მოფი** აყრიან (მარადიდი); **ტან-**

მანი ბანებენ (იბრიქი); **ხახვი-მახვი**, თელი ვურთავ იშტე (იბრიქი);

ბურსას **ქალები-მალები** იარებიან (ქართლა); **სიმღერა-მიმღერა** არ

მიმღერია (ქართლა); ღორმა **სიმინდი-მიმინდი** გაათავებდა (ჰამიდიე); **ნეხვი-მეხვი** წასმია (ჰამიდიე); ეს **ხე-მე**, კარი-დოლაბი... (ჰამიდიე); ასე **ფერხული-მერხული** იქნება (ჰამიდიე); არგებენ (=რგავენ) ახლა **ვარდი-მარდი**, ძველად არ იყო (სირეთიე); აქ მაშინ **სახლი-მახლი** არ ყოფილა (ნუსრეთიე); **ბათუმი-მათუმი**, **არხვანი-მარხვანი** თელი მუშუვლიან (ერენქოდ) (**არხვა** - სოფელი კლარჯეთში - ავტ.); **საჭმელი-მაჭმელი** მოთავდებოდა (მარადიდი); ახლა **შაკიკი-მაკიკი** არ იციან (ერენქოდ); დომუზებმა **თხილი-მილი** ჭამდენ (მარადიდი); ნენე იკითხევდა-და: ჭიაო, ჭიაო, **ჭახევ-მახევ...** (ადაგული); კაცი მოკდება, **პენსია-მენსია** ქალ დარჩება (დევსქელი)...

შეცვლილია პირველი კომპონენტის დასაწყისი ორი თანხმოვანი ერთით:

ქვაბიკარი-მაბიკარი (ისკები)...

ასონანსური კომპოზიტის ნაწილები თურქულია:

წევდეთ, **თორბა-მორბა** მოვტანოთ (ბაშქოდ).

თორბა, თ. torba – ტომარა, პარკი.

უწინდელ დროს **ყაბი-მაბი** არ იყო (ქართლა).

ყაბი, თ. kab – ჭურჭელი.

ტადები-მადები ყოფილან გურჯისტანში (გურბინი).

ტადა, თ. dayi – ბიძა, დედის ძმა.

მემრე სავაშ, **ხარბი-მარბი**, [აქავრობა] გუუყვიან (ბაშქოდ).

ხარბი, თ. harbi – ომი.

ხოჯამა-მოჯამა ყურანს უკითხავს (იბრიქი).

ხოჯა, თ. hoca – მასწავლებელი, მოძღვარი.

შეცვლილია პირველი მარცვლის ხმოვანი:

მაფია-მუფია რაცხა ბევრი ყოფილა (დევსქელი); კაცები არ სმიან, ზოგი - **ყლაპ-ყლუპ** (გურბინი); ართვინიდან გამოსულან **ღარჭი-ღურჭები** (დალოვა); **ღარჭი-ღურჭა** დეფხუქეს, ისე წამოსულან (დალოვა); **თექ-თუქი** სახლი დარჩება (ერენქოდ).

თექი, თ. tek – ერთი, კენტი, აქ: თითო-ოროლა.

პირველ მარცვალს ემატება თავკიდური თანხმოვანი:

ეზიეთით-მეზიეთით ჩამოსულან (დალოვა).

ეზიეთი, თ. eziet – წვალემა, ტანჯვა.

ასეთ კომპოზიტებში ჩვეულებრივ, როგორც წესი, ორკეცდება სახელები.

ერთადერთი შემთხვევა შეგვხვდა ზმნის გაორკეცვისა:

ემიჯედს ქალის გოგო გააქციეს (მოიტაცეს), ჰამა ჰუქუმეთმა (მთავრობამ) **აართვეს-მართვეს** (ისკები)...

ასონანსური კომპოზიტები გვხვდება სხვა სამხრულ კილოებშიც, მაგრამ არა ისე ხშირად, როგორც კლარჯულში.

2.5.3. ნაირფუძიანი კომპოზიტები

ნაირფუძიანი კომპოზიტების კომპონენტებად სხვადასხვა ფუძეა. ბევრია არსებითი სახელებით შედგენილი ორცნებიანი კომპოზიტი. თანხმოვანფუძიანი პირველი კომპონენტი უმეტესად ფუძის სახითაა:

ნალ-მუხი მაქ (ქლასკური).

მთქმელი განმარტავს: ნალი და მუხი (ლურსმანი) (ავტ.).

კარ-მიდამო იქნება, კალო იქნება (ხება); **ზამთარ-ზაფხულ** აქ ვარ (ისკები); [მ]თა-ზარი იმათიდან დაწავლილი გვექონდა (ისკები)...

გვხვდება სხვადასხვა მეტყველების ნაწილთა შეერთებით მიღებული კომპოზიტები:

რიცხვითი სახელი და არსებითი:

ექსპირ ეს'ნა ჩედეკითხო (ჯივანი).

არსებითი და ზმნიზედა:

თავდაღმა მივდოდა (ისკები); **თავდაღმა**'და გეარო (ისკები)...

დასტურდება ზმნური ფორმებით შედგენილი კომპოზიტებიც:

ბაშქომ აგზეა, **ათვალყურებდით?** (მურლული); **დაათვალყურე**, ცივ წყალთან გეყვანე (მურლული).

2.5.4. მსაზღვრელ-საზღვრულისაგან მომდინარე კომპოზიტები

კომპოზიტთა სხვა სახეებთან შედარებით ბევრია მსაზღვრელ-საზღვრულისაგან მომდინარე კომპოზიტები:

აქავრობაში არი, **გოგოშვილია** (იბრიქი); ქლიავები არი, **წყალქლიავა** (ბუჯური); ჩვენ **დიდნენებმა** გაზარდიხან გურჯული არ გველაპარიკებოდა (ისკები); ძროხას **პირნათელას**, **ბუკნათელას** ვეტყვით (ადაგული)...

მსაზღვრელ საზღვრულისაგან მომდინარე კომპოზიტები უმეტესად ტოპონიმებია. გვხვდება როგორც ატრიბუტული, ისე გენეტიური მსაზღვრელის შემცველი ტოპონიმები (იხ. ბარამიძე, 2014:37-38).

ატრიბუტულმსაზღვრელიანებში არის როგორც პირდაპირი, ისე შებრუნებული რიგისა:

წითელმიწა (ხება); **ვაკეყანა**, **ქვადედოფალა** (ქლასკური); **ქვადიდი** (ისკები).

მთქმელი განმარტავს: „დიდი ქვა ყოფილა, სახელი დუურქმიან“.

დიდყანა, **დიდალაზანი**, **ორალაზანი** (ქართლა), შავყვერი||შაყვერი, წყალოქრო>წალოქრი.

მთქმელი განმარტავს: „ლამაზი წყალი მოვა იმ ღერში და იმიტომ“.

მარადიდი, დიდღელე, გძელყანა (ბორჩხა)...

პირველი კომპონენტი არის გენეტიური მსაზღვრელი, რომელსაც ჩამომორებული აქვს ნათესაობითი ბრუნვისნიშნისეული -ს, მეორე კომპონენტი ჩვეულებრივ არის **თავი**, **ძირი**, **პირი**, **კარი**, **ჭალა**, **ქედი**...

ბოსტნები თავი (ქართლა); **ჭელი თავი**, **ხიდი თავი** (ბორჩხა), **ქვაბი თავი** (ავანა, ისკები), **ჩანჩხი თავი** (ქლასკური), **კატრიძირი**, **კილდიძირი**, **ბლიძირი** (ქართლა), **ქედიძირი** (იბრიქი), **[რ]კოძირი** (ქლასკური), **ცაცხვიძირი** (ადაგული), **მალრიკარი** (ჯიგვანი), **ჩახრიკარი** (<ჩარხიკარი) (თხილაზორი), **ლომიკეთი**<ლომიქედი (ისკები), **ღელიპირი** (ავანა), **დათვიჭალა** (დევსქელი), **კატრისერი** (ქართლა)...

მეორე კომპონენტად გვხვდება **ფეხი**:

ჯორიფეხი (ქლასკური).

ჯორიფეხი სათიბია ზემო აჭარაშიც (სიხარულიძე, 1958:129).

ზოგიერთი კომპოზიტიური ტოპონიმის ერთ-ერთი ნაწილი თავის მხრივ წარმოქმნილი სახელია:

კოკოლეთხევი (ბუჯური), **საქორიქედი** (ბორჩხა), **ულელტეხილაჲ**, **ყანაველა** (მარადიდი), **ზღვანთხევი** (ქართლა)...

2.6. ქართულ-თურქული აფიქსებით ნაწარმოები ლექსიკი-სათვის კლარჯულში

კლარჯულში (სამხრულ მეტყველებაში საერთოდ) არის ქართული და თურქული აფიქსებით ნაწარმოები სიტყვები, რომლებშიც წარმოჩნდება ქართულ-თურქული ენობრივი ურთიერთობა.

გამოვეყოფთ ასეთი ლექსიკის სამ ჯგუფს:

I. თურქული აფიქსებით ნაწარმოები სიტყვები, რომელთა შესაბამისი ძირეულებიც თურქულია ან სხვა ენიდანაა შესული თურქულში.

II. ქართული აფიქსებით ნაწარმოები სიტყვები, რომელთა შესაბამისი ძირეულები თურქულია.

III. ქართულ ძირეულთაგან თურქული აფიქსებით ნაწარმოები სიტყვები.

პირველი ჯგუფის სიტყვები წმინდა თურქიზმებია:

ა. -ლი სუფიქსი მნიშვნელობით უტოლდება ქართულ -იან სუფიქსს:

ბერექეთლი (თ. bereket – ხვავი, ბარაქა) – ხვავიანი, ბარაქიანი:

მემრე დასლული **ბერექეთლი** კეთდება (დევსქელი).

ემექლი (თ. emek (ği) – შრომა, მუშაობა) - ამაგდარი, პენსიონერი:

ემექლი ვარ (ბუჯური).

აღლი (თ. yag - ერბო, ცხიმი) - ერბოიანი, ცხიმიანი:

აღლი ყველი ეტყვიან კამაღიან ყველს (მარადიდი).

ააშლი (თ. yaş - ასაკი, ხნოვანება) - ასაკოვანი, ხნიერი:

ჩემი **ააშლი** იქნები (ადაგული); თუ **ააშლია**, თუ დედემა, „მოდ“ ვეტყვი (ისკები).

ნიშანლი (თ. nişan - ნიშანი, კვალი; ნიშნობა, დაწინდვა, ბელგის მიცემა...) - დანიშნული, დაწინდული:

ოთხ წელიწად **ნიშანლი** ვიყავ (ბაგინი).

ჩამურლი (თ. çamur - ტალახი) - ტალახიანი:

ჩამურლი - მთა ტალახიანი ყოფილა, ტალახიანი ძერი (ისკები).

შანსლი (თ. şans - ბედი, შესაძლებლობა, შანსი) - მოხერხებული:

შანსლი ქალი ხარ (ერენქომ).

რენგლი (თ. renk- ფერი, შეფერილობა) - ფერიანი:

მურღული[ს] დელე რაფერი **რენქლია**, ხედავ? (ფუტკარამე, 1993:311).

ფარალი (თ. para - ფული, მონეტა) - ფულიანი:

ჰურიევ, შენ **ფარალი** ხარ (კირნათი).

ოდალი (თ. oda - ოთახი) - ოთახიანი:

ხუთი **ოდალი** სახლი გქონებია? (მარადიდი).

ოყალი (თ. okka - ოყა, წონის ერთეული, 1283 გრამი) - ოყიანი, დიდი, უზარმაზარი, მძიმე:

ასი **ოყალი** ქვაბი ყიდევდა იმან გუშინეზე ბათუმ (მარადიდი).

ბ. ჯი||ჯე||ჯა||ჩა||ჩე ქართული -ურ||-ულ, მე-ე აფიქსების შესატყვისია:

აბანჯი, **აბანჩი** (თ. yaban - ველური, გარეული; უცხო, უცხოელი) - უცხო:

ხოჯა ჩემი მეზობელია, **აბანჯი** არ არი (ჯივანი); კოღვებ უკბენიან, **აბანჯები** ნახენ (გურბინი); **აბანჯი** მემლექეთში გოგო არ მიცე (ქართლა)...

ბაღჯი (თ. bache - ბაღი) - მებაღე:

ბალჯიმ უთხრა, ჰა მიხვალო (კირნათი); კითხა მეგერ დერდები, რომენ დაანდეს **გემჯიმ** და **ბალჯიმ** (კირნათი)...

ჰეკიაჯი (თ. hikaye - ზღაპარი) - მეზღაპრე:

ჰეკიაჯი ერთი სოფელი არი აქა (ბუჯური).

გემიჯი (თ. gemi) - მეზღვაური:

გზაზე შეეყარა ერთი **გემიჯი** (კირნათი); კითხა მეგერ დერდები, რომენ დაანდეს თევზმა, **გემჯიმ**... (კირნათი); **გემჯი** გოგოა (კირნათი)....

დემირჯი||**დემირჩი** (თ. demir - რკინა) - მჭედელი:

დემირჩები სოფელში მყავდენ (ზაგინი)...

მარიჯი (თ. yari - ნახევარი) - მონახევრე, მოიჯარე:

მარიჯები მყავან, ისინი საქმობენ (მარადიდი)...

გურჯიჯა||**გურჯიჯე** (თ. gürcü - ქართველი) - ქართულად:

გურჯიჯა წერავს (ისკები); მე ბადიშებს **გურჯიჯე** ველაპარიკები, **გურჯიჯე** ნუ ელაპარიკებო (ხება); **თურქა** ადვილად მობრუნდება, **გურჯიჯა** ჩეთინია (გურბინი)...

გვხვდება პარალელური - ქართული –**ულ** სუფიქსიანი წარმოებაც:

მე **გურჯული** დრამი ვიცი (ბაშქოდ); **გურჯულა** იმღერებენ (ბუჯური); **გურჯული** ცოტა დაკარგულია (ისკები); თქვენი და ჩვენი **გურჯული** არ ებმება (გურბინი); დართვიხან იმღერებენ **თურქა**, **გურჯულ** არ იმღერებენ (გურბინი); ცოტა ვიწავლე **გურჯული** (ავანა); ნახვარი **გურჯულად** მოტრიალებულია (ჯივანი); მე მკითხავს **თურქულად**, მე **ქართულად** ვეტყვი (ჯივანი); **თურქული** წერავ-თუ? (ისკები); ჩვენი, აქვერი, **თურქული** ჩადა (ისკები)...

გ. -**სუზ** (სიზ) - გამოხატავს უქონლობას:

რაჰათსუზი (თ. rahat - მოსვენება, სიმშვიდე) - არაჯანმრთელი, სუსტი, უჯანო:

რაჰათსუზი - ავადევილი ვარ (ერენქოდ)...

ჯანსუზი (თ. can - 1. სული, 2. სიცოცხლე, ცხოვრება, არსებობა; 3. ჯანმრთელობა, 4. ძალა) - სუსტი, არაჯანმრთელი:

არ გავათხვებ, ქრისტიანი თუა, **ჯანსუზი** თუა, არ მივცემ (ავანა)...

2.7. თურქული სიტყვები ქართული აფიქსებით

ქართული აფიქსებით ნაწარმოები სიტყვები, რომელთა შესაბამისი ძირეულები თურქულია:

- **იან**: ყაბულიანი (თ. kabyk - ქერქი) - ქერქიანი:

თხილი გვაქ... თხელი **ყაბულიანი** (იბრიქი)...

- **ობა**: ჯაზობა (თ. cazi - მისანი, გრძნეული) - მისნობა:
უწინ იტყოდენ, **ჯაზობა** არიო (ქლასკური).
- თემბლობა** (თ. tembel - ზარმაცი) - სიზარმაცი:
თემბლობა არი ხალხისა (ფუტკარაძე, 1993:306);
- გენჯობა** (თ. genç - ახალგაზრდა) - ახალგაზრდობა:
გენჯობაში ვისამებდით, ახლა დავბერდი... (ისკები)..
- ავჯი** (თ. avci - მონადირე) - მონადირე:
გენჯობაში **ავჯობას** ვიქნევდით (ფუტკარაძე, 1993:306).
- საიბობა** (თ. sahip (bi) - პატრონი, მფლობელი) - პატრონობა:
რათ უნდა **საიბობა**? (ფუტკარაძე, 1993:307).
- დუგუნობა** (თ. düğün - ქორწილი, წვეულება) - ქორწილი:
[მ]ალი მომყავს, **დუგუნობა** მაქ (ფუტკარაძე, 1993:310)...
- ხარმანობა** (თ. harman - კალო) - კალოობა:
ხარმანობა რომ მექნება, შენ იმა მეტყვი, რომ არ წეხვიდეო
(კირნათი)...
- ხაზირობა** (თ. hazir - მზა, გამზადებული) - მზადება:
ზამთარში **ხაზირობა** იჯებიან (იბრიქი)...
- ბეჯრობა** (თ. bekar - უცოლო, გაუთხოვარი, დასაქორწინებელი) -
დაუქორწინებლობა:
ბეჯრობაში დილიდან საღამომდე მისამია (ისკები).
- ჩობნობა** (თ. çoban - მწყემსი) - მწყემსობა:
[მ]თებზე ბევრი ნავალი ვარ, **ჩობნობას** ვიჯებოდი (ისკები).
- ობა** დაერთვის -**ჯი**, -**ლი** სუფიქსიან სახელებს:
- სუნნეთჯი** (თ. sünnet - წინადაცვეთა) - ის, ვინც ასრულებს
წინადაცვეთას. **სუნნეთჯობა** - წინადაცვეთა:
სუნნეთჯობას იჯებოდა (ქლასკური)...
- ნიშანლი** (დაწინდული, დანიშნული), **ნიშანლობა** - დანიშვნა, დაწინდვა:
ნიშანლობა იყო, ენ წინ დედნიშნავდენ (მარადიდი)...
- მერაყობა** (თ. merak - დარდი, წუხილი) - დარდი:
ჩემი **მერაყობა** მე დამჩა (ჯივანი)...
- სერსემობა** (თ. sersem - სულელი, ბრიყვი) - სისულელე:
უწინ კად იყო, მეტი **სერსემობა** იყო (ჯივანი)...
- ყაფალობა** (თ. kafal - დახურული) - დახურვა:
უწინ იყო **ყაფალობა**, ახლა ყველგან შეიდანია (გურბინი)...

2.8. ქართულ ძირეულთაგან თურქული სუფიქსებით ნაწარმოები სიტყვები

კლარჯულში (სამხრულ მეტყველებაში საერთოდ) ცოტაა თურქული აფიქსებით ნაწარმოები სიტყვები, რომელთა ძირეული მასალა ქართულია:

კალა - **კალაიჯი** (მკალავი):

კალაიჯს მიცემს, მოკალავს (იბრიქი)...

ნადი - **ნადჯი** (ნადის, მამითადის მონაწილე):

ნადმიც იტყოდენ, **ნადჯები** იტყოდენ (ბაშქოძე)...

2.9. ქართულ-თურქული სინონიმური ლექსიკა

ქართულ-თურქული ენობრივი ურთიერთობა აისახება სინონიმურ ლექსიკაშიც. კლარჯებმა იციან ბევრი თურქული სიტყვის ქართული შესატყვისი, რომელთაც იყენებენ კიდევ ერთმანეთთან ურთიერთობისას. იქმნება სინონიმური წყვილები, რომელთაგან ერთი ქართულია, მეორე - თურქული.

ა. წარმოვადგენთ კლარჯული ლექსიკის ქართულ-თურქულ პარალელებს, რომელთაც ხშირად ერთისა და იმავე პირის მეტყველებაში, ზოგჯერ ერთსა და იმავე წინადადებაშიც ვხვდებით:

ადგილი - ფერი (თ. yer):

ერთი მოსულა აქ, **ადგილი** უყიდა (ავანა); **ადგილები** შორ გვექონდენ (ჯივანი)...

მეტი ლამაზია ჩვენი **ფერები** (დევესქელი); გენჯები მეფერებიან ერთ **ფერზე**, ჭამენ (იბრიქი)...

ახალი - გენჯი, დელიყანდი (თ. genç (gi), დელიკანლი// დელიყანლი // დელიყანდი - ახალგაზრდა):

ჩვენ **ახლებმა** გურჯული არ იციან (ერენქოძე); ბებერები არიან, **ახლებიც** არიან (დევესქელი); მე **ახალი** ვარ (ჯივანი)...

ახლანდელი **გენჯები** არ მოგეხმარებიან (ერენქოძე); ქურთები **გენჯები** მოდიან (იბრიქი); **გენჯი** ხარ! (გურბინი); სმენ **გენჯები**, **დელიყანდები** (იჯადიე)...

ბადიში - თორუნი (თ. torun). **თორუნი** სხვა სამხრულ კილოებში და მუჰაჯირებთან ფართოდ გავრცელებული სიტყვაა, კლარჯულში შედარებით იშვიათია, ნორმა ჩანს **ბადიში**:

ახლა ჩემი **ბადიშები** თითო ლუკმა არიან (მამურე); ორი **ბადიში** მყავს, ჩემმა **ბადიშებმა** არ დემწავლენ (ჯივანი)...

თორუნი თორმეტი მყავს (გურბინი); **თორუნი**, ბადიში, ენწინ ბადიში ვიტყოდით, ახლა - **თორუნი** (მურკვეთი)...

ბეჭედი - აუზული (თ. yüzük (ğü)):

მემრე იშტე **აუზულ** დააბმენ, ბეჭედსა (ისკები)...

ბიძაშვილი - ემიაშვილი (თ. amca - ბიძა):

ქართლში ჩემი **ბიძაშვილი** არი (ისკები); ბაბოძს **ემიაშვილია** (დევსქელი); ჩვენი **ემიაშვილის** გოგო გათხოვდა მარადიდ (ერენქოძე)...

ემიაშვილი მამის ძმისშვილს აღნიშნავს. დედის ძმისშვილის აღსანიშნავად იხმარება ტერმინი - **ტაძაშვილი**.

გაწითლება - გაყირმიზება (თ. kırmız - წითელი):

კომბოსტო ჟავე **გავაწითლავ** (იბრიქი); ქათამ მოვხარშავთ, **გავაწითლავთ** (იბრიქი)...

პური **გავაყირმიზავთ**, დაჰა კადა (ერენქოძე)...

გაბლეზება - გაგულიანება (გაბრაზება, გულის მოსვლა, შდრ. გულმოსული) - გაჰერსება (თ. hers):

ხოჯამ **გაბლეზდა** (თხილაზორი); ჩემ გელინის ბაბოძს ნენეძე **გაგულიანდებოდა** (ჯივანი); მალ **ვგულიანდები** (ქართლა)...

გაჰერსდენა, რომ დაწყევლო (ჯივანი)...

გვარი - სოდადი (თ. soyadı):

აქ ახალი **გვარები** აქვან (ბორჩხა); ჩემი **გვარი** - გულსუდ - პავლიაშვილი (გურბინი)...

სოდადები, გვარი - ადინი, თურანნი... (ქლასკური); **სოდადი** ბევრია (ნუსრეთიე); ბაბოძს წინანდელი **სოდადი** ადაბაში ყოფილა (ესკიფერადიე)...

დედამთილი - კადანანა||ყადანანა (თ. kaynana):

კად **დედამთილი** მყავს (საფულარი)...

ვინ **ყადანანა** იძახს ახლანდელი ძალისთვინ, კად ძალი მყავსო? (ქართლა); ქალი დედამთილს ეტყვის: **კადანანა, კადანანა** (ირშადიე)...

დოდოფალი - გელინი (თ. gelin):

დოდოფალ უწინ ცხენით მედყვანდენ (გურბინი)...

ენ წინ მღერობდენ, **გელინი**[ს] გამოყვანიხან (ერენქოძე)...

ეკლესია - ქილისა||ქილისე (თ. kilise):

ეკლესიაში არ გასულხართ? (ბორჩხა)...

ერთი დანგრევილი **ქილისა** არი ზომო (მურღული); ამ მაჰალეში ბევრი **ქილისები** ყოფილა (დევსქელი)...

ვამლი - ელმა (თ. elma):

მეძვები (=ხილი) არი, **ვამლი** არი (ბუჯური)...

ელმადან აკეთებენ (ჯივანი); **ისტამბოლელ ელმას** ვეტყვით, დიდვან-დიდვანია (ისკები)...

[მ]თავრობა - ჰუქუმეთი (თ. hükümet (-ti)):

ამა[ს] ჩვენ ხალხმა ვუყურავდით, ახლა **თავრობამა** უყურავს (ხება); **თავრობას** საქმე დევლია, ოქული გასხნას? (მურღული)...

...**ჰუქუმათი** გაგიყოფს ოჯახს, ეგიწერავს, დეგიწერავს, დედას გიტირავს (მურღული); ეს **ჰუქუმეთმა** გაყიდა (ისკები)...

თუ - მოხსა (თ. yoksá):

თქვენი, იქავრი ფული ბევრია, **თუ** აქ ქი გამღევედენ? (ისკები)...

თქვენი სოფელი ზენგინია, **მოხსა** ჩვენი ზენგინია? (ქართლა)...

კაკალი||**ნიგოზი** - ჯევიზი (თ. ceviz):

კაკალი ჰერსენე (=ყოველ წელს) იძებნებოდა (იბრიქი); **კაკალი** ერთ ძირი მაქვა (იბრიქი)...

ჯევიზი არ არი (ბუჯური); **ჯევიზი**, თხილები გვაქვა (ადაგული); **ჯევიზი** არი, თხილები გავაშენე (ადაგული)...

კიტრი - სალათლული (თ. salatık):

ბევრი **კიტრი** მაქ (ქართლა); ის ვიცი, **სალათლული** (ქართლა)...

აქ არის თომათესი, სიმინდი, **სალათლული** (ჯივანი); ეს **სალათლულია**, ჰამა კიტრიც ვიცი (ქართლა)...

კომლი, სახლი - **ხანე** (თ. hane):

ამ სოფელში ოძდახუთი-ოძდაათი **კომლია** (ისკები)...

სამასოცდაათი **სახლი** აქ არიან (დევსქელი); სამოცი **სახლი** ვართ აქ გურჯი (ჰამიდიე); ოზდათორმეტი **სახლი** მოსულა სხვადასხვა დროს (სირეთიე)...

ოზდათორმეტი **ხანე** ყოფილა (სირეთიე); სამასი **ხანე** ვართ (ნუსრეთიე); იქიდან ეფუ **ხანე** მოვსულვართ (მამუდიე)...

მანქანა - არაბა (თ. araba):

სამი ბიჭია, სამივეს **მანქანა** ყავან (დევსქელი); ჩემ **მანქანას** დავაწევი, ოზმითიდან აქ მოვედი (გურბინი)...

ჩემ ბიჭმა ედლო ეს **არაბა**, ჩემი **არაბა** გავყიდე (გურბინი); დოდოფალ უწინ ცხენით მეფყვანდენ, ახლა **არაბები** გამოშენდა (გურბინი)...

მეზობელი||**მოზობელი**, **განაყოფი** - კომში (თ. komşu):

მეზობლები კაჲ არიან (ერენქოდ)...

ბიძამა **მოზობელი** დაჭრა (ხება)...

განაყოფი მყავს (ქართლა); ჰად ვაცხოზ, **განაყოფები** მამღევენ (ერენქოდ); ენ ახლო **განაყოფი** ესაა ჩემი (ისკები)...

ისინი **კომშები** არიან (ადაგული); პატინა ბოსტანი მაქ, მიკეთებენ **კომშებმა** (ერენქოდ); **კომშებმა** საჭმელი მუუტანენ, მოზობლებმა (მურკვეთი)...

მონათესი - ახრაბა||ხისიმი (თ. Akraba, hisim). ნათესავის მნიშვნელობით გვხვდება **მონათესი**, რომელიც იშვიათია, მას ენაცვლება თურქული **ახრაბა** და **ხისიმი**:

მონათესი გყავს? (ერენქოდ)...

ერთმანეთის რა ხართ, **ახრაბები** ხართ? (ჯივანი)...

ბათუმაც **ხისიმები** ყავს აბლას (ხება)...

ომი - ხარბი||ჰარბი, სავაში (თ. harp (bi), savaş):

ოთხი თანე **ომში** მომკტარან (დალოვა); სანქი **ომი** იყო, ოო, **ომი** გეგონებოდა (ხება)...

აქავრობა ზათი უწინ თეელი გურჯი ყოფილა, მემრე **სავაშ**, **ხარბი-მარბი**, გუუყვიან (ბაშქოდ)...

ჰარბი იყო, გამეძეცენ, **სავაში** რომ დედლია, მაშინ მოვდენ (ხება)...

რომი - ქი||კი (თ. ki):

გაჰერსდენა **რომი** დაწყევლო (ჯივანი); ჩემ ბადიშებმა იკითხებენ ქითაბ, **რომი** მეზდებიან (ჯივანი)...

ბორჩხაში **ქი** ჩავალთ, გურჯულათ დევლაპარიკებთ (ჯივანი); იმას უთხრა, **ქი** ამედაას ნენედ მომკტარაო (ჯივანი); აქ ჯენაზე **ქი** ეყვანებენ, მაშინ ეტყვიან (ერენქოდ)...

საავატყოფო - ხასტანე||ჰასტანე (თ. hastane). კლარჯულში საავატყოფო იშვიათად იხმარება:

იმა ცოტა იქეთ **საავატყოფოა** (მურღული)...

ხასტანეში ვიწვევი, ესენი მტკივა (ისკები); ყუელდღე **ჰასტანე** არაა, ხუთშაბათ გამუა (ტრაპენი); იმ დელეს'ნა უყვე, **ჰასტანე** არი (ჯივანი)...

საზღვარი - ჰუდუდი (თ. hudut):

მაშინ **საზღვარი** ტრაპიზონამდე იყო (მურღული)...

ჰუდუდი რომ ჩეძრა, რუსის კარზე დარჩენ (ჯივანი)...

სამხრულ მეტყველებაში საზღვარი იშვიათია.

სკივრი - სანდული (თ. sandik):

დოდოფალის **სკივრზე**, **სანდულზე** დაქდომა არი (ჯივანი).

სკოლა - ოქული (თ. okul):

აქ **სკოლა** არი (ჯივანი)...

ოქული ქართული არ გვაქ, თავრობას საქმე დეელია, **ოქული** გასხნას? (მურღული)...

სოფელი - ქოძ (თ. koby): ამ წყვილთაგან მეტად გავრცელებულია ქართული სოფელი:

ასე **სოფელია** სხვა (იბრიქი); ლამაზი **სოფელი** მაქვანან (ბუჯური); **სოფელში** ვიყავ (ერენქოძ)...

ქოძ გვხვდება ტოპონიმებში: **ერენქოძ**, **ბაშქოძ**...

სპილენძი||**პილენძი** - ბახირი (თ. bakir):

სპილენძის ფაბრიკა იყო აქა, ბახირ, გურჯიჯა **სპილენძი** (მურღული); **პილენძის** ქარხანა იყო, ახლა **პილენძი** არ არი (მურღული)...

ეს **ბახირია** (გურბინი)...

სტუმარი - მოსაფირი||მუსაფირი (თ. misafir):

ქორწილი მქონდენ, **სტუმრები** მყავდენ (ერენქოძ)...

მოსაფირებად მოვდენ (ჯივანი); **მოსაფირი** გიმიხარდებიან (ჯივანი); **მუსაფირ** ვინმე რამეს ვერ ეტყვის (დევესქელი)...

ფული - ნაჭარი - ფარა (თ. para):

წევყვანე, ჰამა **ფული** არ არი (ბუჯური); იმან **ფული** მომცა (ჯივანი); **ფული** ბევრი არ მამღვეს ჰუქუმეთმა (ჯივანი)...

ნაჭარი უნდა, **ფარა**, გურჯიჯა **ნაჭარ** ვეტყოდით (აივაზფინარი)...

ქართველი – გურჯი (თ. gürcü):

ქართველია, ჰამა ვერ ლაპარიკობს (ჯივანი); მე **ქართველი** ვარ (ბორჩხა)...

ისინი **გურჯი** არიან (ჯივანი); ჩვენ თეელი **გურჯი** ვართ (ჯივანი)...

ქვეყანა - დუნია (თ. dünya):

რომ არ მოვკდეთ, ეს **ქვეყანა** ამყრალდება (გურბინი)...

ღმერთმა ის **დუნია** კად მოქცეს (ჯივანი)...

ქორწილი - დუგუნი (düğün):

წუხელი **ქორწილი** მქონდენ (ერენქოძ); მე აქ **ქორწილი** მქონდენ (ბუჯური); **ქორწილ** იქმენ (ერენქოძ); ჩემი შვილის **ქორწილი** გავაკეთე (ბუჯური)...

დუგუნში მღერიან (გურბინი); სახში **დუგუნი** გაავდენ (ერენქოძ);

დუგუნ იქმენ, ქორწილსა (ისკები)...

ღვინო - შარაბი (şarap):

ჩემი ბიჭი **ღვინოს** არ სვავს (დევესქელი)...

შარაბი კად რამ არაა, ერთი-ორი ვსვი (ბუჯური)...

ღორი - დომუზი (თ. domuz):

ღორები ბევრი მყავან (იბრიქი); მჭამელი არი **ღორი** ხორცისა (დევესქელი); რუსებმა ჭამენ **ღორი** ხორცი (იბრიქი)...

დომუზები არიან, დათვები არიან... ღორი პატინადა, დათვი დიდა (გურბინი)...

ძველი||ბებერი - აშლი (თ. yaşlı):

აქ ვინმე **ძველი** არ არი, ენ **ძველი** მე ვარ (ერენქო);

ბებერები არიან, ახლებიც არიან (დევესქელი); **ბებერების** თეთრი თმა, ნუ გინდაო ბევრი თქმა (ერენქო); მოკდენ **ბებერები** (გურბინი)...

აშლი კაცები აღარ არიან, წევდენ (სირეთი)...

წამალი - ილაჯი (თ. ilaç):

ჭლიკები რომ გტკივა, ჯინჯარია **წამალი** (გურბინი)...

ჯინჯარი **ილაჯია**, დაგშუმხავს (ადაგული); **ილაჯებ** ვსვამ (მურღული)...

[მ]წარე, სიმწარე - აჯი (თ. aci):

ამღრველი, **წარე** წყალი დგას (ბაშქო)...

აჯიგოლი - წარე წყალი (ბაშქო); ღმერთმა რამ **აჯი** არ მოგცეს (ჯივანი)...

წელიწადი||წელი - სენე (თ. sene):

მამათილთან ორ **წელიწად** ვიყავ (ჯივანი); წინ ირმი ბემ **წელიწად** ისაქმებდი, გააგდებდი (ავანა); ცხრა **წლის** ვიყავ (ჯივანი)...

ჩემი ბაბოა მოკტა ონ **სენე**... ჩემი ანაა მაშინ მოკტა სამი **სენე** იქნა (იბრიქი); კაკალი **ჰერსენე** (=ყოველ წელს) იძებნებოდა, ახლა არ იძებნება (იბრიქი)...

ხახვი - სოღანი (თ. sogān):

სალათა გავაკეთავთ, თომათესი, **ხახვი**, მარილი (დევესქელი)...

ლობიას დავტეხავთ, **სოღან** ჩავჭრით (ჯივანი)...

ბ. ქართული და თურქული სიტყვები მონაცვლეობს კომპოზიტის ერთ-ერთ ნაწილში:

ლემს ვიჯები **ახშამ-დილას** (ერენქო)...

შდრ.:

ილაჯებ ვსვამ **ახშამ-საბაჰ** (მურღული)...

უწინდელი **დრო ამსოა** იყო (ადაგული)...

შდრ.:

ჩვენში **ადეთი ამფერი** არი (ჯივანი)...

ამსოა კომპოზიტში ამ ქართული ნაცვალსახელია, **სოა** (soy) - თურქული, ნიშნავს **გვარს, სახეობას**.

2.10. ქართული სინონიმური ლექსიკა

ქართულ-თურქული ლექსიკური სინონიმების გვერდით გვხვდება ქართული სინონიმების პარალელურად ხმარების შემთხვევებიც:

ალეზა - ყიდვა:

ჩაის ბორჩხას ვიღებთ, ვიყიდავთ პაკეტებში (ერენქომ); არ მაქვს ქი იმდენი სიმინდი, ვიყიდავთ, ჩარში'ნა ედლო (იბრიქი); ეს [ჩაი] ჩვენი გაკეთებულა, ალეზული (=ნაყიდი) არ არი (ისკები)...

ახლობა - ახალგაზრდობა:

ახლობაში თლათ ექენა (ქლასკური); დაბერდა, მიმეკრა, ახალგაზრდობაში ექენებოდა (ქლასკური)...

ბავში (<ბავშვი), **ბალვი**, **ბალანა** - **ღარჭი**: **ღარჭი** შავშურში ბიჭის მნიშვნელობითაც იხმარება (შავშეთი, 2011: 287-288), კლარჯულში ამ მნიშვნელობით არ შეგვხვედრია:

ჩემი ბავშია, ამან ქართული არ იცის (ჯივანი); მე ასე პატიტა ბალვი ვიყავ (ჰამიდიე); მეორე ბალვი ლიცეშია (იჯადიე); ერთი ბალანა ეყოლა (ჯივანი); ბალანამ იტირა, გემეღვიდა (ჯივანი); კაცი მუუკდა, ბალანა არ ეყოლა (დევსქელი)...

მე ღარჭი ვიყავ, გამომტყვილეს (დევსქელი); სამი თანე ღარჭი ყავს - ორი გოგო, ერთი ბიჭი (ერენქომ); დუუყრი კარებს და წავალ ღარჭებთან (ბუჯური); ამ ღარჭის ბაბომ იქ საქმოფს (ბუჯური)...

ბუცება - ყურება:

სალამოს ნენეს ებუცე, მე კაცს ვებუცები, ვუყურავ - ვებუცები (სირეთიე); ნუ მიყურავ (ჯივანი)...

გამოწევა - გამოღება (იყენებენ ფოტოს გადაღების მნიშვნელობით):

კამერით გამეღწიე, გამეღლე (ისკები)...

გარგანი - ჯოხი:

რამდენი გარგნები, ჯოხები მაქ (ქართლა)...

დაბადება - დასმა:

ესენი დავბადე, გოგვები მყავს (ქართლა); ხუთ წელიწადში სამი ღარჭი დავბადე (ნუსრეთიე)...

ღარჭები ბევრი დავსვი (თხილაზორი); აქ დევსვი, აქ გევზარდე (ირშადიე); ჩემი ბაბომ აქ დასმულა (ლუთბიე)...

დასახლება - დაქორწინება:

წინ (=უწინ) მალე დაასახლებდენ (ერენქომ)...

ჩემი დის ბიჭი დავაქორწილევი (ბუჯური); ბიჭი დაქორწილებულია (ავანა)...

დასახლება მხოლოდ მამაკაცის დაქორწინების მნიშვნელობით იხმარება.

დახარჯვა - სიკვდილი:

ნენეა **დემეხარჯენ** (ჯივანი); ღარჭი რომ **დეეხარჯენ**, იმის უკან (ხება)...

ბაბოდ **მომიკტა** (ლუთბიე); ძველები **მოკდენ** (ერენქოა)...

დახარჯვა გარდაცვალების მნიშვნელობით გვხვდება აჭარულშიც (იხ. ნიჟარაძე, 1971; ნოღაიდელი, 2015).

დგომა - **ჯდომა** - **ცოცხლობა** - **ცხოვრება**:

მე ანკარას ვარ, მე იქ **ვდგავარ** (ერენქოა)...

ბათუმ **ზიხართ?** შენ ჰა **ზიხარ?** (ჰამიდიე); აქ წყალი უნახვან, აქ **დამყდარან** (სირეთიე); იზმითში **დავჯექი** (ბაშქოა); ერთი აქაა, ზომო **ზის** (მურკვეთი)...

შვილები ერთი აგზე **ცოცხლობს** (ხება)..

იქაც არ **ვცხოვრობ**, მივალ-მუალ (მარადიდი)...

კაცი - **ქმარი**:

ჩემი **კაცის** დის ბიჭია, მისი **კაცია** (ქართლა); ამის **კაცი** ჰოსტანიში საქმობს (ადაგული); შენი **კაცი** არ გახლავს? (გურბინი)...

კლარჯულში **ქმარი** იშვიათია, თუმცა თითო-ოროლა შემთხვევა დასტურდება:

ჩემი **ქმარი** მოვდეს, იმან იცის (ჯივანი); ახლა **ქმარი** მოგიკდა (დეესქელი)...

კოტოში - [მ]კლავი (ამ სიტყვების მნიშვნელობაა სიმინდის ტარო):

სიმინდის **კოტოშია**, **კლავსაც** ვეტყვით, **კლავი** მუუცემიაო (ისკები)...

მოკრეფა - **მომცრეფა**:

მოკრიფავ, დალეწავ, თენჯერეში ჩაყრი (ისკები)...

ბევრი კიტრი **მევმცრიე**, აქ ღარჭებმა **მემცრევენ** (თხილაზორი)...

მომცრეფა მოგროვების, შეგროვების მნიშვნელობით იხმარება:

ქურთები გენჯები მოდიან, **იმცრევენ** რაცხებს (იბრიქი)...

საქმობა - **მუშაობა**:

ახლა გააგდეს **საქმობა** (ისკები); ახლა აქ **საქმობენ** (ისკები); ბათუმ **საქმობ?** (ადაგული); პატინაჲ იქ **საქმობს**, ორი აქ **მუშაობენ** (დეესქელი)...

ახლა ორ საათ **მუშაობენ** (ისკები); მე აქ **ვიმუშავე** ონ ედდი (გურბინი); ოცდაშვიდი წელი **ვიმუშავე** (გურბინი)...

უკან - **თან**, **ერთად**, **ერთხელად**:

კაცის უკან ვარ, მარტო (დევესქელი); თუ თქვენ ჩვენს უკან, ჩვენ ერთხელად ხართ... (ისკები); თურქებთან ერთად ვართ (ქართლა); შენ ღარჭებ უკან, ერთად დაგაბეროს ღმერთმა (თხილაზორი)...

უკან - მემრე:

ერთი კვირის უკან დუუნახვან სიძე (ადაგული)...

ერთი თვის მემრე ედვსობა ყველაფერი (ბუჯური)...

უწინ - წინ:

აკვანში უწინ ვაწვენდით (ჯივანი); უწინ ეს მეზრე ყოფილა (ისკები); უწინ აქ თაფლი იქნებოდა (ისკები); „ისკები” თურქული არ არი, უწინ ერქვა (ისკები)...

აქ ზორ თოვლი იქნებოდა წინ, ჰამა ახლა არ არი (ადაგული); თხილი წინ ვყიდევდით (იბრიქი)...

ქალი - ცოლი: ფართოდ გავრცელებულია ქალი, იშვიათია ცოლი:

თქვენ ცოლი ეტყვიტ ქალს? (მარადიდი); შენ თუ გააგდე ცოლი ჰუქუმეთი გიგიყოფს ოჯახს (მურღული); ჩემი ცოლი თურქული ლაპარაკი არ იცის (ხეზა); ერთი ხელი მომძრა, ცოლი დაკვარვე (ისკები)...

მოლა ნესრედინს მეოთხე ქალი მუყყვანია (ქლასკური); ჩემი ქალი ამ სოფლიდან არა, სხვა სოფლიდანაა (მარადიდი); ამ კაც ქალი ყავდა, მუყკდა (ბაშქოე); ჩემი ქალი არ იღებს პენსიას (დევესქელი); ქალი ვასამო? (დევესქელი)...

სინონიმური წყვილები სხვაც დაიძებნება კლარჯულში. მოყვანილი მასალიდან ჩანს, რომ კლარჯული სინონიმები ანალოგს პოულობენ სხვა სამხრული კილოებში გამოვლენილ სინონიმებთან.

2.11. კირნათ-მარადიდული ლექსიკის მიმართებისათვის თურქეთის კლარჯულ ლექსიკასთან

კირნათი და მარადიდი (ქვემო მარადიდი) ჭოროხის ხეობის საზღვრისპირა სოფლებია, რომლებიც საქართველოს შემადგენლობაში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებშია. ისტორიულად დასახელებული სოფლები მირვეთთან ერთად კლარჯეთის ნაწილი იყო. მიუხედავად ამისა, „ქართული დიალექტოლოგიის ტრადიციით კირნათ-მარადიდის მეტყველება აჭარული კილოს ქვემოაჭარული კილოკავის ნაწილად მიიჩნეის. თუმცა ორ სოფელში ჩაწერილი მასალებიც გვიჩვენებდა,

რომ საქმე გვექონდა სტრუქტურულად აჭარულისაგან განსხვავებულ მეტყველებასთან“ (ფაღავა, ცინცაძე, 2008:233).

უკანასკნელ ხანებში მოპოვებული მასალის მიხედვით ცხადი ხდება, რომ მირვეთის, კირნათისა და მარადიდის მეტყველება კლარჯულ კილოს უნდა მიეკუთვნოს.

ამჯერად ცალკე გამოვყოფთ საკითხს - კირნათ-მარადიდის მეტყველებისა (ვუწოდოთ საქართველოს|აჭარის კლარჯეთი) და კლარჯული კილოს (რამდენიმე სოფლის - ჯივანის, დევსქელის, ბუჯურის, გურბინის, ბაშქომის, ქართლას, ისკების, ავანას, ადაგულის... პირობითად ვუწოდოთ თურქეთის კლარჯეთი) ლექსიკის ურთიერთმიმართებას. აღნიშნული სოფლების ლექსიკაში გამოვყოფთ სიტყვათა შემდეგ ჯგუფებს:

1. საერთო სიტყვები, რომელთაც ორივე რეგიონში ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვთ.

2. საერთო სიტყვები, რომელთა მნიშვნელობები თურქეთის კლარჯეთის მეტყველებაში გაფართოებულია.

3. სიტყვები, რომელთაც დასახელებული სოფლების მეტყველებაში განსხვავებული მნიშვნელობები აქვთ.

4. სიტყვები, რომლებიც დასტურდება მხოლოდ თურქეთის ან საქართველოს კლარჯეთის სოფლების მეტყველებაში.

1. ლექსიკის დიდ ნაწილს შეადგენს ის სიტყვები, რომელთაც მთელს კლარჯულ კილოში ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვთ. დავასახელებთ რამდენიმეს:

აღება - ყიდვა, აღებული - ნაყიდი, ახალი - ახალგაზრდა, ახლოპირ - ახლოხანში, გაბღუზება - გაბრაზება, გაგდება - მიტოვება, თავის დანებება, გაგნება - მიხედრა, გათევა - გაძლება, გარგანი - ჯოხი, დაკავება - დაჭერა, დაპატიმრება, დასახლება - დაქორწინება, დაოჯახება (მამაკაცისა), მიძრა - მიხურვა, დაყრა - დაკეტვა, ერთხელად - ერთად...

2. კლარჯულის საერთო სიტყვათაგან ბევრის მნიშვნელობა თურქეთის კლარჯეთის მეტყველებაში გაფართოებულია:

კითხვა მთელს კლარჯულში რამდენიმე მნიშვნელობით იხმარება:

ა. ძირითადი მნიშვნელობით: **კითხვა** - წაკითხვა (წერის საპირისპიროდ):

ჩემი დედეჲ ჰემ **წერევა**, ჰემ **კითხულობდა** (ისკები); ჩემი ღარჭებმა ყურანი **კითხულობენ** (იბრიქი)...

მერიმა გაზეთი არ მომიტანა, ვერ **წეკვითხე** (კირნათი); ჰაჯერავ, ჰაჯერ, რაები **წაგაკითხო** (კირნათი)...

ბ. შელოცვის მნიშვნელობით:

ბევრი სქონელი ყავან, **ვუკითხავთ** (ჯივანი); ექსიპირ (=ექვსჯერ) ეს'ნა **ჩეაკითხო** (ადაგული)...

მაგას კითხვით **ეშველება** (მარადიდი)...

გ. ლოცვის მნიშვნელობით:

მე **ვიკითხავ** და მოვალ (თხილაზორი)...

დ. სწავლის, განათლების მიღების მნიშვნელობით **კითხვა** გვხვდება თურქეთის კლარჯულში, ამ სიტყვას დასახელებული მნიშვნელობა არ აქვს კირნათისა და მარადიდის მეტყველებაში.

კითხვა - სწავლის მნიშვნელობით გვხვდება აჭარულში: მაგას რას უყურეფ, **ნაკითხი** კაცია (ორთაბათუმი):

ეს ანკარას **იკითხავს** (ტრაპენი); მე იმდენი არ **მიკითხია**, ჩვენ დრობიხან არ იყო **კითხვა** (ქართლა); **კითხულობ** თუ შენ? რა'ნა გახდე? (ბუჯური); მისი ბიძაშვილი იქ **იკითხა** და ორითმენი (=მასწავლებელი) გახდა (ჯივანი); არ ვიცი, გეყურბანე, არ **მიკითხია** (ჯივანი)...

იშვიათად **სწავლებაც**, **სწავლაც** იხმარება, მაგრამ არა განათლების მიღებისა და გადაცემის მნიშვნელობით - ნიშნავს ზოგადად რაიმეს დასწავლას, რაიმეს ცოდნას:

შენ ჰად **დეიწავლე** ასე კოვზის დადება? ეს „არ მინდას“ თქმა არი (ისკები); ქალი - ქალია, ჰამა კახელი სხვა ქალია, ეს ბაბომ **დამაწავლა** (დევსქელი); ლოცვა არ **დავაწავლე** (ჯივანი)...

ერცხვა - მთელ კლარჯულში ფართოდ გავრცელებული ლექსიკური ერთეული, მიღებულია ორი სიტყვის შეერთებით: **ერთი** და **სხვა**: **ერთისხვა**>**ერთსხვა**>**ერცხვა** (თ'ს ჩავარდნითა და **ს:ც** მონაცვლეობით). მისი მნიშვნელობაა **კიდევ**, **მეორეჯერ**:

გევხედოთ, რომ **ერცხვა** მუუჯახუნა ვინცხამ (კირნათი); **ერცხვა** არ შამუუშეფეფ ეს ბაღნები ამ საშრობში (კირნათი); **ერცხვა** გააძეს, **ერცხვა** დემაძხა მეგერ (კირნათი)...

ერცხვა ვერ დიგინახავთ (ისკები); იმის ფეხი თუ გონჯია, **ერცხვა** არ მეძყანდენ (ერენქოძე); **ერცხვა** მოხვალ, დევწავლით (ტრაპენი)...

საერთოკლარჯულში ამ სიტყვას სხვა მნიშვნელობა არ აქვს. კირნათ-მარადიდის მეტყველებისაგან განსხვავებით, თურქეთის კლარჯეთის მეტყველებაში გამოიყენება მსაზღვრელადაც, აღნიშნავს **შემდგომს**, **მომდევნოს**, **დანარჩენს**:

ერცხვა წლამდე რომ ზარალი მექნას, იმიდან დავთლი (ჯივანი); „გელინო, გელინო“... დამბიწყდა, დავბერდი, **ერცხვა** არ ვიცი (ავანა)...

ამ მნიშვნელობით გვხვდება ასევე **უკანაძ**:

გემიგონია, სხვა უკანამ არ ვიცი (ჯივანი) (იგულისხმება შელოცვის დარჩენილი ნაწილი).

დრამი - საერთოკლარჯულში გავრცელებული სიტყვაა, მისი მნიშვნელობაა **მცირე, ძალიან ცოტა**. ამავე მნიშვნელობით იხმარება იგი კირნათსა და მარადიდშიც, მაგრამ მას მსაზღვრელად ყოველთვის ახლავს რიცხვითი სახელი **ერთი: ერთი დრამი**. კირნათელისა და მარადიდელისათვის „ერთი დრამი“ შეიძლება იყოს **ყველი, წყალი, პური...**

ერთი დრამი ყველი არ მაქვა; **ერთი დრამი** წყალი ჩაასხა; **ერთი დრამი** პური მიხდა, მეტი ჰიჩ არა...

თურქეთის კლარჯეთის მეტყველებაში **დრამი** განურჩევლად იხმარება ყველა საზოგადო სახელთან:

დრამი ხალლი ვართ და ბევრი არა (ისკები); მე გურჯული **დრამი** ვიცი (ბაშქომ); თქვენ პაწას იტყვით, ჩვენ - **დრამს** (ისკები); თოვლი ხან **დრამი** გათოვლდება, ხან - ბევრი (ისკები); ზამთარში აქ [მოსახლეობა] **დრამი** რჩება, თეელი წველენ (ისკები)...

„რუსუდანიანზე“ დართულ ლექსიკონში სხვადასხვა ლექსიკურ ერთეულად არის შეტანილი **დრამი** და **დრამა**, თუმცა ორივე ერთი მნიშვნელობით (რუსუდ. 726). „ყარამანიანში“ ამ სიტყვას მსაზღვრელად ახლავს „ერთი“: ვერცხლისაგან **ერთი დრამა**ლა დარჩენილა (ყარ. 600).

მომცრევა|მოცრევა კირნათსა და მარადიდში აღნიშნავს **მოგროვებას, სათითოდ აკრეფას**, უმეტესად მოსავლის აღების შემდეგ დარჩენილი ხილის, სიმინდის, ლობიოს, თხილის... მოგროვებას, მარცვლების აკრეფას:

მაგ ვაშლი **მოცმცრე** წაღან; **მემცრე** კარქათ, ერთიც არ დატიო; ამას ყველას **მოცრევა** უნდა გაწვიმებამდე (მოსაუბრე თხილის აკრეფაზე, მოგროვებაზე ამბობს).

მომცრევას ფულზეც იტყვიან:

ფარას **იმცრევს**.

აქ მას **მოგროვების, მოკრების** მნიშვნელობა აქვს.

თურქეთის კლარჯეთის მეტყველებაში ამ სიტყვის მნიშვნელობა გაფართოებულია, ნიშნავს ხილის, ბოსტნეულის მოკრეფას, საერთოდ რაიმეს შეგროვებას, მოგროვებას:

ქლიავი **მოციმცრიოთ**, სხალი, რა გეჩქარებიან (ბუჯური); თხილი მომივდენ, თხილი'ნა **მოციმცრიო** (ჯივანი); ბევრი კიტრი მაქ, ღარჭებმა **მემცრევენ** (თხილაზორი); ხეჭეჭურაა **მეცრევთ**, გუუფენტ (ისკები); ლახანა **მემცრიო**, გარცხა (დევსქელი); კაკალი არი დარგილი, გუშინ **მეცმცრე**, ერთი შორვა ანჯახ გავაკეთე (იბრიქი); მე **მეცრე**, მე გავაკეთე, მე დავარგი (თხილაზორი)...

მომცრევა||მომცლევა გავრცელებულია ქართლშიც, ნიშნავს რთველის შემდეგ დარჩენილი მტევნებისა და მარცვლების კრეფას (ლლონტი, 1984). ძველ ქართულში გვქონდა **მოცურევა**, რომლის სინონიმი იყო **მოკუფხვლა**. **კუფხალი** ძველ ქართულში აღნიშნავდა მარცვალს და ენაცვლებოდა კიდეც მას პარალელურ რედაქციებში (ვრცლად იხ. ცინცაძე, ფაღავა, 1998:185-189).

საქმე||საქმობა - ცნობილი მნიშვნელობის გარდა, რომელიც ამ სიტყვებს საერთოკლარჯულში აქვს, თურქეთის კლარჯულში, აჭარის (||საქართველოს) კლარჯულისაგან განსხვავებით, **სამსახურის**, **მუშაობის** მნიშვნელობით გამოიყენება:

ჩემი კაცი **საქმეში** იყო (ჯივანი); აქ ფაბრიკა იყო, მადენში და იქ **საქმობდა** (გურბინი); კაცები **საქმობენ** ფაბრიკაში (დევესქელი); ორი ბიჭი ბურსას არიან, **საქმობენ**, ქირაზე არიან (ბუჯური); ფაბრიკაში არ **მისაქმია** (ბუჯური); ანკარას **საქმობს** (ტრაპენი); ბათუმ **საქმობ?** (ადაგული); კაფე მაქვანან, იქ **ვსაქმობ** (ერენქოძე); ერთი, ამ ღარჭის ბაზოძე იქ **საქმოფს** (ბუჯური); რუსები, ერმენები მოსულან **საქმობისთვის** (ავანა)...

ზოგჯერ პარალელურად იხმარება **მუშაობაც**:

პატინაა (პატარა) იქ **საქმობს**, ორი აქ **მუშაობენ** (დევესქელი); ემექლი ვარ, **მუშაობა** გავათავე (გურბინი); მე აქ **ვიმუშავე** ირმი ძედი (გურბინი)...

საქმობს ზმნას განსხვავებული მნიშვნელობით იმოწმებს შ. ფუტკარაძე მაჭახლურში (ქვაბითავის მეტყველებაში), ნიშნავს **ხარობს**, **იზრდება**:

ჩვენ მიწაზე მიწიხაპაა, ლობიო, სიმინდი **საქმობს** (ფუტკარაძე, 1993:313).

დასახელებულ ზმნას იმავე მნიშვნელობით იმოწმებს აჭარულში შ. ნიჟარაძე: ნაკაფ, ნახამურ ალაგებში ყართოფაა და ხაპი კარქა **საქმობს** და შრალიც გამოდის (ნიჟარაძე, 1971). კირნათ-მარადიდის მეტყველებაში **საქმობს** ამ მნიშვნელობით არ ჩანს.

ცარიელი სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში ცნობილი მნიშვნელობის გარდა თურქეთის კლარჯულში აღნიშნავს სამსახურიდან, სასწავლებლიდან თავისუფალს, საერთოდ უმუშევარს:

ერთი ორი ღარჭები **ცარიელი** იყვენ, ახლა იქ საქმობენ (ისკები); **ცარიელი** დავრჩი, ამოველ ბორჩხას (ჯივანი); მექთები[ს] დაწყებამდე **ცარიელი** ვართო (გურბინი)...

შექერი კირნათსა და მარადიდში იგივეა, რაც **შაქარი**. თურქეთის კლარჯულში მას **კანფეტის** მნიშვნელობაც აქვს, ამიტომ იხმარება ზოგჯერ მრავლობითშიც:

იმას **შეკრებ** მივსცემთ, ჰელვას მივსცემთ, ფეხ დავსცდით (ადაგული); მამამთილი **შეკერ**, ფარას გადააყრის თავზე (ბუჯური)...

წინ დამოუკიდებლად ხმარებისას ცნობილი მნიშვნელობის გარდა (ადგილის ზმნიზედა) კირნათ-მარადიდის მეტყველებისაგან განსხვავებით თურქეთის კლარჯულში დროის ზმნიზედის (უწინ) მნიშვნელობითაც გვხვდება:

წინ მალე დასახლებდენ, თერთმეტ-თორმეტი წლისას (ავანა); **წინ** ირმი ბემ წელიწადი ისაქმებდი, გააგდებდი, ახლა გახდები ორმოცდაათი წლის, სამოცი წლის (ტრაპენი); **წინ** მეტი კაჲ იყო, იმდერებდენ (ერენქოჲ); წრევლაჲ არ ვაკეთებ, **წინ** ვაკეთებდი (ისკები); დემაზდვის, მაშინ დანიშნავ იქნება, ჰამა ახლა არ არი, **წინ** იყო (ავანა); აქ ზორ თოვლი იქნებოდა **წინ**, ჰამა ახლა არ არის (ისკები); ენ **წინ** მდერობდენ, გელინი[ს] გამოყვანიხან (ერენქოჲ); ენ **წინ** [ინას] დავთესევდით (ერენქოჲ); **წინ** ვიქმოდით, კომ ვეტყოდით (ჯივანი)...

ამ ზმნიზედის მრავლობითის ფორმა - **წინაები** აღნიშნავს უწინდელებს:

ამ სოფლის სახელი **წინაების** დარქმევლია.

პარალელურად გვხვდება აგრეთვე **უწინ**:

„ისკები” თურქული არ არი, **უწინ** ერქვა, ახლა სოფელია, ცოტა გეზდა (ისკები); **უწინ** ეს მეზრე ყოფილა (ისკები); **უწინ** პური დავთესევდით (ქართლა); დოდოფალი **უწინ** ცხენით მეყვანდენ (გურბინი)...

უწინ ზმნიზედის ძირეული მასალა **წინ** ჩანს, საძიებელია უ’ს წარმომავლობა. ხომ არ არის იგი იგივე უ პრეფიქსი უქონლობის სახელებში რომ გვხვდება ო სუფიქსთან ერთად?

გაქცევა ცნობილი მნიშვნელობის გარდა თურქეთის კლარჯულში აღნიშნავს ქალის მოტაცებას შეყვარებულის მიერ:

ამას მის ბაბომ ჯერ არ მამღევდა, ელჩობის (=შუამავლობის) მემრე **გავაქციე** (იბრიქი); ემიჯეს ქალის გოგო **გააქციეს** (ისკები)...

გაქცევა ქალის გაპარვასაც ნიშნავს:

ამის ბადიში **გეაქცა** (ავანა)...

მიმღეობა „გაქცეული” აღნიშნავს „მოტაცებულსაც” და „გაპარულსაც”:

ჩემი ნენე **გაქცევლია** (ისკები).

გაქცევა აჭარულშიც გვხვდება **გამიეკიდას** სინონიმად:

ჩვენი მეხფულე **გეაქცა**, ისმეთას **გამიეკიდა** ბათუმში (ორთაბათუმი).

გამოწევა, **გამოღება** თურქეთის კლარჯულში სურათის გადაღებასაც აღნიშნავს:

გამომწიე, ცოტად დავბერდი (ჯივანი); კამერით **გამეაწიე**, **გამეაღე** (ისკები)...

მოკდა, **გადაბრუნდა** - თურქეთის კლარჯულში ამ სიტყვათა მნიშვნელობა გაფართოებულია: გადმოსცემენ რაიმე საგნის ხმარებიდან გასვლას, რომელიმე ჩვეულების, ტრადიციის მოშლას:

ახლა **გადაბრუნდა**, გურჯული არ აწავლიან (დევესქელი); ორი-სამი არაბა (=ავტომანქანა) ნიშანზე წავლენ, ახლა ცხენი **მოკდა** (მოუბარი საპატარძლოს დაწინდვას გულისხმობს)...

თურქეთის კლარჯულში გაფართოებულია მნიშვნელობა სიტყვისა „კარი“, აღნიშნავს ეზოსაც:

შორიდან მოსულებსა მივართვამთ საჭმელებს, თუ ტაროსი კაა, **კარში** მივართვამთ, თუ ზამთარია - სახში (ავანა); ცხენით მოვდა **კარზე** დოდოფალი (ერენქოა); იმის **კარში** მექთები იყო (ისკები); **კარი** პირში თუთა იქნება, უკან - სხალი (სირეთიე); განაყოფის ქათამი ჩვენ **კარში** არ მოვდოდა, მამალი არ მუშუშებდა (თეშვიქიე); **კარში** სირა (=რიგი) გავხდებით (ავანა); თქვენ ასე **კარისკარზე** მარებით და აწერიებთ - ჰო? (ერენქოა)...

თურქეთის კლარჯულში „ეზო“ არ არის გავრცელებული. საინტერესოა ხებას ერთ-ერთი მკვიდრის შენიშვნა: „კარ-მიდამო იქნება, კალო იქნება, ეზოს მურღულმა ბელქი იხმარავს“ (ხება)...

3. საერთოკლარჯულის სიტყვათაგან ზოგიერთს კირნათ-მარადიდსა და თურქეთის კლარჯეთში განსხვავებული მნიშვნელობა აქვს.

ვეყუდები, **ვეყუდება** კირნათსა და მარადიდში ნიშნავს უსაქმოდ სიარულს, ხეტიალს, თურქეთის კლარჯულში - **ზევით**, **სიმაღლეზე** ასვლას:

წელი მტკივა, წელი, ვერ **ვეყუდები** ზეითკენ (ერენქოა)...

ჩაყუდება ქვევით ჩასვლას აღნიშნავს:

ეს არ'ნა დათვალო, **ჩაყუდებიხან** იქ ჩეარო (ისკები)...

მოშლა თურქეთის კლარჯულში, კირნათ-მარადიდის მეტყველებისაგან განსხვავებით, ნიშნავს **გაფუჭებას**:

იმ დერგში არც ყაურმა **მეაშლება**, არც ბეთმეზი, არც ძალი, ჰიჩ არ **მეაშლება**, სასმელი თუთუნი იმ დერგშიგან არ **მეაშლება** (ჰამიდიე); ბაღვებმა უთხრეს, ჩვენ რაჰათი **მეგვეშალა**, წედთო (ქირიმითი)...

პირდაპირ კლარჯულში იხმარება რიგობითი რიცხვითი სახელის - **პირველისა** და ამავე ფუძის **პირველად** და **ჯერ** ზმნიზედების მნიშვნელობით:

პირდაპირ მექთები აქ გავათავე (მარადიდი); ძველი დუგუნები სახლებში იქნებოდა, **პირდაპირ**, ენ წინ გოგოს სახში, მერე - ბიჭის სახში (მარადიდი)...

4. ზოგიერთი სიტყვა კლარჯეთის მხოლოდ ერთ ნაწილშია გავრცელებული: თურქეთის კლარჯულში დასტურდება სიტყვები, რომლებიც არ გვხვდება საქართველოს კლარჯულ მეტყველებაში (ზოგიერთი საერთოა შავშურისთავისაც):

არიგავს ზმნას აქვს **იცის** ზმნის მნიშვნელობა:

გოგოს ნენეჲ ჰიჩ ვერ **არიგავდა** თურქქა და ახლა **არიგავს** (ისკები); თქვენ ლაპარიკ ვერ **ვარიგავ** (ისკები); თელევიზორში ამბობენ, ვერ **გიმირიგებია** (ქართლა); თქვენი თელევიზიონის კანალი ყური ვუგდებ, **ვარიგავ**, ჰამა თელ ვერ **ვარიგავ** (თხილაზორი); გენჯების საქმე ჩვენ ვერ **ვარიგავთ** (ისკები); [გურჯულს] **არიგებენ** და ვერ ულაპარიკნიან (ავანა)...

იჯებნება - **ხარობს**, **იზრდება** (მცენარე, ბოსტნეული, ხილი):

ლეღვი - ინჯირ მაბანია (გარეულია), არ **იჯებნება**, დაარგავ, ჰამა არ იქნა (ისკები).

იჯებნებას ფონეტიკური ვარიანტი უნდა იყოს **იძებნება**:

წინ ჰურ დავთესევედით, ჰური არ **იძებნება** (გურბინი); კაკალი ჰერსენე (ყოველ წელს) **იძებნებოდა**, წრეველა არ **იძებნება** (იბრიქი)...

ამავე მნიშვნელობით კლარჯულში იხმარება ასევე **შიქმნება**:

აქ ყურძენი არ **შიქმნება**, აქ ცივა და მალ არ **შიქმნება** (ისკები).

ეს მნიშვნელობა აქვს **საქმობს** ზმნასაც (იხ. ზემოთ).

იჯებნება შესაძლებელია დაუკავშირდეს აჭარულ **იჯება**'ს, ნიშნავს **ირჯება**, **შვრება** (ღლონტი, 1984). შდრ. ჰური არ **შვრება**||არ **იჯება**; ჰური არ **საქმობს** (არ მუშაობს) - ნიშნავს, არ ხარობს, არ მოდის...

მოლი კლარჯულში ბალახის, ველური მხალეულის მნიშვნელობით იხმარება:

მოლები მოვთიბე, ვახმოზ, მერეგში შევნახთ (ისკები); აქ ბევრი **მოლები** არიან: ანწლი, ჯინჭარი (ადაგული); იქნებოდა საქმე, იქმოდა, **მოლი** მოთიბდა (გურბინი)...

ფერხული, **ფერხულობა** აღნიშნავს **ცეკვას**:

ფერხულობას იქმენ, ისამებენ (ისკები); **ფერხული**, სიმღერა ზორ ვქენევედით (ერენქოჲ); ... **იფერხულებენ**, იმღერებენ (ბუჯური)...

ღარჭი ბავშვის მნიშვნელობით თურქეთის კლარჯულში იხმარება, კირნათსა და მარადიდში ეს სიტყვა არ იციან. **ღარჭი** შავშურშიცაა ფართოდ გავრცელებული **ბიჭის**, **ვაჟის** მნიშვნელობით (იხ. შავშეთი, 2011:287-288):

კარებს დუჟყრი და **ღარჭებთან** წავალ (ბუჯური); **ღარჭებს** ასწავლებენ, დერსს (=გაკვეთილს) ამღევენ (ბუჯური)...

შემა||შიშა არქაული მნიშვნელობით (ხე) ფართოდ არის გავრცელებული თურქეთის კლარჯულში, საერთოდ სამხრულ კილოებში, გარდა აჭარულისა. არ გვხვდება იგი კირნათ-მარადიდის მეტყველებაში:

დაჯექ, **შიშის** სკამია, დაბალი სკამი (გურბინი) (ვრცლად იხ. შავშეთი, 2011:288).

ლაში თურქეთის კლარჯულში ადამიანის **ბაგეებს**, **ტუჩებს** აღნიშნავს, უარყოფითი ელფერის გარეშე (შდრ. **ლაში** - ადამიანის დიდი და უშნო ტუჩი - ქეგლ):

ჩემი ღარჭები არიგებენ, ჰამა **ლაშიდან** ვერ უთქმიან (ქართლა); მე იმფერი კაცი ვარ, **ლაში** და გული ერთი მაქ, ზოგი მარტო **ლაშია** (დევსქელი)...

შემახება თურქეთის კლარჯულში აღნიშნავს ძაღლის, ფუტკრის **შეტევას**, საკბენად გაწევას:

ჩემი ძაღლი მე არა, ძაბანჯი (=უცნობი, უცხო) იქნება, **შემახება** (ისკები); ძაღლი მყავდა, ჰემ ჭკვიანი, ერთ კაც უცემია და იმა[ს] **შემახა** (ისკები); ფუტკარი **შეგემახება** ზორ (ისკები)...

ჩინი - ძალა, ღონე:

ჩინი არ მაქვა, ვერ ვილაპარაკებ (ბაშქომ); ლაპარაკის **ჩინები** არ მაქვა (ბაშქომ)...

შდრ.: თვალების **ჩინი** წიმივდა (ჯივანი)...

ჩინი დასახელებული მნიშვნელობით მხოლოდ თურქეთის კლარჯულში გვხვდება.

განაყოფი საქართველოს კლარჯულში არ გვხვდება, თურქეთის კლარჯულში (შავშურსა და ტაოურშიც) კი აღნიშნავს **მეზობელს**¹:

¹ **განაყოფი** საყურადღებო ეთნოლოგიური ტერმინია, თანამედროვე გაგებით ნიშნავს **მეზობელს**. იმავე მნიშვნელობით შავშურსა და ტაოურში იხმარება - **განაყარი**. აჭარულში **განაყოფი** ან **განაყარი** ჯერ-ჯერობით არ დადასტურებულა. ტერმინი (განაყოფი, განაყარი) უკავშირდება ჭოროხის ხეობაში სოფლის დასახლების სტრუქტურას, კერძოდ: სოფელში პატრიარქალური ოჯახები ერთად ცხოვრობდნენ, ჰქონდათ ერთიანი საკუთრება (სახლი, მიწის ნაკვეთი...) და ქმნიდნენ სოფლის უბანს, რაც კარგად ჩანს ტოპონიმიაში, მხედველობაში გვაქვს - **ეთ** სუფიქსით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები, რომელიც ფართოდაა გავრცელებული ჭოროხის ქვეყნებში, და რომელშიც მანარმოებელი სუფიქსი კონკრეტული ოჯახის/სახლის კუთვნილს აღნიშნავს: **შაქარეთი** - შაქარას ოჯახის კუთვნილია (დევსქელი), **პეტრეთი** - პეტრეს ოჯახის კუთვნილი (ხოდი)... როდესაც ოჯახი იზრდებოდა, იყოფოდა (გაიყრებოდა) და განაყოფი ახალ ოჯახს წარმოქმნიდა სოფლის იმავე უბანში. ასე ყალიბდებოდა **განაყოფებით**, **განაყარებით** დასახლებული უბანი სოფლისა. აქედან, **განაყოფები**, **განაყარები**

ჩემი რძლის **განაყოფები** არიან (ერენქოძე); ჭად ვაცხოზ, **განაყოფები** მამლევენ (ერენქოძე)...

ბევრი სიტყვა, რომელიც გავრცელებულია საქართველოს კლარჯულში (კირნათ-მარადიდის მეტყველებაში), არ გვხვდება თურქეთის კლარჯულში:

კალო კირნათ-მარადიდში აღნიშნავს **ეზოს**:

ჰე, დედავ, დაგვაყენე-და, **კალოზეც** რაზ ვართ (კირნათი); ეს ბაღნები რომ არ მცილდებიან **კალოზე** (კირნათი); **კალოზე** გეველ და ფეხებზე შემცივდენ (მარადიდი); იმ გოგომ წევდა და ჩვენ **კალოზეც** ვერ გავყევით (მარადიდი); ჰაზირი მაშინა **კალოზე** ჩამოგეყვანა (კირნათი); ბაღნები ძაღლებ აჯალინებენ **კალოზე** (მარადიდი); ენას განა არ ამბოფს, თავ აქნევს, **კალოზე** დგას ლანდსავეფ (კირნათი)...

კალო ეზოს მნიშვნელობით გვხვდება აჭარულშიც: ნენი, ბედი **კალოზე** მომსლია და... (ორთაბათუმი). აჭარაში გვხვდება მსხლის ჯიში **კალოკიდურად** (ნიჟარაძე, 1971), რაც სხვა არაფერია, თუ არა **კალოს** (ეზოს) კიდურში (კიდეში) მდგარი მსხალი.

მასკან (<მას უკან) იხმარება **შემდეგ** ზმნიზედის მნიშვნელობით:

ემრედ რომ წევდა, **მასკან** წამოსლა არ გუუვლია გულში (კირნათი); მე თუ არ მჯობან, შეხე ერთი და **მასკან** თქვი, დაბერდაო (კირნათი); ახლა დიმისმინე კარქა, **მასკან** არ მკითხო (მარადიდი); **მასკან** წევდენ და ნახენ მეგერ ჩამალილი (მარადიდი); ჰაცხან შეინახს და ეძებე **მასკან** შენ (მარადიდი).

მასკან ზმნიზედას შავშურში ადასტურებს შ. ფუტკარაძე (ფუტკარაძე, 1993:499), იმავე ზმნიზედას **მასკან** ფორმით აჭარულში - შ. ნიჟარაძე (ნიჟარაძე, 1971).

გაშვება დატოვების, მიტოვების მნიშვნელობით გავრცელებული ლექსიკური ერთეულია:

ლობოც ჩალაზე **გაგაშვი** მაგზე, მოსაკრეფია (კირნათი); კარ-მიდამო ხომ ვერ **გააშვეფ** მარტომ? (მარადიდი).

აჭარულში **გაშვებას** ორი მნიშვნელობა აქვს: **საყანედ გაშვება** 1. ადგილის მომზადება საყანედ. **საჩაირედ გაშვება** - სათიბად გამოყოფა ადგილისა; 2. **გაცვენა**: **თმის გაშვება** - თმის გაცვენა; **ცოლის გაშვება** - ცოლთან გაყრა (ნიჟარაძე, 1971). ბოლო მაგალითში **გაშვებას მიტოვების** მნიშვნელობა აქვს. შდრ. **ქალი** (ცოლი) **გაუშვა** - ქალი მიატოვა, ცოლს გაეყარა.

სისხლით ნათესავეები არიან. მეზობელი გვიან გაჩენილი ტერმინი უნდა იყოს, როცა სისხლით ნათესავეებით დასახლებულ უბანში სხვებიც, არანათესავეებიც დასახლდნენ...

გაშვება ამ მნიშვნელობით იხმარება „ქილილა და დამანაში“, „ყარამანიანიში“, „რუსუდანიანიში“ (ცინცაძე, ფაღავა, 1998:200).

დაკაზმვა კირნათსა და მარადიდში მარცვლეულის გადარჩევას ნიშნავს:

პური[ს] მარცვალ გარცხა მინდა და ისე **დაკაზმა** (კირნათი)...

დაკაზმვის აღნიშნული მნიშვნელობა ჩანს მიმღეობაში **დასაკაზმელი**:

პური[ს] კაკალი ჩამედტანა **დასაკაზმელად** (მარადიდი); პური[ს] კაკალი **დასაკაზმელია**, წისქვილზე ვერ წევდევ (კირნათი)...

დაკაზმვა აღნიშნული მნიშვნელობით დასტურდება აჭარულშიც (ნიჟარაძე, 1971).

აწ|აწი დროის ზმნიზედა ქართული ენის დიალექტებში უმეტესად მომავალ დროს აღნიშნავს. კირნათსა და მარადიდში იგი ახლანდელი დროის აღმნიშვნელიცაა. ეს მნიშვნელობა ჩანს თანდებულებიან ფორმებში **აწმადი** და **აწმისუკან**:

აწ - ახლა. **აწმის უკან** - ამის (ახლას) შემდეგ:

აწმადი რაები არ იმახდა მისთინ, **აწმისუკან** აღარ წედკინდლებიან (კირნათი).

დანდობა - ნიშნავს რაიმეს დაბარებას (ქობულეთურში ამ მნიშვნელობით იხმარება **დამოწმება** (ნოლაიდელი, 2015): ხომ **დიგომოწმე**, გააკეთე-მეთქინ. ბათუმის მიმდებარე სოფლების მეტყველებაშიც იმავე მნიშვნელობით იხმარება **დანდობა**: მამაშენს **დაგანდე** და ამოიტანს (ყოროლისთავი):

მასკან კითხა მეგერ დერდები, რომენ **დაანდეს** თევზმა, გემჯიმ და ბაღჯიმ (კირნათი); კროხი დააბიო, მეგერ **დაანდო** ქალმა (კირნათი); მე რა **დაგანდე** შენ? (კირნათი); **დაგანდო**, შენმა ნენეშენმა, ედიო? (მარადიდი)...

საქართველოს კლარჯეთისა და თურქეთის კლარჯეთის მეტყველებაში არსებული განსხვავება უნდა აიხსნას იმით, რომ ისინი საუკუნის განმავლობაში მოწყვეტილი იყვნენ ერთმანეთს. კირნათლებსა და მარადიდლებს ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდათ აჭარლებთან და ქვემო მაჭახლელებთან, მათ მეტყველებაში ლექსიკური თანხვედრა სწორედ ამ ურთიერთობის შედეგია.

კლარჯულში, საერთოდ სამხრულ მეტყველებაში გვხვდება ფრაზები, შესიტყვებები, სახელისა და ზმნის ფორმები, რომელნიც ქართული ენის უცოდინრობის მაჩვენებელია და არ შეიძლება დიალექტურ თავისებურებად ჩაითვალოს, მაგალითები:

- ბადრამი მოვა, შექერმა აარუნიავ (ბაგინი).
 - მე იზმითში სახლებ აკეთებთან (ისკები).
 - ჩვენებმა ბორჩხაში ჩამოსულან (ჰამიდიე).
 - ღორმა კლიან, დათვმა - არა (ჰამიდიე).
 - დედემ გურჯი იყო, ჩვენც გურჯი იყო (ჰამიდიე).
 - ძროხა დაკალა (ჰამიდიე).
 - ჩემი ბაბოს სამი ქალი იყო: ორი ქართველი, ერთი - თურქელი (ჰამიდიე).
 - ჩილი ქონებია და იმისთინ, ჰამან რაყაბით (ჰამიდიე).
 - იმასაც კაცი მოკტა (ჰამიდიე).
 - შენი გულში გავლილი,/მესაც რომ გიმივარა (აივაზფინარი).
 - თითო პერანგი მქონდეთ, ფარა არ მქონდეთ, ფეშტემალი მქონდენ (სირეთიე).
 - შენ მუშაობს, მე ვჭამავ (ნუსრეთიე)...
 - მე სამი ბიჭი არიან (აივაზფინარი).
 - არ ვკოდავთ, ვამუშაოსთვინ დავკოდავთ (ლუთბიე).
 - შენ თმები ბოძამ თუ? (ნუსრეთიე).
- ბოძა (თ. ბოყა) - საღებავი.
- ერთი ძროხა ვერ ვაჭმევ, ცხენი რა ვაჭამო? (მარადიდი).

* * *

კლარჯული ქართული ენის მკვეთრად გამოკვეთილი ქვესისტემა: იგი განსხვავდება მომიჯნავე აჭარული, შავშური და ტაოური დიალექტებისაგან. სხვაობა ჩანს ფონეტიკაში, მორფოლოგიაში, სინტაქსში, ლექსიკაში, სხვაგვარად, ენობრივი იერარქიის ყველა დონეზე, თუმცა მას ბევრი საერთოც აქვს სხვა სამხრულ კილოებთან, როგორც ერთიანი სამხრული მეტყველების ნაწილს.

კლარჯულის თავისებურებანი კარგად ვლინდება ზმნის ფორმაწარმოებაში: პირისა და რიცხვის ნიშნები, თემის ნიშანთა მონაცვლეობა, მწკრივთა წარმოება... საინტერესო ლინგვისტურ სურათს ქმნის კლარჯულ კილოში. დიალექტის თავისებურებანი ჩანს ასევე ფონეტიკაში (უმლაუტი, ტონური მახვილი...), სახელთა ფორმაწარმოებაში, სახელზმნებში, განსაკუთრებით მიმდებლის წარმოებაში, ზმნიზედებში (მაგალითად, „უკან“ სიტყვის მნიშვნელობა და სინტაქსური ფუნქცია), სინტაქსში (ქვემდებარე-დამატების ბრუნვები) და ა. შ.

კლარჯები, „აჭარელი“ კლარჯების გარდა, უმეტესად ორი ენის მატარებელნი არიან: ქართული, საოჯახო და თურქული - სახელმწიფო

ენებისა. დასახელებული ორი ენიდან დომინანტი თურქული ენაა, სხვაგვარად, თურქული მძლავრობს ქართულზე. თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართული იცის კლარჯთა უფროსმა და იშვიათად საშუალო თაობამ, ხოლო უმცროსმა თაობამ წინაპართა ენა არ იცის, და იმასაც, რომ ისტორიული კლარჯეთის დიდი ნაწილი მეთურქულეა, ნათელი გახდება კლარჯულის მოღწეულობის საერთო სურათი და მომავალიც. მიუხედავად ყველაფრისა, კლარჯული კილო ინარჩუნებს სტრუქტურულ მთლიანობას ფონეტიკისა და გრამატიკის დონეზე. თურქულის გავლენა საგრძნობია ლექსიკაზე, ნაწილობრივ - სიტყვაწარმოებაზეც, რაც ბუნებრივია.

ნაწილი მეორე

კლარჯეთის ონომასტიკა

თავი 1. კლარჯეთის ტოპონიმია

კლარჯეთი კლარჯთა ქვეყანაა. ისტორიულად იგი მოიცავდა მიწებს შავშეთსა და ტაოს შორის და ზღვამდე აღწევდა. სხვადასხვა დროს კლარჯეთის ცნება ფართოვდებოდა ან ვიწროვდებოდა. გიორგი მერჩულის თხზულებაში შავშეთი, კლარჯეთი და ტაო ცალ-ცალკე ქვეყნად მოიხსენება (არაფერია ნათქვამი ნიგალზე, იგი, ჩანს, კლარჯეთის შემადგენლობაში): „მას ჟამსა (780 წლის ახლო ხანებში - ავტ.) სხუად მონასტერი არა შჴნ იყო მათ ქუეყანათა თჴნიერ ოპიზისა... რამეთუ კლარჯეთს და ტაოთა შინა და შავშეთს და ყოველთა მათ მახლობელთა ქუეყანათა მცირედნი იპოვებოდეს დაშენებულ ტყეთა შინა ადგილ-ადგილ" (მერჩ. 29). „ქართლის ცხოვრებაში" კი ნიგალი კლარჯეთთან და შავშეთთან ერთად ცალკე მოიხსენიება: „... და იყვნეს ხარჯის მიმცემელ სარკინოზთა ყოველნივე ჴევნი შავშეთ-კლარჯეთ-ნიგალისანი" (ქ.ცხ.I, 378,7-8). შავშეთ-კლარჯეთ-ნიგალის (სქ. ნიგლის) ყველა

ხეობა სარკინოზებს ხარკს უხდიდაო, წერს სუმბატ დავითის ძე. მოყვანილ ცნობაში არ იხსენება ტაო, რაც იძლევა საფუძველს ვიფიქროთ, რომ ტაოს ქვეყანა არ იყო სარკინოზთა მოხარკე. აღვნიშნავთ, რომ ნიგალი ხევია, და არა ქვეყანა, კლარჯეთის ქვეყნის ნაწილი.

პ. ინგოროყვა გვთავაზობს მსჯელობას: „ქვეყნის სახელია კოლა, ხოლო ტომის სახელია კოლ-ხ'ი, იგივე კოლა-ელ'ი, ანუ კოლ-არ'ი" (ინგოროყვა, 1954:138). სქოლიოში მკვლევარი დააზუსტებს: ეთნიკური სახელის ამ ფორმიდან - კოლ-არ'ი მომდინარეობს *კოლ-არ-ჯ'ი>კლარ-ჯ'ი. საინტერესო დაკვირვებაა: კოლ-ხ'ი, კლ-არ-ჯ'ი (კოლ-არ-ჯ'ი), კოლ-ა-ელ'ი საერთო ძირიდან მომდინარე სატომო სახელებია. გამომდინარე აქედან, დაუჯერებელია ნ. მარის მოსაზრება, რომელიც მას გამოთქმული აქვს გიორგი მერჩულის თხზულების მისეული გამოცემის წინასიტყვაობაში, რომ „კლარჯეთი VIII საუკუნემდე სომხური პროვინცია იყო... და ვითომც აქ ქართველები მხოლოდ VIII საუკუნიდან დამკვიდრდნენ" (ინგოროყვა, 1954:329). ნ. მარის აზრს ემხრობა კ. კეკელიძეც (იხ. კეკელიძე, 1941:47). პ. ინგოროყვა ცდილობს, ნ. მარის მოსაზრების დაძლევას და, ვიფიქრობთ, ახერხებს კიდევ (ინგოროყვა, 1954:329 და შემდეგ).

თუ კლარჯეთი ძველად სომხური პროვინცია იყო, მათი ნაკვალები უნდა ასახულიყო ტოპონიმიაშიც, ეს უკანასკნელი ხომ „მიწის ენაა". სომხური ელემენტი კლარჯეთის ტოპონიმიაში მართლაც შეინიშნება, მაგრამ არა იმდენად, რომ კლარჯეთი სომხურ პროვინციად მივიჩნიოთ. რამდენიმე გეოგრაფიული სახელი, რომელიც სომხურით იხსნება, ვიფიქრობთ, ვერ ცვლის საერთო სურათს. ქვემოთ კლარჯეთის ტოპონიმის მაგალითზე ვაჩვენებთ, რომ კლარჯეთი ქართული ქვეყანაა და არა სომხური.

* * *

01. კლარჯეთის ტოპონიმური მასალები გვხვდება ქართულ საისტორიო („ქართლის ცხოვრება", ვახუშტი ბატონიშვილის შრომა, ქრ. შარაშენიძის მიერ გამოცემულ საისტორიო საბუთები, „ტბეთის სულთა მატთანე...") და ლიტერატურულ წყაროებში (გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება", ბასილი ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება"...), XIX-XX საუკუნეების მოგზაურთა და მეცნიერთა, კერძოდ: დ. ბაქრაძის (იხ. ბაქრაძე, 1988), ჟ. მურიეს (მურიე, 1962:17), გ. ყაზბეგის (ყაზბეგი, 1995), ე. ვეიდენბაუმის (Вейденбаум, 1901) ჩანაწერებში. ასევე საყურადღებოა ჯ. პალგრევის (პალგრევი, 1972), ზ. ჭიჭინაძის (ჭიჭინაძე, 1913; 1912...), ალ. ფრენკელის (Френкел, 1879), ვლ. ლისოვსკის (Лисовский, 1887), ნ. შავროვის (Шавров, 1907), მ. ჯანაშვილის (ჯანაშვილი, 1906) და სხვათა შრომები.

ისტორიული სამხრეთ საქართველოსა და, მათ შორის, შავშეთისა და კლარჯეთის შესწავლაში განსაკუთრებულია ნიკო მარისა და ექვთიმე თაყაიშვილის დამსახურება. სხვა საკითხებთან ერთად მკვლევრებს საინტერესო დაკვირვებები აქვთ ისტორიული კლარჯეთის ზოგიერთი საგეოგრაფიო სახელის შესახებ (იხ. Мapp, 1911; მარი, 2012; თაყაიშვილი, 1991; 2016).

ცალკე უნდა აღვნიშნოთ „კავკასიის ხუთვერსიანი რუკა“ და დ. პაგირევის შრომა (Пагирев, 1913), რომელშიც 1300-მდე ტოპონიმი შეტანილი ართვინის გუბერნიიდან. მართალია, გეოგრაფიული სახელები ზოგჯერ არასწორადაა ჩაწერილი და, გამომდინარე აქედან, ინფორმაცია გადამოწმებას საჭიროებს, მაგრამ იგი მაინც საიმედო წყაროა კლარჯეთის ტოპონიმის შესასწავლად.

კლარჯეთის სოფლების სახელები დასტურდება სტამბოლის მინისტრთა საბჭოს არქივში დაცულ ოსმალურ დოკუმენტში „არტანუჯის აღწერა“, სიტყვასიტყვით „მოსახლეობის დავთარში“ (NE შ.დ 2761) (შედგენილი ჰიჯრით 1251 წელს, ჩვ. წ. აღ.ით 1835-36 წლებში. დოკუმენტი ოსმალურიდან თარგმნა პროფესორმა ზაზა შაშიკაძემ). დავთარში აღწერილია შემდეგი დასახლებული პუნქტები: **დანზოთ** (შდრ. ტანზოთი||ტანძოთი. ტოპონიმი სომხური ჩანს, იგივეა, რაც ქართული **სხლოვანი**), **ქავთახორი** (შდრ. კავთახორი||კავტახორი), **ორთუზ(?)**; დ. პაგირევის შრომაში გვხვდება **Ортизъ** - ორთიზი (Пагирев, 1913). შესაძლებელია, დავთრის **ორთუზი** იგივეა, რაც „ხუთვერსიანი რუკის“ **ორთიზი**), სახრე (**საჭრე**. თუ გეოგრაფიული სახელი სწორადაა ჩაწერილი, ჩანს, XIX საუკუნეში კლარჯულშიც იყო **ჭ** ბგერა. ამჟამად სამხრულ კილოთაგან ტაოურსა და შავშურში იხმარება), **ქილარჯეთ** (პაგირევის შრომით - **კლარჯეთი**, სოფელი არტანუჯს ზემოთ), **ზინსკარა** (ოსმალურად ჩაუწერიათ ზნსკრ, რაც შეიძლება ასე გახმოვანდეს - **ზინსკარ** (ზ. შაშიკაძე). ეს უკანასკნელი შეიძლება იყოს **წინწყაროს** ოსმალური ვარიანტი. ასეთი ტოპონიმი დასტურდება კლარჯეთში), **ციხე** (ოსმ. **სიხე**), **ერშქნარ** (<“შქნარი<შქერნარი?”), **გელაშირი||გელეშირი** (კითხულობს მკვლევარი ზ. შაშიკაძე. რაც დ. პაგირევისეული **გელაშეთ**’ის ოსმალური ტრანსლიტერაციაა), **მუქერი** (გვხვდება დ. პაგირევიანაც. იხ. Пагирев, 1913), **ჩიდილი** (იგივე ფორმა გვხვდება დ. პაგირევიანაც (იხ. Пагирев, 1913). შდრ. ქართ. **ჭიდილი**), **გორაშით** (შდრ. ქართ. **გოროშეთი**), **ბიჯა**, **სამზღარი** (დ. პაგირევიან გვხვდება **სამსხარ**’ი (Пагирев, 1913), შდრ. ქართ. **სამწყალი**), **უნისხევი** (შდრ. ქართ. **უნუსხევი**), **ხემოგორათი||ხემეგორათი** (შდრ. **ხემოგრეთი**. Пагирев, 1913), **კარსნია||ქარსნია**, **ანჩკორა**, **ახაშიარა(?)** შდრ. **ახარშია**. Пагирев, 1913), **ვარდალია||ვართალია(?)** დ. პაგირევიან დასტურდება **ვართელია**. Пагирев,

1913), ნორგილი (შდრ. ქართ. ნორგიელი), ხარაულა, ქონტრომი (შდრ. ქართ. კონტრომი), სოლიანა, ანაქირთ (შდრ. ქართ. ანაკერტი), ჯარადა(?) შდრ. პაგირევისეული ჯარათი), ვართხი|ვართხელ(?) შდრ. ვართხელი. Пагирев, 1913), ხაროთი, ყაშიქჯი(?) შდრ. პაგირევისეული კაშუხჩი. Пагирев, 1913), თბიჭალა (*ოპიჭალა. შდრ. ქართ. თბიჭჭალა), მეზალახეთ (შდრ. ქართ. მაწალახეთი), ბასა (შდრ. ქართ. ბაცა), ხივე|ხივა (შდრ. ქართ. ხევა), შაგვულარი, მეზაგილი (შდრ. ქართ. მეწაგილი), დიაქარმუჩი|დიაქარმუჯი(?), სევაგარა (შდრ. ქართ. ხევაგარა), ლონგოთხევე, ბეტუბან (შდრ. ქართ. პეტუბანი), ზალო (?), ხერთვის, ანჩ, უსტამილ|უსტამელ (შდრ. უსტამელი. Пагирев, 1913), არავით (შდრ. არავეთი. Пагирев, 1913), ახიზა.

აღვნიშნავთ, რომ ქვემოთ ყველგან დაცული იქნება „კავკასიის ხუთვერსიანი“ რუკის ორთოგრაფია.

ოსმალური აღწერის დავთრებში ტოპონიმთა ამომკითხველი ბევრ წინააღმდეგობას აწყდება, რომელთაგან ალბათ მთავარია, რომ დოკუმენტის შემდგენელი ოსმალ მოხელე ქართულ გეოგრაფიულ სახელს იწერს ისე, როგორც აღიქვა მისმა ყურმა ქართული ბგერები და თუ როგორც აღიქვა, მისი ჩანაწერიდანაც ჩანს. ს. ჯიქია აღნიშნავს: „...ერთი ენის ენობრივი მასალის გადმოცემა მეორე ენის გრაფიკული საშუალებებით გარკვეული რიგის დაბრკოლებებს ხვდება. ასეთ შემთხვევაში სხვადასხვა ენის ფონეტიკური განსხვავებულობით შეპირობებული მეტნაკლები ოდროჩლორობა... ყოველთვის იჩენს თავს. ეს გარემოება განსაკუთრებით საგრძნობია ჩვენს ძეგლში (იგულისხმება „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ - ავტ.), რომელიც დაწერილია თურქის მიერ და რომელშიც ქართული სახელები გადმოცემულია ამ მიზნისათვის ნაკლებად შესაფერისი თურქული ანბანით. ამ მხრივ „დავთარის“ თურქი შემდგენელი ორგვარი სიძნელის წინაშეა: ერთი მხრით, თურქული ტრადიციული ანბანი არ არის საკმარისი იმისათვის, რომ გადმოსცეს ქართული ხმოვნები და სპეციფიკური თანხმოვნები და, მეორეს მხრით, თურქისთვის მეტად გასაჭირია სწორად აღიქვას თურქულისათვის უცხო მრავალთანხმოვნიან კომპლექსთაგან შემდგარი სიტყვები... ეს გარემოება ...იწვევს ქართული საკუთარი სახელების დამახინჯებას, ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ქართული სახელების გადათურქებას...“ (ჯიქია, 1958:24). ეს გასაჭირი თავს იჩენს არტანუჯის აღწერაშიც.

კლარჯეთის ტოპონიმის მასალები გვხვდება შ. ფუტყარაძის (ფუტყარაძე, 1993), რ. მალაყმაძისა (მალაყმაძე, 2008) და სხვათა შრომებში.

ნიგალის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხებს ეძღვნება იური სიხარულიძის გამოკვლევა „ნიგალი“ (იხ. სიხარულიძე, 1985), ეთერ ბერიძის

(იხ. ბერიძე, 2006; 2009), ნუგზარ ცეცხლაძის (ცეცხლაძე, 2004), მაია ბარამიძის (ბარამიძე, 2014:34-39) და სხვათა ნაკვლევები.

ყველა დასახელებული შრომა და მასალა ქვემოთ იქნება გამოყენებული. აღვნიშნავთ, რომ ჩვენი შრომა უმთავრესად ეყრდნობა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის მუდმივმოქმედი კომპლექსური ექსპედიციის მიერ სხვადასხვა დროს შეკრებილ ტოპონიმიკურ მასალას. მნიშვნელობა აქვს, ვის მიერ და რამდენად ზუსტადაა ჩაწერილი მასალა (განსაკუთრებით ეს ითქმის ქართულის არმცოდნეთა მიერ და ქართულის არმცოდნეთაგან ჩაწერილ ნიმუშებზე). როგორც წესი, უცხოელი ვერ აღიქვამს ქართულ ბგერებს (განსაკუთრებით ეს ითქმის ქართველურ ენათა სპეციფიკურ ბგერებზე), შესაბამისად, მისი ჩანაწერიც არაზუსტია. ამიტომაც მკვლევარი სიფრთხილით უნდა მოეკიდოს უცხოურ წყაროს, კრიტიკულად შეაფასოს ჩანაწერი და ისე გამოიყენოს. და კიდევ, ფორმასხვაობა შეიძლება დადასტურდეს ქართველთა ჩანაწერებშიც. მკვლევარს სიფრთხილე მართებს ყველა შემთხვევაში. შეიძლება ჩვენ ვერ ჩავიწერეთ ზუსტად რესპოდენტის თქმული, შეიძლება უმეტეს შემთხვევაში ორენოვანმა მთხობელმა არასწორად წარმოთქვა ფორმა. ბუნებრივია, აქ ჩამწერთან ერთად რესპოდენტის პრობლემაც დგას, განსაკუთრებით მაშინ, როცა მასალას ვიწერთ ქართულის არმცოდნე ან ცუდადმცოდნეთაგან... აქ უკვე გარკვეული ლინგვისტური, უფრო მეტად ფონეტიკური ძიება გვმართებს, რომ დავადგინოთ გეოგრაფიული სახელის ამოსავალი ფორმა.

დაბოლოს, დაგვიგროვდა სხვათა თუ ჩვენ მიერ ჩაწერილი მრავალფეროვანი მასალა, რომლის ანალიზის ცდაც იქნება ქვემოთ მოცემული.

02. კლარჯეთის ტოპონიმიაში წარმოების თვალსაზრისით გამოიყოფა შემდეგი ჯგუფები:

1. უაფიქსო;
2. ოდენპრეფიქსული;
3. ოდენსუფიქსური;
4. პრეფიქს-სუფიქსური;
5. რთულფუძიანი: ა. კომპოზიტები; ბ. სიტყვათმეხამებით მიღებული ტოპონიმები (სინტაგმა ტოპონიმები).

ცალკე არ გამოვყოფთ უცხო აფიქსებით ნაწარმოებ და რთულფუძიან თურქულ ტოპონიმებს, ისინი განხილული გვაქვს შესაბამისი წარმოების ქართულ ტოპონიმებთან ერთად.

§1. უაფიქსო ტოპონიმები

კლარჯეთის ტოპონიმიში გვხვდება უაფიქსო, მაწარმოებლის გარეშე წარმოდგენილი გეოგრაფიული სახელები. მათი რაოდენობა საკმაოდ ბევრია. გვხვდება როგორც ხმოვანფუძიანი, ისე თანხმოვანფუძიანი ტოპონიმები.

1.1. ხმოვანფუძიანი სახელები

ო: **ჩიხო** (დევესქელი), **ღადო** (მიკროტოპონიმია კლარჯეთში, ვახუშტის მიხედვით ღადო მთაა: „მეორე ერისთავი დასუა მარგუეთისა შორაპანს და მისცა მცირე მიწილამ ვიდრე ზღუადმდე **ღადოს** მთისა და რიონს შუათი“ (ბაგრატიონი, 1973:57, 8-10), **ბანზო**||**ბანძო** (შდრ. ბანძა - სოფ. სამეგრელოში), **ახო** (კატრევანი), **ახო** (სინკოთი), **ეზო** (კარჩხალა), **მელო**, **წარო** (<წყარო. მელო), **წყარო** (დევესქელი), **წყარო** (ხატილა. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან), **ფოსო** (მელო), **თავო** (ნაჩვია. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან), **კაცხოზიკო** (სინკოთი. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან), **გარნავო** (ნაჯვია)², **ჩიტილო** (ანჩა. სახელი ჩაწერილია მემედ ალი ქესკინის მიერ, იგი ორენოვანია (ქართული და თურქული), მეთურქულეა **ანჩაც**. შესაძლებელია, აქ საქმე გვაქვს სახელთან „**ჩიდილო**“ (<ჩი[რ]დილო), დ.ტ მონაცვლეობით), **ჭიჭო** (ანჭკორა. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან), **ჭიჭო** (მარმაწმინდა), **წუმპო** (ქლასკური), **წუმპო** (დევესქელი), **ოთინგო** (დევესქელი).

ე: **ვაკე** (ებრიკა), **ვაკე** (ხატილა), **ვაკე** (სინკოთი), **თევე** (ბაგინი), **თევე** (სინკოთი), **დიბე** (შდრ. **დიბი**, რომელიც მრავლად გვხვდება სამხრეთ საქართველოს რთულფუძიან ტოპონიმებში: **კაპანდიბი**, **ყაიადიბი**...), **ლაშე** (გოროშეთი), **ღელე** (ანჩა), **მეზრე** (ორჯი. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან), **თენტე** (სინკოთი. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან), **ღუხბე** (სინკოთი. მემედ ალი ქესკინის ჩაწერილი ფორმაა, შესაძლებელია ჩამწერმა ქართულის არმცოდნე ინფორმატორისაგან გაიგონა **ღუჰბე** (>ღუბე), ჰ.ხ მონაცვლეობით). ამდენად, უნდა აღდგეს ფორმა **ღუბე**), **მეზრე** (სინკოთი), **ოგეჩე** (არტანუჯში, გულემენში ჩავიწერეთ ეს ტოპონიმი. უცნაური ფორმაა, მაგრამ ზუსტად ჩავიწერეთ, რაც გვითხრეს - ავტ.), **მერე** (კარჩხალა), **მერე** (გეველი), **ერდე** (ჭედილა), **ყალე**||**კალე** (მხოლოდ სახელიდა დარჩა, ციხე ან ნაციხარი აღარსადაა), **ღუბე** (სამწყალი), **ყულლე** (კარსნია), **ბაგე** (ქურა), **ჰარაბე** (ხევა), **ქილისე** (ხოდი), **ქილისე** (ჯმერკი).

² **გარნავო**<***კარნავო**//**კანავო**'საგან(?) კ:გ მონაცვლეობით. შდრ. რუს. Канал - არხი, თხრილი. **კანაო**, **კარნავო** გვხვდება აჭარულშიც (იხ. ნოლაიდელი, 2015).

ა: ებრიკა (||იბრიქლი), ირსა, ტპა (*<ტბა. ბაშქოი), ტუბა (შემისტან ილმაზის ჩანაწერებიდან), უნიკა, ანზა (<*ანმა? ანჩა), ჭალა (ხატილა. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან), ქილისა/ქილისე (ანჩა), ოპიზა³, ნავურმა (ნაჩვია. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან), ოქერა (შდრ. ოგერე. მელო), შარა (მელო), გოგა (კარჩხალა), ჩევირმა (სახრე), ჭა, არხვა, გეხსანა.

შენიშნავთ: 1. ზოგჯერ გეოგრაფიულ სახელებში მონაცვლეობს ბოლოკიდური ხმოვნები: წუმპო:წუმპე, მეზრა:მეზრე, ქილისა:ქილისე, ოგერე:ოგერა... ბოლოკიდურა ხმოვნების მონაცვლეობა რაიმე კანონზომიერებას არ ექვემდებარება.

2. შესაძლებელია, მომავალმა კვლევებმა ზოგიერთ ხმოვანფუძიან უაფიქსო ტოპონიმში გამოგვაყოფინოს მაწარმოებელი, განსაკუთრებით ეს ეხება ა'ზე დაბოლოებულ ფუძეებს.

როგორც ვხედავთ, კლარჯეთის ტოპონიმიაში დადასტურდა ა, ე და ო ხმოვნებზე დაბოლოებული გეოგრაფიული სახელები, არ შეგვხვედრია ი და უ ხმოვნისანი ტოპონიმები.

1.2. თანხმოვანფუძიანი სახელები

მარტივ ტოპონიმთა ერთი ჯგუფი თანხმოვანფუძიანია. მათი ნაწილი სახელობითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი, ნაწილიც ფუძის სახით; აქ განმსაზღვრელია, თუ ვისგანაა ჩაწერილი: ქართულის მცოდნე ინფორმატორი გეოგრაფიულ სახელს სახელობითის ფორმით გვაწერინებდა, ქართულის არმცოდნე - ფუძის სახით. ჩვენ შრომაში იმ ფორმით შევიტანეთ, როგორითაც ჩავიწერეთ:

1.2.1. ტოპონიმი სახელობით ბრუნვაშია

³ ნ. მარი წერს, რომ „**ოპიზა**, ზუსტად **ოპიჯა** (შდრ. ქართული ნაპირი) ნიშნავს **ნაპირი**, **სანაპირო** (მდ. იმერხევის), ან მისი შენაკადის(?) (Mapp, 1911:37). დაშვება მისაღები უნდა იყოს; **ოპიზა** შესაძლოა, აღნიშნავდეს საზღვარს ორ ეპარქიას შორის და არა მდინარის ან მისი შენაკადის ნაპირს. ეჭვს ბადებს მსჯელობის გაგრძელება: ოპიზის მონასტერი ეკუთვნოდათ არა ქართველებს, არამედ სომხებს... სომხების შემდეგ მოსულმა ქართველებმა შეინახეს სომხური სახელწოდებები: **შატბერდი**, **მიძნაძორი** და სხვა (იქვე). ოპიზის მონასტერი რომ სომხებს ეკუთვნოდათ, ამის არავითარ ცნობას არ წარმოადგენს მკვლევარი. და კიდევ, კლარჯეთში ქართველები სომხების შემდეგ მოსული არიანო, რომელთაც შეინარჩუნეს ადგილის სომხური სახელწოდებები - **შატბერდი**, **მიძნაძორი**, არა მგონია საკმარისი საბუთი იყოს იმისა, რომ ოდითგან აქ სომხები სახლობდნენ, თუნდაც იმიტომ, რომ დასახელებული ორივე საგეოგრაფიო სახელი ქართულია და არა სომხური (იხ. ქვემოთ).

ჩემუხი, მენახი (<*ვენახი. მ:ვ მონაცვლეობით. ზ. ქლასკური), **ვენახი** (ახალდაბა), **ვენახი** (გურბინი), **კოტახი** (<*[რ]კოტახი?! თუ ჩვენი ვარაუდი დასაშვებია, მაშინ კომპოზიტთან გვაქვს საქმე), **ზეგანი, ტრიალი, ქოქირდი** (<*გოგირდი. თურქულ გამოთქმაში გ ქ'დ ისმის), **შუვალ, კახაბერი, ბაღდადი, ფიქალი, ფლატი** (იგივე ფუძე შეიძლება შეგვხვდეს ხმოვანფუძიანიც - **ფლატე**. კლარჯულში პარალელური ფორმები იხმარება, უფრო მეტად - ხმოვანფუძიანი), **ფონი, ჩერმუკი|ჩერმუქი, ბაგინი, კაპანი⁴, ხამი, ჰეზორი** (<*ხედორი? შესაძლებელია, ხედორში **ძორ||ზორ** (სომხური, **შდრ.**: ქართული - **ხევი**) ელემენტი დავინახოთ, რომელიც გამოიყოფა თხილაზორ'სა და მისთ. ფუძეებში), **ხევი, იბრაქი|იბრიქი** (შდრ. **ებრიკა**), **ურეყი** (ზ. ქლასკური. **ურეყი||ურეხი** დასტურდება აჭარაშიც, მცირე სოფელია ხელვაჩაურის რაიონში), **ლიტონი** (სინკოთი), **გაბიშავი** (სინკოთი), **დარი** (შეიძლება შეგვხვდეს **დარე**'- ხმოვანფუძიანი ფორმა. სინკოთი), **ორჯი, ბახალი** (<*ბაკალ. ანჭკორა. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან. შდრ. ბაკალა - ქალი, გოგო (შავშ.). უნდა ითქვას, რომ კლარჯულმა **ბახალ<ბაკალ** აღნიშნული მნიშვნელობით არ იცის. იქნებ ტოპონიმმა შემოინახა?), **გურჯანი||ღურჯანი** (**გ:ღ** მონაცვლეობა დასაშვებია კლარჯულში, ზოგადად სამხრული კილოებში. იგივე ფუძე დასტურდება გურჯანში), **ჭადი** (გორომეთი), **მასალ||მასახ** (ჯმერკი), **ჭობორი** (ჯმერკი), **ჯმერკი, სამფათი** (ანჩა), **მიშნათახი, არტანუჯი, აღრემი** (გურბინი), **აღმართი** (ხოდი), **ხოდი** (ხუთვერსიან რუკაზე დატანილია **ხოდ ულია** და **ხოდ სუფლია**. იხ. Пагирев, 1913), **ჩათაქი** (ხოდი. შდრ. **ჩათახი** - ზემოაჭარა), **ბრინქი, ჯიბუხი, მაკოფი** (<მაკობი. შაინ ახო), **ლორი** (არტანუჯი, გულემენი), **ლორი** (ენი რაბათი. შდრ. **ლორე**), **დილიკი** (ორთული), **ჩოჩორი** (სახრე), **გურბინი, ხამი, ტრიალი, მონასტერი, გვერდი** (სოლნ. 16), **სეჯიდანნი, გომი, ანდანუზი, მართაბი, ოღეჩე||ოგეჩე** (ოგეჩე თურქულად გადასვლას ნიშნავს - ავტ.), **ანდონი** (<*ანტონი), **ჯმერკი, დარსაქანი||დასაქანი** (დოლისყანა), **ბაწარი, ჭონჭი** (კორიდეთი), **ჭელი** (კორიდეთი), **ზეგანი**

⁴ **კაპანი** გვხვდება „ვეფხისტყაოსანშიც“: „მინდორი, ტყე, **კაპანია...**“ (სიმფ. 157). დასტურდება „რუსუდანთანშიც“: „კლდე და **კაპანი** ადგილი იყო“ (რუსუდ. 203,28). ილ. აბულაძე „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ **კაპანს** განმარტავს როგორც „ვიწრო ადგილს, ან გზას“ (აბულაძე, 1973). შდრ. „**კაპანი** - მთის კლდიანი ფერდის ფხა“ ქეგლ). ალ. ღლონტი მესხურის მიხედვით **კაპანს** განმარტავს როგორც „კლდოვან-ღორღიან ნიადაგს, ქარაფს, კლდიან გზას“ (ღლონტი, 1984). **კაპანი** უმეტესად აღმართს აღნიშნავს. იგი ვაკის ანტონიშია. ეს მნიშვნელობა კარგად ჩანს ასეთ წინადადებაში: „ვაკე თუა, ძირებზე მივაყრით, **კაპანი** თუა - არ უნდა“ (ფუტკარაძე, 1993:365). **კაპანი** აღმართის მნიშვნელობით შემოუნახავს აჭარულს, შავშურს, კლარჯულს (იხ. ცინცაძე, ფაღავა, 1998:105-106). ვფიქრობთ, ეს მნიშვნელობა უნდა იყოს მისთვის ამოსავალი,

(ზეგანი), ქელი (კორიდეთი. შდრ. ქედა - აჭარა, ზემოქელი, ქვემოქელი...), ალრემი, გველი (ერეგუნა), ჯივანი||ჯუვანი||ჯვანი||ჯგვანი (სხვადასხვა ფორმა ისმის კლარჯეთში, უფრო მურღულის ხეობაში. ამოსავალი უნდა იყოს ჯივანი||ჯუვანი), ტრაპენი (მურღული), ჯმერკი||ჯიმერკი (მეორე თურქული გამოთქმა, ამოსავალია ჯმერკი), ანჩი (შდრ. ანჩა), ძეგლი (შემისტან ილმაზმა, ფორთელმა კლარჯმა ჩაგვაწერინა ეს ტოპონიმი და წაგვიძღვა ძეგლის წმ. გიორგის ეკლესიისა და ზიარეთისაკენ - ავტ.), წიაღი (ჭიდილას დაილას სახელია. შდრ. წიახი - ზემოაჭარაში. ვფიქრობთ, ამოსავალია წიაღი), გალაგანი (კარჩხალა), ჯანჯირი (კარჩხალა), ბრინჯი (მელო).

1.2.2. ტოპონიმი ფუძის სახითაა

უაფიქსო გეოგრაფიულ სახელთა ერთი ჯგუფი ფუძის სახითაა წარმოდგენილი:

ახალ (ანჭკორა), **ხოზან** (ანჭკორა), **პიზიკ** (ანჭკორა), **მეხუსხერ** (ანჭკორი), **პატარ** (ანჭკორა), **კორღ** (<*ლორღ. ანჭკორა), **ქირაჩ** (ანჭკორა), **ჯოჯორ** (სახრე), **კორხ** (კონტრომი. იგივე ფუძე ჩანს, რაც კორღ'ი), **ჩიხან** (ანჩა), **ჯისთობ** (ანჩა), **მაშკოდ** (ხატილა), **ბარბაროდ** (ხატილა), **შობარ** (ხატილა), **ხევ** (ხატილა), **კვაპტ** (<*ქვაბთ<ქვაბთა. ხატილა), **მეიდან** (ხატილა), **სოფრან** (ირსა), **გან** (მამაწმინდა), **ჩანჩქერ** (მამაწმინდა), **ხარხაფუჭ** (მამაწმინდა), **კარიმან** (ორჯი), **ბელაშავ** (ორჯი), **დამპალ** (ორჯი), **შოობილ** (<*შოლობილ<შელობილ. კარსნია), **სალ** (ანჭკორი).

დასახელებული გაუფორმებელი ფუძეები სხვადასხვა სოფელში, უმეტესად მეთურქულე კლარჯეთში, თურქულენოვანი ინფორმატორებისაგან ჩაიწერა მემედ ალი ქესკინმა (ზისონიძემ).

ამავე რიგში გაერთიანდება: **შიქაშარ** (მელო), **კახბერ**||**კახბარ** (<კახაბერ. კარჩხალას ხეობა), **უსოთ**, **ჩერმუქ**||**ჩერმუკ** (კარსნია), **მოდულ**, **ქითათ** (სახრე), **გეჩით** (სახრე).

მოყვანილი მასალიდან ჩანს, რომ უაფიქსო გეოგრაფიული სახელები მრავლად დასტურდება კლარჯეთში. ხალხის მეხსიერებამ შეინახა მრავალი ტოპონიმი, უტყუარი დასტური ამ კუთხეში ქართველი კაცის მოღვაწეობისა. ტოპონიმებში ასევე არეკლილია კულტურათა დიალოგი ისტორიულ კლარჯეთში, კლარჯთა სამეურნეო და სულიერი ცხოვრება და ა.შ. სხვაგვარად, ტოპონიმიაში დალექილია კლარჯეთის ისტორიის „დღიურები“.

§2. ოდენპრეფიქსით ნაწარმოები ტოპონიმები

ოდენპრეფიქსით ნაწარმოებ გეოგრაფიულ სახელთა წილი კლარჯეთის ტოპონიმიაში შედარებით მცირეა, ასეა საქართველოს სხვა რეგიონებშიც. პრეფიქსთან გვხვდება: **სა-** და **ნა-**.

სა-: **სახტომი** (კორიდეთი), **სასვენი** (ჯმერკი), **სასვენი** (ზ. ქლასკური), **სატური** (სინკოთი. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან), **საყდომი** (დურჩა).

აღნიშნავთ, რომ **სახტომ**სა და **საყდომ**ში შესაძლებელია ვინმემ **სა-ომ** პრეფიქს-სუფიქსი გამოყოს, მაგრამ, ვფიქრობთ, ეს არასწორია. აღნიშნული აფიქსები (**სა-** და **-ომ**) ერთი ფუნქციის მაწარმოებლად ვერ ჩაითვლება, რამდენადაც **სა-** დანიშნულების აღმნიშვნელი პრეფიქსია, **-ომ** კი - საწყისის მაწარმოებელი.

აქვე ვიტყვით, რომ საქართველოს სხვა კუთხეებში დასტურდება პარალელური წარმოების შემთხვევებიც: **სახტომი - სახტომელი, საფენი - საფენელი, სასვენი - სასვენელი, საყდომი - საყდომელი, სატური(ა) - სატურე...** პარალელურ ფორმებში **სა-ელ, სა-ე** კონფიქსები ერთიანად გაიზარება და დანიშნულებას აღნიშნავს, თუმცა ვფიქრობთ, კონფიქსში შემავალ ელემენტებს დამოუკიდებელი ფუნქცია უნდა ჰქონოდა. დაბოლოს, დასახელებულ კონფიქსში შემავალი სუფიქსები ერთი და იგივე ოდენობაა, სხვაგვარად, **-ე-ელ**ისაგან **ლ**ს დაკარგვით.

ნა-: **ნაფლატი** (კორიდეთი), **ნაფლატი** (გველი), **ნაფლატი** (ჩხალეთი), **ნაფლათი** (დურჩა), **ნაღვარი** (კორიდეთი), **ნაორმანი** (გოროშეთი), **ნახრაკი** (გველი), **ნადოჩხირი** (ზ. ქლასკური), **ნასაბუზი** (კარჩხალა).

მოყვანილ ათიოდე გეოგრაფიულ სახელში **ნა-** პრეფიქსი მარჯვედ გამოიყენება წინავითარების გამოსახატავად. სხვაგან იმავე მნიშვნელობის აღსანიშნავად **ნა-** წინსართს რომელიმე სუფიქსი ახლდებოდა: **ნაფლატი||ნაფლატევი, ნაღვარი - ნაღვარევი||ნაღვარები, ნახრაკი - ნახრაკევი||ნახრაკები...** მკვლევარს უნებლიეთ უჩნდება კითხვა: **ნა - ევ||ებ** კონფიქსი ერთად გამოხატავს წინავითარებას, თუ მათ სხვადასხვა ფუნქცია აქვთ? ვფიქრობთ მეორე. შდრ. **ფლატე - ფლატევი||ფლატები** და **ნაფლატი - ნაფლატევი||ნაფლატები, ხრაკი - ხრაკევი||ხრაკები** და **ნახრაკი - ნახრაკევი ||ნახრაკები, ღვარი - ღვარევი||ღვარები** და **ნაღვარი - ნაღვარევი||ნაღვარები.**

მოყვანილ ტოპონიმებში ყურადღებას იქცევს საგეოგრაფიო სახელი **ნა-სა-ბუზი**, ერთდროულად ორი პრეფიქსით წარმოდგენილი სახელი: დანიშნულების სახელი (**საბუზი**) **ნა-** პრეფიქსის დართვით ქცეულა წინავითარების (**ნასაბუზი**) სახელად.

§3. ოდენსუფიქსური წარმოება კლარჯეთის ტოპონიმიაში

კლარჯეთის ტოპონიმიაში (და ზოგადად ქართულ ტოპონიმიაში) განსაკუთრებული მრავალფეროვნებით გამოირჩევა სუფიქსური წარმოება. წინასწარვე აღვნიშნავთ, რომ რეგიონის გეოგრაფიულ სახელთა წარმოება მისდევს საერთოქართულ თუ ქართველურ სიტყვაწარმოების პრინციპებს.

3.1. სუფიქსი -ეთ. -ეთ სუფიქსს ნ. მარი განმარტავდა:

ა. როგორც მრავლობითობის მაჩვენებელს (Mapp, 1938: 50);

ბ. როგორც კრებითი მნიშვნელობის მატარებელს, რომელიც „ასევე ითვლება ქვეყნების, როგორც განსაზღვრული ეთნიკური სახელწოდების მატარებელი მოსახლეობის შემცველი კრებითი ცნებების, სახელწოდებათა საწარმოებლად“ (Mapp, 1925:69).

ნ. მარის მოსაზრება გაზიარებულია საენათმეცნიერო ლიტერატურაში:

-ეთ სუფიქსი კრებითობის მაწარმოებელია კ. კეკელიძისათვის (იხ. კეკელიძე, 1955:116-119).

„-ეთ სუფიქსი რისამე ან ვისამე მრავლად მყოფობის ადგილს აღნიშნავს“ (ჩიქობავა, 1926:308; შდრ. დონდუა, 1948:133-146).

გასაზიარებელია თ. ზურაბიშვილის დაკვირვება -თ'ს შემცველი სუფიქსების შესახებ გამოთქმული, რომ „ყველა თ'ნიანი ბოლოსართი წარმოშობით მრავლობითობის, კრებითობის მაწარმოებელი ჩანს“ (ზურაბიშვილი, 1961:144).

ყველა მოსაზრებით -ეთ სუფიქსის ფუნქციაა მრავლობითობისა თუ კრებითობის გამოხატვა. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ -ეთ (და ყველა თ'ს შემცველი) სუფიქსისეული თ იგივეა, რაც სახელებსა და ზმნებში რიცხვის მაწარმოებელი -თ(ა).

მიუხედავად გარკვეულობისა, ქართულ მეცნიერებაში „გაჩნდა“ განსხვავებული მოსაზრებაც, თუმცა ნაკლებსარწმუნო (ამის შესახებ ქვემოთ).

ისტორიული კლარჯეთის როგორც მეთურქულე, ისე მექართულე სოფლებში დადასტურდა რამდენიმე ათეული -ეთ სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელი. აღვნიშნავთ, რომ ყველა შემთხვევაში -ეთ' ნახმარია ზემოაღნიშნული ფუნქციით, ანუ გამოხატავს კრებითობას ან მრავლობითობას. მაგალითები:

შაქუშ-ეთი (კარჩხალა), **მაჯუხ-ეთი**||**მაჭუხ-ეთი** (კარჩხალა), **ჩავლ-ეთი**||**ჩავლი-ეთი** (კარჩხალა), **გადამ-ეთი** (კარჩხალა), **გოროშ-ეთი** (სოფელი შავშეთისა და კლარჯეთის საზღვარზე), **მაწალახ-ეთი**, **ჯობარ-ეთი** (გოროშეთი), **მახულ-ეთი** (გოროშეთი), **წეთილ-ეთი** (წეთილეთი დასტურდება შავშეთშიც), **სუქელ-ეთი**, **ქურციკ-ეთი**, **წინწკალ-ეთი**

(ქლასკური), ქამელ-ეთი (მურღული), ფიჩხ-ეთი (ჯივანი), იფხრი-ეთი (არხვა), შულლი-ეთი (არხვა), ქვამჩირ-ეთი (ერეგუნა), ქვამჩირ-ეთი (მურღული), კაპარჭ-ეთი, კორიდ-ეთი||კორდ-ეთი (ერეგუნა), ქობეკ-ეთი||ხოზერკ-ეთი (შდრ.: ქობაკი||ქვაბაკი <ქობამ||ქობამ კარი. ტაო), კოკოლ-ეთი (მურღული), ტბ-ეთი (კორიდეთი), ფოროს-ეთი (მურღული), გოგლი-ეთი (მურღული), ჩხალ-ეთი (მურღული), საბა-ეთი (<*საბა[ნ]-ეთი. დოლისყანა), მურჯიკ-ეთი (დოლისყანა), აბლესენ-ეთი (<*აბულესენ-ეთი (?). ენი რაბათი), მუსლ-ეთი (ენი რაბათი), ქოთან-ეთი, მასხეთი (დურჩა), დუდუმ-ეთი (არნაული), კარავ-ეთი||ქარავ-ეთი (ანაკერტი), არავ-ეთი (ანაკერტი), ჯორ-ეთი (<*ჯვარ-ეთი. ანაკერტი), მარან-ეთი, თირიალ-ეთი (<*ტირიალ-ეთი<ტრიალეთი(?). შდრ. თრიალეთი), ნაჭივ-ეთი||ნაჭვ-ეთი (<ნაწვ-ეთი (შდრ. კოლხ. ჭვეთი).

კინცხურ-ეთი, ზელი-ეთი (<*ძელი-ეთი<[გ]ძელი-ეთი), გოგლი-ეთი (გველი), ჩხალ-ეთი (გველი), ფოროს-ეთი (გველი), სევდი-ეთი (გველი), სუვდი-ეთი (გველი), ვარდენ-ეთი (ერეგუნა), კუზი-ეთი (გურბინი), წუნ-ეთი (გურბინი), ჯანქან-ეთი (ქურა), ბეშქენ-ეთი (ქურა), ორავ-ეთი (სოფ. კლარჯეთის გზაზე), კლარჯ-ეთი (სოფელი არტანუჯს ზემოთ), სანაბ-ეთი (სახრე), ჯანდერ-ეთი (სახრე), შალღავ-ეთი (*<შალღავ-ეთი. სახრე), ტალახ-ეთ (სახრე. შდრ.: ტალახა), ოსხა-ეთი (სახრე), თიქმან-ეთი (კლარჯეთი), მირვ-ეთი (სოფ. ჭოროხის მარცხენა ნაპირზე), შაქუმ-ეთი||შაქურ-ეთი (ადგილი ნუკას გამოღმა კარჩხალას ხეობაში), ფეშვ-ეთი (მელო. შდრ. ფესვ-ეთი, გვარი ფესვიანიძე), გურგან-ეთი (მელო), იმლი-ეთი (მელო), დოხჩინ-ეთი (მელო. შდრ. გვარი - დოხჩინოღლი), ჯულაგ-ეთი (მელო), ბაქეთი||ბაკ-ეთი (შდრ. ბაკიში (ბაკის), პეტრი-ეთი (ხოდი), წიწ-ეთი (ხოდი), გაბუგ-ეთი (ხოდი), ჩაქი-ეთი (ხოდი), ავუს-ეთი (ხოდი), თუქაზ-ეთი (<*თუქამეთი? ხოდი), კილაჯ-ეთი||კირაჯ-ეთი (ბოსელთას გადაღმა), ავაზენ-ეთ' (ანჭკორი), ნახს-ეთი (სინკოთი), ხურღულ-ეთი (სხალთეთრი. შდრ. ღურღულ-ეთი), კავის-ეთი (ორჯი), თუვათკ-ეთ||თუვადკ-ეთ (მამაწმინდა), უთმან-ეთი (ნაჯვია), მურეკ-ეთ' (ნაჯვია), ნათი-ეთ' (ირსა), ითლი-ეთ' (ხატილა. მემედ ალი ქესკინის მასალეზიდან), ჯიხი-ეთ' (ხატილა. მემედ ალი ქესკინის მასალეზიდან), დავით-ედ' (<*დავით-ეთ. ჰატილა<ხატილა. მემედ ალი ქესკინის მასალეზიდან), სახავრ-ედ (<*საყავრ-ეთ'. ჰატილა. მემედ ალი ქესკინის მასალეზიდან), გოსპი-ეთ (ჰატილა. შდრ. გომპარ-ეთი. აჭარისადმართი), არგან-ეთი (ჰატილა), კოლას-ეთი (ჰატილა), ჭიხი-ეთი (ჰატილა), სათავლი-ეთ' (ანჩა), ბოლოტან-ეთი (<*ბოლოთან-ეთი. ანჩა), ბოლათელ-ეთ (ანჩა), ვაკი-ეთ (ანჩა), ტალახ-ეთ (ანჩა), ავაზან-ეთი (ანჭკორა. შდრ. ავაზან-ათი), რესმან-ეთი (ანჭკორა), ბესალათხ-ეთ (ანჭკორა. შდრ. მაწალახ-ეთი, კორომხ-ეთი),

ლაშ-ეთი (ზ. ქლასკური), ტალახ-ეთი (ჰეზორი), კინცხურ-ეთი (ხეზა), შარბი-ეთი (ახლა თ. ოქუმულარი - მკითხავები, მწიგნობრები), კევი-ეთი (მარადიდი), პაპნავ-ეთი (მარადიდი), ჯამნარ-ეთი ||ჯამნად-ეთი (მარადიდი), ზუდუხ-ეთი (მარადიდი), გული-ეთი (მარადიდი), კევი-ეთი (მარადიდი), კაკი-ეთი (მარადიდი), ქარალ-ეთი (ანჭკორა. ქარალე ჩაუწერია მემედ ალი ქესკინს, უნდა აღდგეს ფორმა ქარალ-ეთი. შდრ. კარალ-ეთი), დოლაბ-ეთი (მარადიდი), შაქარ-ეთი (დევისქელი), ზულარ-ეთი (დევისქელი), ფოროს-ეთი (ბაშქომ), ჩხალ-ეთი (ბაშქომ), ოპრმერ-ეთი (ჩხალ-ეთი), ზულელ-ეთი (<*ზელელ-ეთი. დურჩა. შდრ. ბელლეთი), თეხჩი-ეთი (დურჩა), ჩიხი-ეთი (ხატილა), ითლი-ეთი (ხატილა), საყვერი-ეთი (ქართლა), ციფყარი-ეთი (ქართლა), ესი-ეთი (ქართლა), გოგნი-ეთი (ქართლა), სამგლი-ეთი (ქართლა), საყვერი-ეთი (ქართლა), საფუტკრი-ეთი (ქართლა), კასიმ-ეთი (მარმარწმინდა), კონცხორ-ეთი, ქურდი-ეთი (ქლასკური), თეთრი-ეთი (ქლასკური), ნიში-ეთი (ქლასკური), მაყლი-ეთი (ქლასკური), გვარამ-ეთი (ქლასკური), საცარცხლ-ეთი (ქლასკური. შდრ. ცარცხალა - ორთაბათუმი), ჭისკარ-ეთი (ისკები), ზედი-ეთი (ავანა), თოჯინ-ეთი, ფოროს-ეთი, სეკვი-ეთი (<*სექვი-ეთი(?). ბაშქომ), ქორი-ეთი (ბაშქომ), შუმან-ეთი (მ.ც.1998:325), კობალ-ეთი (მ.ც.1998:325), მახლავ-ეთი.

ნ. სოლნიშკინი ართვინის უზნად ასახელებს ხაიპეტ'ს (სოლნ. 8). ვფიქრობთ, უნდა იყოს ხაიფ-ეთი, სალილ-ეთი (საგუშაგო. სოლნ. 10).

მოვიყვანეთ ჩვენ ხელთ არსებული -ეთ სუფიქსით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები. გთავაზობთ ზოგიერთ განმარტებას:

-ეთ სუფიქსიან ტოპონიმთა ერთ ჯგუფს ფუძედ მამაკაცის (იშვიათად ქალის) სახელი ან მეტსახელი უდევს საფუძვლად და აღნიშნავს ოჯახის საკუთრებას, რომელიც, ჩვეულებრივ, ქმნის სოფლის უბანს, ზოგჯერ მთელს სოფელს:

აბლესენ-ეთი (<*აბულესენ-ეთი; აბლესენი//აბულესენი - მამაკაცის სახელი?).

არავ-ეთი (არავი - მამაკაცის სახელი ან მეტსახელი, შდრ.: გვარი - არავიძე).

ბაკ-ეთი (ბაკ(ა) - კაცის სახელი ან მეტსახელი, შდრ.: გვარი - ბაკაშვილი. იხ. მაისურაძე, 1990:28-29).

ბემქენ-ეთი (<*ბემქენ-ეთი, ბემქენი//ბემქენი - მამაკაცის სახელი, შდრ.: გვარი - ბემქენაძე. მაისურაძე, 1990:35).

ბოლოტა-ნ-ეთი (<*ბოლოტა-ნ-ეთი (შდრ.: ბოლოტანი). ბოლოტა' მამაკაცის სახელი ჩანს, დაცულია გვარში - ბოლოტაშვილი).

ბუღარ-ეთი (ბუღარ' ფუძეში **ბუღა** ადგილის სახელი უნდა იყოს (ბუღ-არ), -არ სუფიქსი, აღნიშნავს წარმომავლობას (იმავე ფუძეს ვხედავთ (**ბუღ**) **ბუღელ-ეთ**ში). **ბუღარი** იგივეა, რაც **ბუღელი**, **ბუღიდან**. შდრ. ოპიზარი, ოლთისარი, ხახულარი, უჩხითარი. **ბუღარ'**, **ბუღელ'** საკუთარ სახელად ქცეულა, **ბუღარეთი**, **ბუღელეთი** კიდევ მათი კუთვნილია).

გვარამ-ეთი (**გვარამი** (<**გუარამი**) - მამაკაცის სახელი, შდრ.: გვარი - **გვარამაძე**).

გოგლი-ეთი (<***გოგოლი-ეთი**. **გოგოლა** - მამაკაცის სახელი ან მეტსახელი, შდრ.: გვარი - **გოგოლაძე**).

გოგლი-ეთი (**გოგლა**/**გოგოლა** - მამაკაცის სახელი ან მეტსახელი, შდრ.: გვარი - **გოგლიძე**, **გოგოლაძე**, **გოგოლაშვილი**).

გოგნი-ეთი (**გოგნია** - მამაკაცის სახელი ან მეტსახელი, შდრ.: გვარი - **გოგნიაშვილი**).

გოროშ-ეთი (*<**გორ[გ]ოშეთი**. **გორგოშა'** - მამაკაცის სახელი ან მეტსახელი, შდრ.: გვარი **გორგოშაძე**).

გული-ეთი (//**გულა-ეთი**. **გულა'** მამაკაცის სახელი. შდრ. გვარები - **გულაძე**, **გულაშვილი**. იხ. მაისურაძე, 1990:50).

გურგან-ეთი (**გურგანი** (<გურგენი) - მამაკაცის სახელია. დასტურდება ისტორიულ წყაროებში: ქ. ცხ. 1, 259, 260, 280... საფუძვლად უდევს გვარებს - **გურგენიძე**, **გურგენიშვილი**).

დავით-ედი (<**დავით-ეთი**. **დავითის** სამკვიდრო).

დოლაბ-ეთი (**დოლაბი** (**დოლაბერის** შემოკლებული ვარიანტი?) - მამაკაცის სახელია, იქნებ - მეტსახელიც, **დოლაბეთი** - მისი კუთვნილი).

დოხჩინ-ეთი (**დოხჩინა** - მეტსახელი კაცისა. შდრ.: მეტსახელი გვარი - **დოხჩინოლი**).

ვარდენ-ეთი (**ვარდენი** - მამაკაცის სახელი, შდრ.: გვარი: **ვარდანიძე**).

ზელი-ეთი (*<**ძელი-ეთი**<[გ]**ძელი-ეთი** (<**გრძელი**. სამხრულ მეტყველებაში იხმარება რ' დაკარგული ფორმა - **გძელი**). მეტსახელია - **გძელი**. შდრ. გვარი - **გძელიძე**//(<***გრძელიძე**).

თეთრი-ეთი (<***თეთრა-ეთი**, თეთრა მამაკაცის მეტსახელი, შდრ.: გვარი - **თეთრაძე**).

თუქაზ-ეთი (<***თუქაძე-ეთი**<თუ[რ]ქაძ-ეთი? **თურქა** მამაკაცის სახელია. შდრ.: გვარი - **თურქაძე**, **თურქიშვილი**...).

კინცხურ-ეთი (**კინცხური** (კინცხ-ურ') წარმომავლობის სახელი ჩანს (კინცხიდან), **კინცხ'**ი გეოგრაფიული პუნქტი უნდა იყოს. **კინცხურეთი** **კინცხურის** კუთვნილია.

კობალ-ეთი (**კობალა** - მამაკაცის სახელი, შდრ.: გვარი - **კობალაძე**).

კოკოლ-ეთი (კოკოლა//ქოქოლა - მამაკაცის სახელი ან მეტსახელი, შდრ.: გვარი - ქოქოლაძე).

ლაშ-ეთი (<*ლაშა-ეთი. ლაშა' მამაკაცის სახელია. ლაშეთი - ლაშას კუთვნილია).

მასხ-ეთი (<*მესხ-ეთი. მესხა - მამაკაცის სახელი ან მეტსახელი, შდრ.: გვარი - მესხაძე. დასტურდება შავშეთში, წეთილეთში, სხვაგანაც. იხ. ფაღავა, ცინცაძე, ბარამიძე, 2022:285).

მურჯიკ-ეთი (მურჯიკი - მამაკაცის მეტსახელი).

მუსლი-ეთი (მუსლი - მამაკაცის სახელი).

ნათი-ეთი (/*ნათა-ეთი. ნათა//ნათი სახელი დაცულია გვარებში ნათაძე, ნათიშვილი).

პაპნავ-ეთი (<*პაპნა-ეთი. პაპნა' მამაკაცის სახელი ჩანს. პაპნა' იქნებ პაპუნა'ს შეკუმშული ფორმაა (პაპუნა' თავის მხრივ პაპა'ს კნინობითი ფორმაა). ეს უკანასკნელი კი რამდენიმე გვარს დადებია საფუძვლად: პაპუნისძე, პაპუნაიშვილი//პაპუნაშვილი...).

პეტრი-ეთი (პეტრე - მამაკაცის სახელი).

საბა-ეთი (საბა//საბან' - მამაკაცის სახელი, შდრ.: გვარი საბაშვილი, საბანიძე//საბანაძე).

სეედი-ეთი (შდრ. მეტსახელი - სეედა).

სუქელ-ეთი (სუქელი (სუქ-ელი) წარმომავლობის სახელი ჩანს. სუქი გეოგრაფიული პუნქტი უნდა იყოს. სუქელ-ეთი სუქელის კუთვნილია).

ტალახ-ეთი (ტალახა - მამაკაცის სახელი ან მეტსახელი, შდრ.: გვარი - ტალახაძე).

ტბეთი (<*ტბელ-ეთი. ტბელი' მამაკაცის სახელი, შდრ. გვარი ტბელიძე).

ფეშვ-ეთი (<*ფესვ-ეთი. ფეშვი//ფესვი მამაკაცის მეტსახელი).

ქამელ-ეთი (ქამილა - მამაკაცის სახელი).

ქარალ-ეთი (<*კარალ-ეთი. კარალი' მამაკაცის სახელი ან მეტსახელი, შდრ.: გვარი კარალიძე).

ქოთან-ეთი (ქოთანა - მეტსახელი კაცისა).

ქორი-ეთი (ქორი - მამაკაცის სახელი ან მეტსახელი, შდრ.: გვარი - ქორიძე).

ქურდი-ეთი (ქურდა' - მამაკაცის სახელი ან მეტსახელი, შდრ.: გვარი - ქურდაძე).

შარბი-ეთი (<*შარაბი-ეთი. შარაბი' მამაკაცის სახელია, შდრ.: გვარი - შარაბიძე. შარბიეთის შესახებ იხ. ფაღავა, ცინცაძე, ბარამიძე, 2022: 198-199; კლარჯეთი, 2016:650-657).

შაქარ-ეთი (**შაქარა** - მამაკაცის სახელი ან მეტსახელი, შრ.: გვარები - შაქარაძე, შაქარიშვილი).

შულლი-ეთი (**შულლა** - მამაკაცის სახელი ან მეტსახელი, შდრ. გვარი **შულლაძე**, დასტურდება შავშეთში, ხობლევსა და მაჩხატეთის აგარაში. იხ. ფაღავა, ცინცაძე, ბარამიძე, 2022:283).

შუმან-ეთი (**შუმანა** - ქალის საკუთარი სახელი. შდრ.: გვარი - **შუმანაძე**, დასტურდება კირნათში. მაისურაძე, 1990:195).

ჩავლ-ეთი (**ჩავლე/ჩავლა** - მამაკაცის სახელი, შდრ.: გვარი **ჩავლეიშვილი/ჩავლეშვილი**).

ჩაქი-ეთი (**ჩაქა** - სახელი ან მეტსახელი კაცისა. შდრ.: გვარი - **ჩაქიაშვილი**. იხ. მაისურაძე, 1990:197).

წეთილ-ეთი (***წითელეთი**. **წითელა** - მამაკაცის სახელი ან მეტსახელი, შდრ.: გვარი **წითელაძე**).

წინწკალ-ეთი (**წინწკალა** - მამაკაცის სახელი ან მეტსახელი, შდრ.: გვარი - **წინწკალაძე**).

წიწ-ეთი (<**წიწვ-ეთი**. **წიწვა** მეტსახელი ჩანს კაცისა. შდრ.: გვარი - **წიწვაძე**).

ხაიპ-ეთი (<**ხაიფეთი/ხაიბეთი**. **ხაიპი**<**ხაიფი/ხაიბი** საკუთარი სახელი ჩანს. იქნებ **ხაიფი/ხაიბი**<**ხალიფი/ხალიბი** საგან **ლ**ს დაკარგვით? (იხ. მაისურაძე, 1990:225) შდრ.: გვარი - **ხალიფაშვილი**).

ჯანდერ-ეთი (**ჯანდერ** <**ჯანდელი**; **ჯანდა** ადგილის სახელი უნდა იყოს. **ჯანდერეთი**<**ჯანდელეთი** **ჯანდელის** კუთვნილია).

ჯიხი-ეთი (<**ჯიხა-ეთი**. **ჯიხა** მამაკაცის სახელი ჩანს. შდრ.: გვარი **ჯიხაძე**, **ჯიხაშვილი**).

ჯორი-ეთი (<**ჯვარი-ეთი**. საკუთარი სახელია **ჯვარისა** (შანიძე, 1967). **ჯვარ** ფუძე უდევს საფუძვლად გვარს **ჯვარიძე** (ასპინძა), **ჯვარშიშვილი** (იხ. მაისურაძე, 1990:244).

ჯულაგ-ეთი (**ჯულაგი** - მეტსახელი კაცისა. სახელი იქნებ **ჯულაყ**ის ფონეტიკურად სახეცვლილი ფორმაა. ეს უკანასკნელი დასტურდება გვარში **ჯულაყიძე**).

მოყვანილ მასალაში **-ეთ** სუფიქსი დაერთვის ანთროპონიმებს (ადამიანის სახელებს ან მეტსახელებს) ან მასთან გათანაბრებულ სახელებს და აწარმოებს ტოპონიმებს, რომლებიც აღნიშნავენ კონკრეტული პირის (ან ოჯახის) კუთვნილს. დასახელებული გეოგრაფიული სახელები საინტერესოა სოფლის დასახლების სტრუქტურისა და კუთხის ანთროპონიმის შესასწავლად. ტოპონიმებში დაცული ანთროპონიმები მოგვიანებით საფუძვლად დაედო გვარ-სახელს.



-**ეთ** სუფიქსიან ტოპონიმთა ერთ ჯგუფში გამოიყოფა დანიშნულების სახელები: **სანაზ-ეთი** (სა-ნაზ-ე), **საყვერ-ეთი** (სა-ყვერ-ე), **სამგლ-ე** (სა-მგლ-ეთი), **საყავრი-ეთი** (სა-ყავრი-ე), **საფუტკრი-ეთი** (სა-ფუტკრი-ე), **სალილ-ეთი** (სა-ლილ-ე)... სხვები კიდევ კვლევას საჭიროებს.

აღვნიშნავთ, რომ **-ეთ** სუფიქსიანი ტოპონიმები გვხვდება ისტორიული კლარჯეთის მრავალ სოფელში, ესენია: კარჩხალა, გოროშეთი, კლარჯეთი, ანჭკორი, სინკოთი, სხალთეთრი, ორჯი, მამაწმინდა, ნაჯვია, ირსა, ხატილა (||ჰატილა), ანჩა, სახრე, ქლასკური, ჰეზორი (||ხემორი), ხეზა, შარბიეთი, მარადიდი, დევსქელი, ბაშქოფ, დურჩა, ქართლა, ისკები, ავანა, მურღული, ჯივანი, არხვა, კორიდეთი, დოლისყანა, ენი რაბათი, არნაული, ანაკერტი, გევი, ერეგუნა, გურბინი, სახრე, მირვეთი, კირნათი, მელო, ხოდი... ჩამოთვლილ დასახლებათა ნაწილი მეთურქულეა, ნაწილიც - მექართულე. შეიძლება ითქვას, **-ეთ** სუფიქსიანი წარმოება ყველაზე გავრცელებული მოდელია კლარჯეთის ტოპონიმიაში, საერთოდ სამხრეთ საქართველოს გეოგრაფიულ სახელთა წარმოებაში. ტოპონიმთა წარმოების ეს მოდელი გვხვდება:

აჭარაში: ლაკლაკეთი, ტომაშეთი, ძამლეთი||ზამლეთი, ცინარეთი, ბელეთი, ტბეთი, ქაშვეთი, კორომხეთი, არაკეთი, ჩიქუნეთი, აკვანეთი, ბაბაქეთი, ბრევეთი, გელიარჩვეთი, გორიეთი, გომპარეთი, გუდალეთი, თეთრიეთი, რიყეთი, კუნჭულეთი, მოფრინეთი, საქავრეთი, მიგურეთი... (ნიჟარაძე, 1969:209-210).

მაჭახელი: ქოქოლეთი, კახიეთი, ბასილეთი, ხინკილეთი, დავითეთი, გვიანეთი, გორიეთი... (მსხალაძე, 1954:21).

შავშეთი: ბაზგირეთი, ივეთი, მაჩხატეთი, მიქელეთი, ტბეთი, წეთილეთი, წითვეთი, ოქრობაგეთი, ასალმეთი, გოგოლეთი, ვაკეთი, თაუზეთი, თეთროზეთი, ნადირეთი, ორონიკეთი, პერანეთი, სუანეთი, უკანეთი, ფიქალეთი, ციალეთი, ხილვეთი, ბარდეთი... (ცეცხლაძე, 2004:37; 2011:319).

ტაო: აკეთი, ჭონეთი, კოზანეთი, შადვალეთი, ვაკეთი, ხოსილეთი, ჩარმანეთი//ჭარმანეთი, ჭუმახეთი//ჭუმახეთი, ღვირეთი, შაფეთი, ხახასეთი //ჰახასეთი, გოგესეთი, გაზვერეთი, თაზეთი, ხასეთი, კიტავეთი (<კიტევეთი. არჯევანი), ქეჩვეთი, საფანეთი, ისრეთი, ქუსრეთი, ბაშკარეთი, ბაშკარეთი, ლიყიეთი, საჯვერეთი <საჯვარეთი, ოხსეთი, კიტალეთი, გოჭეთი, ბაკერეთი, სალბეთი, ტალბეთი, ხისრეთი, ასკილეთი, დანალეთი, საჯვარეთი... (ტაო, 2020:828).

-**ეთ** სუფიქსიანი ზოგიერთი გეოგრაფიული სახელის შესახებ „ქართლის ცხოვრებაში“ მსჯელობს ს. ყაუხჩიშვილი. მკვლევარი მოიყვანს პარალელურ ფორმებს რედაქციებიდან (სტეფანიათ - სტეფანელთა: სტეფანიათ DTC, სტეფანათ M, სტეფანწმიდელთ CET, სტეფანელთა MTM, სტეფანეთაგან DC,

სტეფანწმიდელთაგან CET) და ამტკიცებს, -**ეთ** და -**ელ** სუფიქსები წარმომავლობის სახელებს აწარმოებენ. სიზუსტისათვის მოვუსმინოთ ავტორს: „-**ეთ** სუფიქსი ისევე არის ზედსართავი ხასიათისა, როგორც ვახტანგეთში, ლიპარიტეთში და სხვაგან. ნიშანდობლივია, რომ ვარიანტებშიც ასეა გაგებული: **ჰერეთთა** და **ჰერელთა...** რომ -**ეთ** ესმოდათ როგორც -**ელ** ჩანს ასეთი კონტექსტიდანაც: ამის მოწამე არს სახლი **შარვანშეთი** და **დარუბანდელთა**, სადაც ერთი სიტყვის -**ეთ** (შარვანშეთი) უდრის პარალელური სიტყვის -**ელ** სუფიქსს (დარუბანდელთა)“ (ყაუხჩიშვილი, 1959:077-078).

ჩვენ არ შევუდგებით მოყვანილი მსჯელობის განხილვას. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ -**ელ** სუფიქსი აწარმოებს წარმომავლობის სახელებს, -**ეთ** კი - სხვა ფუნქციით იხმარება, კერძოდ: **ჰერელი** - წარმომავლობის სახელია, ნიშნავს ჰერიდან, ხოლო **ჰერეთი** ჰერთა საცხოვრისია, **ჰერთა** კუთვნილია. აქ მეორე სუფიქსი, -**თა** (ჰერ-ეთ-თა), ვფიქრობთ, ზედმეტია.

-**ეთ** სუფიქსიანი წარმოება გვხვდება ლაზეთის ტოპონიმიაშიც: **ფილარგეთი, თრიმლეთი, კამილეთი...** (ფაღავა, თანდილავა, 2014:121).

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ -**ეთ** სუფიქსი გეოგრაფიულ სახელწოდებებს უმეტესად მცენარეთა, ცხოველთა, ეთნიკურ და ანთროპონიმულ სახელთაგან აწარმოებს, შედარებით იშვიათად - ჰიდრონიმისგანაც (ციფწყარი-ეთი). მთავარია, რომ ყველა შემთხვევაში იგი გამოხატავს საგნის კრებითობას ან სიმრავლეს. სხვა ფუნქციით -**ეთ** სუფიქსი ქართულ ენაში არ ჩანს. სწავლობს რა მაჭახლის ტოპონიმას, მკვლევარი ალ. მსხალაძე ეხება საკუთარ სახელზე -**ეთ** სუფიქსის დართვის შემთხვევებს და აკეთებს საყურადღებო დასკვნას: „იმ ადგილს, სადაც **კახიძეები** ცხოვრობენ, „კახიეთი“ ეწოდება, სადაც **ბასილაძეები** ცხოვრობენ, ადგილობრივი მცხოვრებნი „**ბასილეთს**“ უწოდებენ. ასეთივე წარმოშობისაა შემდეგი გეოგრაფიული სახელები: **ქოქოლეთი** (ქოქოლაძეები), **ხინკილეთი** (ხინკილაძეები), **დავითეთი, გვიანეთი, გორიეთი** და მისთ“ (მსხალაძე, 1954:21).

მნიშვნელოვანი დაკვირვებაა, რაც მთავარია დამაჯერებელი. საყურადღებოა, რომ სწორადაა განსაზღვრული -**ეთ** სუფიქსის ფუნქცია, გამოხატავს მრავლობითობას, კრებითობას. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში თითქოს სწორად იქნა ამოხსნილი -**ეთ** მაწარმოებლის დანიშნულება (ნ. მარი, არნ ჩიქობავა, კ. დონდუა, თ. ზურაბიშვილი, ალ. მსხალაძე...), თუმცა მოგვიანებით გამოითქვა განსხვავებული მოსაზრებაც. მხედველობაში გვაქვს „ტბეთის სულთა მატიანეზე“ დართული გამომცემლის გამოკვლევა და ზოგიერთი სხვა ნაკვლევი. ჩვენ აქ არ შევხებით სხვა

მაწარმოებლებზე მკვლევრის დაკვირვებებს, შევჩერდებით ოდენ -ეთ სუფიქსზე: „109 -ეთზე დაბოლოებული გვარიდან მხოლოდ 4 გვარია ქალის... -ეთი აწარმოებს მამაკაცის გვარებს" (ენუქიძე, 1977:39). მოვიყვანთ შესაბამის ნიმუშებს, იმის საილუსტრაციოდ, თუ რა მიაჩნია მკვლევარს (მკვლევრებს) „მამაკაცის გვარებად“:

გორგაზით კვირიკე...(2), **ვაცაეთ** ნიკოლოზისა... (15), **გუნდარეთ** დემეტრე... (22), **ჩიქუნეთით** შემომწირველთა... (46), **ქუაბელეთ** ივანესა... (48), სულსა **მარტანეთ** ნანასა (66), სულსა **კადიეთ** მარიამისა (67), **ქუაბელეთ** იოანესა... (102), **ბერსელეთ** იოანე (105), **როსტომეთ** კვირიკე... (122), **მეფუტკრით** ივანესასა... (126), **ღურჯაეთ** მიქაელი... (148;153), **მწითურეთ** კვირიკე (155), **გორგაეთ** ვაჟი... (159), **ოვსიეთ** მარიამი (165), **ტისორეთ** გიორგი... (168), **ფარეჯეთ** იოვანესასა (169), **სეფადინეთ** სამნაისასა (174), **წკირმონეთ** ივანე (175), **საიღეთ** ხუცესისასა (179), **კვრიკეთ** მიქაელისა (185), **ჯეჯელაეთ**... (189), **მორჩიეთ** მიქაელისა... (191), **გოგანეთ** ხუცისა (193), **ჭაკუნთელაეთ** თევდორესა (200), **თევთიეთ** გიორგი (202), **სიკალაეთ** იოვანესა (203), **ფხიკაეთ** მუღლესა (205), **თავხელეთ** მიქაელისასა (210), **გიორგაეთ** კაცი ოქროსასა (212), **ვარდანეთ** სასნასასა (215), **ეგნატეთ** იოანესა (217), **სამოელეთ** გიორგისასა (220), თევდორე **გუნდარეთისასა** (223), **ქუნთალეთ** ლომადსასა (225), **კუთხაეთ** სეხნასასა (226), იოანე **ლამოძაეთისასა** (226), **კანკარეთ** ვაჟსა (227), **სივალაეთ** დავითისასა (232), **ჯარდენეთ** მარიამისასა (232), **ბაილისურეთ** იოვანესასა (232), **უგმფიეთ** ნადირასა (232), **კეჯერეთ** ივანესასა (236), **სამოელეთ** იოვანესასა (237), თევდორე **ჩოყორეთისასა** (238), **გოგლაეთ** აბაშისასა (239), **გლიჯაეთ** დემეტრესა (242), **სიკალაეთ** მგელასა (243), **ცანდაეთ** ზებედასა (244), **ტურიეთ** იორდანესასა (251), **სკინჯეთ** წიქარადსასა (257), **ტომარაეთ** გიორგისასა (260), **გორგასძიეთ** ივანეს... (282), **სიმურტანეთ** ნებიერისა (265), **კვრიკაეთ** იოვანესასა (266), **მორჩიეთ** ბასილისასა (270), **ზაქიეთ** მგელადსასა (271), **გათენიეთ** გიორგისასა (272), **ვარდანეთ** ვარდანისასა (279), **ჩავლაეთ** მჭედლისასა (280), **მეფუტკრეთ** ნიკოლოზისასა (281), **მოლაზონეთ** გრიგოლისასა (283), **ჯარდენეთ** ბასილისასა (293), **თევთიეთ** დემეტრეს (294), **ფარაჯეთ** გრიგოლისასა (295), **ტიზორეთ** მეგომისა (321), **დავლაეთ** ცხორებასა (322), **გიორგაეთ** გიორგისა (323), **გოგაბერეთ** მიქაელისა (324), **ბრევაეთ** ქალი (327), **გუნდარეთ** გიორგი (337), **ბეჩიეთ** დემეტრესა (341), **ფხიკაეთ** იოანე... (366), **ბონდარეთ** ბორენასასა... (367), **გოგლაეთ** გიორგისასა (369), **სირაეთ** გიორგისასა (370), **წითელაეთ** გიორგისასა (372), **შალვაეთ** ბალავარის... (374), სულსა საბა **კაკალეთ**...სასა... (376), **შალვაეთ** ივანეს (378), **ჯარდენეთ** დემეტრესასა (381), **ფარაჯეთ** დემეტრე (382), **ჩავლაეთ** არსენისასა (384), **ცხადაეთ** ივანესასა (386), **ჯარდენეთ** ...ნესასა (390), **გუიანეთ** აკრიელ



ცხორებასასა (391), სულსა **დავლაეთის...** (393), სულსა **გუძანეთ...** (394), **ჯარდენეთ** ნანასა (396), **დავლაეთ** ცხორებასა, სულსა **კანჯარეთ...** (403), **...ქუნთელეთ** ქალისა (414), **ვარდანეთ** გორგმს (სიც)(430), **გორგასძიეთ** გაზრდილისა... (432), **გიორგაეთ** ქალისა... (433), **კორტიზეთ** მიქელისა (440), **კორტიზეთ** რძალისა (440), **გუნდარეთ** გიორგისა... (441), **კანჯარეთ** ქალი (448), სულსა **ვაშანეთ** ბასილისა (478), **აბესალამეთ** ს(ი)ძლის ჩიქუნელისის (488), **ბუნწელეთ** ქალისა... (532), **დოლიეთ** კურიკესასა (544), **სისოეთის** წინამძღუარისასა (547), **...გორგასძეთ** მახარებლის... (551), **გლირჯაეთ** ქალისასა... (569), **თევთიეთ** ვაჟთა... (580), **კავალეთ** ვაჟთა (582).

ბაზგასმული ყველა -ეთ სუფიქსიანი ფორმა გვარებადაა მიჩნეული, რასაც ვერ დავეთანხმებით. ისინი გეოგრაფიული სახელებია, კონკრეტულად გარკვეული ოჯახის საცხოვრის ადმინიშენელი. ჩანს, მაჭახელსა და მის მიმდებარე რეგიონებში დიდი ოჯახები ჯგუფებად ცხოვრობდნენ და სწორედ ამ უბნის ადმინიშენელი სახელი გაფორმებულია -ეთ სუფიქსით: რომელიმე **ვარდანის** სახლეულის საცხოვრის დაერქვა **ვარდანეთი**, დავლას საცხოვრისს - **დავლაეთი**, წითელას საცხოვრისს - **წითელეთი...** (შდრ. მსხალაძე, 1954:21). უნდა ითქვას, რომ თ. ენუქიძის ზემომოყვანილი მოსაზრება ქართულ მეცნიერებაში თითქოს გაიზიარეს (იხ.შანიძე, 1981:52-53). ოდნავ განსხვავებულია ნ. კახიძის შეხედულება (კახიძე, 2013:24-25), თუმცა ბოლომდე ვერც იგი აღწევს თავს თ. ენუქიძის გავლენას (ენუქიძე, 1977:26), პირიქით, ოდნავ ქვემოთ მსჯელობს „-ეთ მაწარმოებლიანი გვარიდან -ძე და -შვილ მაწარმოებლიან გვარზე“ გადასვლის შესახებ (კახიძე, 2013:31 და შემდეგ).

მკითხველის ყურადღებას ასევე მივაქცევ „მატიანეში“ რამდენიმე ჩანაწერს:

გორგასძიეთ ივანეს... (282), **...გორგასძეთ** მახარებლის... (551) - ორივე ჩანაწერი **გორგასძის** საცხოვრისს, კუთვნილს აღნიშნავს. -ეთ გვარს თუ აწარმოებს, აქ რატომ გვაქვს ორმაგი წარმოება (**ძე, ეთ?**). ამავე რიგში უნდა განვიხილოთ ჩანაწერი „იოანე **ლამოძაეთისასა**“ (226), შდრ.: ლამოძეთ'ი>ლამოძაეთ'ი (ეე>აეუს დისიმილაციით), ნიშნავს - **ლამოძის** კუთვნილს.

კიდევ რამდენიმე კითხვა, რომლებიც გაგვიჩნდა „ტბეთის სულთა მატიანეზე“ დართულ თუ მასზე მიძღვნილ სხვა შრომების წაკითხვის შემდეგ:

- ახალ დროში სად „დაიკარგა“ -ეთ მაწარმოებლიანი გვაროვნული სახელები?

- რა უდევს საფუძვლად ქალისა და მამაკაცის გვარების განსხვავებული წარმოების შესახებ ასეთ მსჯელობას: „ნაწილაკები **ძე, შვილი** და, უმცირესი გამონაკლისით, **-ეთ** აწარმოებს მამაკაცის გვარებს, **-ურ** და **-ულ** აწარმოებენ მხოლოდ ქალის სახელებსა და გვარებს, **-ფხე** კი მხოლოდ ქალის გვარებს" (ენუქიძე, 1977:39). ნუთუ ის, რომ „მატიანეში" ჭარბობს ე.წ. **-ეთ** სუფიქსიანი მამაკაცის „გვარები" ქალისას? ბუნებრივია, ეს არაა საკმარისი საბუთი, უფრო სწორედ, საერთოდ არაა საბუთი. თუ გავითვალისწინებთ, რომ ხსენებულ წყაროში **-ეთ** სუფიქსი აწარმოებს კონკრეტული პიროვნების ან მისი სახლეულის საცხოვრებელი ადგილის სახელს და არა გვარს და ამ სახლეულის მეთაური უმეტეს შემთხვევაში მამაკაცია, ნათელი გახდება მოყვანილი შეხედულების უსაფუძვლობა. მსჯელობას აღარ გავაგრძელებთ, აღვნიშნავთ:

ა. ქართულისათვის უცხოა ქალისა და მამაკაცის გვარების განსხვავებული წარმოება.

ბ. **-ურ**, **-ულ** და **-ფხე|ხე|ხ** სუფიქსები არ აწარმოებენ ქალის გვარებს, მხოლოდ მიუთითებენ ქალის წარმომავლობაზე და გვაროვნულ თუ ოჯახის კუთვნილებაზე.

3.2. სუფიქსი -ით. კლარჯეთის რამდენიმე გეოგრაფიულ სახელში გამოიყოფა 'ით სუფიქსი, ესენია: **ნახს-ით**'ი (გოროშეთი), **ჩუნთლ-ით**'ი (გოროშეთი), **კელ-ით**'ი.

აჰ. შანიძე საგანგებოდ ჩერდება გეოგრაფიულ სახელებში 'ით სუფიქსზე: „...კვლევას მოითხოვს საკითხი იმის შესახებ, თუ რა წარმოშობისაა **ი ით**-ზე დაბოლოებულ გეოგრაფიულ სახელებში, როგორცაა: **როკ-ით**'ი, **ღვანკ-ით**'ი... ცხადია, რომ აქ, ზოგან მაინც, ფუძისეული ხმოვანი უნდა ვიგულოთ, ხმოვანი, რომელიც **ი** დეტერმინანტის სახელობითის ფუძეზე შეზრდისა და ბრუნვის დაბოლოებად ქცევის შემდეგ სახელობითის ნიშნად უნდა ყოფილიყო გაგებული, როგორც ამას ვხედავთ უცხო წარმოშობის სიტყვებში: **სურა**'ი (არაბ.), **გემი** (თურქ.) და სხვა" (შანიძე, 1981:440). ჩვენ მიერ მოყვანილ მაგალითებში 'ი სუფიქსის ('ით) ნაწილი ჩანს. შეიძლება, **-ით** დასახელებულ გეოგრაფიულ სახელებში იგივე იყოს, რაც მოქმედებითი ბრუნვის ნიშანი **-ით**. იქნებ, სახელის მოქმედებითი ბრუნვის ფორმის ხელახალი ბრუნებით მივიღეთ: **ნახს-ით**'ი, **ჩუნთლ-ით**'ი, **კელ-ით**'ი.

აღვნიშნავთ, რომ კლარჯეთის ტოპონიმიაში სულ სამიოდე გეოგრაფიული სახელი დავადასტურეთ **-ით** სუფიქსით ნაწარმოები. ძნელია 'ით(ი) სუფიქსის კონკრეტულ ფუნქციაზე საუბარი, თუმცა სპეციალურ

ლიტერატურაში არის მასზე მინიშნება (იხ. ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988:228,229; შდრ. ცეცხლაძე, 2004:37).

ნახს' ფუძეში შეიძლება დავინახოთ მნიშვნელობა - „ნაცსი, თარსი, ცელქი, მოუსვენარი, ანცი, ონავარი. ნახსიანი, ნაცსიანი, თარსიანი" (ნიჟარაძე, 1971).

კელ' ჩანს აჭარულ ქსოვის ტერმინოლოგიაში დადასტურებულ მიმდებარე წარმოშობის ტერმინში **ა-კელ-ულ'** და სამშენებლო ლექსიკის **კელ'**ში (მოკლე ფიცარი, რომლითაც ამოჰყავთ სახლის კედელი ფანჯარასა და კარს შორის). **კელ'**ს უწოდებენ ფიცრის გადასაგრძელებელ ნაწილსაც (ნოღაიდელი, 1990:26. შდრ. ცინცაძე, ფაღავა, 1998:109). ბარემ ვიტყვით, რომ **კელს** იმერეთში უწოდებენ **კევრს** - პურის სალექ იარაღს (დლონტი, 1984). **კელ** ფუძე შეიძლება გამოვყოთ **კელა'**შიც, იგივეა, რაც **ნა-კელ'**ი (ძოწენიძე, 1974; შდრ. ორბელიანი, 1949; ჩუბინაშვილი, 1984...). **კელ'** გამოიყოფა **კელ-ობ-ს** ზმნურ ფორმაშიც, ნიშნავს **კოჭლობს** (იხ. ნიჟარაძე, 1971; ჩუბინაშვილი, 1961).

3.3. სუფიქსი -ოთ. გეოგრაფიულ სახელთა ერთ მცირე ნაწილში უნდა გამოიყოს **-ოთ** სუფიქსი, ესენია: **ბოლო-ოთ'** (გოროშეთი), **ნახსორო-ოთ'** (გოროშეთი), **ტანშ-ოთ'** (შდრ. ტანშ-ოთ'. Пагирев, 1913), **წყარო-ოთ'** (გურბინი. შდრ. წყარო-ოთ-ა - ზ. აჭარა), **წყარო-ოთ'** (ქურა), **ხარო-ოთ'**||**ხაროტ'** (კარჩხალა), **გორგ-ოთ'** (მელო), **ბაშ-ოთ'** (მარმაწმინდა. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან), **ობოლო-ოთ'**||**ობოლოტ'** (ქლასკური), **სინკ-ოთ'** (Пагирев, 1913), **სირა-სინგ-ოთ'** (Пагирев, 1913), **ხაშ-ოთ'** (Пагирев, 1913).

ბაშოთ' ფუძეში შეიძლება ამოვიცნოთ თ. ხაჭ' (თავი) ფუძე, ხოლო **ობოლოთ**||**ობოლოტ'**ში **ობორ** (სახლი. რ:ლ მონაცვლეობით).

-ოთ სუფიქსის შესახებ მეცნიერთა შორის აზრთა სხვაობაა:

ნ. მარს **-ოთ -ეთ'**ის დიალექტურ ეკვივალენტად მიაჩნია.

ს. ჯანაშიას დაკვირვებით, „ამ შემთხვევაში რამდენადმე გაუგებარი იქნებოდა, რატომ დიალექტური თავისებურება სუფიქსის მხოლოდ პირველი რადიკალით არის გამოხატული" (ჯანაშია, 1959:144).

ჩვენ მიერ მოყვანილ ზოგიერთ სახელში თითქოს საეჭვოა ო'ს სუფიქსისეულად მიჩნევა, უფრო ფუძისეული ჩანს იგი: **ბოლო-ოთ'**, **წყარო-ოთ'**, **ხარო-ოთ'** (შდრ. **ბოლო**, **წყარო**, **ხარო**), მაგრამ ფუძისეულად ვერ მივიჩნევთ ო'ს **ნახსორო-ოთ'**, **გორგ-ოთ'**, **ბაშ-ოთ'**, **ობოლო-ოთ'** ფორმებში. ბოლო ოთხ ტოპონიმში **-ოთ'**ის სუფიქსობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

დაბოლოს, აღვნიშნავთ, რომ **-ოთ** სუფიქსი ერთ გეოგრაფიულ სახელში გამოიყო შავშეთის ტოპონიმიაში - **სინკ-ოთ**'ი (იხ. ცეცხლაძე, 2004; შავშეთი, 2011; ფაღვაძე, ცინცაძე, ბარამიძე, 2022:217), რაც საყურადღებო ფაქტია.

3.4. სუფიქსი -უთ. საენათმეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ „ყველაზე უფრო ნაკლებპროდუქტიული და ნაკლებგავრცელებულია გეოგრაფიულ სახელებში სუფიქსები **-ოთ** და **-უთ**“ (ზურაბიშვილი, 1961:141). საკვლევ რეგიონში დავადასტურეთ რამდენიმე საგეოგრაფიო სახელი, რომელშიც შესაძლებელია **-უთ** სუფიქსის გამოყოფა: **ჩორ-უთ**'ი (სახრე), **უსქ-უთ**'ი (ხოდი), **ჰაშ-უთ**'ი (ხოდი), **ჭურ-უთ**'ი (სახრე), **კან-უთ**'ი (ხეზორი// ჰეზორი), **ოხ-უთ**'ი (ხოდი). კავკასიის ხუთვერსიან რუკაზე დატანილია **იგრ-უთ**'ი (მეზრე, ართვინი. Пагирев, 1913).

3.5. სუფიქსი -თ. კლარჯულში დადასტურდა ორ ათეულზე მეტი ტოპონიმი, რომელშიც, **-თ** მაწარმოებელი უნდა გამოიყოს: **ვანა-თ**'ი (კარჩხალა), **გოლა-თ**'ი (გოროშეთი), **ბორა-თ**'ი (ენი რაბათი), **ზაქარა-თ**'ი (კატრევანი), **ველა-თ**'ი (გოროშეთი), **ველა-თ**'ი (ორჯი. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან), **ხაშარა-თ**'ი (ართვინთან ახლოს. სოლნ. 9. შდრ. *ხანზარა-თ'ი<ხანძარა-თ'ი. ზ:მ, მ:ნ მონაცვლეობით), **ნოზლა-თ**'ი (ორთული), **ნათლა-თ**'ი (კლარჯეთი), **კირნა-თ**'ი, **ბაგა-თ**'ი (მელო), **ბაგა-თ**'ი (სინკოთი), **ლომა-თ**'ი (ანჩა), **ვეხნა-თ**'ი (ხატილა) **ტყემალა-თ**'ი (დევსქელი), **ოხვა-თ**'ი (დევსქელი), **მითანა-თ**'ი (მარმაწმინდა), **კონდალა-თ**'ი (კარჩხალა), **საქარა-თ**'ი.

-თ მაწარმოებელი ჩანს მემედ ალი ქესკინის ჩაწერილ კიდევ ორ გეოგრაფიულ სახელში: **ჭერა-დ'** (<*ჭერა-თ'ი, სინკოთის უბანი) და **ჯერა-დ'** (<*ჯერა-თ'. ნაჩვია).

რამდენიმე გეოგრაფიული სახელი **-თ** სუფიქსით დატანილია „კავკასიის ხუთვერსიან რუკაზე“: **გუდა-თ**'ი (ართვინი), **კარავა-თ**'ი||**კარავა-ტ**'ი (ართვინი), **მასურა-თ**'ი (<*მა[ნ]სურა-თ'ი), **მუხტა-თ**'ი, **ორქულა-თ**'ი, **პერანა-თ**'ი, **შუბა-თ**'ი (Пагирев, 1913).

-თ სუფიქსიანი საინტერესო ტოპონიმი დადასტურდა არტანუჯის აღწერაში: **ხემოგორა-თ**'ი||**ხემეგორა-თ**'ი.

ზოგიერთი შენიშვნა მოყვანილ მასალასთან დაკავშირებით:

ა. დასახელებულ ტოპონიმთა ნაწილს ფუძედ ხმოვანფუძიანი სახელი აქვს, რისი გათვალისწინებით სურათი გარკვეულად იცვლება, კერძოდ:

ვანათ'ში მაწარმოებლად გამოვყოფთ **-თ**, ფუძეა **ვანა**, შდრ.: **ვანაძე** <**ვანა**[ს]ძე. **ვანათ**'ი **ვანას** კუთვნილია, იგივეა, რაც ***ვანეთი**<***ვანა-ეთ**'ი.

იმავე მიზეზით **ზაგათ**ში გამიყოფა **თ** სუფიქსი, ფუძეა **ზაგა** „ახალი ვენახი“ (ორბელიანი, 1949): **ზაგა-ეთ**ი>**ზაგა-თ**ი.

ზაქარათი დაიყოფა შემდეგ სეგმენტებად: **ზაქარა-თ**ი. იგი მიღებული უნდა იყოს ასეთი ფონეტიკური გარდაქმნით: **ზაქარა-თ**ი<**ზაქარა-ეთ**ი, დაიკარგა სუფიქსისეული **ე** და მივიღეთ **ზაქარა-თ**ი. **ზაქარათი** **ზაქარას** კუთვნილია. დასაშვებია **ზაქარათის** გვერდით **ზაქარეთი**ც. **ზაქარათ**ი **ზ**:ს მონაცვლეობით გვადლევს **საქარათ**ს.

ლომათი დაიშლება: **ლომა-თ**ი, რომელიც მიღებული ჩანს **ლომა-ეთ**ისაგან. **ლომა** მამაკაცის სახელი ან მეტსახელია, რომელიც მოგვიანებით დაედო საფუძვლად გვარს **ლომაძე**<**ლომა**[ს]ძე, გვხვდება **ლომიძე**ც (იხ. მაისურაძე, 1990). **ლომათ**ში გამოვყოფთ **-თ** სუფიქსს.

ლომათი **ლომას** კუთვნილია.

გოლათი დაიშლება შემდეგ სეგმენტებად: **გოლა-თ**ი (**გოლა** მეტსახელია კაცისა. იხ. ნიჭარაძე, 1971). **გოლათი**<**გოლაეთ**ისაგან სუფიქსისეული **ე**ს დაკარგვით. **გოლათი** **გოლა**ს კუთვნილია.

ველათი სეგმენტაციით გვადლევს: **ველა-თ**ი<**ველია-თ**ი<**ველ**[ი]ა-ეთი (შდრ.: **ველიაძე**<**ველია**[ს]ძე (აჭარა) და **ველი-ოღლი** - ტაოში (ტაო, 2020:1130). **ველათ**ში გამოიყოფა სუფიქსი **-თ** (<**ეთ**).

ტყემალათი დაიშლება: **ტყემალა-თ**ი. **ტყემალა** კაცის მეტსახელი ჩანს, შდრ.: გვარი **ტყემალაძე**.

ტყემალათი<**ტყემალა-ეთ**ი სუფიქსისეული **ე**ს ჩავარდნით. **ტყემალათ**ი **ტყემალა**ს კუთვნილია.

კონდალას გვერდით შეგვხვდება თანხმოვანფუძიანი ფორმა - **კონდალ**, შესაბამისად მათგან ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები: **კონდალათი** და **კონდალეთი**.

კონდალა-თში გამოიყოფა **კონდალა** (კაცის მეტსახელი) და **-თ** (<**ეთ**) სუფიქსი.

ამავე რიგში განვიხილავთ ტოპონიმს **ნოზლათი**<**ნოზალათი**.

ნოზლა-თი<**ნოზალა-თ**ი<**ნოზალა-ეთ**ი.

ნოზლათი **ნოზლას** ან მისი სახლეულის კუთვნილია.

ნათლა-თი<**ნათელა-თ**ი<**ნათელა-ეთ**ისაგან.

ნათლათი **ნათლას**//**ნათელას** კუთვნილია.

გუდა-თი<**გუდა-ეთ**ისაგან სუფიქსისეული **ე**ს დაკარგვით. შდრ.: გვარი - **გუდაძე**.

მოყვანილი მასალიდან ჩანს, რომ ხმოვანფუძიან სახელებთან **-ეთ** სუფიქსისეული **ე** იკარგება. გამომდინარე თქმულიდან, ჩვენს მასალაში **-ათ** სუფიქსი არ გამოიყოფა, გვაქვს **-თ**(<**ეთ**) ბოლოსართი.

ჩვენი მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ერთმანეთის მონაცვლე პარალელური, ხმოვანფუძიანი და თანხმოვანფუძიანი, ფორმები:

ორქულა-თ'ი - ორქულ-ეთ'ი.

კარავა-თ'ი - კარავ-ეთ'ი.

შუბა-თ'ი - შუბ-ეთ'ი.

მითანა-თ'ი - მითან-ეთ'ი.

ხამზარა-თ'ი - ხამზარ-ეთ'ი.

ხემეგორა-თ'ი - ხემეგორ-ეთ'ი.

ამავე რიგში უნდა განვიხილოთ: **ობ[ვ]ა-თ'ი - ობ-ეთ'ი.**

ამრიგად, ჩვენს მასალაში უნდა გამოიყოს სუფიქსი **-თ(<*ეთ).**

სხვაგან ანალოგიურ სახელებში **-ათ'** სუფიქსს გამოყოფენ (ვადავა, ცინცაძე, ბარამიძე, 2022:213-216; კლარჯეთი, 2016:612-613), რომელიც **-ეთ'**ის ზანურ შესატყვისად არის მიჩნეული (შანიძე, 1981:440. შდრ.: ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988). ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში გამოვყოფთ **-თ (<ეთ)** სუფიქსს. **ნათელა**'ს, **გუდა**'ს ტიპის სახელებში ბოლოკიდურა ა'ც სუფიქსია, რასაც აქ არ ვეხებით.

3.6. სუფიქსი -თა. კლარჯეთის ქვეყანაში დადასტურდა **-თ(ა)** სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელები: **ბოსელ-თა** (შარბიეთი), **ხანზარ-თ** (<*ხანძართ. ხატილა), **ახალ-თა** (კარჩხალა), **ზარეთელ-თა**, **კახაბერდა** (<*კახაბერ-თა. ჭედილას გაღმა), **ხანძ-თა** (დასტურდება გიორგი მერჩულეს თხზულებაში), **ლეკ-თა** (ქლასკური), **ჩოდოლ-თა** (ანაკერტი), **გარგა-თა** (სინკოთი), **კეკ-თა** (მთა), **ობზარ-თა** (ანჩა. მემედ ალი ქესკინის ჩანაწერებიდან), **ბერთა.**

-თა სუფიქსი უნდა გამოიყოს მემედ ალი ქესკინის მიერ ჩაწერილ შემდეგ ტოპონიმებშიც: **კირკა-თ** (<*კირკა-თა), **კარა-ტა** (<*კარა-თა<კართა. ირსა), **გომათ** (<*გომ-თა. ნაჯვია.), **გუფ-თ** (<გუფ-თა. სახრე). იგივე სუფიქსი ჩანს ნ. სოლნიშკინის შრომაში მოხსენებულ გეოგრაფიულ სახელში **იმარ-თა** (ისკებინისა და **იმართას** მთის კალთებზეა გაშენებული ართვინი. სოლნ.9).

-თა სუფიქსიანი კლარჯული ტოპონიმები დატანილია „კავკასიის ხუთვერსიან რუკაზე“: **Берта** (ბერ-თა), **Бзата** (ბზა-თა), **Ванта** (ვან-თა), **Вартас хевь** (ვართას ხევი), **Горгота-хан** (გორგოტა-ხანი (<*გოგო-თა ხანი), **Мокта** (მოქთა||<*მოქეთა <||მოგვთა), **Порта** (პორტა||ფორ-თა), **Хаста** (ხასთა).

-თა სუფიქსის ფუნქციას ქართულში სხვადასხვა დროს არაერთი მკვლევარი შეეხო:

ვ. თოფურიას მოსაზრებით, „-თა სუფიქსი ქართულ ნიადაგზე ყოფილა წარმოშობილი და წარმოადგენს მრ. რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოებას. ტოპონიმიკურ სახელად გვექონდა მსაზღვრელ-საზღვრული, სადაც მსაზღვრელი ნარ-თანინი მრ. რიცხვის ნათესაობით ბრუნვაში იყო, ისე როგორც ქართულშივე დადასტურებული რომელიმე: **მთავართა** სანათლო, **ქაჯთა** ქალაქი... შემდეგ დაიკარგა საზღვრული და ადგილის აღმნიშვნელად დარჩა მხოლოდ -თა სუფიქსიანი მსაზღვრელი. მას დროთა განმავლობაში ადგილის სუფიქსის ფუნქცია დაუკავშირდა...” (თოფურია, 1924:7-10).

განსხვავებული მოსაზრება აქვს ს. ჯანაშიას. მისი დაკვირვებით: „ამ კატეგორიაში მოიპოვება ისეთი სახელები, რომელთა დაბოლოება ჩვენ სახელობითი ბრუნვის ფორმანტად მიგვაჩნია: ჯერ ერთი, რომ მათი ქართული წარმოშობა საეჭვოა, რადგანაც ისეთს რაიონებში გვხვდება, სადაც ქართველთა მოსახლეობის არსებობა ან დაუმტკიცებელია (მაგ. სამეგრელოში: **ხეთა**, **ჟინოთა**, **ჭაბურთა** და სხვ.), ან - სამიებელი (**ხორანთ** - ჰერეთში, **ქურთა** - ჩრდ. ოსეთში და სხვ.), შემდეგ იმიტომაც, რომ ამ სახელების ეტიმოლოგია ყოველთვის არ არის იმდენად ნათელი, მათი, როგორც კომპოზიტის ნაშთის, გაგება დაუმტკიცებლად არ ჩაგვეთვალა (თუნდაც იგივე **მცხეთა**, **ვარენთა** - სამცხეში, **ხანძთა** - შავშეთში(?), **იკორთა** - ქართლში). დასასრულ, ამასვე გვაფიქრებინებს ჩვენ ქართულ გეოგრაფიულ სახელთა ისეთი სუფიქსები, სადაც ფორმატივი წარმოდგენილია **თი**-ს სხვადასხვა, ხშირად გართულებულს, პირობებში...” (ჯანაშია, 1959:143). მომდევნო გვერდზე ავტორი ცდილობს დაასაბუთოს თავისი მოსაზრება ტოპონიმიკური მასალით.

ს. ჯანაშიას მსჯელობა წინააღმდეგობების შემცველია: რატომ არ შეიძლება სამეგრელოში, ჰერეთში, თუნდაც ჩრდილო ოსეთში -თა სუფიქსიანი ტოპონიმების (ქართული ტოპონიმების) არსებობა? ერთი დაზუსტებაც: **ხანძთა** კლარჯეთში მდებარეობს და არა შავშეთში.

-თა სუფიქსის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში არის სხვა მოსაზრებებიც:

- ნ. მარი -თა დაბოლოებას განმარტავდა, როგორც ადგილის საწარმოებელ აფხაზურ **ტა>და>თა** სუფიქსს. ამ მოსაზრებას იზიარებს ს. კაკაბაძეც.

- ვ. გამრეკელი ზოგიერთ -თა სუფიქსიან სახელს ქისტურ-ჩაჩნურ მასალით ხსნის. მაგ. გუფთა (ლიახვის ხეობა), გუფ' ნიშნავს „ბორცვს“, -თა კი ქისტური თანდებულია, ქართული -**ზე**'ს ბადალი.

- კ. ჰანი და მ. ჯანაშვილი -თა'ს **მთა**'ს უკავშირებენ (მ-ს დაკარგვით) (ვიმოწმებთ: ზურაბიშვილი, 1961:142-143'ის მიხედვით).

აღვნიშნავთ, რომ -თა ქართული ფორმანტია (იგივეა, რაც მრავლობითობის სუფიქსი -თა), ფართოდ გავრცელებული საქართველოს ტოპონიმიაში.

3.7. სუფიქსი ა. კლარჯეთის ტოპონიმიაში პროდუქტიულია -ა ბოლოსართი. საენათმეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „იგი დაერთვის როგორც მარტივ, ისე რთულ ფუძეებს... აწარმოებს კნინობით, დანიშნულების, წარმომავლობის, ქონების აღმნიშვნელ გეოგრაფიულ სახელებს“ (ცეცხლაძე, 2004:34). ვფიქრობთ, ყურადღებას იმსახურებს მ. ქამადაძის დაკვირვებაც: „-ა სუფიქსიანი ზოგიერთი გეოგრაფიული სახელი საზღვრულდაკარგული ფორმა ჩანს: ონაგირ-ა, აკვან-ა ტიპის სახელებში იგულისხმება საზღვრული წევრი: მთა, სერი, გორი... ასეთ ტოპონიმებში -ა საზღვრულის ერთგვარ ფუნქციას ასრულებს“ (ქამადაძე, 1992:20-21. შდრ. მაკალათია, 1976:42 და შემდეგ).

მ. ქამადაძის მოყვანილი მოსაზრების პირველი ნაწილი დამაჯერებელია, შესაბამისად დაუჯერებელია მეორე ნაწილი: „ასეთ ტოპონიმებში -ა' საზღვრულის ერთგვარ ფუნქციას ასრულებს“. ძნელი სარწმუნოა ა'ს ასეთი დატვირთვა.

ქართველთმცოდნეობაში ხსენებული -ა სუფიქსის შესახებ არაერთი სხვა მოსაზრებაც გამოითქვა (შანიძე, 1973; ჯანაშია, 1959:232; ბედომვილი, 1980; მანჯგალაძე, 1956:171-186).

ცნობილი ფუნქციით გამოიყენება სუფიქსი -ა კლარჯეთის ტოპონიმიაში:

ედრან-ა (კარჩხალა), **კამარ-ა** (კარჩხალა), **კამარ-ა** (ნაჩვია. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან), **ჭიდილ-ა**||**ჩიდილ-ა**, **კარჩხალ-ა**, **ბაც-ა**, **კარსნი-ა** (კატრევანი), **სოლიან-ა**, **კორდოლ-ა**, **ბორჩხ-ა**||**ფორჩხ-ა**, **დამპალ-ა** (მურღული), **თარლ-ა** (ჯივანი), **არხვ-ა** (მურღული), **ომან-ა**, **ფათიკ-ა-მ**||**პატიკ-ა-მ** (კორიდეთი), **ჭიმინდრ-ა**, **ქორნელ-ა**||**კორნელ-ა** (ანაკერტი), **ზიფი-ა**||**სიპი-ა** (კარსნია), **ნაჭი-ა** (კარსნია), **ნაჯვი-ა**, **ქართულ-ა** (სოლნ.13. **ქართლ-ა**(?) - ავტ.), **წრი-ა** (სოლნ. 14. იქნებ აქ იგულისხმება **ცრი-ა**, რომელიც დატანილია ხუთვერსიან რუკაზე - ავტ.), **კნიშვ-ა**, **ნეძი-ა** (<***ნეძვი-ა**), **გაბელ-ა**, **ქართლ-ა**||**კარტლ-ა**, **ხევ-ა**, **ხებ-ა**, **ოგერ-ა** (ხოდი), **ბესერ-ა** (ხოდი), **ჩატავ-ა** (სხალთეთრი), **გებექოს-ა** (ანჩა), **ყურა**||**კურა** (ბოსელთა), **აკვან-ა-მ** (თ.ა.), **ჩიდილ-ა** (სინკოთი), **შალ-ა** (სხალთეთრი), **კერკედ-ა** (ნაჯვია. შდრ. **კერკეტ-ა** - ავტ.), **ჭოჭენი-ა** (ირსა), **ხატილ-ა** (||**პატილ-ა** - მემედ ალი ქესკინის ჩანაწერით), **დახატულ-ა**, **მუხლან-ა** (<***მუხრან-ა**<**მუხნარ-ა**), **ბაშპატილ-ა** (მემედ ალი ქესკინის

ჩანაწერებიდან), **გრეხლე-ა** (ხატილა), **ტონგალ-ა** (<*თონგალ-ა(?). ხატილა), **ანჩ-ა**, **კუპეთ-ა** (ანჩა), **დირგოლ-ა** (კონტრომი), **სანდარ-ა** (ანჭკორა), **ბერდ-ა** (ანჭკორა. ბერთა?), **ანზა** (<*ანძა. მემედ ალი ქესკინის ჩანაწერებიდან), **მაწინარ-ა** (ზ. ქლასკური), **კატაფხი-ა** (<*კატაფხე-ა?), **ჯგერილ-ა** (მარადიდი), **გოლახორ-ა** (ხატილა), **მოჭვენ-ა** (დურჩა), **ნიგე-ა**, **ჩანჩხალ-ა** (ზ. ქლასკური), **არდუჩ-ა** (შდრ. „კავკასიის ხუთვერსიანი რუკის" Адурча - **ადურჩა**, იხ. Пагирев, 1913. ამოსავალი ფორმა უნდა იყოს **არდუჩა**), **ბანაკნ-ა**, **ქერცენი-ა** (დევექელი), **ხინწკან-ა**, **სავარცხალ-ა** (თ.ა.), **ბაგ-ა** (გურბინი), **დურჩა**.

ორიოდე -ა სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელი დადასტურდა „არტანუჯის აღწერის" ოსმალურ დოკუმენტში: **ზინსკარა** (ჩაწერილია **ზნსკრ**, რომელსაც მკვლევარი ზ. შაშიკაძე კითხულობს: **ზინსკარა** (<*ცინსკარა <ცი[ნ]სკარა (წინწყარა?). შდრ. წინწყარო), **ბიჯა**.

-ა სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელები დატანილია „კავკასიის ხუთვერსიან რუკაზე" (მოვიყვანთ მხოლოდ ჩვენი მასალებისაგან განსხვავებულთ):

Абокеть - აბოქეთი//აბუქეთ-ა (მთ. ართვინი), **Ардала** - არდალ-ა (ართვინი), **Ахаршиа** - ახარში-ა (ართვინი), **Ауджи-килиса** - აუჯი-ქილის-ა (<*ავჯი-ქილისა. მთ. ართვინი), **Биджа** - ბიჯ-ა (შდრ. ბიჯი), **Вазриа** - ვაზრი-ა, **Вартмана** - ვართმან-ა, **Гверда** - გვერდ-ა (შდრ. გვერდი), **Джала** - ჯალ-ა (<*ჭალა?), **Кварцхана** - კვარცხან-ა (<*ქვარცხან-ა?), **Кения** - კენი-ა, **Кокева** - კოკე-ა (შდრ. კოკე), **Куниа** - კუნი-ა, **Мериа** - მერი-ა (<*მერე-ა), **Нацар-гвела** - ნაცარ-გველ-ა, **Нигола** - ნიგოლ-ა, **Окечера** - ოქეჩერ-ა, **Опица** - ოპიზ-ა, **Порта** - პორტ-ა (<ფორთ-ა), **Солиана** - სოლიან-ა, **Хархана** - ხარხან-ა (მთა. შდრ. ხარხანი - მთა ბათუმთან ახლოს), **Хордомела** - ხორდომელ-ა, **Цинавала** - წინავალ-ა (<*წინაველ-ა?), **Циновела** - წინოველ-ა (<*წინაველ-ა), **Цкалтетра** - წყალთეთრ-ა, **Цкалка** - წყალკ-ა(?) შდრ. წალკა, **Чара** - ჩარ-ა (<*ჯარ-ა?), **Шагора** - შაგორ-ა (<*შავგორ-ა).

შევნიშნავთ, რომ „კავკასიის ხუთვერსიან რუკაზე" დატანილი გეოგრაფიული სახელები ჩაწერილია ქართულის არმცოდნე ან ცუდადმცოდნე რუსი მოხელეების მიერ, ჩასაწერად კი გამოყენებული იქნა რუსული ანბანი, ქართული სიტყვების ჩასაწერად გამოუსადეგარი დამწერლობა. ამიტომაც აუცილებელია, რუკის მასალების გამომყენებელმა გაითვალისწინოს ეს სიმნელები, განსაკუთრებით მაშინ, თუ რომელიმე ტოპონიმის ეტიმოლოგიის დადგენას შეეცდება. ასევე ჩანს, რომ რუკის შემდგენლებს ზოგჯერ ჰყავდათ ქართულის არმცოდნე, თურქი ინფორმატორები... რომ აღარ გავაგრძელოთ, ვიტყვი, რომ ქართული ტოპონიმები დამახინჯდა და ფონეტიკურად სახეცვლილი დაფიქსირდა

„ხუთვერსიან“ თუ სხვა მსხვილმამტაბიან და წვრილმამტაბიან რუკებზე, ასევე გურჯისტანის აღწერის ოსმალურ დოკუმენტებში. მსჯელობს რა „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ დადასტურებულ ქართულ ტოპონიმებზე, დამაჯერებლად შენიშნავს ს. ჯიქია: გეოგრაფიულ სახელთა „დამახინჯებანი და ცვლილებები... შეპირობებულია იმით, თუ როგორ გადატყდა ქართული გეოგრაფიული ნომენკლატურა სხვადასხვა, ქართულის არამონათესავე ენობრივ წრეებში“ (ჯიქია, 1958:27). ყველა ნიუანსი უნდა გაითვალისწინოს უცხოური წყაროების გამოყენებელმა, რა ცვლილებები შეიძლება განეცადა სიტყვას ქართულისაგან სრულიად განსხვავებული ენის დამწერლობით ჩაწერისას, უნდა აღადგინოს ამოსავალი ფორმა და შემდეგ სცადოს მისი სტრუქტურული თუ სემანტიკური ანალიზი. სხვა შემთხვევაში მსჯელობა ასცდება სწორ გზას...

დავუბრუნდეთ თემას: მოყვანილ მასალებზე დაკვირვებიდან ჩანს, რომ ზოგჯერ იცვლება ბოლოკიდურა ხმოვანი (ზოგჯერ მონაცვლეობს თანხმოვანფუძიანი და ხმოვანფუძიანი ფორმები) და ვლუბულობთ პარალელურ ფორმებს: **ანჩი|ანჩა, კოლორთო|კოლორთა** (ართვინის უბანი. სოლნ.7), **გოგა|გოგე** (კარჩხალა), **მადარო|მადარა...**

ზემომოყვანილი მრავალფეროვანი მასალიდან ჩანს, რომ სუფიქსი -ა:

ა. დაერთვის უშუალოდ სახელის ფუძეს: **კამარ-ა, ჭიდილ-ა, ბაც-ა, თარლ-ა, გრეხლე-ა...**

ბ. მოსდევს სახელობითი ბრუნვის ნიშანს: **ზიფი-ა, ნეძი-ა, ქარცენი-ა...**

გ. დაერთვის ნაწარმოებ ფუძეს აფიქსის შემდეგ: **ჯგერ'ილ-ა, კატა-ფხი-ა, დირგ-ოლ-ა...**

დ. დაერთვის რთულ ფუძეს: **გოლახორ-ა, ბაშჰატილ-ა...**

რამდენიმე საყურადღებო ფუძე გვხვდება -ა' სუფიქსიან ტოპონიმებს შორის, რომლებზეც ღირს საუბარი:

უპირველესად ყურადღებას იქცევს **და-ხატ-ულ-ა** და **ხატ'ილ-ა**. ორივე სახელში ძირეულ მასალად გამოიყოფა **ხატ**, იგივე, რაც **ხატ-ავ**ს ზმნურ ფუძეში. ორივე ფუძე (დახატულა, ხატილა-ხატულა) ზმნური წარმოშობისაა, ნაზმნარი სახელებია. დახატულას ახსენებს ნ. მარი (მარი, 2012:330), თუმცა მას იგი არ უნახავს. დახატულა ადგილია ოპიზასა და ფორთას შორის, უფრო ზუსტად, ფორთის გადასახვევიდან სამნახევარ კილომეტრში. „სამანქანე გზიდან 250-300 მეტრში, ციცაბო კლდეზე, 40-45 გრადუს სიციხეში, მზის გულზე მოგვიხდა აცოცება ზაზა შაშიკაძესა და მამია ფაღავას ქვემო ფორთელი შემისტან ილმაზის თანხლებით, ადგილზე რომ გვენახა დახატულა. ჩვენმა გამცილებელმა იცოდა, რომ აქ იყო დახატულა, მაგრამ ასული არ იყო. კლდეზე მართლაც აღმოჩნდა ნახატები, შესრულებული

თეთრი საღებავით: მოზრდილი ფიგურა ქალს მივამსგავსეთ, პატარა - ბავშვს. იქვე, რამდენიმე მეტრში მეორე ნახატიცაა, პირველის ასლი თითქოს. დახატულა ზუსტად აღნიშნავს რეალობას, ადგილს, რომელიც დახატულია, მოხატულია“ (ფაღავა, II. იხ. ჩოხარაძე, 2014:209-213).

რაც შეეხება ხატილას, - მთელი ხეობაა ართვინს ქვემოთ, ჭოროხის მარცხენა ნაპირზე. ბარემ ვიტყვით, რომ ხატილელთა დიდი ნაწილი მუჰაჯირად წასულა, თითქმის დაცლილა მოზრდილი ხეობა. ართვინელ ხატილელებს ქართული დაუვიწყიათ, წინაპართა ნაკვალევი ხატილას ტოპონიმისა და ხატილელთა თურქულ მეტყველებაში დალექილ თითო-ოროლა სიტყვას შეუნახავს მხოლოდ. სამაგიეროდ მუჰაჯირ ხატილელებს ახალ საცხოვრისში, **ქესტელის ილჩეში** დაუარსებიათ სოფელი **ორჰან ქოი**, რომელსაც თავად სამშობლოს სახსოვრად **ხატილას** უწოდებენ და ქართული ენაც დაუცავთ დღემდე: არც მშობლიური კუთხის სახელი დაუვიწყიათ ემიგრაციაში წასულებს და არც მშობლიური ქართული დაუკარგავთ.

საინტერესო ფუძედ მიგვაჩნია **ბერდ-ა. ბერდ-^{*}ბერთ**ისაგან; **ბერდ||ბერთ** იგივე ფუძე ჩანს, **შატბერდ||შატბერთ** საგეოგრაფიო სახელში რომ გვხვდება (ფაღავა, 2009; 2011).

3.8. სუფიქსი -ურ||ულ. -ურ||-ულ სუფიქსს აკ. შანიძე განიხილავს როგორც წარმომავლობის აფიქსს და აღნიშნავს: „-ურ’ის დართვისას (ისე როგორც -ელ’ის დართვისას) გეოგრაფიულ სახელს, რომელსაც ბოლოში -ეთ და ‘ის აქვს, შეიძლება ეს -ეთ ჩამომორდეს ძველი წარმოების თანახმად: **დუშეთი - დუშური...**“ (შანიძე, 1973:127-128. შდრ. ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988; ზურაბიშვილი, 1961:149; ფაღავა, ცინცაძე, ბარამიძე, 2022: 224-227).

არნ. ჩიქობავას **-ურ||-ულ** სუფიქსი რა კატეგორიის (არაადამიანთა კლასის - ავტ.) მაწარმოებლად მიაჩნია (ჩიქობავა, 2013:137).

კლარჯეთის ტოპონიმიაში **-ურ** (-ულ) სუფიქსით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები მრავლადაა, რამდენიმე ათეულს აღწევს:

მუშა-ურ’ი (კარჩხალა), **ასმა-ურ’ი** (კარჩხალა), **ზინე-ურ’ი** (კარჩხალა), **სუმ-ურ’ი**, **გალახ-ურ-ა** (<*გალახ-ულ-ა? ზიარეთია), **ბუჯ-ურ’ი** (მურღული. შდრ. **ბუჯერი** - შინაური ფრინველის **ბუდე** - ნიჟარაძე, 1971. გადატ. ოჯახი, სახლი, საცხოვრისი...), **ჯანათ-ურ’||ჯანეთ-ურ’** (ენი რაბათი), **კუფატა-ურ’ი** (<***კუპატა-ურ’ი**. ანაკერტი. შდრ. კუპატეთი, გვარი - კუპატაძე), **გალაზა-ურ’ი** (ანაკერტი), **ხანაჯა-ურ’ი** (სამწყალი), **სონა-ურ’ი** (სამწყალი), **ზაქ-ურ’ი**, **ბისკინათ-ურ’ი** (კარსნია), **გუგუც-ურ’ი** (ქართლა), **კამკას-ურ’ი** (სოლნ. 8. ართვინის კვარტალი. შდრ. **კავკას-ორ’ი** შავშეთში), **ჭიკატ-ურ’ი**, **ხახ-ურ’ი**

(>ხახ-ულ'ი. ქურა), **გუნათ-ურ**'ი (სახრე. შდრ. გუნათლე'ს ვანი (ხანძთ.), **გურნათელი** - სოფ. მეთურქულე შავშეთში, შავშათს ზემოთ), **ოსანათ-ურ**'ი (სახრე), **აპირონ-ურ**'ი (კლარჯეთი), **ბურღა-ურ**'ი (გულემენი. შდრ. **ბულაურ** (ზ. აჭარა). **ბურღაურ**'ში რ' განვითარებული ჩანს), **ბოღა-ურ**'ი (მემედ ალი ქესკინის ჩანაწერებიდან), **ნანა-ურ**'ი (გულემენი), **მინა-ურ**'ი (ჯმერვი), **ჩაკით-ურ**'ი (სინკოთი. მემედ ალი ქესკინის ჩანაწერებიდან. **ჩაკით-ურ**', **ხუც-ურ**' (სინკოთი), **ნუთეხან-ურ**'ი (სინკოთი), **მუთეხან-ურ**' (სინკოთი. მემედ ალი ქესკინის ჩანაწერებიდან), **კომავალ-ურ**' (სხალთეთრი), **ხელმიქად-ურ**'ი (სხალთეთრი), **ღონტივალ-ურ**'ი (სხალთეთრი), **ასანათ-ურ**'ი (ანჩა. მემედ ალი ქესკინის ჩანაწერებიდან), **შუღვათ-ურ**' (კონტრომი. მემედ ალი ქესკინის ჩანაწერებიდან), **კილდის-ურ**'ი (ზ. ქლასკური), **ქება-ურ**'ი (ზ. ქლასკური), **ქედელ-ურ**'ი (ძვ. ირსა, ახალდაბა), **სინდა-ურ**'ი (ახალდაბა. შდრ. **სინდი-ეთ**'ი), **ოვრანთ-ურ**'ი (ანჩა. მდინარე), **კვინტა-ურ**'ი (დევსქელი. შდრ. **კვინტრა**, **კვინტრამე**).

რამდენიმე -ურ სუფიქსიანი ტოპონიმი დატანილია „ხუთვერსიან რუკაზე“:

Бейджуръ - **ბეიჯ-ურ**'ი (მზრ. ართვინი), Гогонауръ - **გოგონა-ურ**'ი (მთ. ართვინი), Джилауръ я. - **ჯილა-ურ**'ი, Лекнауръ - **ლენა-ურ**'ი (მთ. ართვინი), Тавкатуръ - **თავკატ-ურ**'ი (ართვინი), Хохлауръ - **ხოხლა-ურ**'ი (ართვინი. შდრ. ხოხლევი) (Пагирев, 1913).

ხმოვნების წინ -ურ სუფიქსისეული ხმოვანი ფონეტიკურ ნიადაგზე გვამღევს ვს: **აურ>ავრ** (||**აულ>ავლ**), **იურ>ივრ** (||**იულ>ივლ**)...

ჩიტავრ'ი (<ჩიტაური. დევსქელი), **ჩიტავრ**'ი (ზ. ქლასკური), **საბავრ**'ი (<საბაური. ხება), **ძალღავრ**'ი (<ძალღაური. გურბინი), **ჭიღავრ**'ი (<ჭიღაური. მურღული. შდრ. ჭიღათი - ტაო), **აბედევრ**'ა (<აბედევრ'ა. გოროშეთი), **ქებავრ**'ი (<ქებაური. ზ. ქლასკური), **წიქვავრ**'ი (<წიქვაური. ზ. ქლასკური), **კვესავრ**'ი (<კვესაური. ქლასკური), **წინწკალავრ**'ი (წინწკალაური. ქლასკური), **წიქავრ**'ი (<წიქაური. ქლასკური. შდრ. წიქარეული<წიქარაული. ორთაბათუმი), **ბახტივრ**'ი (<ბახტიური. ახალდაბა).

გორგავლ'ი (<*გორგაული. ხება), **ბეშავლ**'ი (<*ბეშაული), **ბლევლ**'ი (<*ბლეული), **კატამევლ**'ა (<*კატამეულა. გულემენი).

გვაქვს შემთხვევები, სადაც ფუძისეულ და აფიქსისეულ ხმოვნებს შორის **ვ** თანხმოვანი განვითარებულა: **ჭალბა-ვ-ურ**' (სინკოთი. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან), **სისინა-ვ-ურ**'ი (<სისინაური. სინკოთი), **რანდა-ვ-ურ**' (<რანდაური. სხალთეთრი).

ზ. ქლასკურში არის მიკროტოპონიმი **ლუკავი** (<*ლუკავრი<ლუკაური). ქლასკურშივე ინფორმატორმა ჩაგვაწერინა **ლეღვათვირი**, ჩაკითხვის შემდეგ დააზუსტა - **ლეღვათური**.

-**ურ** უნდა გამოიყოს საგეოგრაფიო სახელში **აზნა-ურ**'ი (მელო).

კლარჯეთის ტოპონიმიაში -**ურ** სუფიქსის გვერდით იხმარება მისი ფონეტიკური ვარიანტი -**ულ**:

ნარნიკა-ულ'ი||**წარნიკა-ულ**'ი (კარჩხალა), **ბარათე-ულ**'ა (ჭიდილა. შდრ. ბარეთელთა), **დახატ-ულ**'ა, **კორუჯ-ულ**'ა (ერეგუნა), **ძანც-ულ**'ი||**ზანც-ულ**'ი (მურღული. „ხუთვერსიან რუკაზე“ დატანილია Дзансуль - **ძანს-ულ**'ი. ც:ს მონაცვლეობით), **მურღ-ულ**'ი, **ჭერ-ულ**'ი (კორიდეთი), **ჭერ-ულ**'ი (ისკები), **ჩაკიდ-ულ**'ი (კორიდეთი), **არნა-ულ**'ი (ენი რაბათი), **გურიტა-ულ**'ი (კატრევანი. შდრ. **გვრიტა**, **გვრიტიშვილი**), **კორზ-ულ**'ი (<*კორძული. ართვინის ჭოროხისპირა უბანი. სოლნ. 9), **ორთ-ულ**'ი (ამბოზენ - ორთისსაც. სოფ. კლარჯეთის მხარესაა. შდრ. ოლთისი), **დაჭერ-ულ**'ი (ანჩა), **პეტრ-ულ**'ი (მარმაწმინდა), **კორს-ულ**'ი (ზ. ქლასკური), **ჯანს-ულ**'ი (ისკები).

რამდენიმე -**ულ** სუფიქსიანი ტოპონიმი დატანილია „ხუთვერსიან რუკაზე“:

Бешаули - **ბეშა-ულ**'ი (ართვინი), Буюрульть - **ბუდურ-ულ**'თი (ართვინი), Буюрульть - **ბუდურ-ულ**'თი (მთ. ართვინი), Хараула - **ხარა-ულ**'ა (ართვინი) (Пагирев, 1913).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სპეციალურ ლიტერატურაში -**ურ**(||-**ულ**) სუფიქსი წარმომავლობის სახელების მაწარმოაბლად არის მიჩნეული (ა. შანიძე), -**ურ**(||-**ულ**) სუფიქსი რა კატეგორიის სახელებს აწარმოებსო, აზუსტებს არნ. ჩიქობავა. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რა დატვირთვა აქვს აღნიშნულ სუფიქსს ტოპონიმებში, ამჯერად კლარჯეთის გეოგრაფიულ სახელებში. ვფიქრობთ, გეოგრაფიულ სახელებში -**ურ** (||-**ულ**) აღნიშნავს რომელიმე გეოგრაფიული პუნქტიდან მოსულის კუთვნილს, ანდაც კონკრეტული პიროვნების კუთვნილს. სხვაგვარად, წარმომავლობის სახელი ეცეულა ტოპონიმად და აღნიშნავს კონკრეტული გეოგრაფიული პუნქტის კუთვნილებას.

ა. გეოგრაფიული სახელი აღნიშნავს რომელიმე გეოგრაფიული პუნქტიდან მოსულის კუთვნილებას:

ასმა-ურ'ი - **ასმა** გეოგრაფიული პუნქტი უნდა უყოს. **ასმაური** შეიძლება იყოს როგორც ნივთი (ასმაური ყველი, ასმაური ვაშლი...), ისე ადამიანი - ქალი, კაცი, რძალი (ასმაური ნენეა, ასმაური მუშა...).

ბუჯ-ურ'ი (<***ბუჯა-ურ**'ი), **ბუჯა** ადგილის სახელია, **ბუჯური** **ბუჯადან** მოსულის კუთვნილს აღნიშნავს.

გუნათ-ური (<*გუნათლ-ურ*ი* ლ*ს* დაკარგვით) - გუნათლე ადგილის სახელია. გუნათური გეოგრაფიული სახელია, გუნათლედან მოსულის კუთვნილს აღნიშნავს.

ჭერ-ული - ჭერი გეოგრაფიული პუნქტი ჩანს, აქედან მოსულის კუთვნილია ჭერული.

კორზ-ული//**კორძ-ულ**ი - კორზი//კორძიდან მოსულის კუთვნილი მიწაა კორძული.

ხოხლა-ური (შდრ.: ხოხლევი - სოფ. შავშეთში).

ხოხლა-ური ხოხლეველის მიწაა ართვინში.

ამავე რიგში უნდა განვიხილოთ **კილდისურიც**. **კილდისი** გეოგრაფიული პუნქტი ჩანს; **კილდისური** - **კილდისიდან** მოსულის კუთვნილია.

დასახელებულ მაგალითებში წარმომავლობის სახელები ტოპონიმებად ქცეულა, კონკრეტული გეოგრაფიული პუნქტიდან მოსულის კუთვნილები აღსანიშნავად.

ბ. უფრო მეტია გეოგრაფიული სახელები, რომლებსაც ფუძედ პიროვნების სახელი/მეტსახელი უდევს და აღნიშნავს კონკრეტული პირის კუთვნილებას:

შულვათური დაიშლება: **შულვა-თ-ურ**ი (<*შულვა-ეთ-ურ*ი*).
შულვა<*შულლა (შდრ. გვარი შულლაძე - შავშეთში).

შულვათური შულვაეთელის კუთვნილია ახალ საცხოვრისში.

ჩაკი-თ-ური - ჩაკი პიროვნების სახელი უნდა იყოს, **ჩაკითი** (<*ჩაკითი) გეოგრაფიული პუნქტი.

ჩაკითური ჩაკითიდან მოსულის კუთვნილის აღმნიშვნელია.

ჯანათური დაიშლება: **ჯანა-თ-ურ**ი (<*ჯანა-ეთ-ურ*ი*). ჯანა საკუთარი სახელი ჩანს (დაცულია გვარებში: ჯანაძე (მაისურაძე, 1990), ჯანაშვილი...).

ჯანათური ჯანას კუთვნილს აღნიშნავს.

კუფატაური<***კუპატაურ**ი აღნიშნავს **კუპატას** კუთვნილს (კუპატა ანთროპონიმი, დაცული გვარში - **კუპატაძე**).

ზაქური დაიშლება: **ზაქ-ურ**ი. **ზაქი** ანთროპონიმი ჩანს. შდრ. **ზაქი-ეთ**ი, სოფელი შავშეთში.

ზაქური<***ზაქიური** **ზაქის** კუთვნილია.

ბისკინათური დაიშლება სეგმენტებად: **ბისკინა-თ-ურ**ი (<***ბისკინა-ეთ-ურ**ი). **ბისკინა** კაცის სახელი ან მეტსახელია.

ბისკინათური ბისკინას კუთვნილის აღმნიშვნელია.



კამკასური დაიშლება შემდეგ ელემენტებად: **კამკას-ურ'** (<*კავკას-ურ'ი მ:ვ მონაცვლეობით). **კავკასი** ანთროპონიმი, დაცულია გვარში კავკასისძე (ტაო. ქ.ცხ. 1: 4; ქ.ცხ. IV:28).

შენიშნავთ: შავშეთში დასტურდება ტოპონიმი **კავკასორი** (<*კავკასური).

კამკას-ურ' (<*კავკას-ურ'ი) კავკასის კუთვნილის აღმნიშვნელია.

ხახური||ხახული დაიშლება: **ხახ-ურ'** (||**ხახ-ულ'**). **ხახი** ადამიანის საკუთარი სახელი ან მეტსახელია, შდრ. ხახიაშვილი, ხახიძე (მაისურაძე, 1990:228).

ხახური||ხახული ხახის კუთვნილია.

ოსანათური დაიშლება სეგმენტებად: **ოსანა-თ-ურ'** (<*ოსანა-ეთ-ურ'ი). **ოსანა** მამაკაცის სახელია, შენახულია გვარში **ოსანაძე**.

ოსანათური **ოსანას** კუთვნილია.

აჰრონული - მიწა, რომელიც **არონს** ეკუთვნის.

ბურღაური დაიშლება: **ბურღა-ურ'** (<*ბურღა-ურ'ი). **ბურღა** საკუთარი სახელი//მეტსახელი ჩანს (შდრ. **ბურღაძე**).

ბურღა-ურ' (<*ბურღა-ურ'ი) - **ბურღას** კუთვნილია.

ბოღაური ფონეტიკურად სახეცვლილი **ბურღაური** უნდა იყოს.

ნანაური დაიშლება: **ნანა-ურ'**. **ნანა** საკუთარი სახელია, დაცულია გვარებში **ნანაძე**, **ნანეიშვილი**... (მაისურაძე, 1990:122).

ნანაური **ნანას** კუთვნილი მიწაა.

მინაური სეგმენტაციით შემდეგ ნაწილებად დაიშლება: **მინა-ურ'**. **მინა** მამაკაცის სახელი ჩანს. შდრ. მინაშვილი, მინაძე.

მინაური **მინას** საცხოვრისია.

ხუცური დაიშლება: **ხუც-ურ'**; **ხუცა** - საკუთარი სახელია, დაცულია გვარებში **ხუცაძე**, **ხუციშვილი**... (იხ. მაისურაძე, 1990:236).

ხუცური - **ხუცას** კუთვნილია.

ასანათური დაიშლება სეგმენტებად: **ასანა-თ-ურ'** (<*ასანა-ეთ-ურ'ი). **ასანა** საკუთარი სახელია, დაცულია გვარში **ასანიძე**.

ასანათური **ასანას** კუთვნილი მიწაა.

შულვათური დაიშლება: **შულვა-თ-ურ'** (<*შულვა-ეთ-ურ'ი). **შულვა** საკუთარი სახელი თუ მეტსახელი ჩანს.

შულვათური **შულვას** კუთვნილი მამულია.

ლეღვათური დაიშლება სეგმენტებად: **ლეღვა-თ-ურ'** <*ლეღვა-ეთ-ურ'ი. **ლეღვა** მეტსახელი უნდა იყოს კაცისა.

ლეღვას კუთვნილი მიწაა **ლეღვათური**.

ქებაური სეგმენტაციით დაიყოფა: **ქება-ურ**'ი. **ქება** მამაკაცის სახელი ჩანს, დაცულია გვარში **ქებაძე**.

ქებაურია ის, რაც **ქებასია**.

ქედელაური (<***კედელაური**) დაიშლება: **ქედელ-ა-ურ**'ი(<***კედელ-ა-ურ**'ი). **ქედელა**, **კედელა** საკუთარი სახელი ჩანს.

ქედელაური ქედელას კუთვნილია.

სინდაური დაიშლება: **სინდა-ურ**'ი. **სინდა**//**სინდი** საკუთარი სახელი ჩანს, დაცულია ტოპონიმში **სინდიეთი** (მაჭახელი).

სინდაური სინდას კუთვნილი ყანაა.

კვინტაური სეგმენტირდება: **კვინტ[რ]ა-ურ**'ი. **კვინტრა** ანთროპონიმია, შდრ. გვარი **კვინტრაძე**.

კვინტაური (<***კვინტრაური**) **კვინტ[რ]ა**'ს საკუთრებაა.

ჩიტაური დაიშლება: **ჩიტა-ურ**'ი. **ჩიტა** კაცის სახელი/მეტსახელია. შდრ. გვარები **ჩიტაძე**, **ჩიტიშვილი**... (იხ. მაისურაძე, 1990).

ჩიტაური ჩიტას კუთვნილია.

გეოგრაფიულ სახელთა ერთ ჯგუფში სუფიქსისეული **უ ვ**'დ ქცეულა:

საბავრი<***საბაური** დაიშლება: **საბა-ურ**'ი.

საბაური საბას კუთვნილს აღნიშნავს.

ძალღავრი<***ძალღაური** შედგება: **ძალღა-ურ**'ი. **ძალღა** მეტსახელი უნდა იყოს კაცისა.

ჭიღავრი<***ჭიღაური** დაიშლება: **ჭიღა-ურ**'ი. **ჭიღა** მამაკაცის სახელია, დაცულია გვარებში **ჭიღაძე**, **ჭიღაშვილი**, **ჭიღაია**... ტოპონიმში **ჭიღათი** (ტაო).

ჭიღავრი<***ჭიღაური** **ჭიღას** კუთვნილია.

აბედევრა<***აბედეურა** დაიშლება: **აბედე-ურ**'ა. **აბედა** კაცის სახელი ან მეტსახელია.

აბედეურა აბედას კუთვნილია.

ქებავრი<***ქებაური** სეგმენტაციის გვაძლევს: **ქება-ურ**'ი. **ქება** მამაკაცის სახელია, დაცულია გვარში **ქებაძე** (გვხვდება შავშეთში, ადასტურებს ი. მაისურაძეც. იხ. მაისურაძე, 1990: 172).

ქებავრი<***ქებაური** **ქებას** მამულია.

წიქვავრი<***წიქვაური** დაიშლება: **წიქვა-ურ**'ი. **წიქვა**//**წიქა** მამაკაცის სახელი უნდა იყოს, დაცულია გვარში **წიქვაძე**.

საკუთარ სახელს **წიქა** ადასტურებს სერგი მაკალათია ხევსურეთში (იხ. მაკალათია, 1935).

წიქვას კუთვნილია **წიქვავრი**<***წიქვაური**.

კვესავრი<**კვესაური** დაიშლება: **კვეს-ა-ურ**'ი. **კვესი**, **კვესია** საკუთარი სახელი ჩანს, დაცულია გვარში **კვესაძე** (იხ. მასურაძე, 1990: 87).

კვესის, **კვესიას** კუთვნილებას აღნიშნავს **კვესავრი**<**კვესაური**.

ბახტივრი<**ბახტიურ**'ი (//**ბახტური**) დაიშლება: **ბახტი-ურ**'ი. **ბახტ**'ა//**ბახტ**'ი საკუთარი სახელი ჩანს, დაცულია გვარში **ბახტაძე**.

ბახტივრი<**ბახტიურ**'ი//**ბახტური ბახტას** საკუთრებაა.

გორგავლი<**გორგაული** დაიშლება: **გორგა-ულ**'ი. **გორგა** (<გიორგა <გიორგი) **გიორგის** დიალექტური ფორმაა. დაცულია გვარში **გორგაძე**. **გორგავლი**<**გორგაული გორგას** კუთვნილი მიწის სახელია.

ბლევლი(<**ბლეული**<**ბალეულ**'ი) დაიშლება: **ბლე-ულ**'ი<**ბალე-ულ**'ი. **ბალა**' გავრცელებული სახელი ჩანს სამხრეთ საქართველოში.

ბლევლი(<**ბლეული**<**ბალეულ**'ი) **ბალა**'ს მიწის სახელია.

კატამეველი (<**კატამეული**<**ქათამეული კ:ქ, ტ:თ** მონაცვლეობით). **ქათამა**, **ქათამი** ანთროპონიმი ჩანს, შენახულია გვარებში **ქათამაძე**, **ქათამიძე**.

კატამეველი ქათამას საკუთრებაა.

ბარათეულა დაიყოფა: **ბარათ-ე-ულ**'ა (<**ბარეთ-ელ-ულ**'ა).

ბარათეულა ბარათელის მიწაა ჭედილაში.

გურიტაული დაიშლება: **გურიტა-ულ**'ი(>**გვრიტა-ულ**'ი). **გურიტი** გვხვდება ძველ ქართულში: „მიცემად შესაწირავი... ორნი **გურიტნი** ანუ ორნი მართუენი ტრედისანი“ლ.2.24 (აბულაძე, 1973). **გურიტი**'ი ახალ ქართულში ფონეტიკურ ნიადაგზე (უ>ვ) გვაძლევს **გვრიტ**'ს. **გვრიტა** ქალის სახელი ჩანს (ლლონტი, 1967), დაცულია გვარებში **გვრიტაძე**//**გვრიტიძე**, **გვრიტიშვილი**.

გურიტაული გვრიტას კუთვნილი მიწაა კატრევანში (ართვინი).

კორძული დაიყოფება: **კორძ-ულ**'ი. **კორძი**//**კორძა** საკუთარი სახელია, დაცულია გვარებში: **კორძაძე**, **კორძაია**.

კორძული კორძას კუთვნილია.

პეტრული დაიყოფა: **პეტრ-ულ**'ი(<**პეტრე-ულ**'ი).

პეტრული პეტრეს კუთვნილი მიწაა.

ხარაული დანაწევრდება: **ხარა-ულ**'ი. **ხარა**' მამაკაცის სახელი ან მეტსახელია, დაცულია გვარებში **ხარაძე**, **ხარაიშვილი**.

ხარაული ხარას მამულია ართვინში.

ყურადღებას იქცევს **სხალთეთრში** (<**წყალთეთრში**) ჩაწერილი ორი ტოპონიმი: **კოშავალური** და **ლონტივალური**. ორივე სახელში გამოიყოფა **-ურ** სუფიქსი, უცხოდ გვეჩვენება **კოშავალი** და **ლონტივალი**. იქნებ მეტსახელებია კაცისა?

ასევე საინტერესო ჩანს ტოპონიმი **ლუკავი**, რომელიც გარკვეული ფონეტიკური გარდაქმნის შედეგი უნდა იყოს: **ლუკა-ვ**'ი<**ლუკა-ვრ**'ი<**ლუკა-ურ**'ი.

ლუკას კუთვნილი მიწის სახელია **ლუკავრი**.

ერთი ტოპონიმი შეგვხვდა, რომელიც რომელიმე ერთი პირის კუთვნილებას კი არ აღნიშნავს, არამედ საწილო მიწას. ასეთად მივიჩნიეთ **ჯილაური** (მაილა კლარჯეთში).

ჯილაური ასე დაიშლება: **ჯილა-ურ**'ი.

ჯილა თანამედროვე კლარჯულში არ შეგვხვედრია. ჩანს, წინათ იხმარებოდა (იქნებ ახლაც იციან მისი მნიშვნელობა თანამედროვე კლარჯებმა და ჩვენ ვერ დავადასტურეთ?). **ჯილა** გვხვდება ქართულ დიალექტებში და ნიშნავს **წილი** (ღლონტი, 1984), აქვს სხვა მნიშვნელობაც, მაგრამ ახლა იგი ჩვენთვის არაა საინტერესო.

ჯილა საწილოს უნდა ნიშნავდეს ჩვენს ტოპონიმშიც. მაილაც ხომ საწილოა და არა ერთის საკუთრება?

საყურადღებო ინფორმაცია შეუნახავთ **-ურ//ულ** სუფიქსიან ტოპონიმებს:

ა. წარმომავლობის სახელები ქცეულა გეოგრაფიულ სახელად და აღნიშნავს რომელიმე გეოგრაფიული პუნქტიდან (სოფლიდან, კუთხიდან) მოსულის საკუთრებას.

ბ. **-ურ//ულ** დაერთვის საკუთარ სახელებს/მეტსახელებს და აღნიშნავს კონკრეტული პირის კუთვნილ მიწას.

გ. გეოგრაფიულ სახელებს დროთა განმავლობაში განუცდიათ ფონეტიკური ცვლილება, რაც ექვემდებარება სამხრული მეტყველების კანონზომიერებებს.

დ. მნიშვნელოვანია, რომ გეოგრაფიულ სახელში დაცულა ანთროპონიმები, რომელნიც დღეს უცხოა კლარჯულისათვის და ასახავს კლარჯეთის ძველ, ოსმალობამდელ ვითარებას.

3.9. სუფიქსი -არ. კლარჯეთის ტოპონიმიაში იშვიათია **-არ** სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელები, სულ რამდენიმე ფუძე დავადასტურეთ: **ლაქომ-არ**'ი (***ლაკომ-არ**'ი. ენი რაბათი), **მომწ-არ**'ი (***მომწ[ვ]-არ**'ი).

რამდენიმე გეოგრაფიულ სახელში კიდევ შესაძლებელია **-ალ** (<**არ**) სუფიქსის გამოყოფა: **კარჩხ-ალ**||**კარჩ-ალ**'ი, **ბარნავ-ალ**'ი (გევლი), **ჩხ-ალ**'ა, **ხაბ-**



ალ'ი (<ხეზ-ალ'ი), ქარაზ-ალ'ი (ორთული), ნორგი-ალ'ი (გვხვდება - ნორგიელიც).

მოყვანილ მაგალითებს დაემატება გეოგრაფიული სახელები „კავკასიის ხუთვერსიანი რუკიდან“: Бархунартъ - **ბარხუნ-არ-თ'** (დაილა ართვინში), Тадызеляр - **თადიზ-ელ'ი-არ'** (ართვინი).

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ -ალ (მასთან ერთად -ოლ და -ულ) სუფიქსი იშვიათია ქართულ ტოპონიმიაში (იხ. ზურაბიშვილი, 1961:149), გამონაკლისი არც კლარჯეთია.

„-არ სუფიქსი გეოგრაფიულ სახელთაგან აწარმოებდა წარმომავლობის სახელს“ და მოყვანილია მაგალითები: **ოპიზა - ოპიზ-არ'**, **ოლთის'ი - ოლთის-არ'ი**... შდრ. **ჯვარ-ალ'ი, ინჩხირ-ალ'ი, ხორგ-ალ'ი**... (შანიძე, 1981:33 და შემდეგ). -არ ამ შემთხვევაში -ელ'ის ბადალია (ჯორბენაძე, კობაძე, ბერიძე, 1988:42). ჩანს, -არ სუფიქსიანი წარმომავლობის სახელები ძველი ფენაა ქართველური ლექსიკისა.

-არ აკ. შანიძეს მეგრულ-ჭანურ სუფიქსად მიაჩნია (იხ. Шанидзе, 1981:24-31).

3.10. სუფიქსი -ილ. -ილ მიმღობური ფუძის აფიქსი გამოყენებულია გეოგრაფიულ სახელთა საწარმოებლად. ეს არცაა მოულოდნელი. ასეთი შემთხვევები ჰქონდა მხედველობაში აკ. შანიძეს, როდესაც წერდა: „საზოგადოდ, გეოგრაფიულ სახელებში შეიძლება ყოველგვარი მაწარმოებელი იქნეს გამოყენებული. ზედმიწევნულობა რომ დავიცვათ, უნდა ვთქვათ: ყოველგვარი წარმოების საზოგადო სახელი შეიძლება მიეკუთვნოს რომელიმე დასახლებულ პუნქტს ან ფიზიკურ-გეოგრაფიულ ობიექტს და იქცეს საკუთრად“ (შანიძე, 1973:137-138). გამომდინარე აქედან, ტოპონიმებში მიმღობისა და წარმომავლობის აფიქსების პოვნის იერება არ უნდა იყოს მოულოდნელი.

რამდენიმე ტოპონიმში გამოიყო -ილ სუფიქსი: **მიკრ-ილ'** (ხატილა. შდრ. მიკრ-ულ'ი), **გაჭრ-ილ'** (ზ. ქლასკური), **ხატ-ილ-ა** (შდრ. ხატ-ულ-ა), **გალეწ-ილ'** (ზ. ქლასკური).

„კავკასიის ხუთვერსიან რუკაზე“ ართვინის გუბერნიაში დატანილია შემდეგი -ილ სუფიქსიანი ტოპონიმები: Гявиль - **გიავ-ილ'** (ართვინი), Гявиль - **გიავ-ილ'** (დაილა. ართვინი), Джамар-даргили - **ჯამარ-დარგ-ილ'** (ართვინი), Кохлевили - **კოხლევი-ილ'*** (დაილა. ართვინი), **გალეწილ'** (ზ. ქლასკური), **კენდრეკ-ილ-ა** (გოროშეთი) (Пагирев, 1913).

*საინტერესოდ გვეჩვენება **კობლ-ევ-ილ**’ი. **კობლ-ევ**’ი -**ევ** სუფიქსიანი ტოპონიმი, წარმომავლობის სახელი: **კობ[ე]ლ-ევ-ი**. შდრ. კობელი -კობიდან. საძიებელია **კობის** მდებარეობა. **კობელევი** (>კობლევი) კობელების კუთვნილია.

-**ილ** წარმოშობით სახელზმნური ფუძის მაწარმოებელი აფიქსია. ზოგიერთ ტოპონიმში ჩანს -**ილ**//**-ულ** სუფიქსების მონაცვლეობა: **მიკრ-ილ**’ი||**მიკრ-ულ**’ი, **ხატ-ილ-ა**||**ხატ-ულ-ა**... აქ სამხრული მეტყველების ერთი თავისებურების ასახვაა გეოგრაფიულ სახელებში.

3.11. სუფიქსი -ელ. უსტამ-ელ’ი, **ოლნიკ-ელ**’ი (ხოდი), **ხურხუმ-ელ**’ი (ანჭკორა). ნ. სოლნიშკინი ართვინის სამხრეთით აფიქსირებს გეოგრაფიულ პუნქტს **თოვი-ელ**’ი (სოლნ. 12).

„კავკასიის ხუთვერსან რუკაზე“ დატანილ რამდენიმე ტოპონიმში გამოვეყოფთ -ელ სუფიქსს: Варзель - **ვარზ-ელ**’ი (<*ვარძ-ელ’ი), Вартелиა - **ვართ-ელ**’ი-ა, Вартхель - **ვართხ-ელ**’ი, Моргель - **მორგ-ელ**’ი (ართვინი), Норгиель - **ნორგი-ელ**’ი, Ортанели - **ორთან-ელ**’ი, Хордомела - **ხორდომ-ელ-ა**, Хохмела - **ხოხმ-ელ-ა**, Цорцель - **ცორც-ელ**’ი.

-ელ ჩვეულებრივ ადამიანის წარმომავლობის სახელის მაწარმოებელი სუფიქსია (შანიძე, 1973:127). იშვიათად, მაგრამ მაინც იგი გეოგრაფიულ სახელებშიც ჩანს. ფ. მაკალათია ერთგან აღნიშნავს: „გამონაკლისს წარმოადგენს -ელ სუფიქსი, რომელიც ცალკე არ დასტურდება. -ელ -ებ: გორ-ელ-ებ’ი, წკრილ-ელ-ებ’ი, ევ-ელ-ებ’ი. ამ -ელ სუფიქსის ფუნქცია თუ ზოგ ტოპონიმად გამოყენებულ სახელში წარმომავლობის გამოხატვა ჩანს (მაგ. ეველები), სხვა შემთხვევაში ის შეიძლება ქონების მაწარმოებელი იყოს“ (მაკალათია, 1976:54).

საინტერესო დაკვირვებაა, თუმცა კლარჯულ მასალებში -ელ -ებ’ის გარეშე დაერთვის სახელს და აწარმოებს გეოგრაფიულ სახელს.

აღვნიშნავთ, რომ -ელ სუფიქსიან გეოგრაფიულ სახელებში შენარჩუნებულია ფუძე, საიდანაც მოსულის აღმნიშვნელია კონკრეტული ტოპონიმი. ყურადღებას იქცევს ისიც, რომ გეოგრაფიული პუნქტი, საიდანაც წარმომავლობასაც აღნიშნავს სახელი, ხშირად აღარ დასტურდება. კლარჯეთის მასალებში ერთი მხრივ გვაქვს:

უსტამ-ელ’ი - უსტამი (შდრ. უსტამისი შავშეთში),

ვარზ-ელ’ი//**ვარძ-ელ**’ი - ვარზია//ვარძია.

მეორეს მხრივ, გვაქვს ტოპონიმები, რომელთა წარმომავლობის ადგილები დღეს არ ჩანს:

ოღნიკ-ელ'ი - **ოღნიკი** არ დასტურდება.

***ხურხუმ-ელ'ი** - **ხურხუმი** არ დასტურდება.

თოვი-ელ'ი - **თოვი** (<თავი?) არ დასტურდება.

ვართხ-ელ'ი - **ვართხი** არ დასტურდება.

მორგ-ელ'ი - **მორგი** არ დასტურდება.

ნორგი-ელ'ი - **ნორგი** არ დასტურდება.

ორთან-ელ'ი - **ორთანა** არ დასტურდება.

***ხორდომ-ელ'ი** - **ხორდომი** არ დასტურდება.

ხოხმ-ელ'ი (<ხოხომ-ელ'ი//ხოხუმ-ელ'ი) - **ხოხმი** არ დასტურდება.

ცორც-ელ'ი - **ცორცი** არ დასტურდება.

***ხურხ-უმ'ი** -უმ სუფიქსით ნაწარმოები ფუძეა. საინტერესოა, გაირკვეს მისი მნიშვნელობა. **ხურხუმა'** შეაქვს ლექსიკონში ალ. მაყაშვილს და განმარტავს: Солямка узловатая, Salsola nudulosa, iljin. იგივეა, რაც **ხურხუმა** (მაყაშვილი, 1991).

***ხორდ-ომ'ი** -ომ სუფიქსიანი სახელია. საყურადღებოა **ხორდომ'** სახელური ფუძის მნიშვნელობა. **ხორდ'**, **ხორდომ'** მცენარის აღმნიშვნელი უნდა იყოს. აღვნიშნავთ, რომ **ხორდომი** განმარტებული აქვს ალ. ლლონტს: „დაწყობილი შეშა ან სხვა საგნები (უთითებს მ. ალავიძეს); უწესრიგოდ თავმოყრილი საგნები ერთ ადგილზე“ (ლლონტი, 1984). **ხორდო** დასტურდება ფშაურში, მთიულურში, „დიდი სიცივე“, „ძალიან ცივი წყალი“, ფუძეს განმარტავს საბაც - „დიდი ყინულის ნაჭერი“ (ლლონტი, 1984).

მხოლოდ „წარმომავლობის ტოპონიმებმა“ შეინახეს აღნიშნული სახელების ხსოვნა.

ყურადღებას მივაქცევთ სამ სახელურ ფუძეს, - **ხურხუმ'ი**, **ხორდომ'ი** და **ხოხომ'ი**//**ხოხუმ'ი**, რომლებშიც გამოიყოფა -უმ/-ომ სუფიქსი, რომელიც ძველი მაწარმოებელი ჩანს და აწარმოებს ქართულ ტოპონიმთა ერთ ჯგუფს, როგორცაა: **ცხუმი**, **ბათუმი**, **კაპრეშუმი**, **ღორჯომი**, **ბორჯომი**, **თორთომი**... (ვრცლად იხ. ფალავა, 2009(2):3-12; ფალავა, 2009(3): 189-195). კიდევ სამი ერთეულით გაიზარდა -უმ/-ომ სუფიქსიანი ტოპონიმები.

3.12. სუფიქსი -ორ//ოლ. სამიოდე გეოგრაფიულ სახელში შეიძლება გამოიყოს -ორ (||ოლ) სუფიქსი: **კორდ-ოლ-ა** (გოროშეთი), **თახნ-ოლ-ა** (გოროშეთი), **გარამ-ოლ** (ნაჯვია. მემედ ალი ქესკინის ჩანაწერებიდან). დასახელებული სუფიქსს გამოვყოფთ გეოგრაფიულ სახელში **თუქესთ-ორ'ი**||**თუქესტ-ორ'ი**.

თ. ზურაბიშვილი ასახელებს რამდენიმე **-ორ (>-ოლ)** სუფიქსიან ტოპონიმს: **თაბ-ორ**'ი (ზარზმ.), **კოჟ-ორ**'ი (საქ. სიძვ. II), **თაბ-ორ**'ი (ამზრ. რ.-ნი), **კოდ-ორ**'ი (მდ. დას. საქ.-ში), **გომბ-ორ**'ი (საგარეჯოს რ.-ნი) და სხვა (ზურაბიშვილი, 1961:149). საერთოდ ჩანს, რომ **-ორ//ოლ** ტოპონიმებში იშვიათად ხმარებულ სუფიქსთა რიგს განეკუთვნება.

-ოლ სუფიქსი ჩვეულებრივ აწარმოებს მასდარს: თრთის - **თრთ-ოლ-ა**, კრთის - **კრთ-ოლ-ა...** (იხ. ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988:349). ბარემ აღვნიშნავთ, რომ გეოგრაფიული სახელი შეიძლება აწარმოოს ყველა სიტყვასაწარმოებელმა აფიქსმა. სხვაგვარად, ტოპონიმად ენამ შეიძლება გამოიყენოს ყველა ტიპის სახელი: კნინობითი, წარმომავლობის, კრებითი... ჩანს, სახელდების პროცესში ენა არ ერიდება იმას, თუ რას აღნიშნავს ესა თუ ის ლექსემა, მთავარია, ეს სახელი სახელდების ობიექტს ახასიათებდეს რაღაც ნიშნის მიხედვით.

3.13. სუფიქსი -ან. ტოპონიმთა ერთ ჯგუფში, რაოდენობრივად ძალიან მცირეში, გამოიყოფა **-ან (>ან)** სუფიქსი: **სამკურა-ან**'ი (<***სამყურა-ან**'ი. ანჩა. სამყურა ბალახია, აჭარაში დეშოლყვავილასაც ეძახიან), **სირეკა-ან**'ი (<***სირეკა-ან**'ი. დოლისყანა. შდრ. სირეკა), **კალო-ან**'ი (დევსქელი), **არტ-ან**'ი (ჩხალეთი. შდრ. არტანი), **აიბოლ-ან**'ი (ანჩა), **გურჯ-ან**'ი||**ღურჯ-ან**'ი (შდრ. **ღურჯა-ან**'ი). ამათ რიგში დადგება „ხუთვერსიანი რუკიდან“: Мерсуань - **მერსუ-ან**'ი (მთ.), Солиана - **სოლი-ან-ა** (ართვინი).

აკ. შანიძე წერს: „პირველ ყოვლისა ჩვენს ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ცოტაა შემორჩენილი ისეთი გეოგრაფიული სახელები, რომელიც ნაწარმოები იყოს ნ'არის საშუალებით საზოგადო სახელთაგან...“. ისტორიული წყაროებიდან შესაბამისი მასალის მოყვანის შემდეგ მკვლევარი იტყვის: „საყურადღებოა, რომ ასეთ სახელებში მრავლობითობის გაგება შეიძლება გაქრეს და სიტყვა ისე იბრუნოს, როგორც მხოლობითის ფორმა. ამის მაგალითია „რკონი“ ასეთ გამოთქმაში: „რკონისა ღვთისმშობელო“ (შანიძე, 1981:438). აკ. შანიძის ეს დაკვირვება ვრცელდება ჩვენ მიერ მოხმობილ გეოგრაფიულ სახელებზეც. საქმე იმაშია, რომ მრ. რიცხვის ფორმის გეოგრაფიულ სახელად ფორმირების შემდეგ სახელისაგან მრავლობითობის გაგების დაკარგვა მოულოდნელი არ უნდა იყოს, ის ხომ საკუთარ სახელად, ერთის სახელად იქცა. და კიდევ: ზემომოყვანილ მაგალითებში **-ან** სუფიქსი ერთ შემთხვევაში საკუთარი სახელისაგან აწარმოებს ტოპონიმს (სამყურა), დანარჩენი (სარეკა, კალო, არტა, აიბოლა, გურჯა, მერსუ, სოლი) საზოგადო სახელები ჩანს .

ბარემ იმასაც აღვნიშნავთ, რომ **-ან** (>**ნ**) სუფიქსიანი ტოპონიმები სახელთა ძველი ფენა ჩანს ქართულში.

3.14. სუფიქსი -ომ. ჩვენ მიერ ისტორიულ კლარჯეთში ჩაწერილ ერთ ტოპონიმში გამოიყოფა **-ომ** სუფიქსი, ესაა **კონტრ-ომ**'ი (კატრევანი). მემედ ალი ქესკინის ჩანაწერებში იგივე გეოგრაფიული სახელი ჩაწერილია ფორმით **კონტრ-ომ**'ი (ტ:თ მონაცვლეობით). **ქონტრ-ომ**'ი ამოიკითხა მკვლევარმა ზ. შაშიკაძემ არტანუჯის ოსმალური აღწერის მასალებში. ვფიქრობთ, **კონტრომი**, **ქონტრომი** გადათურქულებული ფორმაა **კონტრომისა**.

ამოსავალი უნდა იყოს **კონტრომი**.

„კავკასიის ხუთვერსიან რუკაზე“ დატანილია კიდევ რამდენიმე გეოგრაფიული სახელი, რომლებიც ნაწარმოებია **-ომ** სუფიქსით: **Тольгомь - თოლგ-ომ**'ი (ართვინი), **Тольгомь В. - ზ. თოლგ-ომ**'ი (ართვინი), **Тольгом я. - თოლგ-ომ**'ი (დაილა, ართვინი), **Цхумри - ცხ-უმ-რ**'ი (<*ცხ-უმ-არ'ი. ართვინი), **Шуртумь - შურტ-უმ**'ი (ართვინი).

როგორც ვხედავთ, ამჯერად „რუკაზე“ უფრო მეტი **-უმ** სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელია დატანილი, ვიდრე ჩვენ ველზე მოვიპოვეთ კლარჯეთში მრავალგზისი მოგზაურობის შედეგად. ჩანს, ზოგიერთი გეოგრაფიული სახელი ამ ასი-ასოცი წლის განმავლობაში დავიწყებას მიეცა.

მ. ფალავა ერთ ადრე გამოქვეყნებულ ნაშრომში ცდილობს დაადგინოს **-უმ||-ომ** სუფიქსის ფუნქცია ტოპონიმებში (იხ. ფალავა, 2009:3-15). განიხილავს კარგად ცნობილ და ზოგიერთ უცნობ ტოპონიმიკური ფუძეს: **ცხუმი||*ცხომი**, **ლეჩხუმი**, **ბეშუმი**, **კაპრეშუმი**, **ღორჯომი||ღორჯუმი**, **ბორჯომი**, **ბათუმი** **||ბათომი**, **კორომი**, **აბრეშუმა**, **ზარმაუმი**, **რუმი** (აბზინდა)... აღმოჩნდა, რომ დასახელებული გეოგრაფიული სახელები მცენარეულ სახელთა ფუძიდანაა ნაწარმოები (ვერ მიაკვლია მხოლოდ **თორთომ||თორთუმ** ფუძიანი ფიტონიმი) და ასკვნის: „ჩანს, **-უმ||-ომ** სუფიქსიანი სახელები ქართველური ლექსიკის უძველესი ფენაა. აღნიშნული სუფიქსის ერთ-ერთი ფუნქციაა (თუ ერთადერთი არა) ერთგვარ მცენარეთა სიმრავლის, კრებითობის აღნიშვნა (შდრ. **-ნარ**)“ (იხ. ფალავა, 2009:13).

-უმ||-ომ მაწარმოებლის შესახებ არსებობს სხვა მოსაზრებებიც:

-უმ||-ომს რ. გორდეზიანი უკავშირებს წინარებერძულ-ანატოლიურ ***-ამ||*-ემ** სუფიქსს. მოვუსმინოთ მკვლევარს: „... ეს სუფიქსი დასტურდება ეგვიდასა და მცირე აზიაში გავრცელებულ სახელწოდებებში, ასევე ცალკეულ წინაბერძნულ ტერმინებში... სუფიქსი აშკარად წინაბერძნულია და, როგორც ჩანს, არაინდოევროპული. ძნელია ითქვას რაიმე მის ფუნქციაზე. ამ

შემთხვევაში შეიძლება აღინიშნოს, რომ **-ამ||-ემ** ქართული სუფიქსი, რომელიც საერთოქართველურ დონემდე აღდგება (მეგრ.-ჭან. -უმ/იმ, სვან.-ემ. იმოწმებს გ. კლიმოვს. იხ. Климов, 1964), არის თავისი წარმოშობით თემატური ზმნური სუფიქსი, რომელიც საკმაოდ ფართოდ გამოიყენება ქართულ სიტყვაწარმოებაში. ვფიქრობთ, ამ სუფიქსალური ელემენტის ვარიაციასთან გვაქვს საქმე ქართველურ ტოპონიმებში **-ამ** დაბოლოვებით: **თეზ-ამ**'ი, **ბოჟ-ამ**'ი, **ხარჯ-ამ**'ი და სხვ. ამავე სუფიქსის ვარიანტებს ვადასტურებთ ტოპონიმებში: ბორჯომი, ბათუმი. იგივე სუფიქსი გვხვდება ცალკეულ სიტყვებში: ქართ. დგ-ამ'ი, შლ'ამ'ი და ა.შ." (გორდეზიანი, 1985:111).

ვრცელი ამონარიდი მოვიყვანეთ რ. გორდეზიანის შრომიდან, რომ გვეჩვენებინა მკვლევრისეული ვერსია დასახელებული სუფიქსის ფუნქციისა და ისტორიის შესახებ. მოყვანილი მოსაზრებიდან ჩვენთვის საინტერესოა:

ა. **-*ამ/-*ემ** სუფიქსი გამოიყოფა ეგეიდასა და მცირე აზიაში გავრცელებულ სახელწოდებებში;

ბ. აღნიშნული სუფიქსი წინაბერძნულია და, ჩანს, არაინდოევროპული;

გ. **-*ამ/-*ემ** სუფიქსის ვარიანტია **-ომ/-უმ**;

დ. **-*ამ** სუფიქსი (ასევე მისი ვარიანტი **-ომ/-უმ**) გვხვდება ქართულ ტოპონიმებში და ცალკეულ სიტყვებში (იხ. ფაღავა, 2009:3-4).

ჩვენთვის მნიშვნელოვანია **-ამ/-ემ** და **-ომ/-უმ** სუფიქსთა გენეზისი და გავრცელების არეალი, რამდენადაც იმავე დაბოლოების ტოპონიმები გვხვდება ძველ წყაროებში (მაგ. **კაპარნა-უმ**'ი...).

-ომ/-უმ სუფიქსის შესახებ არსებობს განსხვავებული მოსაზრებებიც (მარი, 1938:173, ბედოშვილი, 2002; ჭუმბურიძე, 1987:463). დასახელებული აფიქსის შესახებ, ჩანს, მომავალშიც გამოითქმება არაერთი აზრი, ურთიერთგამომრიცხავი კი.

დავუბრუნდეთ კლარჯულ მასალებს. ძნელია, დაბეჯითებით ითქვას, რომ მოყვანილი ყველა ტოპონიმი: კონტრომი, თოლგომი, ხორდომელა, ცხუმრი, შურთუმი მცენარეული ფუძიდანაა ნაწარმოები, რამდენადაც ცუდადაა შესწავლილი, უნდა ითქვას, შეუსწავლეღია, მცენარეთა ქართული სახელწოდებები, რაც, ბუნებრივია, აძნელებს კვლევას. საძიებელია, არსებობს კი **კონტრ**, **თოლგ**, **ხორდ**, **ცხ**, **შურთ** მარტივფუძიანი მცენარეთა სახელები? სხვა ფუძეებზე დაბეჯითებით ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ **ცხუმრ** (<*ცხუმარ)ში შეიძლება გამოვყოთ **ცხ**' მირი, იგივე, რაც გამოიყოფა **ცხუმ**'ში.

3.15. სუფიქსი -ებ. **-ებ** სუფიქსი გამოიყოფა ტოპონიმთა მცირე ჯგუფში: **კალო-ებ**'ი (კორიდეტი), **ახორ-ებ**'ი (ქართლა), **ისკ-ებ**'ი (ართვინის

კვარტლად ასახელებს ნ. სოლნიშკინი. იხ. სოლნ. 8), **ისკ-ებ**'ი (მურღული), **ვენახ-ებ**'ი, **ნალი-ებ**'ი (კარჩხალა), **სახლ-ებ**' (მემედ ალი ქესკინის ჩანაწერებიდან), **ახო-ებ**'ი (ქართლა), **არხ-ებ**'ი (ბაშქოი), **ვერანა ბად-ებ**'ი (კარჩხალა).

დასახელებულ მაგალითებს დამატება „კავკასიის ხუთვერსიან რუკაზე“ დატანილი ორიოდ **-ებ** სუფიქსიანი ტოპონიმი კლარჯეთიდან: Погидзиеნი - **გოგიძი-ებ**'ი (დაილა, ართვინი), Чваренъ - **ჩვარ-ებ**'ი (<*ჯვარები? ართვინი).

მოყვანილ მაგალითთა უმრავლესობაში **-ებ რა** ჯგუფის სახელთა სიმრავლეს გამოხატავს, მხოლოდ ერთ შემთხვევაში დაერთვის იგი საკუთარ სახელს (გვარს) - **გოგიძიები**, რაც ახალი მოვლენა უნდა იყოს. დიდი ოჯახის კუთვნილება კლარჯეთის ტოპონიმიში უპირატესად გამოიხატება **-ეთ** სუფიქსით (შდრ. **გოგი-ეთ**'ი).

აღვნიშნავთ, რომ კლარჯეთის ტოპონიმიში **-ებ**'ის გვერდით იხმარება თურქული **-ლარ** სუფიქსიც (იხ. ქვემოთ).

3.16. სუფიქსი -ობ||-ოფ. კლარჯეთის ტოპონიმიში მაწარმოებლად გვხვდება **-ობ/-ოფ** სუფიქსიც, „რომელიც საერთოდ აბსტრაქტულ სახელებს აწარმოებს, ტოპონიმიკურ სახელებში კი მას კრებითი, ქონების მნიშვნელობა აქვს“ (ზურაბიშვილი, 1961:151).

ფ. მაკალათია განიხილავს რა **-ო** სუფიქსიანი ტოპონიმებს - **გვერდ-ო**, **ყან-ო**, **ფერდ-ო**... სვამს კითხვას: „რა წარმოშობისაა მსგავს სახელებში **ო** ხმოვანი?“ (იმოწმებს მანჯგალაძე, 1956:185-186) და განაგრძობს მსჯელობას: „ქართულში გვაქვს სახელის ფუძეზე ე ან **ო** ხმოვნის დართვის შემთხვევები: **კუთხი - კუთხე**, **წვერი - წვერო**... ქართულში ა, ე და **ო** ხმოვნებით სახელთა ფუძის ერთნაირი სახის გართულებასთან გვაქვს საქმე, ამიტომ სახელთა ფუძეზე დართულ ამ ხმოვანთა ფუნქციის გამორკვევა შესაძლებელია, ერთ ასპექტში მოხერხდეს. ჩვენს მასალაში **ფერდობისა** და **ყანობის** მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება დაფუძვით ვარაუდი, **ო<ობ**, მაგრამ თავისთავად ისიც საკვლევაია, თუ რა არის **-ობ**“ (მაკალათია, 1976:48).

აჰ. შანიძეს **-ობა** საწყისურ (მასდარულ) სუფიქსად მიაჩნია, მაგრამ „დღეს მას სახელთან მეტი კავშირი აქვს, ვიდრე ზმნასთან... დამოუკიდებლად **-ობ** სუფიქსი რამდენიმე სიტყვაში იხმარება, ესენია: **მალლობი**, (მ)**დაბლობი**, **ფერდობი**, **გვერდობი**, **ბექობი**“ (შანიძე, 1973:131-132). განსჯის რა აჰ. შანიძის ამ დაკვირვებას, ფ. მაკალათია ამბობს: „აქ არ არის ნათქვამი, თუ რა სუფიქსია **-ობ**. თუ **-ობ-ა** სუფიქსი საწყისური წარმოშობისაა, მაშინ **-ობ**, ჩანს, თემის

ნიშანია ისტორიულად" (მაკალათია, 1976:49). ვფიქრობთ, საინტერესო დაკვირვებაა, რაც მთავარია, დამაჯერებელი.

დაბოლოს, გასათვალისწინებელია **-ობა**'ს შედგენილობის შესახებ გამოთქმული კიდევ ერთი მოსაზრება: „**-ობა** რთული სუფიქსია: **-ობ** (თემის ნიშანი) და **-ა** (მასდარის მაწარმოებელი): **მტრობს-მტრ-ობ-ა**, **მეგობრობს >მეგობრობა** (შდრ. **-ება**); შემდეგ ხდება **-ობ-ა**'ს განზოგადება და ერთიან სუფიქსად მისი გააზრება" (ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988:340).

მაგალითები კლარჯეთიდან: **ჭისლ-ოფ**'ი (***<ჭისლ-ობ**'ი. ანჩა), **თეთრ-ობ** (ნაჯვია. მემედ ალი ქესკინის ჩანაწერებიდან. შდრ. **თეთრ-ობ**'ი - დაილა ზემო აჭარაში), **ვეხრ-ობ** (***ვერხობ**? შდრ. ვერხვი. კონტრომი), **ჩილ-ობ** (**<ჭილობი**. ანჭკორა), **წითლ-ობ**'ი (იბრიქი).

-ოფ (**<-ობ**) სუფიქსი აღდგება „ხუთვერსიანი რუკის" Теплопъ - **თებრ-ობ**'ი (დილა, ართვინი) ფორმაში. Теплопъ რუსის „გაგონილი" და ჩაწერილი **თეთროფი|თეთრობია**.

კლარჯულ მასალებში **-ობ** კრებითი მნიშვნელობის მატარებელია.

3.17. სუფიქსი -ის||-ის(ი). საქართველოს ტოპონიმიაში ხშირია **-ის||-ის(ი)** (ხმოვანფუძიან სახელებთან **-ს**) სუფიქსით ნაწარმოები ნაგენეტივარი სახელები. ანალოგიური წარმოების გეოგრაფიული სახელები გვხვდება კლარჯეთშიც:

თარხან-ის (ანჭკორა. მემედ ალი ქესკინის ჩანაწერებიდან), **კუდელ-ის** (ანჭკორა. მემედ ალი ქესკინის ჩანაწერებიდან), **ჯუხურ-ის**'ა (სხალთეთრი), **სანათ-ის**'ი (მარმაწმინდა), **სანათ-ის**'ი (დევსქელი).

ურტამე-ს||ურტამე-ს'ი (სახრე. შდრ. **უსტამისი** - შავშეთი), **ანდონუ-ს**'ი (***ანტონის**'ი. ენი რაბათი), **მოლას**' (***მოლასი**. ხატილა. მემედ ალი ქესკინის ჩანაწერებიდან), **მოლაზ**' (***მოლასი**?), **ლალან-ს**'ი (***ლალანისი**. გოროშეთი).

-ის სუფიქსით ნაწარმოები რამდენიმე გეოგრაფიული სახელი დატანილია „ხუთვერსიან რუკაზეც": Маманелиси - **მამანელ-ის**'ი (ართვინი), Чиркись - **ჩირკ-ის**'ი (ართვინი).

-ის სუფიქსია სახეცვლილი შემდეგ ტოპონიმებშიც: Магласа - **მალლასა** (***მადლ-ის**'ა. მთ. ართვინი), Сулесь В. - **სულე-ს**'ი (***სულისი**), Сулесь Н. - ქვ. **სულესი**, Уртамеца - **ურტამე-ს**'ა (***ურტამესი**. ართვინი).

-ის სუფიქსი აღდგება საგეოგრაფიო სახელში Ортизь - **ორტიზი** (***ორტიზი**<***ორთისი**).

„ხუთვერსიან რუკაზე" ერთი გადარუსულელებული ფორმაა - Хинзарский (შდრ.: **ხინზარის**<***ხინძარის**. საგუმ. ართვინი).

-ის(ა), -ის(ი) სუფიქსით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები მიჩნეულია საზღვრულდაკარგულ მსაზღვრელად (იხ. შანიძე, 1973:115; 119; 1958:20-21; ზურაბიშვილი, 1961: 150-151; ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988:241. შნშ. 2,ბ).

მცირე შენიშვნა:

თარხან-ის’ი - თარხან’ი ადამიანის საკუთარი სახელია (დაცულია გვარში თარხანიშვილი...).

თარხანისი თარხანის კუთვნილებას აღნიშნავს.

ჯუხურ-ის’ი - **ჯუხურ’ი** წარმომავლობის სახელი ჩანს: **ჯუხ-ურ’ი** (შდრ. ჯუხიდან).

ჯუხურისი ჯუხიდან მოსულის კუთვნილებაა.

ანდონუსი ცუდად ჩაწერილი **ანტონუს’ი** < ***ანტონ-ის’ია**. **ანტონი** ცნობილი სახელია.

მოლა-ს’ი - **მოლას** კუთვნილია. **მოლა** (არ. Molla – მთავარი მოსამართლე, მედრესეს მოსწავლე, განათლებული პირივნება), ისლამის მსახური, მასწავლებელი.

სანათ-ის’ი - სანათა ანთროპონიმია.

ლალან-ს’ი < ***ლალან-ის’ი**. მოცემულ ფორმაში **ნ’** მრავლობითობის სუფიქსია, შდრ.: **ლალანი**. საკუთარი სახელია **ლალა**, **ლალია**. შდრ.: გვარები **ლალაშვილი**, **ლალიაშვილი**.

ლალან-ს’ი **ლალას** ოჯახის კუთვნილია.

მამანელ-ის’ი - **მამანელი** წარმომავლობის სახელია, სხვაგვარად, **მამანელი** პიროვნებაა, რომლის კუთვნილებასაც აღნიშნავს **მამანელისი**.

ჩირკ-ის’ი - **ჩირკ’** სახელური ფუძეა. **ჩირკა**, **ჩირიკა** კნინობითი ფორმაა საკუთარი სახელისა **ჩირა**. დაცულია გვარებში **ჩირაძე**, **ჩირიკაშვილი** (იხ. მაისურაძე, 1990:200).

ჩირკ-ის’ი **ჩირკას**, **ჩირიკას** კუთვნილია.

მალლასა//მალლისა - **მალალა’** მამაკაცის სახელია, შენახულია გვარში **მალალაშვილი**.

მალლასა//მალლისა - **მალალა’ს** კუთვნილი მიწაა.

სულე-ს’ი - **სულე/სულა** საკუთარი სახელია. დასტურდება ისტორიულ წყაროებში: **სულა** კალმახელი (ქ.ცხ.IV, 147,27).

სულესი/სულიისი **სულას** კუთვნილია.

ურტამე-ს’ა - იქნებ ცუდად ჩაწერილი **უსტამესაა** (შდრ.: **უსტამისი**, სოფელი შავშეთში). **უსტამ’ი** მამაკაცის სახელი ჩანს, გვხვდება „ევსტათი მცხეთელის ცხოვრებაში“: „უსტამ, ციხისთავმან მცხეთისამან...“ (ევსტათი მცხეთელი, 1981:28).

უსტამისი უსტამის კუთვნილი მიწაა.

ორტიზი<***ორთისი**<**ორთა-ის**’ი - **ორის** კუთვნილი? **ორთისი** ლ:რ მონაცვლეობით გვაძლევს **ოლთის**’ს.

ხუნზარის<***ხინძარის** დანაწევრდება: **ხინძ-არ-ის**’ - **ხინძარ**’ი წარმომავლობის სახელია -**არ** სუფიქსით ნაწარმოები.

ხინძარისი ხინძელის საკუთრებაა.

მოყვანილი მსჯელობიდან ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება: ‘ის(ა), ‘ის(ი) სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელები ვისიმე კუთვნილებას აღნიშნავს.

3.18. სუფიქსი -ანთ||-ენტ. -**ანთ||-ენტ** სუფიქსი აღნიშნავს ოჯახის თუ გვარის კუთვნილებას (შდრ. ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988:241, შნშ. 2,ბ). კლარჯეთის გეოგრაფიულ ნომენკლატურაში ანალოგიური წარმოების სულ რამდენიმე სახელი დავადასტურეთ: **ლაღანთი** (კონტრომი), **ნათალიენთი** (ანჭკორა).

ნათალიენთი მიღებული ჩანს **ნათელიენტისაგან** ხმოვანთასიმინილაციის გზით (შდრ. საკუთარი სახელი **ნათელი**). იგივე წარმოებისა ჩანს **გივითი** (<*გივი[ენ]თი). აქ შესაძლებელია ერთი ვარაუდის, თუმცა გარკვეული წინააღმდეგობის შემცველი, მოსაზრების დაშვება: ხომ არ არის საკუთარ სახელზე -**ეთ||-ათ** სუფიქსის დართვის შემდეგ (დავითეთი, ქოქოლეთი...) /ნ/ განვითარებული აჭარულში, შავშურსა და კლარჯულში, ზოგადად სამხრულ მეტყველებაში? **დარბაზიენთი** (ცეცხლაძე, 2004:36)<***დარბაზეთი-საგან** **ნ**’ს განვითარებით? (შდრ. გვარ-სახელი **დარბაზისძე**)? მომავალმა კვლევებმა შეიძლება დაადასტუროს ჩვენი ვარაუდი.

3.19. სუფიქსი -ოვან. კლარჯეთის ტოპონიმიაში რამდენიმე ტოპონიმი ნაწარმოებია -**ოვან** სუფიქსით: **ქურდ-ოვან**’ი, **კაკლ-ავან**’||**კარკლ-ავან**’ (<კაკლოვანი. კარჩხალა. ა-ო-ა-ა დისტანციური, სრული ხმოვანთასიმინილაციით), **ნარვან** (**ნარ-ოვან**’ი. ქლასკური), **ქრ-ოვან**’ი (ისკები), **ბოსლ-ოვან**’ი||**ბოსლ-ევან**’ი (ქართლა), **ხაჯ-ვან**’ (<**ხაჯ-ოვან**’. ხატილა), **ვაშლ-ვან-ა** (<***ვაშლ-ოვან-ა**. არხვა), **ხაშრ-ოვან**’ი (<**ხაშარ-ოვან**’ი. გურბინი. ხაშარი - „ტოტებშემოცლილი ჯოხი, რომელსაც ხვიარა ჯიშის ლობიოს მცენარეს უსობენ ბარდის შესაკავებლად" (ნიქარაძე, 1971; შდრ. ლაზ. ხაშარი - ლობიოზე დასასობი სარი. თანდილავა, 2013; მარი, 1910), **ნაფაშ-ვან**’ი (<***ნაფაშ-ოვან**’ი), **ცხილ-ვან**’ი (<***ცხილ-ოვან**’ი<[რ]ცხილ-ოვან’ი. შდრ. **ცხილვანა** - აჭარა), **ბოსლ-ოვან**’ი||**ბოსლ-ევან**’ი, **ჭილ-ვან**’ი (<***ჭილ-ოვან**’ი. ავანა), **კატრ-ოვან**’ი||**კატრ-ევან**’ი (გველი), **კალო-ან**’ი (<***კალო-ვან**’ი<***კალო-ოვან**’ი), **ბუკ-**

ვან'ი (<*ზუკ-ოვან'ი. არსებობს პარალელური ფორმაც **ზუკუან** (<*ზუკ-ვან<ზუკ-ოვან. ანჩა).

-ოვან'ის გვერდით კლარჯეთის ტოპონიმიში გვხვდება **ევან'იც** (<ოვან): **ბელ-ევან**, **ბარ-ევან'ი** (კარსნია), **კატრ-ევან'ი** (სამწყალი), **ბარ-ევან'ი** (გოროშეთი).

სოფ. ქართლაში ჩავიწერეთ მიკროტოპონიმი **ცხინვალ'ი** (<*ცხინ-ოვან'ი <[რ]ცხილ-ოვან'ი. ლ-ნ>ლ-ლ>ნ-ლ ფონეტიკური ცვლილებით).

-ოვან'|-ევან სუფიქსი ტოპონიმებში **კრებითობას** ან რაიმე **ნიშან-თვისების** მქონებლობას გამოხატავს.

3.20. სუფიქსი -იან. -იან(<-ევან) სუფიქსის ძველი ფუნქცია იყო „აღენიშნა წარმომავლობა, მიმდევრობა (ქრისტიანი, მაჰმადიანი)...“ (შანიძე, 1973:123-124).

ისტორიულ კლარჯეთში -იან სუფიქსიანი რამდენიმე სახელი ჩავიწერეთ: **აფლ'იან'ი**, **გოდორ'იან'ი** (გოროშეთი), **გოხ-იან'ი** (კარსნია), **სოლ-იან'ი** (კატრევანი. „ხუთვერსიან რუკაზე“ დატანილია Солиана - **სოლ-იან-ა**. ამოსავალი უნდა იყოს **სოლიანი**).

„კავკასიის ხუთვერსიან რუკაზე“ დატანილია -იან სუფიქსიანი გეოგრაფიული პუნქტები: Арсиань - **არს-იან'ი** (მთ. ართვინსა და არდაგანს შორის), Атыянь - **ატ-იან'ი** (მთ. ართვინი).

რუკაზე ასევე დატანილია: Мерсуань - **მერს-უან'ი** (<*მერს-იან'ი), Ходжуань - **ხოჯ-უან'ი** (<*ხოჯ'იან'ი). აქ, ვფიქრობთ, ჩაწერის პრობლემაა.

-იან სუფიქსი უნდა აღდგეს შემდეგ ტოპონიმებშიც: Цихиа - **ციხია** (<*ციხ-იან'ი) და Цриа - **ცრია** (<*ცრ-იან'ი).

მოყვანილ მაგალითებში -იან სუფიქსი ქონებას გამოხატავს.

ყურადღებას იქცევს ტოპონიმი **გოხიანი**, რომლის ძირეული მასალაა **გოხ'ი**, რასაც აჭარულში (სხვა სამხრულ კილოებშიც) რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: 1. ღორმუცელა, გაუმადლარი, მსუნაგი; 2. მკვახე, უმწიფარი, საჭმელად უვარგისი ხილი; II. გად. უკმეხი, უხეში, გაუთლელი. 3. ფუტკარი, რომელიც მიატოვებს საკუთარ სკას და მზა თაფლს დაეპატრონება სხვის სკაში. 4. მწირი, ხრიოკი მიწა (იხ. ნიჟარაძე, 1971). ჩამოთვლილ მნიშვნელობათაგან I და III ერთმანეთთან კავშირშია. რაც შეეხება ჩვენ მიერ მოყვანილ ტოპონიმიკურ ფუძეს, იგი მნიშვნელობით იგივეა, რაც მწირი, ხრიოკი მიწა.

ყურადღებას მივაქცევთ -იან სუფიქსიანი კიდევ ერთ ფუძეს - **სოლიანი**.

სოლი გვხვდება ძველ ქართულში. სოლ' შეტანილი აქვს თავის შრომაში ილ. აბულაძეს. ლექსიკოგრაფი განმარტების გარეშე იმოწმებს საილუსტრაციო

მასალას: განჯურტიან ძირი მათი და შესავიან შორის ძირთა მისთა სოლი მკურნალისაჲ... (აბულაძე, 1973). **სოლი** განმარტების გარეშე შეუტანია ზ. სარჯველაძესაც თავის „სიტყვის კონაში“ (სარჯველაძე, 2001).

საბა განმარტავს: **სოლი** - ძელთ გასაპობი (ორბელიანი, 1949).

სოლ' ფუძეს იგივე მნიშვნელობა აქვს ახალ ქართულშიც:

სოლი - „ერთ ბოლოში წაწვეტებული ხის, რკინის ფართო, მოკლე ნაჭერი ან ქვა, იყენებენ ხის გასაპობად ან რისამე გასამაგრებლად“ (ქეგლ). აქვს სხვა მნიშვნელობაც, რომელიც პირველთანაა კავშირში.

სოლის ზემოაღნიშნულ მნიშვნელობას უნდა უკავშირდებოდეს გეოგრაფიული სახელი **სოლიანი**.

3.21. სუფიქსი -ნარ||ნალ. კლარჯეთის ტოპონიმიაში ხშირია **-ნარ||ნალ** სუფიქსით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები:

ჯირკ-ნალ' (დევესქელი), **ზარდ-ნალ'** (ჩხალეთი), **ზარდ-ნალ'** (დურჩა), **ზურდ-ნალ'** (ისკები).

თე-ნარ' (<*თე[ლ]-ნარ-ა. დევსქელი), **ნამ-ნარ-ა** (<*ნამ[ვ]-ნარ-ა, ბაგინი), **ცხემ-ნარ-ა** (<*ცხემ[ლ]-ნარ-ა. ბაგინი), **ცხემ-ნარ-ა'** (ზ. ქლასკური), შდრ. **ცხემნა** (სოფ. ქედის მუნიციპალიტეტში), **ჯავ-ნარ-ეთ'** (მარადიდი), **ნიზგ-ნარ'** (<*ნიზგ-ნარ'<ნიგ[ვ]ზ-ნარ'ი), **ჩხავ-ნარ-ა** (მარადიდი), **თიხ-ნარ-ა** (ირსა), **თექქუქ-ნარ'** (ანჩა), **თხი-ნარ'** (<*თხი[ლ]-ნარ'ი), **წიფ-ნარ'** (<*წიფ[ლ]-ნარ'ი. კორიდეთი), **ბულუ-ნარ'** (კორიდეთი).

როგორც ვხედავთ, მოყვანილ მასალაში ჭარბობს **-ნარ** სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელები, შედარებით ნაკლებია **-ნალ** სუფიქსიანი. თუმცა ეს ფაქტი რაიმე კანონზომიერებად ვერ ჩაითვლება. კანონზომიერია, რომ **-ნარ** შესაბამისი აგებულების ფუძეებთან დისიმილაციით გვამღევს **-ნალ**'ს და აღნიშნავს რისამე სიმრავლეს (მცენარეთა თუ სხვა საგნის).

ყურადღებას მივაქცევთ კიდევ რამდენიმე ფაქტს: ქართულში **ნიგოზი** > **ნიგვზის** (ო რედუქციით გვამღევს ვ'ს), აჭარულსა და კლარჯულში ფუძისეული **ო** იკარგება (ფუძე იკუმშება) და გვაქვს - **ნიგზის**, **ნიგზნარი**.

ჩხავ-ნარ-ა (<*ჩხავერ-ნარ-ა), - **ჩხავერი** კიდევ სამხრეთ საქართველოში, განსაკუთრებით აჭარისწყლის ხეობაში, ყურძნის გავრცელებული ჯიშია: „**ჩხავერ'** - წითელყურძნიანი ვაზის ჯიში. გვხვდება მაღლარების სახით ქედის რაიონში. მარცვალი მუქი წითელ-ვარდისფერია, მისგან საუკეთესო ღვინო გამოდის...“ (ნიქარაძე, 1971). ტოპონიმის - **ჩხავნარა** კლარჯეთში პოვნირება დასტურია იმისა, რომ **ჩხავერი** აჭარის გარდა ჭოროხის სხვა ქვეყნებშიც იყო გავრცელებული.

3.22. სუფიქსი ფხე||ფხ. ტოპონიმში **კატაფხია** (სოფელია კლარჯეთში) შესაძლებლად მიგვაჩნია გამოიყოს **-ფხე||-ფხ** სუფიქსი: **კატა-ფხია-ა** (<*კატა-ფხე-ა). **-ფხე** ცნობილი აფიქსია, რომელიც ქალის გვაროვნულ კუთვნილებას, „სახლიშვილობას“ აღნიშნავს (იხ. მგელაძე, ფაღავა, 1998:3-20; შდრ. ჩანტლაძე, 2012:215). მკვლევართა ნაწილი მას კოლხურ კუთვნილებად მიიჩნევს (ჭურღულია, 1983:119-134), სხვები კი დევ - წინააზიურ სამყაროს უკავშირებენ, სადაც იგი „შვილის“ აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო (Мещанинов, 1958: 28-29). აღვნიშნავთ, რომ **-ფხე||-ხე** ცოცხალი სუფიქსია მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებაში (ფაღავა, 2009(4):180), სადაც ერთმანეთს კარგად უპირისპირდება: **ცეცხლაძე - ცეცხლაი-ფხე, ინაიშვილი - ინაი-ფხე, შავიშვილი - შავი-ფხე, ხახუტაიშვილი - ხახუტა-ფხე, მურვანიძე - მურვანი-ფხე, მოწყობილი - მოწყობილა-ფხე, მყავანაძე - მყავანა-ფხე...** (ფაღავა, 2009(1):180).

ახლადგამოვლენილ მასალებში, და ძველშიც, **-ფხე** (ასევე **-ურ** და **-ულ(ა)**) ქალის წარმომავლობაზე მიუთითებს მხოლოდ. საკითხზე თითქოს თანხმობაა ქართულ მეცნიერებაში, მაგრამ გამოჩნდა ახალი თვალსაზრისი, რომ **-ფხე** ქალის გვარის მაწარმოებელი სუფიქსია (ენუქიძე, 1977:37; კახიძე, 2013:22). მსჯელობა ასეთია: „**-ურ** და **-ულ** აწარმოებენ ქალის სახელებსა და გვარებს, **-ფხე** კი მხოლოდ ქალის გვარებს“ (ენუქიძე, 1977:39). მკვლევარი მოიყვანს მაგალითებს: **ნიკოლა-ფხე-შვილი** გოგა (52), **ნიკოლა-ფხე-შვილი** ცისკარა (536), **ნიკოლა-ფხე-შვილი** ლაზარე (537) და ასკვნის: „მაწარმოებელი **ფხე-შვილი** თ მხოლოდ მამაკაცის გვარებია დაბოლოებული“ (ენუქიძე, 1977:40). აღარაფერს ვამბობ მსჯელობის ავ-კარგზე, ჩვენი პოზიცია ისედაც ნათელია, ოღონდ მოყვანილი საილუსტრაციო მასალიდან გამომდინარე ვსვამთ კითხვას: რატომ გამოიყენეს ჩანაწერში პიროვნების ორწევრა აღნიშვნისას ერთდროულად ორი მაწარმოებელი **-ფხე** და **-შვილი**? რა შემთხვევასთან გვაქვს საქმე? **ნიკოლაფხე** - მკვლევარ თ. ენუქიძისა და სხვათა აზრით, ქალის გვარია, **ნიკოლაფხეშვილის** სახით კი, ჩანს, გვარიდან გვარი უწარმოებითა **-შვილის** დართვით, გვაქვს ე.წ. ორმაგი წარმოება. აქ იმ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა **-ფხე** სუფიქსის მნიშვნელობა უკვე უცნობია (ტბეთის ეპარქიაში აღნიშნული სუფიქსი ისედაც იშვიათად იხმარებოდა) მწერლისათვის, იგი ფუძის კუთვნილებადაა გააზრებული და „შვილი“ ამ ფუძეზეა დართული. ანალოგიური შემთხვევა დასტურდება ადრე გამოვლენილ ფორმაში **ზობო-ყვა-ფხე** (ნაცვლად **ზობოყვა**, ან **ზობოფხე**), რომელსაც ასე ხსნის ს. ჯანაშია: „... გვარი „ზობოყვა“ კარგა ხნის

დამკვიდრებული უნდა ყოფილიყო საქართველოში და გვარის მაწარმოებლის (ყვა) ფუნქციონალური მნიშვნელობა უკვე აღარ შეიცნობოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში გვექნებოდა **ბობოფხე** ან **ბობოფხვა**, როგორც იტყოდა თანამედროვე ჩერქეზი" (ჯანაშია, 1952:485).

მსჯელობა გაგვიგრძელდა. დასკვნის სახით ვიტყვით: **-ფხე** (ასევე **-ურ** და **-ულ**) არ აწარმოებს ქალის გვარს, აღნიშნავს მხოლოდ ქალის გვაროვნულ კუთვნილებას, „სახლიშვილობას“. ვიმეორებთ, ქალისა და მამაკაცის გვარის განსხვავებული წარმოება ქართველურმა სამყარომ არ იცის.

დაბოლოს, ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ კლარჯეთის ტოპონიმიაში დადასტურდა **-ფხე** სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელი.

3.23. სუფიქსი -ონა||-უნა. კლარჯეთში რამდენიმე გეოგრაფიულ სახელში გამოიყოფა **-ონა||-უნა** სუფიქსი: **ჭუბ-უნა** (<*ჭუბურ-უნა. ერეგუნა. შდრ. ქართ. **წაბლიანი, წაბლნარი...** აჭ. **წაბლანა**), **ერეგ-უნა, მოლ-ონა** (||მოლ-უნა), **ცხოლ-ოფ-უნა** (<*ცხოლ-ეფ-უნა), **სუჯ-უნა, ბაგახ-უნა** (კორიდეთი), **ანკ-ონა** (<*ანკ-უნა).

-ონა||-უნა რთული სუფიქსია: **-ონ** + **-ა**.

-ონ მეგრულ-ლაზურში გავრცელებული სუფიქსია. „მას იგივე ფუნქცია და მნიშვნელობა აქვს, რაც **‘იან, -ან, -ოვან’**ს ქართულში, რომლებიც ვისამე ან რისამე კუთვნილებას გამოხატავენ. ეგვე სუფიქსი **-ა** ელემენტით აღნიშნავს ადგილს, სადაც რაიმე მცენარე ხარობს, მიუთითებს მცენარეთა სიმრავლეზე" (მემიშიში, 2013:278. შდრ. 279; ჩიქობავა, 2008).

-ა სუფიქსის შესახებ იხ. ზემოთ (3.7).

ყურადღებას შევაჩერებთ ტოპონიმზე **ცხოლ-ოფ-უნ-ა** (<*ცხოლ-ეფ-უნ-ა), რომელშიც სამი სუფიქსი გამოიყოფა: **-ეფ, -უნ** და **-ა**.

-ეფ მრავლობითობის სუფიქსია, ქართული **-ებ**'ის ბადალი, **უნ-ა**'ს შესახებ უკვე ვისაუბრეთ. ბუნებრივია, დაისვას კითხვა: რაში დაჭირდა ენას ერთდროულად სამი, აქედან ორი (**-ეფ, -უნ**) თითქმის იდენტური სუფიქსის გამოყენება ტოპონიმის ფუძის საწარმოებლად? შევნიშნავთ, რომ ანალოგიური წარმოება გვხვდება ლაზეთის ტოპონიმიაშიც: **ჭუბუ-ეფ-უნა** (ქართ. **წაბლ-ებ-ნარ**'ი), **ბულ-ეფ-უნა** (ქართ. **ბალ-ებ-ნარ**'ი). ჩანს, ერთ-ერთის (სავარაუდებელია **-უნ** სუფიქსის) ფუნქცია ნათელი არაა.

საინტერესოა, რომ კლარჯეთის ტოპონიმიაში ზოგჯერ **-უნა** კოლხური სუფიქსი დაერთვის ქართულ ფუძეს, ჩვენს მასალებში ასეთია **მოლ-ონა** და **ბაგახ-უნა** (<*ბაგახ-უნ). პირველში **მოლ** (=ბალახი: მოლი ბევრია, მოჭარ, მართვი ჩომას. ფაღვა, ცინცამე, 2011:593) ფუძე გამოიყოფა, მეორეში **ბაგა** - „...ახალი ვენაჯი" (ორბელიანი, 1949). აქვე აღვნიშნავთ, რომ **ბაგა** აღნიშნული

მნიშვნელობით კლარჯულში აღარ იხმარება, მნიშვნელობა შეინახა ტოპონიმმა.

3.24. სუფიქსი -იშ. კლარჯეთის ორიოდე ტოპონიმში გამოიყოფა -იშ სუფიქსი: **ქერტა-ში** (<*ქერტა'იშ'ი), **ვალა-ში** (<*ვალა'იშ'ი).

აღნიშნავთ, რომ ქართულ ენათმეცნიერებაში საინტერესო დაკვირვებებია -იშ||-შ სუფიქსიანი ტოპონიმების შესახებ. კერძოდ:

„-იშ||-შ სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელები ისეთივე წარმოშობისაა, როგორც -ის' სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელები: **თბილისი, ურბნისი...**“ (ქალდანი, 1963:67. შდრ.: ქირია, ეზუგბაია, მემიშიში, ჩუხუა, 2015:195-196).

ლექსუმის ტოპონიმიაში -იშ||-შ ფორმანტიან სახელებს ზანურ ფენად მიიჩნევენ ივ. ჯავახიშვილი (ჯავახიშვილი, 1951:421) და გ. ჩიტაია (ჩიტაია, 1944:267). ამავე აზრს ავითარებენ მ. ჩიქოვანი (ჩიქოვანი, 1949:238) და მ. ალავიძე (ალავიძე, 1958:153). განსხვავებული შეხედულება აქვს მ. ქალდანს. მისი აზრით, -იშ||-შ სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელების შემოქმედად ლექსუმში არის არა ზანური, არამედ სვანური მოსახლეობა (ქალდანი, 1963:69).

ჩანს, -იშ||-შ სუფიქსი საერთოა კოლხური და სვანური ენებისათვის. სხვადასხვა რაოდენობით, მაგრამ მაინც, აღნიშნული სუფიქსით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები გვხვდება როგორც სვანურ, ისე კოლხურ ენობრივ გარემოში (ფაღავა, თანდილავა, 2014:123).

აღნიშნავთ, რომ -იშ||-შ სუფიქსიანი ტოპონიმები გვხვდება ორთაბათუმის თემშიც: **ბაკიში, კიბეში, მოთქარიში, ქვაბიში...**

შავიზღვისპირა ზოლში და ჭოროხის ხეობაში ლაზური ფენა ბუნებრივია: **-უნა**, -იშ||-შ სუფიქსიანი ტოპონიმები ისტორიულ კლარჯეთში ზანური მოსახლეობის ნაკვალებია.

3.25. სუფიქსი -ევ. კლარჯეთის ტოპონიმიაში -ევ სუფიქსით ნაწარმოები ორ ათეულზე მეტი ტოპონიმი დასტურდება:

კუტალ-ევ'ი (დოლიყანა), **შოქონ-ევ**'ი, **პანტ-ევ**'ი (კარსნია), **აზატ-ევ**'ი (ხოდი), **ჩახათ-ევ**'ი (ჯმერკი), **ჩუხურ-ევ**' (სინკოთი), **შართ-ევ**' (ჰატილა. მემედ ალი ქესკინის ჩანაწერებიდან), **ბერძნ-ევ**'ი (||**ბერძნ-ეთ**'ი. მარადიდი), **ჯირეკ-ევ**'ი (ზ. ქლასკური), **ბოსლ-ევ**'ი, **კასრ-ევ**'ი||**კასრ-ეთ**'ი (მარმაწმინდა), **გოდრ-ევ-ეთ**'ი, **გოგონ-ევ**'ი (დოლისყანა), **ფარტნ-ევ**'ი (კარჩხალა), **ისკ-ევ**'ი ||**ისკ-ებ**'ი (მურღული), **მარილ-ევ**'ი (გველი. ცეცხლაძე, 2004:160).

-**ევ** სუფიქსის ფონეტიკური სახესხვაობაა -**ავ** მემედ ალი ქესკინის ჩაწერილ შემდეგ გეოგრაფიულ სახელებში: **თეთრ-ავ** (<*თეთრ-ევ¹), **გორგილ-ავ** (<*გორგილ-ევ¹).

რამდენიმე -**ევ** სუფიქსიანი ტოპონიმი დაუტანიათ „კავკასიის ხუთვერსიან რუკაზე“: Кокева - **კოკ-ევ-ა** (<*კოკე-ევ-ა. შდრ. Коке - **კოკე** - მეზრე. მთ. ართვინი), Кохл-ев-иль - **კობლ-ევ¹ილ¹** (დაილა, ართვინი), Шартевь - **შარტ-ევ¹** (მზრ. ართვინი).

ბარემ აღვნიშნავთ, რომ -**ევ** სუფიქსიანი ერთი ტოპონიმი დადასტურდა ტაოში - **ზადკარ-ევ¹** (<*ზედკარ-ევ¹) და რამდენიმე კიდევ მაჭახელსა და შავშეთში: **ჯარყვალ-ევ¹** (ქვ. ჩხუტუნეთი. ცეცხლაძე, 2004:152), **ბორცხ-ევ¹** (ცეცხლაძე, 2004:168).

ქედქედში დასტურდება ტოპონიმი **მეგრელავი**. იგი მიღებული ჩანს ფორმისაგან **მეგრელ-ევ¹** ||**მეგრელ-ებ¹** (ცეცხლაძე, 2004:151).

დასახელებულს დაემატება შავშეთში ადრე დადასტურებული კიდევ რამდენიმე -**ევ** სუფიქსიანი ტოპონიმი (იხ. ქვემოთ).

ესაა „-**ევ** სუფიქსიანი ტოპონიმები ჭოროხის ხეობაში ჯერ-ჯერობით რომ დავადასტურეთ. მომავალში შეიძლება მათი რაოდენობა გაიზარდოს, განსაკუთრებით ტაოს ხარჯზე, რამდენადაც ტაოს ტოპონიმია ჯერ კიდევ აღსაწერი და შესასწავლია“ (იხ. კლარჯეთი, 2016:627). ბარემ აღვნიშნავთ: ჩვენ ახლა ხელთ გვაქვს ტაოს მასალებიც: **ქაჯ-ევ¹** (იუსუფელი), **ჩანთარ-ევ¹** (ხავისკარი), **წითლ-ევ-კარი**>წითლეკარი (სოფელი ტაოში), **ხუც-ე-კარ¹**>***ხუც-ე[ვ]-კარი** (შდრ. ხუცეგკარი. სოფელი ელიასხევში), **მაღალ-ევ¹**, **ჭემნ-ევ¹** (ადგილი უტავში), **ხაბაკე-ევ¹** (ადგილი უტავში), **ბახტ-ევ¹** (ადგილი ხერმუთში), **საჩ-ევ¹** (ადგილი ჩევრელში), **თ-ევ¹** (<[მ]თ-ევ¹. ადგილი უზუნდერეში) (იხ. ტაო, 2020:820).

მოყვანილ კლარჯულ მასალაში საყურადღებოა ერთი გარემოება:

ა. დასტურდება პარალელური ფორმები: **ბერძნევი**||**ბერძნეთი**, **კასრევი**||**კასრეთი**, **ისკევი**||**ისკები**. პარალელური ფორმები კარგად მიუთითებს -**ევ**, -**ეთ** და -**ებ** სუფიქსთა მნიშვნელობაზე.

ბ. ტოპონიმში **გოდრევეთი** დადასტურდა ორმაგი წარმოება: **გოდრ-ევ-ეთ¹**: ორი, ერთი და იმავე მნიშვნელობის აფიქსის გამოყენება სახელის ერთ ფორმაში ერთ-ერთის (მოცემულ შემთხვევაში ალბათ -**ევ** სუფიქსის) ფუნქციის დავიწყებით (დაბნელებით) უნდა აიხსნას.

გ. დაბოლოს, ჭოროხის ხეობაში გამოვლენილი -**ევ** სუფიქსიანი ტოპონიმები აფართოებს „-**ევ** კილოს“ გავრცელების არეალს.

საკითხის მეტ-ნაკლები სისრულისათვის გადავხედოთ წინარე ისტორიას:

აკ. შანიძე ერთგან წერს: „ტოპონიმებში მრავლობითობის სუფიქსებს (-**ნ**, **თ(ა)**, **-ებ**) უნდა მიემატოს კიდევ **-ევ**, რომელიც გვხვდება ტოპონიმიკაში, როგორც სურამის ქედის აღმოსავლეთით, ისე მის დასავლეთით, განსაკუთრებით ხშირად კი ყვირილისა და ძირულის ხეობებში, რამდენადმე აგრეთვე რიონის სათავეებში, ე.ი. ქართლში, იმერეთსა და რაჭაში. ასეთი სახელების გავრცელების არე აღმოსავლეთით ივრის ხეობამდე უწევს" (შანიძე, II, 1981:440. ნაშრომი დაწერილია 1941 წელს, მოხსენდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების I სესიას 1941 წლის 28 თებერვალს). მკვლევარი მოიყვანს მის ხელთ არსებულ მასალას:

არაგვსა და ქსანს შორის გვაქვს: **ძეგლევი**, **ალევი**, **ქვევის ჯვარი**. აქედან დასავლეთით: **არცევი**, **ორტევი**, **ღვლევი**, **ბობნევი**, **იკვნიევი**, **ატრევი**. ფრონეზე გვაქვს სოფლები: **აენევი**, **ფრინევი**, **კნოლევი**, **ავლევი**, **ფლევი**, **უწლევი**.

სურამის ქედის გადაღმა, ძირულის ხეობაში: **ხუნევი**, **ბჟინევი**, **ვაშლევი**, **კვესრევი**. ყვირილის ხეობაში: **პერევი**, **ღვიმევი**, **ვაჭევი**, **ბელლევი**, **ქოლევი**, **ღურევი**, **ეხვევი**, **მეჯევი**//**მერჯევი**, **ბჟინევი**, **მერევი**, **ბოსლევი**.

რაჭაში გვხვდება სოფლები: **ღრუშევი**, **ძეგლევი**, **ონჭევი**, **ჭიბრევი**, **ბეთლევი**, **ველევი**, **ხოტევი**.

ქუთაისის ახლოს მდებარეობს - **ქოლევი**.

ახალციხის რაიონში - **წობტევი**.

ამათ გარდა გვხვდება კიდევ: **ღვევი** (მანგლისში), **თიჯრევი** (დადასტურებულია საქ. სიძვ. II, 180), **დისევი** (დადასტურებულია ქრონ. II, 197) (იხ. შანიძე, II, 1981:440-441).

მოყვანილი მასალის ანალიზით აკ. შანიძე ცდილობს, დაადგინოს **-ევ** სუფიქსის გავრცელების არეალი. მოვუსმინოთ მკვლევარს: „**-ევ** სუფიქსის გავრცელების ძირითად არედ შეგვიძლია ჩავთვალოთ ტერიტორია არაგვიდან რიონის შუა წელამდე. ეს ის ტერიტორიაა, რომელიც ძველისძველად სამი ენის ფარგალში იყო მოქცეული: ქართულის, ლაზურისა და სვანურის. ამ კუთხის მოსახლეობის ენას, **-ევ** სუფიქსის გარდა, ბევრი რამ ჰქონდა თავისებური, რომელიც მას გამოჰყოფდა როგორც ქართულისაგან, ისე ზანურისა და სვანურისაგან..." (შანიძე, II, 1981: 443). გარკვეული მოსაზრებით „**-ევ** „კილო" ახლოს უნდა მდგარიყო ზანურთან". **-ევ** კილოს თუ ენის მატარებლებს „პირობით შეგვიძლია მარგველები ვუწოდოთ, ხოლო თვით კილოს - მარგული" (შანიძე, II, 1981:443).

მნიშვნელოვანი და საინტერესო დაკვირვებაა. თუმცა შემდგომმა კვლევებმა გამოავლინა ახალი მასალები, რამაც გარკვეულად შეცვალა აკ. შანიძისეული დებულება „**-ევ** კილოს" გავრცელების არეალის შესახებ. ჯერ

კიდევ ნიკო მარმა შავშეთში, უბეში, დააფიქსირა ტოპონიმი **დევაბევი** (მარი, 2012:97), რომლის რამდენიმე ვარიანტი დასტურდება: **დევაბევი//დევაბევი//დევაბე** (იხ. ფაღავა, 2012:16-17, სქ. 2). ჩანს, როდესაც ხსენებულ შრომას წერდა, აკ. შანიძემ არ გაითვალისწინა ნ. მარის „დღიურები“.

აქვე დავამატებთ, რომ შავშეთშივე დასტურდება **ხოხლევი**, სოფელი იმერხევიში, რომელშიც ასევე გამოიყოფა **-ევ** სუფიქსი.

-ევ სუფიქსი გამოიყოფა შავშეთის კიდევ რამდენიმე გეოგრაფიულ სახელში: **გალიმურ-ევ** (ჯვარისხევი), **შამორ-ევ** (აგარა), **ზაზალ-ევ** (უბე), **გოდგ-ევ** (ართვინლი) (იხ. ფაღავა, ცინცაძე, ბარამიძე, 2022:234-235).

შენიშნავთ, რომ ნ. ცეცხლაძე, მსჯელობს რა **კოთხევეზე** აღნიშნავს: „**კოთხო** იმერხეულ მეტყველებაში პატარა, ოთხკუთხა ფორმის [ყუთის] აღმნიშვნელი სახელია. ამ შემთხვევაში მას დართული აქვს საგნის მრავლობითის საწარმოებელი სუფიქსი **-ევ**. **კოთხო-ებ** > **კოთხ-ევ**“ (ცეცხლაძე, 2004:245). თუმცა იქვე უშვებს მეორე შესაძლებლობასაც, რომ შეიძლება „ტოპონიმის ფუძე იყოს არა **კოთხო**, არამედ **რკოთხევი**: **რკო** > **რკოთი** > **რკო** > **თ(ი)ხევი**“ (ცეცხლაძე, 2004:245). მოყვანილ ამონარიდში ცოტა უცნაური გარდაქმნებია ნაჩვენები, მაგრამ მისაღებია, რომ **კოთხევი** < [რ] **კოთხევი** > საგან. სამხრულ მეტყველებაში **რკო**-ში იკარგება თავკიდური **რ**. [რ] **კო** კიდევ მუხის აღმნიშვნელი ფუძეა. ამდენად, **კოთხევი** იგივეა, რაც **მუხათხევი**.

გამომდინარე თქმულიდან, **კოთხევი** არ გამოგვადგება **-ევ** სუფიქსიანი ფუძის ნიმუშად.

ისტორიულ კლარჯეთში დადასტურდა ზემომოყვანილი 24 გეოგრაფიული სახელი, რომლებშიც ასევე გამოიყოფა **-ევ** სუფიქსი.

როგორც ვხედავთ, ერთის მხრივ გაიზარდა **-ევ** სუფიქსიანი გეოგრაფიულ სახელთა რიცხვი, მეორეს მხრივ, განივრცო **-ევ** სუფიქსის გავრცელების არეალი და საგრძნობლად გასცდა იგი არაგვსა და რიონს შორის ტერიტორიას.

მისაღებია აკ. შანიძის მოსაზრება, რომ **-ევ** მრავლობითობის აღმნიშვნელი სუფიქსი იყო და გვერდით ედგა იგი ქართულ **-ნ**, **-თ**, **-ებ** და მეგრულ **-ევ** სუფიქსებს (შანიძე, II, 1981: 441. შდრ. ზურაბიშვილი, 1961:149-150).

შეიძლება დაფუძვალთ:

ა. **-ევ** სუფიქსი **-ებ**’ის ფონეტიკური ვარიანტია (ბ:ვ მონაცვლეობა დაშვებულია ქართული ენისათვის იხ. ფაღავა, 2003:197-199). მისი კანონზომიერი ფონეტიკური და ფუნქციური შესატყვისია კოლხური **-ევ**.

ბ. -**ევ** სუფიქსიანი მრავლობითი იმავე ასაკისაა, რამდენისაც -**ებ** სუფიქსიანი.

გ. -**ევ** მრავლობითობის სუფიქსი გარკვეული დიალექტური წრის კუთვნილებაა და არა ერთი რომელიმე დიალექტისა.

აქვე ჩნდება კიდევ ერთი კითხვა: რატომ შემოინახა -**ევ** სუფიქსი მხოლოდ ტოპონიმებმა (გეოგრაფიულმა სახელებმა) და არ შემოინახა იგი საზოგადო არსებითმა სახელებმა?

ჩვენი აზრით, -**ევ** და -**ებ** სუფიქსები (თუნდაც ერთი სუფიქსის ფონეტიკური ვარიანტები) პარალელურად იხმარებოდა დიალექტთა გარკვეულ ჯგუფებში. განვითარების გარკვეულ ეტაპზე ენა უპირატესობას ანიჭებს -**ებ** სუფიქსს, -**ევ** მრავლობითის აღნიშვნის ფუნქციით თანდათან დავიწყებას ეძლევა, მის ადგილს ყველგან -**ებ** იჭერს, შეინახა იგი მხოლოდ უძველესი წარმოების ტოპონიმებმა. -**ევ** დარჩა დიალექტთა გარკვეულ ჯგუფში, მაგრამ უფუნქციოდ. უფუნქციო -**ევ** მიეკედლა **ნა-** პრეფიქსს და წინავითარების სახელი აწარმოვა. -**ევ** სუფიქსის თავდაპირველი ფუნქცია წინავითარების სახელების პარალელურ ფორმებში ჩანს: **ნა-თანგ-ევ**'ი (შდრ. **ნათანგი**), **ნა-ჯვარ-ევ**'ი (შდრ. **ნა-ჯვარ**'ი, მეორეს მხრივ: **ჯვარები //ჯვარევი**), **ნაღვარევი** (შდრ. **ნა-ღვარ**'ი, მეორეს მხრივ: **ღვარები//ღვარევი**), **ნა-ბერწ-ევ**'ი (შდრ. **ნა-ბერწი**)...

კიდევ ერთ გარემოებას მივაქცევთ ყურადღებას: წინავითარების სახელთა საწარმოებლად გვაქვს **ნა-არ** და **ნა-ევ** აფიქსებიანი წარმოება, „რომლებიც ერთია ფუნქციით, მაგრამ ერთ ფუძესთან შეიძლება ერთი წარმოება იყოს დამკვიდრებული, მეორესთან - მეორე: „ქმარ“ სიტყვისაგან **ნა-ქმარ-ევ**'ი ითქმის (და არა **ნა-ქმარ-ალ**'ი), მაგრამ ცოლისაგან - **ნა-ცოლ-არ**'ი..." (შანიძე, 1973:133). დიალექტებში **ნაცოლარის** გვერდით **ნა-ცოლ-ევ**'იც გვხვდება. რატომ **ნა-არ** და **ნა-ევ**? ორივე აფიქსისათვის პრეფიქსი (ნა-) საერთოა, სუფიქსი კი - სხვადასხვა (-**ევ**, -**არ**). ცალკე აღებული -**ევ** და -**არ** სუფიქსები სახელებთან განსხვავებული ფუნქციის მატარებელნი არიან.

ქართულში გვხვდება წინავითარების სახელების პარალელური წარმოება: **ნაზამთრი //ნაზამთრალი//ნაზამთრევი**, **ნასისხლი//ნასისხლარი //ნასისხლევი**, **ნაქალაქარი //ნაქალაქევი**, **ნაზაგარი//ნაზაგევი**... (გოგოლაშვილი ..., 2011:235).

შეუძლებელია, ეს პარალელური ფორმები თავდაპირველად ერთი და იმავე ფუნქციის მატარებელი ყოფილიყო: **ნაზაგარი** - ადგილი, სადაც ერთი ბაგა იყო, **ნაზაგევი** - ადგილი სადაც მრავალი ბაგა იყო...

-ევ სუფიქსის ოდინდელი ფუნქცია იგრძნობა -ევ-ან სუფიქსიან სახელებშიც, როდესაც პარალელური ფორმები დასტურდება: **ბოსლევანი //ბოსლევი...**

მსგავს ფორმებში თითქოს ჩანს -ევ სუფიქსის უძველესი ფუნქცია - აღნიშნოს მრავლობითობა.

ვფიქრობთ, ამ მიმართულებით კვლევა უნდა გაგრძელდეს და დეტალურად აღიწეროს -ევ სუფიქსის კვალი ქართულში.

3.26. სუფიქსი -ობ||-უხ||-ხ. რამდენიმე გეოგრაფიულ სახელში შეიძლება გამოიყოს სხვადასხვა ხმოვნის თანხლებით -ხ სუფიქსი: **კორ-ხ'ი||კორ-ობ'ი** (შდრ. ჭოროხი), **ჯიბ-უხ'ი, კონტ-ობ'ი** (შდრ. აჭ. კორტოხი), **ორჯ-ობ'ი** (სოლნ. 11). **ორჯობ'ში** -ობ სუფიქსის გამოყოფას მხარს უჭერს პარალელური ფორმა - **ორჯი**. იგივე სუფიქსი შეიძლება დავინახოთ სახელებში **მეს-ხ'ი** (შდრ. მოს-ობ), **კოლ-ხ, ჯავა-ხ**, ასევე **მაჭ-ახ-ელ, ჭორ-ობ, ჭ-ახ-ათ'** (ქობულეთი), **ჭიხ-ა-ურ** (ხულო) ფუძეებში. მოყვანილ ყველა ტოპონიმში გამოვყოფთ -ხ, -ობ, -უხ, -ახ, 'იხ სუფიქსებს.

ერთგან გ. თოფურია აღნიშნავს, რომ „-ხ არის სუფიქსი, რომელიც სხვადასხვა წინამავალი ხმოვნით გავრცელებულია საქართველოსა და მთელი კავკასიის ტოპონიმიკაში (თოფურია, 1977:8; შდრ. მგელაძე, ფაღავა, 1998:124-144; ფაღავა, მგელაძე, 2005:14).

-ხ სუფიქსს გ. მელიქიშვილი დაუკავშირებს ჰი||ჰა აფიქსს, რომლითაც ნაწარმოებია ბევრი გეოგრაფიული სახელი ამიერკავკასიაში (მელიქიშვილი, 1999:50).

ბი, ახ, ოხ, იხ, უხ სუფიქსებს გამოყოფს ივ. ჯავახიშვილი დადესტინის გეოგრაფიულ სახელებში: კუანხი, ხარახი, შაპიხ, ბოთლიხ, მოროხ, ინუხ, გინუხ... (ჯავახიშვილი, 1998:61. შდრ. ჯავახიშვილი, 1951:393. საკითხის შესახებ ვრცლად იხ. მგელაძე, ფაღავა, 1998:14 და შემდეგ. ავტორები მხარს უჭერენ მტკიცებას, რომ ფხე (ფშ||ფს||ხე||მხევ||ხი||ხინი||ხინე||ფჰა||ფა) ქართველურ-კავკასიური და ახლოაღმოსავლური კუთვნილებაა). თქმულს შეიძლება დავუმატოთ, რომ -ხ სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელები უძველესი ფენაა საქართველოსა და ახლოაღმოსავლეთის ტოპონიმიკურ ნომენკლატურაში.

კლარჯეთის ტოპონიმიკაში გვხვდება უცხოური, უპირველესად თურქული აფიქსებით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები. წინასწარვე

ვიტყვით, რომ ასეთი ტოპონიმები ახალი ფენაა კლარჯული ლექსიკისა. ნასესხები აფიქსები დაერთვის როგორც ქართულ, ისე თურქულ ფუძეებს.

3.27. სუფიქსი -ლარ||-ლერ. -ლარ||-ლერ თურქულში მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი სუფიქსია, ქართული -ებ'ის ბადალი:

გუმი-ლარ'ი (კორიდეთი), **ზაქურ-ლარ'**ი (სამწყალი), **ტუბათ-ლარ'**ი (კატრევანი), **კომ-ლარ'** (კარსნია), **ყიშლა-ლარ'** (კარსნია), **ნელ-ლარ'** (კონტრომი), **ოიზ-ლარ'** (კონტრომი. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან), **თოფუოდულ-ლარ'** (კონტრომი. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან), **ბეგო-ლერ'** (ირსა. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან), **ჩიჩო-ლარ'** (სახრე), **არფა-ლარ'** (გულეშენი), **ფირა-ლარ'** (გულეშენი), **მანიხ-ლარ'** (ხევა), **ადა-ლარ'** (შაინ ახო), **ქილისე-ლარ'** (შაინ ახო, იგულისხმება მიძნაძორი), **ფემ-ლარ'**ი (მელო), **კუიტარ-ლარ'** (<*კვიტარ-ლარი. ხოდი), **თილაზერ-ლარ'** (ხოდი. შდრ. თხილაზორი), **ნოდ-ლარ'** (ხოდი), **ყინახ-ლარ'** (ანჩა), **ბუხელ-ლარ'** (სინკოთი. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან), **ბობან-ლარ'** (სინკოთი, სოფლის სასაფლაო), **ბულელ-ლარ'** (<*ბედელ-ლარ(?), შდრ. ბელ-ეთ'ი), **სირთ-ლარ'** (სინკოთი. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან. შდრ. ქედები), **ნასღეთ-ლარ'** (ნაჩვია. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან, შდრ. ნასხეთი), **ბაირ-ლარ'** (ნაჩვია. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან), **დერეთარლა-ლარ'** (ნაჯვია), **ჯეზნალ-ლარ'** (ნაჯვია. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან), **მანისათ-ლარ'** (ნაჯვია. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან), **აბითოდულ-ლარ'** (ნაჯვია. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან), **დარე-ლარ'** (ნაჯვია. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან. შდრ. კაპნები), **ჩიჩევან-ლარ'** (ნაჯვია. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან), **ქარაზალ-ლარ'** (ირსა. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან), **ტუბა-ლარ'** (ირსა. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან. შდრ. **ტბები, ტბეთი**), **ერბოდა-ლარ'** (ხატილა. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან. შდრ. ერბოთალარი), **არხვანოხულ-ლარ'** (<*არხვან-ოქულ-ლარ? ხატილა. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან), **ხარათ-ლარ'** (ანჩა), **ბაშქოი-ლერ'** (||ბაშქოი-ლარ. ირსა).

-ლარ სუფიქსი აღდგება ტოპონიმში **დერგეთ-ლაგ'** (<*დერგეთ-ლარ. შდრ. დერგები).

ერთი -ლარ'სუფიქსიანი ტოპონიმი კლარჯეთიდან დატანილია „კავკასიის ხუთვერსიან რუკაზე“: Камбаталарь - **კამბატა-ლარ'**ი (ართვინი).

მოყვანილ მასალებში ყურადღებას იქცევს ერთი გარემოებაც, კერძოდ, ზოგიერთი ტოპონიმი ორმაგი სუფიქსითაა გაფორმებული, რაც გარკვეულ კითხვებს ბადებს: **ტუბა-თ-ლარ'** (შდრ. **ტბ-ებ-ნარ'**ი), **თოფუ-ოდულ-ლარ'**, **ჯეზნალ-ლარ'**, **აბით-ოდულ-ლარ'**, **ჩიჩე-ვან-ლარ'**, **ხარ-ათ-ლარ'** (შდრ. ხარ-ოთ-ლარ).

მნიშვნელოვანია, რომ ფუძეზე დართული ორმაგი მაწარმოებელი ზოგჯერ ერთი და იმავე ფუნქციის მატარებელია, ოღონდ ერთი ქართულია, მეორე - თურქული.

თურქული სახელწოდებები თუ თურქული აფიქსებით ნაწარმოები ტოპონიმები, როგორც აღვნიშნეთ, ახალი ფენაა ისტორიული სამხრეთ საქართველოს მეტყველებაში. იმდენად ახალი, რომ უმეტესი მათგანი ჯერ კიდევ გამჭვირვალეა, ჯერ კიდევ არ ქცეულა გეოგრაფიული პუნქტის სახელსიმბოლოდ. მათი ანალიზი საინტერესოა ნომინაციის, სახელდების პრინციპების შესასწავლად: სახელდებისა თუ გადარქმევის დროს გეოგრაფიული პუნქტის რა მახასიათებელს მიექცა ყურადღება. ჩვენს შემთხვევაში უნდა გავითვალისწინოთ კიდევ ერთი გარემოება: კლარჯეთის, ზოგადად სამხრეთ საქართველოს, დიდსა თუ პატარა გეოგრაფიულ პუნქტს უმეტეს შემთხვევაში ახალ დროში თურქული სახელი უწოდა მშობლიურენადაკარგულმა (ზოგჯერ ქართულის მცოდნემაც) ქართველმა, სხვაგვარად, ძველი, ქართული სახელმძღვანის მემკვიდრემ. ძველი (ქართული) და ახალი (თურქული) ტოპონიმების შედარებითი ანალიზი, სხვა საკითხებთან ერთად, მნიშვნელოვანია ეთნოლინგვისტური თვალსაზრისით: ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, თუ ადგილის რა ნიშანს იღებდა საფუძვლად სახელმძღვანელი ძველად და რა ნიშანს იღებს ახალი. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ასეთ ნიმუშებს: **ახალდაბა** - **თეფექო** (ბორცვიანი სოფელი), **ბაზგირეთი**||**ბაბგირეთი** - **მადენი** (მადანი), **გურნათელი** - **სუსუზ** (უწყლო), **დაბაწვრილი** - **მეშელ** (ტყიანი), **ვანთა** - **ელმალი** (ვაშლოვანი), **ველი** - **ჯირითდუზი** (საჯირითო ველი), **ვერხვნალი** - **ყარაღაჯი** (შავი ხე), **ზენდაბა** - **არფალი** (ქერიანი), **ზიოსი** - **თეფებაში** (ქედისთავი), **თურმანიზე**||**თურმანიძე** - **ქაიაბაში** (კლდისთავი), **ივეთი** - **მისირლი** (სიმინდოვანი), **მიქელეთი** - **გერმიქი** (აბანო), **მოქვთა** - **სავაშ** (ბრძოლა), **მუხობანი** - **უზუმლუ** (ვაზიანი), **სამჯელი** - **არმუთლუ** (მსხლობანი||სხლობანი), **სვირევანი** - **დუთლუ** (თუთნარი), **სინკოთი** - **ქუფლუჯე** (ქვევრები), **სხლობანი** - **ფინარლი** (წყაროვანი), **ტბეთი** - **ჯევიზლი** (ნიგვზიანი), **უსტამისი** - **ესკიყალე** (ძველი ციხე), **ქოთეთრისი** (<*ქვათეთრისი) - **ქირეჩლი** (კირიანი), **ჯინალი** - **ილიჯა** (წყალთბილა)... (იხ. ცეცხლაძე, 2004:261-263).

მოყვანილ მაგალითებს თუ დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ მხოლოდ ერთხელ უთარგმნიათ თურქულად ქართული სახელწოდება: ქართ. **ბალვანა** - თ. **ქირაზლი** (=ბალვანა), ერთხელაც მიახლოებითი სახელი უწოდებიათ: ქართ. **ქოთეთრისი** - თ. **ქირეჩლი** (კირიანი). სხვა შემთხვევებში ახალი, განსხვავებული ნიშანი მოუძებნიათ გეოგრაფიული პუნქტისათვის. ასე იქცა

ახალდაბა - თეფექოით, ბაზვირეთი - მადენად, ტბეთი - ჯვევიზლად, უსტამისი - ესკიქოით... (შდრ. ჯორბენაძე, 1989:143).

3.28. სუფიქსი -ლულ. თურქული -ლულ ქართული -ნარ, 'იან სუფიქსების ბადალია (შდრ. შავშეთი, 2011:330). კლარჯეთის მეთურქულე თუ მექართულე სოფლებში ჩავიწერეთ ათზე მეტი -ლულ'ით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელი:

ქულ-ლულ-ა (კარჩხალა), **ნარ-ლულ'** (დოლიყანა), **პანტა-ლულ'** (ანჩა), **ჩურუქ-ლულ'** (ანჩა), **ბუზ-ლულ'** (კარსნია).

ფონეტიკური გარდაქმნით ზოგიერთ ფუძესთან -ლულ სუფიქსს უცვლია სახე და გვაქვს: -ლუგ||-ლუქ||-ლიქ:

ჩამ-ლუგ' (გველი), **პანტა-ლუგ'** (არტანუჯი), **იონჯა-ლუგ'** (ერეგუნა), **მაივა-ლუგ-ებ'** (კორიდეთი).

უკანასკნელი ტოპონიმი ყურადღებას იქცევს იმით, რომ -ლუგ (<ლულ) სუფიქსთან ერთად დაირთავს ქართულ -ებ'საც, ფაქტობრივად სინონიმური მნიშვნელობის აფიქსს. **მაივალული** არის ადგილი, სადაც მრავალი ხილია (მეივაა), **მეივალუგები** - კიდევ ხილიანი ადგილებია. ხილიანი ადგილების (მაივალუგები) საწარმოებლად რატომღაც დიალექტმა ქართული -ებ მრ. სუფიქსი აირჩია.

იუნგა-ლუხ' (ჯმერკი).

თიქან-ლიქ' (მარმაწმინდა. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან), **ფინდიქ-ლიქ'** (კონტრომი. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან), **მეზერ-ლიქ'** (ენი რაბათი).

„ხუთვერსიან რუკაზე“ დატანილია: Чифтликь - **ჩიფთლიკ'** (<*ჩიფთლიქ').

კარსნიაში ჩავიწერეთ ტოპონიმი **ისპანტიქი**. ჩანს, იგი მიღებულია **ისპანტ-[ლ]იქ'**ისაგან **ლ-ს** ჩავარდნით.

თუთ-ლუქ' (არნაული), **სოუთ-ლუქ'** (გულეშენი), **ჩამ-ლუქ'** (სინკოთი. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან), **პანტა-ლუქ'** (კონტრომი. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან), **პანტა-ლუქ'** (ანჭკორა), **ზეითუნ-ლუქ'** (ნაჩვია<ნაჯვია. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან).

-ლულ ფონეტიკური სახესხვაობებით დაერთვის როგორც ქართულ, ისე თურქულ ფუძეებს:

ქართული: **ნარ'**, **პანტა**, **იონჯა**, **თიქან'** (<თიქან'), **თუთა**. ქართული **პანტ** ძირი უნდა გამოიყოს ი[ს]-**პანტ'**იქ'ში.

თურქული: **ქულა, ჩურუქ, ჩამ'ი, მაივა** (<მეივა), **ფუნგა, ფინდიქ, მეზერ, სოუთ, ზეითუნ**.

ჩანს, თურქული აფიქსით ნაწარმოებ გეოგრაფიულ სახელებშიც შენარჩუნებულია ტოპონიმთა წარმოების საერთოქართული წესი.

3.29. სუფიქსი -გილ: სუფიქსი -გილ საკმაოდ პროდუქტიულია კლარჯეთის ტოპონიმიაში. მას იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც -**ეულ||-ოულ**, -**ინთ||'იეთ||-ეთ** მაწარმოებლებს. „-გილ სუფიქსით გაფორმებული სახელები ძირითადად ერთი წარმომავლობის ოჯახებით დასახლებული ტოპონიმებია და აღნიშნავს სოფლის უბნებს, სადაც, როგორც წესი, ამ გვარის ოჯახები ცხოვრობენ“ (შავშეთი, 2011:329. შდრ. ცეცხლაძე, 2004:108):

ხოშათ-გილ'ი (ანჩა), **ფინთი-გილ'ი** (ანჩა), **პოსტას-გილ'ი** (სახრე), **ჩაუშ-გილ'ი** (სახრე), **გულ-ალა-გილ'ი** (სახრე), **აბისონ-გილ'ი** (სახრე), **მამის-გილ'ი** (სახრე), **შათირ-გილ'ი** (კლარჯეთი), **სალიხ-ალა-გილ'ი** (კლარჯეთი), **ბაირამ-გილ'ი** (კლარჯეთის), **ხოჯა-გილ'ი** (მელო), **აჯი-გილ'ი** (<ჰაჯი-გილ'ი. ხმოვნისწინა პოზიციაში დაკარგულია ჰ. მელო), **მირზი-გილ'ი** (ხოდი), **კანჭი-გილ'ი** (ხოდი), **გუმიშ-გილ'ი** (ანჩა), **პინტი-გილ'ი** (ანჩა), **სოქათ-გილ'ი** (ანჩა), **ხანჭარ-გილ'ი** (ანჩა), **ქავაზ-გილ'ი** (ანჩა), **ალი-გილ'ი** (ანჩა), **ქადი-გილ'ი** (ანჩა), **ლომათ-გილ'ი** (ანჩა), **კოვალ-გილ'ი** (კონტრომი. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან), **ჭავუშ-გილ'ი** (<*ჩავუშ-გილ'ი? ანჩა), **მაჰამედე-გილ'ი** მაჰალე (ანჭკორა. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან), **ახშაბეთ-გილ'ი** (ანჭკორა. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან), **სალე-გილ'ი** მაჰალესი (ანჭკორა), **ისმე-გილ'ი** მაჰალესი (ანჭკორა. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან), **ომა-გილ'ი** მაჰალესი (სახრე), **გულ-ალა-გილ'ი** (სახრე), **ქოსე გილ'ი** (ანჭკორა), **მამის-გილ'ი** (სახრე), **ჩაფუშ-გილ'ი** (სახრე), **ჩაფუშ-ალი-გილ'ი** (სახრე), **ჰოსთახ-გილ'ი** (სახრე), **ჩიჩი-გილ'ი** (ბოსელთა).

ტოპონიმებში **მაჰამედე-გილ** მაჰალე, **სალე-გილ'ი** მაჰალესი, **ისმე-გილ** მაჰალესი, **ომა-გილ** მაჰალესი ორმაგი წარმოების მსგავს მოვლენასთან გვაქვს საქმე: **გილ** ფაქტობრივად იმასვე აღნიშნავს, რასაც მაჰალე, უბანი. შდრ. **მიქელეთის უბანი//მიქელეთის მაჰალე**.

-**გილ** სუფიქსი აღდგება ტოპონიმში **ჯორახ'ილ** (<ჯორახ-[გ]ილ. სინკოთი).

რამდენიმე გეოგრაფიულ სახელში გამოიყოფა -**გურ**(||-**გულ**) სუფიქსი. ხომ არაა იგი -**გილ**'ის ფონეტიკური ვარიანტი? **ბუნა-გურ'** (ირსა. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან), **ასა-გურ'** (ირსა. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან),

ოკრა-გურ' (სინკოთი), მოტრო-გულ' (მამაწმინდა. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან).

ბუნებრივია, რომ -გილ მაწარმოებლიანი ტოპონიმები უფრო მეთურქულე კლარჯეთშია გავრცელებული.

დაბოლოს, კლარჯეთის ტოპონიმიაში -გილ სუფიქსიანი წარმოების სიხშირე დასტურია ამ კუთხეში -ეთ სუფიქსიანი წარმოების ფართო გავრცელებისა პატრიარქალური, დიდი ოჯახის საცხოვრისის აღსანიშნავად.

3.30. სუფიქსი -ლი. თურქული -ლი ქართული -იან, -ნარ სუფიქსის ბადალია. მაგალითები: მისირ-ლი (ხოდი), კუმარ-ლი (გურბინი), ჩამურ-ლი (გურბინი), გუნემ-ლი, ყუმარ-ლი, ინექ-ლი.

ხუთვერსიან რუკაზე დატანილია Реджекли - რეჯეკ-ლი (ართვინი).

შვიდიოდე ტოპონიმი აღმოჩნდა ჩვენს მასალებში -ლი სუფიქსით ნაწარმოები.

3.31. სხვა სუფიქსებით ნაწარმოები ტოპონიმები. კლარჯეთის ტოპონიმიაში დასტურდება იშვიათი წარმოების გეოგრაფიული სახელები, მხედველობაში გვაქვს შემდეგი:

გულე-შენ' (არტანუჯი) - შესაძლებელია გამოიყოს -შენ ელემენტი.

რამდენიმე ტოპონიმში გამოიყოფა -ზორ სუფიქსი: პანკი-ზორ' (ხოდი), თხილა-ზორ' (ხოდი. „ხუთვერსიან რუკაზე“ დატანილია თხილაზურ'), ფალო-ზორ' (ენი რაბათი);

ჩამოთვლილს დავატება „ხუთვერსიანი რუკიდან: Тинзирь - ტობ-ზორ' (ართვინი) და Хедзор - ხემორ' (ართვინი).

ზორ||ძორ ერთი აფიქსის ფონეტიკური სახესხვაობებია.

ძორ||ზორ სომხური სუფიქსია. სომხური კვალი ჭოროხის ხეობაში მოულოდნელი არ უნდა იყოს.

ჩერმი-ჩი (<ჩერმი-ჯი) - სუფიქსი -ჯი თურქულში ხელობის სახელებს აწარმოებს (ქართული მე-ე კონფიქსის ბადალია), იშვიათად ტოპონიმებშიც გვხვდება და რომელიმე ხელობის წარმომადგენლის კუთვნილს აღნიშნავს.

კლარჯეთის ტოპონიმიაში პროდუქტიულია გეოგრაფიულ სახელთა სუფიქსური წარმოება. ქართულ სუფიქსთაგან გამოიყენება: -ეთ, ით, -ოთ, -უთ, -ათ, -თა, -ა, -ურ||-ულ, -არ||-ალ, -ილ, -ელ, -ოლ, -ან, -ომ, -ებ, -ობ||-ოფ, -ანთ||-ენთ, -ოვან, -იან, -ნალ, -ფხე, -უნა, -იშ, -ევ, -ობ||-უხ||-ხ.

ჩამოთვლილ სუფიქსთაგან ზოგი უფრო ხშირად ხმარებულია, ზოგი - შედარებით ნაკლებად.

დასტურდება თურქული სუფიქსებით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელებიც: -**ლარ**||-**ლერ**, -**ლუდ**||-**ლუქ**||-**ლუგ**, -**გილ**, -**ლი**, -**ჯი**.

კლარჯეთის ტოპონიმიაზე დაკვირვება გვამღევეს საშუალებას დასკვნისა: მიუხედავად იმისა, რომ ისტორიული კლარჯეთის უმეტესი ნაწილი თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაშია და მეთურქულა, დღემდე შენახულია გეოგრაფიულ სახელთა წარმოების ქართული ყალიბები, რაც კარგად ვლინდება გეოგრაფიულ სახელთა სუფიქსური წარმოებით.

§4. პრეფიქს-სუფიქსური წარმოება

ისტორიული კლარჯეთის გეოგრაფიულ სახელთა ნაწილი, რაოდენობრივად შედარებით მცირე, იწარმოება კონფიქსებით. აღვნიშნავთ, რომ ტოპონიმთა ფუძეთექმნადობის ეს მოდელი გამოირჩევა მრავალფეროვნებით. კლარჯეთის ტოპონიმიაში გვხვდება შემდეგი კონფიქსები: **ა-ა**, **ნა-ევ**||**ნა-ებ**, **ნა-არ**||**ნა-ალ**, **ნა-ავ**, **ნა-ევ**, **ნა-ა**, **ნა-ურ**, **ა-ო**, **სა-ეთ**, **სა-ევ**, **სა-ა**, **სა-ე**, **სა-ო**, **სა-არ**||**სა-ალ**, **სა-ავ**, **სა-ულ**. ძიებამ შეიძლება გამოავლინოს სხვა მაწარმოებლებიც, მაგრამ ეს მომავალში. წინასწარ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ვერ შეცვლის საერთო სურათს, რომელიც უკვე გამოკვეთილია და ახალი მასალებით დამატებითი შტრიხები გამოჩნდება... ხაზგასასმელია კიდევ ერთი გარემოებაც, ნასესხები კონფიქსი ჩვენს მასალებში არ გამოვლენილა.

4.1. პრეფიქს-სუფიქსი ა-ა. რამდენიმე ტოპონიმში გამოიყოფა **ა-ა** პრეფიქს-სუფიქსი: **ა-დრან-ა**, **ა-ქომარ-ა**, **ა-ვან-ა**, **ა-დურჩ-ა** (ქურა. შდრ. **დურჩ-ა**||**ა-ა-დურჩ-ა**||**ა-ა-დურჩ-ა**. რ-ს ჩავარდნით), **ა-გარ-ა**.

ა-ა კონფიქსის წინა ნაწილს შეიძლება ჩამოცილებული ჰქონდეს თანხმოვანი (ა<*ლა): **ა-ქომარ-ა** შდრ. **ლა-კომარ-(ა)**...

ა-ო პრეფიქს-სუფიქსი გამოიყოფა გეოგრაფიულ სახელში **ა-ბან-ო** (დურჩა). **აბან**ში **ბან** ძირეულ მასალად გამოყოფა არ უნდა გაჭირდეს.

4.2. პრეფიქს-სუფიქსი ნა-ავ. ვიდრე შევეხებოდეთ საკვლევ მასალას, მოკლედ **ნა-** პრეფიქსიანი კონფიქსის ფუნქციის შესახებ.

ნა- თავსართთან რამდენიმე ბოლოსართი გამოიყენება: **ნა-ავ**, **ნა-ევ**, **ნა-ურ**, **ნა-არ**, **ნა-ა**. აღნიშნული აფიქსები „ე.წ. წინავითარების სახელებს აწარმოებენ, კერძოდ, უჩვენებენ: ა. ადგილს, სადაც წინათ ის საგანი იყო,

რომელსაც ძირეული აღნიშნავს (სოფელი - ნასოფლარი) და ბ. საგანს, რომელიც ამ ადგილას იყო, რომელზედაც ძირეული მიუთითებს: მთა - ნამთვეი" (შანიძე, 1973:133. შდრ. ზურაბიშვილი, 1961:155). დამაჯერებელია თ. ზურაბიშვილის დაკვირვება: „მსგავს სახელთა წარმოებისას ფუძედ გამოყენებულია საზოგადო სახელი, ხოლო აფიქსებიდან მთავარია საერთო ნა-პრეფიქსი და არა სუფიქსები, რაზედაც სუფიქსთა სიმრავლევ მიუთითებს" (ზურაბიშვილი, 1961:155). დიახ, ნა-პრეფიქსიან კონფიქსებში წინავითარებას, ნამყოფობას პრეფიქსი (ნა-) გამოხატავს, ხოლო სუფიქსი, რომლის უწინდელი ფუნქცია დაჩრდილულია, მიკრულია მასზე. შეიძლება ითქვას, ჭირს მათი ერთი ფუნქციის მატარებლად გააზრება:

ნა-ყორ-ავ'ი (კარსნია), **ნა-ყორ-ავ**'ი (კარჩხალა), **ნა-სელ-ავ**'ი, **ნა-ფუნ-ავ**'ი, **ნა-ჭირ-ავ**'ი (მემედ ალი ქესკინის მასალებიდან), **ნა-ბედლ-ავ**'ი (ჩხალეთი), **ნა-ბედლ-ავ**'ი (ქლასკური), **ნა-ბერდ-ავ**' (<*ნა-ბედრ-ავ<ნა-ბედლ-ავ(?). სინკოთი), **ნა-კართავლ-ავ**' (ნაჯვია. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან), **ნა-ქერ-ავ**' (ხატილა. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან. შდრ. **ნა-ქერ-ალ-ა**), **ნა-სოფლ-ავ**' (ხატილა. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან. შდრ. **ნა-სოფლ-არ**').

მოყვანილ მაგალითებში **ნა-ავ** კონფიქსი უმეტესად დაერთვის ზმნურ ფუძეებს (შდრ. ბედლოვილი, 2002:9). ასეთ სახელებში წინავითარების, ნამყოფობის გამოსახატავად მარტო **ნა-** პრეფიქსიც კმარა (სუფიქსი **ავ**' კი წარმოშობით თემის ნიშანი უნდა იყოს: **ყორავს**>**ნაყორავი**, **ბედლავს**>**ნაბედლავი**...): **ნა-ხატ**'ი (რაც ხატეს), **ნა-ჭარ**'ი (რაც ჭრეს), **ნა-ცემი** (ვინც ცემეს), **ნა-რბენი** (ვინც ირბინა)...

4.3. პრეფიქს-სუფიქსი ნა-ა. **ნა-ა** პრეფიქს-სუფიქსს გამოვყოფთ ტოპონიმში **ნა-ჯვი-ა**||**ნა-ჩვი-ა** („ხუთვერსიან რუკაზე" ორი ნაჯვიაა დადასტურებული, მაილა და სოფელი, ორივე ართვინის გუბერნიაში); მეორე ფორმასაც გაიგონებთ ადგილობრივთა, განსაკუთრებით ქართულის არმცოდნეთაგან. თუ ჩვენი ვარაუდი სწორია, მაშინ რჩება ძირის მნიშვნელობის საკითხი. შესაძლებელია, **ნა-ა** კონფიქსისეულ -ა'ს ჩამოცილებული ჰქონდეს თანხმოვანი ნაწილი (შდრ. ნა პრეფიქსი... -არ, -ევ, -ურ სუფიქსებთან ერთად აწარმოებს წინავითარების სახელებს..." (ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988:315).

4.4. პრეფიქს-სუფიქსი ნა-არ (||-ალ). **ნა-ლომ-ვ-არ**'ი (<*ნა-ლომ-[ე]ვ-არ'ი. ზ. ქლასკური), **ნა-ბოკ-ვ-არ**'ი (<*ნა-ბუკ-[ე]ვ-არ'ი. ჩხალეთი), **ნა-კო-ბ-არ**'ი (<*ნა-კო-[ე]ვ-არ'ი<*ნა-[რ]კო-[ე]ვ-არ'ი (ბ:ვ მონაცვლეობით). კარჩხალა), **ნა-დიკ-**

ვ-არ'ი (<ნა-დიკ-[ე]ვ-არ'ი. მელო. შდრ. დიკა), ნა-კობ-არ'ი (მამაწმინდა), ნა-პიზ-არ'ი (სხალთეთრი, მემედ ალი ქესკინის ჩანაწერებიდან. შდრ. იგივე ძირი უნდა იყოს, რაც ტოპონიმში ო-პიზ-ა), ნა-კაპ-არ'ი (<*ნა-კაფ-არ'ი. ნაჯვია. მემედ ალი ქესკინის ჩანაწერებიდან), ნა-პუზ-არ (<*ნა-ფუმ-არ. ნაჯვია. მემედ ალი ქესკინის ჩანაწერებიდან), ნა-სელ-ვ-არ'ი (<ნა-სელ-[ე]ვ-არ'ი. ქართლა), ნა-ფოცხ-ვ-არ'ი (<ნა-ფოცხ-[ე]ვ-არ'ი. მარადიდი. შედრ. ფოცხვა, დაფოცხვა), ნა-თოფ-ვ-არ'ი (<*ნა-თოფ-[ე]ვ-არ'ი. ისკები), ნა-ქორ-ალ'ი (ანაკერტი. შდრ. ქორ'ი⁵ საბძელის მნიშვნელობით), ნა-კორდ-ალ'ი (კარსნია), ნა-ქურ-ალ'ი||ნა-ქურა-ვ-ალ'ი (<ნა-ქურა-[ე]ვ-ალ'ი. ხატილა), ნა-ქერ-ვ-ალ'ი (<ნა-ქერ-[ე]ვ-ალ'ი. იბრიქი).

დასახელებულ ზოგიერთ გეოგრაფიულ სახელში ორი სუფიქსი გვაქვს - [ე]ვ და -არ(||-ალ). ასახსნელია, თუ რატომ გამოიყენა სახელური ფუძის საწარმოებლად ენამ ერთდროულად ორი სუფიქსი. ჩანს, თავდაპირველად გვქონდა ნა-ევ'იანი წარმოება, შემდეგ განვითარდა - ნა-ევ-არ კონფიქსიანი. და ეს უნდა მომხდარიყო მას შემდეგ, რაც -ევ(>ვ) სუფიქსის ფუნქცია დავიწყებას მიეცა.

4.5. პრეფიქს-სუფიქსი ნა-ევ. ნა-ღარ-ევ' (ანჩა. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან. შდრ. ღარევ//ღარებ), ნა-სუდ-ევ'ი (კონტრომი. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან), ნა-მზილ-ევ (<*ნა-მზ[ვ]ილ-ევ'ი. შდრ. მზვლარი - მეწყერი (ორბელიანი, 1949). ნამზილვეი<ნამზვილვეი'საგან ნიშავს ნამეწყრალს), ნა-ასლ-ევ'ი (მარადიდი. შდრ. ასლი - „მაგარკილიანი ხორბალი...“ (ნიჭარაძე, 1971). ასლვეი//ასლები), ნა-თანგ-ევ'ი (ხატილა), ნა-ნალი-ევ'ი (ქართლა), ნა-ნალი-ევ'ი (იბრიქლი), ნა-ქოლგ-ევ'ი (ქლასკური), ნა-მათრ-ევ' (ორჯი. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან). შდრ. ნა-მათ-ევ'ი<*ნა-მათ[ე]-ევ'ი. მათე - „მცირე ფოსო გლეხურად“ (ორბელიანი, 1949).

მოყვანილ სახელებს თუ ჩამოვაშორებთ პრეფიქსებს და ისე დავაკვირდებით: კირ-ევ(ებ)'ი, ღარ-ევ(ებ)'ი, სუდ-ევ(ებ)'ი, მზილ-ევ(ებ)'ი, ასლ-ევ(ებ)'ი, თანგ-ევ(ებ)'ი, ნალი-ევ(ებ)'ი, ქოლგ-ევ(ებ)'ი, მათრ-ევ(ებ)'ი, ვფიქრობთ, თითოეულში ჩანს -ევ(||ებ) სუფიქსის ძირეული ფუნქცია.

ტოპონიმთა ერთი ნაწილი ნაწარმოებია სა- პრეფიქსისა და -არ, -ავ, -ალ, -ეთ, -ე, -ო, -ა სუფიქსების გაერთიანებით მიღებული კონფიქსებით. რჩება შთაბეჭდილება, რომ სა- პრეფიქსთან გაერთიანებულ ხმოვან სუფიქსებს (-ა, -ე, -ო) აკლია თანხმოვანი ნაწილი.

⁵ ქორის შესახებ ვრცლად იხ. ქვემოთ (7.3).

4.6. პრეფიქს-სუფიქსი სა-ე: სა-ცივ-ე, სა-კირ-ე (ანჩა), სა-თხ-ე (ჯმერკი), სა-ლელ-ე (ჯმერკი. შდრ. სა-ლილ-ე), სა-ხრ-ე (<*სა-ხარ-ე. ბოსელთას გაღმით), სა-ხრ-ე (კლარჯეთის გზაზე), სა-მელ-ე (ირსა. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან), სა-კულუნ-ე (ზ. ქლასკური. შდრ. ლაზ. კოდონი - კოდო. იხ. თანდილავა, 2013), სა-ნისლ-ე (ხეზა), სა-თუთუნ-ე (მარადიდი), სა-მძორ-ე||სა-მზორ-ე (დევსქელი), სა-დათვ-ე (ზ. ქლასკური).

სა-ე პრეფიქს-სუფიქსიანი სახელები გვხვდება „კავკასიის ხუთვერსიან რუკაზეც“: Садырте - სა-ბურთ-ე (მთ. ართვინი), Садырә - სა-დრუ-ე⁶ (მზრ. ართვინი), Сакавре - სა-ყავრ-ე (მთ. ართვინი), Самотхе - სა-მოთხ-ე (მთ. ართვინი).

სა-ე კონფიქსს ალვადგენთ გეოგრაფიულ სახელში შა-ნახშურ-ა (ბოსელთა). აქ ქართულის არმცოდნის მიერ ქართული ბგერის გამოთქმის სიმნელესთან უნდა გვეკონდეს საქმე: სა-ნახშირ-ე >შა-ნახშურ-ა.

სა-ე პრეფიქს-სუფიქსს ვხედავთ საგეოგრაფიო სახელებში ა-ზახლ-ე (<*[ს]ა-ზახლ-ე<*სა-სასახლ-ე. ს:ზ მონაცვლეობითა და პრეფიქსისეული ს'ს ჩავარდნით) და სა-ყავი (<*სა-ყავ-ე. ყავი გვხვდება გურულში და აღნიშნავს პატარა ნადირს. იხ. ლლონტი, 1984. შდრ. ყავი - ციყვი. იხ. კლაჯეთი, 2016:1074)).

4.7. პრეფიქს-სუფიქსი სა-ო. სა-სადილ-ო (ქლასკური), სა-მძიპირ-ო (<*სა-მზიპირ-ო. დურჩა. ძ:ზ მონაცვლეობით. იხ. ფაღვა, 2003:214), სა-ჩინ-ო, სა-ფერხულ-ო (დევსქელი), სა-საბლ-ო (სოლნ. 7. ართვინის უბანია ნ. სოლნიშკინის მიხედვით), სა-სადილ-ო (სინკოთი. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან. სა- პრეფიქსი გამოიყოფა სა-დილ' ფუძეშიც. ეტომოლოგიურად სადილი დილა'ს უკავშირდება. შდრ. ძვ. ქართული - დილეული - დილისა: „ვითარ გამოგიჩნდა თქუენ ტაბლაჲ იგი სიტყუათა დილეულისათაჲ“. ბ. კეს. ექუს. დღ. 122,29. ვიმოწმებთ აბულაძე, 1973'ის მიხედვით).

სა-ო აფიქსიანი გეოგრაფიული სახელი დატანილი „ხუთვერსიან რუკაზეც“: Санадиро - სა-ნადირ-ო (მთ. ართვინი).

სა- პრეფიქსი და მასთან ერთად სხვადასხვა სუფიქსი დანიშნულების სახელებს აწარმოებს. „ტოპონიმიკურ სახელებშიც მათ თითქმის იგივე - დანიშნულება-თვისების გამოხატვის ფუნქცია აქვს, რომელიც ხშირად

⁶ სა-დრუ-ე<*სა-დრუ[ს]-ე. შდრ. „დრუსო არს ღობე ქვისა, მაღალი, კეთილად ნაგები, კოშკოვანი“ (ორბელიანი, 1949). სადრუე იქნებ ადგილია, სადაც ქვის ღობე, დრუსო უნდა აშენდეს?

სიმრავლესაც უკავშირდება" (ზურაბიშვილი, 1961:153). რჩება შთაბეჭდილება, რომ **სა-** პრეფიქსიან კომფიქსებში დანიშნულებას სწორედ პრეფიქსი გამოხატავს, მასთან მიერთებულ სუფიქსს კი დანიშნულების მნიშვნელობა არ უკავშირდება (შდრ. გოგოლაშვილი, 2011:233).

ა.კ. შანიძე **სა-ე** და **სა-ო** პრეფიქსებს აიგივებს (შანიძე, 1973:136): „**სა-ო** იგივეა მნიშვნელობით, რაც **სა-ე**, ოღონდ ამას მეტი სასიცოცხლო ძალა აქვს: ახალ-ახალი სიტყვებისაგან ეს აწარმოებს სახელებს, რომლებიც უმეტესად ზედსართავებია...“

გ. ახვლედიანის დაკვირვებით, თანასწორ პირობებში **სა-ე**'ს (ე.ი. ე'ს) სუბსტანტივობისაკენ აქვს მიდრეკილება, **სა-ო**'ს (ე.ი. ო'ს) კი - ადიექტივობისაკენ, რამდენადაც **-ო** ქართულში იხმარება ზედსართავის საწარმოებელ სუფიქსად, **-ე** კი - სუბსტანტივის მაწარმოებელია (ახვლედიანი, 1923:58-59).

მოიყვანს რა თ. ჟორდანიას დაკვირვებას, თ. ზურაბიშვილი აკეთებს დასკვნას: „ზემოთქმულის გათვალისწინება და მასალის ანალიზი თითქოს შესაძლებლობას იძლევა ვივარაუდოთ, რომ თუ **სა-ე** აფიქსების თავდაპირველი ფუნქცია იყო მხოლოდ დანიშნულების გამოხატვა, **სა-ო** აფიქსებისა, როგორც თ. ჟორდანიას ფიქრობს, განკუთვნილია, ვისობა უნდა ყოფილიყო" (ზურაბიშვილი, 1961:154).

ჩანს, **სა-ე** და **სა-ო** კონფიქსებს თავდაპირველად საერთო ფუნქცია არ უნდა ჰქონოდათ. **სა-** პრეფიქსი, როგორც აღვნიშნეთ, დანიშნულებას გამოხატავდა, **-ე** და **-ო** სუფიქსები კი განსხვავებული ფუნქციის მატარებლები იყვნენ.

4.8. პრეფიქს-სუფიქსი **სა-ა**. **სა-თომ-ა** (ანჩა), **სა-ქარ-ა** (||სა-ქარ'ი-ა), **სა-მორლ-ი-ა** (გოროშეთი).

სა-ა კონფიქსიანი რამდენიმე ტოპონიმი გვხვდება „კავკასიის ხუთვერსიან რუკაზე: Сагориа - **სა-ქორ-ი-ა** (დაილა, ართვინი), Сагорния - **სა-ყორნ-ი-ა** (კლდე, ართვინი).

სა-ა კონფიქსში სუფიქს **-ა**'ს თითქოს თანხმომავანი ნაწილი (სავარაუდოდ -თ, შეიძლება სხვაც) აკლია.

4.9. პრეფიქს-სუფიქსი **სა-არ**||**ალ**: **სა-ბუდ-არ**'ი (სინკოთი. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან. შდრ. საბუდარა), **სა-ბუდ-არ**'ი (გურბინი), **სა-მძირ-ალ**'ი (<*სა-მზირ-ალ'ი. გურბინი), **სა-ვარცხ-ალ-ა** (დევსქელი).

ტოპონიმში **სავარცხალა** ერთდროულად ორი სუფიქსია ნახმარი - ალ და -ა. იგივე -ა „აღდგება“ მოყვანილ სხვა გეოგრაფიულ სახელებშიც: სა-ზუდ-არ-ა, სა-მზირ-ალ-ა.

4.10. პრეფიქს-სუფიქსი სა-ევ. სა-კირ-ევ (ანჩა. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან. შდრ. კირევ//კირებ. აქაც დანიშნულებას სა- პრეფიქსი გამოხატავს, -ევ'ის ფუნქციაც მკრთალად, მაგრამ მაინც შეიმჩნევა).

4.11. პრეფიქს-სუფიქსი სა-ეთ. სა-მალ-ეთ'ი (სახრე), **სა-ყავრი-ეთ'ი** (გურბინი), **სა-თაფლი-ეთ'ი** (ანჩა), **სა-კმელ-ეთ'ი** (ისკები).

4.12. პრეფიქს-სუფიქსი სა-ათ: სა-ქარ-ათ'ი (დევესქელი. შდრ. სა-ქარ-ა), **სა-ყონი-ათ'ი** (<*სა-ყო[რ]ნი-ათ'ი. ზაგინი. შდრ. სა-ყორნი-ა).

შეიმჩნევა, რომ ტოპონიმებში შესაძლებელია **სა-ეთ** და **სა-ათ** კონფიქსები მონაცვლეობნენ (შდრ. სა-ქარ-ათ'ი//სა-ქარ-ეთ'ი, სა-ყორნი-ათ'ი//სა-ყორნი-ეთ'ი, სა-მალ-ათ'ი//სა-მალ-ეთ'ი...), რაც კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ სუფიქსებში -ეთ, -ათ ფუნქციური დატვირთვა მოდის თანხმოდან ელემენტზე.

4.13. პრეფიქს-სუფიქსი სა-ავ. სა-ცირ-ავ'ი (<*სა-ცურ-ავ'ი), **სა-სირ-ავ'ი**, **სა-ბეჭდ-ავ'ი**||**სა-ბერტავი**, **სა-ხად-ავ-ა** (ირსა. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან).

ე.წ. კონფიქსებით ნაწარმოებ ტოპონიმებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ კონფიქსში შემავალი პრეფიქსი და სუფიქსი განსხვავებული ფუნქციის მატარებლები არიან. მაგალითად, სა-ევ, სა-ეთ, სა-ათ, სა-ავ პრეფიქს-სუფიქსში სახელს დანიშნულების მნიშვნელობას პრეფიქსი აძლევს, ზოგჯერ მკრთალად, მაგრამ მაინც სუფიქსის ფუნქციაც ამოიცნობა.

§5. რთული სახელები კლარჯეთის ტოპონიმიაში

კლარჯეთის ტოპონიმის ერთი, საკმაოდ მრავალრიცხოვანი ნაწილი კომპოზიტებია. რთული სახელები, ჩვეულებრივ, მსაზღვრელ-საზღვრულებია, წყობა ხან პოსტპოზიურია, ხანაც - პრეპოზიციური.

რთულფუმიან კომპოზიტებში ორ ჯგუფს გამოვყოფთ: არსებითი სახელი + არსებითი სახელი, არსებითი სახელი + ზედსართავი სახელი... თუმცა ეს დაყოფა პირობითია, რამდენადაც კომპოზიტში წარმოდგენილი ფუძეები გაარსებითებულია (შდრ. ცეცხლაძე, 2004:47).

5.1. კომპოზიტში შემავალი ფუძეები არსებითი სახელია.

საზღვრული მხოლოდით რიცხვშია, მსაზღვრელის ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის თანხმოვანი დაკარგულია. ასეთ შემთხვევაში მსაზღვრელ-საზღვრული ერთ ფუძედ, კომპოზიტად აღიქმება:

კატრისერი (<*კატრი[ს]სერი),

კატრიძირი (<*კატრი[ს]ძირი. ქართლა),

ჭელითავი (<*ჭელი[ს]თავი. ქართლა),

ბლიძირი (<*ბლი[ს]ძირი. ქართლა),

ხევიპირა (<*ხევი[ს]პირა. ბაშქო),

ქედიძირი (<*ქედი[ს]ძირი. იბრაქი),

ჰაჯიკეთი (<*ჰაჯი[ს]ქედი. დურჩა),

ჩიტიმზარა (<*ჩიტი[ს]მზარა <*ჩიტიმზირა. ხატილა. მემედ ალი ქესკინის ჩანაწერებში დასტურდება ჭიტიმზარა <*ჩიტიმზარა. ჩ:ჭ მონაცვლეობით),

ლობიოყანა (<*ლობიო[ს]ყანა),

წყაროთავი (<*წყარო[ს]თავი. ჩხალეთი),

თიკალთა (<*მ[თი[ს]კალთა. ისკები),

ხიდიბუკი (<*ხიდი[ს]ბუკი. შდრ. ბუკი - პირისახე (ნიჟარაძე, 1971).

ხიდიბუკი - ხიდის სახე?),

კალოთავი (<*კალო[ს]თავი),

ჯორიფეხი (<*ჯორი[ს]ფეხი <*ჯვარი[ს]ფეხი. ქლასკური),

აურთავი (<[რ]უ[ს]თავი(?). ა<რ'საგან),

ჯღელიფერი (<*ჯღელი[ს]ფერი. მარადიდი),

წყალოთვარი (<*წყალო[ს]თვარი <*წყაროსთვარი. მარადიდი),

კაბისტევ (<*კაბი[ს]თევ <*ქვაბისტევ <*ქვაბისტავ. სახრე. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან. აქ ქართულის არმცოდნის მიერ ქართული სახელის გამოთქმის სიმძნელესთან გვაქვს საქმე),

ხამითავი (<*ხამი[ს]თავი. მარადიდი. შდრ. ხამი მიწა - უხნავი, დაუმუშავებელი მიწა (ნიჟარაძე, 1971), „ძველი კორდი“ (ორბელიანი, 1949), ყამირი. ხამისთავი ყამირის, დაუმუშავებელი მიწის თავია.),

ტურუბუდე (<*ტური[ს]ბუდე),

გობიყანა (<გობი[ს]ყანა. ზ. ქლასკური),

ჩინიაკოზირ (<*ჩინია[ს][რ]კო[ს]ძირი. ხატილა. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან),

ბაგინიწივერ (<*ბაგინი[ს]წივერ. ირსა. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან. საქმე გვაქვს თურქული გამოთქმის გავლენასთან: წვერ>წივერ... სრულხმოვნობისაკენ მიდრეკილება),

კალოკითავი (<*კალოკი[ს]თავი. ხატილა. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან. იქნებ კალოთავია და სწორად ვერ ჩაიწერა ჩამწერმა, ანდაც ქართული არმცოდნე რესპოდენტმა ვერ წარმოთქვა სწორად?),

ჩანჩხითავი (<*ჩანჩხი[ს]თავი <*ჩანჩხ[რ]ი[ს]თავი <*ჩანჩხერისთავი <*ჩანჩქერისთავი. ქლასკური),

კოძირი (<[რ]კო[ს]ძირი. ქლასკური),

იმანაჯორ (<*იმანა[ს]ჯორ <*იმანა[ს]ჯვარ'ი. ანჰკორა),

ლეკიზირლარ (<*ლეკი[ს]ძირლარ - ლეკისძირები. ნაჯვია),

კილდითავ (<*კილდი[ს]თავ. კარსნია),

ჰუწიყანა (<*ჰუწი[ს]ყანა. კარსნია. იქნებ ხუციყანაა?),

კაკოათავ (<*კაკოა[ს]თავი. ნაჯვია. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან),

ალიაკანა (<*ალია[ს]ყანა. თ. ართ.),

წოწოლაზირ (<*წოწოლა[ს]ძირ. ხოდი. წოწოლა მსხლის ჯიშია),

ხატიქედი (<*ხატი[ს]ქედი. ზ.ქლასკური),

ნაჩვისერ (<*ნაჯვი[ს]სერ'ი<*ნაჯვი[ას]სერი. ნაჯვია. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან),

ანჩიბარი (<*ანჩი[ს]ბარი. ანჩა. მდრ. აჭიბარი<*ანჭი[ს]ბარი<*ანჩიბარი. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან),

გოგითავი (<*გო[რ]გი[ს]თავი. შაინახო),

ნასიქეთი (<*ნასი[ს]ქედი. ორთული),

ქარაფიზირი (<*ქარაფი[ს]ძირი<ქორაფისძირი. გურბინი),

სვეტიბარი (<*სვეტი[ს]ბარი. ნ. სოლნ. 23),

გორიჰყანა (<*გორი[ს]ყანა. ჰ:ს მონაცვლეობით),

ხეზორი||ზეძორი (<*ხეჯორი<ხეჯვარი?),

ვაზიხევი (*ვაზი[ს]ხევი),

ლომაშენი (<*ლომა[ს]შენი. სოლნ.14),


ანჩიჩხეტი (თუ ანჩისხატი? - შოთა ჯაფარიძის შენიშვნა ნ. სოლნიშკინის ცნობაზე),

რუქვეში (<რუ[ს]ქვეში. კორიდეთი),

ჭოჭიკვერა ქვა (<ჭოჟი[ს]კვერა ქვა. ჭ:ჟ-ს მონაცვლეობით. **ჭოჟი** კიდეე აჭარულში ნიშნავს - ტენი, ნესტი, სისველე. ნიჟარაძე, 1971),

სერმიაწოლი (<სერმი[ს]წოლი? კარსნია),

ოფლიბოსტანი (<*ოფლი[ს]ბოსტანი. ჯივანი),



თირიზილი (<*თირი[ს]ძირი. ზ:ძ მონაცვლეობით; რ-ლ<რ-რ დისიმილაციით. კატრევანი),

აზანათვალი (<*აზანო[ს]თვალი. ა-ო>ა-ა რეგრესული, სრული ასიმილაციით. სამწყალი),

ყვავინაჯვარი (<*ყვავინა[ს]ჯვარი? კარჩხალა).

„კავკასიის ხუთვრსიან რუკაზე“ დაუტანიათ: Алвани-кале - **ალვანი-კალე** (მთ. ართვინი), Ауджи-килиса - **აუჯი-ქილისა** (<*აუჯის ქილისა. შდრ. მონადირის ეკლესია), Кани-тепе - **კანი-თეფე** (<*ყანი-თეფე. მთ. ართვინი), Синакли-тапа - **სინაკლი-თაფა** (ყორღ. ართვინი).

ანალოგიური წარმოების გეოგრაფიული სახელები გვხვდება ჭოროხის სხვა „ქვეყნებშიც“: **აჭარი[ს]წყალი, მუთუნი[ს]ყანა...**

კომპოზიტის მეორე ნაწილად გვხვდება **ხევი, ქედი**:

ლომიკეთი (<*ლომიქედი. მურღული),

ქურციქეთი (<*ქურციქედი<ქურც[ს]იქედი. გოროშეთი),

კურდიგეთ (<*ქურდიქედ'ი. ნაჯვია. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან),

ხაზარკეთ (<*ხაზარქედ'ი. ანჩა. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან),

დუმაზკეთ (<*დუმასქედ'ი(?). ანჩა),

ზედაკეთ (<ზედაქედ'ი. ირსა),

კორნალიქედი (მარადიდი), შავქედი (დევსქელი),

ქოთანახევი (ქლასკური),

წითელხევი (ჩხალეთი),

კარცხავ (<კარცხევ. ნაჯვია. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან),

კულსხევ (ანჩა. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან),

ვაკეხევი (ირსა. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან),

ჯოდლიხევ (ირსა),

კაბისხევ (<*ქაბისხევ<*ქვაბისხევ. ირსა),

შიკინახევ (მამაწმინდა),

ჩისხელხევ||ჩისლეხევ (მელო),

სარსიხევ (<*ცარციხევ. მელო),

სამძიახევი (<*სამზიახევი<სამზია[რ]ხევი),

შიქონოხოვი (თუ შიქუნოხოვი - მთარგმნელის შენიშვნა. სოლნ. 20),

გორდასხევი (სოლნ. 19),

ფერესხევი (კარჩხალა).

კომპოზიტის პირველი ნაწილი მრ. რიცხვშია:

კოკოლეთხევი (ქართლა),

ზღვანთხევი (ქართლა),

ლეღვათხევი (ქლასკური),

გონთხევ (ირსა),
შაფათხევ (სახრე. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან),
ბასალათხევ (ანჩა. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან),
ჯამათხევ (ორჯი. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან),
ჩინგოთხევი (სოლნ. 19),
ლონგოთხევი,
ჭინკათხევი (აწინდელი მურღული),
ცალთხევი (დევსქელი).
კომპოზიტის პირველი ნაწილი არსებითი სახელის ფუძეა:
ხოზაგარა (ხოდი),
სირაგალა (<*სირაგარა. რ-რ>რ-ლ დისიმილაციით. ხოდი),
ხავნაგარა (ხოდი),
ჭიკარა (<*ჭისკარა<[ბ]ჭისკარა. ანაკერტი),
პეტობანი (<*პეტუბანი<პეტრეთუბანი(?),
ცოცხობაი (<*ცოცხობანი<*ცოცხუბანი),
ასლანჩაირი,
ლოდიხევი (კარჩხალა),
ლეკობანი (<*ლეკუბანი),
კულეჭჩალა (<*კულეჭჩალა. ჭჭ>ჭჩ),
წყალოქრო (მარადიდი),
შიშართავი,
კითონჯივარი (<*კითონჯვარი. ქართლა),
კატნაკარა (შდრ. კატნა[ს]კარა<კატნასკარი?),
ჭოროხმხედნელი (ხეზა),
კვარცხანა (სოლნ. 9),
თავკალო (ხოდი),
გულკვავ (<გულქვაბი(?). ხატილა. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან),
ჯუხუმერე (<*ჯიხამერე? დევსქელი. შდრ. მერენციხე - აჭარა),
ტანზეგარა (<ტანძაგარა. ხოდი, ციხის სახელია. შდრ. ტანძია, ტანძოთი),
ქვამარილაი (კარჩხალა),
ყანაველა (მარადიდი. შდრ. ველიყანა),
წალოქრო (<*წყალოქრო).
„ხუთვერსიან რუკაზე“ დატანილია:
Барналик-тепеси - ბარნალიკ-თეფესი (მთ. ართვინი),
Зоут-богазь ზოუთ-ბოლაზი (ულ. ართვინი),
Каралых-меше - კარალიხ-მეშე (საგ. ართვინი),
Крач-тапа - კრაჩ-თაფა (<*კრაჩ-თეფე),

Кюкюрд-даг - **კიუკურდ-დადი** (მთ. ართვინი),
магара-дагы (Агара-башь) - **მალარა-დადი** (აგარა-ბაში),
Макриет-тепе - **მაკრიეთ-თეფე** (მთ. ართვინი),
Масхалет-таши - **მასხალეთ-ტაში** (მთ. ართვინი),
Самослиат-гель - **სამოსლიათ-გოლი** (ტბა ართვინი),
Тузлу-тепеси - **ტუზლუ-თეფესი** (მთ. ართვინი),
Эгре-су - **ეგრე-სუ** (ართვინი).

ხანა/ე ფუძიანი გეოგრაფიული სახელები დატანილია „კავკასიის ხუთვერსიან რუკაზე“:

Гюмиш-хана - **გუმიშ-ხანა** (ართვინი),
Гиас-хане - **გიას-ხანე** (ართვინი),
Гули-хана - **გული-ხანა** (<გული-ყანა?),

კლარჯეთში გვხვდება გეოგრაფიული სახელი **კარჩხალა** (სოფელი, მთა, მდინარე). აქ მსაზღვრელ-საზღვრულის ინვერსიულ რიგთან გვაქვს საქმე, შდრ. - **ჩხალასკარი**.

რამდენიმე ტოპონიმში ბრუნვის ნიშანი შენარჩუნებულია: **დოლისყანა** („კავკასიის ხუთვერსიან რუკაზე“ დატანილია Долис-хана - დოლის-ხანა. აქ ჩაწერის სიძნელეა: ქართულის არმცოდნე კარტოგრაფმა ზუსტად ვერ ჩაიწერა ინფორმატორის ნათქვამი. **დოლისხანე**’ს ახსენებს ნ. სოლნიშკინიც. სოლნ. 23), **წყაროსთავი** (კარჩხალა),

ქაბისთავ (<*ქ[ვ]აბისთავ’ი),
Кетмис-цвери - **კეტმის-წვერი** (მთ. ართვინი).

საკვლევ რეგიონში დადასტურდა **კარ**’ ფუძით ნაწარმოები კომპოზიტები:

მალრიკარი (<*მალრისკარი <*მალარის კარი. შდრ. მალაროს კარი),
დოლაბიკარი (<დოლაბისკარი),
გენჯალაკარი (<გენჯალასკარი. ებრიკა),
ჩახრიკარი (ავანა),
კაპკარი (ანჰკორა. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან),
ჯამიკარი (ხოდი),
თუქნიკარი (<*დუქნიკარი. ქურა),
გუბიკარი (დურჩა),
თიბაქუკარი,
შენეკარი (კარჩხალა),
კვირაკარი,
ნალიჰკარი (<*ნალისკარი<ნალიის კარი).

კარ' ფუძიანი ერთი გეოგრაფიული სახელი გვხვდება „ხუთვერსიან რუკაზე“: Квабекари - ქვაბიკარი/ქვაბეკარი.

ერთ შემთხვევაში ლაზურ ფუძეს ერთვის **კარ'**: **ღალიშკარი** (ჩხალეთი).

დასახელებული ტოპონიმების ასახსნელად საინტერესოა, გავიხსენოთ **კარ'** ფუძის მნიშვნელობა ქართველურ ენებში:

მეგრული: **კარი** - კარი: შესასვლელი, სახლი უფლისა, ნიში. კარი (სასახლისა), კარავი (მწყემსისა): **ჩემნაშკარი** - ჩემინავას კარი (ჩემინავას ეზო - ავტ.); **კარ'** შედის ასევე კომპოზიტში **კარ-კანი** - კარ-მიდამო, კარ-ალაგე (ქობალია, 2012). მოყვანილ განმარტებაში ზოგი რამ დაზუსტებას მოითხოვს, კერძოდ ის, რომ „კარი მცირე დასახლებასაც ნიშნავს (ჩემნაშკარი - ჩემინავას კარი)“. ვფიქრობთ, ზუსტია **კარ'**ის იოსებ ყიფშიძისეული განმარტება: двер, дверь, усадна (ყიფშიძე, 1995).

კარ'ის მნიშვნელობა კარგად ჩანს - საკარმიდამოში.

ძველ ქართულში ეზოს ერთ-ერთი მნიშვნელობაა - **კარი** (აბულაძე, 1973).

ქართულში **კარ'**ის (ეზოს მნიშვნელობით) სინონიმია **კალოც**.

სვანურში **კალოს** ერთ-ერთი მნიშვნელობაა **ეზო** (თოფურია, ქალდანი, 2000).

მოყვანილ ტოპონიმებში **კარი** ეზოს, ეზო-კარის, კალოს მნიშვნელობით იხმარება (იხ. ფაღავა, 2014(1); 2014: 63-64).

5.2. კომპოზიტის მეორე ნაწილი ძე, შვილია. კომპოზიტად ჩავთვალეთ ტოპონიმები, რომელთა ფუძეში **ძე** ან **შვილია**, სხვაგვარად, გეოგრაფიულ სახელად გვარებია გამოყენებული:

ქურდაზე||ქურდაძე (მელო),

დოლაბიზე (<*დოლაბიძე),

ტიფანიზე||დეფანზე||თეფანზე (ხატილა. ფონეტიკური სახესხვაობები თურქული გამოთქმითაა შეპირობებული),

კოხოზე (<*კოხოძე. კატრევანი),

ჰანდაძე (<*ხანდაძე<*ხანთაძე?).

სხალთეთრში დადასტურდა ტოპონიმი **თაქოზე**. ვფიქრობთ, აქ საქმე გვაქვს ფონეტიკურად სახეცვლილ **ტაკოძე** ფორმასთან.

ერთ შემთხვევაში ტოპონიმი მრ. რიცხვშია: **ჯიაზენი** (<ჯიაძენი).

ჯალაბაშვილები (ქლასკური), **ხინჭკალაშვილები** (ქლასკური).

ქართლაში ჩავიწერეთ ტოპონიმები **ჯუანჯე** და **ვასაჯე**. თუ დავუშვებთ, რომ ქართულში, თუნდაც რომელიმე ქვესისტემაში დასაშვებია **ჯ:**

მონაცვლეობა, მაშინ საქმე გვაქვს გვარისაგან ნაწარმოებ გეოგრაფიულ სახელებთან: **ჯუანძე** და **ვასაძე**. **ვასაძე** ცნობილი გვარია საქართველოში, **ჯუანძე** - რომელიღაც გვარ-სახელის თურქული გამოთქმაა, გასარკვევია - რომლის.

ერთი ტოპონიმი -**ყე**'ზე ბოლოვდება: **ქოფაყე** (ხოდი). ძნელი სათქმელია, რომელი სახელის ფონეტიკური გარდაქმნის შედეგია აღნიშნული ტოპონიმი, თუმცა ვარაუდის გამოთქმა შეიძლება: **ქოფაყე**<**კოპაყე**. თუ დავუშვებთ, რომ ტოპონიმი წარმოთქმულია ქართულის არმცოდნის მიერ კლარჯეთის მეთურქულე სოფელში, შესაძლებელია, საქმე გვქონდეს **კოპაძე**-ს თურქულ გამოთქმასთან.

გვხვდება თურქული **ოდლუ**||**ოდლი**'თ დაბოლოებული რამდენიმე ტოპონიმი (იხ. ქვემოთ 5.3).

მოყვანილ მასალას დაემატება კიდევ რამდენიმე სახელი „კავკასიის ხუთვერსიანი რუკიდან“: Махлудзе - **მახლუძე** (ართვინი), Стефанидзе - **სტეფანიძე** (მზრ. ართვინი), Шубладзе - **შუბლაძე** (მთ. ართვინი). ამავე რიგში შევიტანთ ტოპონიმს Гогидзиеби - **გოგიძიები** (<*გოგიძეები. დაილა ართვინში). ჯერჯერობით სულ ესაა. ჯერჯერობით იმიტომ, რომ მომავალში შეიძლება კიდევ გამოვლინდეს -**ძე**'თი ნაწარმოები გვარ-სახელები გეოგრაფიულ სახელად. წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ **ძე**'თი ნაწარმოები გვარები ტოპონიმად იშვიათია სამხრეთ საქართველოში:

აქარა: **გოგაძე** (ახლა გოგაძეები), **დიაკონიძე** (||დიაკონიძეები)...

შავშეთი: **დევაძე** (||დევაძევი), **მაჩხატიძე** (ახლა მაჩხატეთი)...

შავშეთსა და კლარჯეთში -**ძე**'ზე დაბოლოებულ რამდენიმე გვარს გეოგრაფიულ სახელად ადასტურებს ნ. მარი: **თავკაზე** (<*თავკაძე), **კოტალაზე**||**კოტალაძე**, **დევაძე**||**დებაძე**, **სოლომანძე** (იხ. ფაღავა, 2012:44).

ბუნებრივია, დაგვებადოს კითხვა: რითაა გამოწვეული -**ძე**'ზე დაბოლოებული გვარების სიმცირე გეოგრაფიულ სახელებად კლარჯეთში, ზოგადად სამხრეთ საქართველოში? დასმულ კითხვაზე პასუხი უნდა ვეძიოთ -**ძე**'ზე (ასევე -**შილზე**) დაბოლოებული გვარების გავრცელებულობაზე ისტორიულ სამხრეთ საქართველოში.

როგორც ვხედავთ, კომპოზიტური ფუძეები კლარჯეთის ტოპონიმიაში მრავალფეროვან სურათს ქმნის. შეიძლება ითქვას, გეოგრაფიული სახელის ფუძის საწარმოებლად დიალექტმა გამოიყენა რთული ფუძის შექმნის ყველა შესაძლებლობა.

**5.3. უცხოურფუძიანი კომპოზიტები კლარჯეთის ტოპონი-
მიაში.** კლარჯეთის ტოპონიმიაში გვხვდება თურქული თუ თურქულის
გზით შემოსული ფუძეებით თხზული კომპოზიტები, რაც ბუნებრივია, არაა
მოულოდნელი.

რამდენიმე ტოპონიმი ქართულ-თურქული ფუძეებისაგან შედგება,
გვაქვს ე.წ. ჰიბრიდული ტოპონიმები:

კაპანუმბაში (გულეშენი. შდრ. კაპნითავი - აჭარა),

დიდბაირაღლარი (ნაჯვია. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან),

საჭიდიბი (<*სოჭიდიბი. ხატილა),

სიჩდიბი (<სოჭდიბი. მელო. შდრ. სოჭიძირი),

დიდხანე (ანჭკორა. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან. შდრ. დიდი
სახლი),

მამასინ დერესი (ენი რაბათი. შდრ. მამათხევი),

კოლასირთის (<*კოლა[ს]სირთი. ხატილა),

ნაპუზარბოლა (<ნაფუძარბოლა[ზი]. შდრ. ნაფუძარკარი. ანჩა. მემედ ალი
ქესკინის მასალებიდან).

სხვა კომპოზიტებში თურქული ფუძეებია გაერთიანებული:

დუდუქგოლი (კარსნია),

ჰაჯათნამა (სამწყალი),

გულდიბი||გოლდიბი (მელო. ამოსავალ ფორმად გოლდიბი უნდა
მივიჩნიოთ. შდრ. ტბისძირი),

სულუქგოლი (კარსნია),

ერმანიდერი (<*ორმანიდერი(?), თუმცა შესაძლებელია **ერმანიდერი**
(<*ერმენიდერი) იყოს, სომხის ადგილი. კარსნია),

ბუფუქდუზ (კარსნია. შდრ. დიდველი/დიდველა),

მალაუსჩამი (მაილა უჩჩამი(?), ართვინის სამხრეთითააო, ამბოზს ნ.
სოლნიშკინი. იხ. სოლნ. 12),

ჯეჰენემ დერესი (არტანუჯს ქვემოთ. სოლნიშკინი ასახელებს ჯიჰანემ-
დერესი. სოლნ. 24. ამოსავალია ჯეჰენემდერესი - ჯოჯოხეთის ხევი),

ბაღყადა (ენირაბათი. შდრ. თაფლისხევი),

დათიბენდი (ორთული),

ყავახლოდუზი (არტანუჯი, გულეშენი),

თაშლიჰოზან (<*ტაშლიოზან. სინკოთი. მემედ ალი ქესკინის
მასალებიდან),

დერეთარლა (გულეშენი. შდრ. ხევისქედი),

ბაშქოდ (სინკოთი),

ბაირთარლა (გულეშენი),
ჩანდიბი (<*ჩამდიბი(?) - ნამვიძირი. გურბინი),
ადაგული (თ. ართვინლი),
დობრიანჯო||დობრიანჯო (მარადიდი),
კედიხანე (<*ქედიხანე? სხალთეთრი. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან.),

აჯიელმა (<ჰაჯიელმა? ანჰკორა),
დუზიერი||დუზმაჰალე (ქლასკური),
ორთა მაჰალე (ართვინის უბანი. ნ. სოლნიშკინი იწერს **ორთამეილე**. იხ. სოლნ. 7. ამოსავალია ორთამაჰალე. შდრ. შუაუბანი, შუბანი),

დერე მეილე (<*დერე მაჰალე. ართვინის უბანი, ხეობა ართვინთან ახლოს. სოლნ. 8),

ჩარში მეილე (<*ჩარში მაჰალე შდრ. ბაზრის უბანი. (სოლნ. 7. ართვინის უბანი),

სიხმაჰალე (სახრე),
აშალი მაჰალე (ნაჯვია),
გობექლი მაჰალე (ნაჯვია),
იუქარი მაჰალე (ნაჯვია),
დედემაღაგილი (ბოსელთა),
ბახჩელიევლარი (კარსნია),
ბაღმეზალლუდი (ანჩა).

უმეტესად მეთურქულე კლარჯეთში დასტურდება ასეთი გეოგრაფიული სახელები:

გოლხანა (ირსა), **თაშდიბი** (<*ტაშდიბი. ხატილა. შდრ. ქვისძირი),
ეგრიტაში (ხოდი), **დერებალ** (ნაჯვია. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან),
ჰარმანბაში (ნაჯვია. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან), **ფაშა პუნლარი** (<*ფაშა ფუნლარი. შდრ. ფაშისწყარო. სინკოთი), **იმრეგალ** (<*იმრეგოლ. ნაჯვია),
ყაფითარლა (ხოდი), **ტარიბოლაზი** (ანჩა), **თექმეზერი** (ანჩა), **ავლბაზარ** (ანჩა. შდრ. ავლბაზარი), **ტაშინარდი** (კარსნია), **შაშრეკალა** (<*შაშრეკალა. ნაჯვია, მემედ ალი ქესკინის მასალებიდან), **ალატურან||ალათურან** (ნაჯვია. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან).

ადგილის სახელებად დასტურდება **-ოღლუ**თი (შდრ. ქართული „შვილი“) გაფორმებული გვარები:

დოლიშოღლუ (ხოდი),
ბადოხლი (<*ბადოღლი. ირსა. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან),
თამაროღლუ (სინკოთი შდრ. თამარაშვილი),
ჰანოღლუ (შდრ. ჰანიძე||ჰანიშვილი),

ათანოღლი (ხატილა. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან),
ათანოღლი მაჰალე (ქლასკური),
შეიხოღლი (გურბინი).

ანალოგიური ტოპონიმები გვხვდება „ხუთვერსიან რუკაზე“: Мустафа-оглы - **მუსტაფა-ოღლი** (ართვინი), Навдар-оглы - **ნავდარ-ოღლი** (ართვინი), Сахмар-оглы - **სახმარ-ოღლი** (ართვინი).

უმეტეს შემთხვევაში ტოპონიმადქცეული გვარ-სახელები მრავლობითის (-**ლარ** სუფიქსიანი) ფორმითაა წარმოდგენილი. ასეთი გეოგრაფიული სახელები გვაგონებს -**ეთ** (დავითეთი, ძნელიეთი, კახიეთი), -**ძე** (მაჩხატიძე, დევაძე) და -**შილი** ით (ხაბელაშვილები, სტეფანაშვილები) გაფორმებულ გეოგრაფიულ სახელებს:

შათიროღულლარი (ირსა. შდრ. შათირიშვილები, შათირეთი),
შეხოღულლარი (ირსა. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან),
ლომანოღულლარი (ირსა. მემედ ალიქესკინის მასალებიდან),
კაგოღულლარი (ირსა. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან),
კადიოღულლარი (<*ყადიოღულლარი. ირსა),
ერგანოღულლარი (<*ერქანოღულლარი. ირსა. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან),

შიხმანოღულლარი (ირსა. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან),
მოლლაოღულლარი (ირსა. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან),
იუსუფოღულლარ (ნაჯვია. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან),
ჩავაშოღულლარ (ირსა. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან),
ხაპიდოღულლარი (<*ხაფიზოღულლარი. ირსა. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან).

ამავე რიგში უნდა გაერთიანდეს ტოპონიმი **დელიჩოფულლარი** (ირსა. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან).

მსგავსი გეოგრაფიული სახელები უმეტესად დასტურდება ირსასა და ნაჯვიაში. ისინი მიკროტოპონიმებია და აღნიშნავენ დიდი ოჯახის თუ სახლელულის საცხოვრებელ ადგილს (შდრ. -**ეთ** სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელები ტბეთის ეპარქიაში „ტბეთის სულთა მატიანის“ მიხედვით). დასახლებული ტოპონიმები თურქულია (თურქულფუძეებიანი კომპოზიტებია), მაგრამ სიტყვათქმნადობის მოდელი - ქართული.

5.4. ლაზური ფენა კლარჯეთის ტოპონიმიში. ისტორიულ კლარჯეთში რამდენიმე ტოპონიმი ლაზურია: **სკურუქა||სკურუჯა** (შდრ. სკურჩა), **ქლასკური||ქლასქური** (ხეობა ბორჩხის მახლობლად), **ოხოჯერი**

(***ოხო[რ]ჯერი?** გურბინი), **ოხორდია**, **წყალჩხური** (***წყარჩხური** შდრ. მსხვილი წყალი).

კლარჯეთის საგეოგრაფიო სახელებში ლაზური ფენა არც მოულოდნელია და არც შემთხვევითი. ლაზები (მეგრელები) ხომ ამ კუთხეში ოდითგან ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ დღესაც.

5.5. ატრიბუტივიანი ტოპონიმები კლარჯეთიდან. ატრიბუტულ-მსაზღვრელიანი გეოგრაფიული სახელები საკმაოდ ბევრია საკვლევო რეგიონის ტოპონიმიაში. მსაზღვრელ-საზღვრულის წყობა უმეტესად პირდაპირია: ზედსართავი სახელი + არსებითი სახელი:

დამწვარტყე (დევსქელი), **სასვენდუქანი** (გურბინი), **თეთრკილდე** (დევსქელი), **წითელმიწა** (ჯივანი), **ახალშენი** (კორიდეთი), **ახალშენი** (გურბინი), **სილაგარა** (სახრე), **წითლობანი** (<წითელუბანი. გველი), **დიდვენახი** (კარჩხალა), **დიდახო** (მამაწმინდა), **ვაქყანა||ვაქკანა** (***ვაკყანა** <ვაკყყანა. ხოდი), **დიდველი** (ბოსელთა), **დიდვაკე** (მელო), **დიდვაკე** (ანჩა), **ზელილჭალა** (***მელილჭალა** <*[გ]მელიჭალა<[გრ]მელიჭალა), **წორეყანა** (***სწორეყანა**, მამაწმინდა. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან), **პატარახევ** (ანჩა), **დიდღანითავ** (***დიდყანითავ**. ხატილა. ყ:ღ მონაცვლეობით), **გალიყანა** (***განიყანა**. ანჭკორა), **დიდაღმართი** (ზ. ქლასკური), **შავტყე** (მარადიდი), **ახალშენი** (ბაგინი), **ახალტყე** (დევსქელი), **ჩხაკუნაყანა** (ჩხალეთი), **დიდუბე** (ხატილა), **დიდალაზანი** (***დიდავაზანი?** ქართლა), **ფულმიწა** (მამაწმინდა), **ახალდაბა** (ირსა), **დიდქუა** (<დიდქვა. ქართლა), **დიდყანა** (ქართლა), **ხამყანა** (ქართლა), **ვაკყყანა** (ქლასკური), **ველიყანა** (სამწყალი), **ძროცახტარ** (***ცროსაყდარ**. შდრ. მცირე საყდარი. გოროშეთი), **ვერანაზალი** (კარჩხალა), **დიდაღმართი** (დევსქელი), **გმელყანა** (დევსქელი), **ჯღელიფერთი** (***ჯღელიფერდი**. მარადიდი).

დასტურდება მსაზღვრელ-საზღვრულის ინვერსიული რიგიც: არსებითი სახელი+ზედსართავი სახელი: **ქვადიდი**, **მამაწმინდა** (სოლნ. 12), **გიოგოწმინდა** (***გიორგი** წმინდა. მელო), **თვალანგელო** (ჩხალეთი. შდრ. მთავარანგელო - კირნათში), **სხალთეთრი** (***წყალთეთრი**), **ელიეწმინდა** (შდრ. ელიაწმინდა), **ვარკეთილი** (ზ. ქლასკური), **თავკოლაჲ** (ჰეზორი. შდრ. თავკოკოლაჲ), **მარადიდი**, **ულელტეხილაჲ** (ქართლა).

მოყვანილი ნიმუშებიდან ჩანს, რომ კლარჯეთის ტოპონიმიაში ჭარბობს მსაზღვრელ-საზღვრულის პირდაპირი წყობა, მცირეა ინვერსიული წყობის ნიმუშები. ვიტყვით, რომ ინვერსიული წყობის გეოგრაფიული სახელები კლარჯეთის ტოპონიმის უძველესი ფენაა.

რამდენიმე ტოპონიმში მსაზღვრელად რიცხვითი სახელი გვაქვს: **ათმეიდან** (დურჩა), **ათიგორა** (მარადიდი), **სამწყალი**||**სამწყარი**, **სამოსხარ**||**სამწყალ** (<სამსხარ<სამწყალ. ენი რაბათი).

სამოსხარ თურქულად გამოთქმული ქართული **სამწყალია**. ქართულის ცუდად მცოდნემ თუ საერთოდ უცოდინარმა ქართველმა (შეიძლება არაქართველმაც), **წ.ყ** ბგერების გამოთქმა ვერ მოახერხა. **სამწყალი**’დან **სამოსხარ**’ამდე გზა გვიჩვენებს კულტურათა დიალოგს და მის შედეგს კლარჯეთში და ზოგადად ჭოროხის ქვეყნებში.

5.6. უდეტრები კომპოზიტებში. ერთ გეოგრაფიულ სახელში კომპოზიტის წევრად უარყოფითი ნაწილაკი (**არა**) დადასტურდა: **არაშერთული** (სხალთეთრი. შდრ.: **შერთული** - ადგილი შავშეთში).

კომპოზიტს ქმნის ზმნიზედისა და სახელის თუ მასთან გათანაბრებული ფუძის გაერთიანება: **უკანმერე** (ქართლა), **უკანმერე** (ქლასკური), **შუბანი** (<*შუაუბანი. ხება), **ზომობანი** (<*ზემოუბანი. ქლასკური), **ქომობანი** (<*ქვემოუბანი. დევსქელი), **დაბლაზეგანი** (დურჩა), **ზედვაკე** (ჩხალეთი), **ზედვაკე** (მამაწმინდა), **ზედვაკე** (სამწყალი), **გაღმობანი** (<*გაღმაუბანი. დევსქელი), **უკანაკირბული** (ქლასკური), **წინაკირბული** (ქლასკური), **ქომობა** (<*ქომობა[ნი]<ქვემოუბანი), **ზედუბანი** (<*ზედაუბანი. ხება), **შუაწვერი** (ქლასკური), **ქომო სოფელი**||**ქომოთა სოფელი** (ქვემოსოფელი. შდრ. ქოსოფელი - ქედა), **ზეგანი** (<*ზემოგანი), **ცინცარო** (<*წინწარო <წინ წ[ყ]არო. მელი), **ზომო ქურა**, **ქომო ქურა**.

ერთ შემთხვევაში გვაქვს მსაზღვრელ-საზღვრულის შებრუნებული წყობა: **ქედსუკანი** (ჯივანი).

კომპოზიტის შემადგენლობაში დადასტურდა **-თან(ა)** თანდებულები: **ჯინოშთანა** (მარადიდი), **წყალთან** (ყანა. ქლასკური). გეოგრაფიულ სახელთა ფუძეებში **-თანა** თანდებული იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება საქართველოს ტოპონიმიაში: **ტბათანა** (თუშეთი), **კართანა** (ფშავი)... (ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988:189. შნშ. 2). ბარემ აღვნიშნავთ, სპეციალურ ლიტერატურაში გამორკვეულია, რომ **თანა** „უპირატესად იხმარება აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში“ (ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988:189). დასკვნა მთლიანად გაზიარებული ვერ იქნება, რამდენადაც გათვალისწინებული არაა ქართული ენის სხვა კილოთა მონაცემები. **-თანა** გვხვდება სამხრეთ საქართველოს ტოპონიმიაშიც. ნ. ცეცხლაძე შავშეთში ადასტურებს მიკროტოპონიმებს: **ბათანა** (<ტბათანა. სათიბი დაბაწვრილში), **კალოთან** ყანა (<კალოსთან ყანა. სათესი, წეთილეთი. ცეცხლაძე, 2004:52).

შენიშნავთ: არაა სარწმუნო მოსაზრება, რომ „ბათანა<ტბათანა“. ვფიქრობთ, ბათანა<ბალთანა>საგან ლ^ს დაკარგვით. ტბა>ბა^ს, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ქართულში არ დასტურდება.

5.7. ხმაბადვითი სიტყვები კომპოზიტის ფუძეში. ტოპონიმებად გაფორმებულია ხმაბადვითი სიტყვებიც: **ბახაბუხა||ბახაბახა** (კარჩხალა), **ბარგა-ბურგა** (სამწყალი); **ჩანჩახი** (ირსა) (მემედ ალი ქესკინს იგივე გეოგრაფიული სახელი ჩაუწერია ფორმით - **ჯანჯახ**), არნაულში ჩავიწერეთ **ჩანჩაქი**. ყველა მათგანისათვის ამოსავალი უნდა იყოს ქართული **ჭანჭახი**.

მოყვანილი მასალა ცხადყოფს, რომ ყოველგვარი სახელური თუ მასთან გათანაბრებული ფუძე შეიძლება გამოყენებული იყოს გეოგრაფიულ სახელად.

§6. სიტყვათშეერთებით მიღებული ტოპონიმები

კლარჯეთის ტოპონიმიაში მრავლადაა სიტყვათშეერთებით მიღებული გეოგრაფიული სახელები. სინტაგმის, უმეტესად ორწევრა, წევრი შეიძლება იყოს არსებითი სახელი და მასთან მსაზღვრელის ფუნქციით დაკავშირებული ზედსართავი, არსებითი, რიცხვითი სახელები. აღვნიშნავთ, რომ სიტყვათშეერთებით მიღებული ტოპონიმები (ვუწოდოთ - სინტაგმა ტოპონიმები) შედარებით ახალი წარმოებებსაა.

6.1. სინტაგმა შედგება ზედსართავი და არსებითი სახელებ-ისაგან: **დიდი ვენახი** (მამაწმინდა), **დიდი ვენახი** (გველი), **დიდი ქედი** (მარადიდი), **დიდი ვაკე** (ანჩა), **დიდი ყანა** (გურბინი), **დიდი ვენახი** (ერეგუნა);

პატინა ქედი (იბრაქი), **პატამ ყანა** (<*პაწამ ყანა. კარჩხალა), **პატინა თა** (დევსქელი), **პაწამ ქედი** (მარადიდი);

თეთრი დეღე, **თეთრი წყალი** (დევსქელი), **თეთრი ყანა** (სამწყალი).

„ყანა“ აქ მიწის მნიშვნელობითაა ნახმარი.

წვერი ყანა (ქლასკური), **სწორი ყანა**, **გოროხ ყანა** (ქართლა), **კაპან ყანა** (დურჩა), **ჩურუ ყანა** (გურბინი), **ხამი ყანა** (ერეგუნა);

სათიბი ხევი (დევსქელი);

ჭახე წყალი (კორიდეტი);

ვაკე ზეგანი (დურჩა), **მაისური ქედი** (ზ. ქლასკური), **ავაზნიანი გორა** (ბაგინი), **სავარცხალა ქედი** (ზ. ქლასკური);

ძველი ბუდე (კარჩხალა);

გვალი ნაპირი (მარადიდი);

ვერანა ბაღები (კარჩხალა);

კოსოლა კილდე (დევესქელი).

გურბინში ჩავიწერეთ ტოპონიმი **უსტრო ტბა** (<*უსტორო ტბა<უსწორო ტბა?).

რამდენიმე შემთხვევა გვაქვს ინვერსიული წყობისა: **ქვა დოდოფალა, გორგვილ წმინდა** (<*გორგვილ წმინდა<გიორგი წმინდა), **წყალ ფანჩურა||წყალა ფანჩურა** (გველი).

6.2. არსებითი მსაზღვრელად. ზოგჯერ მსაზღვრელის როლში არსებითი სახელია: **კილდე ქვა, პლაკე ქვა, ფაში ყანა** (ქლასკური), **ვაკე სოფელი, წუბი ვაკე** (დურჩა), **გული ყანა** (გურბინი).

6.3. რიცხვითი სახელი მსაზღვრელად. მსაზღვრელის ფუნქციით გვხვდება რიცხვითი სახელი: **ორი ხევი** (კარჩხალა. შდრ. ორხევი), **მარტო სოჭი** (კარჩხალა).

6.4. ზმნიზედა სინტაგმა ტოპონიმში. ზმნიზედა სინტაგმის შემადგენლობაში არცთუ იშვიათია საკვლევ რეგიონში: **მალა ყანა** (ბაშქოი), **ქვედა არხვა, ზედა არხვა, ქომო სოფელი** (ქართლა), **ზომო სოფელი, იქითა ყანა** (ჩხალეთი), **შუა კვლდე** (ბოსელთა), **ზემო ყანა** (კარჩხალა), **შუა ვერხვები** (კარჩხალა), **ზომო ყანა** (ქურა), **ქომო ვენახი** (გველი), **ზომო ვენახი** (გველი), **ქომო გველი, ზომო გველი, ქომო სოფელი** (თხილაზორი), **ზომო სოფელი** (თხილაზორი), **ზომო ქურა, ქომო ქურა**.

6.5. თანდებულიანი სახელი მსაზღვრელად. მსაზღვრელად თანდებულიანი სახელია: **კარზე ყანა** (კარჩხალა), **წყალზე ვენახი** (გველი).

დასახელებულ მაგალითებში **ზე თან'**ის მნიშვნელობით იხმარება.

6.6. სუბსტანტიური მსაზღვრელ-საზღვრული ტოპონიმი. კლარჯეთის ტოპონიმიაში ხშირია სუბსტანტიური მსაზღვრელ-საზღვრული ტოპონიმი. აღვნიშნავთ, რომ მსაზღვრელს ხშირად დაკარგული აქვს ნათესაობითი ბრუნვისნიშნისული თანხმოვანი (ს), ზოგჯერ მთლიანად - ბრუნვის ნიშანი (ის):

თვალის აბანო (კოკოლეთი), **თავქათურის ქვა** (<*თავკატურის ქვა), **ყარსევანის ციხე** (არნაული. გადარჩენილია მხოლოდ წყლის საცავები), **ცივის წყარო||წყარო** (კარჩხალა), **რაბათის ხევი** (ენი რაბათი), **ცირას ყორა, ისკების**

მთა, კარჩხლის ცხალ (||წყალ), დიფსის გოლი (ანჩა), ვართის ხევი (<*ვარდის ხევი. ბოსელთა), ციხის უკან, ციხის წინ (სარბიეთის ციხესთან), კილდის თავი (ბოსელთა), ქართლას აილა, სახლის წინ (გველი), გველენების ვენახი (ერეგუნა), ბერძნევის ღელე (მარადიდი), ჟღელიფეთის ღელე (მარადიდი), ბაგინის აილა (დევსქელი), ადაგულის მთა, ნაქერავის გორა (ბაგინი), ქართლას მთა (ხატილა), კიბეთის ღელე (ზ. ქლასკური), ცხენის ზურგი (ბაშქოდ).

ნუკა საყდარი (კარჩხალა), ბუმბა ძირი (კოროდეთი), დურჩა აილა, ჩამურლი აილა (კორიდეთი), ქედი მალლა (დოლიყანა), მალლი ხევი, ქეხნები კარი (ერეგუნა), ომერი ყანა (კარსნია), ყარშილი მაჰალე (გურბინი), ჯანჯირი ღელე||ჩიქუნეთი ღელე||კარჩხალა ღელე (კარჩხალა), გოგლი ჯვარი (ანჩა), ყურბარა გოლი (ანჩა), ვაკი ბოლო, წისქვილი კარი (გველი), კოპელა ყანა (მამაწმინდა. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან), ჯორი ყანა (<*ჯვარი ყანა. მამაწმინდა), ზალაზანა ქედი (მარადიდი), კორნალი ქედი (მარადიდი), ზანგა ძირი (ჩხალეთი), სოჭები ძირი (დურჩა), ჯინჭრი ყანა (ზ. ქლასკური), კილდი ძირი (ქართლა), დელი ქედი (<*დელიკიძეების ქედი. ზ. ქლასკური), ნაძვი ქედი (ქლასკური), დათვი ჭალა (ბაშქოდ), დოდოფალი ყადა (ბაშქოდ), საქორი ქედი (დევსქელი), ქვაბი კარი (ქართლა), დედე ყანა (დედე მამაკაცის სახელია. ჩხალეთი);

სიტყვათშეერთებით მიღებული გეოგრაფიული სახელები, სინტაგმა ტოპონიმები, დროთა განმავლობაში იქცევიან კომპოზიტ ტოპონიმებად. ჩანს, კომპოზიტი ტოპონიმები, რთულფუძიანი გეოგრაფიული სახელები, თავდაპირველად სინტაგმები იყო, შემდეგ იქცნენ ისინი კომპოზიტებად.

6.7. ქართულ-თურქული და თურქული ფუძეები სინტაგმა ტოპონი-მებში. ტოპონიმ სინტაგმებში დასტურდება თურქული სახელური ფუძეები. გაირჩევა ორი შემთხვევა: ა. სინტაგმის ერთი წევრი ქართულია, მეორე - თურქული, გვაქვს ე.წ. ჰიბრიდული ტოპონიმები, ბ. სინტაგმის ორივე წევრი თურქულია.

ა. ნაკერავ დერე (<*ნაქერავ დერე. ხატილა. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან);

კონტოხ მაჰალე (<*კორტოხ მაჰალე. შდრ. კორტოხი - სოფ. ზემო აჭარაში: კორტ-ოხ - ძველი წარმოების გეოგრაფიული სახელი ჩანს),

ხაბაზი მაჰალე (შდრ. ხაბაზოლლის უბანი. დევსქელი),

ჩიფთე ნალია (წყვილი ნალია. ჩხალეთი);

პატარა ხანე (ანჭკორი. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან);

დიდ ყალა (ჯმერკი);

ნახრაკნ დერესი (შდრ.: ნახრაკი ხევი. შაინ ახო);

სარი პანტა (ყვითელი პანტა? კარსნია);

ქომოთა მაჰალე (შდრ.: ქომო//ქვემო მაჰალე. ავანა);

შუათანა მაჰალე (შდრ.: შუა მაჰალე, შუბანი. ავანა);

ზომოთა მაჰალე (შდრ.: ზემო მაჰალე. ავანა);

მელო დერესი (შდრ. მელოს ხევი. ხატილა);

ნაკორავ დერესი (<*ნაქორავ დერესი? ხატილა);

ქუჭუქ პათნარ (<*ქუჩუქ პანტნარ. ანჭკორა);

ბუღუქ პათნარ (<*ბუღუქ პანტნარ. შდრ.: დიდი პანტნარი. მემედ ალი

ქესკინის მასალეზიდან);

კერკეტა დერესი (კერკეტა ხევი? ხატილა);

ჭივლანი მაჰალე (<*ჭილოვანი მაჰალე);

პაკუნოლი ვენახი;

ნაშობინ დერესი (<*ნაშვაბინ დერესი<ნაშვავი ხევი?. შაინ ახო);

დედამიან დერე (შაინ ახო);

საწუთხე დერესი (შაინ ახო);

სადათვია დერესი (შაინ ახო);

ხარი მათალი (კორიდეთი);

ბენდი მაჰალე (გურბინი);

წისქვილი თარლა (წიქვილი მინდორი. სინკოთი);

ბასილ დერესი (ბასილას ხევი. ხატილა);

გადატეხილი მერი;

თელევან მაჰალე (<*თელოვან მაჰალე. ავანა);

პანთანინ დიბი (<*პანტანინ დიბი. შდრ.: პანტის ძირი. ანჭკორი).

ამავე რიგში შევიტანეთ:

ქუჩუქ ნაშოფ||ნაშოფ (შდრ.: ქუჩუქ ნაშვაგ'ი. ჰეზორი);

ჯოგლა დერე (ხატილა);

ჩიხანუნ დერე (შდრ. ჩიხის ხევი შავშეთში).

მოყვანილ მასალაში იკვეთება ერთის მხრივ ქართულის არმცოდნის მიერ ქართული (ხშირად თურქულისაც) სახელის წარმოთქმის პრობლემა, მეორეს მხრივ, ტოპონიმებში დაჩნდება ზოგიერთი ფონეტიკური მოვლენა, კლარჯულისთვის (ზოგადად სამხრული დიალექტებისთვის) რომაა დამახასიათებელი: **ქომოთა მაჰალე** (შდრ.: ქომო//ქვემო მაჰალე. ავანა); **ზომოთა მაჰალე** (შდრ.: ზემო მაჰალე. ავანა)...

ბ. ჩაილი მაჰალე (ავანა);

აუზბაში მაჰალე (შდრ.: ასისთავის უბანი. ავანა);

ოთურ აჯალი (ოთურ აღაჯი? კლარჯეთი);
მალარა ბოლაზი (შაინ ახო. შდრ. მალაროსკარი);
ქოქსალ ბოზქურეთ (კლარჯეთი);
ჯინ ყადა (შდრ. ჭინკათხევი. ხატილა);
დეუზ ბაღლარი (ორთული);
ყისირი მათალი (შდრ.: ბერწის საწოლი. გურბინი);
დეუზ მეშე (შდრ.: მინდორი//ველი ტყე. გულეშენი);
ფირინჩი თარლა (ბრინჯის ველი? გულეშენი);
მეიდან თარლა (მოედნის ველი. გულეშენი);
ჯამი მაჰალე (ხევა);
გუნეა ორმანე (ხევა);
აკობინ ბაში (შაინ ახო);
დეირმან ბაში (მელო. შდრ, წისქვილის თავი);
მყასლი ტაში (ხოდი);
ბაღლი ყადა (თაფლიანი კლდე? ხოდი);
ხაშუთ მაილა (ხოდი);
ბუღუქ ჩაირი (ანჩა);
ქილისანემ სირთი (ტაძრის ქედი. ანჩა);
არქიმ მაჰალე (ბოსელთა);
ბიდონ ოღულლარი (ბიდონის შვილები. სინკოთი);
გენჯონუნ თარლასი (გენჯის მინდორი? ანჭკორი);
შაჰინ ქადა (ანჭკორი. მიმინოს კლდე?);
სულუქ გოლი (სინკოთი);
ბუიქ ბაღ (<*ბუღუქ ბაღ. სინკოთი);
ქურუქ თეფე (პატარა ქედი. მამაწმინდა);
ქიზილჯიქლი ბაღ (შინდის ბაღი? სინკოთი);
დეღირმენ ქაფისი (შდრ.: წისქვილი კარი. ნაჯვია. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან);
დერე თარლა (ველის ხევი? ნაჯვია);
თოსუნუნ ჯაირი (ანჭკორა. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან);
ბუღუქ თეფე (დიდი ქედი. ანჭკორა);
სირთ მაჰალე (შდრ.: ქედის უბანი. სახრე);
იქი თაშ (შდრ.: ორი ქვა. ანჭკორა. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან);
აშალი ბაღი (ანჭკორა);
აუკარი მაჰალე (ანჭკორა. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან);
ორთა ბაღ (შდრ.: შუა ბაღი. ანჭკორა);
ბუიქ დერე (ანჩა. მემედ ალი ქესკინის მასალებიდან);

- ფინდიქლი დერე (ხატილა);
- ქანლი დერე (შდრ.: ყანლი დერე (სისხლიანი ხევი?), ხატილა);
- მაშხორად დერესი (ხატილა);
- ქიშლა დერესი (<*ყიშლა დერესი. ხატილა);
- ჯაირლიქ დერესი (ხატილა);
- სახან დერე (ხატილა);
- ქურუ დერე (ხატილა. შდრ. მშრალი ხევი);
- ბაჯუხუ დერე (ანჩა);
- ბუღუქ დერე (ხატილა);
- ქურუქ სირთი (პატარა ქედი. ჰეზორი);
- სუაუმ ბოლოზუ (ჰეზორი. შდრ. წყლის ყელი);
- ჯენემ დერე (ჯოჯოხეთის ხევი. ჩხალეთი. შდრ. ჯეჰენემ დერესი - არტანუჯი);
- კუდრეთ ყალა (კარჩხალა. შდრ. მგლის ციხე);
- აჯი გოლი (ხატილა);
- ყაჯი გოლი (ხატილა);
- კერსენ თეფე (ხატილა);
- ქილისე თეფე (საყდრის ქედი. ისკები);
- ბალლი ყადა (თაფლის კლდე? ქლასკური);
- ორთა მეჰელე (ავანა);
- ბაშ ქომ (მურღული);
- ოქუზ მათალი (გურბინი. შდრ. ხარი მათალი);
- მეშილ ყადა (მწვანე კლდე? კარჩხალა);
- უზუნ ჩაირი (არნაული);
- ჭაქირ ჩაირლარი (კონტრომი);
- ჯამე მაჰალესი (გურბინი);
- ქილისა ბომნი (ჯმერკი);
- ქილისე ბოლაზი (ჯმერკი);
- ქოლბაში მაჰალე (სახრე);
- კურთ კალე (შდრ. მგლის ციხე. კარჩხალა);
- ჯინდი ჩამი (გოროშეთი).

როგორც ვხედავთ, თურქული სინტაგმა კლარჯეთის ტოპონიმიაში მრავალია. ყველა მათგანი ახალი წარმოებისაა: ზოგი მათგანი ქართულის პირდაპირი თარგმანია, ზოგიც ანალოგიითაა შექმნილი. ზოგჯერ შთაბეჭდილება რჩება, რომ ინფორმატორი სახელდახელოდ ქმნის სინტაგმა ტოპონიმებს... ყველა შემთხვევაში „ქართული კვალი“ კლარჯეთის თურქულ ტოპონიმიაში ხელშესახებია.

§7. რამდენიმე ტოპონიმური ფუძის ეტიმოლოგიისათვის

კლარჯეთის ტოპონიმის სტრუქტურული ანალიზის შემდეგ ვისაუბროთ რამდენიმე გეოგრაფიული სახელის ფუძის ისტორიასა და ისტორიულ თუ ლიტერატურულ წყაროებში მოხსენებული ზოგიერთი გეოგრაფიული პუნქტის ლოკალიზაციის საკითხებზე.

7.1. ხანძთა და შატბერდი. ხანძთისა და შატბერდის||შატბერთის სავანეების ლოკალიზაციის საკითხს არაერთი მკვლევარი შეეხო. სპეციალურ ლიტერატურაში გამოითქვა მრავალი მოსაზრება, ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავიც. აზრთა სხვაობის მთავარი მიზეზი ისაა, რომ ჟამთა სვლაში დავიწყებას მიეცა ერთ დროს მნიშვნელოვანი საეკლესიო და სამწიგნობრო ცენტრების ადგილმდებარეობა. ხალხის მეხსიერებას არ შემოუნახავს თვით საგეოგრაფიო სახელი **შატბერდი**. **ხანძთა** კი ჰქვია სოფელ უბის ზემოთ (უბურ დაილაზე) ერთ ადგილს, მაგრამ აქ საეკლესიო ცენტრის არსებობა არაა სავარაუდებელი.

დ. ბაქრაძე აღნიშნავს: შატბერდი „...მდებარეობს ჭოროხის ხეობაში, მაგრამ სახელდობრ სად, არ ვიცით და ვერ გვიპოვნია... ჩვენ ვფიქრობთ, რომ შატბერთად უნდა იგულისხმებოდეს დოლისყანა (ლოდისყანა), თუმცა ახლა, როგორც მე ადგილობრივ დავრწმუნდი, ეს სახელი დაკარგულა” (იხ. ბაქრაძე, 1987.:129-130).

როგორც ვხედავთ, დ. ბაქრაძემ შატბერდად დოლისყანა მიიჩნია.

ნ. მარის ვარაუდით, **შატბერდი** უნდა იყოს უსახელო სავანე, რომელიც მდებარეობს სოფელ ფორთის მიდამოებში, სახელდობრ - ფორთის სამხრეთ ზონაში, რომელიც ამჟამად ფორთის ბაღების სახელით არის ცნობილი. ხოლო **ხანძთა** უნდა იყოს ფორთის ჩრდილოეთით მდებარე **ნუკას საყდარი** (Mapp, 1911, 125; 139).

ნ. მარის ეს მოსაზრება მთლიანად გაზიარებული არაა. მკვლევრის ცთომილება გამოწვეული უნდა იყოს გიორგი მერჩულის თხზულების გაუთვალისწინებლობით.

ე. თაყაიშვილი უფრო შორს მიდის და აღნიშნავს, რომ ხანძთისა და შატბერდის არსებობა სავარაუდებელია არა კლარჯეთში, არამედ ეფფრატის ხეობაში (თაყაიშვილი, 1890.: LXI-LXXIII).

ჩვენთვის უცნობია, რა წყაროს ეყრდნობოდა ავტორი, როდესაც ამ დასკვნას აკეთებდა. ეფფრატის ხეობაში ხანძთისა და შატბერდის მდებარეობა

დღემდე ცნობილი არც ერთი ისტორიული თუ ლიტერატურული წყაროს მიხედვით არ ივარაუდება.

ხანძთისა და შატბერდის მდებარეობის გასარკვევად ბევრი იღვაწა პ. ინგოროყვამ, რომელმაც ნ. მართან ერთად ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა გიორგი მერჩულის თხზულებისა და, საერთოდ, ადრეფეოდალური ხანის მწერლობისა და ისტორიის შესწავლაში.

მოვიყვანთ ამონარიდებს პ. ინგოროყვას შრომიდან:

„ხანძთის მონასტერი...მდებარეობდა ძველ ქართულ მხარეში, კლარჯეთში (ჭოროხის ხეობაში...), IX-X საუკუნის სატახტო ქალაქის არტანუჯის ახლოს” (იხ. ინგოროყვა, 1954.:14).

„მას შემდეგ, რაც აღმოჩნდა გიორგი მერჩულის თხზულების სრული დედანი, საბოლოოდ და მტკიცედ დადასტურდა, რომ ხანძთა და შატბერთი კლარჯეთის მხარეში მდებარეობდნენ, ჭოროხის ხეობაში, არტანუჯისა და ანჩის მეზობლად, სახელდობრ, კლარჯეთის იმ ზონაში, სადაც მდებარეობს ოპიზა”(ინგოროყვა, 1954.:306).

„**ხანძთა** არის სწორედ ის უსახელო სავანე, რომელიც მდებარეობს **სოფელ ფორთის სამხრეთ ზონაში**” (ინგოროყვა, 1954.: 311).

შენიშვნა: რამდენადაც **ფორთა||პორტა** ადრეც იხსენიება (იხ. ინგოროყვა, 1954.:314 და შემდეგ), კერძოდ, წინა არაბულ ხანაში (V-VII საუკუნეებში) აქ საეპისკოპოსო ცენტრი იყო, შეუძლებლად მიგვაჩნია მისი გაიგივება ხანძთასთან. გიორგი მერჩულის თხზულებაში არაა აღნიშნული ხანძთის ადგილას წინათ რაიმე ტაძრის არსებობა, მით უმეტეს კათედრალისა. მწერალს რომ სცოდნოდა აქ ასეთი მნიშვნელოვანი კერის არსებობის შესახებ, აუცილებლად აღნიშნავდა ამ ფაქტს თავის შრომაში. თხზულებაში აღნიშნულია, რომ როდესაც გრიგოლი მივიდა ხანძთაში, იქ მარტომყოფი ბერი, ხუედიოსი დახვდა.

გავიხსენოთ სხვა ეპიზოდი: „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ნათქვამია, რომ იშხნის საკათედრო ტაძარი დანგრეული იყო და იგი უფლის მინიშნებით განაახლა საბა იშხნელმა. ამიტომაც საბას მწერალი იშხნის „მეორედ მაშენებელს“ უწოდებს. ასეთ რამეს არ წერს გიორგი მერჩულე ხანძთის შესახებ. გრიგოლი ხანძთისა და შატბერდის მაშენებელია. ვფიქრობთ, ეს მნიშვნელოვანი ფაქტია.

„ძველი შატბერთი საძიებელია არტანუჯის მხარის იმ უბანში, დოლისყანის მახლობლად, სექტორში, სადაც მდინარე იმერხევი ერთვის ჭოროხს”(ინგოროყვა, 1954.:317).

ამ მოსაზრების გაზიარება გაჭირდება რამდენიმე მიზეზის გამო. ჯერ ერთი, დოლისყანა არ მდებარეობს იქ, სადაც მდ. იმერხევი ერთვის ჭოროხს.

უფრო მეტიც, მდ. იმერხევი საერთოდ არ ერთვის ჭოროხს, იგი შავშეთისწყლის შენაკადია, ერთვის შერთულთან. მეორეცაა და, დოლისყანის მახლობლად სხვა დიდი საეკლესიო ცენტრი არ არსებობს.

პ. ინგოროყვას ეს ცთომილებები უპირველესად იმითაა გამოწვეული, რომ მკვლევარს ამ მხარეში არ უმოგზაურია და ადგილზე არ უნახავს კლარჯეთის სავანეები. მისი კვლევა მხოლოდ ლიტერატურულ, ისტორიულ და კარტოგრაფიულ წყაროებს ეყრდნობოდა.

ხანძთისა და შატბერდის ლოკალიზაციის პრობლემას სხვა მკვლევრებიც შეეხნენ, განსაკუთრებით დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში (XX საუკუნის 90-იანი წლებიდან მოკიდებული), მაგრამ ისინი უმეტეს შემთხვევაში იმეორებენ ზემომოყვანილ მოსაზრებებს. სიცხადისათვის მოვიყვანთ ზოგიერთ მათგანს.

ვ. ჯობაძე წერს:

1. მერჩულეს მიხედვით **ხანძთა** მდებარეობს **ოპიზასა** და **მიძნადოროს** შუა; 2. **შატბერდი** მდებარეობს არა **ოპიზასა** და **მიძნადოროს** შორის, არამედ არტანუჯსა და დოლისყანა-ბერთას შუა (ვიმოწმებთ: გივიაშვილი, კოპლატაძე, 2004.:70).

ვფიქრობთ, ვ. ჯობაძის მოსაზრებიდან ხანძთის მდებარეობა, მისაღებია, მეორე - შატბერდის ლოკალიზაცია დაზუსტებას მოითხოვს, რამდენადაც დოლისყანასა და ბერთას შორის ბევრი ძეგლია განთავსებული.

შ. ამირანაშვილის დაკვირვებით, **ფორთა ხანძთაა** (იხ. ამირანაშვილი, 1971.:176).

ნ. ალექსიძე და დ. ხოშტარია თვლიან, რომ **ენი რაბათის** „... ძველი სახელი დაკარგულია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს უნდა იყოს **შატბერდი**, გრიგოლ ხანძთელის მიერ დაარსებული დიდებული მონასტერი...” (ალექსიძე, ხოშტარია, 1991.:127). ავტორთა მსჯელობას დამაჯერებლობას ისიც ჰმატებს, რომ ისინი ითვალისწინებენ გიორგი მერჩულის თხზულების მონაცემებსაც.

ნუკას საყდარი კი დგას „... მიუვალ ადგილას, სტალაგმიტივით აღმართული კოლოსალური კლდის მომცრო შვერილზე, რომელიც სპეციალურად ამოყვანილი სუბსტრაქციით გაუფართოებიათ. ჩრდილოეთ ფასადით ეკლესია კლდეს ეკვრის და ნაწილობრივ გამოკვეთილია მასში, ხოლო სამხრეთ და აღმოსავლეთ ფასადები უშუალოდ აგრძელებს კლდის ვერტიკალურ კედლებს” (ალექსიძე, ხოშტარია, 1991.: 130).

იმერხევიში, სოფელ უბეში, **ჭალაში** არის ეკლესიის ნანგრევები. მისი მხილველი შ. ფუტყარაძე მორიდებით გამოთქვამს ვარაუდს: „იქნებ დღევანდელი ჭალა არის ის დავაკება, სადაც პირველად ააშენეს **ხანძთის**

მონასტრის ხის სენაკები და ხის ეკლესია, შემდეგ კი დიდი ტაძარი” (ფუტკარაძე, 1993.:189).

რ. ჟორდანიას აზრით, **პორტა ხანძთაა** (იხ. ჟორდანიას, 1997.:6). ბატონი რეზო თავის დასკვნებში განიცდის ვ. ჯობაძის გავლენას და ეს არცაა გასაკვირი. იგი ხომ ზოოლოგია, ორნითოლოგი და არასოდეს უკვლევია ისტორიული გეოგრაფიის პრობლემები. გზად გაიარა ამ მხარეში სხვა საქმესთან დაკავშირებით (აქაურ ფლორასა და ფაუნას აკვირდებოდა), სიტყვამ მოიტანა და ხანძთის „ლოკალიზაცია“ მოახდინა.

ირ. გივიაშვილი და ირ. კოპლატაძე თვლიან, რომ **ხანძთა ფორთაა, შატბერდი - ენი რაბათი** (გივიაშვილი, კოპლატაძე, 2004).

შატბერდის ლოკალიზაციის საკითხს შეეხო თემურ ხუციშვილი. მან უარყო შატბერდისა და ენი რაბათის იდენტურობა და შატბერდად მიიჩნია „ბოსელთასა და აგარასთან არსებული ნანგრევები“ (ხუციშვილი, 2004:3). პირველად **შატბერდი შარბეთთან** გააიგივა თურქმა ისტორიკოსმა მ. ქადროღლუმ: „სავარაუდოა, რომ **შარბეთი** ეკუთვნის გიორგი მერჩულის მიერ აღწერილ პერიოდს. ოპიზას, წყაროსთავს და პარეხის ჩრდილოეთ ეკლესიას ბევრი საერთო აქვს შარბეთთან. ამის საფუძველზე ვასკვნით, რომ შარბეთი ეკუთვნის IX საუკუნის პირველ ნახევარს... ჩვენ ვბედავთ, შარბეთი გავაიგივოთ შატბერდთან“ (ქადროღლუ, 1999:281. ვიმოწმებთ, ხუციშვილის დასახელებული შრომის მიხედვით).

რომ შევაჯამოთ სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებები, სურათი ასეთია:

დ. ბაქრაძე: შატბერდი დოლისყანაა (მოგვიანებით თავადვე უარყო ეს მოსაზრება);

ნ. მარი: შატბერდი უსახელო სავანეა ფორთის მიდამოებში, **ხანძთა** კი - **ნუკას საყდარი**;

ე. თაყაიშვილი: ხანძთა და შატბერდი ეფფრატის ხეობაშია საძიებელი;

პ. ინგოროყვა: ხანძთა ის უსახელო სავანეა, ფორთის მიდამოებში რომ მდებარეობს, **შატბერდი** კი **დოლისყანის მახლობლადაა**;

ვ. ჯობაძე: ხანძთა ოპიზასა და მიძნამორს შუა მდებარეობს, **შატბერდი** კი - **არტანუჯსა და დოლისყანა-ბერთას შუა**;

შ. ამირანაშვილი: ფორთა ხანძთაა;

ნ. ალექსიძე, დ. ხოშტარია: შატბერდი აწინდელი ენი რაბათია;

შ. ფუტკარაძე: სავარაუდოა, ხანძთის მონასტერი დღევანდელ ჭალაში (უბის მახლობლად) მდებარეობდეს ;

რ. ჟორდანიას: პორტა (ფორ-თა) ხანძთაა;

ირ. გვიგიაშვილი, ირ. კოპლატაძე: შატბერდი ენი რაბათია, ფორთა - ხანძთა.

მ. ქადიროღლუ, თ. ხუციშვილი: შატბერდი ზოსელთასა და აგარასთან არსებული ნანგრევებია.

ხანძთისა და შატბერდის||შატბერთის ლოკალიზაციისათვის ყველაზე სანდო წყარო გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაა“. აღნიშნული თხზულების მონაცემებისა და ჩვენი ამ მხარეში არაერთგზისი მოგზაურობის შთაბეჭდილებების შეჯერებით თავს უფლებას ვაძლევთ, მკითხველის ყურადღება მივაქციოთ აღნიშნულ საკითხებზე.

გიორგი მერჩულის თხზულებაში ხაზგასმულია, რომ ხანძთის კლდეები „უფიცხლესია“ კლარჯეთის კლდეთა შორის; და რომ მონასტრისათვის ბერებმა დაავაკეს ეს ფიცხელი კლდეები. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ავტორი ასე აღწერს ხანძთის ადგილმდებარეობას: „და არს იგი უგზო და მიუვალ რადთურთით სოფლისა წესითა მცხოვრებელთაგან, რამეთუ ღადოთა მათათა შინა მაღალთა არს მკვიდრობად მათი. და მორტყმულ არს ერთ კერძო მთად იგი და ერთ კერძო შავშეთისა დიდთა წყალთა შეკრებისა გარემოსლვად გარემოადგეს ზღუდის სახედ უძრავისა. და ესრეთ ყოვლითა კერძო შეზღუდვილ არიან მათათა მიერ და ხევნებისა და წყალთა მათგან საშინელად ადგილთა მავალთადასა. და მონასტერსა მათ შინა არა არს სათიბელი ქვეყანად, არცა ყანად სახნავი...“ (მერჩულე, 1981.:245).

მოყვანილი ვრცელი ამონარიდიდან ჩანს, რომ ხანძთა არის „უგზო და მიუვალ“, რომ „ღადოთა მათათა შინა მაღალთა არს მკვიდრობად მათი“, რომ იგი ერთი მხრიდან „მორტყმულ არს“ მთებით, რომ „ყოვლითა კერძო შეზღუდვილ არიან მათათა მიერ და ხევნებისა“, რომ ძნელი მისასვლელია, რომ მონასტერს არა აქვს „სათიბელი ქვეყანად, არცა ყანად სახნავი“... ყველაფერი ეს ზუსტად აღწერს იმ მიდამოებს, სადაც მდებარეობს აწინდელი ნუკას საყდარი, რომლის სექტორშიცაა ფორთა და ოპიზაც. ჩანს, ისტორიული ხანძთა მერმინდელი ნუკას საყდარია, მოგვიანო ხანაში სახელშეცვლილი. უპირველესად აღვნიშნავთ, რომ ნუკას საყდრის მიდამოებში მართლაც არ არის სათიბი და სახნავი მიწები, რაც არ ითქმის ფორთაზე, რომლის ახლოს ბაღებიც ყოფილა. აღნიშვნად ღირს ის ფაქტიც, რომ ხანძთის სამონასტრო ადგილი ბერებმა დაავაკეს მძიმე შრომით. ვისაც ფორთა უნახავს, დაგვეთანხმება, რომ მისი ადგილმდებარეობა არ მოითხოვს დიდ შრომას სამონასტრო ადგილის დასავაკებლად, რასაც ვერ ვიტყვით ნუკას საყდარზე...

კიდევ ერთი რამ იქცევს ყურადღებას: გიორგი მერჩულე თავის თხზულებაში არ ახსენებს ფორთას; თუ რატომ, დაბეჯითებით რაიმეს თქმა ძნელია. უნდა ვივარაუდოთ, რომ გიორგი მერჩულის მიერ აღწერილ ეპოქაში

იგი უკვე აღარ იყო მნიშვნელოვანი საეკლესიო ცენტრი. ყურადღება მივაქციოთ ერთ ფაქტს: როცა გრიგოლმა სამონასტრო ცხოვრება დაიწყო, იმ მხარეში მხოლოდ ოპიზის მონასტერი იყო. ჩანს, ფორთას თავისი ფუნქცია უკვე დაკარგული ჰქონდა, არადა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არაბობამდე იგი საეპისკოპოსო კათედრალი ყოფილა.

გიორგი მერჩულის თხზულებიდან კიდევ ერთ ეპიზოდზე მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას: ნაწარმოებში აღნიშნულია, რომ აშოტ ერისთავთ-ერისთავმა ხანძთის ახალი ეკლესიის შენება დაიწყო. „ხოლო იყო მას ჟამსა ხანძთას წინამძღვრად მამად არსენი, ნათესავით აზნაური, ამისითა განზრახვითა იქმნა დაწყებად ახლისა მის და შვენიერისა ეკლესიისად ფიცხელსა მას კლდესა ზედა, რომელიცა ფრიადითა შრომითა და ქვითკირითა მყარითა მრავალთა ჟამთა დაავაკეს და ესრეთ შეჰრაცხეს შემზადებად ადგილისა მის, ვითარმცა სრულიად აღეშენა. არამედ აკურთხენ ქრისტემან ამონა, სიბრძნით სრულიად მაშენებელი, და შემწენი ყოველნი... ხოლო ქვა და კირი ფრიად შორით მოაქვნდა ძნელთა მათ გზათა კაცთა ზურგითა. და ყოველი სასწორითა იწონებოდა, რამეთუ იყიდდეს მაშენებელნი იგი” (მერჩულე, 1981.: 257-258).

ეს ამონარიდი ჩვენთვის საინტერესო ცნობებს შეიცავს, კერძოდ:

1. რომ ეკლესიას აშენებენ „ფიცხელსა მას კლდესა ზედა”, რომ „ფრიადი შრომით” და „ქვითკირითა მყარითა” დაავაკეს ადგილი. აღვნიშნავთ, რომ ნუკას საყდრის სამხრეთი კედელი სპეციალურად ამოყვანილ სუბსტრატკვიაზე დგას. როგორც ვხედავთ, ამ მონაცემით ნუკას საყდრის მდებარეობა ზუსტად ემთხვევა ხანძთისას.

2. საშენი მასალა - ქვა და კირი შორიდან მოჰქონდათ ზურგით ძნელად სავალ გზაზე. თხზულების ეს მონაცემიც მთლიანად ემთხვევა ნუკას საყდრის მდებარეობას. იგი დღესაც ძნელად მისადგომია და არც სამშენებლო ქვაა ახლოს საგულევებელი;

3. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ მშენებლობას ხელმძღვანელობდა გრიგოლ ხანძთელის მოწაფე ამონა. საფიქრებელია, იგი ის ამონა ვახთანგ მოძარღულის ძეა, „სინური მრავალთავის” ანდერძში რომაა მოხსენიებული, როგორც წიგნის ერთ-ერთი გადამწერი (იხ. მრავალთავი, 1959; იმნაიშვილი, 1975.:10; სარჯველაძე, 1984). იგივე ამონა უნდა იყოს პეტრესთან, ანდრიასა და მაკარისთან ერთად ოპიზის მაშენებელი. ბასილი ზარზმელის თხზულებაში ვკითხულობთ: „აღეშენა წმიდად და დიდი უდაბნოე ოპიზად მონაზონთა მიერ, რომელთა ეწოდებოდა ამონა, ანდრია, პეტრე და მაკარი” (ზარზმ. 1981.:150). ჩანს, ხანძთისა და ოპიზის ახალი ტაძრები ერთდროულად აშენებულა, რამდენადაც ორივეს მშენებლობაში მონაწილეობს ამონა, ვახთანგ

მომარაგების ძე, რომელიც შემდგომ მოღვაწეობას იერუსალიმში, საბაწმინდის ლავრაში, აგრძელებს.

ეს ეპიზოდიც ამყარებს ჩვენს ვარაუდს ხანძთის მდებარეობის თაობაზე.

კიდევ ერთი საყურადღებო ცნობაა დაცული „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“. მხედველობაში გვაქვს შემდეგი: გრიგოლმა უბრძანაო დიდ ზენონს: „ძმაო, შთავიდეთ ვენახად, რომელ არს გზასა თანა ოპიზისასა, რამეთუ ჟამი იყო სთვლისაჲ“. ამ ვენახებში შეხვდნენ ისინი მაკარი ოპიზელს. მათ ერთად გაათიეს ღამე. დილით „მაკარი წარვიდა ოპიზად, ხოლო მამაჲ გრიგოლ და ზენონ აღვიდეს თვისად მონასტრადვე“.

მოყვანილი ამონარიდიდან ჩანს, რომ გრიგოლი და ზენონი „შთავიდნენ ვენახად“ (აქ უდავოდ იგულისხმება ფორთის ვენახები, რომელნიც ხანძთიდან, აწინდელი ნუკას საყდრიდან, ოპიზისაკენ მიმავალ გზაზეა), მეორე დღეს კი „მაკარი წარვიდა ოპიზად“, გრიგოლი და ზენონი „აღვიდეს თვისად მონასტრადვე“.

ვხედავთ, რომ ფორთის ბაღები ხანძთასა და ოპიზას შორისაა. თხზულებიდან ისიც ჩანს, რომ ბაღები დაშორებულია ორივე მონასტრისაგან იმდენად, რომ იქ წასულ ხანძთელ ბერებს მაკარისთან ერთად ღამის გათევაც კი მოუხდათ ვენახებში. მეორეცაა და, ხანძთა ვენახების ზემოთ მდებარეობს. ნათქვამია, რომ „გრიგოლი და ზენონი „აღვიდეს თვისად მონასტრადვე“, ხოლო „მაკარი წარვიდა ოპიზად“. თუ გავითვალისწინებთ ოპიზის, ფორთისა და ნუკას საყდრის მდებარეობას (ისინი ერთ სექტორში მდებარეობენ), განლაგება ასეთია: ოპიზა და ფორთა დაახლოებით ერთ ზოლზეა (ფორთა შედარებით მაღლაა), ნუკას საყდარი კი ორივეზე უფრო მაღლა დგას.

ყოველივე ეს გვარწმუნებს, რომ დღევანდელი ნუკას საყდარია სწო-რედ ძველი ხანძთა.

გიორგი მერჩულის თხზულებაში კიდევ ერთი ცნობა იქცევს ყურადღებას: როცა გრიგოლ ხანძთელმა იგრძნო „განსლვაი ხორცთაგან“, თავის ძმებს უბრძანა, კერეონები მიეტანათ მახლობელი უდაბნოებისათვის, „რომელ არიან ოპიზაჲ და ფრთენი მისნი - ბერთაჲ და მახლობელი მისნი მიძნადოროჲ და წყაროჲსთავი თანამკვიდრით მათითურთ. ხოლო შატბერდი დაღაცათუ სხვათა მათ უდაბნოთა მცირედ შორავს...“ (მერჩულე, 1981:318).

მოყვანილი ეპიზოდიდან ჩანს, რომ ხანძთა და ოპიზა მახლობლად მდებარეობენ, მახლობლადვეა ბერთა, მიძნადორი და წყაროსთავი, ხოლო შატბერდი „სხვათა მათ უდაბნოთა მცირედ შორავს...“.

რომ შევაჯამოთ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ცნობები ხანძთის შესახებ, სურათი ასეთია:

1. ხანძთა მდებარეობს უგზო და მიუვალ ადგილას, „ლადოთა მათათა შინა მაღალთა არს მკვიდრობად მათი“.

2. მონასტერს ერთ მხარეს ერტყმის მთა, მეორე მხარეს კი „შავშეთისა დიდთა წყალთა შეკრებისა გარემოსლვად გარემოადგს ზღუდის სახედ უძრავისა“; „და ესრეთ ყოვლითა კერძო შეზღუდვილ არიან მათათა მიერ და ხეცების და წყალთა მათგან საშინელად ადგილთა მავალთადასა“.

3. ხანძთას არა აქვს არც სახნავი და არც - სათიბი.

4. ხანძთა გაშენებულია „ფიცხელსა მას კლდესა ზედა“, რომელიც დიდი შრომით და „ქვიტვირითა მყარითა მრავალთა ჟამთა დაავაკეს“.

5. ტაძარი მდებარეობს ფორთის ბაღების ზემოთ. იგი საკმაოდ დაშორებული ჩანს მისგან. ხანძთის მეზობლადაა ოპიზა, ბერთა, მიძნადორი და წყაროსთავი.

6. ოპიზის გზაზე (იგულისხმება ხანძთიდან ოპიზისაკენ მიმავალი გზა) გაშენებულ ვენახებთან ახლოს (ფორთის ბაღებთან ახლოს) გიორგი მერჩულე რაიმე მონასტერს არ ახსენებს.

ყველა მონაცემით ხანძთა აწინდელი ნუკას საყდარია და არა ფორთა, როგორც ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს.

ამის შემდეგ შეიძლება შატბერდის მდებარეობის საკითხზეც ვიმსჯელოთ. გიორგი მერჩულის სიტყვებით, შატბერდი „სხუათა მათ უდაბნოთა მცირედ შორავს“ (სხვაგვარად: შატბერდი სხვა უდაბნოთაგან მოშორებით დგას).

გავიხსენოთ ერთი ეპიზოდი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“: მამა გრიგოლმა ხელმწიფეს ურჩია, მოენახულებინა კლარჯეთის უდაბნოები. მეფე და დიდებულები დათანხმდნენ ბერს და სთხოვეს, თავად წასძლოლოდა ამაღას. სვლა მეფის სასახლიდან, არტანუჯიდან, იწყება. გრიგოლმა მეფე და მისი თანმხლებნი ჯერ შატბერდში მიიყვანა. რამდენადაც პირველად შატბერდში მივიდნენ, სავარაუდებელია, რომ სხვა საეკლესიო ცენტრებთან შედარებით იგი არტანუჯთან ახლოსაა.

არტანუჯთან ახლოს მნიშვნელოვანი საეკლესიო ცენტრი ენი რაბათია (დაახლოებით 16 კილომეტრში).

საფიქრებელია, აწინდელი ენი რაბათი ოდინდელი შატბერდია, სახელშეცვლილი.

მეფე და მისი ამაღა არ ასულან ანჩაში (30 კილომეტრზე მეტია არტანუჯიდან), არამედ შატბერდიდან წამოსულებს შეუერთდა ზაქარია ანჩელი ეპისკოპოსი. იქიდან მივიდნენ ჯმერკსა და ბერთაში, - წმინდა ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაში, შემდეგ - ოპიზაში, აქედან კი - ხანძთაში, წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში. ხანძთაში მოვიდნენ

მიძნადოროს წინამძღვარი დავითი და მისი მოწაფეები - ილარიონი, წყაროსთავის მაშენებელი და შემდგომ მცხეთის კათალიკოსი და მამა ზაქარია - ბარეთელთა მაშენებელი. ამის შემდეგ მეფემ და მისმა ამაღამ მოილოცეს მიძნადორო, წყაროსთავი და ბარეთელთა (მერჩულე, 1981.: 254-258).

მაშასადამე, მეფისა და მისი ამაღლის მარშრუტი ასეთია: არტანუჯი> შატ-ბერდი>ჯმერკი>ბერთა>ოპიზა>ხანძთა>მიძნადორო>წყაროსთავი>ბარეთელთა.

ამ მარშრუტიდანაც ჩანს, რომ ხანძთა მიძნადოროსთან და წყაროს-თავთან ახლოსაა. მიძნადორთან ახლოსაა დღევანდელი ნუკას საყდარი.

დღევანდელი ენი რაბათის ადგილას, ჩანს, უწინ დიდი საეკლესიო ცენტრი იყო. ტერიტორიულად ენი რაბათის მიდამოები სააგარაკედ გამოსადეგია. ძეგლის მდებარეობა ამართლებს გიორგი მერჩულის სიტყვებს: „ამოტ კუროპალატმაო „შეწირნა ადგილნი კეთილნი და შატბერდისა ადგილნი აგარაკად ხანძთისა“.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ისტორიული შატბერდი დღევანდელი ენი რაბათია.

ჩვენს ხელთ არსებული ყველა მონაცემის გათვალისწინებით, ხანძთა ნუკას საყდარია, შატბერდი - ენი რაბათი.

დაბოლოს, შევხვით ხანძთისა და შატბერდის (||შატბერდის) ეტიმოლოგიის საკითხს:

ხანძ-თაში გამოიყოფა **ხანძ** ძირეული მასალა და **თ(ა)** მრავლობითობის სუფიქსი. იგივე ძირი დასტურდება **ხანძ-არ**ში.

აჭარულში შ. ნიჟარაძე ადასტურებს **შეხანძვას** გადახარშვის, გადახ-რაკვის, ზედმეტად მოხარშვის მნიშვნელობით. „ცოტა გამუნეღე ცეცხლი, ცავ, არ **შეიხანძოს** შეჭამანდმა“ (იხ. ნიჟარაძე, 1971).

ჩანს, **ხანძ** ძირი ანალოგიური მნიშვნელობით იხმარებოდა სხვა სამხრულ კილოებშიც.

შეხანძვასთან ერთად იხმარება **დახანძვა**, **ხანძვა**... მისი ძირითადი მნიშვნელობაა **დახრაკვა**, **ჩახრაკვა**, **ჩაწვა**. იტყვიან „ჩეიხანძა საჭმელიო“, ან „კურაღებია (ყურაღებია) და „მიწა დეიხანძაო“.

დახანძვა, **შეხანძვას** ემახიან მზის სიმხურვალით მიწის ზედაპირის თუ ხეხილის ნაყოფის შეხრაკვას.

ხანგრძლივ სიცხეებს რომ დაიჭერს, ქვეყანა გედეიხანძვის.

თუ გავითვალისწინებთ ხანძთის (ნუკას საყდრის) მდებარეობას, იგი სამხურთი ადგილია, მზის გული; დასაშვებია, ეს ადგილები ადამიანის ხელითაც დაიხანძა, დაიხანძრა, გადაიწვა.

ამდენად, ხანძთა დახანძული, დახანძრული, გადამწვარი ადგილია.

შატბერდი||**შატბერთი**: ამოსავალი ფორმა უნდა იყოს **შატბერთი** (<**შატბერ-თა**?). იგი **თან**'იანი მრავლობითის ფორმა ჩანს. **შატბერ** ფუძე დასტურდება გვარ-სახელში **შატბერაშვილი**. საფიქრებელია, რომ **შატბერ**' თავის მხრივ რთული ფუძეა (**შატ-ბერ(ა)**), რომლის მეორე ნაწილი – **ბერა**, ცნობილი ფუძეა ქართულში, და გვხვდება არაერთ ანთროპონიმში: კახაბერი, ვაჩიბერი...საძიებელია **შატ**'ის მნიშვნელობა. აღვნიშნავთ, რომ **შატ**'ი იხმარება ხევსურულში, მოხეურში, თუშურში, შესაძლებელია სხვა დიალექტებშიც, რამდენიმე მნიშვნელობით: 1. მარყუჯი (ჭინჭარაული, 1960); 2. სადილე, ღილის კილო, მარყუჯი (ქაჯაია, 1967). 3. შატი – ნაქარგის ერთ-ერთი სახეა (ქეგლ). შდრ. ძველ ქართულში იხმარება **შატროვანი** ნაქსოვის მნიშვნელობით: ვიხილე ტყუენვასა მას შინა **შატროვანი** ერთი ჭრელი M; ვიხილე ნატყუენვასა შინა **ნაქსოი ჭრელი** G ისუ ნ. 7,21 (ვიმოწმებთ: აბულაძე, 1973).

შატბერდისეული **შატ**'ის რომელიმე ზემოაღნიშნულ მნიშვნელობასთან დაკავშირება ჯერჯერობით ნაადრევია. ვფიქრობთ, მომავალი კვლევა სამხრულ კილოებში და სამწერლობო ქართულში გამოავლენს დამატებით მასალას **შატ**' ძირის მნიშვნელობის ასახსნელად, რაც ნათელს მოჰფენს შატბერდის ეტიმოლოგიას..., მაგრამ ეს არაა ახლა მთავარი. **შატბერ**'ი მამაკაცის სახელია, რომელთანაც კავშირში უნდა იყოს ჩვენი გეოგრაფიული სახელი, **შატბერდი**⁷. თუმცა არსებობს შატბერდის ეტიმოლოგიის სხვა,

⁷ ერთ შრომაში ვმსჯელობთ შატბერდის ეტიმოლოგიაზე. დასტურდება ტოპონიმის ორი ფორმა: **შატბერდი** და **შატბერთი** (უკანასკნელს იყენებს პავლე ინგოროყვა (იხ. ინგოროყვა, 1954: 306). ამოსავალ ფორმად მიიჩნეულია **შატბერთი**<**შატბერთა**>საგან. შატბერთი მრავლობითის ფორმად მიაჩნიათ (ვრცლად იხ. კლარჯეთი, 2016:650-657). **შატბერა**' ფუძე დასტურდება გვარსახელში **შატბერაშვილი**. მსჯელობა დამაჯერებელია, ცდა - გამართლებული. დასაშვებად მიგვაჩნია მსჯელობის ასე გაგრძელება: **შატბერთი**<**შატბერეთი**>საგან. თუ ეს მოსაზრება მისაღებია, მაშინ მოიხსნება სპეციალურ ლიტერატურაში არსებული ბევრი უხერხულობა, რამდენადაც **შატბერთი**<**შატბერეთი**>საგან ქართულია და აღნიშნავს **შატბერას** კუთვნილს, მისი ოჯახის საცხოვრისს. იგი იმავე ყალიბით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელია, რითაც ასეულობით ტოპონიმი ჭოროხის ქვეყნებში.

აქვე შევხებით კიდევ ერთ საკითხს: ბოლო ხანებში ქართულ მეცნიერებაში გაჩნდა ცდა **შარბეთისა** და **შატბერდის** იდენტიფიკაციისა. რასაც გაუჩნდა მომხრეებიც. ჩვენ ისევ ჩვენს აზრზე ვრჩებით. იოანე ბაგრატიონი ქართლში ასახელებს სოფელს **შარაბეთი**. სქოლიოში გატანილია ვარიანტები: **შარამეთი**, **შარაბეთი** (ბაგრატიონი, 1986:48). ამოსავალი ფორმა ჩანს **შარაბეთი** (შარაბ-ეთ'), ხოლო **შარბეთი** **შარაბეთ**'ის შეკუმშული ფორმაა. რაც შეეხება **შარამეთ**'ს მიღებულია **შარაბეთ**'ისაგან მ:ბ მონაცვლეობით. ამდენად, **შარბეთი** და **შარამეთი** **შარაბეთის** ფონეტიკური ვარიანტებია. **შარაბ**' სახელური ფუძე დაცულია გვარში

წინასწარ ვიტყვით ნაკლებსარწმუნო, ცდაც: „ტოპონიმი **შატბერდი** კომპოზიტია და შედგება „შატ“ და „ბერდ“ ნაწილებისაგან. „შატბერდი“ სომხურად გაფორმებული ტოპონიმია, მაგრამ ამავე დროს ლურსმულ დამწერლობაში (კერძოდ ბაბილონურ ასურულში) მარცვლების „შატ“, „შად“,... „მად“ გადმოსაცემად გამოიყენებოდა ნიშანი, რომელსაც მრავალი მნიშვნელობა ჰქონდა, მათ შორის „მთა“ (ხუციშვილი, 2004. იმოწმებს მელიქიშვილსა (მელიქიშვილი, 2004:7) და ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიას (ქსე, ტ. 9:455), „ბერდს“ კი უკავშირებს ფუძეს *ბ[ჰ]ერგ[ჰ], რომელიც გვხვდება როგორც ინდოევროპულ (მველგერმანულ, სომხურ), ისე „არაინდოევროპულ ახლოაღმოსავლურ ენებში“ (ურარტული, სირიული), ნიშნავს „სიმაგრეს“, „ციხესიმაგრეს“. „ამრიგად, **შატბერდი** შეიძლება ნიშნავდეს „მთისციხეს“ (ხუციშვილი, 2004). მოყვანილი მსჯელობის განსჯაში არ შევალთ, ჩვენ იმ აზრზე ვრჩებით, რომ **შატბერდი** (<**შატბერეთი**) ქართული სახელია და ქართულ ნიადაგზე უნდა აიხსნას.

7.2. ძეგლი და მიძნაძორი. ჟამთააღმწერელი „ასწლოვან მატიანეში“ წერს: თეგუდარს „ესმა რა სიდიდე უდაბნოსა ოპიზისა და შემკობა მისი პატიოსნითა ხატითა, და კანდელთა მიერ აღსავსეობა, ინება წარმოღება მისი, და წარმოავლინა ვითარ ათასი მჯედარი, რათა მოაოჯრონ. ხოლო წარვიდეს მთისა გზასა, რომელი მივა კარჩხალთა კერძო... და დადგეს მთისა მის ძირსა, რომელსა ეწოდების ძეგლი, რომელსა ზედა შჷნ არს ეკლესია წმიდისა გიორგისი, რომელ არს [შორის] ოპიზასა და მიძნაძორსა“ (ქ. ცხ., II, 1959:259-260).

მოყვანილ ამონარიდში რამდენიმე საინტერესო ცნობაა:

ა. ოპიზის მოსაოხრებლად მიმავალი მტრის ათასკაციანი ლაშქარი დადგა მთის ძირში, „რომელსა ეწოდების ძეგლი“, სადაც აშენებულია წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია.

ბ. ძეგლი მდებარეობს ოპიზასა და მიძნაძორს შორის.

შარაბისძე (შდრ. **შარბიეთი** შავშეთში). **შარაბი** მამაკაცის სახელი ან მეტსახელი ჩანს.

ჩვენი მსჯელობიდან ჩანს, რომ **შარბიეთი** და **შატბერეთი** (<**შატბერეთი**) ორი სხვადასხვა ფუძეა. დაუჯერებელია **შატბერდ**'ისაგან **შარბიეთ**'ის მიღება. და რაც მთავარია, **შატბერდიცა** და **შარბიეთიც** ქართულია (იხ. ფაღავა, ცინცაძე, ბარამიძე, 2022:199).

2011 წლის ექსპედიციის დროს ბსუ ქართველოლოგიის ინსტიტუტის (ახლა - ქართველოლოგიის ცენტრის) ექსპედიციამ მიაგნო ძეგლსა და წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ნაშთებს.

ყურადღებას იქცევს ტოპონიმები **ძეგლი** და **მიძნადორი**.

1. **ძეგლ** ქართულში რამდენიმე მნიშვნელობა აქვს.

საბა წერს: „**ძეგლი** - სამძღვარივით, წერით და ძეგლი ორონად ითქმის” (ორბელიანი, 1949). ხოლო **ორონ**ს ასე განმარტავს ლექსიკოგრაფი: „**ორონ**, რომელ ითარგმნების ძეგლად წერილსა და საზღურად სიტყუძსა საღმრთოძსა მოქალაქობისა”.

როგორც ვხედავთ, საბას განმარტებაში მთლად ნათელი არაა ძეგლის მნიშვნელობა, თუმცა ჩანს, რომ იგი უკავშირდება საზღვარს.

ნ. ჩუბინაშვილი: „**ძეგლი**, დიდი სვეტი მარტოდ დადგენილი ნიშნად, ანუ სამძღვარად” (ჩუბინაშვილი, 1961).

ამდენად, ნ. ჩუბინაშვილთან, ძეგლი სვეტია „სამძღვრად დადგენილი”. თითქმის იმასვე ამბობს დ. ჩუბინაშვილიც:

„დიდი სვეტი მარტოდ დადგენილი ნიშნად ან სამზღვრად; столбъ, памятникъ. დაბ. 31,13; ძეგლი სჯულისა, узаконение, писанное на столбе. შავთ. 70” (ჩუბინაშვილი, 1984).

სამივე ლექსიკოგრაფის განმარტება საინტერესოა, მაგრამ, ვფიქრობ, ჩვენს საკითხთან დაკავშირებით არა.

ძეგლ’ი ძველ ქართულში აღნიშნავს: გამოსახულება, ქანდაკება, კერპი: ქმნა ძეგლ მარილის პხ დაბ. 19,26; ...დაამჭუნეს ყოველნი ძეგლნი ბაალისნი O, IV, 10,27... (აბულაძე, 1973).

ილ. აბულაძის მიერ მოყვანილ მეორე მაგალითში, **ძეგლს** კერპის მნიშვნელობა აქვს. ვფიქრობთ, სწორედ ამ სემანტიკას უნდა უკავშირდებოდეს საკვლევი ფუძე, - **ძეგლ**’ი. ჩვენი ვარაუდი ემყარება შემდეგს: ძეგლის მთის ძირში, იქ სადაც წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაა, არის ზიარეთიც, „შიედის საფლავი”, სალოცავი, სადაც დღესაც მიდიან მოსალოცად და ღამის სათევად. დასაშვებია, აქ უძველესი დროიდან კერპი, ძეგლი იყო აღმართული, მანამდე, ვიდრე აქ ქრისტიანული სამლოცველო აშენდებოდა. წარმართული „კერპის მსხვრევის” შემდეგ აქ ააგეს ქრისტიანული სამლოცველო, ტაძარი. ხალხის მეხსიერებას კი შემორჩა ხსოვნა ძველი კერპისა... ამ ადგილას ზიარეთის არსებობა სწორედ ძველი კერპის მნიშვნელობის ტრანსფორმაციის შედეგი უნდა იყოს. აქ შიედის (მუსლიმანური წმინდანის) საფლავის არსებობა, მეორეული მოვლენა ჩანს...

ამდენად, ტოპონიმი **ძეგლი** მნიშვნელობით კერპს უკავშირდება. აქვე ვიტყვი, რომ სამხრულ კილოებში **ძეგლი** მეტსახელს, ლაღაბსაც აღნიშნავს.

მაგრამ, ვფიქრობთ, იგი არ უნდა უკავშირდებოდეს ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმს.

2. **მიძნადორი** მდებარეობს კარჩხალას ხეობაში, მდინარიპირა დაბლობზე. მონასტრიდან დღეს ერთი კედელია გადარჩენილა, დანარჩენი დროისა და ადამიანთა ხელით სამირკვლამდე მორღვეულა. გამეშეთელი მუსტაფა გამეშის ცნობით, 1964 წელს აქ გავიარეთ და ტაძარი გადახურული იყო.

მიძნადორს ადგილობრივები გამოთქვამენ როგორც **მიზნაზოლი**. **ძ.ზ** მონაცველობა ჩვეულებრივია სამხრული კილოებისათვის. ამ შემთხვევაში ფონეტიკური მოვლენა თურქულის გავლენით უნდა აიხსნას, თუმცა იგივე მონაცველობა ძველ ქართულშიც დასტურდება: ძროხა:ზროხა. თურქულის გავლენით-მეთქი იმიტომ ვამბობთ, რომ მიძნადორი სხვა ფორმით (მიზნაზოლი) ქართული ენის ძეგლებში არ დასტურდება.

13 აგვისტოს (1904 წელი) მიძნადორი მოინახულა ნ. მარმა, აღწერა ტაძარი და კომენტარი გააკეთა ფუძის წარმომავლობაზეც. **მიძნადორ** ფუძე მკვლევარმა დაუკავშირა სომხურ **Миджнадзор**ს, რაც ნიშნავს **შუა ხეობის** (срединно-ущельную) (Март, 1911:182). ნ. მარი სქოლიოში შენიშნავს, რომ „სახელწოდება, შესაძლოა, წარმოიშვა იქედან, რომ მონასტერს უჭირავს შუა ადგილი მერეს, პორტას, ხანძთასა და წყაროსთავს შორის; მონასტერთა დამაკავშირებელი გზა მასზე გაივლის” (Март, 1911, 182, სქ. 2).

ნ. მარის ეს დაკვირვება ეჭვს თითქოს არ იწვევს, რამდენადაც **მიძნადორი** სწორედ დასახელებულ მონასტერთა შორის მდებარეობს და მათ შორის დამაკავშირებელი გზაც მასზე გადის. თუმცა გასათვალისწინებელია ერთი გარემოება: მიძნადორის შემოგარენის ტოპონიმია მთლიანად ქართულია, რაღა მაინდამაინც მიძნადორია სომხური? (მიუხედავად იმისა, რომ სომხურ კვალს ამ რეგიონში ვერ გამოვრიცხავთ). ხომ არ შეიძლება რაიმე სხვა ახსნა მოეძებნოს აღნიშნულ ფუძეს?

ისტორიულ საბუთებში დასტურდება ფორმა **მიჯნადორი**: ზღვასა **მიჯნადორი**ელთა ერჩოდეს და ამათ **მიჯნადორისა** სიგელთა შინა...(ქისკ, I,33); მოვიდეს ჩუენ წინაშე ქუთათის, სახლსა სამკვიდრებელსა ჩუენსა, ესე მამანი **მიჯნადორი**ელნი და მამანი ოპიზარნი (ქისკ,32).

„ჟამთააღმწერლის” შრომის სხვადასხვა რედაქციაში **მიძნადორი** განსხვავებული ფორმითაა ნახმარი, კერძოდ: **მიძნაჯვარ**’ი (Mm), **მიძნადორ**’ი (dc), **მიძნადორა** (cet) (ქ.ცხ. II: 260, სქ.). მოყვანილ ფორმათაგან ყურადღებას იქცევს პირველი - **მიძნა-ჯვარი** (თუ იგი **მიძნადორის** გადამწერისეული გადააზრება არაა). თუ ამოსავლად ამ ფორმას მივიჩნევთ, დასაშვებია მსჯელობა: **მიძნა-ჯვარი** < ***მიჯნა-ჯვარი**’საგან (**ჯ-ჯ** > **ძ-ჯ**’ს ხშულთა

დისიმილაციის საფუძველზე), ხოლო შემდეგ პროცესი ასე განვითარდა: **მიძნა-ჯვარი-მიძნა-ჯორი** (ვა>ო გავრცელებული მოვლენა ქართულში)> მიძნადორი (ძ-ჯ>ძ-ძ ხშულთა პროგრესული ასმილაციით).

ამდენად, **მიძნადორი** რაღაცის მიჯნასთან მდებარე **ჯვარს** უნდა ნიშნავდეს.

7.3. ქორი

ქორ ფუძიანი ტოპონიმი დადასტურდა ისტორიულ კლარჯეთში - **სა-ქორ**'ი-ა. ვფიქრობთ, **საქორია** ის ადგილია, სადაც **ქორებს** აშენებდნენ.

საქორია ადგილის სახელია კირნათსა (ცეცხლაძე, 2004:154) და მაჭახლისპირში (ცეცხლაძე, 2004:156). **საქორია** ართვინის გუბერნიამში დატანილია „კავკასიის ხუთვერსიან რუკაზე“ (Пагирев,1913).

მურღულის ხეობაში, სოფ. ბაშქოიში ადგილის სახელია **ქორ**'ეთ'ი.

ნ. ცეცხლაძე ფორთაში ადასტურებს გეოგრაფიულ სახელს **ქორდერე** (შდრ. ქორის ხევი|ქორთხევი) (ცეცხლაძე, 2004:159).

ამდენად, ისტორიულ კლარჯეთში დავადასტურეთ **ქორ**'ფუძიანი 6 ტოპონიმი.

ქორ'ფუძიანი გეოგრაფიული სახელები გვხვდება ჭოროხის სხვა ქვეყნებშიც:

ოლთისში „კავკასიის ხუთვერსიან რუკაზე“ აღნიშნულია გეოგრაფიული პუნქტი Кортъ - **ქორთი** (<*ქორთა. Пагирев,1913).

„აჭარის ლივის მოკლე და ვრცელ დავთრებში“ ზ. შაშიკაძე ამოიკითხავს სოფლის სახელწოდებას **ქორეთი** (შაშიკაძე, 2011:17).

აღვნიშნავთ, რომ **ქორ**'ფუძიანი ტოპონიმი დასტურდება რაჭაში - **ქორთა** (ქისკ, 143).

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ ს. ჯიქია კითხულობს ტოპონიმებს: **ქორეთი** (ახალციხის ლივა. ჯიქია, 1958:112), **ქორეთი** (ჩილდირის ლივა. ჯიქია, 1958:408). ახალციხის ლივაში, აწყურის ნაპირ, მკვლევარი ადასტურებს გეოგრაფიულ სახელს **ქორთა** (ჯიქია, 1958:138). საყურადღებოა ს. ჯიქიას ერთი შენიშვნა: „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ორჯერ იხსენიება გეოგრაფიული სახელი **ქორთა** („მამინ თვით წავიდა ქორთას“ და „ვითარცა მიიწია ცქირი ქორთას“). ამ ძეგლის გამომცემელი პ. ინგოროყვა **ქორთაზე** შენიშნავს, რომ „ადგილმდებარეობა ზუსტად გარკვეული არაა...“. მკვლევარი უშვებს „დავთრის“ **ქორთისა** და გიორგი მერჩულეს თხზულებაში ნახსენები **ქორთის** იგივეობას (ჯიქია, 1959:139).

ბარემ აღვნიშნავთ, რომ ტოპონიმი **საქორიე** დასტურდება გურიაში (ძნელაძე, 2005:91).

მოყვანილი მასალიდან ჩანს, რომ **ქორ** ფუძიანი გეოგრაფიული სახელები საკმაოდაა გავრცელებული საქართველოს ტერიტორიაზე. ბუნებრივია, დაისვას **ქორ** ფუძის მნიშვნელობის საკითხი.

ქორი გვხვდება შავშურ და აჭარულ კილოებში.

შავშურში **ქორი** აღნიშნავს საბძელს: „**ქორი** აა, მერეგსაც ვეტყვით, საბძელსაც“ (შავშეთი, 2011:604).

აჭარულში **ქორი** იშვიათად, მაგრამ მაინც იხმარება და ნიშნავს სახლის ზედა სართულს, საკუჭნაოს (აჭარულში სიტყვა დააფიქსირა ვლ. მგელაძემ XX საუკუნის 50-იან წლებში. მგელაძე, 2010. შდრ. ფაღავა, მგელაძე, 2012:191).

ჩანს, აჭარულსა და შავშურში **ქორი** აღნიშნავს: საბძელს, დამხმარე ნაგებობას. კლარჯულმა კილომ არ იცის **ქორი**. ფუძე შემოუნახავს მხოლოდ ტოპონიმებს. გეოგრაფიულ სახელებში **ქორს** იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც დასახელებულ კილოებში: **ქორთა** არის ადგილი, სადაც **ქორები**, **საქორია** კი - **ქორებისათვის** განკუთვნილი ადგილია.

ამათგან განცალკევებით დგას **ქორეთ**’ი.

ქორეთი ქორას კუთვნილი ადგილია. **ქორა** ადამიანის სახელია, იქნებ მეტსახელიც, დაცულია გვარში **ქორიძე**.

შევნიშნავთ, რომ რ. ძნელაძე **საქორიეში** გამოყოფს **ქორ** მარტივ ფუძეს და მიიჩნევს მას ფრინველთა სახელიდან ნაწარმოებ გეოგრაფიულ სახელად (ძნელაძე, 2005:91-92), რაც, ვფიქრობ, არაა სარწმუნო.

ბარემ აღვნიშნავთ, იმერულში ცნობილი იყო **ქორედი** სახლი (*ქორებიანი სახლი). ქართლში გვხვდება ტოპონიმი **ქორდი** (რუხაძე, 2010:131) < ***ქორედი**. ნიკორწმინდის სიგელში (XI ს.) ნახსენებია სამეურნეო ნაგებობა **ბოსელ-ქორედიანი** (ჯავახიშვილი, 1949:164). ჩანს, აქ **ქორი** იმავე მნიშვნელობითაა, რა მნიშვნელობაც აქვს მას სამხრულ კილოებში.

ქორი შეტანილი აქვს ს.ს. ორბელიანს „სიტყვის კონაში“: „სახლზედ სახლი აგებული“ - განმარტავს ლექსიკოგრაფი (ორბელიანი, 1949). შდრ. ძველი ქართული **ქორი**: „ზედა სახლი, ზედა სართული (აბულაძე, 1973). იგივე ფუძე ჩანს ძველი ქართულის „**ქორა** კანდელშიც“ (სახლის კანდელი?).

ჩანს, დიალექტებში ზოგჯერ გადაწეულა **ქორის** მნიშვნელობა.

ქორი დაუცავს სვანურს მნიშვნელობით სახლი, ოჯახი (იხ. თოფურია, ქალდანი, 2000) და მეგრულს ორი მნიშვნელობით: ა. სახლის ზედა სართული, ნაგებობა მაღლობზე; ბ. დიდი სახლი, კრებული (ქობალია, 2010).

ქორ ფუძეს ერთგან ვუკავშირებთ კოლხურ ოხორს (სახლი: ო-ხორ < *ო-ქორ (ხ:ქ თანხმოვანთმონაცვლეობით. იხ. ფაღავა, მგელაძე, 2012:192).

ქორ' საერთოქართველური კუთვნილება ჩანს (შდრ. გუჯეჯიანი, 2007).

7.4. პარეხი. X საუკუნის ქართველი მწერლის - ბასილი ზარზმელის თხზულებიდან „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ ვგებულობათ, რომ მიქელმა ღმერთის ჩაგონებით ააშენა მცირე სამლოცველო და შესაკრებელი ძმებისათვის კლდოვანსა და კაცთაგან უვალ ადგილზე, რომელსაც პარეხს ეძახდნენ (ზარზ.329). მოთხრობაში აღწერილი ამბები IX-X საუკუნეებში ხდება, თუმცა არსებობს სხვა შეხედულებაც, რომ იგი VI-VII საუკუნეებს განეკუთვნება (პ. ინგოროყვა). ირკვევა, რომ არაბთა შემოსევების შედეგად პარეხის მონასტერი აოხრდა. შემდგომ, გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის ხანაში (VIII-IX საუკუნეები) პარეხში დასახლებულა მარტომყოფი ბერი მიქელი. გიორგი მერჩულე წერს, რომ მიქელმა თავისი საცხოვრებელი იპოვა ბერთის პარეხებში და გრიგოლის გადაწყვეტილებით აქ დაიდო ბინაო, მრავალ წელიწადს იცხოვრა და აქვე გარდაიცვალაო (მერჩ. 263-265).

როგორც ვხედავთ, გიორგი მერჩულის თხზულებაში ნათქვამია, რომ მიქელმა სამყოფელი იპოვა „ბერთის პარეხებში“, ბასილი ზარზმელი კი ამბობს, რომ მიქელმა პარეხში ააგო სამლოცველოო. შესაძლებელია, ვიფიქროთ, რომ მოყვანილ ცნობებში სხვადასხვა გეოგრაფიულ პუნქტზეა საუბარი. ჯერ ერთი, სახელის მრავლობითობის ფორმა - „პარეხები“ მიუთითებს, რომ იმ დროში რამდენიმე პარეხი ყოფილა. მეორეცა და გიორგი მერჩულის ცნობით, „ბერთის პარეხები“ „მარტომყოფი ბერების“ სამყოფელია, მაშინ როცა ბასილი ზარზმელის მოთხრობის პერსონაჟმა პარეხში ააშენა „მცირე სამლოცველო“ და „ძმათა შესაკრებელი“. თუმცა შეიძლება სხვა ვარაუდის დაშვებაც, ვფიქრობთ, ნაკლებსარწმუნოსი: მიქელ პარეხელის მიერ აშენებული მონასტერი არაბთა შემოსევების შედეგად დანგრეულა და შემდგომ მარტომყოფი ბერების სამყოფლად ქცეულა.

უფრო დამაჯერებელია დავუშვათ, რომ კლარჯეთში რამდენიმე პარეხი ყოფილა, რასაც მხარს უჭერს გიორგი მერჩულის თხზულებაში ნახმარი სახელის მრავლობითობის ფორმა - **პარეხნი**. აღვნიშნავთ, რომ „ხუთვერსიან რუკაზე“ ისტორიულ კლარჯეთში დატანილია **პარეხის** საგუმაგო და მდ. **პარეხი**, იმავე სექტორშია - ბერთა, ხოლო ახალციხის მახლობლად კი - **პარეხა** (Пагиревъ, 1913). ვფიქრობთ, აწინდელი ბერთა უნდა იყოს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ნახსენები „ბერთა პარეხნი“.

ბუნებრივია, დაისვას კითხვა, რას ნიშნავს სახელი **პარეხი**?



აღვნიშნავთ, რომ ძველი ქართული მწერლობის ძეგლებში (მამათა ცხოვრება - A-1105 ხელნაწერი, იოანე მოსხის ლიმონარი, 1960 წელს გამოსცა ილ. აბულაძემ...) სიტყვა **პარეხი** რამდენიმეგზის გვხვდება.

სულხან საბა ორბელიანის განმარტებით, **პარეხი** კლდე, გამოქვაბულია (ორბელიანი, 1949).

ილ. აბულაძის დაკვირვებით: **პარეხი** - ნაპრალი კლდეთა შორის; კიბის საფეხური: შთამობა თავი თვისი **პარეხსა** მას კლდისასა. მ. ცხ. 119r... სლვასა მას ჩემსა ყოველსა ზედა **პარეხსა** კიბისასა. ლიმ.127,3 (აბულაძე, 1973).

პარეხ' ფუძე გვაქვს ტოპონიმში **პარხალი** (ხეობა და სოფელი ტაოში. სხვათა შორის დღევანდელ კაჩკარის მთებს ძველად პარხლის მთები ერქვა). **პარხალი** ასე დაიშლება: **პარეხ-ალ'** (შდრ. ძველად იხმარებოდა ზედწოდება **პარეხელი** და არა **პარხელი**).

ვფიქრობთ, **პარეხი** (||**პარეხნი**, **პარხალი**<*პარეხ-ალ') აღნიშნავს ადგილს, სადაც კლდეა, ნაპრალია კლდეთა შორის.

* * *

განვიხილეთ კლარჯეთის ვრცელი ქვეყნის გეოგრაფიული სახელები. წლების განმავლობაში სამეცნიერო, ტოპოგრაფიული, ისტორიულ ლიტერატურული წყაროებიდან და საველე-შემკვრებლობითი საქმიანობით დაგვიგროვდა მრავალფეროვანი მასალა, რომლის ანალიზის ცდა შევთავაზებთ მკითხველს. მიუხედავად იმისა, რომ ისტორიული კლარჯეთის დიდი ნაწილი მეთურქულეა, რომ ქვეყნის ავტოქტონური მოსახლეობის დიდმა ნაწილმა მშობლიური ენა დაივიწყა, ქართული ტოპონიმია, განსაკუთრებით მიკროტოპონიმია აქაურთა თურქული მეტყველების აქტიური ლექსიკის ნაწილია, სხვაგვარად, ყოვედღიურ ხმარებაში მოქმედი ლექსიკაა. მშობლიურენადაკარგულ კლარჯთა მეხსიერებამ შეინახა იმ გეოგრაფიული პუნქტების ქართული სახელწოდებებიც, რომელთაც კარგა ხანია თურქული სახელი ჰქვია, რაც მნიშვნელოვანია. ხელშესახებია კიდევ ერთი: მშობლიურენადაკარგულმა კლარჯმა ახალ დროში სახელდების იგივე პრინციპები გამოიყენა, რაც მისმა წინაპარმა ქართველმა სახელმძღვანელომა ისტორიულ წარსულში (თუმცა განსხვავებული ნიშნით შეარქვა სახელი), რითაც ისტორიული მეხსიერების ჯაჭვი მთლიანი დარჩა.

გამოკვლევაში ვცადეთ, მოგვეცა ჩვენს ხელთ არსებული მასალის კლასიფიკაცია და მისი სტრუქტურულ-სემანტიკური ინტერპრეტაცია. კვლევის პროცესში გამოვიყენეთ ყველა ის ტოპონიმი, რომლებიც მოვიპოვეთ რამდენიმე მიზეზის გამო: ა. არ გვეთმობოდა წლების განმავლობაში მოპოვებული მასალა; ბ. ვფიქრობდით, უხვი საილუსტრაციო მასალა უფრო დამაჯერებელს გახდოდა მსჯელობასა და დასკვნებს; გ. შრომის ფორმატიდან

გამომდინარე, ცალკე ვერ დავურთავდით ტოპონიმთა ლექსიკონს, სხვისთვისაც რომ მისაწვდომი ყოფილიყო კლარჯული გეოგრაფიული სახელები, ამიტომაც მთელი მასალა ნაკვლევში შევიტანეთ.

სტრუქტურულად კლარჯეთის ტოპონიმიაში გამოვყავით მარტივი და რთულფუძიანი ტოპონიმები. ცალკე განვიხილეთ შედარებით ახალი წარმოების გეოგრაფიული სახელები, ე.წ. სინტაგმა ტოპონიმები. ეს უკანასკნელი გეოგრაფიულ სახელთა ის ფენაა, რომელიც ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა ადგილის ნიშან-სიმბოლოდ.

კლარჯეთის ტოპონიმიაში, ისევე როგორც ზოგადად საქართველოს ტოპონიმიაში, შედარებით მცირეა უაფიქსო და ოდენპრეფიქსული წარმოების სახელები. საეჭვოა, რომ დღეს უაფიქსოდ მიჩნეული ზოგიერთი სახელი მომავალი კვლევებით ნაწარმოებ ტოპონიმთა რიგში ჩადგეს. რეგიონის ტოპონიმიაში განსაკუთრებული მრავალფეროვნებით გამოირჩევა გეოგრაფიულ სახელთა სუფიქსური წარმოება, შემდეგ - პრეფიქს-სუფიქსური.

საკვლევი ქვეყნის ტოპონიმიაში ახალი ფენაა თურქული სუფიქსებით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები. მნიშვნელოვანია, რომ ყველა შემთხვევაში შენარჩუნებულია გეოგრაფიულ სახელთა წარმოების ზოგადქართული წესი.

თავი 2. კლარჯეთის ჰიდრონიმია

კლარჯეთში, ისევე როგორც მთელს ჭოროხის ხეობაში, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მდინარეებს საკუთარი სახელი არ აქვს. მდინარეს, წყალს, ხევს იმ მთის სახელს არქმევენ, საიდანაც სათავეს იღებს, ანდაც იმ სოფლის, რომელსაც ჩამოუდის. ამიტომაც ჰიდრონიმები უმეტესად სინტაგმებია, მსაზღვრელ საზღვრული.

§1. „ღელე“ კლარჯეთში

კლარჯეთში სინტაგმა ჰიდრონიმის ერთ ჯგუფს მეორე ნაწილად აქვს **ღელე** (მსაზღვრელი სახელი + ღელე), პირველი ნაწილი კი უმეტესად გეოგრაფიული სახელია, იშვიათად პიროვნების სახელიც:

ბაშქოას ღელე, - **ბაშქოა** სოფელია მურღულში.

კაბარჯეთის//კაპარჯეთის ღელე - **კაპარჯეთი** სოფელია კლარჯეთში.

ქეშელა[ს] ღელე - **ქეშელა** ადგილის სახელია კლარჯეთში.

ჯანაფრი[ს] ღელე - **ჯანაფრი**<***ჯანაფრი** ადგილის სახელია. **ჯანა** მამაკაცის სახელი ან მეტსახელი ჩანს. შდრ. გვარი **ჯანაშვილი**.

კიბეთის ღელე - **კიბეთი** ადგილია კლარჯეთში.

ნიშიეთის ღელე - **ნიშიეთი** სოფლის//უბნის სახელია კლარჯეთში.

გონგავლის (<***გონგაულის**) ღელე.

ბოსტოდანის ღელე - **ბოსტოდანა** მამაკაცის სახელი ჩანს, დაცულია გვარში **ბოსტოდანაშვილი**.

წარვა ღელე, - „ხმელი ღელეა“ (ფუტკარაძე, 1993:331). საძიებელია **წარვა**’ს მნიშვნელობა.

ნაჯველავის ღელე - მდინარე ქვემო მარადიდში (ნაჯველავი<***ნაჯვი-ელ-ავ[რ]’ი**<***ნაჯვი-ელ-ა-ურ’ი**).

ანზორის ღელე - ქვემო მარადიდში.

ჟღელიფეთის ღელე - ზემო მარადიდში.

ბერძნევის ღელე - ზემო მარადიდში. ბერძნევი სოფლის უბანია.

ყანაველას ღელე - ზემო მარადიდში. საინტერესო ჩანს კომპოზიტი **ყანაველა**. „აღვნიშნავთ, რომ ზემო მარადიდში ადგილის სახელად **ყანაველა** არ დაგვიდასტურებია, ღელის სახელში კი იჩინა თავი. დასაკარგავად არ ყოფილა გამეტებული მშვენიერი ქართული სახელი“ (მარადიდი, 2020:643).

ღრემში ღელე - ქვემო მარადიდში. არ გვაქვს ტოპონიმი **ღრემი**, გვაქვს ღელის სახელი. სულხან-საბა გტანმარტავს სახელს **ღრე**: „დაფლატული ადგილი და სოროვანი“ (ორბელიანი, 1949). **ღრემში ღელე** - მდინარეა დაფლატულ ხევში.

ბრევეთი ღელე - ქვემო მარადიდში.

ჩირდილი ღელე - ქვემო მარადიდში.

დადასტურდა თურქულ-ქართული ფუძეებისაგან შემდგარი კომპოზიტი - **კალნიღელე** (სისხლიანი ღელე) მდინარის სახელად.

კალნიღელე’ს შესახებ მარადილები ამბობენ, რომ „1549 წელს აქ დიდი ომი მომხდარა, სისხლი დაღვრილა, ღელე შეღებილა. აი თურმე რატომ უწოდეს „სისხლიანი ღელე“(!). ...განმარტება საინტერესოა, მნიშვნელოვანია სახელებების მიზეზის ასახსნელად, თუმცა 1549 წელს რა წყაროს მიხედვით ასახელებენ, ჩვენთვის უცნობია“ (მარადიდი, 2020:643).

ყურადღებას მივაქცევთ, რომ კლარჯ მუჰაჯირებს მამურიემში (ქოჯაელის ილი, გოლჯიქის ილჩე) ანალოგიური სახელი დაურქმევიათ მდინარისათვის, - **თანთო[ს] ღელე**. **თანთო** მამაკაცის სახელია.

ღელე, კლარჯის გაგებით, პატარა მდინარეა: „ზორ პატარუანი არიან ეს ღელიები: სოფლები ვრწყავთ, იქნამდი არ ვუშვავთ“ (ფუტკარაძე, 1993:302).

მნიშვნელოვანია კლარჯთა, ზოგადად ჭოროხის ხეობის მკვიდრთა, მიერ „ჭოროხის მნიშვნელობის გააზრება: „ჭოროლი - ახლა დენიზი (ზღვა) გახდა, უწინ - ჭოროლი იყო“. მოყვანილ წინადადებაში დაპირისპირებულია ზღვა და ჭოროხი. ზღვა შეგუბებული დიდი წყალია, ჭოროხი - დიდი მდინარე. შემთხვევითი არც ისაა, რომ ნურუოსმანიეში (საქარას ილი, ხენდეკის რაიონი) მარადიდელ მუჰაჯირთა შთამომავლებმა გვითხრეს: ეს ჭოროხიაო და მიგვითითეს მდინარეზე.

დიახ, **ჭოროხი** დიდი წყალია ჭოროხისხეობელთა გაგებით, ასევე დიდი მდინარის, საკუთრივ **ჭოროხის** სახელი.

§2. „წყალი“ კლარჯეთში

კლარჯეთის ჰიდრონიმიაში გვხვდება სინტაგმები, რომლის მეორე ნაწილია წყალი:

ხახული[ს] წყალი - სოფელია ქვემო ქურასთან (მურღულის ილჩე).

გუგუსერის წყალი - ქართლასთან.

ქომოსერის წყალი - ქართლასთან.

ბოგნარის წყალი - ქართლასთან.

ნაბელავის წყალი - ქართლასთან.

სხლოვანის/სხლობანის წყალი - ქართლასთან.

თხილვანის წყალი - ქართლასთან.

ავაზანათის წყალი - ქართლასთან.

ახოების წყალი - ქართლასთან.

***ცივწყარიეთი** - ქართლასთან.

***ცივწყარიეთი** - შდრ. მეგრ. წყარი - წყალი. **ცივწყარიეთი** (ცივ-წყარი-ეთი) ქართულ-მეგრული ფუძეებით შედგენილი კომპოზიტია.

დასახელებული „წყლები“ მცირე ხევებია ქართლას (მურღულის რ-ნი) ახლო-მახლო.

მურღულის წყალი - ჩამოუდის მურღულს.

ბერთის წყალი - ბერთა სოფელია კლარჯეთში, ბერთისწყლის ხეობაში.

სამწყარის წყალი - სამყარი სოფელია კლარჯეთში.

არტანუჯის წყალი - ჩამოუდის არტანუჯს.

შ. ფუტკარაძე ჩაიწერს „ნაგომავის წყალს“ (ფუტკარაძე, 1993:296).

მარადიდში ჩავიწერეთ **წალოქრო** (<*წყალოქრო) - მსაზღვრელ-საზღვრული ირიბი წყობით.

წყალი და **ღელე** სინონიმური მცნებები ჩანს.

აქვე ვიტყვით, რომ ორიოდე მსაზღვრელ-საზღვრული დადასტურდა ზემო მარადიდში, რომლის საზღვრული წევრია **ხევი: სხალი[ს] ხევი** და **ლესპარასკევი<*ლესპარას ხევი**საგან. **ლესპარა** კაცის სახელი, უფრო მეტსახელი ჩანს.

განსხვავებით შავშეთისაგან (იხ. ფაღვა, ცინცაძე, ბარამიძე, 2022: 293-303) და ტაოსაგან (იხ. ტაო, 2020: 868-869)კლარჯეთში სინტაგმაში იშვიათია **ხევი**, არ ჩანს **მდინარე**. აღვნიშნავთ, რომ მურღულში ადგილის სახელად ჩაგვაწერინეს **ლეღვათხევი** და **ჭინკათხევი** (მურღულის ძველი სახელი).

§3. მდინარე და ტბა საკუთარი სახელით

კლარჯეთში საკუთრივ მდინარის ორი სახელი ჩავიწერეთ:

ნიშიეთი - ქლასკურთან, „ენ დიდი ღელეა“, სათავეს იღებს ყარაგოლიდან და **თოჯინეთი** - ქართლასთან. ორივე სახელი ტოპონიმი ჩანს, ადგილის სახელი, ჰიდრონიმად ქცეული.

შ. ფუტკარაძე ჩაიწერს წყაროს სახელს **თუალი**, „ყანას ძირში წყალი მოდის“ (ფუტკარაძე, 1993:302). მარადიდში დადასტურდა **წყაროთვარი** (<*წყალოთვარი).

ესაა სულ ჩვენ ხელთ არსებული მასალა.

დაბოლოს, დადასტურდა რამდენიმე ტბა: „ბორჩხა-ბაგენის თაზე“ **მასკულავ გოლი**: ესა დიდი გოლია, შეხედავ მასკულავები ჩანს, ზიმიზიმობს. ქენარზე დადგებით, ხარი შიგან ბლუის, მესმიან“ (ფუტკარაძე, 1993:298).

ყარაგოლი - (შდრ. შავი ტბა) ზემო ქლასკურთან.

მოვიყვანეთ კლარჯეთის ჰიდრონიმიის მასალები. კლარჯეთის ჰიდრონიმებში დაჩნდება კლარჯული კილოს ზოგიერთი თავისებურება:

- სინტაგმაში იკარგება ნათესაობითი ბრუნვისნიშნისეული თანხმობანი (ს): **ქეშელა[ს] ღელე, ჯანავრი[ს] ღელე, ხახული[ს] წყალი**.

- ზოგჯერ დაცულია ძველი ქართულის ფორმა: **მასკულავი**. შდრ. ვიხილენით ... მთოვარე და **მასკულავები** ფს. 8,4. (ვიმოწმებთ: აბულაძე, 1973'ის მიხედვით); **თუალი** - წყლის სათავე: მოწესეობდეს... ვინაჲ-იგი **თუალნი** ... ევფრატისანი გამოდიან“ ოსკ. 10.10. (ვიმოწმებთ: აბულაძე, 1973'ის მიხედვით).

- რედუქციით უ>ვ: **ჯანავრი<ჯანაური**.

- ერთი მსაზღვრელ-საზღვრული დადასტურდა ირიბი წყობით: **წალოქრო** (<*წყალოქრო).

- რამდენიმე კომპოზიტი დადასტურდა კოლხური წყარი: ცივ-წყარიეთი, სამწყარი.

თქმულიდან გამომდინარე ვიტყვით, რომ დიალექტის შესწავლა ვერ იქნება ამომწურავი, თუ ჰიდრონიმებსაც (ზოგადად საკუთარ სახელებს) არ გავითვალისწინებთ.

დაბოლოს: ისტორიულ კლარჯეთში ჰიდრონიმების შეკრება მომავალშიც უნდა გაგრძელდეს. ზემოთ მოყვანილი მასალა ერთგვარი უკმარობის განცდას ტოვებს.

თავი 3. გვარ-სახელები კლარჯეთიდან

§1. გვარ-სახელების შესახებ ქართულში

გვარ-სახელები, მისი შედგენილობა და გენეზისი დიდი ხანია ისტორიკოსების, ეთნოლოგებისა და ლინგვისტების ყურადღების ცენტრშია. აზრთა სხვაობაა ქართული გვარების წარმოშობის ქრონოლოგიაზე. კითხვაზე: როდის წარმოიშვა საქართველოში გვარები? პასუხი არაერთგვარია. აზრთა სხვაობის მიზეზი, ვფიქრობთ, სამიებელია იმაში, თუ რას ვუწოდებთ გვარს. ამიტომაც საჭიროა პასუხი გაეცეს კითხვას: რა არის გვარი? ეგებ, ამ თითქოსდა მარტივი კითხვის პასუხი დაგვეხმაროს ქართული გვარის წარმოშობის დროის განსაზღვრაში.

„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ ვკითხულობთ: „გვარი - 1. საოჯახო სახელწოდება, რომელიც ერთვის ადამიანის საკუთარ სახელს და გადაეცემა შვილს მამისაგან (ან დედისაგან), ან ცოლს - ქმრისაგან...

ჩამომავლობა.../ერთი წინაპრის შთამომავალი, ერთი და იმავე გვარის მატარებელ ადამიანთა ჯგუფი..."(ქეგლ, II). გვარს სხვა მნიშვნელობებიც აქვს ქართულში, მაგრამ ჩვენთვის ახლა იგი არაა საინტერესო.

„...ერთვის ადამიანის საკუთარ სახელს და გადაეცემა შვილს მამისაგან (ან დედისაგან), ან ცოლს ქმრისაგან... ჩამომავლობა.../ერთი წინაპრის შთამომავალი, ერთი და იმავე გვარის მატარებელ ადამიანთა ჯგუფი..." მოყვანილ განმარტებაში ნათლად ჩანს გვარის რაობა და აკმაყოფილებს კიდევ დაინტერესებულ მკითხველს. თუ ასეა, რა იწვევს აზრთა სხვაობას? უპირველესად უნდა შევთანხმდეთ, რომ გარკვეულ პირობებში წარმოქმნილი გვარ-სახელი ადამიანთა კონკრეტული გჯუფისათვის (ერთი მამის შვილებისათვის, ერთი ჩამომავლობისათვის// სისხლით მონათესავე ადამიანთა ჯგუფისათვის...) ქცეულია სახელ-სიმბოლოდ, აღნიშნავს ზოგადად ამ ჯგუფს. გამომდინარე თქმულიდან ჩნდება კიდევ ერთი კითხვა: რომელი საუკუნიდან ივარაუდება საქართველოში ასეთი სახელ-სიმბოლოდ ქცეული გვარი? სპეციალურ ლიტერატურაში აზრთა სხვაობაა ამ კითხვაზეც.

„ქართული გვარების ძირითადი ნაწილი საკუთარი სახელებიდან მომდინარეობს ფუძეზე **ძე**, **შვილ**’ის ან მათი ეკვივალენტების მიმატებით. ძველი ქართული მწერლობის ისტორიამ „იცის“ ასეთი გვარები: იოანე საბანის ძე (VIII ს.), იოანე ქონქოზის ძე, სტეფანე სანანოძის ძე (Xს.), ვაჩე კარიჭის ძე, იოანე ტარიჭის ძე, სუმბატ დავითის ძე (XI ს.)..." (ღლონტი, 1988:190). არის კი დასახელებული **საბანის ძე**, **ქონქოზის ძე**, **სინანოძის ძე**, **კარიჭის ძე**, **ტარიჭის ძე**, **დავითის ძე**... გვარები, გვარ-სახელები, ზემომოტანილ განსაზღვრებას რომ პასუხობენ? რა თქმა უნდა არა. „იოანე საბანის ძე“ და მისთანა ფორმები ადამიანის, პიროვნების ორწევრა აღნიშვნაა (სახელი+მამის სახელი) და არა სახელი და გვარი. სხვაგვარად, რომელიმე „საბანის ძე“ აღნიშნავს არა „ჩამომავლობას“, „ერთი წინაპრის შთამომავალს“, „ერთი და იმავე გვარის მატარებელ ადამიანთა ჯგუფს“, არამედ კონკრეტულ პიროვნებას სახელითა და მამის სახელით, რომელიც, ბუნებრივია, ჯერ კიდევ არაა გვარი, სახელი-სიმბოლო სისხლით მონათესავე ადამიანთა ჯგუფისა. აქვე აღნიშნავთ, რომ საბანისძე და მისთანა გაფორმების სახელები გვარის ჩანასახებია, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ ვერ ჩაითვლებიან გვარებად. ამიტომაც გადაჭარბებულად გვეჩვენება ალ. ღლონტის დებულება: „გვაროვნული სახელი, მკვიდრი ნაწილი ქართული ანთროპონიმისა, ადრინდელ ფეოდალიზმის ეპოქაში ჩასახულა და VII-VIII საუკუნეებში მისი ჩამოყალიბების პროცესი უკვე დასრულებული ჩანს..." (ღლონტი, 1988:197. შდრ. 203). გვარის ჩანასახი საქართველოში, სხვა ქვეყნებშიც, ადრეული ეპოქიდან ჩნდება, მაგრამ მისი ჩამოყალიბების პროცესი დიდხანს გრძელდება და საბოლოო სახეს გაცილებით გვიან ღებულობს ვიდრე VII-VIII საუკუნეებია. აქვე ისიცაა აღსანიშნავი, რომ გვარი ერთდროულად არ მიუღია ყველა წოდებას, უპირველესად დაბალ სოციალურ ფენას (ყმა გლეხებს, თავისუფალ გლეხებს) და ყველა კუთხეში. ამაზე მიუთითებს სავლელე ექსპედიციის მასალებიც.

გვარ-სახელისადმი დამოკიდებულება ერთგვარი რომ არაა, ეს იქედანაც ჩანს, რომ ქართველოლოგიაში არის ცდები მის აღსანიშნავად შემოიტანონ სხვადასხვა მცნება: „ოჯახის სახელი“ (გ. ხორნაული) (უარყოფს ნ. მგელაძე. იხ. მგელაძე, 2001:25), „შტო-გვარი“ (ს. ჯანაშია), „ქვე გვარი“ (ვ. ბარდაველიძე), „მეტ-გვარი“ (ს. მელიქაძე), „გვარის დანაყოფი“ (რ. თოფჩიშვილი)... ნ. მგელაძის შენიშვნით, აქ ისეთი მცნებებია („შტო“ და „გვარი“, „ქვე“ და „გვარი“...) გაერთიანებული, რომელთა აღნიშნული სოციალური დაჯგუფებების ტიპოლოგიური მიმართებები სრულად დადგენილი არაა. ის თუ რა იგულისხმება „შტო გვარში“ (თუ „გვარის შტოში“) გაურკვეველია...“ (მგელაძე, 2001:25).

ქართული გვარების ძირითადი ჯგუფები შემდეგია: „საკუთარ სახელთა ფუძეებზე **ძე, შვილ'**ისა და მათი ექვივალენტების **-ურ// -ულ, -ია(//-ა), -უა//ვა**ს მიმატებით. თითოეული მათგანი **ძე, შვილს** აღნიშნავს“ (დლონტი, 1988:191). თ. ენუქიძე ჩამოთვლის „ტბეთის სულთა მატიანეში“ (ქვემოთ „მატიანე“) ნახსენები გვარების მაწარმოებლებს: **-ძე, -შვილი, -ურ-ი, -ულ-ი, -ფხე, -ნა, -ია, -ტი, -ში, -აყი, -ისა, -ტყი**, შემდეგ კი გვარებს ცხრილის სახით (ენუქიძე, 1977:37; შდრ. კახიძე, 2013:22). მკვლევრის დაკვირვებები, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ხშირად არაზუსტია. მკვლევარი სახელებს: **აბესალამეთ (488), ბუნწელეთ** ქალი ნათელი (532), **გათენიეთ** გიორგი (272)... გვარებად მიიჩნევს. რაც, ვფიქრობთ, არასწორია. დასახელებული და მსგავსი ფორმები წარმომავლობის სახელებია და არა გვარები. ანდა, ქართული გვარ-სახელების რა მაწარმოებელია **-ტი, -აყი** თუ **-ტყი**? ნუთუ გვარ-სახელად უნდა გავიგოთ მორთულაყი? შავჩიტყი? გვხვდება კი ანალოგიური მაწარმოებლები საქართველოს სხვა კუთხეებში? მეორეცაა და ხაზგასმულ ფორმებში უნდა გამოიყოს **-ყი** და არა **-აყი** ან **-ტყი**: მორთულა-ყი, შავჩიტ[ა]ყი.

საბოლოოდ ჩამოყალიბებული გვარის შთაბეჭდილებას არ ტოვებს, არც **-ძე** ფორმანტით გაფორმებული სახელები: გაბრიჩისძე დავით (134), ახალასძე დავით (356), გათენასძე გიორგი (297), გოგანისძე ზაქარია (39)... ხაზგასმული ფორმები ჯერ ვერ ჩაითვლება ჩამომავლობის სახელებად. ამის თქმის უფლებას გვაძლევს თუნდაც ის, რომ ტაბულაში მოყვანილი არც ერთი ასეთი სახელი არ მეორდება. გამომდინარე აქედან, რომელიმე „გათენასძე გიორგი“ პიროვნების ორწევრა აღნიშვნაა მხოლოდ და არა გვარი და სახელი, აღნიშნავს, რომ გიორგი გათენას ძე//შვილია.

ყურადღებას მივაქცევთ „მატიანეზე“ დართულ გამოკვლევაში ერთ მსჯელობას: „ნაწილაკები ძე, შვილი და, უმცირესი გამონაკლისი, -ეთ-ი აწარმოებს მამაკაცის გვარებს“ (ენუქიძე, 1977:39). **-ძე** და **-შვილი** რომ მამაკაცის ჩამომავლობაზე მიუთითებს, ამის მიზეზი უნდა ვეძებოთ **-ძე**'სა და **შვილ'**ის თავდაპირველ სემანტიკაში, რომ ისინი აღნიშნავდნენ ვაჟს (ვრცლად იხ. ფაღავა, 2009:3-27).

ვერ დავეთანხმებით ასეთ მოსაზრებასაც: „**-ურ** და **-ულ** აწარმოებენ მხოლოდ ქალის სახელებსა და გვარებს. **-ფხე** კი მხოლოდ ქალის გვარებს“ (ენუქიძე, 1977:39). აღვნიშნავთ, რომ **-ფხე// -ხე** სუფიქსი ქალის გვარს კი არ

აწარმოებს, იგი „ქალის გვაროვნული კუთვნილების აღმნიშვნელი სუფიქსია ქართული ენის დასავლურ კილოებსა და კოლხურში (იხ. ფაღავა, 2009(1):180; შდრ. მეგლაძე, ფაღავა, 1978:3-21). რომელიმე **ცეცხლაიფხე** ცეცხლას (შემდეგ ცეცხლაძის) ქალია, **შავიფხე** - შავის (შემდეგ - შავიშვილის), **შაქარაფხე** - შაქარას (შემდეგ - შაქარიშვილის)...

ჩვენთვის მთლად ნათელი არაა ასეთი მსჯელობაც: „გვარად მივიჩნიეთ აღნიშნული დაბოლოებით (-ურ, -ულ - მ.ფ.) ნაწარმოები სახელები იმ შემთხვევაში, როცა მას უკავშირდება ქალის სახელი, მაგალითად **ქოქოლაური მარიამ** (350), **ჯოიური ნათელი** (539) და სხვა. შესაძლოა გვეფიქრა, რომ პირველ შემთხვევაშიც **-ურ** და **-ულ** ნაწილაკით ნაწარმოებია ქალის გვარი და არა სახელი. რომ „ახალაური“ და „გუიანური“ სახელები კი არაა, არამედ გვარები, ამ ქალების ქალიშვილობის გვარები. მაგრამ ძეგლში არის ერთი მაგალითი, როდესაც ნათლად ჩანს, რომ ამ შემთხვევაში **-ურ** ით ნაწარმოებია ქალის სახელი და არა გვარი. ერთ-ერთ მოსახსენებელში დასახელებულია **ღურჯასძისა** და მისი მეუღლის, ნათელის შვილი **ცაცაური** (139). ცხადია, ამ შემთხვევაში არ შეიძლება **ცაცაური** გვარი იყოს, რადგან **ცაცაური** შვილია ღურჯას ძისა, ქმარი მას არ ჰყავს“ (ენუქიძე, 1977:41). რა შეიძლება ვთქვათ მოტანილ მსჯელობაზე? უპირველესად სრულად მოვიყვანოთ 136-ე ჩანაწერი: „სუ(ლ)სა ღურჯასძისა მიქაელისა და მისისა მეუღლისა ნათელისა შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმა)ნ. ს(უ)ლსა მათისა შვილისა ცაცაურისასა შეუნდვენ“. აქ **ცაცაური** თითქოს ქალის სახელი ჩანს. მაგრამ გვხვდება კი ასეთი სახელი საერთოდ? ვფიქრობთ, იგი წარმომავლობის სახელია, ფორმით მაინც, ქალის საკუთარ სახელად ქცეული (შდრ. ტბელი - მამაკაცის საკუთარი სახელი). ზოგადად **-ურ** სუფიქსით ნაჩვენებია გათხოვილი ქალის სადაურობა. „ცაცაური“ გვერდით დაუდგება „მატიანეში“ ნახსენებ სხვა სახელებს: **ახალაური** (188), **გუიანური** (378), **სამარაული** (342), **სიკილაური** (412), **ჩიკოტური** (495), **ხინკილაური** (324), **ჯოჯაური** (381)... ამის თქმის საფუძველს გვაძლევს სამხრულ კილოებში დღემდე დაცული **-ურ/-ულ** სუფიქსით ქალის წარმომავლობის წარმოება (იხ. ფაღავა, 2003:92-93). მეტი სიზუსტისათვის ნუგზარ ცეცხლაძის შრომიდან მოვიტანთ კიდევ ერთ მსჯელობას: „**-ელ** გვიჩვენებს ადამიანის სადაურობას და კუთვნილებას, **-ურ** კი ნივთისას, ან საგნისას. საინტერესოა ის, რომ „ზემოაჭარულ ლექსიკაში დასტურდება ფორმები, რომლებშიც **-ურ** სუფიქსი ადამიანის სადაურობაზე მიუთითებს. **-ურ** სუფიქსი ჩვეულებრივ აღნიშნავს გათხოვილი ქალის სადაურობას: **კობალთურად** (იტყვიან კობალთიდან სხვა სოფელში გათხოვილი ქალის მიმართ). ეს უკანასკნელი ქალის საკუთარ სახელს ცვლის“. იმოწმებს მ. ქამადაძეს (ქამადაძე, 1978. იხ. ცეცხლაძე, 1997:56-57). ვიტყვი, რომ „კობალთურად“ აჭარულში ქალის საკუთარ სახელს არ ცვლის, იგი მხოლოდ მის წარმომავლობაზე, მშობლიურ სოფელზე თუ კუთხეზე მიუთითებს. საყურადღებოა, რომ შავშურშიც დასტურდება ანალოგიური წარმოება: „მე **მანატური** ვარ... ჩემი ანასი ბაბოა **ჩიხვტურია**... ჩემი ხალაიც **ჩიხვტური** იყო“ (ფუტყარაძე, 1973:271). აქ ერთი შეუსაბამობაა: **-ურ** მამაკაცის (ჩემი ანასი

ბაბო) წარმომავლობაზეც მიუთითებს. მაგრამ ეს არაა მთავარი. იგი ან მთხრობელის შეცდომაა, ან კალმის ლაფსუსი. ანალოგიური წარმოება იცის სხვა კილოებმაც (იხ. ჭარაია, 1896:40; ჟღენტი, 1936:64; ჩიქობავა, 1942:11; შანიძე, 1953: 139; 1957:28-30; მანჯგალაძე, 1953:540; კახაძე, 1954:171-172; ხორნაული, 1973: ქალდანი, 1981:91; სურმავა, 1983:7).

იმერული: „კვინიკოური//კვინიკაური“ ნიშნავს „კვინიკადის ქალი“, „ბრეკაული//ბრეგაული“ - „ბრეგადის ქალი“... (ვიმოწმებთ: ჯორბენაძე, გობაიძე, ბერიძე, 1988:398);

აჭარული: „დიდაჭარულად ნენეა“ - დიდაჭარელი ბებია/ქალი (იხ. მგელაძე, ფაღვა, 1998:3-4).

ისტორიული ტექსტის ინტერპრეტაციისას დიალექტური მასალის გათვალისწინება, ვფიქრობთ, მეტ სიზუსტეს შესძენდა მკვლევრის მსჯელობას.

საკითხზე საუბარი შორს წაგვიყვანს. თქმულიც საკმარისია იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორი აზრთა სხვაობაა გვარის რაობაში ქართველ მეცნიერთა შორის.

§2. „გვარები“ კლარჯეთიდან

ისტორიულ კლარჯეთში და კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლებთან ექსპედიციების დროს ყურადღებით ვაკვირდებოდით და ვიწერდით გვარ-სახელებსაც. აღმოჩნდა, რომ კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლებმა, ოსმალთაგან დედაქართული გვარები, წინაპართა გვარები არ იციან. იშვიათად ასახელებენ ქართული გაფორმების გვარ-სახელებს: ბაირამიძე, ჩერაბიძე (ჰამიდიე, გიოლჯუქის რ-ნი), კახაბერი (გულდიბი), დილბერაშვილი (ამბოზენ დილბეროღლისაც. მაჰმუდიე)...

მეტ-ნაკლებად ქართულ გვარებს ასახელებენ ისტორიულ კლარჯეთში. ეს მოვლენა ბოლო 20-25 წლის საქართველოსთან ინტენსიური კავშირის შედეგია: გუმანიძე, თეთრაძე, დელიკიძე, წიქვაძე, ბერიძე (ქლასკური), ხალვაში, აუფაშვილი, თავგაშვილი (მარადიდი), ხაბაზი (დევსქელი), კენჭოშვილი (მურღული, ისკები), ვარშანიძე (მემიშოლლი, დურჩა).

კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლები ძველ, ქართულ გვარად გისახელებენ თურქულ (//ოსმალურ) გვარ-სახელებს (მოვიყვანთ ჩვენს მიერ ჩაწერილ მასალებს):

- დელ ახმედ-ოღლი, ყილინჯოღლი, უზუნ-ომერ-ოღლი, დემირჯ-ოღლი, გენჯაღები... (აივაზ ფინარი, ჩხალელები);

- სერთოღლი, მავაში, ალიონჯი, ულუსო, მამანი, ყელიჯი, ბექიქი (ნუსრეთიე, ბაგენელები);

- კუტიოღლი, ნადროღლი, კოთხოღლი, ჩილოღლი, თათაროღლი, რეშიოღლი, ბუძგა, ხორომჯი, საბზელოღლი, დაუდოღლი, მეუდოღლი, ჭინკალა (ჰაჯი ოსმანი);

- ფესტილი, ბურუში (ქოშქი. ართვინელები);

- კოლოტოღლი (ნუროსმანიე);

- სერდაროლი, პაჭიჭოლი, ფართალოლი, არსლანოლი, მელექოლი (ლელიოლი), ველიოლი, მემიოლი, დემირჯოლი, იმამოლი, არაბოლი (გულდები);

- თოფალოლი, კარასანოლი, ოზქოჯოლი, დემირჯოლი, გულეზი (მელანააზი, აქჩაქოჯას რ-ნი, დუზჯეს ილი. მირვეთლები);

- ჯეინანოლი, არაბოლი (ყარაფოლი), თანთოლი, ჯეილანი (ემირეისოლი), საღიროლი (მაიროლი), ისპიროლი, მოლლა-იბრაიმოლი, ხაჯიოლი (მაჰმუდიე);

- ჭიშკაროლი, ყადირჯოლუ, იმამოლუ, ბოდიები, ჩხალოლუ, ყაჯიროლუ (რიშაადიე. ართვინი, ხატილელები)...

ანალოგიური გვარ-სახელები ჩავიწერეთ კლარჯეთის სოფლებშიც:

- ქესიმოლი, ვაჭაროლი (ქლასკური);

- ბარასოლი, ელქენჯი, ჩოთროლი, მუხტაროლი, დაუთოლი, იბრაიმოლი, ჩათაქოზი, მელიქოლი, ბენდელოლი, ფესიანი, სერთოლი, ქემალოლი (ხება);

- საღიროლი, რეჯებოლი, ხალვაში, ოფლოლი, დიზდარი, ბალაბანი, მისილოლი, დოდოლი, გონჯალოლი, დილბეროლი, იმამოლი, ოდაბაში, სედეროლი, მეზმიშოლი, აუფაშვილი, მამიოლი, ებეჯოლი, მამიშთეიზოლი, თავგაშვილი... (მარადიდი);

- სალიოლი, ხაფიზოლი, სარიალოლი, მემოლი, მუსტაფოლი, ველიოლი (დევსქელი);

- ჩოლაქოლი (ჩოლოყაშვილი) (ბაშქო);

- ყადიოლი, ფელევანოლი, ჭიროზი... (ისკები);

- ხაჯიოლი, შეიხოლი (კუტუნიადე) (დურჩა);

- მემედოლი, იმამოლი, ზენგინოლი, ჯომქუნი (ქართლა)...

ისტორიულ კლარჯეთში ჩავიწერეთ ლაღაბებიც (მეგლი, მეტსახელი) , რომელთაგან ზოგიერთი გვარ-სახელსაც დაედო საფუძვლად:

- ლეპრე, კაკუჭა, ჭანი (აფუჭებდა, ჭანი იყო - განმარტა მთხრობელმა), გოდორა, კაკუტი დედე, ჩინამეთი, კინალი (ისკები);

- ფალიგი (შავშელებ ეტყვიან), ფომა (არტანუჯელებ ეტყვიან), გუუთლევი, დათვი (ბორჩხელებ ეტყვიან)...

- თენექე, ტუჩი, კონწოლი, ჩენგელი, ფოქელი, ლაფერი, ფოთაჲ, შავი, ბალანაჲ, ღლაფოჲ, ბოლუქბაში, ყაიმეკამი, ყიოჲ, ყაფერაჲ, ბურჯგელაჲ, კუჭეჭი, ლოდობი, ბოდგე//დოდგე (მანქანის მარკაჲ), ხეჭეჭურაჲ, ხურმა, ჩხიკვოლი, გუდიანი (მაჭახლევი), ბლაქვი, ვირიმჭამელები (ქლასკურელები)...

როგორც ვხედავთ, გვარების უმეტესობა კლარჯეთშიც არაა ქართული, თითქმის ისეთივეა, როგორც კლარჯ მუჰაჯირებთან.

თუ შევადარებთ კლარჯთა გვარ-სახელებს აჭარელ, ჩურუქსულელ (ქობულეთელ), ბათუმელ, მაჭახლელ მუჰაჯირთა გვარ-სახელებთან, დავინახავთ, რომ ამ უკანასკნელთ უმეტესად ახსოვთ ოსმალობამდელი ქართული გვარები:

ქობულეთი (ჩურუქსუ):

- ბეჟანიძე, შუბალიძე, გოგიტიძე, ინაიშვილი, ნინიძე, მოწყობილი, ხარაძე, კილაძე, საფრიელიძე/საფარიძე, სეიდიშვილი, შუშანიძე, ხარაძე, გოლამანიძე, ჯავანაძე/ქავანაძე, ნოლაიძელი, ხახუტაიშვილი, გოხიძე, ლომინაძე, ჩელებაძე, თავდგირიძე (ჩათალფინარი);
- ჯინჭარაძე/ჯინჭარაფხე, ქათამიძე/ქათამიფხე, შაქარიშვილი //შაქარაფხე //შაქაროლი*, ანანიფხე, მორჩილაძე, ბეძინაძე, ინაძე (მიტროპოლი);
- ინაიშვილი//ინაიფხე, ჯაფარიძე (ბაჯანალი);
- კონწელიძე/კონწელიფხე, მუავანაძე, შავიშვილი//შავიფხე, მორჩილაძე, კაკალაძე //კაკალაფხე, მამულაძე/მამოლოლი, მეგრელი//მეგრელიძე, ცეცხლაძე, ანანიძე, ტაკიძე... (დუაფერი);
- გოგიტიძე/გოგიტიფხე, ბაუჯოლი*//ბაუჯაფხე, შევარდნაძე //შევარდნაფხე, გელაძე //გელაფხე (თაჭთაბაში);
- ნოლაიძელი, რომანაძე, ანანიძე, ქათამაძე, მესხიძე, ჯინჭარაძე, პაპუნაიშვილი, კვესიაძე (აქქაია);
- გოხიძე, ოთიაშვილი, ართმელაძე, ათაბაკი, ქათამაძე, შავარდნაძე //შავარდნაძე, სადარაძე, გოგიტიძე, გოგმაჩაძე (//სამკაცოლი*), გელაძე, გოგოლიშვილი //გოგოლოლი*... (ბურჰანეთინი);
- გენჯაძე, კენჭიშვილი, ვერულიძე, ოქროპიროლი, ბაჯელიძე, თხილაიშვილი, დიასამიძე, ბუიშვილი, ბაუჯოლი*, მესხიძე, ბზიკოლი*, ხახუტოლი*, კაკალოლი*, ელიოლი*, ქათამიძე, მახარაძე (ქაპაღდადი);
- ოქროპირიძე, გოლამანიძე, მოწყობილი, ქათამიძე, სუქნიშვილი (კონაკვაში);
- ბაუჯოლი*//ბაუჯაფხე, ქათამიფხე/ქათამიფხე, მორჩილაძე, ელიოლი*, მოწყობილი, ყადიოლი*, პაპიოლი, მერისილოლი*, კერვალი (საზუჯილარი).

ჩაქვი: დიასამიძე, ნინიძე, გორგილაძე, აფაქიძე (ბაჰარიე)...

შენიშვნა: ვარსკვლავით (*) აღნიშნული გვარების წარმომადგენლებს ახსოვთ მათი ქართული გვარებიც. ზოგიერთი გვარების ჩამოთვლისას ასახელებს ოსმალისდროინდელ **-ოლი** სუფიქსიან გვარებს: თიაქოლი, სარიოლი, ყადიოლი, ოთიოლი, კირისილოლი, ბიძიოლი... ჩაკითხვის შემდეგ ასახელებს ქართულ გვარ-სახელსაც.

ზოგიერთი მცირე თქმულებასაც გვიამბობს საკუთარი თუ სხვისი გვარის შესახებ: საფარიძე/საფრიელოლი გვიყვება: „ჩვენი ძველი გვარი ყოფილა გოლომანიძე, გარიგებულან... ჩემი ბაბა იტყოდა: ჩვენ დიდები ვართ, დიდვანები ვართ. [დიდნენე] დიდი ქალი ყოფილა, რომ გეძარდა, კაბა ფრიალებდა, საფრიელოლიო, უთხრობიან...“

მურად ნოლაიძელმა ერთი განმარტება მოგვცა, ვფიქრობთ, საყურადღებო და გასათვალისწინებელი: „აქ სხვადასხვა გვარებს ჩივიან, ჰამა ასე არ არი. აქა ბევრმა ჩარშამბაის ხალხმა გვარი არ იცის...“ მთხრობელი გვარის არმცოდნეთა შორის ქობულეთლებს, ბუნებრივია, არ გულისხმობდა.

ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლებს კარგად დაუცავთ წინაპართა გვარები, ახსოვთ და ინახავენ მას. ვსტუმრობდით ჩათალფინარელ, მიტროპოლელ, ბაჯანაღელ, დუაღერელ, თაჰთაბაშელ, აქყაიელ, ბურჰანეთინელ, ბაჰარიელ ჩურუქსუელებს და თავი ქობულეთში გვეგონა: ქობულეთური გვარები, ქობულეთური მეტყველების მანერა (დიქცია), „ცოტა ტრაბახიც ქობულეთური...“ ერთი სიტყვით, თურქეთშიც დაგვხვდნენ ამაყი, „ქიბარი ქობულეთელი...“ ამჯერად მთავარია, რომ ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლების მეხსიერებას შეუნახავს წინაპართა გადმოცემები, რომელთაც უცრემლოდ ვერ ყვებიან: „აა რუმ გამახსენდება, გული დემეწვისო“, გამანდო ბურჰანეთინელმა ქობულეთელმა მემედ გოგმაჩაძემ.

ძველი ქართული გვარები ახსოვთ ბათუმელ მუჰაჯირთა შთამომავლებსაც:

ცენტერაძე, მაჭუტაძე (//ინჯიოღლი), ვარშალომიძე, ჩახვაძე (ფიდენჯული).

ჩანს, ამ კუთხეში არცთუ ბევრია ბათუმელი მუჰაჯირები.

ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ოსმალობამდელი ქართული გვარები არ იციან მაჭახლელ და შავშ მუჰაჯირთა შთამომავლებმა:

მაჭახელი:

- მოლლოღლი, ლონკროღლი, სალიხოღლი, ბექიროღლი, ქოსოღლი, ლონგულოღლი (გოლქოძე, ჯიჰადი);

- ქავთაროღლი, ბექიროღლი, გუნდარიძე, აბესლამიძე, ვატასიძე //ქემშიოღლი, კობორიძე, დერიალოღლი (რეფაჰი);

- მოლლოღლი, ჩილოღლი (შლაპოღლებ ეტყვიან), ყარაბოღლი, ჭუხა (ქვაბითაველებს ეძახიან), თოფალოღლი, ცომოღლი... (აქბაბა);

- გომპაროღლი (მუსლიბეი)...

- სალაძე, კოპინაძე, მსხალაძე, ალიშანიძე//ალიშანოღლი, შირინალი-შვილი, ცინცაძე//ციდინოღლი, მალაყმაძე (ზენგინი), ბერბეროღლი (აზიზი, კარასუს უბანი);

- ჩელიქოღლი, ფართენაძე, ესედოღლი, სეიდიშვილი (კოზლუქოძე, კოჯაალის ილჩე, ადაფაზარი).

ამავე სოფლებში ჩაგვაწერინეს ძეგლები//მეტსახელები, რომლებიც „გვარის“ ფუნქციასაც ასრულებს: ქვაბი იბრაიმი, კაკაბერაძე ომერაძე, ლენგერაძე ჰასანაძე, ჰოპამამის ომერაძე, გომპაროღლი ჰასანაძე...

ქვაბი, კაკაბერაძე, ლენგერაძე, ჰოპამამი, გომპაროღლი... ზედწოდებებია, რომლებიც გამოყენებულია პიროვნების ორწევრა აღნიშვნისათვის (სახელი+ზედწოდება).

აჭარა:

- ჩიკვაძე, ლორთქიფანიძე (//კარაჰმედოღლი), სირაბიძე, გონიოღლი //ლონიოღლი, გოგიაშვილი, გურგენიძე, ბოლქვაძე, ნიჯარაძე, დევაძე, ქათამაძე, ბერიძე (ქუშჩა);

- ლომანოღლი (იქინჯული);

- თებიძე//ზოროღლი (ქაინარ თაში);

- მახარაძე, დიასამიძე, ქათამაძე, იუსუფ ონბაში (ასითავი), დურ ალა, ტილაები, ფლანცოდ, ბოზძალი, ყარაღაები, ზადაღაები, იხდი ხუსეინად, შუქრისიები (შდრ. ზემოაჭარული შუქრისიები), ალიოღლები, კირჩხელოღლი, ბაირახტაროღლი (დენი აქჩაღარი);

- ოდინჯოღლი, ნაჟვედოღლი, მურადადშვილები, გურგენიძე, საღაძე (კუმარლი);

- დავთეროღლი, ქელაჰმედოღლი, ქეშიშოღლი, ფასიოღლი (ულუბეი, ს. საიჯა);

- კავაზოღლი, დევრიშოღლი (სიმონეთი. დემირაჩმა);

- ტაბოღლი (ყარაფურჩევი);

- კორკილოღლი, ხიმშიოღლი, ულფანოღლი, ჩაქველოღლი, ყარსიოღლი, უზუნოღლი, ოსკუჩოღლი (ახმედიე);

- თურანოღლი, რესულოღლი, ხაჯიოღლი (წონიარისი. აქმაზის რ-ნი, ქუჩუჯუქი);

- ჩახლოღლი, საალიმი, მენტეში, ილმაზი (შერეფეი)...

შავშეთი:

- გაღმინთი, ნუჰინთი, კაკაოღლი, ბექაზოღლი, კოპიანოღლი, ჩაფალოღლი (აფუვაფუნარი)...

ჩვენ მოვიყვანეთ კლარჯ მუჰაჯირთა და ისტორიული კლარჯეთის სოფლებში შეგროვებული გვარ-სახელები, შესადარებლად - მაჭახლელ, შავშ, აჭარელ, ბათუმელ და ქობულეთელ მუჰაჯირთა სოფლებში ჩაწერილი გვარებიც. აღმოჩნდა, რომ კლარჯ (ასევე შავშ), ნაწილობრივ მაჭახლელ და აჭარელ მუჰაჯირთა შთამომავლებმა არ იციან ძველი ქართული, ოსმალობამდელი გვარები, იციან მხოლოდ ოსმალობისდროინდელი, -ოღლი სუფიქსიანი გვარ-სახელები; ის გვარები, რომელიც შეუცვალეს თანამედროვე თურქული გვარებით. მასალების გაცნობის შემდეგ ჩნდება კითხვა/კითხვები: რატომ ახსოვთ ოსმალობამდელი ქართული, მასთან ერთად ოსმალური (-ოღლი სუფიქსიანი) გვარები ქობულეთელ, ბათუმელ, ნაწილობრივ აჭარელ და მაჭახლელ მუჰაჯირთა შთამომავლებს და არ ახსოვთ იგი კლარჯ (ასევე შავშელ) მუჰაჯირთა შთამომავლებს და ხშირად კლარჯებსაც კლარჯეთში? ხომ არ ნიშნავს ეს რომ ოსმალობამდელ კლარჯეთში (ასევე შავშეთში) გვარი არ იცოდნენ? ჩვენ, არსებული მასალებიდან გამომდინარე ვსვამთ კითხვას, პასუხი - თავად მკითხველმა გასცეს (იხ. ფაღავა, 2013:56). კითხვის თუ კითხვების დასმის საფუძველს ისიც გვაძლევს, რომ მუჰაჯირთა შთამომავლების მეხსიერებას დღემდე შეუნახავს ბევრი პირველხარისხოვანი თუ მეორადი ინფორმაცია წინაპართა სამშობლოს შესახებ, ასევე გადმოცემები და თქმულებები, წინაპართა მიერ მშობლიური კუთხიდან წამოღებული, და არ თუ ვერ დაიმახსოვრეს საკუთარი გვარ-სახელები.

კლარჯულ გვარ-სახელებში შეიძლება გამოვყოთ შემდეგი ჯგუფები:

1. საკუთარი სახელის ფუძეზე -**ოღლი** სუფიქსის დართვით ნაწარმოები გვარები: დაუდოღლი (<დაუდი), თანთოღლი (თანთოდ), მოღლა

იბრაიმოდლი (მოლლა იბრაიმი), იბრაიმოდლი (იბრაიმი), ქემალოდლი (ქემალი), ხაფიზოდლი (ხაფიზი), მუსტაფოდლი (მუსტაფი), მემედოდლი (მემედი)...

2. ადამიანის მეტსახელისაგან მიღებული „გვარები“: კუტიოდლი (კუტიად), კოთხოდლი (კოთხო), ჭინკალა (ჭინკა), კოლოტოდლი (კოლოტი), სერთოდლი (სერთი), კუტუნზადე (კუტუნა), მაჭიჭოდლი (მაჭიჭა)...

3. ხელობის სახელისაგან ნაწარმოები გვარები: ყილინჯოდლი (ყილინჯი), დემირჯოდლი (დემირჯი), ყათირჯოდლი (ყათირჯი), ვაჭაროდლი (ვაჭარი), დელქენჯი (მეიალქენე), მუხტაროდლი (მუხტარი)...

4. წარმომავლობის/გეოგრაფიული სახელებისაგან მიღებული გვარები: ისპიროდლი (ისპირი), არაბოდლი (არაბი), ჩხალოდლი (ჩხალა)...

ე.წ. გვარებად მიიჩნევენ ისეთ სახელებსაც, როგორცაა ფესტილი, ბურუმი, ბოდები (შდრ. ბოდია), ჩათაგოზი//ჩათაკოზი, გულეზი...

ყურადღებას იქცევს ისიც, რომ ზოგიერთ გვარ-სახელში ქართული ელემენტიცაა შეტანილი: ვაჭაროდლი (<ვაჭარი), ფესტილი (იგივეა რაც ტყლაპი), კოლოტოდლი (კოლოტი - ნაცარკვერი), ჭიშკაროდლი (ჭიშკარი)...

როგორც ვხედავთ, გვარ-სახელების წარმოების პრინციპები კლარჯეთშიც (კლარჯ მუჰაჯირებთანაც) იგივეა, რაც დანარჩენ საქართველოში (იხ. ლლონტი, 1988:190-197, თოფჩიშვილი, 2008:242), თუმცა კლარჯული გვარ-სახელები უმეტესად თურქული ფუძეებიდანაა ნაწარმოები თურქული აფიქსით.

დაბოლოს, არის კი ზემოთ დასახელები გვარ-სახელები გვარები? ვფიქრობთ, ისინი უფრო ჩამომავლობის სახელებია, „სულალეა“ და არა გვარი, მისი ტრადიციული გაგებით.

თავი 4. მცენარეთა სახელები კლარჯეთიდან

§1. ვაზი და მარანი კლარჯეთში

მრავალი გეოგრაფიული სახელია კლარჯეთში, რომლის მეორე ნაწილია - **ყანა**. მრავალთაგან რამდენიმეს მივაქცევ ყურადღებას:

ჭური ყანა - გვხვდება ზედა ქლასკურში. ადგილი, სადაც ჭურები (ქვევრები) აღმოაჩინეს. თვით **ჭურის** პოვნისებობა მანიშნებელია აქ ვაზისა და მეღვინეობის კულტურის განვითარებისა. ჩანს, ისტორიული კლარჯეთის ხეობებში მევენახეობა მეურნეობის დაწინაურებული დარგი იყო, განსაკუთრებით გამორჩეული ყოფილა კარჩხალას ხეობა, ჯმერკი... აქ დაწურული ღვინო გაჰქონდათ საქართველოს სხვა კუთხეებში. კარჩხალას ხეობაში გაჩვენებენ „ღვინის გზას“ „აბრეშუმის გზის“ გვერდით.

კლარჯეთში მევენახეობისა და მეღვინეობის დაწინაურებაზე მიგვანიშნებს აქ გადარჩენილი საწნახლები და ხალხის ხსოვნაში შენახული

ვაზის ჯიშები. ყველაფერი ერთად მოწმობს, რომ კლარჯეთი და მისი მეზობელი შავშეთიც ღვინის ქვეყანა იყო. ნ. მარი „დღიურებში“ ყურადღებას მიაქცევს „ღვინის სახლსა“ და ვაზს შავშეთსა და კლარჯეთში (იხ. ფაღავა, 2012:76-81), კერძოდ, მოგზაურობისას მკვლევარმა აღწერა რამდენიმე მარანი და საწნახელი:

- სათლელ რაბათთან ახლოს, კოჩიბაურში, ჩაფარ გასპარის, აქაური მკვიდრის ცნობით, ადრე საუცხოო ვენახი იყო. „იქ იპოვეს უზარმაზარი ქვის საწნახელი. გასპარის მამამ ოცი წყვილი ხარი შეაბა, რომ საწნახელი სახლში მოეტანა“ (მარი, 2012:141-142).

- ანაკერტის მაჰალეში, თავადგილში, ნ. მარმა ნახა ქვაში ამოკვეთილი საწნახელი კოდით. „საწნახელიდან კოდში, გვერდით კედელში, ფსკერთან გაყვანილია მილი, ანუ მრგვალი არე, სუფთა ღვინის გასავლელად. საწნახელის ფორმა მოგრძო ოთხკუთხედაა (სიგრძე 1 საყენი და 10 გოჯი, სიგანე 1 არშინი და 7 გოჯი, სიღრმე 12 გოჯი“ (მარი, 2012:276-277).

- მარანი ნახა ნ. მარმა ბარეთელთას ახლოს (მარი, 2012:284-285). აქვე ერთ ცნობასაც დავუმატებთ: ქერიმ ჩიფთჯი, ჭედილის იმამი (ტერიტორიულად ჭედილას ქვემოთაა ბარეთელთა, ჭოროხთან ახლოს - ავტ.) მოგვითხრობს: „ძველად ჭედილა მჭიდროდ ყოფილა დასახლებული. ფერდობებზე ვაზი ყოფილა გაშენებული. დაკრეფილ ყურძენს ადგილზე წურავდნენ საწნახელებში, ტკბილი კი კერამიკის მილებით დაბლა, მარანში ჩამოედინებოდა და იქ ღვინდებოდა. ქვემო მაჰალეში დღესაც ნახულობენ ქუფებს, ჭურებსო“ (ფაღავა, II).

- ნ. მარი ყურადღებას მიაქცევს, რომ ვაზი ხარობდა კარჩხალას ხეობაში, ვერანა ბაღებში, „რომელიც სულ რამდენიმე წელია, რაც კვლავ დაამუშავეს როგორც ვენახი და დიდებული ყურძენიც მოდის“ (მარი, 2012:288). მოგზაურისა და მეცნიერის ცნობის ერთგვარი გაგრძელებაა XX საუკუნის სამოციანი წლების ამბავი, რომელიც გამეშეთელმა მუსტაფა უზუნმა (გამეშიძემ) მოგვითხრო: „ერთხელ ენვერთან (იგულისხმება ბაზგირეთელი ენვერ დემირი - ავტ.) ერთად მივდოდი დიდვენახში. მოგვშივდა. აქ სულ ყურძნის ბაღები იყო. ერთი ტევანი მოვწყვიტე, იმხელა იყო, ორ ხელში დევკავებდი“ (ფაღავა, II). ცნობა საინტერესოა იმიტაც, რომ XX საუკუნის 60-იან წლებში კარჩხალას ხეობაში ჯერ კიდევ ხარობდა ვაზი. ისრაფილ ავჯის ცნობით, თხამ გადაჭამა კარჩხალას ვენახები.

აღსანიშნავია, რომ გადმოცემით ქვემოთ, ხეობაში, მდინარის სანაპიროს მიუყვებოდა საქარავნე გზა, რომელსაც „აბრეშუმის გზას“ უწოდებდნენ. დასტურად მდ. კარჩხალაზე გადებული ორი (ადგილობრივთა ცნობით სამი - ავტ.) ხიდი და ძველი გზის ნაშთებიც კმარა. ზემოთ, მთის კალთებზე

გადიოდა მეორე საქარავნე გზაც, რომელსაც „ღვინის გზას“ ეძახდნენ. მეორე გზის ნაკვალევსაც გიჩვენებენ დიდვენახისა თუ ვერანა ბაღების მკვიდრნი. დაბოლოს, კარჩხალელთა ცნობით, „წყარომიდამ დიდვენახის ღელეში ქვეით ყოფილა ბევრი ქუფები, ამევლებდით“ (ფაღავა, II). მევენახეობის კვალს შეამჩნევს მგზავრი წყაროსთავის სამონასტრო კომპლექსის მიდამოებშიც.

მოყვანილი ყველა ცნობა დასტურია იმისა, რომ კარჩხალას ხეობა მევენახეობის ძველი კერაა.

- ნ. მარი აღწერს ფორთაში მიკვლეულ საწნახელს: „კომპიდან სამხრეთ-დასავლეთით, ფორთის ხევის ზემოთ არსებულ ფერდობზე შემორჩენილია საწნახელი... იგი აშენებულია ქვებით ამოყვანილ ტერასაზე. თვით საწნახელი სიგრძით 1 საუენი და 11 1/4 გოჯია, სიგანე 1 არშინი და 9 3/4 გოჯი, სიღრმე მინაყართაა დაფარული...“ (მარი, 2012:347-348). ანალოგიური საწნახლის არსებობაზე მიუთითებს ნ. მარი ჯმერკში (მარი, 2012:393). მევენახეობის კარგად განვითარებაზე და საწნახლებზე საუბრობს მკვლევარი გვერდამიც (მარი, 2012:291).

ერთ ცნობასაც დავუმატებთ ზემოთქმულს: 2014 წელს კლარჯეთში ექსპედიციის დროს ბოსელთას ციხეზე ვნახეთ მოზრდილი საწნახელი, რომლის ზომებია: 180X80, სიღრმე - 26-30 სმ. საწნახელს აქვს ხვრელი, საიდანაც ქვაზევე ამოკვეთილი ღარებით ტკბილი ორ მოზრდილ ქვევრში ჩაედინება. იქვე ახლოს რამდენიმე მოზრდილი ქვევრია (ფაღავა, V).

ნ. მარს კლარჯეთში ჩაუწერია ყურძნის ადგილობრივი ჯიშები, მკვლევარი იძლევა მათ დახასიათებას.

I. შავი ყურძენი:

1. „სუერეკი“ - მთავარი ჯიში, შავი. ეს ყურძენი კარგად ხარობს და მწიფდება გვერდასა და ჯმერკში. „ის მთელი წელი შეიძლება შეინახო. მისგან ღვინოს არ წურავენ. მარცვლები განსაკუთრებით დიდი არ არის, სფეროსებურია, მაგრამ ბოლოსკენ წაწვეტებული.

2. „ახელეკი“ - ღია შავი, კარგია საჭმელადაც და საღვინედაც. გვხვდება წყალთეთრაშიც, ბერდშიც (ბერთში<*ბერთაში?), მაგრამ ყველაზე უკეთესად მაინც ჯმერკსა და გვერდამი ხარობს. მარცვლები მსხვილია.

3. „შავი ორჯოხული“ - არც ისე მსხვილი [მარცვლები], სუფრისთვის.

4. „საფერავი“ - საღვინე, როგორც ყველა შავი ჯიში, მწიფდება თეთრზე გვიან. ნ. მარი სქოლიოში შენიშნავს: ადგილზე ქართულ სიტყვას - „საფერავი“ უწოდებენ, „ჭიაფერსაც“, მცენარეს წითელი კენკრათი, მოგრძო მტევნებით (აჭარაში მას **ჭყურტას** უწოდებენ - ავტ.). სომხები მის ნაყოფს ინახავენ ღვინის წითლად შესაღებად“ (მარი, 2012:368).

5. „სირკლევი“ - საღვინე.

6. „ხალთური“ - საღვინე.

7. „ჯღე“ - საღვინე.

8. „ატ-მემესი“ - ასე უწოდებენ სომხებიც, მაგრამ ახალმა ჭედილელმა, რომელმაც ქართული არ იცოდა, მისი ქართული სახელი თქვა - „ცხენის ძუძუ“. არის თეთრი და შავი ჯიში, ორივე საჭმელია.

9. „შავროპი“.

თეთრი ყურძენი:

1. „თურვანდა“ - მსხვილი, ადრე მწიფდება, საჭმელი ჯიშია.

2. „დევრიშ ალი“, მსხვილი, ოქროსფერი, საუცხოო არომატით, უფრო საჭმელი ჯიშია.

3. „თეთრი ორჯოხული“ - საჭმელი.

4. „მელის კუდი“ - საჭმელი ჯიში, ოქროსფერია.

5. „ხევარდული“ - საჭმელი, ოქროსფერია.

6. „ბუტკო“ - ნამდვილი ღვინო მისგან იწურება.

7. „გორგოული“ - ოქროსფერი, შედარებით პატარა მარცვლებით.

8. „წყალთეთრული“ - როგორც საჭმელი, ისე საღვინე.

9. „ფუნდუხ უზუმი“ - (თხილის ყურძენი), წვრილი, მრგვალი მარცვლები, ძალიან ტკბილი.

10. „შიშველი“ - წითელი ყურძენი, მარცვალი არაა მსხვილი.

11. „პარმახ ხათუნი“ - არის თეთრიცა და შავიც, მარცვალი არაა მსხვილი (მარი, 2012:367-369).

ნ. მარი შენიშნავს, რომ ამ ჯიშებს შორის არსებობს ზამთრისაც. მათ ბელლებში ინახავენ სექტემბერ-ოქტომბერში მოკრეფის შემდეგ. შეიძლება მათი შენახვა ხუთ-ექვს თვეს. ასეთებია: სუერეკი, ახელეკი, შავი ორჯოხული, ატ-მემესი (თეთრი), თეთრი ორჯოხული, დევრიშ-ალი, ნაწილობრივ ბუტკო.

როგორც ვხედავთ, ნ. მარს შავშეთსა და კლარჯეთში ყურძნის 20 ჯიში დაუფიქსირებია: 11 თეთრი და 9 შავი, ნაწილი საღვინეა, ნაწილიც - სუფრის, საჭმელი.

ბარემ აღვნიშნავთ, შავშეთსა და კლარჯეთში შენახული ყურძნის ჯიშების შესახებ ს. ტიმოფეევისა და ნ. მარის „დღიურების“ მიხედვით მსჯელობს ივ. ჯავახიშვილი. ს. ტიმოფეევი ნ. მარისაგან განსხვავებულ რამდენიმე ჯიშს ასახელებს, ესენია: **თეთრი მწვანურა**, **სორეკი** (ხომ არაა იგივე, რაც ნ. მარის სუერეკი? - ავტ.), **ალიჩელები**, **ოქვზ გოზი** (ხართვალა), **სტამბულ უზუმი** (ჯავახიშვილი, 1986:482-486).

ნ. მარის მოგზაურობის შემდეგ ას წელზე მეტი გავიდა. ბევრი რამ შეიცვალა ისტორიულ კლარჯეთში, ბევრი რამ დავიწყებას მიეცა, შეიცვალა კლარჯთა მეხსიერებაც. ველზე მუშაობისას სხვა საკითხებთან ერთად

გვანტერესებდა ვაზის ადგილობრივი ჯიშები. თანამედროვე კლარჯები ასახელებენ ყურძნის რამდენიმე ჯიშს:

1. გურჯი უზუმი.

2. კასრევი - მრეში მჟავა, აქვს დიდი მტევნები. თუ ჩრდილი უყურებდა თეთრი-შავი, ჭრელი მარცვალი ჰქონდა, მზეს თუ უყურებდა - წითელი. თუ წვიმები წავიდოდა, მარცვალი სკდებოდა.

3. ბუტკო - შავი, წვრილი ყურძენია

სამივე ჯიში კარჩხალას ხეობაში ჩავიწერეთ 2011 წელს.

4. ძაბრა.

5. ჯინეში.

6. ხართვალა.

7. რუსულა (ადესა - ავტ.).

8. ისტამბოლეა.

ვაზის დასახელებული 5 ჯიში მურღულში ჩავიწერეთ 2007 წელს (იხ. ვაღავა, 2012:80).

9. ფუტკო||ბუტკო (ქერიმ ჩიფთაჯიმ ჩავგაწერინა ჭედილაში 2011 წელს).

10. სალთერა||სალთეთრა (<წყალთეთრა? კარგად ვერ გამოთქვა ილმაზ ერმა, ჯმერკელმა ინფორმატორმა).

11. რეზაყი (შავი ყურძენი).

12. ორჯობული.

13. გოლგოური (<*გორგოური).

14. ადესა.

ვაზის ბოლო ხუთი ჯიში ილმაზ ერმა ჩავგაწერინა 2011 წელს დაბასა და ჯმერკში.

15. შირა ყურძენი.

16. ჯინეში (თეთრიც იყო). ცნობა მოგვაწოდა ალი ბოლქვაძემ, 85 წლის ტრაპენელმა 2014 წელს.

მემედ ალი ქესკინმა 2014 წელს ანჰკორაში ჩაიწერა ვაზის ჯიშები:

სორეკ'ი, ბუტკო, ახალაქ'ი, ჩიშველ'ი (შდრ. შიშველი), ადესა, რეზაკი (შდრ. რეზაყი), ავიბოლაზი.

ბ-ნი მემედის ჩანაწერებში აშკარაა ჩაწერის პრობლემა: ბუტკო, ჩიშველი... ატყვია თურქული გამოთქმის კვალი.

შუშანა ფუტკარამე ტრაპენში ჩაიწერს ვაზის სახელებს:

შავი ყურძენი,

თეთრი,

ისტამბოლაი,

შავი ადესაი,

ჯინეში,

შირა ყურძენი,

რეზაყო,

ხოფათური (ფუტკარაძე, 1993:331).

შეგნიშნავთ, მემედ ალი ქესკინს ანჰკორაში ჩაუწერია რეზაკი (ალბათ, რეზაყი). ვფიქრობთ, ვაზის სახელია რეზაყი, იგივე ფორმა ჩავიწერეთ ჩვენც ჯმერკში.

ქართლაში მკვლევარი ჩაიწერს:

სინკოთურაი,

ცმელდიდაი,

ჯინეში,

წვანურაი,

თურვანდა,

ადესაი (ფუტკარაძე, 1993:323).

ქართლაში საყურადღებო ვაზის სახელწოდებები დადასტურდა: წვანურაი, ცხმელდიდაი, ქართლაში ახსოვთ თურვანდა - ექსპედიციის დროს ჩაიწერა ნიკო მარმაგ გასული საუკუნის დამდეგს.

ყურადღებას მივაქცევთ ერთ ფაქტს: ინფორმატორი განმარტებას აკეთებს ტოპონიმზე **ჩხავნარა**: აქ „დერგები ჩაფლული ყოფილა, ჩხაველა ყურძენი ყოფილა“ (ფუტკარაძე, 1993:312). „ჩხაველა ყურძენი“, ვფიქრობთ საუბარია **ჩხავერზე**.

შდრ. ტოპონიმი **ჩხავრეთი** (<*ჩხავერ’ი -ეთ’ი), - ადგილი სადაც ჩხავერი ხარობდა.

კლარჯეთში დადასტურდა ასევე:

ჭიჭიმერი - თეთრია, ხასი, წვიტი პარკები აქვა.

საწურავი (მურღულში),

თეთრი (?),

ჩიტი ყურძენი (ფუტკარაძე, 1993:302).

ბეჟანა ყურძენი.

ნ. მარიდან დღემდე შავშეთსა და კლარჯეთში ყურძნის 60-მდე ჯიში დაფიქსირდა. ამ კუთხეში მევენახეობა, როგორც მეურნეობის დარგი, მას შემდეგ დაეცა, რაც ოსმალები გაბატონდნენ; აღარ იჭურებოდა ღვინო და ყურძენმაც დაკარგა სამეურნეო მნიშვნელობა. მიუხედავად ყველაფრისა, შავშეთსა და კლარჯეთში ახსოვთ ვაზის ჯიშები, აშენებენ მას და მოგიტხოვრობენ კიდევ აქაური ღვინისა და ჭურ-მარანის შესახებ.

ყურადღებას იქცევს ყურძნის სახელწოდებები, რომელთა უმეტესობა ქართულია, ნაწილი - უცხოური.

უცხოურია: ატმემესი, ფუნდუხ უზუმი, პარმახ ხათუნი, ოქჯუ გოზი, ავიბოლაზი. ამათგან „ატმემესი“, „პარმახ ხათუნი“, „ოქჯუ გოზი“ ქართული სახელწოდების თარგმანია, შესაბამისად: „ცხენის ძუძუ“, „ქალის თითა“ („თითასაც“ უწოდებენ ამ ყურძენს), „ხართვალა“. რაც შეეხება „ფუნდუხ უზუმს“, შესაძლოა, იგი ახალი ჯიში იყოს ამ კუთხისათვის, ან - სახელშეცვლილი რომელიღაც ძველი ენდემური ჯიში.

საინტერესოა ვაზის სახელების შედგენილობა. შეიძლება გამოვყოთ:

ა. წარმომავლობის სახელები: **ორჯოხული, ხალთური, ხევარდული, გორგოული, წყალთეთრული, ხოფათური**. სახეწოდებები შერჩეული ჩანს იმ სოფლის მიხედვით, საიდანაც გავრცელდა ესა თუ ის ჯიში. და კიდევ: დღეს არ დასტურდება გეოგრაფიული სახელი **ხალთი/ა, ხევარდი, გორგო...** ვაზის ჯიშმა შემოინახა ტოპონიმი.

ბ. მსგავსების სახელები: **ქალის თითა** (პარმახ ხათუნი), **ცხენის ძუძუ** (ატმემესი), **მელის კუდი, ხართვალა** (ოქჯუ გოზი), **ძაბრა, ჩიტი ყურძენი**.

გ. ადამიანის სახელი: **ალი ჩელები, დევრიშ ალი**.

დ. მარტივი ფუძეები: **ჯღე, შავროპი, ბუტკო, სორეკი/სორეკი...**

ე. ნაყოფის გარეგანი მახასიათებელი: **შავი ორჯოხული, თეთრი, მწვანურა, შიშველი**.

კლარჯეთის ქვეყანაში (მთელს ჭოროხის აუზში) უნდა გარძელებდეს ვაზის სახელწოდებების (ზოგადად მცენარეთა სახელების) ძიება. ვფიქრობთ, სხვა, ჯერ-ჯერობით უცნობი სახელწოდებებიც გამოვლინდება, რაც შეავსებს ჩვენს ცოდნას მევენახეობის შესახებ ისტორიულ სამხრეთ საქართველოში.

დადასტურებული ვაზის ორმოცამდე ჯიში, აღმოჩენილი საწნახლები თუ მარნები (ღვინის სახლები), მევენახეობასთან დაკავშირებული ტოპონიმები, დასტურია, რომ ჭოროხის ხეობა, განსაკუთრებით კლარჯეთი და შავშეთი, ისტორიულად ვაზის სამშობლო იყო.

§2. ხილი კლარჯეთში

კლარჯეთის ქვეყანაში სავსე ექსპედიციების დროს ჩავიწერეთ ხილის სახელები. მასალებიდან ჩანს, ამ ქვეყანაში სხვადასხვა სახეობის ხილი ყოფილა გავრცელებული, განსაკუთრებული მრავალფეროვნებით გამოირჩევა მსხალი და ვაშლი.

2.1. ვაშლი კლარჯეთში

ბუჯურულაი - სახელი შერქმეულია კლარჯეთის სოფლის, ბუჯურის მიხედვით. ჩანს, ბუჯურიდან გავრცელდა სხვა სოფლებში.

***დემირ ელმა,**

სინაზ ელმა (შდრ. სინაპი, სინოპი?),

შალმა ვაშლად,

****ზალ ელმა.**

*აღვნიშნავთ, რომ დემირელმა (რკინის ვაშლი, შდრ. აჭარული - დემირაჲ, დემირელმა) ჭოროხის ყველა ქვეყანაში გვხვდება.

**ზალ ელმა (შდრ. ბალის ვაშლი) უფრო ნამყენ ვაშლს გულისხმობს. მაგალითად, ორთაბათუმში განასხვავებენ დემირას და ბალის დემირას. ეს უკანასკნელი ნამყენი ვაშლია.

ტრაპენში დადასტურდა ვაშლის ჯიშები:

ქვა ვაშლი,

ბუჯურულა//ბუჯურელაჲ⁸,

დემირა/დემირელაჲ,

შექერ ვაშლი (შდრ. შაქარა ვაშლი),

გოლდემად - გოლდენი ვაშლი,

ბეჟანა ვაშლი (შდრ. ფუტკარაძე, 1993:309).

შევნიშნავთ, რომ ბეჟანა ვაშლის გვერდით დასტურდება ბეჟანა ყურძენიც. რატომ ბეჟანა? სულხან-საბას ლექსიკონში შეაქვს ბეჟანა და განმარტავს: „ცხენის გვარია ერთი“ (ორბელიანი, 1949). აჭარაში ბეჟანა დასტურდება ხარის სახელადაც (ნიჟარაძე, 1971), აღარაფერს ვამბობ ადამიანის სახელზე ბეჟანა.

ბეჟანა ფერის აღმნიშვნელი ხომ არ უნდა იყოს? შდრ. ბეჟი - ბაცი ფერი, ჩალისფერი (ქეგლ, ახალი რედაქცია).

გურბინში შ. ფუტკარაძეს ჩაუწერია:

ტუჩა ვაშლი (გაურკვეველია სახელდების ნიშანი - ავტ.).

ბოტიანი (ორთოგრაფია ჩამწერისეულია, ჩვენც დავტოვებთ ისე, როგორც წიგნშია). ბოტიას, ვაშლის ჯიშს, აჭარაში ადასტურებს შ. ნიჟარაძე (ნიჟარაძე, 1971).

დემირ ალმა (ფუტკარაძე, 1993:311).

ქართლაში დადასტურდა:

დემირა ვაშლი,

წვიტა ვაშლი - სახელი შერქმეული ჩანს ნაყოფის სიდიდის მიხედვით: **წვიტი** (წვიტი - პატარა, ნიჟარაძე, 1971) ნაყოფის გამო.

კლარჯეთში ასევე დადასტურდა:

⁸ ვაშლის, სხვა ხეხილისაც, სახელებს გავიმეორებთ სოფლების მიხედვით, უკეთ რომ გამოჩნდეს ამა თუ იმ ჯიშის გავრცელება კლარჯეთის ქვეყანაში.

ჭახე ვაშლი - გაურკვეველია სახელდების ნიშანი. **ჭახე** - შემოუსვლელი ხილი, უმწიფარი, მკვახე (ნიჟარაძე, 1971) შეიძლება იყოს ნებისმიერი ხილი. რატომ უწოდეს ვაშლს ეს სახელი?

შაჰ ალმა - ალბათ, თვისებებით გამორჩეული, მეფეთა საკადრისი.

დილიმა (თ. Dilim – ნატეხი, ნაჭერი); რატომ უწოდეს **დილიმა** ვაშლს? კითხვა პასუხგაუცემელია.

შენიშნავთ: ჩვენებურების მეტყველებაში შ. ფუტკარაძე ადასტურებს სამკურნალო ბალახს „დილიმა“ (ფუტკარაძე, 1973:436). **დილიმა<დილმა** სამკურნალო თვისებების ვაშლია ნეტავი? იქნებ!

2.2. მსხალი კლარჯეთში

კლარჯეთში, სხვა ხილთან შედარებით, მრავალფეროვანია მსხლის ჯიშები. გურბინში ჩავიწერეთ:

პანტა - შდრ. პანტა მსხალი/სხალი.

ბეგარმუდი//ბეგარმუთი - ბეგის საკადრისი? აჭარაში გვხვდება ფაშარმუთი - ფაშის საკადრისი, ფაშისთვის მისართმეველი.

სხალოქრო,

სხალსელა, - იგივე **სასელა** უნდა იყოს, საადრეო მსხალი. ცნობილია აჭარაშიც, ჭოროხის სხვა ქვეყნებში. შ. ნიჟარაძე ასე დაახასიათებს მას: „...იცის საშუალო სიდიდის ნაყოფი, სიმწიფეში შესვლისას კანი მოყვითალო ფერს დაიღებ, ალაგ-ალაგ მოწითალო შეფერილობით. წვნიანია. შემოდის ყველაზე ადრე“ (ნიჟარაძე, 1971).

სხალთაფლა - აქვს მოზრდილი ნაყოფი, წვნიანი, გამორჩეული საგემოვნო თვისებების მსხალია, შემოდის ივლის-აგვისტოში.

ტრაპენში შემდეგი მსხლები იციან:

ბელლევანა - ბელლევანური მსხალია; ჩანს, მისი ნერგი ან კალამი ბელლევანიდან მოიტანეს ტრაპენში, სახელიც აქედანაა.

ფეთვა,

ხეჭეჭური - მთელს სამხრეთ საქართველოში გავრცელებული ჯიშია. შ. ნიჟარაძე მას ახასიათებებს, როგორც ადგილობრივი მსხლის ჯიშს (ნიჟარაძე, 1971). მკვლევარს არ ჰქონდა ინფორმაცია ჭოროხის სხვა ქვეყნებიდან. იქნებ, აჭარიდან გავრცელდა ეს ჯიში ძველი საქართველოს სხვა კუთხეებში?

სხალთაფლა,

კორძულა - კორძულური ჯიში ჩანს. **კორძი** ადგილის სახელია, **კორძას** კუთვნილი (შდრ. კორძაძე, კორძაია).

ეჯემ არმუდი - (ეჯემი არაბულია, სპარსელს ნიშნავს). **ეჯემ არმუდი** - სპარსულ მსხალს უნდა ნიშნავდეს.

ბანგა, - ბანგი, გამაბრუებელი, ძილის მომგვრელი წამალი (ქეგლ, ახალი რედაქცია). **ბანგა** - შხამიანი მცენარეა, ძალყურმენასებრთა ოჯახისა, **ლემა** (იქვე). **ბანგა მსხალს** ჩანს, გამაბრუებელი, ძილისმომგვრელი ეფექტი აქვს.

ბალარმუდი.

შ. ფუტკარაძეს ტრაპენში ჩაუწერია მსხლის კიდევ ორი ჯიში:

ბოსტოლანა და **ყვითელა** (ფუტკარაძე, 1993:309).

ბოსტოლანი//ბოსტოლანა ანთროპონიმია, დაცულია გვარში ბოსტოლანიშვილი.

ყვითელა შეფერილობის მიხედვით შერქმეული სახელი ჩანს, იქნებ იგივე მსხალია, აჭარაში **სანთელას** სახელით რომაა ცნობილი.

ქლასკურში ჩავიწერეთ მსხლის ჯიშები:

ხეჭეჭურა,

ორთუსულა, - ორთისიდან//ოლთისიდან მოტანილი მსხალი.

ქოთანა - სახელდებულია გარეგანი მოყვანილობის მიხედვით.

ზამთარა - გვიან, დაზამთრებისას მწიფს.

მაკარინა - გაურკვეველია სახელდების ნიშანი.

ქართლაში შ. ფუტკარაძეს ჩაუწერია მსხლების სახელები (ფუტკარაძე, 1993:323):

ხეჭეჭურა,

ბორბალა - გარეგნული ნიშნით შერჩეული სახელია.

სხალკოტალა, - გაურკვეველია სახელდების ნიშანი.

სხალთაფლა,

ჭანური სხალი - აჭარაში გავრცელებულია ჭანურაძს სახელით.

ყვითელა,

პანტა,

საქერაი სხალი - გაურკვეველია სახელდების ნიშანი.

კლარჯეთში ასევე დადასტურდა:

ნადრევი, - იგივე სასელაა ხომ არაა? **ნადრევის** ხეხილის მიმართ აჭარაშიც იტყვიან, ასევე იციან **სადრეო**, **ადრემოსავალა**, - სხალი, ვაშლი, ბალი, ატამი, მარწყვი...

ბანგურა - წარმომავლობის სახელია -ურ სუფიქსით ნაწარმოები. უცნობია გეოგრაფიული პუნქტი **ბანგი**, მსხალმა შეინახა ტოპონიმი.

შექერ არმუდი//შექერ არმუთი - იგივე უნდა იყოს რაც **შექერა//შაქარა**, **შაქარა** სხალი.

ხარმან არმუდი - კალოს მსხალის თურქული თარგმანი ჩანს.

მოყვანილი მასალა დასტურია იმისა, რომ კლარჯეთში მსხლის მრავალი ჯიშია გავრცელებული. მნიშვნელოვანია, მსხლის სახელდებისას რა ნიშანს მიაქცევდა კლარჯი ყურადღებას. სახელდების ნიშანი რამდენიმე ჩანს, კერძოდ:

- მსხლის წარმომავლობა: კორძულაჲ, ბანგურაჲ, ჭანური სხალი, ეჯემ არმუდი....

- ნაყოფი ფერი: ყვითელაჲ...

- ნაყოფის მოყვანილობა: ბორბალაჲ, ქოთანაჲ...

- ადგილი, სადაც მსხალი ხარობს: ხარმან არმუდი//კალოს სხალი.

- მწიფობის დრო: ნაადრევი, ზამთარაჲ...

- საგემოვნო თვისებები: შექერაჲ//შაქარაჲ, სხალთაფლაჲ, ბანგი. აქვე გაერთიანდება ბეგარმუდი, ფაშარმუტი.

სახელდების ზოგიერთი ნიშანი დღეს ვერ ამოიცნობა, დავიწყებას მიცემია.

აღვნიშნავთ, რომ ზოგიერთმა მსხლის ჯიშმა შეინახა გეოგრაფიული სახელი, რომელიც ახლა არ დასტურდება.

2.3. ქლიავი კლარჯეთში

კლარჯეთის სოფლებში ქლიავის რამდენიმე სახელი ჩავიწერეთ;

ჭანჭური,

ტყუბაჲ - ერთმანეთს მიკრული წყვილი ნაყოფი აქვს;

დოდოფალაჲ - მოზრდილი ნაყოფით, დამწიფებულს მოყვითალო ფერი აქვს, ოდნავ მომჟავო გემო.

ოტური, - ჯ. ნოღაიდელი განმარტავს როგორც „ჭერამი“ (ნოღაიდელი, 2015). ვფიქრობთ, განმარტება მთლად სწორი არაა (შდრ. ქეგლ).

დამასხი,

ტყემალი//ტყიმალი,

კატიყურაჲ, - სახელდებულია ნაყოფის ფორმის მიხედვით.

შავი ქლიავი,

წყალქლიავი,

ჭანჭური შავი.

ქლასკურში ჩავიწერეთ ზოგადი სახელწოდება: ქლიავი - წითელი, ყვითელი, და ერთი კონკრეტული ჯიშის - **ვაციყვერაჲ**: „ქლიავი ასე დიდვანია, ვაციყვერას ვეტყვით“.

რამდენიმე ჯიშის გარდა, - დამასხი, კატიყურაჲ, - ქლიავის ყველა სახეობა გვხვდება აჭარასა და შავშეთშიც. აღვნიშნავთ, რომ კატყურა ბალახის სახელწოდებაა გურულსა და აჭარულში, იგივეა, რაც ონტკოფა (იხ. მაყაშვილი, 1991; ნიჟარაძე, 1971).. სახელი შერქმეული ჩანს თესლის ფორმის მიხედვით.

ქლიავის სახელდება ხდება უმეტესად:

- ნაყოფის მსგავსებით, - ჭანჭური, ოტური, კატიყურაჲ, ვაციყურაჲ;
- ფერის მიხედვით - თეთრი, შავი...

ხშირად სახელდებისას შერჩეული ნიშანი გაურკვეველია.

2.4. ლელვი კლარჯეთში

ლელვის ჯიშების სახელები იშვიათად გვხვდება. უფრო ზოგადი სახელებით ვიცნობთ, - შავი ლელვი, თეთრი ლელვი, ორმოსავალა ლელვი... კერძო სახელად შეიძლება ჩაითვალოს **გუდა ლელვაჲ** და **ჩიტა ლელვაჲ**.

გუდა ლელვაჲ ველური ლელვია, მოზრდილი, მოყვითალო ნაყოფით, საქმელად არ გამოიყენება.

ჩიტა ლელვაჲ გვხვდება შ. ნიჟარაძესთან: „გარეული ლელვი, ტყის ლელვი, წვრილი და უგემური ნაყოფი იცის“ (ნიჟარაძე, 1971; შდრ. ნოღაიდელო, 2015). გურიაში გ. შარაშიძე ასახელებს **ჩიტლეღას** (შარაშიძე, 1938). **ჩიტა ლელვას** თუ **ჩიტლეღას** სახელდებისას გათვალისწინებულია, რომ ამ ლელვით უმეტესად ჩიტები იკვებებიან.

ლელვის რამდენიმე ჯიშში ჩავიწერეთ კლარჯეთში:

ზამზარაჲ,

ფათლიჯანი ლელვი, ასახელებენ ასევე სახელს - **ფათლიჯანაჲ,**

ლოფინჯირი,

წიწაკა ლელვი,

ორსმა (<*ორსხმა? - ორჯერ მოდისო, განმარტა ინფორმატორმა).

წიწაკა პიმპილის მნიშვნელობით კლარჯულში არ შეგვხვედრია, ლელვის სახელწოდებამ შეინახა.

რა ნიშნით შეარქვეს ლელვს ეს სახელები არ ჩანს: რატომ ფათლიჯანი ლელვი? გინდაც - ზამზარაჲ, თუგინდ - წიწაკა ლელვი?

გასაგებია **ორსმა**<*ორსხმა ლელვი, აჭარაში **ორმოსავალა ლელვს** უწოდებენ.

2.5. სხვა ხილი კლარჯეთში

კლარჯეთის ქვეყანაში გვხვდება ბალი, გვისახელებენ მის ჯიშებს:

თეთრი ბალი,
შავი ბალი,
მალმოსული ბალი (შდრ. ადრემოსავალად ბალი, ქირეზად ბალი), სამივე
ზოგადი სახელებია.

***ვიშნა ბალი,
ბიმბალი.**

***ვიშნა ბალი**, სინტაგმა რუსული და ქართული სახელებით ყურადღებას იქცევს კლარჯულში. რუს. Вишня, ალუბალი, ალუბლის ხე. მნიშვნელოვანია, რომ კლარჯეთში არ იციან ალუბალი, იციან - ვიშნა ბალი.

კლარჯები დაგისახელებენ თხილის ჯიშებს:

თხელყაბულიანი (თ. Kabuk - ტყავი, ქერქი),

გირასუნი თხილი, - გირესუნიდანაა მოტანილი.

ყარმაყარიშული(?) თხილი,

ენიშტე ფუნდული (თ. Enişte – სიმე) - სიმის თხილი(?). პირობითი სახელია, ალბათ სიმე მოიტანა თხილის ეს ჯიშში და ამიტომაც შეარქვეს ასე.

შავი თხილი - მაგარკანიანია, ძნელად ტყდებაო.

ყოჩად თხილი (თ. Koç - ვერძი), **ყოჩად** - ნოემბერი, ვერძისა. ალბათ ნოემბერში მწიფს და სახელიც აქედან აქვს.

მოცვი ორი თულია (სახეობა): ერთი **დაბალია** (აქ: ბუჩქია), ერთიც - **ხეზეა**.

მოყვანილი მასალა დასტურია იმისა, რომ ისტორიული კლარჯეთი გამოირჩევა ხილის მრავალფეროვნებით. უპირველესად ყურადღებას იქცევს ხეხილის ჯიშების სახელდება. სახელმდებელს მარჯვედ გამოუყენებია ყველა ნიშანი, რომელიც კონკრეტულ ჯიშს ახასიათებს, ესენია: ფერი, საგემოვნო თვისებები, ნაყოფის მოყვანილობა, წარმომავლობა... ზოგიერთი ნიშანი გამჭვირვალეა და იოლად ამოიცნობა, ზოგიც - ამოუცნობი.

და, რაც მთავარია, კლარჯეთში ხილის იმავე ძველ ჯიშებს ვხვდებით, ჭოროხის სხვა ქვეყნებში რომაა გავრცელებული. რაც კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ ჭოროხის ხეობა ერთიანი კულტურული სივრცეა.

§3. ბოსტნეული და ბალახები კლარჯეთში

ქართლაში (მურღულის რაიონი) გვითხრეს: „სახლი კარში ბოსტანი „ვენახ“ ვეტყვით“.

კლარჯის ვენახში კიდევ მრავალფეროვან ბოსტნეულს ნახავ, კერძოდ: **მაკინდონი** (შდრ. აჭარული **მაკიდო** - ოხრახუში.

მაკიდონი (მეგრ. მაკინდოლი), **მაკიდო** კოლხურია (იხ. თანდილავა, 2013; მირცხულავა, 2010).

ქინბი,

შაშტრამი (გვხვდება - შაშტრამიც), იგივეა, რაც **რეჰანი**.

პიტნა, გვხვდება მისი თურქული შესატყვისიც, - **ნანე** (არ. Nane).

ლახანა, - „ფხალი მარადიდლებმა იტყვიან“ (ფუტკარაძე, 1993:305). ჩანს, რომ კლარჯეთში იხმარება როგორც ქართული **ფხალი**, ისე თურქული - **ლახანა**. შ. ფუტკარაძე ჩაიწერს **ხინკილას** ფხალით//ლახნით მომზადებულ კერძის სახელად (იხ. ფუტკარაძე, 1993:674). ხინკილა „სიტყვის კონაში“ შეუტანია სულხან-საბასაც, „ღომის ოგრა“ - განმარტავს ლექსიკოგრაფი (ორბელიანი, 1949).

დომატესი - კლარჯულმა არ იცის პომიდორი.

ბიბერი - სპარსულია (biber), კლარჯულში არ ჩანს წიწკა ან პიმპილი.

რეჰანი, - „სხვათა ენაა, ქართულად შაშტრა ქვიან“ (ორბელიანი, 1949).

ხახვი - „მაჭახლელები ჭლაკვად ეტყვიან“ (ფუტკარაძე, 1993). ბარემ აღვნიშნავთ, **ჭლაკვი** განმარტებულია „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში: „კულტურული ხახვის ერთ-ერთი სახეობა; ბოლქვები უთავოა, ცილინდრული, ჯგუფ-ჯგუფად უვითარდება, იშვიათად ყვავის; მრავლდება ბოლქვებით“ (ქეგლ). მისი სინონიმია გურული **სოხვი**. **ჭლაკვი** და **სოხვი** მწვანე ხახვია, უბოლქვო. ხახვი კი ბოლქვიანი მცენარეა შრომანისებრთა ოჯახისა... (იხ. ქეგლ).

თაღგამი - კლარჯეთში დადასტურდა ძველი ქართული **თაღგამი**, „ბოლოკს ჰგავს, ბრტყელია“ (ორბელიანი, 1949).

ძირი, **ყართოფი**, **მიწივაშლაძე** - კარტოფილი, იხმარება თურქული **ფათათესიც**.

ძირი კარტოფილის მნიშვნელობით მხოლოდ კლარჯეთში დასტურდება.

კლარჯი ბოსტანში თესავს სხვადასხვა ჯიშის ლობიოს:

თეთრი ლობიო,

შავი ლობიო,

შავშურაძე ლობიაძე - „დიდვანპარკებიანია“ (ფუტკარაძე, 1993:311).

შავშურა ლობიო, - ხაშრის ლობიოს სახეობა იციან აჭარაშიც.

შექერ ფასულია - „პატიტვანი არი“.

გურბინში შ. ფუტკარაძეს ჩაუწერია ლობიოს ჯიშები (ფუტკარაძე, 1993:311):

დაბლაჯიაი - ალბათ, დაბლარი ლობიო(?) (ავტ.);

ფათხი ლობიო - „დეუსობენ ფათხსა“. შდრ. აჭარული ხაშრის ლობიო.

აღბაშა ლობიო,

პალიშა ლობიო.

როგორც ვხედავთ, ლობიოს ბევრი ჯიშია გავრცელებული კლარჯეთში. ლობიოს ჯიშების სახელდების ნიშანი ზოგჯერ ზოგადია (თეთრი ლობიო, შავი ლობიო), უმეტესად ნათელი არაა.

კლარჯი ყანაში თესავს სიმინდს. ასახელებენ სიმინდის რამდენიმე სახეობას:

თეთრი სიმინდი,

ყირმიზი (წითელი) სიმინდი,

ბათომის სიმინდი - ბათუმიდან მოუტანიათ მისი თესლი, სახელდებაც ამ ნიშნით მომხდარა.

შ. ფუტკარაძეს ჩაუწერია (ფუტკარაძე, 1993:311):

არმაშელაი - არმაშენიდან მოტანილი,

ფარეხელაი - ფარეხიდან//პარეხიდან მოტანილი,

ბურსულაი - ბურსიდან მოტანილი.

-ელ, -ულ სუფიქსებით უწარმოებიათ სიმინდის წარმომავლობა. -ელ ჩვეულებრივ აწარმოებს ვინ ჯგუფის სახელებს, -ურ რა ჯგუფის სახელებს. -ელ და -ურ სუფიქსთა ასეთი დიფერენცირება მეორეულადაა მიჩნეული (იხ. ჯორბენაძე, კობაძე, ბერიძე, 1989:140).

სიმინდთან დაკავშირებულ ზოგიერთ ტერმინსაც მივაქცევთ ყურადღებას:

კოტოში - ტარო: „სიმინდი კატარ გამეილეფს, კოტოშ გამეილეფს“ (ფუტკარაძე, 1993:306). შდრ. ზემოაჭარული **კოტუში** (ნიჟარაძე, 1971). ქვემოაჭარაში მას **კოტას** ეძახიან. სიმინდი ტაროს რომ გაიკეთებს, იტყვიან, „სიმინდი კატარ-კოტაში შევიდაო“.

სიმინდის მარცვალს **დენ**ს უწოდებენ კლარჯები. **დენი** მარცვლის ზოგადი სახელი ჩანს: ყურძნის მარცვალიც **დენია**, პურის მარცვალიც **დენია**, ბრინჯისაც... აჭარაში მარცვალს **კაკალს** უწოდებენ (ვრცლად იხ. ფალავა, კიკვაძე, 2002: 66-74; შდრ. ცინცაძე, ფალავა, 1988:188-189).

კლარჯეთში თესავდნენ ასევე **ჭვავს**, **ქერს**, **იულაფს** (შვრია), **სწორ პურს**.

ყურადღებას იქცევს ტერმინი „სწორი პური“. შ. ფუტკარაძე მას განმარტავს, როგორც „სუფთა პური“ (ფუტკარაძე, 1993:572). ვფიქრობთ, „სწორი პური“ „ნამდვილ პურს“, „მართალ პურს“ ნიშნავს.

მრავალფეროვანია ბალახების სახელებიც კლაჯულში:

ბურღნარი, - „ბურღ ვეტყვით, მოლია, აყიროს ფოთლებსავენ“. მოყვანილი განმარტებით, **ბურღი** იგივეა, რაც აჭარული **ბულღო** (ბუერა) და **ბურღუ** (=ანჩხლა) (იხ. ნიჟარაძე, 1971. შდრ. ლეჩხუმური, რაჭული - ბულღვა,

მეგრული - ბურღი, სვანური - ბუურღუ (იხ. მაყაშვილი, 1991), ბურღვაი (ჩანტლაძე, ნაკანი, 2014:329).

მოლი - ზოგადად ბალახის აღმნიშვნელი სახელია. მოლი მრავალგვარია:

იმხრი - „ესა იმხრი არი, „ეწერი“ არ ქვია“ (ფუტკარაძე, 1993:329). გვხვდება **იმფხრიც**. **იმფხრი** (<იფხრი, - მ განვითარებული ჩანს) დაცულია შავშეთის სოფლის, **იფხრეულის** ფუძეში (იხ. ფაღავა, 2011:47; ჩანტლაძე, ნაკანი, 2014:96 და შემდეგ).

ანწლი - აჭარაში, შავშეთსა და კლარჯეთში ამ სახელითაა ცნობილი ეს მცენარე, ტაოელები „ყრალ მოლს“ ეძახიან (იხ. ტაო, 2020:1175). ანწლი სამკურნალო მცენარეა. ხალხურ მედიცინაში გამოიყენება მისი მწიფე ნაყოფი და ფესვები (იხ. ვარშანიძე, ასანიძე...2014: 73-74).

სურო - სხვადასხვა სახელით გავრცელებულია მთელ საქართველოში (იხ. მაყაშვილი, 1991). **სურო** იციან კლარჯეთშიც.

ხვართლა - აჭარაში **ხვართქლა**ს ეძახიან. ფშავში, ხევსურეთსა და ხევში - **ხორთქლას**, თუშეთში - **ხვევწურას**. ქვემო იმერეთში **ხვიარას**, მესხეთში - **გაბმულას** (მაყაშვილი, 1991). სახელდებისათვის გამოიყენებიათ სხვადასხვა ნიშანი: ა. მცენარის თვისება, - რომ იგი **ხვიარაა** (ხვევწურა, ხვიარა, გაბმულა); ბ. ხვართქლა რა ნიშნით დაარქვეს არ ჩანს.

ხვართლი<ხვართქლა>საგან ქს ჩარდნით.

ხორთქლა <ხვართქლა>საგან, ვა>ო<ს.

ამოსავალი ჩანს ხვართქლა.

ბრაზიმოლი - „მცენარის სახეობა“ განმარტებულია „კლარჯეთზე“ დართულ ლექსიკონში (კლარჯეთი, 2016:1044). ვფიქრობთ, **ბრაზიმოლი** **ჭინჭარი** უნდა იყოს.

ძმერხლი - მარადმწვანე მცენარე, იყენებენ პირუტყვის საკვებად და ხალხურ მედიცინაში (ვარშანიძე, ასანიძე...2014:101), იზრდება დაჩრდილულ ადგილას. საქართველოს სხვა კუთხეებშიც იცნობენ: აჭარაში - **ძმერხლი**, იმერეთში - **ჯმერხლი**, რაჭასა და ლეჩხუმში - **ჯილმეხი**, ჭანეთში - **ზერმეხი**, **ზურმეხი**, სამეგრელოში - **ზორმეხი**, სვანეთში - **ზემეხი** (მაყაშვილი, 1991).

ძმერხლი>ჯმერხლი ძ:ჯ მონაცვლეობით.

სახელდების ნიშანი გააურკვეველია.

დიღმა - „ბურღვაჲ მიორო“, სამკურნალო მცენარეო, წერს შ. ფუტკარაძე (ფუტკარაძე, 1993:436).

დათვი ბაბა - „ასე ძე მოდის“. შ. ნიჟარაძე აჭარაში ადასტურებს „დათვის ბაბას“ და განმარტავს: „დაბალი ტანის ხე ან ბუჩქოვანი მცენარე, მომრგვალო ფოთლებითა და თხილისოდენა წითელი ფერის წვნიანი ნაყოფით“ (ნიჟარაძე,

1971). ჩვენ მაინც ვფიქრობთ, **დათვი ბაბა** იგივე **დათვაფხალაა**, ბალახია, იზრდება ნესტიან ადგილას, „ღელიპირებში“, ღეროს თუ გადატეხ, „რძე“ დის, ეტანება საქონელი.

ნარი ეკალაჲ - ეკლიანი ბალახი.

კაკიაჲ - „შაშუმა ჭამს, წვიტ-წვიტი შავია“. იგივეა, რაც **ირაგა** (მაყაშვილი, 1991).

კამპარაჲ - იციან აჭარაში (ნოლაიდელი, 2015), გურიაში, იმერეთში, რაჭაში, ლეჩხუმში (ღლონტი, 1984).

კატიფხიაჲ, - იმავე ფუძეს ვხედავთ ტოპონიმში კატაფხია.

კატიყვერაჲ - აჭარაში იციან **კატაყვერაჲ** (ნიჟარაძე, 1971), იგივეა, რაც **ონტკოფა**.

ყურადღებას მივაქცევთ, რომ საქართველოში მრავალი მცენარის სახელი კომპოზიტია, რომლის შემადგენლობაში შედის **კატა** სახელური ფუძე:

კატაბარდა - მსხლის ჯიში, დასტურდება იმერეთში (ი. ჭყონია);

კატაბეწვა - ერთგვარი მონაცრისფრო ბალახი, დასტურდება მთიულეთში (ლ. კაიშაური);

კატავენახა - მცენარეა (მაყაშვილი, 1991);

კატათკუდა - აბზინდა, დასტურდება თუშეთში (მაყაშვილი, 1991);

კატამარწყვა - იგივე, რაც ძალლამარწყვა (ქართლი);

კატამჯღაფანა - სოკოა ერთგვარი, იციან ლეჩხუმში (მ. ჩიქოვანი);

კატაპრასა - მინდვრის პრასი (იციან გურიაში, ქვ. იმერეთში, ზემო აჭარაში), ყანის ნიორი (მაყაშვილი, 1991), გარეული პრასი (ნიჟარაძე, 1991);

კატაფშატა - ქაცვი, ფშატი ველური (ფშავი, ქართლი, კახეთი);

კატაყვერა - (გურია, კლარჯეთი, აჭარა), იგივეა, რაც **ონტკოფა**;

კატაწნორა - მდგნალი, იციან საინგილოში (მაყაშვილი, 1991);

კატიკუდა - ყვითელი ძურწა (საინგილო), იგივეა, რაც **ტრიასკუდაი** (მაყაშვილი, 1991);

კატიცერცვა - ჩვეულებრივი ცერცველა (ზ. იმერეთი), იგივეა, რაც **გორველა** (მაყაშვილი, 1991);

კატიძუძუ - ფუნთუშა, იციან კახეთში, რაჭასა და იმერეთში (მაყაშვილი, 1991);

კატკატი - დანდური, იგივეა, რაც მსუქანა, კერატა, უკვდავა (მაყაშვილი, 1991).

(მცენარეთა სახელები ამოვკრიბეთ ალ. ღლონტის ლექსიკონიდან. იხ. ღლონტი, 1984).

თექვსმეტი თხზული სახელი მოვიძიეთ, რომლის შედგენილობაში შედის **კატა**. საინტერესოა, სახელმდებელი რა ნიშნის მიხედვით არჩევდა ამ

სახელებს. რატომ კატამარწყვა, კატიცერცვა, კატამჯღავანა? ჩანს, ზოგიერთი სახელი მსგავსების აღმნიშვნელია: კატაბეწვა, კატათკუდა, კატაყვერა, კატიძუმუ...

ტოპონიმი და მცენარის სახელი **კატაფხია** სეგმენტირდება **კატა-ფხი-ა** ***კატა-ფხე-ა**. **-ფხე** ქალის ოჯახური (შემდეგ გვაროვნული) კუთვნილების აღმნიშვნელი სუფიქსია (იხ. მგელაძე, ფალავა, 1998:3-19).

ნაცარქათამა - გვხვდება საბასთან, განმარტების გარეშე. გარეული მხალია, გაზაფხულზე მოიხმარენ.

წკიპილი - „ეკრობა ინსანს, ნემსივით არი, წუერები აქვა“ (ფუტკარაძე, 1993:301).

ბირკამ - „ისაც ცხვრებ ზოლ მიეკვრება“ (ფუტკარაძე, 1993:301). იგივეა, რაც აჭარული **ხოზიკა**.

თივაქერამ - მაღალი ბალახია. იგივეა, რაც ლეჩხუმური **კობლია**. სახელდებული ჩანს მსგავსების მიხედვით.

სამყურა - ბალახია ერთგვარი. შდრ. ჭანურ-მეგრული - **სუმყუჯა**, სვანური - **სამყურ**, **პირპილ**. სახელდებული ჩანს ფოთლების მოყვანილობის (სამყურა) მიხედვით.

ხორტი - ანწლია იგივე.

ეწერი - გვიმრა.

მიწივაშლაი - მცენარეა ერთგვარი. აქვს ჭინჭრის მსგავსი ფოთლები, იკეთებს კარტოფილივით ბოლქვებს, საჭმელად ვარგისია. შდრ. ლაზური **დისა-უმქირი** (თანდილავა, 2013), მეგრული - **დისაში უმქური** (მირცხულავა, 2010).

ატოლი - იგივეა, რაც **ლიმი**. Бутень кавказский (მაყაშვილი, 1991). საქართველოს კუთხეებში მას სხვადასხვა სახელით იცნობენ: ქართლში **ლიმას** ეძახიან, კახეთში - **ყინტორას**, ხევსურეთში - **ხიფსოლას**, **ჭიმას**, ფშავში - **ხიფხვლის ყივას**, თუშეთში - **ხაფხოლს**, მთიულეთსა და ხევში - **სასხეპიას**, **ფხოლს**, **ფხოლისთავას**, **ჭიმას**, მესხეთსა და ჯავახეთში - **ატოლს**, საინგილოში - **ტინყორას**, ზემო რაჭაში - **ლოსკს**, **ლოსკისთავას**, სვანეთში - **მუყესგურ** (მაყაშვილი, 1991). აღ. მაყაშვილი მიუთითებს, რომ **ფხოლი**, **ლოსკი** „ამ მცენარის მიწისქვეშა გამსხვილების სახელწოდებაა“ (სქ.). თავად **ატოლის** სახელდების ნიშანი უცნობია.

კატარამ ბალახი - ამავე სახელით ცნობილია აჭარაშიც, იგივეა, რაც **გლერძა**. სახელდებული ჩანს ღეროს მოყვანილობის მიხედვით, იკეთებს კატარს.

მაქაქიელი - „ქალებში მოდის“. „...მაღალღეროიანი, ნორჩი ფოთლებით, იყენებენ საქონლის საკვებად“ (ნიჭარაძე, 1971).

ჯურჭა - იგივეა, რაც ჯირჭა: „ყანეფში ამუა თველზე ჯირჭა ბალახი“ (ფუტკარაძე, 1993:685).

მოლადარღვა - მრავალდარღვა. „მარას მოწოვს“ - კლაჯთა განმარტებით. საქართველოში აქამდე ამ მცენარის 18 სახელი იყო ცნობილი, **მოლადარღვა** - მეცხრამეტეა. მის სამკურნალო თვისებებზე საუბრობენ საქართველოს ყველა კუთხეში. სვანეთში ამ ბალახს „შვარა ბალე“ ქვია, ქართულად - „წყლულის ბალახი“ (ჩანტლაძე, ნაკანი, 2014: 206. შდრ. ვარშანიძე, ასანიძე...2014: 63).

აღვნიშნავთ, რომ სახელწოდებათა უმეტესობაში მითითებაა „მარღვზე“: მრავალდარღვა//ზრავალდარღვა, მარღვა-მარღვა... ლაზური - **შვითდამა** (ქართული - შვიდმარღვა), სვანური - **მაჯარლოლ, მეძარღსოლ**.

იქნებ სხვა ბალახებიცაა ცნობილი კლარჯეთში, რომელთაც ჩვენ ვერ მივაქციეთ ყურადღება, ვფიქრობთ, მომავალი კვლევა გამოავლენს მათ. მოყვანილი მასალა საყურადღებოა სახელდების თვალსაზრისით: რა ნიშნით ურჩევდა სახელმძღვანელო ამა თუ იმ ბალახს სახელს? ზოგიერთი ბალახის სახელდების ნიშანი ნათელია, ზოგისაც - ძიებას მოითხოვს.

§4. ტყის მცენარეები კლარჯეთში

კლარჯეთის ტყეებში მრავალგვარი მცენარე ხარობს. საველე შემკრებლობითი მუშაობისას დაგროვდა საკმაო მასალა ტყის მცენარეთა სახელების შესასწავლად. აღვნიშნავ, რომ ზოგიერთი მცენარის სახელდებისას გამოყენებული ნიშნის დადგენა შესაძლებელია, უფრო მეტის - ვერ ხერხდება.

კლარჯეთში შეხვდებით როგორც ქართულ **ცაცხვს**, ისე თურქულ **იხლამურ**ს (თ. Ihlamur). ბუნებრივია, კულტურათა დიალოგი მცენარეთა სახელწოდებებშიც აისახა. **ცაცხვის//იხლამურის** ჩაი „ილაჯია“, წამალია. ვერ დგინდება, რატომ უწოდეს ცაცხვს ცაცხვი.

ბარნა, - იგივეა, რაც - **ლევი**. „აქ **ლევი** ვინმე არ იტყვის“ (ფუტკარაძე, 1993:302). აჭარაში ამ მცენარეს **ლემაკერჩხი, ლეკმაკენჩხა, ლეკმაკუნჩხა** ქვია. იციან **ლევიც, ლევის ხე**. შ. ნიჟარაძე ამბობს, რომ **ლევი** იგივე **ქორაფია** (ნიჟარაძე, 1971). აღვნიშნავ, რომ გურიაში **ლეკს ლეკენჩხალი** ქვია, იმერეთში - **ლევი**.

შ. ფუტკარაძე **ბარნა**ს განმარტავს, როგორ **ნეკერჩხალი** (ფუტკარაძე, 1993: 393).

სულხან-საბამ იცის **ლევი** და **ნეკერჩხალი**, შეაქვს კიდევ ლექსიკონში, მაგრამ ტოვებს განმარტების გარეშე (ორბელიანი, 1949).

ალ. მაყაშვილისათვის **ლევი** იგივე **ძელქვაა** (მთიულური), **ქორაფია** (ზ. იმერული). ფშავში, ხევსურეთში, რაჭაში, ლეჩხუმში ეს მცენარე **ლევის** სახელითაა ცნობილი (მაყაშვილი, 1991).

ერთი მცენარის აღსანიშნავად დადასტურდა: **ბარნა**, **ლევი**, **ლეკმაკერჩხი//ლეკმაკენჩხა//ლეკმაკუნჩხა**, **ლეკენჩხალი//ნეკერჩხალი**, **ქორაფი**, **ძელქვა**. დასახელებულთაგან **ბარნა**, **ქორაფი** და **ძელქვა** განმარტოებით დგას, სხვები თხზული სახელებია, რომლის პირველი ნაწილია - **ლევ'** (>**ნევ'**) სახელური ფუძე. ჩანს, მაგარი მერქნის გამო უწოდეს მთიულეთში **ძელქვა**.

ნაძვი - მარადმწვანე წიწვოვანი მცენარე, საბას განმარტებით - **ელატი** (ორბელიანი, I, 1991). ზოგჯერ წიწვოვანი მცენარეების ზოგად სახელადაც იხმარება.

სოჭი, - Alies, „წიწვოვანი ხე ფიჭვისებრთა ოჯახისა“ (ქეგლ).

უხრაფი - იგივეა, რაც **ურთხელა**. შ. ნიჟარაძე მოიყვანს თ. სახოკიას განმარტებას: „...გარეგნობით რცხილასა ჰგავს და იქერქება. რო გათლით, ცოტა ხნის უკან წითლდება. ისე კი მოშავოა. მისი სიმაგრის გამო, ურმის ღერძს ამ ხისაგან აკეთებენ. აგრეთვე ურო უხრაფის არის ნაქები. ამ ხეს თურქულ სახელსაც ეძახიან, - „დემურ ყან“-რკინის გამტეხი“ (ნიჟარაძე, 1971). საქართველოს კუთხეებში მას სხვადასხვა სახელი აქვს:

კახეთი, ფშავი, ხევსურეთი - **უთხოვარი**,

რაჭა, ლეჩხუმში, იმერეთი, გურია - **ურთხმელა**, **ურთხველა**,

აჭარა - **მადა**, **ურთხმელა**, **სატილია**,

ქვემო რაჭა - ***წუთული**,

ქართლი - **ურთხელი**,

სამეგრელო - **ურთხელი**,

სვანეთი - **ურთხელ**, **შაძრა** (იხ. მაყაშვილი, 1991).

სულხან-საბას ლექსიკონში შეტანილია **საჯი**.

***წუთული** - „სახელწოდება მხოლოდ „ნაყოფს“ (თესლს) გულისხმობს, - წერს ალ. მაყაშვილი (მაყაშვილი, 1991).

უთხოვარი, **ურთხმელა**, **ურთხველა**, **ურთხელი** - ვფიქრობთ, **უთხოვარ'**ის დიალექტური ვარიაციებია. ამოსავალი ჩანს **უთხოვარი**. **ურთხმელა**, **ურთხველა**, **ურთხელ'**ი ფორმებში **რ'** განვითარებული უნდა იყოს. **ურთხმელა//ურთხველა**<**ურთხოველა'** ვ:მ მონაცვლეობითა და **ო'**ს დაკარგვით. დაბოლოს, **ურთხელი**<**ურთხველი**<**ურთხოველი**'საგან. **ურთხმელა**, **ურთხველა** ფორმებში ბოლოკიდურა ა' სუფიქსია.

წიფელი - Fagus, შდრ. **ჭანური** - წიფური, წიფრა, მეგრული - წიფური, სვანური - წიფ, წიფრა (მაყაშვილი, 1991). დასახელებული მცენარის აღსანიშნავად ქართველურ ენებში ერთი და იგივე ფუძე გამოყენებული, - წიფ'.

კო - [რ]კო, მუხა. სახელი ნაყოფის მიხედვით შეურქმევიათ. აღვნიშნავთ, რომ **კო' მუხის** მნიშვნელობით იცის ოთხივე სამხრულმა დიალექტმა.

თელა - მგრფასმერქნიანი მცენარეა.

მიგვი - „ცხემლაჲ აინია“, - გაგვიმარტეს ქლასკურში. იგივე უნდა იყოს, რაც **ჯაგრცხილა**, გურული - **მიგრა**.

კატარი - იგივე კავკასიური ფიჭვი, წიწვოვანი ხე, „ცუდი ფიჭვი“ (ორბელიანი, 1949).

წაბლი - „მაღალი, მაგარმერქნიანი ხე წიფლისებრთა ოჯახისა“ (ქეგლ).

ჟღემარტლი - (შდრ. აჭარული **ზღმარტლი**), Мушмула обыкновенная; საქართველოს კუთხეებში იგივე ფუძე სხვადასხვა ფონეტიკური ვარიაციით გამოიყენება ამ მცენარის აღსანიშნავად: ქართლში - **ჟღმარტლი**, ქიზიყში - **ზიმარტლი**, თუშეთში - **სიმარტლი**, რაჭაში, ლეჩხუმში, გურიასა და იმერეთში - **სხმარტლი**, საინგილოში **სიმარტლი** (იხ. მაყაშვილი, 1991). მხოლოდ ფშავსა და ხევსურეთში სახელდება ნაყოფის მიხედვით ჩანს: **ხუთყურა**, **ხუთგულა**.

თავი 5. მასალები შინაური ცხოველების სახელებისათვის კლარჯეთში

კლარჯეთში, ისევე როგორც მთელს ჭოროხის ხეობაში (და არა მარტო), უყვართ შინაური საქონელი, განსაკუთრებით ფური და ხარი. კლარჯთა შინაური ცხოველისადმი დამოკიდებულება სახელდებისასაც ჩანს.

§1. ფურის სახელები კლარჯეთიდან

სხვადასხვა დროს ჩავიწერეთ ფურის სახელები:

ზითუალაჲ - შდრ. მზისთვალაჲ.

ბუკნათელაჲ - სახენათელი, შდრ. ნათელაჲ.

პირნათელაჲ - იგივე ბუკნათელაჲ.

ბუკნათელაჲ, **პირნათელაჲ** - გარეგნული ნიშნის მიხედვითაა სახელდებული.

მარქვალაჲ/მაყვალაჲ - ფურის (იქნებ თვალის ფურისაც) მიხედვით სახელდებული.

ნიკორამ - შუბლზე (ზოგადად ტანზე) ნიშნის მიხედვით სახელდებული.

ლამაზად - აღნაგობის მიხედვით სახელდებული.

კუდსანთელად - შედარება-მსგავსების მიხედვით სახელდებული. აჭარაში ფურის სახელად გვხვდება **სანთელად**. **სანთელი** კიდევ სილამაზის სიმბოლოა.

ელმასად - აღმასის მსგავსი, შეარქმევენ ძალიან ლამაზი ფური თუა. ელმასად ქალის სახელადაც გვხვდება აჭარაში.

ფურებს ახლა უფრო მეტად თურქულ სახელებს არქმევენ. აქაც აისახება კულტურათა დიალოგი, თუმცა სახელდების ნიშანი ისეთივეა, რაც ქართულში იყო.

ჰილდიზად - (თ. Yildiz ვარსკვლავი), შდრ. **ვარსკვლავად//მარსკლავად**.

ყარაყიზად - შდრ. შავქალად, „შავი თუა“ მაშინ არქმევენ.

გულბეაზი - „სულ თეთრს“ ვეტყვი.

ნაზლი - „ზორ თუ მიყვარან“ ვეტყვი. შდრ. ნაზლიე ქალის სახელიცაა.

სარიყიზად - შდრ. ყვითელქალად.

ჩიჩეგად - (თ. Çiçek - ყვავილი).

ალთუნად (თ. Altın - ოქრო). ალთუნს ქალსაც არქმევენ, ოქროს - ვაჟს.

ნარიყიზად (თ. Nari - ბროწეული), ბროწეულის (უფრო - ბროწეულისფერი) ქალი.

ყირმიზად - (თ. Kırmız - წითელი), წითელად.

ამნალი - კაცის სახელიცაა.

ფუსკულად (თ. Püskülü - ძაფით გაკეთებული ფოჩი). კუდის ფორმის მიხედვით შერქმეული.

ართურად - შდრ. არტურა - კაცის სახელია.

ჯეილანი - შ. ნიჟარამე განმარტავს **ჯეირანს**: „ხარის სახელი, შერქმეული შავითა და თეთრით ჭრელ საქონელზე“ (ნიჟარამე, 1971). კლარჯეთში **ჯეილანი** ფურის სახელია.

§2. ხარის სახელები

წიქარად - ხარის გავრცელებული სახელია მთელ საქართველოში, გვხვდება კლარჯეთშიც.

ხარის სხვა სახელები არაქართულია, უფრო თურქული:

ალთუნი - დასტურდება ფურის სახელადაც.

დერვიშად - შდრ. დევრიში - მოხეტიალე მუსლიმანი ბერი.

ყარაყიზად - დადასტურდა ფურის სახელადაც.

ყირმიზაი - დადასტურდა ფურის სახელადაც.

ქიბარაი - (არაბ. Kibar - კეთილშობილი, არისტოკრატი, მცოდნე, განათლებული, თავმომწონე). **ქიბარაი** ალბათ უფრო თავმომწონე ხარია.

ჯანდარმა (თ. Candarma - ჟანდარმი).

ხარის დასახელებულ სახელთაგან **წიქარა** და **ყირმიზაი** (შდრ. წითელაი) ერთსა და იმავე ნიშნად უნდა ჩაითვალოს.

ალთუნი და **ყარაყიზაი** ფერის მიხედვით შერჩეული სახელია, ამასთან მოფერების ნიუანსის მატარებელიც, ამავე რიგში უნდა განვიხილოთ **ქიბარაი**, - თავმომწონე.

გაუგებარია, რა ნიშნით შეარქვეს ხარს **ჯანდარმა** - ჟანდარმი. ხშირად ძნელია გაუგო სახელმძღვანელებს რა ჩაიფიქრა სახელდებისას.

შემოკლებანი

ამბრ. რ.-ნი - ამბროლაურის რაიონი;

ამირ. - მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი. გამოსაცემად მოამზადა ლილი ათანელაშვილმა. ქართული კლასიკური ლიტერატურის ძეგლები, თბ. 1969.

არაბ. - არაბული ენა;

არჩ. - არჩილი. ქართული მწერლობა, VI, თბილისი;

ექუს. დდ. - ბასილი კესარიელი, ექუსთა დღეთაჲ. უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაჲსა“ და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისა „კაცისა აგებულებისათჳს“. გამოსცა ილ. აბულაძემ X-XIII საუკუნეების ხელნაწერების მიხედვით. თბილისი;

ვტყ. - ვეფხისტყაოსანი.

ზან. - ზანური;

ზარზ. - ბასილ ზარზმელი, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება. ქართული პროზა, წიგნი I, 1981, თბილისი;

თ. - თურქული ენა;

კრებული, VI - მამია ფაღავა, მერი ცინცაძე, კლარჯული მასალები. ბსუ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, კრებული, VI, ბათუმი, 2009;

კრებული, VII - მამია ფაღავა, მერი ცინცაძე, მამია ბარამიძე, ორდულ მუჰაჯირთა მეტყველება (მასალები). ბსუ ქართველოლოგიის ინსტიტუტის კრებული, VII, ბათუმი, 2013;

კრებული, VIII - მამია ფაღავა, მერი ცინცაძე, მამია ბარამიძე, კლარჯული კილო, მასალები. ბსუ ქართველოლოგიის ცენტრის კრებული, VIII, ბათუმი 2013;

ლაზ. - ლაზური ენა;

ლიმ - იოანე მოსხი, ლიმონარი. გამოსცა ილ. აბულაძემ, თბ. 1960.

მ. ცხ. - მამათა ცხოვრება;

მ.ც. 1998 - მერი ცინცაძე, აჭარული ტექსტები (ჩაწერილი 1951 წელს კირნათსა და მარადიდში).

მერჩ. - გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება. ქართული პროზა, I, 1981, თბილისი.

მსიგტ, I - მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, I წიგნი. X-XVII სს'ის ისტორიული დოკუმენტების მიხედვით. გამოსაცემად მოამზადეს ზ. ალექსიძემ და შ. ბურჯანაძემ; თბილისი;

ორთაბ. - ორთაბათუმი;

რუს. 1993 - რუსულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი;

რუსუდ. - „რუსუდანიანი“, ილია აბულაძისა და ივანე გიგინეიშვილის რედაქციით. ძველი ქართული კლასიკური ლიტერატურა, თბ. 1957;

საქ. სიძვ. II - საქართველოს სიძველენი;

სიმფ. - „ვეფხისტყაოსნის“ სიმფონია, შედგენილი აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით, მისივე წინასიტყვაობითა და გამოკვლევით. თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 3, თბილისი, 1956;

სოლნ. - Н. Солнишкин, Артвин и Артвинский Округ, Тифлис, 1912;

სპარს. - სპარსული ენა;

ქ. ცხ. I – ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი 1955

ქ. ცხ. IV - ქართლის ცხოვრება, ტ. IV. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ბილისი, 1973.

ქართ. - ქართლური კილო;

ქეგლ - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი 8 ტომად, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი, 1950-1964.

ქეგლ ახ. - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ახალი რედაქცია, ავთანდილ არაბულის რედაქტორობით, თბილისი, 2008...

ქესს, VII. თბილისი, 1998;

ქილ. და დამ. - ქილილა და დამანა, იგავ-არაკები ქართულად გადმოღებულია ვახტანგ VI-სა და სულხან-საბა ორბელიანის მიერ. ალ. ბარამიძისა და პ. ინგოროყვას რედაქციით, თბილისი, 1949**ქესს** - ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები;

- დამალვით რა იქნება? გაამაყდა და თახსინასთან ვერ გუუთია, ლამაზათ რომ მუშაობდა. ახლა აგერ არ ავლიებენ, ბაჯალსუზი ბათუმ მივდოდა, იმა დამართა და!

- არ'ნა დაგმართონ, ვერ'ნა დაგმართონ, ვერა! შენ იმდენი'ნა იცოდე, რომ ვერ'ნა დაგმართონ.

- ხაპიც ჩამოსატანელია ყანიდან. ჩადრი ჭრაზე რომ მივლენ, ერთი არც დატევენ, თან ორალს ჩაცხებენ, რაფერიაო, გონჯია თუ კადა?

- ვინცხას ბევრი აქვა, ჰა ამის ფასმა ყველას აწრობს. ბერ კაცმა რა'ნა ქნას ზამთარში.

- ხოზიკად არ იყოს ამ დროს, რა იქნება, ამუარდნილი?!

- ბაღნებმა რას ამბობენ, მივალთ კიდევო, მიწაშეჭმულვებმა? მე ასჯელ უთხარ, რომენ დიდი ფანძაკი ნუ გააგზანი, ნუ ანახიებო. არ უარებიანო, ურტყმენო ნობეთ-ნობეთ.

- ურტყეს? ნარტყამი იყო ახლოპირ? ისე იტყოდენ, რომ ჩვენი ცოდვა ეყოფიან ჰურიესო, მირტყმენო. არ'ნა ურტყა? რამითჯელ უთხარ, ნუ ურტყავ-მეთქინ.

- ხანდახან იმფერი სარტყმელი გახთებიან! ვერ ურტყავ თუარა!
- ერთიც რავა ვერ დევნახე ჩავლა! თუ ტაროსია, შინ არ ვარ ბითუმ.
- ბაღანა ჩეერბინა და ვერ ნახა მეგერ.
- ამა ორი ყავს ძროხა-ჰო?
- ბანევდენ, გო, ხალხი. ნაზიმდარი, ისინი ჰად არიან?

- გოდორი არ ამეძტადო?
- მომეტანებოდეს, მე თქმა არ მინდა: ქომოდდან თავალმა არ ამომეტანება. დამწიფული სიმინდი ჩირდილში რომ არის, ბოძენ ამუა.

- თველობაზე კად შრომადლე კეთდება; ზვინზე და კონვაზე, ჭრაზე არ კეთდება.

- იმიტონ, რომ ორ-სამმა ჭრიან; ერთი რომ აქტი შევაცენე სათხარში, სხვა არ შემეიყენებია.

- ახლა დაგვიანდა განა, ჰა მიდიან?

- ეგერ გაღმა ვაშლებზე გეეკრენ. ტეხვა იქ'ნა დევწყოთ; გოძამ აქ არც'და ამოვსულიყავ.

- ეს ვისია, გო, ხოშნეთასი-ჰო?

- ზაკუსკა ამოგიტად, ხასან, ჰამა კად რამე გან არა, ნაჩქარევია.

- ბიძას რა დამართნია: ყორე იყო, ხედ უუწევია და ყორე თლათ ჩაშვებულა და ჩაზავებულა.

- ხარმანობა რომ მექნება, შენ იმა მეტყვი, რომ არ წებვიდეო.

- ყველამ რომ მისი ყანა მან აწევს, მალე იქნება.

- მაგიდან არ მეშინია, სხვა რამე თუარა, რაფერ მალე ედწევება, იცი?

- ბარემ აგიც მოტეხე და ძროხები გუუშვი, მაინც საქონელი შამუა.

- გერჩექ რამითი კილო'ნა დარიგდეს წრევს, სამი კილო? ვერ უყურებ, შარშანდელისთენი იქნება თუ? შარშანდელს იძლევიან?

- აბა არ მედცემებიან?

- ამეზლამ ჰასან ბიძად ამუა თუ?

- და ამუა, და - არა.

- დიმიგვიანდა, ფქვილი საფქვეველი მქონდა. ხვალ განა არ მაქვან საფქვეველი!

- წითელაძე რემში ჩავლა და ვადვარდნილა და ცხვირი გეძტება.

- იგი მეჰელელი რემზი იქნება.
- ასმათას დურალამ ქოხში ფოცხი მომპარა.
- რა ვქნა ედდა, მაგაც მე ვიდერდო თუ? მისი დაჲ აქ იყო და იმან მახსრობდა.
- ჩემ ძროხამ ქნა ესე, გო?
- ე რაბელაჲ, გო? თავიდან ბოლომდე გაშვებულია ხოზიკაჲო. ახლა წევდეთ ემრიეს ნაპირზე. აქ ხოზიკაჲა.
- რაფერი დაბეტკნილია, ხედავ?
- მაგას გიგისწორებ, ედ, აქ რას დგახარ, გო? წედ სახში, გო!
- ჰა ბელაში წედ, გო? მაგზეა ნაპირი.
- მოვდონ და წევდონ, ზოგიც მამუდამ დეჲწყო, ზოგიც შუქრამა მიიტანდა და იქნა. რომ არ მიიღონ, ჰა'ნა წედლო, გო? თესლი დავყრი, გადაარჩიე იგი. შენთინ სულერთია, ჩემთინ ვიძახ თუარა. ამ ბალახმა რამხელა ხელი გვიშლის.
- ემრიედ ჰა წევდა, გო?
- აგერ ვარ, გო!
- ახლა ეს'ნა გავარჩიოთ, ჩვენ რატომ'ნა ავწონოთ? ემრიეს რაფერ'ნა მისცე, ფუჩეჩი მოწონდა. თუ მიცემაჲ, მიცემა იყოს, ვაჩუქვებ და ის იქნება.
- თუ მაჩუქვებ, მაჩუქვე, თუ არ მაჩუქვებ, კილო კილოში მომეცი და იქნება. შარშან ამხელა კლავები ქონდენ ამ სიმინდებ. ამ ყანიებიდან აწერილი გაქვა, სიმინდი რომ ვიზარალეთ?
- მაგ რა ვიცი მე, მე რაც მეხევა, იმა ვაკეთებ.
- ემრიევ, ღმერთმა გაგაშეშა, გო, არ ამოხვიდე და არ წედლო!
- გოდორში სიმინდი მაქვა, გო! ხასანავ, აქ შამეძხედე, შენ რომ კომისია ხარ, შეამოწმო'ნა საქონლიდან რამდენი ზარალია.
- ამ ყანიების ზომვა ღმერთმა ნუ გიმინადონ საქმედ.
- რა იჯებოდა, გო, წაბლ ყიდავდა?
- მე თლათ ისე მომცენ, უმუუსლეელი, შენ თუ ქორდები, მე გავახილო თვალი შენზე; მე რომ თახსინაჲს ადგილზე ვიყო, მაგას ბითუმ ვზიდავ-ჰო?
- ფეზლაჲ ჰა წევდა აქომამდი?
- დედესთან ჩემ!
- დედედ გყავს-ჰო?
- მომეცი ორადი, დევწყო მე ჩალი ჰრა.
- წინაჲ გზობ ხარმანი რჩევაზე ვეხმარებოდი, ღამე იყო. სიმინდებ ვერ ვწევ, თურმე წვერებ მიკოჭვენ და მაძლევენ. ამაღამ'ნა გემეკეთებია, გაციცხვა მინდოდა, ჰამა რაფერ გასველებულიყო, იცი? დაფორილიყო თან, ავატიალე ზედთკენ.

- რემზი, ცოტა ადრე ნება აართვი და წამოდ, უწამუსლელი არ ქნა!
- დამთავრდება და წამულ, ნება ისაა. შენ თავი ყველად წევრი ვერ მოგიხმარია და მე ამოვდე?

- შენ გოდორი არ ქქონდა, თუ ესაა, რაბიევ, შენი?
- ერთი ბათუმ წედლო, ერთში თუთუნი მიყრია და სხვა არ მაქვა.
- ვისია ეს გოდორები? ოსმანას ქალისა-ჰო?

ბზითვალი ჩეერზინა, თან გავაგდე და წამუელი, ესენი როდს მოვლენ, ჩვენ დავდგათ და ვჭამოთ.

- მოვდეს ბალანამ და ისე.
- მოვა, აბა, იქნა იყოს-ჰო?
- რა ვიცი მე.
- მიმინო მოჩვევლია, თუ რა ბელაა, არ ვიცი, ასხალდი წედყვანა.
- მიმინომ წედყვანს თუ?
- „წედყვანს“ იქნება? „მიმინომ წედყვანს ჭუჭული“ იქნება-ჰო?
- დღეს იმ ქობთან გეარეთ. ერთი დურალასთან ევდე იმ ფიცრისთინ. ერთ ნად ვიქ და გამეცტან, რა იქნება? ჰესაბში აქვა განა! ჯემალამ წორე იდახს განა!

- ორ დღეზე ორას ფიცარ ჩამედტან.
- ფუჩეჩი ჰა ყრი, გო?
- აგზე ვყრი-და!
- შენ შენი ქეიფით ექენები; ვაშლი აკრეფე მამაშენს, გაბუტილი ყოფილა მეგერ.

- გელინ, მაგას რწება უნდა, რომ დეეძინოს.
- მერიკოდ რწებელია თუ?
- დღეს წედქვა, ცხვირ-ბუკი დედბბგალა.
- ერთი მეყურებია და მესეირა.
- კაცმა წედქვევა, ისეირებენ-ჰო?
- მაგის წაქცევაზე ვისეირებდი.
- დღეს გამომევიდა, ერტყა'ნა ჩემთინ. წედქვა, დედბბგალა თლათ.

- ღია გჩება ბითუმ, გამევარე და მივმარი.
- დღეს ქორმა გამაწრა თვარა, მოვკლიდი იმა. ასხალდი დაავლო, ერთი თოფი'ნა ვიყიდო, ზამთარში ჩიტები'ნა ვკლა.
- მე ბაბაძს თაბიეთი ვიცი-და! იმან მუშაობა ჰიჩ ვერ უთევს, ჰიჩ!

- ზორი არ მექნება, არც მე ვუთევ.
- ბაბამ ცეცხლი დააქრობია-ჰო?
- თქვენ მედთავეთ ბახჩა, ახლა მოსაზვინია.
- ლობიოც ჩალაზე გავაშვი მაგზე, მოსაკრეფია, დარჩენილი იყო. ზაათი რჩება თელგან.

- აქიდან იქ ჩამოვდა ხმა და ამოხველ?
- აბა, გეგონე და ამუელ.
- იმან წევდა და გოდა ფირმის გამგეთ'და დამდგარიყო.
- გამგეობა ნაილემა იჯება.
- ფირმის გამგეობა მე არ მიჭრის ჭკვამ და იმას რა'ნა ვენა? იმან ბედიავა წევდა-და იქ!

- რაფერი თესლი მომიწყდა, ოდმე, გო!
- „ოდმედ“ რა თქმაა, ჭო, ზაათი წყალში არ ვყრი?!
- ნახვარი გავარჩიეთ? თექჩემ იყოს, რა გვეჩქარება?
- მე ამას მოვთხოვ, ხვალ დილაზე რომ იგზე არ დევნახო!
- ახლა ჰა ამფერ ყანიეფს რაფერ სიცხიეფს დაარტყავს, იცი? შარშან ადაქვეშ რომ მოვტეხეთ, რაფერ იყო, იცი? თან დეფუქვეოდა.

- ერთ რამეზე რომ მივდგები, იმა მარტო მე ვუშველი-და! სამი დღეა, ვერ მოასუფთეს. ბახჩიეფში ლობია თუ იქნება, მოჭრას რა უნდა! თუ გადავცვალე ჩემი ბახჩა ადაში! რემელია კად?

- მე რა დაგანდე შენ? შენც შიგიმოწმებია და გიცნია. ჰაზირი მაშინა კალოზე ჩამოგეყვანა.

- იმფერი ბამბის ძაფებია, რომ რა გინდა! ჭოროხი პირში დატია ჰაცხან.
- მეტი ბევრი ნუ ლაპაძკობ, მე ჰერსი მაქვა, იცი?
- ადე, არჩიე, ჭო, რა დეგემართა?
- გუშინ ვაშლი მომპარეს მაგათ და!
- იზეთამ რაზე წევდა ბათუმ, ჭო?
- წეძლო და წევდა! ჰა'ნდა მიეპარეს, მარტო იყვენ მათ?
- ზიად ხლებია, გამეყვანო'ნა.
- აბანვას არ ასხია ვაშლი?
- აქ ჩაირი ააწევიო'და თუ?
- ვაჭრევიო'ნა, გო!
- არ მუუჭრიან-ჰო?

* * *

- ბაღანამ რა გაღვიძებაზე ტირის. ლაპაძკი რავა იქნება. გეეჩვია და დამეშიც ახილებს თვალი.

- ეს თვე რამითი გამოვდა ჩვენით? ქართული ცხრამეტია, ჩვენებური ექსი-ჰო?

- ტირის, გაარწე, გო!

- ქაზიმად არ გამეარა ერთი, რა იყო გოდა... ფალთო ჩამოგიტანა, ჭო, შენი?

- ნაჩალნიკის მაშინას ჩვენმა მანქანამ ჯობნის. იმფერი დამსხრველი მანქანა ჩვენმა კოლექტურმა აკეთებოფს-და! რავა სათსავეფ ისე მუშაობს იმ მანქანამ. რამდონი შოფერმა ამუშავებდა ის მანქანა!

- ხვალ დილაზე მახოს წევალ. ის მამაშენს კითხე, მე არ ვიცი, ნუ იქავ მაგა, კოჭეთ, დეილია, გო! თუ'ნა წედლო, რა'ნა ქნა, იცი? გასანთლო'ნა.

- არ ინახა, გომიხარდა-მეთქინ, უთხარი, ფიცარია ხომ, მარა გომიხარდა მაინც. მე იქ ვაშლი სად'ნა დავყარო?

- საცხან მოკრეფ, იქ დაყარე, ვაკეზე, გამოარჩიე.

- მიიყვადთ და ჩააგდეთ ხობოები, რას უყურებთ?!

- გუშინ განა არ წევდა იქა! ფეზლას უთქმია, რომენ რატონ არ წევდაო, დროზე არ თქვა, საიოსტრანმა გააწრა.

- სიმინდებ რომ აწევ, თესლი ბევრი იქნება, აბა რა იქნება?!

- მაგ ქათმეფს სიმინდი დუუფშვენ, ჭო, ამოხარშილი სიმინდი. სიმინდი არ აწიე დემექ.

- ე ფიცარი ვისია, ჭო, ვის აართვი?

- ქაზიმამ არ მეტანა?

- ახლა იმას მეფვენდი, ჰა ჯეენემში დემეკარქა?! ახლა გოდორი ჰა გავცალო მე? ე ვაშლი ჰა გავცალო?

- ე დეფშნა აგზე ვლაში. ნაახორავზე დემეყარა, აჯაფ ჯობდა? სანახშირეს ედი ერთი! ქაზიმამაც კრიფავს ვაშლი.

- იმას კრეფვა ვაწავლი მე.

- ქათმები'ნა გუუშვა, აგერ ჩვენ ვართ ახორიკარებში.

- კაცმა მისი არ აკეთეფს და კოლექტივისა გააკეთეფს?

- ზედდან რომ ვაშლი გადმუარდა, დეეცა იმნებს, ერთმა ვაშლმა ხუთი გააცვენია.

- ხობიები ჰად არიან, ჩანან? ჰემ დემეკარქენ; დღეს ხალხი ჰად მიქყავს?

- ვინა არიან? ჰადმე არიან ხალხი, თუ გაფიცვა გამოაწყეს?

- ჰა იყო ახლა მაგა? მე რომ უმახთი, ხმა რატონ არ მამღეფდა? ჩემი ხელიდან მოსაკლელია მაგა, ჰად'ნა გექქეს?! ემრიედ რომ წევდა, მასკან წამოსლა არ გუუვლია გულში.

* * *

- ჩემთინ ინახევდა ყველამფერი. ახლა ჰიჩ არ ვახსოვარ.
- ზეკი, ზეკიევ! ემრიეს დუუმახე ერთი, გამოვდოს აგზე, რამ არ უჭირს. ნავითიანი, გუურცხელი დანა მომცა, სხალი ხომ ვერ გავთლი ამ დანადით?!
- ჰილმად აქა თუ წევდა აჯაფ?
- ჰილმადთ არ უდგას იმას სული?!
- ზეკიედთ ავატყოფობს იგი თვარა, მარტოდ რომ იყოს, ისე ხომ არ იქნება?
- ედა, ხედრულა, ჰაჩან შენ'ნა მოქხმარებოდა, სახში რატონ წევდა?
- იმას ვაგვანე თორმეტი დღის უკან, ის ბადრამზე იყო, ერგეს მივდოდა.
- ამუარდნად მისი! მან წევდა და კაცმა მორჩა! რამისხელა ყვიროდა, იმა რატონ სხნიო, ჰამა იმან მაინც გასხნა.
- მე ხომ არ დამამიწყდა ძველი მესელები, ისი რომ დამბიწყებოდა, მაშინეზე კად იყო. პური კაკალი ჩამედტანა დასაკაზმელად. ნაფიეს დედამთილი ჩემი ბიბიასთან იყო, ბაღანა ავადევლია; ჯელალამა იმახს, ჯამიკარ მივალო. გოდა ბაღანათ ასაღებს მისი თავი იმხელა დელიყანდმა.
- მან მუშაობს, მასზე დიდი ბიჭი ყავს ატოლებული.
- მაგ ქალი ხომ არ მოსულა გუშინეზე კირნათ?
- მაგის დედამისი რამითხანია არ მინახია.
- ჰურიევ, შენ ფარალი ხარ, ამეზღამ აქ რატონ დადექ?
- რატონ ართვამ, გო, მისაცემელი არ ხარ ნენეზე ფქვილი?
- სამოცი მანათი გედევხადევი, მაგას რაღსთინ'ნა მივცე? თუ ვინმე ვნახევი, ჩავლად გავციდავ! იმას ნაყიდი აქვა, რაზე იღეფს ახლა?
- ახლა არ მცალიან, ხვალ ვილაჰადკოთ. სხვა ნაკირნათევ არ'ნა ჩამოხვიდე?
- მოვწყინდი და კოპერატივ'ნა მივდე.

- ხიზარი ვისი ხმაროფ, გო, ტადასი-ჰო?
- ენას განა არ ამბოფს, თავ აქნევს, კალოზე დგას ლანდსავეფ.
- აბანვას მივა და იქიდან იგზე გედევა, შუშანეთ.
- არ ვიცი, სანახშირეს მინდა ასლა. ავლად ერინჯი'ნა ავდენო ზედთკენ.
- შიში საჭრელად ტყეში მივა იმან.
- ხაშარმა ვერ დედკავებდა ლობიო?
- თუთუნებმა გახმა და სიმინდებმაც ჩედლეწა; ვაშლებიც დატეხილია, ტანები ძირში ჩასულა.
- ვისია ე გოდორები, ოსმანას ქალისა-ჰო?
- წითელაძების ძროხა გეეჩვია სიმინდის ჰამაზე.

- ქუხის, ხედავ? გაწვიმდება დილაზე.
- სახში წევდეთ, აშშმ მოწყინდა.

* * *

მარადიდი

- გალმა რომ წეხვალ, გავლა გუგუმები წედე.
- სალამოზე'ნა შეამოწმონ, მე გუმინ შიშა მაქრევიეს, უსტა'ნა მოვდესო, დრო გევდაო.
- ჩემი დახურვილი შენ მოშალე?
- რემზო! ერთი გოგომა ის დამაწავლენ მე და შენ, ბალინცა, გამყვენ იქა, გახსოვს?
- მე უთხარ ბიძას ე ამბავები, ჰამა არ დიმისმინა. რომ ლაპააკოვ, მაგზე ხალას დუუძახე და იმან გეტყვის.
- ჯემალად გიძახს, გო, ზომო, ჯემალამ რა ქთხოვდა, ჟავე ქთხოვდა-ჰო!
- ვისი გოდორია აგზე?
- რომელი?
- ესე!
- იმას კად სხალები უსხია, ისე გავ.
- მურთაზას სხალი მეგერ დამპალა თლათ.
- თხა ბაღნებმა წეყვანონ ტადადის სხალი ძირში, იმათებში აძვონ.
- მაგ ვაშლი მე მოვცრიე წადან, სახლი თავ ვიყავ.
- რადსთინ მირბი ასე ჩქარი, გო, ვინები მოგდევენ?
- გზიზედთ ვაშლი რომაა, იმას ასხია აჯაფ?
- გვალიქედი ბოლოს არაფელი არალი.
- ახლა აღარ მაქვან სხალები, დავგლიჯევი ბოდნე.
- ბახჩა არ დიმივლია, სველში არ გემეველებიან და რამბვობაა აჯაფ ბახჩიეფში, ვინმემ არ იცის.
- გვარიქედის ბოლოს, გზიკუთხეს, გასამეჩხრებელია. წრეველად სიმინდებმა წვერში აძლევენ კლავი. ანჯახ გავამეჩხრე, გაქარ და წედევე.
- შენ წვერებმა გაფხიკეს გზა. შენ გოლიდან ვინმე არ ეკლო.
- მეხფულევე, დილის მემრენ აქ ხარ, ემრიეე ხომ არ ჩავლილა?
- დელი გაღმადან ავლილა ისი.
- ილიას! სახში ეხველ და მოხველ? ამდონ ხანს რატონ არ ჩამოხველ? ჰილმადს გოგოსთან იმისთინ წეველ, მენახეს'ნა.

* * *

- ვერ ხედავ? ჩემი შავიად გაზდილა და კოლექტურში მუშაოფს.
- ჰა მირბი, გო, სახში ვერ დაჟდები?
- მეტი ტიალაჲ ბაღანა ყავან მაგნებს, ცაფელი ხოშ ვერ ჩევალ?!?
- შენი და ჩემი ამბავები სხვაა, შენ იმას რატონ არ იმახ თვარა!
- ბათუმის გოგომ სიმინდი მეიკიდავდა და მედტანდა.
- ეს ბაღნები რომ არ მცილდებიან კალოზე, მეტი მიყვარან გოდა!
- რატონ ტირი? სულიკომ დაგაცემა თავში რამე თუ?
- შენ რომ დაგარტყან, არ იტირეფ-ჰო?
- ბაღნებმა ზათი არ ეპატრონებიან მისი სახს; ვინმე არ მოვა და არ გააგნებიებენ. წამოვდენ იმათ, სულო ემიამაც ჩამოვდა მეგერ.
- ერთი იქ ყოფილიყავ და დეგესმინა, რას ამბობდენ!
- მეტი გაწუხებული იყო მეგერ, ჰამა არ გააგნებიეს.
- ჰილმაჲ სამელიას იყო, წევდა აჯაფ?
- მეჰელეს უნდა წასლა, კინები მიაქვა.
- ფიქრიემ ტირის, ბაბამ მომკლისო.
- რაზე ტიროდა ფიქრიემ? ფიქრიედ ხოშ ის არ იყო, აკვანის ბაღანა?
- ჩემი დამა მასე'ნა მითხრას, ბოძნე კაცეფში იმუშავეო?
- მისი კაცმა თუ რამ არ ამბოფს, დედამთილმა რა თხოვს? მის შვილ ჩარტყას თავში, იქეთ-აქეთას ნუ უძახს!
- გესმის? ის თოფი იქ ვარდება და აგზე ისმება.
- დაკალ, გო, რაღსთინ არ კლი მაჲ ქათამი?
- ამის ხორცი არ იჰმება ხოშ, რა არ ჰამს ამან!
- არ იჰმება, არა, ერთიპირ რომ გეტყვიან, დედჯერე ისი.
- დულს მაგ წყალმა, სხვა რა გინდა, გო?
- მალ-მალ რატონ მეშშევა, არ ვიცი.
- დილას ჰამაზე გაჩვევლი ხარ?
- მეტი მომემშიენ, გო! ჩვენ თუ სახში არ წეველთ, არ'ნა იქნას; ერთი ჰამამ რამე არ მიზამს.

- ბათუმ'ნა წევდე და მაფლი და კალოში'ნა ევლო.
- დღეს კალოზე გეველ, მაზლოღში ვიარე პაწახან და ფეხებზე შემცივდენ.
- არ ამომეტანებიან, თუარა, მაგზე მისლა არ შემეზარებიან, გო!
- ოსმან ბიძას ძაღლიდამ მეტი მეშინია.
- მისი ბაღანამ ხან ყუმარ თამაშოფს, ხან მანქანაზეა.
- ბაღნებმა ძაღლებ აჯადინებენ კალოზე.

- მაგ სხალი თითო შიმინახეთ ჩვენ თელს, თუ არა ზათი მოკლილი ხართ.

- ზათი შიგინახ, კატას არ შევაჭმევ.
- ქაზიმას დედამისმა მიძახს, ნეტად რა იქნაო, არ ვიცი, რა თქვეს.
- ნენი, ცივი წყალი გაქვა?
- კიბილი რომ არ მაქვა, ზოგჯერ მოხარშილსაც ვერ ვჭამ.
- თიბილია მარტოდ და რა'ნა ვჭამო, ცხელი იყოს ონსუს!
- რაზე დიგიწყია საჭმელი?
- მერიმა გაზეთი არ მომიტანა და რა'ნა გედემეფარებია.
- მიკიდილი რომაა იგზე, რადს თესლია, მაკიდოდსა-ჰო?
- ქათმებმა ჭამენ თესლი.
- რატონ მეკარქვიან ბითუმ ჩვენ დანა აგზე?!
- თუ დატიე მაგ კატა მარტოდ, თან თაროდსკენ გარბის.
- მახოს არ'ნა წეხვიდე?
- ახშალამაზი უკან რა'ნა წევდე მახოს!

* * *

- პაწახანს უკან ყველამფერი ეძვსება.
- დურსუნავ, ნადის გარეთ ერთი დღე მომეხმარეთ.
- მე და თახსინამ ვჭრიდით იმ ტყეში შიშა.
- დაგანდო შენმა ნენეშენმა, ედიო?
- აბა, რა გგონია, დეგენია ესე ჩემი.
- თექჩემ ჰექიმს ვერ გააგონეფ მის მამის და სხვა რამ არ უნდა.
- ეს ხაპი გაჭარ და არ მოხარშე-ჰო? რა გააკეთავ, დიგინახ, ხვალისთინ.
- არ ვკრიფავ გოდა პამიდორ, მწიფდეს-მეთქინ.
- ჯერ არ გისმია ამფერი თუთუნი?
- მოწყინდი თუ რატონ წამოხველ, მის ხათრისთინ დამდგარიყავ ონსუს.
- ჯემალამ გიძახს, ჩამოვდესო.
- ჰიქმეთია განა! წუხელ გასველდით, გო?
- „გასველდიც“ არის-ჰო? აჯავ დილამდი გავშრით?
- თელი ხალხი მიდიან. მაგნები ხალხი არიან თუ? მაგნებმა რა იციან?
- ამათ ახლა სად არიან?
- იმათ ბითუმ საჭმელი ჭამენ-და.
- აქ მეფვა ჭამდა მან, იქ ნახავს მეფვა?
- უწინ რა იყო, არ გახსოვს? იმდონ ყველ ჩამედტანდა, რომ დერგულეფში ჩავმწათხევდი.

- ზაფხულში ძალ ვერ მოვრეკდი ებზედი. იმათ საწურ თორბაში ბილე წურვენ, იმათ მეტი იჯებთან.

- ჯემალ, ბალი ხიწვერზე ამწარდა ისე გავ.
- ისიც დამახნილი იყო ისე ამაზე, იცი?
- ახლა დიმიმინე კარქა, მასკან არ მკითხო.
- სულომ ჩავარდა და იმიტყდა სიცილი.
- ერთი დღე ნადი'ნა მექნა, გო, ეძწია ყანამ რამდონი ხანია.

* * *

- ძალი (რძალი) რომ მოსულა, „ფოთა ეფენდიო“ მეგერ დუუძახა; ქალმა რა იცოდა მეგერ კაცის ხისიმისთან, რომ ფოთა უძახთენ. ჩვენ რემზისთინ უთქმია მეგერ: სირცხვილია, ყველამ ასე უძახიან.

- მაგ ქათამი დაკლილი ჩამოგეყვანა.
- თლათ დაწვილი იყო, რამეთ იქდა-თუ?
- ე ვაშლიც შეწვილა, რაზე ზიხარ მაგზე?
- მალახთო რომ დევნახევი, უშუუჭმელი ვერ ვქენ.
- არ მოქწონდა, არ მიდევდი, ახლა გულგეწვის.
- ნახენ მეგერემ ხეზე დაკუკვილი და მარტომ ღმერობდა (მღეროდა)

მისთინ.

- მე რომ იმა დუუყვირაგ, ახლანდელეზმა რა იციან.
- ე ძაფები ვის დუუზბმია აჯაფ?
- მე ხმა არ მაქვა, ვერ გავაგონავ.
- ხედრუქნელეზმა შეგვიშალენ ხელი. ასხალდი მეც დიმიკავენ.
- ძირად ვაშლი ვინმეს მიაქვან, ჭო?
- ორ გოდორ ერთპირ აკეთეფ თუ?
- ჩვენ წისქვილმა არ ფქვავს და არ ჩამეგტად.

- კახაბერში გადაბარგილი ვარ, უწუუსლეელი არ იქნება, საკარმიდამო ხომ ვერ გააშვეფ მარტომ. კანაფიც მოსაგლეჯელი გახდილა; მარტო ბაღანამ ვერ იქს, მეც ვერ ვიქავ. ქათმები მიდიან და ჭამენ თესლი ქათმეზმა.

- ხვალ ბათუმ უნდანან წასლა, ჰამა მამუდამ, ხვალ ვერ მივალო, უთქმია. წასლიხან არ მინახია, რასოდ მეწყინა!

- ისნები რომ ლაჰადკობდა, ვერ ხედვიდა იგზე მის დედემის?
- კი ხედვიდა, ჰამა ეგონა, იმან არ იცისო ეს მესელეები.
- ოთხი კუთხეს თუ იფიქრე, მასე იქნება-და!
- შენ სახლიდან გადასახადი არ გაქვან, ხუთი ოდალი სახლი გქონებია?
- მაგ მაშინა ბათუმ მივა, შესადებელია.
- შვილი უნდებიან ჰელლაქი.

- ჰაცხან შეინახს და ეძებე მასკან შენ. წევალ და, თუ ვინმე ვნახევი, ჩავაბარეფ.

- მეც ისე მივეცი ომეროლლი იზეთას ბაღანას.

* * *

- იცნობენ ერთმანებ? ერთ ხიდზე არიან გავლილი-ჰო?

- გავლილი განა არა, წანაკარები იქნებიან. ხარები და ერინჯი ზედთკენ, ამკენ ავლილან.

- რაცხა დევნახ, თან ჯღანგუდელაჲ მეძახნება.

- შენ ხომ არ გინდა, გეძახნება და!

- ახლა'ნა წამოვდეს, თუარა საღამოზე კი არა.

- სიცოცხლეში დემენატრენ ბაღნები.

- ღმერთმა მან არ ჩამეძყენა სელამეთით, არ დაანახია აქავრობა!

- ზოგიერთი გუდუურჩენ სიკდილს.

- ამდონი კაცები რომ არიან დაკარქნილი?!

- ქალის ჩამორჩობა მას დააბრალეს მეგერ და მანაც ჩამოარჩეს.

* * *

- იმ გოგომ წუხელი წევდა და ჩვენ კალოზეც ვერ გავყევით, რაცხა ბევრი საქმიები მქონდენ.

- დღეს ბათუმ მივალთ და შემხთებიან ილლე; ისნებიც წესული არიან, სხალ ყიდავენ.

- ის გოგო აიშემა იცნოფს-ჰო? ხალხმა რა იზახიან, იცი? ამდონხან ჰა ყრიან ისნები?

- ორ დღეზე გახმება, სამ დღეზე ამოვა. შიაჭმევდენ, არ იცოდი? რაზე არგავდი?

- ჩავლაჲ გუგუმები მიმქონდენ.

- იგზე არ მიხვიდე, ტურებია!

- ქათმები აღარ მყავს. ასსამოცი რომ დარჩენილიყვენ, მაშინეზე რა მიჭირდა!

- ცხვარები დარჩენ შიერები?

* * *

- მოჭარ ისიც, ეს ერთი ძაფი არ გუუცთა თუ? ამდენს არ გააკეთებდენ თითო კაცი.

- ახლა რომ აჭმევ, მეემშევა, ერცხვა დრო რომ მოვა, მაშინ მიართვი.

- ავნიმა ურტყავს ბაღანას, ჰელე მოგემშია, ვინ იცისო.

- ასი ოყალი ქვაბი ყიდევდა იმან გუშინეზე ბათუმ. მასკან წევდენ და ნახენ მეგერ ჩამალილი.

- მის ძალიდან მეტი მეშინია.

- რომ გაშვილი იყოს, გეტყვი.

- ასე მალე ბზე უნდანან ბაღნეფ.

- ის აირი წევს და ისვენის.

- იმას მე დღეს წავართვამ სურეთი ნაზიესი.

- სამოცი მანათი გედევხადევით მე და ქაზიმამ.

- ჰადმე ჩხუბი რომ მომსლოდენ, ერთათ ვიყავთ ბოდნე. ბალახის მაჰანინე გეველით, ეშინოდა იმას, გეველთ მასკან, გოგვები იცინიანო.

- ეველი, მაშინ ვკითხევი.

- შენც მიხვალ?

- თუ წეესლება, მივა?

- აჯაფ წემესლებოდეს, არ წევალ თუ?

- ესეც წეძღევ, გო.

- შენ ხელში დასაკავნელად არ გემეტება, რომ მომცე, არ აგართვავ.

- ისოფელი ქედ-ქედს აქეთაა, ზედდან.

- შენ რომ ჩემი ხათრი დეგეჭირა, ერთი სხვა აღარ იტყოდი ხომ იმ მესელეს, ჰამა რა'ნა ქნა ინსანმა!

- ერთმა ინსანმა შვიდ მეზელულს გუუწევსო. ღმერთო, მალე ნუ მომიკლი ჩემი უდუუნახველაა.

- ქაზიმას დედამისმა მიძახს, ნეტად რა ქნაო, რა ვიცი, რა თქვეს, მე ადშეს ვუცთიდი ფეიზიოღლის.

- ჯემალას მამისი ყოფილა, კიდენ დუუძახიან.

- ფარა მათი ხარჯებში და მათი იმათებში მივა ზათი.

- კაკალიც რომ მუუპარიან? ღმერთმა დააპაწავონ იმ კაკალსავეფ.

- იმ კაცისთინ სულ ასე ლაპაძკოფს იმან, ერთი ემედენი წააზავდებოდენ ათი-თხუთმეტი კაცი.

ბორჩხა

- მე მიყვარს საქართველო, პირველად გეძხნა (გულისხმობს საზღვრის გახსნას – ჩამწ.), მესამე კაცი ვარ გადასული.

ზაქარიადეებიც არიან, ზაქარადეებიც; ხელვაჩაურშიც არიან ზაქარადეები.



შენ ნაცნობი ხარ, პირველად დიგინახე და არ ვიცი, საიდან. ბათუმში შეიძლება, ბევრჯელ დავდიოდი, ორმოცდაათი-ასი კაცი ჩამოვდოდით, დავლევდით. მე დალევა მიყვარს, მე ქართველი ვარ და მიყვარს. აქა გვაქ.

ხვალ შეიძლება, მე არ ვიყო, თეთრ ღელეში ვარ თაზე; დილას ავდგეთ, წევდეთ. მაჭახელი, ბათუმი ჩანს იქიდან; აქავრი ხალხი თელი ქართველია.

- საიდან ხართ, საიდან, ბათუმში შიგნიდან ხართ? ესა (ზაზა შაშიკამეზე ამბობს) თურქს გავს. აქ ახალი გვარები აქვან; კანოლი ზეით ბელლევანიდანაა, მარადიდთან ახლოსაა; ჩემი სოფელი ბელლევანია.

- აქ პირველად ხართ? ეს მე ვარ, ეს ჩემი დედეა (ფოტოს გვიჩვენებს – ჩამწ.); ასე ხოფიდან მოხვედით? ეკლესიაში არ გასულხართ? დილას'ნა წევდე. ეს შენი დედაა? ფესტივალი ხვალ თავდება. ისამებენ ჩვენებურები, ქართველები. თეთრ ღელეში სამი სოფელია, ქართველი აქ არი.

- თქვენ ძმები ხართ?

ვივაზიროთ!

ხაჯიშვილი თემური იყო, მოკლეს, ვინმე არ დარჩა; თემური ჩემი მმაცაი იყო, მაგარი ბიჭი იყო; პატარა საქმე იყო.

საუბრობდა სერგო ზაქარიძე.

ჯივანი

- მე ვქორდები, თვალების ჩინი წიმივდა; რიზეში'ნა წევდე.

- მაშალა, მაშალა, სუფხანელა.

თქვენ რუსია არ ხართ, გურჯი ხართ, ვიცი. მე ნენელული მყავდა, ჰუდუდი ჩეიჭრა, აქევრელები იქეთ დარჩენ.

გამომწიე. სიტყვა სიტყვას მიებას. აქევრელები ზორ ბევრი არიან. ცოტად დავბერდი, ცოტად ჭკვა არ მაქვა.

- იმა, ლობიას ლამაზათ დავტეხავთ, ჩავჭრით თენჯერეში, სოღან ჩავჭრით, წყალი არ'ნა დაასხა, ზეთში'ნა მოშუშო, ლამაზათ ჩეიშუშვის.

- მუსაფირი გიმიხარდებიან, მიამებიან; ის აქევრი არაა, ისტამბულშია; ყველა ძერის ადგილი აირია; მეტი არ ვიცი, ჯილველი ნანაა მე გურჯიჯა არ ვიცი.

„გელინო, გელინო, ლელ-ლელა წამეარე,

კარი თავი მაღალი, ფეხი არ წამედკრა,

დედამთილი დედასავენ, მამამთილი მამასავენ,
მაზლი გყავს და ძმასავენ,
მული გყავს და დასავენ..."
უკანად თურქჩაა.

* * *

- მე ქვედა მეჭელეს გოგო ვარ. სამი თანე სოფელი ერთი იყო, დიდი გოლია.

- ი ხარი აქ არ არი, ი ხარი კარჩხალშია, გემიგონია; გემიგონია, სხვა, უკანად არ ვიცი. აქ ერთმა იცოდა, მოხუცმა. ლოცვა არ დავაწავლე. შენ არ გარგებს; არა, არ ვიცი, გეყურბანე, არ მიკითხია. მაჭახლეელი ხოჯა მყავან, იმან გურჯიჯა ვაიზი იცოდა, რას არ იტყოდა!

წყევლა? ვიცი!

- ღმერთმა გაქცვიტოს, გაგაფაქოს, კარგობა არ მოგცეს! ეს დუნია ჰერამი იყოს!

დალოცვაა: ღმერთმა კარგობა მოგცეს! ღმერთმა ბევრი მოგცეს! ის დუნია კაი მოგცეს!.

ჩემმა ბადიშებმა არ დემწავლენ; ორი ბადიში მყავს. გურჯიჯა დუას ვიტყვით.

დედკარგეთ აქიდან! ერთი კად დემელაპარიკე, გევგნოთ.

ისინი გურჯი არიან, ყური მომიგდე, მეტი ვიმერაყე, ვერ ვილოცე, ფიქრი წიმივიდა, ფიქრი დავკარგე, ჩემი მერაყობა მე დამჩა.

- ერთმანეთის რა ხართ, არხაბები ხომ? ერთათ ხართ?

ბათუმი რომ გემხსნა, აქიდან ბევრი წევდა.

ვერ ვიგონებ, ფიქრი არ მაქ.

ახალ წელზე ის ადეთი მაქვან: დილაზე არ'ნა დეილაპარიკო, წყალი არ'ნა მოასხა. ერცხვა წლამდი რომ ზარალი მექნას, იმიდან დავთლი; მივართვავთ, წყალი ვასხავთ, ვიმუშავებთ. ჩვენში ადეთი ამფერი არი, იმსოდ შები აქ არ არი.

- იმის თვალი არ გეცეს, ხელი ამემსვი, თავზე მემსვი: ბევრი საქონელი ყავან, ვუკითხავთ.

- მოკტენ, მცოდნელები მოკტენ. თვალი რომ ეცემა, ის შელოცვა თურქჩაა.

ექსიპირ ეს'ნა ჩედკითხო, მეშვიდეზე ეს'ნა თქვა (თურქულად ამბობს – ჩამწ.).

ვინ მათამაშებდენ?! მე ბაღნობა არ დიმიწახიან, ნენედ დავხარჯენ, შვიდი წლისა ვიყავ. თამაშობა არ დიმიწახიან, ახლა ვუყურავ, რასოდ ჩედცემენ.



დედბურვენ, სარკეში უყურებენ, მიხდებაო. ბაბოა ხეირსუზი მყავდენ; ჩემი დიდნენეა მეტი სეფილათ იყო. ამის ნენეა მაჭახელია, ჰუდუდი რომ ჩემჭრა, რუსის კარზე დარჩენ, გადასულან იქიდან, ილაპარიკებდენ. თქვენი კანონი აირია. ეს ზათი, ახლა? გუშინ ამოველით, ჩემი კაცისაა ოთელი, რიზელი არიან, იმიდან გეგვენ. ტრაპენიდან ვარ, ამან იცის, კაცებმა არ იციან.

- დეთმიშ დედი ყოფილა.

ჩემი კაცი საქმეში იყო, ედა, ის ქი მოკტა, ათი წელი გახდა, იმის ფარას მე ვართვავ.

- ფარა, ფული, ანტერი ფული! ღმერთმა ანტრად დაგტიოს!

ძროხები გაქევიან, ვერ მეეწევი.

გელინი მოკტა, გელინი მევრე ეს მეყვანე, იმ თერეფიდანაა. იმ თერეფისკენ გურჯული არ იციან; არ ვიცი, რა ვთქვა. იმა „საფრიალას“ ვეტყვი.

* * *

- აქ არის თომათესი, სიმინდი, სალათლული, ხაპი, აყირო. მაჭახლები ხაპ ეტყვიან. წინ ვიქმოდით, კოშ ვეტყოდით, წყალ ამეველებით.

თქვენი ადეთი ასეა; ოთხი თანე დარჩენ, ორი დაქორწილდენ, გეეთხვენ. გელინი მოკდა.

- დები შილები ვიყავით. ეს ჩემი დის ბადიშია, მოსაფირებად მოვდენ, ოთელი ამისია. ერთი ბალანა ეყოლა, გონჯი ავადევლობა ქონდა, გუშინ მოვდენ ესენი. ჩემი დაა იზმითაა. ერთი ყავს, თექი, - ღმერთმა გიჩუქოს.

- ახლანდელებმა არ იციან, ჩვენებური არ ვიცით, ფიქრი არ მაქ. ჩვენ თელი გურჯი ვართ. ჩვენ, გურჯი, ბორჩხაში ქი ჩავალთ, გურჯულათ დევლაპარიკებთ, მიხდებიან, ჩვენი ხართო; ლაზებ მეგრელებს ეტყვიან, ჩემი გელინის ბაბოა ნენეა გაგულიანდებოდა, მეგრელი რატომ გვეტყვიან, ლაზები ვართო; ახლა მე ხოჯა მყავან, მაჭახლელი არიან.

დალოცვა: ღმერთმა რამ აჯი არ მოგცეს! ღმერთმა დიდი ხეირი მოგცეს! დავაცქინტლავთ, მაშინ ვიტყვით: ღმერთმა კად სიცოცხლე მოგცეს.

სიცოცხლობა მაქ, კაი შანსი მაქ.

პურ გამუაცხევედით.

დანაყე, დანაყევი, ორთვენი ერთად; ნუსხას გავაკეთებიავ.

* * *

- აქაც იქმენ, დაკლიან, ისამებენ, ჰემ რამდენი. მე რა ვიცი! იგი მეშორდია, მემთვერე.

უწინ ჩალმალი იყო; ნაცარ შევაყრიდი, შევნახდი. დილადა გამოვჩხრიკევი, შიშა ჩავაყრიდი, არ ქონდეს, რას იქ?

კონსერვებს გააკეთებდა, მე მეტი მიაძება, მიდეს გასხნის. მოლესევედენ, ვერ ვიგონავ, დამმიწყდა, ბოლაქი მექნებთან, მომგონდეს.

ბიჭებმა გოგვებს გამოუთქმევდენ: „უსტურა და ბილევი, შენთვის ვიწვი, ვილევი“. მაჭახლელმა ჩემ ნენემა იცოდა, ვიქმოდით ნად, ნადებ ღამეში ვიქმოდით. ისე ძილ-ძილ არ მუუთლიდენ.

* * *

- ხოჯა ჩემი მაჭახელია, დაბანჯი არ არი, ბაბოდა იქიდანაა. მაჭახლის ლაპარაკი და აჯარას ლაპარაკი ერთია. იმა ის ემეს ეტყვიან, ზიარეთლები არიან. რამიდან დერდი გაქვან, იქ დედაბანავ, დუას იქმენ, ღმერთ ვეხვეწებით, გეგვიწიე, ყურბანს დუუკლიდენ; კაცები მედყრებოდენ, საკლავი წედაყვანდენ. გაწვიმდება, ყურადი იქნება, ისე ვქნათ. ადგილები შორ გვქონდენ. ახლა წყლები მაქვან; მაჭახელში არი, არ არი, ხოჯას კვითხე, არხვას ვეტყვით, წაველი, დემეძინენ'ნა, დავწევით, არ დემეძინა, იქინდი ვილოცე, არ დემეძინა. კაცი მოვდა წვერებიანი, ხოჯა მოვდა წვერებიანი, ბაღანამ იტირა, გემელვიდა.

* * *

- აქნამდი ჰა იყავი? ილიასამ წამეძვიდა ძიანი კარდალი; ხამი სიძეა. ამის ხანუმი ჩემი ანალულის ტადას ბადიშია.

გურჯი მიძახიან ჩვენ; ეს ჩემი დის გელინია, იზმითიდანაა.

ქართული? ჰიჩ ვერ ვიგნავთ, თელი ვერ ვიგნავთ; გურჯი კანალები ჩქარ-ჩქარა იძახის.

იზმითიდან მოვალთ, საჭმელზე შევედით, მარჩილი ვაძლიეთ, ვერ ვაგნებებთ. იმან ონბეში უძახს, ვერ აგნავს; ვუცდი, ვუცდი, თხუთმეტი მისცა ანჯახ. ვინმემ არ დამაწავლეს, ათი-თხუთმეტი წელიწადის უკან გურჯული არ დარჩეს: ამოდის, ბეთობს, შენი ენა ამოწყდა, არ არი.

* * *

- გურჯი წყევლა ქი, არ ვიცი ბევრი, წყევლა კადა არ არი.

დალოცვა: ღმერთმა გზები გეგისხნან; ღმერთმა შენი ოღლუშადი გიცოცხლოს, შენი ღარჭები!

* * *

- ვჭამავთ, დევძინავთ, წყალი ვსვავ, გავაკეთებთ, ფილავი ვიქავთ, კომბოსტო გავაკეთებთ.

ვიყავ შენ დროს, მოხვალ ჩემ დროს.

აქ სკოლა არ არი; ძველებმა კად ქართულად იციან, ნახვარი თურქულად მოტრიალებულია.

- ჩემი ბაბოა; რა ვთქვა, ჩვენ კიდო შევყარეთ. აქ ისეა, ქომო - არა. მე ქომოვრი გოგო ვარ, ის ორი ჩემია.

ქართველია, ჰამა ვერ ლაპარაკობს.

- ავადეული ვარ, შვიდ პირ ამელია ვარ, გამჭრეს.

აენგი ჩვენზე კად მცოდნეა; ნუ მიყურავ, გურჯიჯა სიმღერები არ ვიცი.

- ვინცხას ბავში არ ეყოლება, ვინცხა არ გეეთხვება, მიდიან იქ, დაწვებიან, რაცხას დედნახვენ.

- ამის სიძე იყო, გოგო მუუკდა, ბალანა დარჩა.

- ბიჭები ჰა წევდენ?

წყალიც კადა, ჰამა ცოტაა; აქ ზაოდში ბევრი მუშაობს. ტრელიერის მძლოლი ვარ, აქ ვერ მოვალ, ცარიელი დავრჩი, ამოველი ბორჩხაში; მომსურდა, ამოვალ.

- ჩემი ბავშია, ამან ქართული არ იცის; მე პატარა ბიჭი ვიყავ, აქ დევბადე. მე მკითხავს თურქულად, მე ქართულად ვეტყვი; ესეც სოფელში არ დეიბადა, იზმითში დეიბადა; დეიწავლონ-მეთქინ, რა ვქნა, ამას პრობლემა არ უნდა; ერთი ენა იცი, ერთი კაცი ხარ, ორი ენა - ორი კაცი; მე ქართველი ვარ, თურქეთიდან ჭვირთი წამეველე, იმან ფული მომცა.

- წყევლები არ ვიცი, მე რა'ნა ვიცოდე, გავჰერსდენა, რომ დავწყევლო; ძროხას ვეტყვი: „გაფაქდი, წადი“. ძროხა არ მყავს.

- შვილი ვის დუტუტე? თემბელი არიან, არ მუშაობენ. ფული ბევრი არ ამლევს ჰუქუმათმა; რაცხას მისცემენ, ყოფნილობენ, რაცხას მოქცემს, ვყოფნილობთ.

- ფასაფორთი რამდენი დღისა გაქთ?

- ბევრი არ ჰამოთ, ცოტად ჰამეთ. ჩვენ იქა მოვდეთ, არ მომართმევთ რამეს?

(რომ გაგაბრაზებს ვინმე, რას ეტყვი? – ჩამწ.):

შენ შიშმანო, შენ თოფალო; შენ ყურმოჭრილო, შენ ფერო, შენ ჯინო. ჩემი მამის მამიები ყოფილან შამილიშვილები. ჩვენ ასე ვართ ბოდნე.

- ეს ჩემი პაწად ბიჭია.

მე ჩამოველ ბათუმ. კირნათ გეველი, გადმოვხედეთ აქეთ, ონ აედი გუნ ვიყავი. აენგეა ჩვენი ყავაზოლლი. ჩემი ბადიშებმა იკითხებენ ქითაბ, რომ მეფუდებიან, ამინ!

- სკივრზე, სანდულზე დაჟდომა არი. ჩემი აეგენი დააჟდუმლეს; ზოგიერთებმა იჯებთან. უწინ კად იყო, მეტი სერსემობა იყო.

ჩემი ბიჭი უკრავს. ართვინაა, აქ არაა.

- ჩემი დედამთილი მომიკტა, ერთად ვიყავით, მამამთილთან ორ წელწად ვიყავი. „მულმა მულმულობს, რძალმა კუნკულობს“.

- გოგო ლაზებში გავათხვე, ლაზებში; მოვდონ'ნა იქიდან, ყინაგეჯენა ვქნათ. ჩაი აქვან, იმა-ამას უყიდის, დედამთილი ყავს, ავადეველი ყავს.

- აკვანში უწინ ვაწვენდით, აკვანები დავარწევდით, ვუმღერდით, ვაქანავებდით, „ნანი, ნანი, დემინე და გამემდინე“.

ჩემი გოგო-ბიჭი მამამისის აკვანში დავაწვინე, ენ პაწაა დაწვა.

- თხილი მომივდენ, თხილი'ნა მოვმცრიო. ამის ბიძაშვილი იქ იკითხა და ორეთმენი გახდა. ჩვენ მეტი არა, ძველებმა დაჰა იციან.

- თელი, ყველაფერი ავსილია, ზამთარში დავჟდებით და ვჭამთ, ჰერ რამე ახალი ზამთარში არ ვიჯებით. აქ არ მოვა, ის მეყოფიან ჩვენ.

- იმ ღელეს'ნა უყუვე, ჰასტანე არი.

მე მარადიდელი ვარ. დოსკად ამის ქირვაა, ბიჭი ყავს კად; მეტი კად არიან. იმა უთხარი, ქი ამედადს ნენეა მომიკტარაო; ნენეა მეც მომიკტენ.

- არხვა დიდია: ქვედაა არხვა, ზედაა არხვა. ზედაა არხვა ზომოა, თელი მისია. მიწა ბევრი მაქვანან, ვკრიფავთ ჩაი. ჩვენი ჩაი მარადიდ დროხებმა ძოვნენ, ერთი ძროხა მყავს, ერთი, ისიც მეყოფიან.

- გოგო ჯერ არ გავათხვე, არ დავაქორწილე. მე ახალი ვარ, მე რა'ნა ვქნა. ჩვენ მარადიდელი რძალი მყავან, მეტი კად ძალობა იჯება, უყვარან. პატარა ვიყავ, ცხრა წლის ვიყავ, ნენეა მომიკდენ, ბაბოა დიმიქორწილდენ. ხუთი შვილი ეყოლა, ანალული მომიკდენ. ემიაშვილები მყავან, აქ მოვდოდა ემიაა.

- ჩემი ქმარი მოვდეს, იმან კად იცის. ჩემი მაზლი არი, იმას დუუმახნიან თქვენი თავი, დანახვა უნდოდენ; ჩემი ბიბიაა იქ გათხოვლია, ჩემი მამამთილის დაა იქიდანაა. მარუმ საათდა მივა; იქ ეხვალთ, ჩამოხვალთ, დედნახვთ.

საუბრობდენ: **აიშე გორმეზი** (ჰელიმოლლი) 85
წლის, **სულთან შამილი**.

ერენქოდ

* * *

- გულამედი, ჩემი დედეა ჩემ არყოფნობაში ყოფილა.

აქაც ისეა, აქაც არიან იმგვარი დედამთილები. მე სიძე მყავან, ხუთ წელწად თიფლისში იყო, ჩვენ სიძეს ათქმევით, იმ შეისა; ზორ კაი სიძე მყავს. ესა ჩემი ბაღნები არიან;

ენ წინ მღერობდენ, გელინი გამოყვანიხან.

- თიფლისიდან რძალი მოიდა, რუსიადან იმდენი ხალხი მოიდა, რუსიადან არა, ბათუმიდან, გურჯისტანიდან.

ჩემი ძეგნის ბიჭს ყავს თიფლისიდან ძალი. ისტამბულ დედადა, გეძნდა; თურქებს არ გავატანთ გოგოს.

ჩემი ბადიში მყავს ისტამბულ, ერთი ქალი მუჟკდა, უკანეზე ერთი მეძყვანა. ჩემ სიძეს ყაჩთანე დააწერია, გურჯი მექთებში კითხულობს, მის ქალსაც აკითხებს.

არხველებს ბევრი რაცხაები ცოდნიათ. მე ბორჩხას სოფლიდან ვარ, ვალაში, იქიდან აქ გამოვეთხოვე.

ჩვენ ახლებმა გურჯული არ იციან.

ასე'ნა ჩახვიდე, ჩემმა ძენგემ იცის.

ძველები მოკდენ. ახლა შაკიკი-მაკიკი არ იციან: თავი ატკივდა, დობტურთან.

მოაჯირობაში მომკდარან. ბათუმი-მათუმი, არხვანი-მარხვანი, თელი მუჟულიან. ესენი კითხულობენ.

კაფე მაქვანან, იქ ვსაქმოზ. გოგვები-მოგვები არიან. ერთი გოგოც გავათხუვეით, მივეცით ბიჭსა, დედაშილდენ.

- ილაჯებს ვსვამ, ლემს ვიჯები ახშამ-დილას.

ჩვენ ბუზდოლაბი გვაქ. „ბუზი“ არა, ბუზი. ბუზი აფრინდებიან. ჩვენც „ბუზ“ ვუძახით. მონათესი გყავს: ბაბო, ნენე? ერთათ ზიხართ? კაცები გყავს? მე ვიცი, შანსლი ქალი ხარ. ბიჭი დასახლილი კყავს? ჩემი ბიჭებმა იქ დარეს, ჩოქ გუზელია. შენ არ წახველი ისტამბულ? გუზელი დურ ბორჩხას ვიჯექი ათ წელიწად. დასახლული ვიყავ. ჩემი თავი დარჭები იქ წიმიყვანენ, ბორჩხაში, ორი გოგო ისტამბულ არიან; ჩემმა ბიჭმა იქ იჯება, საქმოზს, მეიმურია.

ჩვენი ბევრი ლაპარიკი ერთნაირია.

- მეტი ბევრი უტირია. ჩემი ბადიშის ქმარი იქ მოკდა. ის მეგერ ქილისაში ყოლიან, მემრენ მუჟყვანიან სახში; უკრაინელი როცა ქი მეზერში წუჟყვანიან, მაშინ უტირიათ. იტყვიან იშტე, მუჟთლიან, ასე იტყვიან, ისე იტყვიან, ისე იყავიო. აქ ჯენაზე ქი ეძყვანებენ, მაშინ იტყვიან. თუ მეეწრიან, ჩაფლავენ, თუ არ მეეწრა, ორ დღეს მემრე.

- ახალ წელზე აქაც ისე იციან. ჩემ დედმა ყველა მერზე წყალ მააშხაპებდა, სახში შეეყვანდა, იმის ფეხი კააა თუ გონჯია, იმას დასცდიდენ. თუ გონჯია, ერცხვა არ მეფვანდენ.

მე აქ ბევრხან არ დავმრჩალვარ.

თუ არ გაწვიმდა, დუას იქმენ, თან გაწვიმდება.

- სამოზდაშვიდი წლის ბიჭი მყავს. ჰიჩ რამეს ვერ მეტყოდენ. წინ მეტი კაა იყო, იმდერებდენ, სახში დუგუნი გააგდენ, ვინმე არც დუგუნ იქს, არც ნიშანი, ახლა სალონში.

* * *

- თოვლი ზოგ ზამთარ იქნება, ზოგი არ იქნება. მეზობლები კაა არიან, კაა. ზამთარში აქ ვინმე ვერ დედნახ, თექ-თუქი სახლი დარჩება.

ინა ბევრ მერებზე იჯებთან, ამა ჩვენ ჯერ არ დიგვინახია; ინა შექერი ავადეველობისთვის კაა ყოფილა.

- მე არ ვიცი. მისებური შავდება, ქვეშიდან ვისვავ, დოდოფალს ადებენ; ფეხის გულეზე ინას ვიდებ. ენ წინ დავთესევდით, ჩემ გოგვობაში, დარჭობაში.

- ის უწინდელი ნენეა იშტე.

* * *

- თქვენ ასე კარისკარზე მარებით და აწერიებთ-ჰო? აქ ვინმე ძველი არ არი, ენ ძველი მე ვარ იშტე.

დიდ თას დიდი დუმანი ექნება.

- კედელო, გისხენებ, გელინო, შენ გესმოდეს.

* * *

- მე არ გიმიკეთებია, მე რაჰათსუზი - ავადეველი ვარ; მე ანკარას ვარ, მე აქ არ ვდგავარ; ხიდან გადავარდი და წელი ვიტკინე. ბიჭები მყავს ორი თანე. ზაფხულში იქ დადგომა არ მინდა და აქ მოვალ.

- ვიყავი შენ დროს, მოხვალ ჩემ დროს; მე ჩაიში ვალბობ და ისე ვჭამ. ესეც იზმით იყო, შორ იყო და აქ მოვდა, ზამთარ შორ მივა. პატინა ბოსტანი მაქ, მიკეთებენ კომშებმა.

- პური გავაყირმიზეთ, დაჰა კააა. ისენი ფაბრიკაში არიან. მიერე პური მოგიტანო, გაყირმიზებული. ჭად ვაცხოვ, განაყოფები მამლევენ; ჩემი ჩაირები ხმარობენ და მე მამლევენ.

- თველზე ისვენ წევალ იზმითში; მე ოთხი ბიჭი მყავს; ჩემი ბიჭები მოვდენ, წევდენ, ცოტა დადგენ.

- ჩაის ბორჩხას ვიღებთ, ვიყიდავთ პაკეტებში, დიდ პაკეტებში.
- ცოტ-ცოტა ძალი ამევლე, კაძა, გული არ ეგერიოს.
- მარადიდში ჩვეელი ახლოპირ. ყანიები გვქონდენ. ჩემი რძლის განაყოფები არიან; ჩვენი ემიაშვილის გოგო გათხოვდა მარადიდ, კაძ ძალია, ხიზმეთლია; ერთი ბიჭი ყავს. იმხელა გოგომ რა ქნას? ახლანდელი გენჯები არ მოგეხმარებიან - ხევსი, სადილი, ზარმელი, ვახშამი.
- სირცხვილი არ არი, ყველამფერი იქნება. იყოს, დაყარე, რამე არ უშავს, მე დავგვი.
- ბებერების თეთრი თმა, ნუ გინდაო ბევრი თქმა.
- აშილი ბილა ვიყავ. სოფელში ვიყავ. არხველი გოგო ვარ. შენი არხატაშები ჰა წევდენ?

- ახლა შეხედვენ ქი, უნდანან ქი; ელჩები მოდიან, თუ ბაბოძ მიცემს. ნიშან მოგიტანენ, მემრე ქორწილი იქმენ, არაბაძთ მოვლენ, ცხენ მეფყვანებენ. ჩემი რძალი მეფყვანე, ცხენით მოვდა კარზე დოდოფალი, ედრიენ. ზოვლი ლამაზი დოდოფალი იყო ჩემი ძალი. ფერხული, სიმღერა, ზორ ვქენევით. სამი თანე ღარჭი ყავს - ორი გოგო, ერთი ბიჭი, სამი თანე.
- კაცი ჯედრმა დეფქირა; სახში იყო, მუშაობიდან მოსული იყო.
- გოგვები გეეთხვენ, ბიჭიც დაქორწილდა, იმდენი გახდენ. ბევრი ხანი გამოვდა. მე ახლა სიძეები მყავს. ჩემ გოგოს კაცი მოკტა, მიერე გოგოს კაცი არი. ეფედ ახლოს, ზორ ახლოს არ არი, ჰაძა...
- წელი მტკივა, წელი, ვერ ვეყუდები ზედთვენ
- ჰა წახველ ჩემ ადგომამდი? ალიას ხმა ვერ ვიცანი, გიძახე, გიძახე, ვერ გაგაგონე.
- რა ვქნა, ბიბი? გელდი, გელდი. ბაშქოძ წევდენ, წეიყვანენ, შენ კაძ იყავ. მან არ იძახს, მან'ნა თქვას'ნა.
- დელე-მელე აქ არაა. წუხელი ქორწილი მქონდენ, სტუმრები მყავდენ; თქვენნი თავი მცოდნებოდა, კაძ იყო.

საუბრობდა გირგილარ სენიე-
მაზრუმოღლი, 90 წლის.

- შვილები მყავან, ესა ავადევლი მყავს, ვერ იცვამს; სამი ბიჭი, ორი გოგო მყავს, გათხოვილი არიან.
- შენი რააძ ისი? თმები შეუღებია. არაბა აარუნით ზეიდან.

- ჯვევიზი არ არი, მეტი კად არ არი; მეძვები არი, ვაშლი არი. ერ თვის მეძრე ეივსობა ყველაფერი. ყველას არ გავყიდავთ. ვინ'ნა წედლოს, ვინცხას კაცი ყავან, გაყიდიან.

- ეძქი გურჯისტანიდან მოხველით. თურისთსავენ იარებით, ბევრი ფარა გინდანან.

- ძროხა არ მყავს, მე ავადევილი მყავს, მე ამას ვუყურავ. წევყვანე, ჰამა ფული არ არი, მარტომ ვერ გავაგდებ, გადავარდება ქვეშ.

ლამაზი სოფელი მაქვანან, აქიდან შეხედევით, ლამაზია.

- ბევრი ღორები ჰამენ, ყაჩთანე კლავენ, ყუღს ვაკეთეფთ, ჩავფლავთ. ახლოა ტყე.

- ჩემ შვილის ქორწილი გავაკეთე, ბურსიდან მეყყვანე, იმ სოფელში არი. ისამებენ, აკორდეონზე უკრევდენ, გადარევილი იფერხულებენ, იმღერებენ, გურჯულად იმღერებენ. გურჯული მე არ ვიცი, იმათმა იციან.

ემიჯეები მყავს. დედემ მომკტარი არიან; მოაჯირობის დროს წასულან, იქ დამჩალა.

ჰექიაჯი ერთი სოფელი არი აქა, იქიდან მოდიან, მიდიან.

თქვენ ფული გაქვანან, ჩვენ ფული არ მაქვანან.

- ერთი დედემ არი, ალაპარიკევით, თქვენ დაწერევით, ზორ იციან. ჰექიაჯი ნენემ ზომო სახში არიან, ჩემ მაზღმაც იცის, ის დაწერევით, მემედი ქვია. მემედი, სოდადი იმამოღლი.

- ჩემი დინენემ აჯარიდან მოსულა - ზერე. ჩვენ ვერ ვცნობულობთ, იქიდან მოსული არიან; მისი კაცი იქეთ გაქცეველა, იქიდან აქ მოსულა, ყებილე გახდენ.

- ორი ბიჭი ბურსას არიან, საქმობენ, ქირაზე არიან; ორი დად მაქვან; რაცხაები დავთესევით, თხილები მაქვან, შარშან კაი იყო. დუუყრი კარებს და წავალ, ღარჭებთან წავალ.

- მე ჰექიები არ ვიცი, მეტი არ ვიცი; იმსომ შედეები გაგონილი მაქვა, ჰამა მეტი არ ვიცი.

თის ქვეშიდან კად წყალი მოყავან, ჰუქუმეთს მოყავს, რიზელია.

* * *

- თეთრი ვაშლი მალ დაღპება, ბევრ არ გუუწევს, გამოზაფხულამდე შექერად, ჰანურად სხალი გუუთევს. უწინდლი სახელია ბუჯურელად ვაშლი, სახელი ამ სოფლიდანაა.

- ღარჭებს ასწავლებენ, დერსს აძლევენ.

აქ ერთი ჰასან უსტა იყო, იგი მოკტა, დიდი კაცი იყო. უწინდელ კაცებს ნახევდე, ბევრ დედწავლიდი, მე ხებერი არ მაქვან. ჩემი ემიჯადა გზიქვეშ, ის ძველია ეფეიჯა. მე რამ არ ვიცი, ხებერი არ მაქვა.

* * *

- მოთორით მოვთიბავ, თოხიც მაქვა. ლობიო, სიმინდი არი. მალმოსული ბალია. ლეღვი აინი. ყურძენი ისტამბოლელია. (რ)თვლის ოდესაც არი. ერთიც არი, ბეჟანა ყურძენი.

- აქ ერთი ქი დერგებია ჩაფლილი, იმ ყურძენის წვენით ღვინოს აკეთებდენ, დალეწეს ღარჭებმა, იქეთ-აქეთ გადაყარეს; ვენახები იყო, ბევრი ყოფილან თქვენებური, მემრე აყრილა.

იძახიან, ქი ბათუმი ზოვლი ლამაზია, სერბესია, თუ ჩვენ გამომიშვენ, კადა, ჰამა არ მაქვან ფასფორთი.

- ქლიავი მოგიმცროთ, სხალი, რა გეჩქარებინ?! ქლიავები არი: წყალქლიავი, დოდოფალად, ტყუპად, ჭანჭური შავი. ყურძენი ჯერ მალაა; ლეღვი არი თეთრი, შავი, ფათლიჯანად.

* * *

- ამას კოკოლეთხევი ქვია; გოგონალეთი ყოფილა, ახლა გადუფერებინ.

- ვიცით კარის ჰავლი, ღობე, ახუარი რა არი, იცი თუ? სვეტია, სვეტზე მინასობ ჭერსა, გახდება ღობე; საწვეტე, თაბლი, თავანის თაბლი, მერთელები, მახასი, დიზმე; მახასი არაბას აქ, სახლსაც აქ მახასი. ნალია - სიმინდ შევყრით, იმა რა ქვია, ახორს მალლა მარანი (თურქა მერეგი), ბაგები, ბაგაზე დავაბამთ ზენჯირით, ისთა თოკვითა.

* * *

- ძედან გავაკეთავთ მაწონი, ხაჭო, ძალი, აირანი, შრატი; ყველი ამედლეფ, შრატ გადასხამ. ის ემეს იქმენ: თიკნის შიგან გამედლებენ, ცხვარიც ყავან. ჩვენ ვერ ვინახავთ, ქალი ავადევლია. ხარები-მარები ყავან, ბევრი ხალხი მედყრებინ.

- სხალი ვერ ვჭამ, კადა, მწყენულობს, შექერი მაქ.

- ეს ქალი ქართული არაა, ართვინიდანაა. ჩემი ნენედ, ბაბოდ ქართული არაა. გოგოდან ბადიში ერთი ამ სოფელშია, ერთი ართვინშია; ერთი - ამ ღარჭის ბაბოდ იქ საქმოფს, ისე ქენევით, ასე ქენევით, - ასწავლის, აქავრობაში ნაკითხი კაცია.

- ეს რაში დაგჭირიან? ეს ქართული კად რაცხა არი, გაგაგებიებენ, ჩეთინი იქნება.

- აქ ერთნახვარ კაცის ოდენი გათოვდება; ჰუქუმეთი გამოგზანავს, არ შეინახვენ, გაწმენდენ.

* * *

- შარაბი კად რამ არაა, ერთი-ორი ვსვი. აქ დაჩვევლი არიან, სმენ, სერსემი გახდებიან; ჭკვიანი კაცი სერსემი რატომ'ნა გახდე?!

- თქვენი ხალხი ბევრი მოდიან; მოდიან, ყიდავენ. ფუხარა ზენგინი გავხდით? ვერ გავხდით. არიან ზენგინები, ზოგების საქმე კადა. ღმერთმა ისე დუუწესა, ზენგინი გახდეთ. ჭკვიდან არაა ისე. ჭკვას რატომ თვალი არ ეცემა, ყველას მისი ჭკვა მოსწონს. ასე რომ ჭკვები დააწყო სირაზე, ყველამ მის ჭკვას ასწევს. ამაზე ამბობენ, ჭკვას თვალი არ ეცემაო. ვინმე ვინმეს ჭკვას არ ასწევს.

უწინდელების ნათქვამი, თელი მართალია.

* * *

- მღრეა ზომო წყალი, ფახირი ურევს მაქინები.

მეც ვეძებ ყალეს, ვერ მინახია; ერთხელა ვნახოთ, ვიცოდე, ალთუნი არი-მეთქინ, იქავრობას დავბდნი. მოხეთქილან, ალთუნები ჩავფლათო, მემრე მოვალთ, ამევლეფთო, მოკდენ, ჰად არიან, ჰად ჩუუფლიან, ვინ'ნა გითხრას; ამუალ ძერზე ჩაფლილია; ზოგებმა ნახეს. აქიდან თქვენებურები წასულან.

ჩემი ნათქვამები არ იცით თუ? ერთათ გავზენგინდეთ.

* * *

- ემექლი ვარ, ორი თვე გეარა. ვენახებში ვსაქმობდი, ფაბრიკაში არ მისაქმია. სამი ბიჭი მაქ. ერთი აქ არი, ერთი - ტრაპიზონ, აქ კიდენ მყავს. არ იკითხა ჯერ და... რუსული არი (ტელეარხზე ამბობს - ჩამწ.), გორგიან არი, „იმედი“ არი, აქიდან ვსეირობთ. უწინდელები ძალიან კარქათ ლაპარაკობდენ.

- აქ სახლი ყოფილა, ტრაქტორმა ქი ამუშავებს, თემელებს გამოყრის. საძიგველი ორი-სამი თანე იყო. აქ სამი დანგრეულია, სამი გაკეთებულია, თემელები იყო, მე ამოვყარე.

მე აქ ქორწილი მქონდენ, ჩემი დის ბიჭი დავაქორწილევი. ენ კიდე ქალი არი აქა, აქ დააქორწილა ბიჭი. ყიდავს, მოვა სახლებში, დეეხმარება. დიდი ბიჭი იქვერია, აქვერი ქორწილი გააკეთა, ბიჭმა წევდა; ავსილი ხალხი იყო.

- მე იქაც მაქვან სახლი. ზამთარში იქ წავალ, ღარჭები იქა კითხულობენ. იმის უსტა ვარ, ყაინალი. რადიატორი გახეთქდება, გავაკეთავ, დიდ მანქანებს, პატინას არა.

- სპილენძის ფაბრიკა იყო აქა, ბახირ, გურჯიჯე „სპილენძი“. ის, ემე, წყალი არიან, წარე წყალია.

მურღული თელი ქართველი არიან.

- არ ილაპარაკა, არ ილაპარაკა, დედლია გურჯული; ღარჭებმაც მეკინდლებიან, ჩვენ რატომ არ დამაწავლეთო. დრამი იციან!

ბუჯური

* * *

- ჯემალი ვარ, ძველათ ჯევდეთს მეტყვიან.

მე ქარხანა მაქვა. ერთი დანგრეული ქილისა არი ზომო, აქ ქილისები დანგრეული არი. თემელიც არ დარჩა; ყალე აქ ზოგი არიან, დანგრეული არაა, ყალე უძახით ჩვენ, „ეს ყალე, ის ყალე“, არ ვიტყვით. გასული არ ვარ, ჰამა...

- ილაჯებ ვსვამ ახშამ-საბაჰ.

რამდენი, რამდენი დაწერა ამ პროფესორმა! რას იწერავს?

- დასახლილი ხარ თუ? ცოლი გყავსა თუ?

ჩოქ გუზელია ბათუმი. ჩემი ბიჭმა იქ ძარება, შოფიერია. ბადიშები მყავს, ბიჭი ორი არიან, ერთი მურღულაა.

- ბაშქოფ აგზეა, ათვალყურებდით?

ოცდაშვიდი წელი ვიმუშავე. ზომო სპილენძის ქარხანა იყო, დაქვლია, ქვილისავენ მივა, სამსუნ ადნობენ. ემექლი გავხდი.

- ათი ძმები ვართ; პირველი დაბადული მე ვარ. დედა ოთხმოდახუთი წლისაა, გარგნებით ხელში იარება; ვის უკეთავ, ვებნევი, ვინმე ჰად არ ჰამენ-მეთქინ, მე რამეს არ ვიჯები, მე მარტო სული ვარ, ვრა ბიჭი ვართ, ორი მოკდა.

- აქ ტყეები არ იყო, აქ ვერ გემარდი, დათვი შეგჰამდა. პილენძის ქარხანა იყო. ახლა პილენძი არ არი, იქ ტუნელი არი; იქიდან, სოფლიდან, წყალი მივა. დეინახო, რეებ აკეთებენ, კაცი აკეთებს, ბარჯებს აკეთებენ. იმის ცოტა იქეთაა საავატყოფო, გაღმიდამნა წახვიდე, ზომო სოფელში წახვალ, მადენ ვეტყვით, იმას იქეთ არი.

- აქ არიან, თბილისელი არი, დაქორწილდა, გუმინ ქორწილი გუუკეთეთ, დიდი ქორწილი. გათხოვნა სხვაზე აკმალულია, თქვენ მიგცეს უფლება, ჩვენ - არა. თუ მისით წავა, რამე არაა, შენ თუ გააგდე ცოლი,

ჰუქუმათი გაგიყოფს ოჯახს, ეგიწერავს, დეგიწერავს, დედას გიტირავს: კანონში ერთი ქალია. ისე ყოფილიყო, ათი ქალ მევეყვანდი. გააგდე, მეფყვანე, გააგდე, მეფყვანე; გყავს ერთ წელწად, გააგდე. ჩემი ცოლი ოძდათრამეტი წლისა იყო, მოკდა.

- რანშე ესე თავრობის ადგილი იყო. შუამთაში შეველ, ეკლესია დაბალი იყო, მოდრეკილი შეველ.

- რუსეთი სხვა ამბავია, იქ კულტურა სხვა ამბავია; ფოთში გემზე ვიყავი. ჰამლეტ ჰანტურია ქალაქის სამშობიაროს უფროსია. იტყოდენ, რანშე, მაშინ საზღვარი ტრაპიზონამდე იყო. საქართველოში სად არ ვიყავი, მანავიდან ნავალი ვარ.

მე არ მივალ, ესე მივა გურჯისტან.

- ჰემშილები, ერევანელები - სომხები არიან, კად არიან. ჩვენთან დალატობა არ იციან. ლაზებია და ჩვენ ვერაფერს გვეტყვიან, გლახას ვერ გვეტყვიან, ემინიან.

- მე თურქს არ მევეყვან. ახლა თელეფონით შევეყარება გამოჩდა, უწინ თვალით იყო.

- ოქული ქართული არ გვაქ. თავრობას საქმე დეელია, ოქული გასხნას? ჩემი ოჯახი ქართველია; ჩემი ბიჭი ქართველია, რძალი ქართულია, ცოლი ქართული იყო; ეს ჩემი ბიძაშვილია, ტაძაშვილია. ტაძაშვილებში ქორწილება არ იქნება. მე ბაჯანალი ვარ ამისი.

- დაათვალყურე, ცივ წყლებთან გეფყვანე. კიდევ დეგინახავთ. ღვინო არ გაქვან? კახელი არ ყოფილხართ.

აქ დირეგები იყო, ყალე არ არიან.

საუბრობდა **ჯემალ ჩოლაქოდლე**
(ჩოლოყაშვილი). 60 წლის, უმსახურია
რუსეთში.

მურღული

- ეს ძველი დავანგრიე, ახალი'ნა მოვექსოვო, სველია, გამრეს'ნა, ასე'ნა დააშრო. კითხულობ თუ შენა? რა'ნა გახდე? ჩემი ბიჭი ახლა სახში არ არი. რა'ნა ქნა ესენი? ჩვენი და თქვენი გურჯული არ ებმება.

- სამი გოგო, ერთი ბიჭი მყავს; აშილი ვიყავი, ნენეს ეცოდინებოდა, ნახევდა, მოვდოდა ქი ელჩები, მაშინ გეფგნებდენ.

ზამთარში მივალთ იზმითში. სამ-ოთხ თვეს გათოვლდება. ეს გამეცტანე (ნიშნავს გამოვიყვანე – ჩამწ.), ამან იცის ბელქი.

ამისი და ჩემი გვარი გულსუი, პავლიაშვილია.

- დედამთილი იყო უფროსი, კაცი არ ყავდა, კაცი მომკდარიყო; დედამთილი არ ისაქმებდა, ავადევლი იყო. ჩემი კაცი, აქ ფაბრიკა იყო, მადენში და იქ საქმობდა. იქნებოდა საქმე, იქმოდა, ისვენდა, მოლი მოთიბდა. ხარი მუშაობა იყო, შიშა გააკეთებდა, ჯამეში წევდოდა; გაჰერსდებოდა, მუუფერებდი; სახში არ ისაქმებდა, მე იქ ვისაქმეო და ახლა შენ ისაქმეო; ვისაქმებდი. შენ შენური საქმე დაგჩა, პურ გამუაცხოვდი, ყველამფერ ვიქმოდი; ახლა გადავარდა საქმე, ახლანდელი ქალები არ საქმობენ. მოკდენ ბებერები.

- მუსაფირები მყავს, მეფალნენ, კოლვებ უკბენიან, დაბანჯები ნახენ.

- პატვანებმაც, იმათმაც ნელ-ნელა გურჯულ დედაწავლებენ.

შენ აქვერი სახელი გაქ - „მერიემი“.

- მე სახში მოვრჩი. ღმერთო, ლამაზობით მომარჩინე, ვეხვეწებოდი ღმერთს. ორი-სამი დღე ვერ ავდგებოდი.

- ბიჭი ერთი ყავს, სამი გოგო. ერთი ბიჭი ყოლია, სამი გოგო, სამი თანე. ბიჭი არ ქნილა; ერთი ბიჭი, ერთი გოგო ეყოფოდა, ჰამა ბიჭი, ბიჭიო -და...

ნანი, ნანი, ულესენ, ბულესენ... მუუმღერებდით. ბადეს გადაახურე-დენ აკვანზე. ახლა ვინმეს ფიქრი არ დარჩა. ავათ გახდებოდა, ხოჯას შევაკო-ჭიებდით; ჯაზი მე რა ვიცი, ჩვენ ვერ ვხედავთ; აქ ერთი მარიაჲ არი, იმან არაბჩა იცის.

- თავზე დამაცხუნა, ბზეა.

- ახლა თავი ატკივდება, დობტურ მეფყვანენ, დობტურთან წეფყვანენ. აქა ერთი დობტური მეფყვანეს. თურქიეში წუუსლეელი ძერი არ დუურჩა, ზენგინია.

- დუგუნზე ქათამ გავაკეთავთ, დავდებთ, ხორცი საჭმელ გავაკეთავთ, დავდებთ; კაცები არ სმიან, ზოგი ყლოპ-ყლოპ, მემრე ავადევლი ხდებიან.

- იქავრობაში ცხელა-თუ ასე? დედაწვა ორთალოლი, დედაწვა თელი.

- დაფიშმანდა და ხელით ქსოვს. ჩემი ხალიმებიც ასე დავანგრიე, ვრცხავ, გავაშრო'ნა, ფორრანო შევკერო'ნა.

- მე გითხრა და დაწერე. დუგუნში მღერიან, თურქია ადვილად მობრუნდება, გურჯიჯა ჩეთინია:

შინიდან მოყვანული

რძალი მოხმარდება?

კარი შამუუფერდავი

ჰავლი მოხმარდება-თუ?

- შენი კაცი არ გახლავს? ბურსელია, მუსაფირად იყო და მივა. გეზმე მოვლაზე მოვდენ.

- ჭლიკები რომ გტკივა, ჯინჯარია წამალი. მატყლით შევხვიე და ასხალდი გავდელდი.

- თელევიზიონში არ მიმცეთ!

ეს გოგო აქ'ნა გავათხვო. ჩემ ბიჭზე დიდი ყოფილა, გენჯი ხარ. შენ ორი წლით ჩემზე დიდი ხარ, ელლი აედი.

- ჩვენი ტაძები-მაძები ყოფილან გურჯისტანში.

- დათვები აბა არ არიან? ღორებიც არიან.

- დაბანი თხა არი, ამა შევჭამთ; ჩემ გაზდილ ძროხას შევჭამ? რომელიც არ ამეცოხნება, იმას შევჭამთ. ღორი ხორც ვინცხა შეჭამს, ის მუსლიმანი არ არისო, იტყვიან.

- აქაც არი, ქომო. საყიდავი მოვა.

- მეც მყავდა ბიჭი, ყურბეთში არიან. შენ საქმეზე ხარა? ორითმენი ხარა? გურჯიჯა აკითხავ ღარჭებსა? ბუფული აქვა, მაღალია. ეს ჩემი ემიჯაა. მე გურჯული არ გემეგნებინ. ესეც ქართული გამხდარა.

- მექტები დაწყებამდე ცარიელი ვართო. ჩამოვდე'და, კიკვაძეები არიან იქა, თიფლიში არიან, ვიარო'ნა. კიკვაძეები მევეყარევით ისტამბულში, შევეყაროთ'ნა კიკვაძეები, მევეყაროთ.

- ისტამბოლში'ნა ჩამოვდე, ბახალუმ. რამდენი ვართ, იცი-თუ? ზოორ ბევრი გავხდით. ახლა აქ გამოველით, ლამაზი იქნა. მე ემექლი ვარ, მუშაობა გავათავე, ონ დოხუზ მივალ, ფულ მაძლევენ; მეა აქ ვიმუშავე ირმი აედდი.

- მე დიდი ვარ, არა, დიდი ღმერთია; რომ არ მოვკდეთ, ეს ქვეყანა ამყრალდება ბერებით.

- ორი მანქანა მყავს მეა. ახლა ჩემ ბიჭმა ეილო ეს არაბა. ჩემი არაბა გავყიდე. ბომა ახლა ერთი მილიარდი ღირს; გარედან, შიანედან ეყოფა. ჩემ მანქანას დავაწევი, იზმითიდან აქ მოველი; ქვეშ დამპალია, კარები დამპალია.

- აქ, თურქიეში, გურჯები მაგარი კაცები არიან, შოფრები; მე ბიჭი მყავს იზმითში, ქუთაისში, მე ფარას ვუგზავნია იქა; მე ისტამბულ ძმა მყავსა, ჩემზე პატინაა; დემირეკა ქი, მე ახლა მოვალ, სოფელში ფული გამოვგზავნე ქი, მე უთხარი, მე დემიცადე ქი, მოვალ, ჩვეელ, სტამბულში მიველ ღამე.

- აქ ზორ დიდი ზამთარია. ერთი მეტრო, ორი, სამი, ოთხი მეტრო თოვლი მოდის.

- აქ გურჯისტანიდან ერთი იყო. ბათუმ ვარ ჩასული, ყველგან წაველით, დევლაპარიკევით.

- სამი ბიჭი მყავდა, ერთი მომიკდა. სამი გელინი მყავს.

- სიმინდ ვთესავთ, უწინ პურ დავთესევდით; პური არ იჯებნება; ზამთარში ჩარში ვართ, ზაფხულში აქ ვართ.

- მე დღესით სხვა რამ საქმეს ვიჯებოდი, მატყლ დავჩედი. არის საჩეჩელი, იმას ხერტალ ვეტყვით. დართვიხან იმღერებენ, თურქჩა, გურჯულა არ იმღერებენ. ღამეში ნადებ ვიქმოდით. მაშინ პატინა ვიყავი და იმდენი არ ვიცი. ჩვენც ქორწილ ვეტყვით. გელინოს მუუთქმენ, ჯილველოში რაც უნდა, დავთლი.

- დოდოფალ უწინ ცხენით მეყვანდენ, მახლოვდებოდენ, მოთხოვდენ ფულ, ახლა არაბები გამოშენდა, ცარიელი ებბედი არ გაარუნებდენ.

- ის ჩემი სახლი არ არი, ეს ჩემი ბაბოდას სახლია, გაღმა მეჰელეში. მე აეთმიშ მაშინდა ვარ.

- არა ის არ მახსოვს, იმფერ რაცხები არ ვიცი. გურჯიჯა კითხვა არი, ვერ დაწერავ, ჩეთინია. ამსოდა ჩვენი კითხვა.

ჩაი გავაკეთავ, სვით.

- ინას ხელზე დეიდებენ, მაღლია, ამა კაცებმა არ'ნა დეგინახონ. ვინცხას უყვარან, აგზე დეიდებენ და რამე არ ჩანს (ხელის გულს გვიჩვენებს). ჩვენში ჩაი არ არი, ხოფის აქეთკენ არ არი. ღომი უწინ მოგვყავდა. უწინ იყო, კვამლმა გამოგვიწყვიტა.

ბოინა სმენ, რა საქმე აქვან, დაჟდებიან, ხარები მოხნევდენ, ახლა თრაქტორი მოხნავს, გადაფარცხავს, მივაყრით სიმინდ. დეათესვის, გეარს, წავა.

* * *

- ფილავი გავაკეთავთ; ფურების ერბოს პატინა ხანს დავაბრაწებთ. სინორი? მოვზილავთ ცომსა პური ფქვილისა, გარგნები გვაქვა, თურქჩა „ოხლავას“ ვუძახით; არ გაჩხიკდეს, ყაბებში ჩავაწყობთ, დავაგორავთ, გავაპტყელეფთ, თეფშებში ჩავაყრით, შევნახავთ, არ მოხრავო, ისე შეინახო, წახდება. მაწონ მოვასხავთ, მაღ მოვხრავავთ, ნიორს ზოგი უჯება.

- კიტრ დავთოფავთ, ნიორ, ისტა ჭადთან, ისტა პურთან ჭამ, სალათა ქვია.

- დაჯექ, შიშის სკამია, დაბალი სკამი.

-სოზას ვანთობდი, არ დეფწვებოდა; ისე არ ვქენევთ. ბებერები ამდენ ანჯახ იქმენ.

- დომუზები არიან, დათვები არიან, ვენახებში მოდიან, გვიჭამენ. ღორი პატინაა, დათვი დიღია.

- ათმაჯა (მიმინოს ფიტულზე ამბობს - ჩამწ.) იზმით უძახიან, ერთმა მუუტანა ჩემ ბიჭ. ქორ ვიძახი, ის ქათამ ჭამს, ეს - არა. ჭანები არიან, ამას ჩიტებ აჭერიებენ.

- მოზვერი გვყავს, დარჭებმა დაარქვეს „ზულუდ“, რაც უნდა ვუძახი, „ქელეში“ ქვია ძალღს...
ეგწიეს-და! (შოკოლადზე გვეპატიუება).

* * *

- ეს სექვი იყო და ავწიევით. ახლა ესენი გამოშენდა (დივანზე ამბობს - ჩამწ.). თორუნი თორმეტი მყავს. ორი გოგოდან მყავს. ბებერი ქალი იმდენ ანჯახს ამას ვიქ. სამი რძალი მყავ, გამოვლენ, წავლენ, რთველზე მეც ჩევიარ.

მე არ გავწუხდები, თქვენ შეგერგონ-და.

- ჰიჩ ქი არ დედნახავ კაც, რა სოღს არი, რამსოღ გული აქვა, ბელქი ახსი გული აქვა?

უწინ იყო ყაფალობა. ახლა ყველგან მედნანია.

- ეს ბახირია. ახლა ედღებ, კალაიჯს მისცემ, მოკალავს, გაალამაზავ, საპონით გარცხავ, ცოტა წამლიანია, ბულაშუდის საპონი არი.

- ეს ჩემი დედეა, ავადევლია ახლა.

იქ იმფერი ბული იდგა!

საუბრობდნენ: ფათმა გულსერი,
ლალე ჩელიქი,
შაზიე შეროღლი
ჰაიდარ ქაიდონჯუ.

გურბინი

* * *

- იმის იქეთად ფოროსეთია.

კაცის უკანა ვარ მარტო, ზამთარში იზმითში ვარ. ჰიჩ რამ არა, ვერ ვიჯები, ავადევლი ვარ. ბებერები არიან, ახლებიც არიან, ქართული იციან.

- იქინდი დროა, ჰამა ჯერ ეზანი არ დუუძახნიან.

ედარევით, შოთები გაყავან.

- ჩინი არ მაქვა, ვერ ვილაპარიკებ. ექსი თანე გოგო მყავს, ორი - ბიჭი. ბადიშები ირმი თანე არიან, საქმობენ. გაღმა სოფელი ჰილავრია, გაღმისკენ.

- მე ღარჭი ვიყავ, გამომტყვილეს, ბაბოღ გავყარე, ამასთან წამოველ იშტე. ნენედ არ მყავდა, ბაბოღ მყავდა, პაწინად ვიყავ. პაწიწვანი ვიყავი, ერთმანეთ შევხედევდით.

წყალი ზედდან მოვა, ჰამა ზორ კად არი.

* * *

- საჭმელი ჭამეთ. გინდა თაში წასლა? ჩემი სახლი აქეთაა; ჭკვა წემივდა, ჰიჩ არ ვიცი. ლაპარაკის ჩინები არ მაქვა, თელმა იციან გურჯული.

- აქა თუთა, ქლიავები არიან.

- ადგებიან და მოჰაჯირად მიდიან. მე გურჯული დრამი ვიცი.

* * *

- ახალი ძალი მევევადთ, კახელი ქალია, წევდა გოგო, გეეთხვა; ახლა'ნა წევდეს, გოგოს ქორწილი'ნა გუუკეთოს; ამ კაც ქალი ყავდა, მუუკდა.

- კაცები არ არიან, რამ არ იციან.

- ჰო, აშურას იქმენ, ჰამა მე არ მიქნია. ჰასუთა თაფლითაა.

- „ქალი ქალია, ჰამა კახელი სხვა ქალია“ - ეს ჩემ ბაბომ დამაწავლა. მისი ბაბომ ბაბომ ბათუმიდამ მოსულა; მეთმიშ დორთი ვარ, ჰამა ოზდაოთხის ვარ. ღმერთს უთქვამს: მომკდარი კაცი არ'ნა გაცოცხლდეს, მოკდომა'ნა იყოსო; მოკდომა რომ არ იყოს, ჩვენ, ინსნები, დავკლავთ ერთმანებ, საჭმელ ვერ ვნახავთ.

- მე ამ სოფლიდან შორ, არხვაში, ვარ; ის ჩემი ბაბოა, ჰემ ლამაზია, ჰემ გურჯია; ეს ჩემი ალაბეა, ეს ჩემი ბიჭია.

* * *

- ამ სოფლის სახელი წინაების დარქმევლი სახელია. ბაშქოდ და უკანად სოფლის ჰუდუდია. დიდვანების დარქმევლი სახელია. ჩემ დედემ იტყოდა, პურ დავთესევდით.

- აქ ადგილებია: ტპა, მალლა ყანა, ჩარხები, ხევიპირა, დათვი ჭალა, ცხენის ზურგი; იქიდან თერეფი, აქიდან თერეფი, შუაში აწეულია ასე, სეკვიეთი - ვაკე ადგილია.

- იმან თქვენური იცის, ფაზარჯობას იჯება.

- ანკარაიდან უჩალი მოიდესნა.

- მეა მურღული ძლები მყავს; კაცები საქმოზენ ფაბრიკაში, მადენი იღებენ. ხუთი ბადიში მყავს. რძლები მიყვარან. პატინად იქ საქმობს, ორი აქ მუშაობენ. დიდი ბადიში უნივერსიტე მედგო, ერთი გოგო პატინადა.

- ჩვენ ლახანას წვენ გუდუწურავთ, ცოტა მედხარშვის, მარილ ვურთობთ. დარეგავ, ფქვილ ვუზამთ, მაღი მოვწვავთ.

ბიბერი ტოლმას ვაკეთავთ; ლობიოს პარკი ვლეწავთ, ვმუშავთ ერბოში, კაკლითაც ვაკეთავთ.

- ფუტკარი მყავდა, გავაგდე.

ვოოჰოჲ!

სხალი!

ვოოჰოჲ!

ბლაცვი!!!!

ვიცინებდი, ვმასხარებდით კაცები, ჩერგნიხან (მარგლიხან - ჩამწ.) ქალები იტყოდენ. გამარგვლა - გაშირშვალეზა, გამეჩხრება.

შენ რომ მე მიყურავ,

შენზე არ მაქვა თვალი!

ბოშინე რომ მიყურავ,

შენზე არ მაქვა თვალი...

წაღან ძერზე ჩეარა

ძეშლი კამიონი,

ჩემი თავი თუ გინდა,

მეატანე მილიონი...

იმან იტყვის, მე არ ვიცი.

- წვიმას რამ ვერ ვუყავით.

მზე იქნებოდა, მეზერის ქვას დავასველებდით, გაწვიმდებოდა.

- კონჭოლიზს ფეხები უკუღმა აქ. ხან ქალია, ხან კაცი...

ნადებზე წევდოდით, გვეტყოდენ, კონჭოლიზები იქნებიანო, გვაშინებდენ...

ხორთლადი იტყოდენ, კტარი ადგებოდაო...

საჭმელები ვჭამევით, ვისაქმევითო...

- ჯაზებიც იყვენ, ძროხებ გამოყრიდენ, წეყვანდენ, აჭენებდენ ღელიებში...

- ჩვენ მთებში ბაშბულა იყო, ვერ მიერიენ ვინმე. დააყივლა მეგემ, დაადრო ლივერი, დახოცეს კილამ ერთმანები...

ჩვენი კაცები ასე ჩვენსავენ არ დაჟდებოდენ, მაუზერი მოდებული ქონდენ გვერდზე. ჩემ დედეს ოცდაექსი თანე სისხლი ქონდა. თოფი გაშინჯა, კაცი მოკლა...

ლაზოლლი მუა და სრისო...

- ქლიავი ასე დიდვანია, „ვაციყვერად“ ვეტყვით. ამას ჩვენ „ურუსელა“ ვეტყვით, ისე ადესადა.

აქ ჭურებია, კაცი ჩევა შიგა, ქომო არის.

- ბეთმეზი უუღია, გუდაში უუვსია, მიაქ. ბლუყ, ბლუყ... იბახის ბექმეზი.

შენაო, მე მიმაქ და ბლავყი ვარო? გუუყარა დანა, გუუფინა.

შაშვმა დეეხვია. ჭუხ, ჭუხ... გაჭერსდა, შენ ჭუხ და მე არაო? გუუფრინდა... იქ დუუფლიან.

- მოლა ნესრედინს მეოთხე ქალი მუუყვანია. ნახა, არ მოწონებია. მეორე დღეს, ადგომიხან ქალმა უთხრა: ვის დევენახვო და ვის არაო.

- მე არ დემენახვო და ვინცხას გინდა დიენახვეო, მოლამ.

- აქ სისხლი არ გაშრება, შვილიდან შვილზე წავა. დარიგება არ იქნება...

ქუთაისის ბალები,

ზედ გასულან ქალები,

დუუმახე, ჩამოდო,

დიმიკლიპეს თვალები!

„ფალიგ“ ვეტყვით შავშელებს, „მცრეველ“ ვეტყვით. „ფომობასაც“ ვეტყვი ფალიგს. არტანუჯი „ფომა“ და შავშეთ „ფალიგ“ ვეტყვით.

- „გუთლელი” მეტყვიან, „დათვი” მეტყვიან...
- ამას ბოლათ ღორის ხორცი უჭმია.

ნუ იტყვილები, ჭო!

ორი ოლოლი (ორი ძუძუ თხის),
ოთხი პოპოლი (ოთხი ძუძუ ძროხის),
ცხრამეტი ბაჯანჯული (ძაღლის ძუძუ),
არც მეტი ქიჩმახური (ქათამს არა აქვს)
(ასახსნელი: ძუძუ)

ოცდათორმეტი გოგო ვართ, ერთ ფიცარზე დაწყობილი (ასახსნელი: კბილები).

თავი წევს, კუდი ღრინავს (ასახსნელი: თოკი).

ემომა ბევრი იცის.

- მივა, მივა, კვალ არ არჩენს (ასახსნელი: შუქი);

- მე მივალ, ისი მომდევს,

უვნიდან კვალ არ აჩნევს (ასახსნელი: ჩრდილი).

- აქ საკბენელი, ძაღლი არაა! (ასახსნელი: მკბენარი);

რაცხა მომგონდებოდა, დავარქმევდი. ყარაგოლში გემიჭიჭყეს ბათი (ძაღლის სახელია - ჩამწ.).

- ახლობაში თლათ ექენა და... დაბერდა - მომეკერა. აქ ვეძეფ, ვეძეფ, მეგემ ბათუმშია...

- გელინი ორდულია...

- ინსანსავენ ჭეჭებს დაგაწყობდა... ისე მიყვარდენ. ისტამბოლიდან მოველი, ცქემლები (sic) მოდის... (ძაღლი)

- იმფხნარა ყოფილა და ის ემები ყოფილან, ეშხიაები, გარბოდენ.

- სა გარბიხარო?

- ბოტები დაკლეს, ძაღლები აკიდეს, ქალები დ~ეს, გეძარენ წევდენ...

თხის მამალი - კოტომა, შავშეთლებმა ბოტი ეტყვიან.

- ვესრი, ჰემ დავატან სამას მეტრზე. კარქა ვსრი მაუზერ...

- დედამისმა იტირებდა ქი, კატა გევექნიეთ და შვილი მომიკტაო...

- ადგილის სახელები გინდა? გევხსენო: ხევი, ურეყი, შუაწვერი, საკულუნე (მდრ. კოლონი), ბლევლი, ვარკეთილი, დიდამართი, მაწყინარა, გალენილი, ლაშეტი//ლაშეთი, სადათვე, ჭოჭიკვერა ქვა, ნადოჩხირი (ნანახშირევი? - ჩამწ.), წუმპო, კილდისურო, ნაბოკვარი, გობიყანა, ნალომვარი, ნაფაშვანი, ქებაური, ცხემნარაჲ, ჩამოსათრევი სათარია, სათარ ვეტყვით.

- დემირჩები სოფელში მყავდენ.

შაბან გუმანიძე

* * *

- მიერიე ქესუმ, დოხსან დაშინდა გადვარა.
- ესა ჩემი მამაჩემი, ესეც დედაჩემი. . .
- რაცხა მომგონდებოდა, ვიტყოდით...
- ჩემი კაცია – გუმანიძე ოსმან.
- კად დროში მოსულიყავით, გესეარენ.
- ჩემი ბიძად იქ ცოლი ყავდა, ქედას, ზინჭარადან, ზინჭარაშვილები-დან.

- ბელქინ წყევლად შენ მოგივდა, დუშმანიც ინსანია.
- თავრობა ვერ გეძვლიდა აქა, გუუწვადებდენ თოფებს, მოკლიდენ.
- გააგნებენ, ვერ ლაპარაკობენ.
- ცამეტი წელ ვიყავი, ისტამბულ, ახლა მოველ.
- მათებ რაცხა სახელები ქონებიან, აქ დუურქმევიან.
- ქი ღარჭი დედრჩობა, იტყოდენ.
- ამ ყარაგოლში არაა, იი კარჩხალშია.
- ედა ისე იტყოდენ ბიჭები, გენჯებმა: არ ვიცურვოთ, რომ ქვეშ მილეთია, დეგვეწიკებიანო. ალი დიეცა, გუუშავდებოდა, იმიდან აგნებდენ. ოჯალიდან ჩამუაო, ჩამოდრებიან და ღარჭს დაარჩობსო. აკვანზე ბადე მქონდენ დაბმული, ყირხ სანე ბადე მქონდა, სუფურგეს მივადებდი აკვანზე, ალიყური დუუდებდი, იმასაც შამომადებებდენ დედამთილი. ამას შუულოცევდა, ტაფას ამუუსვებდით, თიბილს, დუუჭკენს ძუძუებო, დაჭკენსო, სამჯერ ვიკითხევდით, სამჯერ ამუუსევდით.

- ჩვენც ევცრიეთ (ლოცვა – მაჭახლელმა გვასწავლაო – ჩამწ.).
- იქ ერთი გოგო მეზერი იყო, შეითმეზერიაო იტყოდენ, იქ დაწვებოდენ, იძინებდენ, იშტე რაცხას ნახევდენ სიზმარ, იმას ილაპარაკებდენ, მე რა ვიცი?!
- შელლიგობა იქნებოდა და. . .
- ცამეტის მერე ღარჭობიდან გამოა, მერე დელიყანდი, ახალმოზდია, გოგო, ბიჭი, ბერი, დედაბერი.
- მაგზე'ნდა იყოს.
- ახლა დანახვა არ უნდანან დედამთილის, მე მიყვარდა, რომ წევდოდენ დედამთილის სახში, მას უკან ვიტირებდი.
- აქედან დუუშტვინე, გამოდ და გამოვდა.
- გავათხელავთ სობაზე, მემრეც მოვჭრით. . . შერბეთ მოასხამ, დალი მოასხამ, კაკლებ მოაყრი.
- ჩერგნა ქალების ამბავია. გაშირშვალეზა, გამერჩხლეზა.
- გიმითხელდენ თავი.
- შვადლი უკან არ ისაქმავს (ლაზის ჭკუა – ჩამწ.).

- ტყეში გაზდილი დათვი მეტყვიან.
- ასე მეეწურე, გამეეწურე, დასველდები.
- ჩემი კაცი წევდა სოფელში.
- დაბერდა, მიმეკერა, ახალგაზდობაში ეჭენებოდა, მარებოდა, ვიტირებდი.
- მეხვიენ, ცქემლები მოდის (ლეკვს, სტამბულიდან როცა ჩამოვიდნენ – ჩამწ.).
- ბახლები (შავშეთ'იმერხევში გოგოს ასე ეძახიანო – ჩამწ.).
- ერთპირ მუშაობთ.
- ჯინსი ისე მაქ (სიმსუქნე – ჩამწ.).
- ჭვირთი – ასე მოდრეკილი, ძიგარამა გაახმო.
- ოთხმოცდაცხრამეტი ყიზილბაში. . . ბაბოვ, ფული! ბაბოვ, ფული! მე ვინმე არ მაძლევს.

ხება

- დედა ქალია, ბათუმაც ხისიმები ყავს აბლას.
- ზაფხულ ჭოროხი პაწად იქნება, ზამთრის ჭოროხი გადიდებოდა. აქ ორმოცი-ორმოცდაათი ნავი იქნებოდა: ხებას იქნებოდა, კატაფხიას იქნებოდა, ართვინ იქნებოდა, ბორჩხას იქნებოდა.
- აქაურ გვარებს ჩამოგითლი, ჰელე ყველაა თუ გევხსენო:
- ბარასოღლი, დელქენჯი, ჩოთროღლი, მუხტაროღლი, დაუთოღლი, იბრაიმოღლი, ჩატაკოზი, მელიქოღლი, ბენდელოღლი, ფესიანი, სერთოღლი, ქემლოღლი...
- ადგილი, ყანა-ჭალების სახელებიც გინდა თუ?
- ხება (ახლა კარმიქო), ხინწკანა, საბავრი, გორგავლი, სანისლე, ქერტაში, შუბანი, ზედუბანი, კინცხურეთი... გზამა გეიყვანეს, რაცხას უძახიან... ბალლი ყადა...
- ნავს სამოცი კაცი აწევდა. მე ჩამოყვანილი მყავს ბორჩხიდან. ჩვენი დიდვანებმა ართვინიდან ყურძენი მოჭვირთავდენ, ბათუმ გადაცლიდენ.
- სისტარი (საჭე), ქურელი, ლავოტი (წყლის ამოსახაპი), საჭე - გძელი ჯოხებით მიაწვებოდენ.
- სირელი - დააჭირავ, წევა ნავი წინესკე.
- სათავებელი - საბელი, თოკვი.
- ბოდა შავი ქონდა, ყათრანი...
- ზიფთით კალაპათი იქნებოდა. ფიცარი რომ მიჭედებული იქნებოდა, წყალი არ შევდესო, ზიფთით გაჭედავდენ.

მე ეს ნავი ვამუშავე, ჩემმა ბაბომაც ამუშავა. დიდი დედე რეიზი იყო. სხვამა სხვა საქმე იჯებოდა.

- ჩვენ მაშინეზე ახალმოზდე ვიყავი, ჰუდუდი ჩეკილტა, დაბადილი არ ვიყავ.

- ყველაფერ ვრგავთ: თხილი, ჩაი, ვაშლი - დემირად, ბაღელმა, ართვინელად... კაკალი, წყავი, ქლიავი, სხალი - ხეჭეჭურად, ბათუმად, სანთელად, ბულდუნჯი... კაკალი - ხეც კაკალია და საჭმელიც კაკალია.

დავთესავთ: მაკინდონი, ქინძი, პრასა, შაშტრამი, პიტნა, ლობიად...

- კარებზე სერენია, ყანაში - ნალია. კარმიდამო იქნება, კალო იქნება, ეზოს მურღულმა ბელქი იხმარავს.

ოჯალი გააკეთავს, ცეცხლი გაანთავს, ხორცი გადააწითლავს (შეწვავს - ჩამწ.)... კეცი წინ იყო, ადგა. მეტი წინ კეცის ზედა, საჯი იქნებოდა, იმის უკან ცეცხლი'და დააყარო.

ლობიო - ხმელი, ყური ლობიო, ნედლი ლობიო, მალახტო, მოთრეველა, ქინძი-მინძი, ყველამფერი ურთებენ.

ფხალი - ფხალის ფურცელიდან ხორცის სარმა იქნება.

ხორცი - მედხრაკება.

ფხალ-ლობიო არ იციან. იციან ბაქლავა, ბორელი, ჰელვა, ბურმე... ღარჭი-ღურჭმა შეჭამს, მოსაფირმა შეჭამს.

- კად ვაკეები მქონდენ, სიმინდი იქნებოდა, იყიდენ მთავრობამ, წყალი ქვეშ დარჩა. წვიმა მეემატა, ბოვრი წვიმს. წინანდელზე ბოვრია, ჰამა თოვლი არ თოვს, წინ ბოვრი გათოვდებოდა.

ჭოროღში საზანი არი, ლოქო არი, ბუფელი... ერთიც ანალი საზანი არი, ასე პტყელია, სუფრასავენ (კამბალა(?) - ჩამწ.), მეტი კად გემუანია...

ქორწილი გინდათ? ჩვენი ბარასოღლების ერთი გვარია, თბილისში ბარათაშვილები ჩვენი ხისიმი გამოდგა.

გოგო მედწონო'ნა. გოგოს [სახლში] ათი კაცით, ქალი გადარევილი წებვალ, ნიშანი დადეფ. ნიშანი არი ცოტა ელბისეები, ძუზუდი, ბილეზუდი... რაცხაები იქნება. იმის უკან ხუთი-ექსი თვე გეძარს, მოიყვანო'ნა. მოყვანიხან უფროს ეტყვის, დუგუნი'ნა ვქნა. იმის დრო გედეფწყვიდება. იმ ძალისა ელბისე თეელი ედღება, ეტყვიან, გოგოს სახში ხუთი-ათი კაცით მიხვალ. იქა კიდო დეილაპარიკებენ, რომ მე ამ და ამ კვირას დუგუნი ვიჯები, იმანც „ჰოვო“ იტყვის, დაჯერდება. გოგოს უმფროსმა მისი ხალხი აწვევს, ბიჭის უფროსმა მისი ხალხი აწვევს, დუგუნი მაქვაო. სახში დუგუნი'ნა ვქნა. წევლენ გოგომს სახში არაბადთ, ცხენით, რძალ ცხენზე შეაყდუმლებენ, ერთი-ვორი ცხენი კიდო იქნება, ბიჭის დადე არი, გოგოს დადე არი... [შაყდუმლებენ], გზაში იმღერებენ, იფერხულებენ... მაყარის სახში მისლამდე ეწწინ

მახარობელი მივა. მახარებელმა სახში მოთხოვს, კაკალ მოთხოვს, ბაქლავა მოთხოვს, გამოკოჭავს, დოდოფალი ჰაცხან რომ არი, იქ მიიტანს, მე ავართვით. იმის უკან ბიჭის სახში მივლენ. კარისთავიდან შესლიხან დოდოფალ ის ემე დუუდებენ უფრო, ფინჯანი გაატეხიებენ. ამის უკან შევლენ სახში, დაჟდებიან... ენწინ გოგოს კუთხეს საჭმელი მიცემენ. მემრე ბიჭის კუთხეს მიცემენ... დუუკრენ, თეელმა - გოგომა, ბიჭმა ისამებენ. ბიჭის კუთხეს ბახშიში არი, მემცრევენ. იფერხულებენ.

ასპინძადან ვართ, ასმანიძეს გვეტყვიან. რა ვუყო, ჩემ ხელში არაა, გურჯული რამემა ვერ დააწავლის. ჩემი ცოლი თურქული ლაპარიკი არ იცის. მედცრიეს, შეაგდეს შიან.

- ბათუმიდამ ართვინში [ნავი] სამი დღეზე ევდოდა. ჩვენ სოფელში ათენებდენ. ყველა ადგილზე ვერ გაათენებდენ. ახლა ყველა ადგილები ქონდენ. იმათ იცოდენ, სად გედთენება, მათი დასაწოლი'და ქონებოდენ. ჩვენი ჭოროხ ენ დიდი ადგილი იყო ნავების გაჩერების. ლიმანსავეფ იყო და. ჭოროხი ზორ გეძდებოდა, იქავრობას სულ მოლილავდა.

ჭოროხის გვერდზე თუ? ლიმანას არ ეტყოდენ, ნიგალი ვიცი.

უჩხუბიანო და... ხარბი მოსკდაო. არა... თუ საქმეში გასარკვევი რამე არი, მეზობლები მივლენ, ცემვენ და გაარკვევენ. თუ ვინმეს ბრალი აქვა, ასე კაცი მოკლა, დაჭრა, ადგება, წევა. ხომ რამის (მამაკაცის სახელია - ჩამწ.) ძმას კაცი მოკლილი ყავდა, ადგა, წევდა. მისი [მოკლულის] ძმები მელაპარიკებოდენ მე. ჯარში ერთგან ვიყავით.

კაცი მოკლაზე ერთი რამე'ნა ვთქვა. კაცი მოკლისთინ მოსული იყო. აი კაცი ქალთან იყო. ქალმა უთხრა, აქ მოდ, არ გეშინია, დუშმანი გყავს, მოგკლანო?

მე იმვერი დუშმანი მყავსა, ჩემ ქალთან არ მომკლის.

კაცმა ადგა, გეძარა, წევდა.

სისხლის აღება როგორ ხდება, იცი? რომ ბიძამა მოზობელი დაჭრა და... რად იცი? კაცი სოფელში რომ დადიხარ, სულ სოფლეელი კაცი არ'ნდა იყო, ცოტა განათლებული'ნა იყო. სოფლის კაცმა, ჭო, თხამა შევდა და ფიდანო გადაკნიტა. კაცმა მივდა და შენი მსუქანი დედა ასე და ისე ვქენიო, ვუყავიო... ახალგაზრდა კაცს მაგას ეტყვი... კაცმა მივდა და დანით დაჭრა. კიდევ აგინებს და...

მერე სოფელში ყველას ყველა არ უყვარს. შენ თუ კარგათ ჭამ და სვამ, შენი თავი ნათესავს არ უყვარს... მასავეფ'და იყო, მოთხვო ხალხს. ჩვენი ქართველი კაცმა მისი განაყოფს თუ აქვა, ვერ ტანულოფს, არ უყვარს. შეიძლება რომ ჩუმათ კლის, სოფლის კაცმა ასე აკეთებს, კულტურა არაა და იმისთვინ.

დედა ქალი ევდა და დეინახა, ბიძაშვილმა რაცხა მოწყვიდა ყანაში. ჩამოვდა, ახალგაზრდა ბიჭს უთხრა. იჩხუბეს. ჩემმა ძმიშვილმა შუაში ჩადგა, ბიძაშვილებმა ჩხუბობენ, რა ქნას? დაჭრენ, ძლივს გადავარჩინე. ერთი ხე რომ თლათ მოცალოს, რა იქნება, რა გათქმეებს... რომელცხას რომ ბრალი აქვა, ის'და ადგენ, წევდეს'და, არ წევა, გეეკიდება.

იმ ახალბიჭმაც ასე ქენიო? ვქენიო!

ამფერია-და სოფელი. ბიძავ, განათლება რომ არ არის, იმის ბრალია. ჩვენ იმას ბრალი ქონდა, გუუშვით, მას ბრალი ქონდა იმისთვის.

- ჩვენთან რომ ქალი მოტაცავდა და გააგდებდა, მაშინ კი [მტრობდა], თუ არა შერიგდებოდენ..

- ბიძაშვილებმა იჩხუბებენ, ჭო, შუაში ჩადგა, დანა ჭამა. განათლება რომ არაა, იმის ბრალია.

ადგენ, გუუშვით ართვინის ზეიდან სოფელია, მამაწმინდას წინ, [ვარაჩვანი] ვაზლია, იქ ევდენ და დაჟდენ. იქ სახლი და მიწა ახლაც აქვა.

- ბიჭის ამბავი: მოვდოდენ, მოგთხოვდენ, შენი გოგო ჩვენი ბიჭისთვის გვინდაო. დაანახვებდენ, ნიშანი დადებდენ, იქნება ჭამა-სმა, იმის უკან წევდოდენ. მერე გოგომ და ბიჭმა შეხდებოდენ. იმის მერე ქორწილის დროზე შეთანხმდებოდენ, ქორწილზე დაგპატიუებდენ. იქნებოდა ქორწილი. ხარ დაკლიდენ. ბიჭის მხარედან მარტო გოგვები წევდოდენ, იქეიფებდენ, მეყვანდენ [დედოფალს] ბიჭის სახში, იქ იქნებოდა ქორწილი.

ცხენით მოყვანდენ, ძმა, ახლობელი, წამოყვებოდა, დადე ეახლებოდა. ჩვენთან რაფერ იყო იცი? გოგოს რომ გამოიყვანდენ, ძარალი დავაყრიდით, სანქი ომი იყო.ოოო, ომი გეგონებოდა!

„ჰო და ნარინარი" ღმერობდენ და რა ვიცი, ყველანაირად ღმერობდენ. დოდოფალ ხანჯლებში გარუნებდენ, კედელზე დაასობდენ და ისე. მერე თეფშს გაატეხებდენ.

- მექორწილები ბაქლავა მოთხოვდენ... სუფრაზეც მოთხოვდენ და სიძესაც მოთხოვდენ, ძარად დაკიდებდენ [სიძეს], ქათამ მუუტანდენ, სიძეს უნაწილებდენ...

ისამებდენ - ფაცი, დუზ ხორომი, სარი ჩიჩედი, დელი ხორომი იყო... ისამებდენ.

ქორწილი დამთავრდებოდა, ერთ კვირეზე სადილ მუუტანდენ, მერე წევდოდა გოგო მამის სახში.

ახლა მე ერთი რამ მეგიყვე. კაცი ხარ და ოჯადი გაქ... შენი ძმაც ვერ გიტანს... არ შეიძლება, მე'და მქონდეს, რომ შენ გეხმარო.

- მე ქართველი ვარ, მინდა, რომ საქართველოს მოქალაქე ვიყო. თურქეთში ვარ გურჯი, აქ ჩამოვალ თურქი, რაფერ'და იქნას?

რომ ვტრაბახობ ახლა ქართველი ვარო, მინდა პასპორტიც, მარა ჰადაა?

- მუჰაჯირათ რომ წევდენ, რომ დაწყნარდა, უკან წამოვდენ, იმან არ წამოვდა, ბაბუს ძმა იყო, დიასამიძე (დედას ბაბუს ძმა) და მწვანე კონცხზე ცხოვრობდა.

- ისტამბოლში ოცი დღე სახში დამალილი მყავდა.

- იმანა ამ საქმეში ჩიმიშვა. ვინცხამა ახლა ქონებას ჭამს, ბოლოში არ იქნება. კად ფულს ვაკეთავთ. სამი კაცი მუშაობს...

- კი, დემერეკენ და, წუხელი ვერ დავრეკე. გზაზე ერთპირ ჩამოვედით და ახლა საავადმყოფოშია.

- მოდი, კოფე დაგალევიავთ!

- რაო, მოვა?

- არა, ვერ თქვა!

საუბრობდნენ: შაადი ბარასოღლი,

შააზე აელქენჯი,

იბრაიმ აელქენჯი.

* * *

- ბაბოს სახელი – ხასანი გოგჩეღლი – მელიქოღლი, ზედობანიდან. იეთმიშ ბეშ, შვიდი და ხუთი წლის.

- კაცი მომიკდა ხუთი და ექსი წელწადია, ირმი ალთი არა ოცი და ექსი.

- ხუთი თანე შვილი მყავს, ერთი მომიკტა იმნებში, ავადევილი ბიჭი, საქორწინო, იმის უკან ჭკვა არ მაქ, დაკარქული მაქ.

- მე თან ბადიშებს გურჯიჯე ველაპარიკები, გურჯიჯე ნუ ველაპარიკებო. . .

- სამი შერეფისაა. . . ონ ბირ თანე, ათი და ერთი.

- კაცი გყავს და, რისთვინ, ჰიჩ არ გეეთხუე, თუ გაადგე?

- კად ქენ!

- ორი ბიჭი, ორი გოგო გახდენ, ესე ჩემი გოგოა, ისტანბულ მოვდა.

- რა კად გიქნია, არ გათხოვილხარ, კად კაცი თუ არ'ნა ნახო, არ გეეთხოვო!

- ერთი აგზე ცოცხლობს, ერთიც ბორჩხაში, ერთიც ქომო – მარადიდში, გოგო.

- ჩემი კაცი მოვა, შენსავებ ისტანბულ ისე ქითბები წერავს.

- ოო, დიდი ქალი ყოფილხარ, იმისთინ ვერ გინახია კაცი.

- ნენეს და - თეძუე.

- ბაბოს ნენე - დიდი ნენე, ბაბანე – თურქე, ბაბოს ბაბად ჩვენ – დიდი ბაბად, ნენეს ნენე – ანანე, გურჯიჯე – დიდნენე, დედეს და - დიბიბია, დიდი

ბიბია, ბაბოძს ძმა – ემია, ამჯა, კაცის ბაბო - ყანათა, მამამთილი, დედა – დედამთილი, კაცის და – გორუმი, გორუმჯა, მული, მული.

- დედამთილი, ღმერთო, მალე მოკალი.

- ნაჯაქ ნერდე? ქილით?

- ტურუბუდე – ყანაში სახელი, წითელმიწა, იმ თას – კატაფხია, უკან – საბავრი, გორგავლი (სოფელი).

- ბაღნების გაჩენვამდე თლათ ასე ვილაპარიკებდით, ბაღნები გიმიჩდენ თურქჩეზე გადავატრიალეთ.

- ზედობანი – ჩემი ბაბოს სოფელი, შუბანი – ჩემი კაცისა, შობანი; ქომობა, ეს ჭოროლი.

- ფურთუნა მოვდა წუხელ, დიდი ფურთუნა იყო. ყინული, თოვლი მოვა და დადნება აა, იმის სახელი ყინვა. თოში – ქარი, ხომკაკალი. კონტოხ – მაჰალე, ხეხას მაჰალე.

- ბაბოს ნენეს ძმა იყო, დები ყავდა თიკანამეები. არ მინდა აქედან ქალი, წევდოს ბაბოს სახშიო, დიდვანებმა გამაგნებიეს.

საუბრობდა: **ლუთბიე იელქენჯი – ქონახშვილი, 75 წლის**

* * *

- ალამაზებენ-და, ბადრამია.

- უწინ იღმერავდენ, ყარშიბერი იღმერავდენ.

- ღარჭი რომ დეეხარჯენ, იმის უკან. . .

- აგზე ნაპირი მაქ.

- ამან ბევრი მღერობა იცის, ცოტა წაკრილია

* * *

ზედა მარადიდი (მურათლი)

- ზოორ ძველია, ბემ აუზ იძახიან, იქი აუზ ალთი სენე მამაშენსაც ეცოდინებოდა...

- ამა ჩვენ ხალხმა ვუყურავდით, ახლა თავრობამა უყურავს...

- აოქ, არ ვიჩხუბავთ. აქ არ იყო, მარადიდში. აქავრი ხალხი არ იჩხუბავდა.

- აქაური გვარები: საღიროღლი, რეჯებოღლი, ხალვაში, ოფლოღლი, დიზდარი, ბალაბანი, მისილოღლი, დოდოღლი, გონჯალოღლი, დილბეროღლი, იმამოღლი, ოდაბაშები (ებესინუმ გოთები), სედეროღლი, მეზმიშოღლი, აუფაშვილი, მამიოღლი, ებეჯოღლი, მამიშთეიზოღლი, თაგვაშვილი... ძველი ლალუბები გამოვცვალეთ, სხვადა გავხდით.

- აქ ძველათ ალთუნის ფინჯანით ყავეს სმიდენ.



- ქედქედელმა კაცი მოკლიდა ძველათ, მარადიდმა ყავეს შეასვავს ოქროს ფინჯანით, ხინწკანა და გოდორი მოქსოვს, ხემა - ფისკი ფუჯურ (მოცოცხილი ხალხი - განმარტავს მთქმელი), ქლასკური თეებზე კარში არიან, ჰეფსინე კარში არიან (დელები არიანო).

პეტა იყო ერთი. თოფალი იყო. იმას სახში რუმე გაატანდენ, მის სახში წედლებდა...

- ესენი ჯუმებზე წედჩუბებოდენ, ცულის პირებს დაცხებდენ. ჯამეში მივემ, წალდი, ცული დუუკიდიან. უთხრენ, რუმე ამან ასე მითხრა, ასე, ასე გითქმია... გონჯი კაცს დეველაპარიკებით თუ ჩვენ...

- ნატეხარები ჰიჩ არ გიმიგია. უუცილებელია, ამ კუთხესაა. აქიდან ძალი მყავან ჩვენ.

ადგილის სახელები: კევიეთი, პაპნავეთი, ჯამნარეთი//ჯამნადეთი, ბალაბანა ქედი, ბერძნეთი, კორნალი ქედი, სამესამედო, დიდი ქედი, დიბე, ხამითავი, პაწამ ქედი, შავტყე, ხამი, ათიგორა, ჩხავნარა, წყალოქრო, წყალოთვარი, ბუდუხეთი, გულიეთი, ასავალი.

ესკი ვიცოდი, ჰამა დამზიწყებია.

- ერთი ძროხა ვერ ვაჭმევ, ცხენი რა ვაჭამო? ღობეებზე ახტებთან, სიმინდები ჭამენ.

- ზარალი აძლევს თურქეთშიო, გიავ!

ზათი ვერ ვიქავთ, ჰაივანია, ისროლება, კაცო?

- რამეთლი ნენე აჭარალი (sic) იყო. იტყოდა, იქაო ძროხას ყუას დაარტყმენო და ისე დაკლიანო. ახლაც ასეა?

ნენე დაჟდებოდა, იტირავდა. გოგიტიძეების გოგო იყო. იტირავდა, ძმები ილაპარიკებდა.

მოხოცილი ხალხია მაქ (მოხოცილი - ნაყარ-ნუყარი - განმარტავს მთქმელი).

საუბრობდნენ: **ჯავიდ აზიჯი,**
შადი ბარასოლი.

სოფლის (მარადიდი - ჩამწ.) ადგილის სახელები: კევიეთი, ჯამნარეთი, ჯღელიფერი, ბალაბან სირთი, ვაკე, ნიზგნარი, გვალი ნაპირი, ბერძნევი...

აქ ყველაფერი არი: ჩაი არი, თხილი არი, სხვა რამ არ არი...

დედეს ბოვრი ფული დუურჩა ბანკაში, არ წევდა, დამაბმენო. აშლილი იყო მა იქავრობა, დაბეჩდა და... დედე თუჯარი იყო, მაღაზა ქონდა.

ნავებს ავლა საბელით დეეწიკებოდენ, ჩამოვლა სისტარით ჩამოიყვანდენ. მისიროლი იყო ნავის კაცი, ჰელიმ რეიზი... იბრაიმ რეიზიც

იყო... ელქენჯებს არ ყავდენ ნავი, აქავრელებს ყავდენ. ამის დედემისმა აწევდა ნავი. მაგარი უსტა იყო. დედემა გააკეთებდა, გაყიდვიდა.

თხმელის ტაბანი ექნებოდა. ბედდავა ნიჩაბს ატყაპუნავ, გზა არ მივა.

ნავი ართვინ წევდოდა. იქიდან კაცები წამოვდოდენ, ოცი-ოცდაექსი. ყურძენი, ხურმა წამოიღებდენ, გაყიდევდენ. აქ ბოვრი ხანე ყოფილა, ბემ ალთი ეფუზ ხანე ყოფილა. კაზა იყო აქ წინ, მასკა ნაფე გახდა. არ დარჩენ ხალხი. დანი მახსოვს მე ისინი, ამნებს არ ახსოვან.

ჩაფათ თხრიდენ. ისინი თეელი ყანა იყო, ახლა ორმანები გახდა. არ დარჩენ ხალხი. დომუზებმა თხილი-მილი ჭამდენ, ახლა კიდევ ჭამვენ, თოფი-მოფი აყრიან...

საქონელ „ძროხა“ ვეტყვით. აქიდან ბილბილანის აილაზე დადიან, სარიჩაფე. დალი, ყველი აკეთებენ. ეფე აკეთებენ, თულუმში პეჭვენ. ჩოქელელიც არი, ჩლეჩილი ფეინირიც არი, კურუთი აკეთავენ...

ეუმეს ყიდვენ, ონბემ მილიონი - კილო, ჩლეჩილი - ონ იქი მილიონი ლირა.

„დალი ყველი“ ეტყვიან კამაღიან ყველს.

სარმა, ჩორბა, ფატატისის საჭმელი გააკეთებენ, მაკარინა გააკეთებენ, სახშიც მოჭრიან, მაღაზაშიც ეღებენ.

დალი ის ემე აქვან და მორეკებენ, ზოგმა ეფულურთი, დალი გამეღებენ, დარჩება აირანი, აადულებენ, სუზმე გააკეთებენ. ჩაყრიან თორბაში, გამოწურებენ, სუზმე გახდება, წყალი გამოვა, შრატი.

დარიჯები მყავან, ისინი საქმობენ. დაირე მიცემული მაქვა, ძინებენ. ჩვენ ვერ ვიქავთ.

ფეეში კარამანი

ხებას გურჯების ლაპარიკვი და მარადიდის ლაპარიკვი სხვაა. ჩვენ ბათუმიდან მოსული ვართ, აჭარიდან. ჩვენი დიდვანები მოსულან. ჰარბი იყო, გამეძევენ, გამოვდენ აქა. სავაში რომ დეღლია, მაშინ გამოვდენ.

- ახლა რამაზანი არი, მარხულ იჭერენ ხალხმა, გვიან გამოვლენ. თურქეთში რამდენი ვილაეთი არი, დაპანტილი არიან იქა.

რემზი ასლანი (მოლოგინძე)

- გოგუობის - შენტურქი, მისილოლი.

- **მაჭალეები:** ბერძნევი, კეკუთი - შაყვერი, ბალაბანსირთი - თამაღლა, ჯღელიფეთი, კადადიბი, ბერძნევის ძირში - ნასალევი, რუთავი, კაპანი, დობრიდანჯო, კორნალიქედი, ნაფოცხვარი. დეღე - ჟრელიფეთის დეღე, ბერძნევის დეღე, ყანაველა, წალოქრო - ლამაზი წყალი მოვა იმ დერში და

იმიტონ. ჯინოშთანა – აქავრი წყლები თლათ იქიდან მოვა; ჯგერილა, კაკიეთი, ჯავნარეთი, დოლაბეთი, ნასელავი, ნაპურავი, სათუთუნე.

- დემირად ვაშლი, შეელმა ვაშლი, ორი ჩემიტი ვიცი, სხვა არ ვიცი. შექერად ვაშლი, ხეჭეჭურად სხალი, სასელად – სხალი, კაცითავად.

- ჩემი დედები, დიდვანი დედები იქიდან მოსულან.

- ფული მაშინ თუ კად აქვან, სავაშები ბევრია, წესულან. აქავრები თლათ გარიბანები დარჩონილან, უფაროები, მაშინდელ დროზე საჭმელი არა.

საუბრობდა: იაშარ მისიროლი – ტიკნაძე

55 წლის

- აქ თლათ გურჯია, ჩვენი გურჯული ჩვენი დიდვანებიდან დაწავლილი გურჯულია.

- მიორე სოფლიდანაა ქალი. ერთი ბიჭი, ორი გოგო, ერთი გოგო იზმით, ერთი – სტამბულ.

- იქა მეგრელები არიან, რიზელები.

- ჩვენი ნათესავები ბათუმიდან ამოსულან. ოთხი თანე ძმა ყოფილან: ერთი ბათუმში, ერთი ადაფაზარში, ერთი ბორჩხაში, ერთი აქ მოსულა.

- მე ბევრი მუალ. მე ხასტაჰანეს დირექტორი ვიყავ, ბორჩხადან ემექლი გავხდი. აქ ზაფხულში მუალ.

- თხილი, ჩაი.

- ზამთარში ვინმე არაა, ვინ და შევდეს, რაში ჭირია?

- ჰექიმი არა და მუდირი, შეფ.

- იქ ჩემი ძმა, და წესული არიან თხილში. გაწუხებულია ეს თვე.

- რაცხა დაგალევიო, წყალი ბილე არ დამალევიენო, იტყვით.

- ჩვენი დიდვანებიდან გაგნებული მაქ, იმდონი არ ვიცი, რომ ჩედკლიტა, იქავრი იქ დარჩა, აქავრი – აქ. იშტე ტიკნაძეები არიან, ჰამა არ გეცვან, აქაც არ ვცხოვრობ, მივალ-მუალ.

- ეს აქავრი ოლლავია, სერები, ეს გაღმა კირნათი, იმას იქა, თეფე მაჭახელია, იქა ქედი, ქედა.

- ბათუმი კადა, ლამაზი მერია.

- ერთი გოგო და ერთი ბიჭი დასახლებულია, ერთი გოგო ბექარია, ჰემშიმეა, ჰასტანეში მუშაობს.

- მე მივალ იქ, სახლი მაქ იზმით.

- ამ სოფელში, ენ წინ მექთებამდე აქ ვიყავ, მიორე მექთებები სხვა მერებზე ვიკითხე – ბორჩხა, ისტამბულ – ორთა ლისე, უნივერსიტეტი –

იშლეთმენ, მუასებეები არიან იშტე, იმნების ემე. პირდაპირ (პირველი) მექტები აქ გავათავე. ონ იქი გათავდა, იმის უკან - არა.

- ძველი დუგუნები სახლებში იქნებოდა, პირდაპირ, ენ წინ გოგოს სახში, მერე ბიჭის სახში. აკორდიონი კრა იყო, დუზ ხორონი, ათაბარი, ისინი, რა ეტყვიტ? ფერხული, სამა, ონდორდი, შეშშამილ. ქალებმა, გოგუებმა ერთხელა ისამებდენ, ქოჩარი – დუგუნებზე მაგნები ისამებდენ.

- ონ დორთი – ორი, სამი, ოთხი. . . ერთხელა ისამებდენ, მიაყოლებდენ, მე ჰამა არ ვიცი.

- გელინი რომ მამამისის სახლიდან გამეყვანდენ და კაცის სახში მიიყვანდენ, ბანი ეტყოდენ: გელინო, გელინო, როდს მოხველი, კად ფეხით მოხველი, აქევრობას შეეჩვიო, კად გელინობა ქნაო.

- მერე სახში დაჯდებოდენ, საჭმელები-მაჭმელებს იქნებოდა ბოური, საჭმელი-მაჭმელი მოთავდებოდა, იმის მემრე დედწყებდენ ხუმრობა, გელინი მოვდა და ახლა ასე დაჟდებოდენ ქენარზე, ბიჭიც დუუჟდებოდა, დედწყებდენ სამა, ერთხელა ისამებდენ, ისე დამთავრდებოდა.

- ერთი დლე გოგოსთან, ერთი დლე ბიჭისთან.

- ნიშანლობა იყო, ენ წინ დედნიშნავდენ, რაცხამდონი სურე – ერთი თვე, ორი თვე, სამი თვე, ხანდახან ბოვრი. ოქრუები, ალთუნები იქნებოდა, გელინლული იქნებოდა. გელინლიქი – ჩასაცმელები, დოდოფლების ჩასაცმელი და, დუგუნზე ჩედგვამდა. ბახშიში მიცემდენ გოგოს, გოგოს რა ექნება: ჩასაცმელები, იშტე, ოთურმ ოდა, მათალი ოდა, დასაწოლელი ოდა გუუწყობდენ, ხაზირში დაწვებოდა. ყინა გეჯეს იქმოდენ დუგუნზე ერთი დლით ადრე.

- ახლა ისინი ადგა. ახლა ერთი ყინა გეჯე იქმენ, იმის უკან სალონში დუგუნები, სახლების დუგუნები არაა, ადგა. ახლა მისით ეთხოვებთან, ახლა ეს დროები გემარა. წინეთ ბაბა-ნენეს'და მოწონდენ, სხვა თეელი ვერ ითხოვდი.

- მე არა, ჩემით მოვწონე.

- არ გააწუხოს; კარი მიაძრევია, მეტი უყვარს მანქანები.

- ჩემი დროზე ისე არ იყო, კირქ ბემ გაათავებდი, ემექლი იყავი, ახლა გამემცვალა – რაცხამდონი მალე შეხვალ, იმდონი. ალთმიშ ბემ სენე იმუშაო.

- ამ სოფლიდანაა სიძე, ისინი მოვდენ აქ და ისე გედნო.

- ჩემი ქალი ამ სოფლიდან არა, სხვა სოფლიდანაა, გურჯია, კატაფხია ეტყვიან იმას.

- ბორჩხაში დევნახე დუგუნებზე.

- ხმა არ მაქ, რავა დედწყოფ სიცილს.

- ის მამამისის სახში, მისი'ნა მოკრიფოა, დილაა წევდა.

- მე არ ვიჭირავ, ვერ ვუძღობ, მემემშივა და იმიტონ.
- იმან იჭირავს, ქალმა იჭირავს.
- თქვენ ცოლი ეტყვით ქალს?
- დედი მაშინდა ღარჭია, სუფურ ალთი წლამდე – ბებეკი, ალთინ – ონ იქი - ჩოჯუკ, ბავში, ღარჭი. ონ იქი მაშინდა – ირმი ბემ, ირმი – ახალმოზდე, ირმი ბემ – ოთუზ ბემ - ორთადაშ. იმის მემრე – დაბერებული - მაშლიკ ჩალე, დაბერების დრო.

- ლეღვი, სხალი, ვაშლი, ყურძენი, ატამი, ტყემალი, შავი ყურძენი, ბია, თუთა, ბალი (ქირაზ), შავი წყავი, სიმინდი, ლობიო, ფხალი, ხაპი, კიტრი, თომათისი, ფათლიჯანი, ბიბერი, ჭარხალა, წვანე თომათისი – ჟავეს ვაკეთავთ.

- ღამეს ქედფი (ყვავილის სახელი – ჩამწ.).
- შენი თავი მოღალა.
- ჭადი ვარ. ხორცის სარმა ვეტყვით ჩვენ, ის მიყვარს.
- მე ეფედ ვიგნებ, ბავშები ვერ იგნებენ.
- ჭაჭა აქ დამალევიენ, თავიდან ჭკვა გიმივდა, სხვა არ დავლიე, მე მარტოდ ვისკი ვსვამ.

- შენ სვამ?
- ენას ადებ. . .
- მე ჯამეში ჯუმაზე მივალ, მე თქვენ ცოტა ახლო ვარ, იმაზე.
- დიდვანები დაკდენ.
- ენ გაწუხებული თვე ეს თვეა.
- აპრილი, მარტი, ქირაზაა...
- ათამდე ვიცი.
- მე ისინი არ ვიწავლე, სხვა ქითბები ვიწავლე.
- გაბიწყდება-და, ბევრი დრო გეძარა.

საუბრობდა: **ჯავით მაზიჯი – რეჯებოლლი**
80 წლის.

- ჯავით მაზიჯი – რეჯებოლლი, ოთხი ოცი წლის.
- თხილი ვიმცრევ.
- იმნებს ერთხელა წამოსული ვართ. კაცი'ნა გეახლოს, მოგიკტა თუ? შენ ჭკვა არ ქონებია, შენ რამ არ გინდა დაწერა, შენ გიგითავებია სიცოცხლე. შენ ვინ'ნა შეგხედოს? შენმა შვილმა.
- ეს სოფელის პროფესორია.
- კაა ხალხია, თემიზი ისაქმებენ.

- ნავს ქურელი ეწიკება – ცარიელა საქმეებზე ვიტყვით.
- ნუ ესლაკუნები.
- მაგით კად გამეფწეოდა.
- ე რიზელია. ლაზი სხვა ჯინსია, იქ ორი ჯინსია, ლაზი სხვაა.
- სეფილია, იმან არ ილაპარაკავს.

ბალაზანსირთი

(მარადიდის მაჰალე)

- ფატმა არსლან – არსლანოღლი, ჩემი სოიადი – კოჯამან, იეთმიშ ბეშ – სამოცი ათი და, ერთი ოცი – ირმი, ერთსხვა ოცი – კირქ.
- ახალი დევეყევით (თხილის კრეფა – ჩამწ.). სიცხე იქნა.
- ოთხი თანე შვილი მყავს, სამი თანე ბიჭი, ერთი – გოგო. თეელი დასახლებული არიან, გოგო ანკარასა, ბიჭები – ერთი ისტანბულა (ისტამბულ არის – ჩამწ.), ორი თანე – იზმით. ზაფხულში ვარ-და ზამთარში ღარჭებთან მივალ.
- ხება, ხებიდან აქ გამევეთხვე, ონ ალთი წლის, ათი და ექსი წლის.
- ჩემი კაცი დოქუზ მაში დიდია ჩემზე, ცხრაფ.
- რისთვინ წერავთ, მაკითხო'ნა თუ?
- გურჯი ვარ-და, ჩემი ლაპარიკი ვერ არიგებენ. ჩემი ღარჭებმა კიდე არიგებენ, რძალი ვერ არიგავს, მიყვარხარ, ჰამა ვერ ვარიგავთო, იქ მეზობლებმა.
- ღარჭებმა, დიდმა იცის და ორი ბიჭმა ვერ ლაპარიკობენ.
- დუგუნნი ვეტყვით აქა.
- ნენეს, ბაზას მოწონებით წავყევი.
- დემეწევა (საქმელი – ჩამწ.) და რძალმა წემეკინდლება.
- მოვსურდი და მომაკითხა (კაცმა – ჩამწ.).

საუბრობდა: ფატმა არსლან'ი,
75 წლის

დევესქელის ხეობა

- დევესქელის სოფლებია: შუახევი, სანათისი (უბანი), ბაგინი უბნებით: კვინტაური, ბულარეთი, შაქარეთი, ნაზნარა (ღელის გაღმა)... ჩერმუკი – ბაგინის დაილა. ოთინგო, ადაგულის მთა, ბაგინის დაილები, თეთრი წყალი...
- მარჯვენასკე არ'და შეხვიდე...

- ბაგინის დაილა: ბორჩხა - ბანაკნა - სანათისი - კვინტაური - ბულარეთი
- შაქარეთი - ქერცენია - ყურდიდი//ყურდითი - ჩერმუგი - სამმორე//სამზორე
- ბაგინის მთა.

გალმა: დევსქელი - შუახევი - ქლასკური - თეთრი წყალი (მთის უკან)...
სანათისი, ჯუხუმერეს იყო ხიდი.

ბაგინი: ცხემნარა, თეფე, ახალშენი, საკოდელა (იქით არ მივიღან, ჩვენ
იმდენი არ ვართ), საყონიათი, ნამნარა... ნაქერავის გორა, ავაზნიანი გორა.

- ძალღ გაფარჩავს, გააგდებს მგელი.

მეხროლი დაწერე მაგზე, არ დაგვიწყდეს, მეხროლი უსეინი.

ვინცამა დალობა, იმა გააწიკვიე მაგი ნეხვი.

- ერთი-ორი დღე ცივია, იმის უკან ზითვალაია.

- მგელი იმა რამეს ვერ უჯება.

საუბრობდნენ: **ბაირამ ჩალოდლი (გოგჩა),**

ილმაზ ოზთურქი,

ჰამზა ჩილინგირი.

* * *

- აგზე, ჭო, ასი მეთრა იქეთ.

ჩამოდთ და დევეპარაკოთ ჩემ ნენეს. ჰამა ის წყალი დედნახეთ, მეტი კად
წყალია. მიწიდან ამოდის ამისიმსხო წყალი. ესკი ქოფრი იყო, დედნგრა.
ქილისა იყო, ჰეჩ რამ არ დარჩა. იშტე ჭკვიანი მაგის ნენემა, ჰამა აქ არ არის.

დევსქელის მაჰალეებია: უკანმერე, ხაბაზოლლი, ჩიტავრი, ქომობანი,
გაღმობანი, ოხვათი.

ქილისა იყო. დიდი ქუმუგები ამოილო ჩემმა დედმა. ჩვენი არადა მე რა
ვიცი ვის უშენებია... ჩვენ ბათუმიდან მოსული ვართ.

ყანა-ბახჩის სახელები რათ გინდათ? გევხსენო: ჯუხუმერე, ნიმგნარი,
ფონი, ნამნარი, ნაფუნები, უნიკა, ტანახრო, დოლაბიკარი, წყაროთავი... მეტი
არ ვიცი.

საუბრობდნენ: **იმდათი სელიმოდლი (ერთექინი)**

ააზარ ყარა (უღური)

* * *

წინანდული კად იყო. ახლა მეჩხუბებთან, რაცხა, მეშინია იქ და... მაფია-
მუფია რაცხა ბევრი ყოფილა.

ნაფუძარი, კალოთავი, ვენახი, შიშართავი, ხიდიბუკი...

აქ სელიმოდლი ვარ, გადმუალ იქა, კად გვარს ვნახავ, ვიტყვი, მეც მად
გვარი ვარ!

* * *

ჩვენ აქ ხაბაზოლლებ მეტყვიან. გურჯების ქითაბი მჭირიან ზათი. ჩემ ნენემა გურჯილას მეპარიკება.

- ამ სოფელმა მეტი ეს ემე გასწია წინა. აქ მოყარენ, მემრე ხარკოვას, მოსკოვას წედყანეს. ესენი გურჯულაჲ ლაპაროკობენ. იქ ერთი გენერალი ყოფილა, იმას გამუუგზანია უკან. მემრე დაშენებულან. აქიდან ჩამოსულან რუსის ასკრები. წასულან იშტე ხალხი, სამსუნ, ბათუმ. აქ ხარბი ყოფილა წინ. ათათურქსა იშტე ხარბი მუუცია, ჯუმურიეთი დუუდგმია, იმის მერე ვცოცხლობთ აქაურობაში.

- პატნა ბიჭო!

- ჩემი აგნებს, ვერ ლაპარიკობს, ვაწავლი.

- ახლა ჩვენ რას მიძახიან იცი? ვალიდან იზნი'და აართვა, ისე'და წეხვიდე.

- აქური სოდადებია: ხაბაზი, სალიოლლი, რეჯებოლლი, ხაფიზოლლი, სარილოლლი, მემოლლი, მუსტაფოლლი, ველიოლლი...

- ადგილის სახელებსაც გასწავლი, ქითაბს თუ მომიტან, გასწავლი: ქომობანი, გაღმობანი, ტყემალათი, უკანმერე, ხაბაზი მაჰალე, ჩიტავრი, ოხვათი...

- ჩიტავრი მეთავრი ყოფილა, იმის მერე გუდუუტანიან, ისე დუურქმნიან: წუმპო, კალოანი, საქარათი, სათიბი ხევი, საქორი ქედი, რუსთავი, მომწვარი, ახალტყე, თენარა, ფლატი, ფიქალი, კოსოლა კილდე...

საუბრობდენ: **ისმაილ ხაბაზი,**

ჰილმი ერთექინ.

58 წლის

* * *

- ჰილმი ერთექინ, აქ სელიბოლლი ვართ, გეკვითხე და კახიძეები ვართო. ელლი სექიზ წლის, ორმოცი და ერთიც ათი და კიდო ვრა.

- აბე, ჩემი დიდი, აგი ძმის ქალია, ისიც ჩემი ძმის ზალია.

- აიშე ხალა, ესენი ბათუმიდან მოდიან, მულელიმები არიან, ამა ესენი ყოფილან წინ.

- თეელი აქ ვართ, იგზე სახლ ვაკეთებთ. . .

- ფსკილენძი (დოქზე მიუთითა – ჩამწ.).

- შენ ჰა მუშაობ?

- მეტი საყვარელია ბადიში, შვილი. - დეეცა, მეტი ახსია.

- ერცხვა მოხვალ, დევწავლით.

საუბრობდა: ნურქან ერთექინ’.

- გოგუობის – კადა, ათალაა. ჩემი ბაბა-ანე კირნათიდან იყო, ხებელი იყო. ანე-ანე კირნათელი - იბრაიმოლლი. ბაბა-ანე, მან გაცურავდა ჭოროხში, დეენახა ანე.

რეჯებოღლები - ჩვენ არ მახსოვან, აქ თეელი გურჯი არიან.

მაილა ბალჯი ქომ – ბაგინი

- ბედრიე ჩილინგირ, თურგუთები – ბაბოს სახლიდან. ჩემი ბაბოა ხალოღლები, ილიასი ბაბოს სახელი. კაცმა – ხვედოღლი, ბაგინი სოფლიდან, იქვენად ვარ, კაცი მომიკტა.

- დეთმიშ წლის, ვალაა, მეც არ ვიცი, შენ რა გითხრა?

- კაცი – არაბა გადააგდო, ზმები იჯდენ ერთხელაა, ის გამოხტა და გადავარდა, დიდი ხანია, ჩემი კაცი მოკტა, ის გადარჩა.

- სამი, ორი ბიჭი, ერთი გოგო. ბორჩხას არიან, გოგო სოფელში, ახლა თაზეა, სოფელი ოხორჯი, ორ-ოლი გელინები მყავს, ერთი აქაა, ერთი ბორჩხასაა. ერთი ართვინიდანაა, ერთი გურჯია და. სიძე გურჯია.

- ბადიშები ოთხი თანე, ორი ერთ ბიჭიდან, ორი – მეორედან, გოგოდანაც ორი თანე ბადიში მყავს.

- ერთი ბადიში მყავს მარტოა აქ.

- ვერ ლაპარიკობენ.

- არ ვლაპარიკობთ, მე რა ვი?

- არ იჯებიან ლაპარიკ ახლა, არა.

- რა გითხრა, რა დაგაწავლო, მე რა ვი.

- არ ვიცი, შვილო, იმდენი არ ვიწავლე.

- ძველებური – ნიშან დამდებდენ, ნად ვიქმოდით, პურ მოვჭრევდით.

- ოთხ წელიწად ნიშანლი ვიყავ, ერთ დღეს არ დავლაპარიკებოვარ.

- დიდი იყო, წინიდან დიდი ძმა იყო, იმა ქალი მუყყვანეს, ფუხრობა იყო, იმა მუყყვანეს სიფთაა, მემრე ჩემი დუგუნი იქნა.

- ბეშიბილ მედტანდენ, შიებ მედტანდენ.

- ბეშიბილ – ყიაზე დედაკიდავ, ხელზე მედბამ – ბეჭედი, შიები – ტანსაცმელები.

- რა ზორი გაქ?

- ღმერთმა არ გაგაფაქოს შენ! იყავი ისე ლამაზათ!
- ნიშანს მეტყანდა მამათილი, მამათილის ძმა, ნიშან დამდებდენ, იმის
მემრე დუგუნი იქნებოდა.

- ჯეიზი მიქონდა, ყოვლამფერი იქნებოდა: საანი იქნებოდა, ლეგენი
იქნებოდა, გუგუმი (დედლია იშტე, ზემოზე დაწერე, ნუ მაცინავ, იშტე!).

- საანი – საჭმელ ქი ჭამ, დაასხამ, გუგუმი – წყალ გაათფოფ, ლეგენი –
ჩამაშურ ქი გარეცხავ, ჩამაშურ ქი – სარცხელი.

- ქორწილი – ორ დღეს, კომშები მოვდოდენ, სიძე არა, ფერხული
იქნებოდა, ფერხულ დუღუძახდენ სიზეს, მემრე მოვდოდა. სიძის სახში იმ
ღამეს წევდოდენ, სიზეს წეყვანდენ. გენჩები მოვდოდენ, ახლები
(დედოფლის წასაყვანად – ჩამწ.). სიძე მოყვებოდა. საჭმელ-მაჭმელი ჭამდენ,
დედპანტვოდენ.

- რამდენი დაგაწავლე, რა'ნა მომცე!

- მაგდენი ლამაზი ქალი მოხვალ, ხომ მოგიპარავს! - მე'ნა მოგიპარო!

- რა სამა გითხრა, რა გითხრა ახლა მე შენ? – ხორუმი. – დავლიე, სხვა არ
ვიცი.

- მეზეს არ მედთხოვდენ.

- ბაქლავას მუუტანდენ, ქათამ მუუტანდენ. გოგოას მაყარი მედთხოვდა
მეზეს. ილლ'ნა მიეტანეს. ცხვარ მეყვანდენ.

- არ ვიცი, დამამიწყდა, გო! დავბერდი!

- დეფირეს და აჯებნიებენ დიდვანებ.

- მომივარ? წამოვალ რუსიაში.

- სერსემი დედაბერი, რა'ნა ვქნაო, იტყვი.

- ყედდე რა ვიცი, ჩვენი პასუხი ისეა-და.

- ღარჭ ვეტყვი.

- ბადრამი მოვა, შექერმა აარუნიავ, მეიარ ასე ხალხში, კოლონიას
აარუნიავ, მემრე ბაქლავას დადეფ, კაურმა, ლახტი შორვას ვაკეთავ, ფილავი,
თეთრი ლობიო.

- ლახტი შორვა – ლახანას ამოლესავ ლამაზათ, მემრე ძალი გაადნოფ, იმა
დაასხავ, ღერლილ დაყარი, მემრე სუფრას დადეფ, ჭამ.

- ახლა შექერი მაქ, ტანსიონი მაქ.

- ილაჯები ბევრი თუ არ გაქო, იქნება, მე ერთი ტანსიონისა მაქ, ერთი –
შექერისა, იმასა სევრებიხან ვჭამ. ღამეში ქი ჭამ, ადგები, იმას სევრი ვეტყვი.

- ყველაჲ იჭირვენ. ვინცხას შექერი ბევრი თუ აქ, იმა არ იჭირავს.

- აკეთავს ძალი (ჰელვას – ჩამწ.), წევდა კომშებში.

- მომანდომე მეც, შუტი გადამაყლონწიე, ქომო სახში ჩადი, იქ აკეთებენ,
ჭამე.

- დღეს ჩვენი არაფაა, დღევანდელ დღე არაფაა, ხვალ ბაღრამია, გათენდება, ილოცვენ, მოვლენ, ბაღრამზე მოვეხვევით.

- ამეზღამ'ნა ამოდღონ (შვილები – ჩამწ.).

- რა'ნა გამომწიო, ნამეჰრამია, გო!

საუბრობდა: ბედრიე ჩილინგირ,

70 წლის.

* * *

- ჰამიდე ჩილინგირ, გოგუობის – დემირალი, ჯამბაზი. მე ოთხმოცი წლისა, თავში რამ არ დამჩა.

- ერთი მოსამე ქალი იყო, ედა კაცისგან ეშინია, ჯელალ არ თქვა, შაქირად მომკლავსო.

- მე კაცი მალე მომიკდა და ჰკვა არ დამჩა, ორმოცდასამი წელწადია კაცი მომიკტა.

- ჩემსასაც ბრონშიტი ქონდა.

- იქ არ არიან ბერები?

- ვაგლახ, ჩემი ბერები იქ მიცდიან, იქ ოდებ გუუკეთებთან.

- ჩვენთან წაკინდლება არ იყო (დედამთილთან – ჩამწ.).

- კაცთან ჩახუტება უჩუმარად იყო ღამეში.

- წახთენ, წახთენ.

- ახლობაში ლამაზი ვიყავი.

- ლამაზების ძებნაში, ჩიჩვირა შემერაო,

შენ გაღმა, მე გამოღმა,

რომელი ლამაზი ვართო.

- სერსემი ჯამბაზებო.

- ჯამბაზი შენ ხარ იგზე.

- ჩემი ძმა ეაშიყებოდა და ვერ ითხოა, იმისთვის იძახის.

- ბუკომძრალი!

- დიდცხვირიანი, ერთი რათი ჯაბეთია, გევგნებდე.

- ნენე, ნუ მაცინავ, გო!

- ქოქში გეტყვი! ჯინსი.

- გამაგულიანა.

- იქ ოტელი მაქვანო.

- არ გეფლება, გო!

- აქ მარტო ვარ.

- ჰედიე'ნა წამეგელო, ო, რა შედთან ხარ შენ!

- ქონი რატო შუურიე მაგში?

- ქონი მედხარშება?
 - აგზე მეროსთან ეყვანე, ფადიმესთან ეყვანე.
 - რა იჯარეთი მაქ მაგიდან?
 - ახლანდელ მოზარდებმა არ იციან გურჯული.
 - ბედიავა სიარულზე ბრალი ხარ, ნენევ, რა ცხელი ხორცებია!
 - მისებური რაცხა თქვა, იშტე, სერსემია.
 - რა მეცინება!
 - მეტი კაა ვართ, ენ წინდელენი კაა ვართ, ახლანდელეები არ არიან მასე.
 - ზოგს ვგნებულობ, ზოგი ბაშხადა.
 - მე არ მოვწონვარ, ბეთი ხარო!
 - მაისში ამოვალთ, მე ძროხები არ მყავს, ონ ბეშ გუნ მივალ, ამათ ძროხები ყავან, დგანან ორ თვეს.
 - ღარჭები საქმეზე არიან, მარტოდ ვერ ვიჯები ძროხები.
 - იმის ძირები საქმელია, გაახმო'ნა და შორვა'ნა ჩაყარო, -დვარული.
- საუბრობდა: **ჰამიდე ჩილინგირი**, 80 წლის.

მურღული, ისკები

- ადგილის სახელები ბევრია, სულ გურჯი: გაღმა ყანა, ქომო ყანა, ბაღდათი, ახალშენი, ჭერული, თიკალთა...
- გვარები: კენჭოშვილი, ყადიოლი, ფელევანოლი, ჭიროზი...
- ლაღაბი: ლეპრე, კაკუჭა, ჭანი (აფუჭებდა, ჩქარი იყო), გოდორა, კაკუტი დედემ, ჩინამეთი, ნიკორა, კინალი...
- საქმელები, ყველაფერს გააკეთებენ, რა ვიცი: ხინკილა - შავი ლობიო, ჭახე ვაშლი, ხორბალი, ჭადის ფქვილი, თხილი შუურევენ, მერე ძმარი... ძიფია, პარკი, ლახანა, დუდერი - კომბოსტოს ძირი არია, იმას გათლი, ნიორით და კაკალით შეანელებენ, ძროხის ერბოსაც შეურევენ...
- იმასაც თოკი მაკოჭებდა, სადამომდე არწებდა. დედამთილი არწებდა, ვენახში ისაქმონო:
- სახლის უკან საქათმე,/მე გოგვები შავქათმე...
- უწინ სიმინდი რჩევნაში ნადი იყო...

საუბრობდა: **ფაარუხ ფუტკარაძე**

ბაშქო

- ბაშქოდს მაჰალეებია: ფოროსეთი - მეგრელები, გოგლიეთი - ერმენები, ლომიკეთი, ჩხალეთი.



ჩხალეთის მაჰალეები: კახაბერი, ნაბელლავი, ბარდნალი, ნაფლატი, არტანი, დამპალყანა, იქითა ყანა, ჩიფთე ნალია, წყაროთავი, ღალიშკარი, ზედვაკე, ნაბუკვარე, ოპრმერეთი, წითელხევი, ჩხაკუნაყანა, თვალანგელო, დედე ყანა, ბანგა ძირი, ბიმბილი ძირი, ჯენემ დერე, ბარდნალი.

- ჩემი უწინდელი დედემ ცხენზე დამჯდარი მოვლოდა, ვინცხებმა კლავი მააჭრეს; კლავი დაახტა, გეიქცა და იმის მერე ჩოლოყაშვილი უთქმინა.

ომი ქი მოხდა, ზოგი იქ დამჩალა, ზოგი აქა.

ლომიკეთ წასლიხან ცხენი ზურგს ვეტყვით, იქიდან გამახტა, კლავი მოჭრა.

- მურღულს უწინ ჭინკათხევი ერქვა. მორგელ - შკერის ჩიჩეგია, იქიდან დაარქვეს მურღული...

საუბრობდა: **ჯემალ ჩოლოქიძლი** (ჩოლოყაშვილი).

* * *

- იი მედკნაჭა, ახლა არ აქ!

ძველებური სხვად არ ვიცი მე! სხვა არ ვიცი მე, აი ბაბადან დევწავლე.

- მააგორე, მააგორე, გაივ...

- მე ახლა ჭკვა დაპანტილი მაქ. ერთი ხელი მომძრა, ცოლი დავკარქე, მეც დევკარქე, ჭკვა გადარევილი მაქ, ტვინი დემენგრა...

ჩხალეთას რაცხა ვთქვა,

ყველამფერი ტყვილია,

ბაშქოის სოხახები,

ზამთარ-ზაფხულ სველიაო...

არ ვიცი, არა, მე გურჯიდან ვერ ვიგნავ.

- ჩვენ აჭარადან ჩამოსული არიან ჩვენი ძველები, ხუთი ძმა. აჭარადან მარადიდში მოსულან, მარადიდიდან ბორჩხას, იქიდან მურღულში. ჰაცხა ქი ლამაზი ძერი უნახვან, ფიშტოს დააქუხვებენ, აქ მოსულან, ქხხხუო... ასე უქნია. ად ჩვენი ადგილიაო, უთქმინა. იმის მემრე ასი წელი აქ არია. მაშინ მოსულან ხუთი ძმანი, ახლა ვართ ოცი ძმანი...

აქაური სოფელი თავ-სოფელი ყოფილა, ზემო სოფელი, ბაშქოდ გახადეს.

- ეს გული ყანაა, ასე ერთმანეფს უყურავს... აჯი გოლი - წარე წყალი... ხედავ, ტაროსმა მედშავებდა...

კაცსა რაცხა ქონებია, ადგა, წევდა, - დუურჩაო, თქვეს... დეერქვა დურჩა.

- გველი, იქა მარილი დათესეს, არ ამოსულა. აჯაბა რად ჭამსო, დუუცვიან. მკალი მოსულა, დააჟდა კაცსა, შუბლზე დააჟდა, ნიშეთი უქნია, აგერ მაზისო... ძმამა... ბახხხ, გოდა მკალიდა მოკლას, ძმად მუუკლია...

გველში მარილი დათესეს. გათოვდა, ოოო, ამოსულაო. წევდეთ, თორბა-
მორბა მოვტანოთ, წევლოთო. მათ მოსლამდე მზე ამოვდა, გააშრო თოვლი.
რაცხამ შეჭამაო. კალია დააჯდა ერთ ძმას შუბლზე, აგერააო, თითით აჩვენა
ძმას. მეორე ძმამ დააქუხა, კალიც მოკლა და ძმაც...

- ფალა ბუფულ სულიემან დედე, ბაშქოის აღა...

დაყენდი, ჩაი'და ვსვათ, მერე'და გიგიშვა...

საუბრობდნენ: **იმდადი ფალიაშვილი,**
სულიემან ეზალა,

* * *

- რესმიე ბაიდინ, გოგუობის – მენტემ. ნენეჲ იმსოდ უწინ მოკტა, ბაბოდც,
პატინაჲ ვიყავი მოკტა.

- დრამი ვიცი.

- ე ჩემი ტადაა.

- ალთმიშ დორთ. ზაფხულში აქ ვარა, ზამთარში ისტანბულ. ემექლი
ვარ. მე იზმითში მუდირი ვიყავი, ბელედიეში ვისაქმე.

- ტრაზონლია ქალი, მე თრაზონ ვიკითხე უნივერსიტეტ, მაჩუქვეს
ქალი.

- ახლა ნენეჲს მეზერიდან მოელით.

- აქავრობა ზათი უწინ თელი გურჯი ყოფილა, მემრე სავაშ, ხარბი-
მარბი, გუუყვიან, ჩვენი აქ დამჩალა, ჩვენი დიდი დედები იქიდან აქ
მოსულან. აქევრობა გურჯისტანი ყოფილა უწინ. ჩვენი ყაზა ვილაეთი ბათუმი
ყოფილა, გუუყვიან, ართვინი გამხდარა.

- აქ არ ზიან-ქი, ჩემი ღარჭები, დიდი აგნებს, სხვები ვერ აგნებენ.

- უწინ თელ გურჯიჯას ვილაპარიკებდით, მე მექთებში წეველ, მაშინ
დევწავლე თურქე.

- დაწერვა, კითხვა მინდა ვიცოდე.

- ამ სოფელში ალთი მაშინდა ვიყავ, იმის მემრე მურღულში, ბემ ეედი
სექიზ სენე, იმის მემრე წაველი აქედან კითხვაზე. თრაზონ ვიკითხე,
სტამბულ ვიკითხე, იზმითში დავჯექი.

მთების სახელები: - ქოქირდი, შუვალ, ჩამურლი, ინექლი, მადარა,
თიქმე, გულიყანა, ყუმარლი, ყაჯიგოლი.

- შუვალ – წაკინდლებულან გაღმითა და გამოღმა სოფელი, შეხვალ, ვერ
შეხვალ, მუუკლია კაცი, უთქმია: აა, მე შევედიო, სახელი იქიდან დამჩალა.

- ჩამურლი – მთა ტალახი ყოფილა, ტალახიანი ეერი; ინექლი ფურების
წასული მთაა; ქოქირჩი – ქუქური (გოგირდის) წყალი არი, იქა ხარები
წემყვანდენ; თიქმე – ზორ დიქია და იმაზე; მადარა – იქაც ის ემეები ყოფილან,
ბახირის მადენი, მუუთხრიან, მუუთხრიან, ამოდებულია, ღრუტუნები არი,



მალარა ქვია; ყუმარლი – ფჩკერი არი ბევრი იმაზე უთქმიან, ფჩკერი – ყუმარი; გულიყანა – გამოტრიალებული, ლამაზი დერი ყოფილა, ასე (ორი ხელით გული მოხაზა – ჩამწ.) უყურებდენ ერთმანეთ; ყაჯიგოლი – ამღრევი, წარე წყალი დგას, ძროხები არ სმენ; დურჩა – კაცს რაცხა ქონებია, იქ დარჩა, სადაა, იქ დამჩა, დუურქმეცია დურჩა, - ოო, ის დიმირჩა.

საუბრობდა: **რეფიკ ბალაზან**,
64 წლის.

დურჩა

დურჩაში ადგილებს აქვს სახელები: ვაკე ზეგანი, წუბი ვაკე, ჰაჯიკეთი, მოჭკენა, ათმეიდან, ბარდნალი, აბანო, სოჭები ძირი, კაპან ყანა, საქდომი, სამძიპირო, დამპალყანა, ლობიოყანა, დაბლაზეგანი, ნასხეთი, ბუღელეთი, თეხჩიეთი, ნაფლათი...

გვარები არ მახსენდება: ხაჯიოღლი, მემიშოღლი (ვარშანიძე), შეიხოღლი (კუტუნიაძე)...

საუბრობდა: **ხელილ აგვუზ** (ვარშანიძე)

ხატილა

შენიშვნა: ხატილაში ქართული არ იცინა, მხოლოდ ტოპონიმებია ქართული.

ხატილა, გოლახორა (დაილა), ხანძართა (დაილა), ნაქურალი//ნაქურავი, ნათანგევი, მუხნარა (//მუჰნარა), სოჭიდიბი, ჩიტიმზარა, ჩიხიეთი, ითლიეთი, ტიფანიზე//დეფანზე//თეფანზე, ქართლას მთა, ტრიალი, კერსენ თეფე, ჯინ ყადა, დუდუბე...

საუბრობდნენ: **იუნსალ ათინზაში**,
ოზჯან დემირი.

ქართლა

ადგილის სახელებია: ქომო სოფელი, გოროხ ყანა, ცხინვალი, გორგვილ წინდა, გუგუცური, ჯუანჯე, ვასაჯე, დოლაბიზე, ნანალიევი, ლეკთა, ბოსლოვანი//ბოსლევანი, ზეგანი, ვირის საყვერიეთი, ახოები, ცივწყარიეთი, კოტახი, ესიეთი, გოლახორა, კითონჯივარი, ნასელვარი.

- სახლი კარში ბოსტანი „ვენახ“ ვეტყვით.
- მე რა გითხრა ახლა შენ? დეთმიშ ბირ.

ე ალა ზენგინია,
მალ ჩადებსდა ქულეზში,
კარში თუ არ გამუა,
სახლი ჩავა ვენახში// ჩეჩმა ჩავა ვენახში.

ახალ წელწადი მოვა, ენი ილი, ათი, ერთმეტი, თორმეტი ილბაში
გახდება, იმ ღამეს გენჯები მედყრებიან, ფოსტები მედყრებენ ზრუგში,
წელეზზე ტანგოები მედმენ, გამედრიკვის, გეძარს. ფულ მიცემენ, ფქვილ
მემცრევენ, მალ მემცრევენ... აქედან თხილაზორირ გედევლოდით. ერ სახში
მივალთ, შუალამე გახდება... ასე მედფერხულეზენ შიან, იმ გოგოს
გამიეკიდებიან, ქეშიშები გარგან დაარტყამენ, გოგოს მეძპარებენ, არ
მიგიშვებენ... ისე მედცრევენ, იქ ცხვარ ედყვანებენ, თხას ეიყვანებენ, დაკლებენ.
ემეს იქმენ...

იმ ღამეს გათავდება, ყველა კარში მეძარებენ, მერე დეძბანებენ, ინსნები
გახდებიან

- მე ვიფერხულეზდი და... დუზი ხორომი, დელი ხორომი, ჩაჩაა...

მესა, მესა, მამალი ქოსა

მემიტანოს'და ტათლი...

მესა, მესა, მამალი ქოსა,

მემიტანოს'და წვიპინტური...

მერე სიძეე მოვა, იმას გამუთქმებენ, იმას ფარა არ ექნება, მუუტანეთო,
ღამეში დაბეჩდებაო, ლივერი მუუტანეთო...

გვარები: მემედლოლი, იმამოლი, ზენგინოლი, ჯომქუნი...

აბდულ ილდირიმი,

ერ ყილიჩი,

ჰაზირ იზჩელიქი.

* * *

- გულთენი ალთუნი, გოგუობის – ერქილიჩი. ამ სოფლის გოგო ვარ,
კაცი მაჭახელი, ართვინ ვზივარ.

- ალთმიშ უჩ მაშინდა, ისმაილ, რამდენია?

- ესეც ჩემი ძმა, ესეც ძმის ბიჭი არი.

- ისიც ამ ჯამის ხოჯაა, მისი ბაბოძც დიდი მუფთი იყო, ეს სახლი
მუფთისა იყო.

- მოზობელი უძახიან.

- ამ ძმამ მომიკტა, ეს იმისი ზალია, ბიჭის ქალი.

- ამესლამ ყინა არი, ამის დაძს.

- ძველი მაგი მოვა, უწინდელი.

- ისმაილ, ქუტუნოღლები ვართ.

- ამესლამ დუგუნი მაქვანა, ყინა'ნა გავაკეთოთ.
- ბევრი ართვინში მიდიან, ბევრი აქ არიან.
- კილდიძირი, გოგნარი, სამგლიეთი, საყავრიეთი, გუგუცური, ქომოსოფელი, ზომოსოფელი, ბოსლოვანი, ბარდნალი, ბლიძირი, სამალავი, დიდყანა, კატრიძირი, კატრისერი, ახოები, ლეკთა, დიდალაზანი, გოგოცური, საფუტკრიეთი, უკანმერე, ჭელითავი, დიდქუა.

გულთენი ალთუნი
63 წლის

სოფ. იბრიქლი – ებრიკა

- ე, დედეს ქალია, ბაბოს ემიაშვილის ქალია.
- გოქჩენ ბექროდლი, გოგუობის – ათამანი, ჩავუშოდლი – სულალეს და.
- ე ჩემი ემოს ქალია.
- ეს ემოს სახლია, ესე ემოს ქალია, ჩემი ბაბოს სახლი აგზე ქი ჩამოხვედით იქაა.
- დევსქელიდან ვართ.
- ქისი ვართ და, თხილები ვიცრიეთ, შენ მე გამომწიე.
- მე ზამთარში ბორჩხას ვარ, ზაფხულში აქ.
- ვასპიე ათამან, გოგუობის - ადემირი.
- ესეც ჩემი მული, ჰემ ამ სულალეს გოგოა, ჰემ ძალია – მელიე ათამან, დეთმიშ იქი, შვიდი და ორი.
- ამა რამ არ ეცოდინება.
- ცხენების ზედან შეაჯდუმლებდენ, მეყვანებდენ. ყინა დეადებდენ, დუგუნის ერთ დღეს წინ ყინა დეადებდენ.
- უწინ შეები ყოფილა.
- ბათუმიდან მოსულან ქილისაში.
- მე შორიდან მოსული ვარ, ბაგინიდან.
- ბათუმიდან შილები მყავან ჩვენ.
- არ დიმინახია, რა დერებია ბათუმი.
- აქ რამ არაა, ერთი თხილი, სიმინდი. წრევლ დეფწვა ისინი (კიტრი, პომიდორი – ჩამწ.).
- ერთ რამეს არ ვუმღერებდი.
- ახლა ბათუმიდან რომელ თერეფიდან ხართ?
- მაგინი ღრინოს სმენ, ჯო!
- ჰაიდე, ვასპიე-და!

- რა არ გინდა, რაა?!
- ჩემი ბიჭის მოვა, ზოინე იქავრობაში.
- ღარჭი, ო, ერთი წლისა და ერთი თვის, ცამეტი თვის.
- ნენეს დას - თეფზე, ხალა; ბაბოს და - ბიბია; დედამთილი, მამამთილი.
- დაბერდა ისიც, ბახუმი არ არის.
- ბათუმიდან გელინი მოვდა, ჩვენი სულალებია.
- ლაპარიკობდენ, დევწავლე.
- პატარა ღარჭი იცის, ისიც იცის.

**გოქჩენ ბექიროლლი,
ვასპიე ატამან'ი**

* * *

ადგილის სახელები: ახალშენი, ქედიძირები, ელიაწმინდა, ლაფაზანი ვენახები, გენჯალა კარი, დიდყანა, ვაკე...

- ხრისტიანებ გუუკეთებინ, ის ზოორ ლამაზი იყო, დაშლიპენ, გააგდენ ფოტოგრაფები. შიგან ფოტოგრაფები ქი დეგენახა, ჯამსავენ განათებული იყო. ამერიკადან მოვდენ, წიმიყვანენ, ჩვედთ იქა, ერთი კაცი, ერთი ქალი დარჩენ, დავტიეთ. რა ქნეს იქ, არ ვიცით..

ჯემალ ატამან'ი (ჩაუშოლლი)

* * *

მარმაწმინდა

მარმაწმინდა, სანათისი, ოხორჯინი, ვალაში, შუახევი...(ბოლო ოთხი მდინარის გაღმა - ჩამწ.). აქიდან წესულან, შუახევი დუურქმევიან. თურქჩა თლათ ალაჯა ქვია.

ებრიკის მაჰალეებია: მარმაწმინდა, პეტრული, ნიგეა, კასიმეთი...

თხინარა, ჭიჭო, დიდი ვენახი, ფულმიწა, მითანათი, კასრეთი...

- ჩემიც არის, მოძმესიც არის.

- ვინმე ცვავეს თუ იმას?

- ქილისაში იმფერი სურათები იყო ქი, გიგიკვირდება, ქალები, კაცები, აკვნები... ერთი მუფთი მყავდა, მოდიოდა, ქუდი მეხადა, თქვა, რესმები არ გამოჩთება, ილოცებაო. ის რესმა რომაა, ფეილამბერი ანესია, მერიემ ანასი.

- ამფერ ბაღნები გამხმარა ქი. დედემ ყვირილი დედწყო, აქ ჩამოფო. ნახა შარაბის დერგი.

- ეს სირთები ვენახები იყო.

- სიმინდ ავწევდით, პური დავთესევდით.
- კალო მაქვა, კეხი მაქვა...

ნევზეთ გოგდემირი

* * *

ახალდაბა (მვ. ირსა)

- ირსას მაჰალეებია: ახალდაბა (ყუმლიჯა), სინდაური, ბახტივრი, ვენახი...
- ეს გზა ენ წინ რუსებ გუუკეთებთან. ახლა დაყაფანდა ძველი გზა. ეს ქედელურია. ჩუენ ცუტალალა ვიცით იშტე, ყველამ არ იცის.
- ირსამ გურჯული არ იცის. კარგა ძველებმა იცოდენ, ჰამა მოკტენ. ჰამა ყანის სახელები გურჯულია.
- ირსას ქილისა არის, ჰამა დანგრევლია. მანქანა არ მივა.
- ჩემი მამაჩემი იყო სექსანდორთ დაშინდა. ახლა ათი დღეა მოკტა. იმან ბევრი იცოდა.

ჰასან ბაირახლი

* * *

- ააშე ბაირახლი, ოსთურქი – გოგუობის.
- კაცი მომიკტა, ბეშ ონ გუნ, ახალი მოკტა.
- აგზე ქომო სოფლიდან იყო, ჩემი ბაბოს სახლი წყალში დარჩა.
- სექსან დორთ დაშინდა. სექსანი – ორი ყირხ, ოთხმოცი, ოთხმოცი.
- ჩემი ძალია, ძალია.
- აქ ვართ, აქ.
- ჰადდე, მოე, დაჯექ-და!
- ჩემ შვილს ჩასაცმელ უქსოვ, უკლავო.
- თეელი გურჯია.
- ჩილოდლი ვარ, თოფჩოლლი არი.
- ონ სექიზ წლისა ვიყავი, ჩემი კაცი ონ აედი დაშინდა, ერთი წლით დიდი ვიყავი.
- მიმცეს, იშტე მე არც დიმინახია.
- ჩამოვდოდენ დედამთილი, დედამთილის ბაბოე, იმან მეტი ინდომა ჩემი თავი.
- მაქ გააგდე, იქ ყური მუუგდე.
- სული მიწუხს და ასე ეგლანჯას ვიჯები.
- მე რა ვიცი, თვალი ჩავარდნილიყო, გავაკეთე.

- რამდენი ილაჯები ვსვი ახლა!
- ტანსიონი ზათი მაქ, იმის ილაჯები.
- ისმი მახსოვს ახლა, რაგად გეეთხვეო?
- ჩვენ გურჯიჯას ვეტყვით, დოღრე რამე თქვიო.
- ორთა ყათი ჩემი იყო, ენ ზედა – ბიჭისა, ქვედაც ბიჭისა.
- ერთი, პატინად, მომიკტა, ორი ბიჭი მყავს.
- ყირიზი ყალფ, ყირიზი, ერთპირ მოკტა. ორი ღარჭი ყავდა - ერთი გოგო, ერთი ბიჭი. ადაბაზარ წევდა.
- ბადიშები ჩამოვდენ დედეს ავადობაში, წევდენ. ბაბოც მუუკტა-ქი, წევდა.
- ოო, ბევრი ხანია, ირმი სენე.
- სიმღერის დერდი არ მაქ მე!
- გონჯი ავადობა ქონდა.
- კლასკურ ბითუმ თხილი იქნება.
- ორთალულში დოზეჯი იყო ჩემი კაცი.
- ღმერთმა კერა მიგიძრას.
- ღმერთმა იმგვარ დერდი მოქცეს, ჩემი თავი დაგამიწყოს.
- ბევრი რაცხაები'ნა უთხრა.
- ღმერთმა ბაშხა დერდი არ მოქცეს.
- ვერ მილაპარიკნიაო.

საუბრობდა: ააშე ბადარახლი,
84 წლის.

კლარჯ მუჰაჯირთა მეტყველების ნიმუშები

ჰამიდიე (ბორჩხა)

- ჩვენებმა ბორჩხაში ჩამოსულან, ბორჩხადან აქ ჩამოსულან. ჩემი დედემ იქ ყოფილა, ბორჩხაში, მემრე იქიდან ჩამოსულან.
- ქართველი ზორ კად არ ვიცით...
- ჩვენ ყურიდან გაგნობილი მახსოვან, დედემდან, ნენემდან...
- გვარები? ბადარამიდე, ყადიოღლი, ომეროღლი, ჩერაბიდე (შარაბიდე?)...
- ხუთი ძმა ყოფილან (დედეები - ჩამწ.), ოთხი აქ ჩამოსულან, ერთი დაბრუნებულა, წესულა, თიფლიზში წესულა. ჩვენ არქივში წევედით ბათუმში, მოვკითხეთ, პოლიციელებმა დამასხრეკიენ, თქვენი დაწერილები თიფლისში მედკითხეთო. რატომ დამასხრეკიენ არ ვიცი. იქ გოვკითხე მე,

ჩვენი ნათესავები ჰად არიან-მეთქი; ერთი ბერი იყო, თერძი, თქვენები ბათუმში მედვიტხეთო.

ერთი ქალი იყო, იმან მითხრა:

- შენ რომლებიდან ხარო? მეც ომეროლლი ვარო!

ღამეში ორი მანქანა ჩამოვდენ ჩემთან, ოტელში, ჩემი ემიადშვილები: ზეკერიად იყო, ჯემალი იყო, ექსი ჩამოვდენ, ექსი. ედა, სოფელში წიგყვანოთო...

- ამდენი დრო არ მაქვა-მეთქი, წამოვედი.

- აქ ჩემი დედეს წისქვილი ქონდა. აქ სოფელში რა'ნა ქნას, სიმინდი, პური, ვაშლი, სხალი... ისინი ყიდებდენ გოლჯუხში...

ტყეში მივდოდით, ზამთრისთინ შიშა მომქონდენ... ქვედთკენ მიმყავდენ ვირით, ცხენით... ყიდავდენ. მაშინ მეყოფოდენ, რაცხა გჭირიან: ძალი, მარილი... იყიდდენ.

ყველ კვირე ხუთშაბათში ერთი ძროხა დედაკლება სოფელში, ხორცი სოფლის ძროხადან იყიდება, თხუთმეტი ლირა. უწინ ძვირი არ იყო...

სამოცი სახლი ვართ აქ გურჯი. უწინ ქართველი ქართველთან გეთხვებოდა, ქართველს ითხოვდა, ახლა გვევრეთ. მე ლაზებიდან დავქორწილდი...

- ბიჭის დედად და მამად წევდოდენ გოგოს სახში. რომ გოგო მოწონდებენ, შეხედებენ ლამაზია თუ ჭკვიანი, აფერთხული (ჭკუადანგრულია - დააზუსტა მოუბარმა ჩამწ.)... იმის უკან მეღლაპარიკებდენ, დიდი კაცები, ქალები მეღლაპარიკებდენ, წეიდებდენ ნიშანი. რომ ნიშანი წეიდებდენ, ყველამა ფისთოლებით ისროდენ, ყველა სოფელმა გააგნებდა, ად გოგო იქ დანიშნესო. იმის უკან მეღლაპარიკებდენ, როდს ქორწილი'და იქნას'დაო...

ძროხები დედაკლებოდა, საჭმელები გააკეთებდენ... ორი კვირის უკან წევდოდენ სიმავრის სახში. მარტოდ არ წევდოდენ, ნაცნობილები, ძმები, დები... ერთი დიდი მანქანა სიმამრის სახში ჩევდოდენ...

რომ არ მიცემდენ, რა იზამდენ?

გააქცევდა. ჩემი ემიას შვილმა ერთი გოგო გააქცია ჭანებიდან. მეტი სირცხვილი იყო გაქცევა. რომ გაიგო, აართვამ, მაშინ ჩხუბი იქნებოდა...

იმის უკან ბერები მედყრებოდენ, ილაპარიკებდენ: ად რომ ასე იქნა, ეს საქმევო გავათავათო, მტრობა არ იყოსმეო.

- ჩემი დედეს და ერთი ბიჭი შეყვარილი ყოფილა და ართვინში აქიდან გაქცევლა. დაბერებულა და დედესთვინ ბიჭები გამუუგზანია. ედა ჩემი დედეს უთქმია: იმანვო ფეხი ბუკზე დამადგაო და არ მუუშვია და... იმდენი სირცხვილი იყო გაქცევა.

- ხეს სახლია.

- ბოსტანში ჩემი დინენემა დათესავდა: ფხალი, ლობიო, ბიბილი დათესავდა, კიტრი, დომატესი, ქინძი, პრასა, მაკიდონი... მე მაბიწყებდა, შენ მაგონავ...

- გაღმა ყანა, ღელე ყანა - ღელეს ძირშია, ზომო ყანა უთქმინან...

- იქ ნაკითხული კაცებიც იყენა...

- გურჯულად წერვა არ იყო, მარტო ლაპარაკვა იყო. დიდებმა ლამაზი ლაპარაკობდენ.

ჩვენი სოფელის ჰისტორიას რომ წერავს, ის აქ არ არის, გერმანიას წესულა. დაწერილი დამალილი აქვა.

- ყანაში'და გიდივიარო მე...

- ბერი ხარის ქამან მოხნისო.

- მოზვერმა რა იქნავს?

- გლახა მოზვერმა რამ არ იქნავსო.

- ნენეგო, ყოველ დღე ფხალ აკეთავ, დამაბით ვენახში, იქა ვკამოვო, ვიძოვოვო ძროხადსთან.

- ერთი კილო თუთუნი ერთი თვარე (თვე - ჩამწ.) მეყოფა.

- საღამ ჭამა იქნება, იმის უკან გასკდება.

- ახლა ცუტაა (თოვლი - ჩამწ.), წინ ბოვრი იქნებოდა. წინ ღარჭობაში ასე გახდებოდა...

- მე ვთქვამ...

- ჩემი ნენემა აქ მოვედიო, გელინი აქ გავხდიო, არ დაანგრიო ად სახლიო, მე არ ვიქნები, მერე დაანგრიეო. მეც არ ვანგრევ...

- ქალიც აქავრულია, გურჯია.

- სოფელში სულ თამაშლი ვიყავ. ღარჭობაში დელიყანლების უფროსი ვიყავ. ერთმა მითხრა, ამ გოგოს ვუყურავო. თვალი დუუჭუჭე დუგუნზე, მანაც - დიმიჭუჭა. შემცხვა. მის ნენეს, მის ბაბოს მოვთხვე, არ მომცა. მერე ჰოლანდას წვევლ. ბაბამ სხვად ქალი ნახა. ად ქალი მოვდა, დაჯდა, ამის ქალი'და გავხდეო.

ჰოლანდადდან მოველ, ქორწილი ვქენ... ვართ ასე.

- ჩემ სახლში თელი სოფელი მოვდეს, უუ'ო არ იტყვის. ამიზა ზორ მიყვარს.

ერთ ბაღში ვიყავი ვარდის კუკული,

წოლაში, წოლაში დიმიდგა გული...

- ჩემი თავი ამ სოფლიერს ბოვრი უყვარს.

- ხუთი თანე მანქანა დაფვარჩე (აქ: დავამტვრიე - ჩამწ.).

- ღორმა კლიან, დათვმა - არა.

- ამა ისე ბოვრი არ დიელაპარიკოთ, ამ წაკრულია.
- ამ ჩვენი არაა, ამ ჭანია.
- ასე მუუჯმია ძროხას, გავლილა არაბა, ნახვარი ლაზი, ნახვარი - გურჯი.
- აქ საქმობდა ალიკომა.
- მინდა კი თელმა იცოდონ, ბადიშმაც იცოდეს.
- ღორებმა სიმინდი-მიმინდი გაათავებდა...
- მენა გიდიგარო, ბიჭო!
- იცის, იცის, ტყვილი ლაპარიკოფს...
- ასე ვატოლავ, ამ პატარადა, ამ- დიდია.
- აქა კამ ინსნებს ქართველი ქალი მიცემენ, გონჯ ინსნებს ქართველი ქალი არ მიცემენ.
- არ იკითხა, არ იკითხა ინსნები, ჭკუა ცუტა აქვა.
- ვჭამეთ, ვსვითა, ვიფერხულეთ, ვიმღერეთ...
- ჩამოდ, გამედღე...
- პური ღმეჭავს.

საუბრობდნენ: ალი ომეროლი (დონმეზი),
ნეჯათ დეგერი.

* * *

- ბორჩხიდან მოსულან, იქ არ წევსულვარ, ვერ დევნახე.
- თქვენ გურჯი ხართ?
- შერიფედ თიმურ, გურჯოლი, ესკიდან დედედ გურჯოლი, ჩვენ ბორჩხადან მოსული ვართ.
- იმდონი არ ვიცი.
- დორთ უნჯი ყუჯალი ვართ ჩვენ.
- ტრაზონში არიან ლაზები, ლაპარიკვა არ იციანო, ჩვენ ვიცით.
- დაბეჩებიდან და, დავბეჩდით (იმიტომ გავიქვითო - ჩამწ.).
- ტრაზონში რუმები ბოვრი იყო, იმა ჩვენი თავი არ უყვარს, ჩვენც არ
გვიყვარს.

- აქ ზორ ყურძენი იჯებნება, აქ ჭამებენ.
- ჩამუში ყურძენი უძახიან ამას.

* * *

ნიმეთიე (ცოცხოზა)

- ჩემი ბადიშების უყურავს, დორთ თანე ბადან გელდი.
- ჭამეთ და მას უკან წეათ.
- (მეზობელი გარმონით) იცით თუ სამვა?
- წროულს მეტი კურაღია, არ არი რომ ძალიში,/ შენი კლავი'ნა გახდეს ჩემი წელის ყაიში.
- მომაგონდეს, აირი'და მომაგონდეს.
- სამვიხან ერთერთმანეთს სიმღერა ეტყოდენ.
- მერიემი (მერიემი) გენჩერ, უზუნომეროლი. ელლი ძედი ძაშინდა.
დედეები ართვინიდან მოვდენ.

- სამი ღარჭი მყავს: ორი გოგო, ერთი ბიჭი. ბეშ თანე ბადიში მყავს.
- ჩეთინე გურჯიჯე ვლაპარიკებთ აგზე, ღარჭებს გურჯიჯე ველაპარიკები, დედაწავლონ.
- ვერ ლაპარიკობენ, აგნებენ.
- ორი ასე განში ზის, ორი გოგო შილი არიან, ბიჭიც გოლჯიკში ზის.
- ისი ჩემი დაა, ჩვენ ონ თანე ვართ, დედი თანე გოგო, სამი ბიჭი.
- ანნი სარი მყავს, ბაბო მომიკტა იშტე. თელლი აქ ვზივართ, აქ ვართ, თელლი სარი ვართ.
- უზალი - შორაა (აუხსნა უზალი რას ნიშნავდა – ჩამწ.).
- ე ჩემი ძალია, ძმას, აბეს ქალია, ლაზი, ტრაზონელი ლაზია.
- ლაპარიკვა არ აქვან.
- ძალი დედამთილს ეტყვის კანათა, კანანა.
- ერთი მემეხმარეთ, გოგო, ამან დაჰა კად იცის.

საუბრობდა: მერიემ გენჩერი,
57 წლის.

ესკი ფერადიე

- ემინე იავუზი, გოგუობის – შენოლ, კაცისა – ფელეგანოლი, მურღულიდან. ჩემი ნენე არჰავიდან მოსულა, მოხტი ლაზია. ბაბო გურჯია იშტე ართვინიდან, ბაბამ ესკი შეე იმამოლლი.
- მე-თუ? ალთმიშ ბირ.
- ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექსი, შვიდი, ვრა, ცხრა, ათი, ათი და ორი. . .
- ჩქარათ გედრბინე, ჩქარათ გამედრბინე.
- დო, მაწონი, ერბო, ნალია.
- კაცის ბაბომა მითხრა: ნალიადან კორკოტანი მედტანეო, ჰამა, არ ვიცი, მე ქუნჩალი ვიცი, ჩვენებმა ქუნჩალი იციან.
- ფური – ძროხას ეტყოდენ, ჩვენ ძროხა ვეტყვით.
- დეკველი ეტყვიან პაწინას, ჩვენ ერინჯი ვეტყვით, პუჭინად.
- აქა ახალი დასმული პუჭინას რას ეტყვიან, გო?
- რა ვიცი, დიდნენემა რაცხას ეტყოდა-და.
- აა, არ მომგონდა, ვალახ!
- შილები ვართ, კაცები ემიაშვილები არიან, ემიჯას ბიჭის ქალია იშტე, ამას ფატმა ქვია, ამის გოგუობის გვარი – ბაშ, ძველი – ფაშოლლი, ეს დოშამე არი, იქიდან, ეს მურღულელია, ჩინჩავატია ეს, არ ვიცი, ჩვენი გურჯები იტყვიან.
- მე დამნიშნეს დანი, ჩინჩავატებს მივეციტო.

- კურანი ვიკითხოთ, მოველით, მოველი იშტე, შვადლე ვილოცე, ასე ვლაპარაკობთ ისე.

- მუხლი მტკივა, ზორ მტკივა, არ დევძინე წუხელ.

- ჰერისა, პურით იჯებნება, პურის მარცვალით.

- ჰამა ჰიჩ ვინმე არ ვიცნობ იქ.

- ბაბომს წინანდელი სოდადი ადაბაში ყოფილა. ოდაბაშია თუ ადაბაში არ ვიცი.

საუბრობდა: **ემინე იავუზი**, 61 წლის.

* * *

- მოხმარდება, ზოორ კად წყალია.

ჩვენი დიდი დედემ... სერბესი ყოფილა, გამოქცეველა, მოსულა. ჩემ ღარჭებმა ჰიჩ ვერ ილაპარაკებენ გურჯულ.

- ჩემი ბაბა ანემ ბათუმიდამ იყო. ვერ გავაგენი.

- კორკოტანი - სიმინდის შიანად გული.

- გაგონილი არ მაქვა ჩვენა. ვერ მედგონავ.

- ხარი, ფური, ზოხა(?)... ხარტალი ვეტყოდით იმა. თელი, ხელი, თავი, ცხვირი...

(სოფელში ძალიან ცუდად ლაპარაკობენ ქართულად - ჩამწ.).

საუბრობდა: **ალი დავუზი** (ფელეევანოლი).

* * *

ნუსრეთიე (ძვ. თათარქოდ)

- აქ თათრები ყოფილან, თათრები გუუდევნიან... დედემ ჩანახკალეს დარჩენილა. ბალაბანი, გურჯიქოდ და ნუსრეთიე ქართულია. აქა ქომო მურღულური არხატაშ ვარ!

- არა, არ მახსოვს. ლაღაბი არის ზეიროლი. ჯემილ სარაჯი ჩემი არი ხალაღვილი, თიფლისიდან დაქორწილდა, მანქანა იყიდა თიფლისიდან, ექსი თვე იქაა, ექსი თვე აქაა. ჩემი პატინა ბიჭი დავაქორწილე, ქორწილი მქონდა, იქა იმდერენ...

- იყლენ, იყნენ, ძველებმა არ იციან, არა. დაპანტილან გურჯები... ჩემ ღარჭმა გურჯული ვერ ლაპარაკობს, მიხტება. ეს მოშლილი გურჯებიდან არი, მუუშლიან.

- იქ თაფლი ხელობენ ამა...

- მოშიშარე არიან ესენი...

- იქიდამ, ტყიდან მოვდენ, აქაც ტყეში დაჟდენ... ძველური ინსნები არ არიან, ძველური.

- ჯემალავ, ჰა მიხვალა-ჰა?
- შენ მოშლილხარ, კად გუჯი არ ხარ. ამ არაბამა არ წავა იქა.
- აქ ჩვენ უქუმეთსა ჩვენ ვუყურავთ, იგი არ გვიყურავს.
- ტყეში როის'ნა წევდეთ?
- მოკტა ის დღიები. ახლა იხტიაჯი არ აქ, რა'ნდა წევდეს.

საუბრობდნენ: **ნეჯათ ილდიზი,**
ალი ილდიზი.

* * *

- სეზად მემიშ – ზაბითოღლუ, ბათუმიდან ამოსული, ჩვენ დირეგ ბათუმიდან. ბათუმიდან ართვინში გამოსულან, იქიდან გოლჯუკში, გოლჯუკიდან აქ - ნუსრეთიე, თათარ-ნუსრეთიე. თათრები ყოფილან აქა, ახლა არ არიან, გეძევენ თეელი, ჩვენ ფაზა ბევრი მოველით, ბევრი გავხდით ავართვით ხელიდან მიწაები.

- ელლი დოქუზ წლის, ვერ ვიტყვი [ქართულად].
- არ ვიცით-კი.

- თეელი გურჯი, დედეა გურჯი, დიდი ნენეაგ გურჯი, ჩემი ქალიც გურჯი, აქავრი – ზაჰირე ოზმენ.

- ძალჩინ, ესენიც ბათუმიდან.

- ორი შვილი, ღარჭი ვეტყვით, ჩვენ ღარჭი, თქვენ – ბაყვი, აჯარები ეტყვიან.

- ერთი გოგო, ერთი ბიჭი, ოთუზ და ირმი სექიზ.

- სახლში არიან, ძინვან, საქმობენ, ორნივე მუენდისი.

- არ დაქორწინდენ, არ გეეთხუნენ, რა ვქნა.

- კითხულობდა, გაათავენ, საქმიები დეფყენ, ახლა დავაქორწინო'ნა, ძა.

- ემექლი ვარ, ელექტრიქი, ინშათ ელექტრიქი.

- ყანაში სხალი არი, ვაშლი არი, ბალი არი, კაკალი არი, ყურძენი არი, თხილი არი, ბია არი, მუშმულა არი, ბრეწევილი არი (იცი თუ ბრეწევილი?), ხურმა არი, წაბლი არი, ერთი-ერთი თეელი მაქვან.

- სიმინდი, აბა, აბა სიმინდი არი, ისინი. . . პური არი, ჰამა ცოტა, არ ვაკეთებ.

- ის თამ ჩვენებურია, თეთრი თავიანი ქალი, გავს.

- შენ თმები ბოძამ თუ?

- ჩვენი სოფელი კადა თუ?

- ეს აფერთხილია, ჰამა იყოს, აფერთხილი – ჭკვა გაქცევილი, ცოტა აქ.

- კად კაცია და იმისთინ, ისე შაქა ვიჯებით.

- ბოძენე წავალ, დღეში ხუთი პირი.

- მე ავადევლი [ვარ].
- ქრისტიანიც არი, მუსლიმანიც.

საუბრობდა: **სეზაი მემიშ – ზაბითოღლე**

* * *

- ექრემ ილმაზ–მემიოღლი, ბათუმიდან, დედედ - ბათუმიდან, ნენედ - მარადიდიდან, ქომარადიდი. ართვინში ჩამოსულან, მასკან ამკენ მოსულან, საფანჩას, იქიდან აქ – თათარნუსრეთიე.

- თუთუნიც იყო, ჰამა გაწყდა, აწია ჰუქუმეთმა, ერთი ავადევლობა მოვდა.

- აბა, აბა თუთუნსა ზაფხულ-ზამთარ მუშაობა უნდა.

- ცოტა ვაგნებ, ვერ ვლაპარიკობო (იქვე მყოფ თანასოფლელებე ამბობს – ჩამწ.).

- ნენედ სოდადი შერიფოღლებიდან არიან, შენ, თაბი, გოგუობის, ხანუმი.

- ბაბანე მისიროღლია, ჰერალდა მარადიდი.

- მაშინ ბათუმი, სავაშიდან გამეძქცენ, ო, სავაშეები იყო, დედედ იქ იყო.

- დარჩა, დავკარქეთ, დევკარქეთ, იქიდან მოვდენ იშტე, რატონ არ ვიცი.

- სახლში ჩვენ წინ ვლაპარიკობდით, ახლა დარჭებმა არ ლაპარიკობენ.

- ერთათ მეყვრებით, გურჯულათ ვლაპარიკობთ.

- რა არ ვიცი მე აჯაბა.

- თეელი იცის. ერთი შარი ქი თქვი.

- არ გამაწუხო!

- ჯუმაა დდეს, მე მიალ ჯამეში.

საუბრობდა: **ექრემ ილმაზ'ი – მემიოღლი**

* * *

- მუზაფერი ვაროლ–რეჯებოღლი, მარადიდიდან, დუზ სენა წინ დედე ამოვდა.

- ალთმიშ ბემ წლის.

- ე სოფელი ბევრი ბორჩხაიდან არიან.

- ნენედ რიზე, თურქი, გურჯი აქ ვისწავლე.

- საქინჯალი – რას ეტყვიან, რომე იქ ზორი გახდა.

- იმ კაცის ახრაბაა, არ იძახს მისი თავი.

- ტყვილია, ტყვილია, ერთი ზორ ნახა და ორი'ნა ნახოს?

საუბრობდა: **მუზაფერი ვაროლ'ი – რეჯებოღლი,**

65 წლის

* * *

შირინსულიე

- ჩვენები გამოჰანტენ იქიდან.

ჩემი დედეს ბაბოდ ჩამოვდა. ბაბოს ბაბოდ მაჰმუდ სუბაში, ჩემი ბაბოდ - ისმაილი. მე ენ პაწად, პატილად მე ვარ.

ჩემი ბაბომა მისი ბაბოდ არ ცნობილოფს, სავაში ყოფილა, ყურშუმი უსრიან.

- თხილი დარგილი მაქ, ლობიო დავარგავთ, სიმინდი ვიქავთ... დაარგავ, იმის უკან ყველამფერი იქნება.

- სხალი, ვაშლი, ბალი, ქლიავი, თუთა, მუშმულა, ხურმა, კაკალი, ყურძენი... ყველამფერი იქნება, ვენახში დარგავ, გეფუდება.

ადგილები? გაღმა ყანა, ბათალი...

- სიმინდის ტეხვაზე იმღერავდენ:

დამბიწყდენ ნეჯათავ'და...

- მაკარინა, ჩირბული, ლობიო, ფხალი, ლობიანი ფხალი, ბურღულის ფილავი... ის ვიქავთ მესელა. ნენემა ესკიდენ ჩაქით დაჭრიდა მაკარინას.

- კინცხვეთიდან ვარ, ახმედ კაკაბაძე. მე ოსმანლის ბადიში ვარვო. ახლა თურქი ვარ მე. სოციალისტი ვარ მე. განიავდი აქიდან. შენ მოლლა ხარ, მე ღვინო'ნა დავლიო, სამოთხეში ვინ მივა, ვნახო'ნა. კუდიანი ცოლი ვითხოვე, დამბიწყდა...ეს თუ მოკტა, დავწვა'ნა...

- ღრინო დალია. ღრინო'და დალიო თუ? არ'ნა დალიო, ქართველი ვერ გახთები.

- ღმერთიდან მეშინია!

ჯობია, ჩემიდან გეშინოდეს!

საუბრობდა: ახმედ კაკაბაძე

* * *

ჰუსამეთილ ბექილ-სერთოლლი, ბათუმიდან, აჯარადან დედედ მოსულა. ბორჩხაში მოსულა, ბორჩხადან – აქა. სავაშის ზამანზე მოსულან ბინ სექიზ ალთმიშ უჩ.

- რუსიან სავაში, ოსმანლის სავაში.

- მე რა ვიცე-ქი, მუსლიმანები აქ მოსულან, ჩემი ემიაები იქ დარჩენილან.

- ჰამა წასლა-მოსლა არაა, დედეკარქა.

- ბაბა – ჰუსეინ, ნენე – ჰურიე აჯარა – სოფლის სოდადი ქონდა.

- მაშინ სოდადი არ იყო აქა, ჰამა არ იყო-ქი.

- ქალი გურჯია, ადნი ძერიდან ვართ, აქ ვზივართ და ადრი ძერიდან მოსული ვართ.

- დედე – ოსმანი.

- ქალი – თაბანოღღუ, ორი თანე ბიჭი მყავს, ერთი დიდი – ოთუზ მაშინდა, პაწა – ორმი სეკიზ მაშინდა, ორი მაში პაწა დიდზე.

- აგნებენ ჰამა, ლაპარიკვა არ იციან.

- დიდი დაქორწინებულია, პაწა ბექარია.

- გურჯიჯე რამ არ ვიცი, გურჯიჯე სიმღერა არ ვიცი, ჩვენ მოვტრიალდით აქ, თურქეთში, დამაბიწყდენ, თქვენსავით ლაპარიკვა არ ვიცით, დიდვანებმა გურჯი იციან, ჰამა პაწვანებმა არ იციან.

- ქალი ნახვარი ლაზია, ნახვარი გურჯია, ჰამა აგნებს, ლაპარიკვა არაა.

- მე ზირაათ ბანკასიდან ემექლი ვარ, ოთუზ სენე ვისაქმე, ელლი ალთი მაშინდა ვარ.

- ერთი, ორი, რუა, ათი, ათ და ხუთი.

- აქ ვზივარ.

- სოფელში ბაღჩი მაქვა, ჯევიზი და ბალი, ინსაათ სხვა არაა. ისე არი, ჰამა ფაზლა არაა, საჭამალი არიან, თეელი არიან. ჯევიზი და ბალი ბევრია, საჭამალი თეელი არი: მეფვა, ტყემალი, ატამი, კაკალი, ლელვი, სხალი, ვაშლი.

- სიმინდი არი, ლობიო არი, ხაპი არი; ინსნები ვთესავთ, კიტრი, პათათესი არი, ტომათისი არი, ბიბერი, თეელი არი.

- საჭმელი: ფხალი, ლობიო.

- ფხალი ის ემე, თურქეთზე ლახანა ემახდენ.

- ტოლმა ვაკეთავთ, ვრეკავთ, ჩეშითი საჭმელი იჯებნებთან.

- ლაფერაით ის ემე იჯებთან, სიმინდი ურევენ, ლობიო ურევენ.

- ქალის ნენე – კაძანანა, თურქე კაძანანა, გურჯულა რაცხას უმახვენ, ჰამა არ მახსოვს.

- აა, სიდედრი, იცოცხლე!

- ქალის ბაბა – სიმამრი, თურქე - კაძანათა,

- ჩვენი ნახვარი გურჯია, ნახვარი – თურქეა.

- ბათუმში წევედ, შევშალე.

- ადგა გურჯი სამობა.

- ფოშა გავხდი.

საუბრობდა: ჰუსამეთინ ბეკილ – სერთოდლი,

56 წლის.

ჩუბუქლუბალა

თქვენ ჰაიდან ხართ ახლა?



ჩვენც იქიდან მოსული ვართა. სამოზდათხუმეტი სახლია. მარადიდიდან მოსულან. თელი იქიდან ვართ. მუსტაფა დემინჯი ჩამოვდა.

იქა ვლიდენ და... სერბესი გააშვენ, რუსიამა... ჩვენი დედები მუსლიმანი არიან, იქ ვერ დადგენ, აქ მოვდენ. ერთი ბიბოჲ დიმირჩენ იქა. გათხოვილი იყო იქა...

ერთი მოვდა აქა.

აქ კორი (ულრანი ტყე) იყო მაშინ, ჰიჩ ვინმე არ იყო. დედებმა აქა თოხითა, ნაჯალითა, ცულითა გახსნენ ყანები, მოთხარენ სიმინდი, პური ფულაფი ჭამენ... თხები, ძროხები, ცხუარი გააშენეს.

სიმინდი არის, კარფუზი, დომატესი, ბიბერი, ვაშლი, სხალი, ტყემალი, ჟოლა, ბალი, ლეღვი, ატამიც არის... ყურძენიც მაქვან, ორმოცი შიან კაკლები მაქ. თურქებთან თხოვნა-გათხოვნა არ მქონდენ, ახლა დევეწყეთ...

- წაკლებული ხელებზე გოგვებმა იმდერებდენ „ჯილველო ნანაადა:"

- მოზობელო, ჰა მიხვალ?

- წყალზე მივალ!

- კენჭობილა ვიცითა.

- ძროხები გყავდენ?

- მყავდენ!

- ბულა?

- ბულაც მყავდა!

- შიგილოცავ თვალისა,

ენწინ ჩემი თავისა...

მაბიწყდებიან და! სხვა მახსოვან ქი:

შინაურისა...

მოვდოდა შავი წყალი,

იმას მოქონდა შავი გველი,

ჩავყავ შავი ყავარჯენი,

ამევლევი, ვკიდევო...

ეს ბერი ქალებმა იტყოდენ.

- დუგუნზე ვიმდერავდით; სიმინდები გამარგლიხან „ჰეამო, ჰეამო" ვიმდერავდით და თოხებით ვთხრიდით სიმინდსა.

- ღმერთო, წვიმა მოგვეცი,

ყურალები არ წევდეს...

იტყოდა ხოჯა.

- ამინ! - ვიტყოდით ჩვენ.

მთვარე რომ დაბნელდებოდა, თოფებით ვაყრიდით, გუუშვიო თვარე, ვინცხამ დეჲჭირა იმან.

[თხილი] ანჯახ საჭმელი იქნება წელს.

ცხენო, ამკე დადგომილიყავ, იმკე დადგომილიყავ, იმ ღელეში არ ჩავარდნილიყავ!

ასე ჩავარდა და უტირა იმ ცხენსა. ფუკარა იყო და ერთი ცხენი ყავდა, მოკიდული ქონდა სიმინდი, დეეზარალა... მოკიდული იყო, იმან წინიდან ეკიდებოდა, ცხენმა ჩავარდა...

საუბრობდნენ: **სულეიმან კარაასლანი,**
ხასან მალჩი (ნუნოლლი)

* * *

- იმსოიები არ მახსოვს, გოგუობისა ბაბაძს სოფადი, იქავრი – სეიმენ. ჩემი ბაბაძ რიზედან, თრაბზონიდან, ნენედ აქიდანაა, ბაბაძ თრაბზონიდან, ბაბა ანე – ოღრავლეელი (ოღლაველეელი - ჩამწ.) – იქიდან მოსული.

- ოთხი – სამი ბიჭია, ერთი გოგოა. ოფ – სოფადი ოფ აქვან.

საუბრობდა: **აიშე ოშჯან'ი.**

* * *

ქოშკი

ქოშკი, ხენდეკის რაიონი (საქარია)

იქნა ჩევდე'ნა, რაცხა'ნა ჩავარტყა'ნა თავში....

მე თუ არ ვილაპარიკე ენა გემისივდება... აქიდან გევარავთ.

- ომანა, ურზუმა, თხილაზორი - მაჰალეებია. აქ ქამელეთი არი, ორჯი არი, ქართლა არი...

- მემრე ნავხეთ ჩვენ ერთმანეთი...

- დედები წამოსულან ართვინიდან. თორმეტი წლის ქართული ვიცოდი, თურქული იმდენი არ ვიცოდი, ცხვირი მომატეხა მასწავლებელმა... აქ ბევრი სოფლები არი.

- იმას შეხედე, მე შემომხედე, ჭო!

ზორ მაგარი დედე ყავდა ამას. დედეს სოფელში ბევრი ცხვარი ყავდა, ზროხაც ყავდა... სტუმრების სახლი ქონდა...

ოთხი თანე ომში მომკტარან, ევეთ, სამი თანე ჩანაქვალეში მომკტარან.

ართვინიდან გამოსულან, ღარჭები-ღურჭები ხელში, ეზიეთ-მეზიეთით ჩამოსულან. ჩემ დიდნენეს მოხვეწილი სუფრა ჩამუტანია, ერთიც გუგუმი...

- დედემა მეტყოდა ქი, ჩვენ სახლის წინ წაბლი, უკან - თუთა იყო, მე იგი ვნახე. ჩვენ მაშინ მუსლიმანი არ ვიყავით, ხრისტიანი ვიყავით. ახლა მუსლიმანი გავხდით, ახლა კი გაგვაგდებონ, გვიან გაგვაგდებთ.

- ბაბომაც ვერ იკითხა, მეც ვერ ვიკითხე, ჯაილი დავრჩით ორივე, არ გვაკითხეს ჩვენ თურქა.

- აქ ვინმე არ იყენ. არ იყენ, არც მივცემდით, არ ავართმევდით. ენ სიფთე აქ მოსული რძალი აბაზებიდან იქნებოდა.

ყველამა ერთმანებს ეხმარებოდა. დიდვანები ჭკვიანი იყვენ, თაბი, ფახილი იყვენ, ჰამა ჭკვიანი იყენ. ახორი კარები გუჟლიან, ისე წამოსულან იქიდან. ღარჭი-ღურჭად დეახუჭეს, ისე წამოსულან.

უთქმიან ქი, აქ იყავით, არ დამდგარან. რატომ წამოსულან, არ ვიცით.

- ქალს ფატმა ქვია. დანახული ვიყავით, ჩვენ ერთხელა გეგზდით ზათინ. ჩემი ნენეს ტამას გოგო იყო... დიდვანებმა ქნეს, მე ხებერი არ მქონდენ. მე ასკერში წვეელ, მოველ, დუუქორწილებიან ჩემი თავი.

ჩემი დედე ხოჯა იყო, რამ ვერ ვთქვი მასთან...

- ქვეშიდან დევწყბდით. ენწინ ქვას დავაწყობდით, მემრე ხეებს გუჟდებდით, თემელ-ქირიშებს. დირეგებ ავაყუდებდით, მალლიდან ხეს გუჟდებდით (წაბლი, კო), ცულით გავთლიდით... პატინას ნაჯალ ვეტყოდით, დიდს - ცულ'.

ბეღელი მეც მაქვა, დაგანახვებ!

ხვიდან მომქონდა, გამაარჩევდენ კამ ქვებს.

[სახლის] გაკეთებისან ვაკეთებდით ფენჯრებს. ფენჯრები ზემოთ ედღებოდა.

ხუთი-ექსი ოდა ეყოფოდა ერთ სახლს. სამი-ოთხი ძალი იქნებოდა ერ სახში. ოჯალი ორ ოდაში იქნებოდა, ორ ყათში ოთხი ოჯალი. ერთ თერეფზე დასაბანავი ძერი გააკეთებდენ...

მემრე-მემრე დასახლკარდებოდენ, გაყოფდენ, დიდვანების ხელში იქნებოდა მაინც.

[ახორი] ენწინ სახლების ქვეშ იქნებოდა. თივას სახლებში ინახავდენ. საბძელი ბზის ძერია.

ხარები მეყოლებოდენ, ორი-სამი ფური იქნებოდენ, ერთი-ორი ფუჩინამ იქნებოდა...

ქათამს ვაშენებდი, კრუხსაც ვეტყოდით. ჩვენ არ მყავდენ და იქნებოდენ.

განაყოფის ქათამი ჩვენ კარში არ მოვდოდა, მამალი არ მუუშვებდა. მამალმა ებატონებოდა თელ მის ქათმებს.

- სახლი-კარი - ვენახი, მიერებსაც - ყანა ქვია, კვერი მაქვა... კაკალი, ვაშლი, სხალი, ტყემალი... გაყიდვისთვის არ იქნება...

სოდადი? ფესტილი, ბურუში...

- დუუფანტებენ ფარას...



- ჩემ ბაბოჲ ზორ ლამაზათ გაამრობდა ყავარს: წიფლიდან, კოდან გავაკეთებდით ყავარს. ხე'და გაარჩიო, გასინჯებდენ რავარი ტამარი ქონდა...

- იმას? (გვითითებს ჭერზე - ჩამწ.) მაჭახელში ქანდარა, ბორჩხაში - ჭერი. რაზეც დაჭედებდენ - ბარჯგი.

ლიტრა - წყალის სასმელი;

კოჭობი - საჭმლის გასაკეთებელი...

დერგი - მიწიდან გააკეთებდენ, ჟავეს ჩადებენ. ჟავე - ლახანიდან, ლობიოთ, კიტრით - გაკეთდება...

ქოთან- პატინად, დოს ჩასახემდენ.

ზითვალი იქიდან ამუა, აქ'და ჩევდეს. ასეა, ჩვენი დრო'და მოვდეს.

- მეჭებში იმდენ დუას იჯებიან, ჰიჩ არაფერი არ აქვან...

ჩვენი რა გახდებიან იცი? ხოჯა!

მე ახლა ბაბომა რა მითხრა, იცი? მე მითხრა, ქი შენ კომუნისტი გახდები, არ'ნა გაკითხო ქი. ფაბრიკაში ვიმუშავე, კომუნისტი გავხდი, შემადგეს; ბაბამა თქვა, მეკითხა, ჯობდა, კაცი გახდებოდაო...

საუბრობდნენ: ხასან ყავაში,
ადემ ზენგინი.

* * *

იქბაალიე

იქბაალიე (ქართ. ავანა).

ჰაიდარ ათაბეგი, აქა ბარბიზე//აბრამიძე(?) ვარ.

- ფეხით არ გეძარებდა მეგერ. ამას ართვინ ხისიმებიც ყავს.

- ამის ტადად ენწინ მუხტარი იყო, მერე მე ვარ. არ დედყვირავ იმის ძირში, უჩუმელად წამოხვალ. იმის მერე წევა ჰერალდა. ჭკვა თუ დერზე აქ, ისიც იტყვის, თუ არ თქვა, რაც არ უნდა ის თქვა, ვერ იზამს.

- გავაწელავთ, რომ მოკტა, ონაგორა ვიქავთ. დილას მოკტა, ლოცვის მერე დავფლავთ...

მოკტება, მემრე დავბანავთ.

- ძველობაში ასე ყაზანები გვქონდენ, იმით გავაცხელებდით წყალ, დავბანებდით. დავაწვინავთ, დევწყებთ დაბანვაზე. ასე მუაკოჭავთ, გავაწორებთ, მუცელზე მახასი, დანას დავადებთ არ გასივდესო... შეკერული არ იყოს'ნა, იმაში შევახვევთ კტარს.

- ჩვენი ისე იჯებიან. წაყვანა დაჰა კოლაი იქნება.

იმის მერე მოვყვანავთ ჯამეში.

იმის მერე მთელ სოფელში დევმახავთ, მთელ სოფელში გავაგნებიებთ.

- ჰამა ქალებმა ყურ არ მომიგდებენ.

- კაცები კარში იქნებიან, იქ არ გიერევიან ჩვენი კაცები.
დაბნავ, იმის მერე ვიკითხავთ დასინს. ხოჯამა იკითხებს, ჯანაზე
ავწევთ, ქალებიც იკითხებენ უჩუმარად.

კაცებმან ქალებს არ შეხედვენ.

ხანდებან კარში გამეველებთ, კაცებიც დაჟდებიან: „ღმერთი დეგეშვე-
ლოს“, ეტყვიან მიცვალებულის დახნებსა.

„ალლა რაზი ოლსუნ“ - ეტყვიან ისინიც.

ხოჯამან გაკითხავს [ხალხს], აჲ კად იყო, ჰელალი უყავითო.

კარში სირა გავხდებით, შევალთ, ჯანა ვილოცავთ.

- ეს კაცი რავლი გგონიათ?

- კად გგონია, ჰელალს ვუზამთ!

ამ კაცსა თუ ბორჯი აქვანან, ამის შვილს აართვითო, დეგდახავთ იშტე.

- ნაჭარი თუ? რაცხას მომცემენ ისა, ჩვენ არ ვთხოვთ.

- ჩვენაც დამაბიწყდენ ჩვენებური, არ ვილაპარაკავთ.

- რაცხა ქი გულძლებს, იმას გავაკეთებთ.

განაყოფებმა მულტანებენ საჭმელები. შორიდან მოსულებსა მივართ-
ვამთ საჭმელებსა. თუ ტაროსი კადა, კარში მივართვამთ, თუ ზამთარია - სახში.
ქალებმა შვიდ ღამ იკითხებენ, ჯამეში - სამ დღეს.

აჭამებენ: ხორციანი ფილავი, დო, ტათლი, ხანდახან ლაჰხმაჯუნი
იქნება.

თელყინი არი კი, იმას ხოჯა დუუმახავდა.

- აჰა, შენ ჩამულთვალე იშტე.

- სახლი უკან საქათმე,

ერთი გოგო მოვხათმე.

- მე წუხელი სიზმარში,

ჩავაყუდე ხაშარი,

ვურიე და ვურიე,

ვერ ვუპოვე ...

- შენ ჯიშის საქათმეზე

არ იცით, ტურა მოდდაო,

რამეს არ დეფიშმანავთ,

არ იცით, ქი ვინ მოდდაო (ბიჭები).

- ღმერთმა აგახორთლალონ,

მეზერიდან ძაღლსავენ,

ნათქვამი პასულები

ჩვენ დემესენ მუხსავენო (გოგვებმა დუუმახებენ).

ბიჭები ეჯენგებიან გაღმით-გამოღმით სიმღერით:

ახლა ჩამოვარდნილვარ,
ენ წინ ვიყავ ისმეთიო (ერთი),
ჰელზეთ ჩამოვარდები,
ქი მოგარტყავს ქუს-მეთქიო (ფეხს მოგარტყამო. შდრ. ქუს<ქუსლს)
(მეორე).

- თოხვეთი თაროს გავსა,
ყველანი იქ მიდიანო.

- გველი მარლი დათესავს,
ბევრ ფარას მედგებსო.

ატრიალავ დემექ, ერეხვები.
დაწვილი, დაწვილი ვიძახიო.

გაღმა თეთრი ქათამი
გამოდმით უკაკანავსა...

სოფლები ნავხე, ხისიმები ნავხე, მოვედი.

ზოგიები არ რიგდება, ჰამა რას იზამ, მიხტენა.

დედნახე, ჩედეკითხა!

იქიდან მოსული ლაყაბი ასე დარჩა სოფადი - ყონდახჩი.

მაჭახელიდან მოველი,

მეაც ბორჩხა ქალაქშიო,

ათასხუთასი კვერცხი,

ქათამმა დებს ბუჯერშიო.

უკანაჲ შენ თქვი.

- ჩვენებური იყოს და ტალახიდან იყოს. აახ, რა ლამაზი ვარო და
ხატილელი არ ვარო!

ერთი ბიჭი დეაშიკებულა მურღულის გოგოზე. გოგოს უთქმია, დაჰა
ლამაზი ხარ, ხატილელი ხარო:

გველი მარლი დათესავს,

ყველა ფერზე მიაძხლევსო...

საუბრობდნენ: ჰაიდარ ათაბეგი,

რუჰი თემიზჯე,

სერვეთ დურსუნოღლი.

* * *

ნურუოსმანიე (მიჩქი დერე. გეივეს ილჩე)

- დედეჲ ა' წესულა იქ!!

- მარადიდი - საქმე პაწაჲ, ჰამა - დიდი.



- ერთი სოფელია, ენიქო - ზოდობანი (ორი სოფელია - ჩამწ.), იქ ერთ ცხვა არი: ილიმბე, აქეთ - კარაჩამი, ახჩადც არი, ინახება, საბანჩე იძახიან, იქ არი მაჭახლელი.

აქ სოფელი თეელი კოლოტაშვილია. ორი მოსულა, სამი, მერე გაბვერდენ. რეჯება დედე მოსულა. აქა დედეს ბევრი ბაღანები ყავდა. მოვდენ ქალი - მან, დაჭები აქ!

ახლა წებველით, წებველით, სხვა ვე' წებვალთო. ვინცხა მოვდა აქ და'ჩა, სხვა ვე' მოვდენ ჰიჩ. იშტე გაწუხულან! რა სოა ვთქვათ, მესელა, ჰილლად წერვიდეთ, მესელა...

- ახლაო, ცოტა გაზორდა იქა. ბევრი საქმე არააო იქა.

მალ-მალ დედლაპარიკვენ... ცოტა ნელა დედლაპარიკვენ, მოფერდება.

- ის მღერვა თუ?

- ჩვენი სიმღერა იქ არაა თუ?

გოგოვ, შენი ჭირმეო...

ვერ მიაფერავ, გუდუურევთ ჩვენ საქმეს. მე ვერ ვიქავ და. ერთი ოსმან აჯარი იყო, დიგინახავს, მოგიმღერებს.

- იმას ენიშტეს ვუმახ. ჰასან ქესერი (ქესიმოლლი) ჩასიძებულია.

- აქა ჩოროხი არის, გაღმა აბაზები და ლაზები არიან...

- ეს კაცი ავადეველია, ამან არ მარხულობს.

- ჩემი დედეს კოლოტი ეამებოდა, ნაცარში გამომცხვარი ჭადი და კოლოტოლლი დაარქვეს. ესკი არის პაპინამე.

მელოგინძე საბანჯეს ბევრი არიან.

- ჩვენ თუთა ვეტყვით, ზემობანელი დუთა იტყვიან.

- დანიქი არი, ხრისტიანების ცენტრი იყო.

ბეთი ზამანში მოხვედი, გიავ:

სახლის უკან კიტრები,

მოყრილან დედაბრები,

დედაბრებო, სახში წემთ,

გამოგზანეთ გოგვები.

- შავყანა (ტყე), ჭალა (სათიბი), ვაკე (პაწად ბახჩა), სახლი თავი...

- ღარჭებმან მითხრენ რომ...

ბაბამა იტყოდა, მე ა' ვიცი...

- ასკალდი ბარდადი გავარდა.

- ზეიღამა თქვენი ძერები... მისილოღლები ირმი ბეშ არიან.

- აბდულა ბედმ რა მითხრა, იცი?

- ჩვენი დედე აბდულა კოლოტი არის საფანჯეში.

- ყანა არის, სახელი ბათუმია. ნაპურავიც არი, ნასახლევიც...

თქვენ'და დააწიგნიოთ თუ?

- სწორე გიძახს და!

- გურჯიჯე თამ ვიცი თუ? მე მარადიდი კად ვიცი.

- აქავრი სოადი: არაბოლლი, მისიროლლი, დედიოლლი, მერეგინძე (მერელღიანი/*მერეგიანი?), ოდაბაში, უზუნმაამუთოლლუ, ველიოლლი, მამიოლლი...

ზექი, შენ იცი, შენ თქვი და!

ჩვენები ნახვარი იქ ვართ, ნახვარი აქ. ესენი (კოლოტები) არ არიან იქ. ბაბად დედედ ღარჭი მოსულა, ჰასანი, დიდი დედეს - მამუდი, იმის ზედად არ ვიცი.

ამან იცის იქავრი, მედარა იქაურობა. მე დედეს სახში დავწევი. სულალე არიან. თვალეზი გარში ქონდენ. გაყრილან, ნახვარი - იმკენ, ნახვარი - ამკენ. ღვინოღს მსმელეზი იმკენ, მუსლიმანეზი - ამკენ.

- ჭოროღში ქუთულეზი ჩაყარენ, ფიცარი დააჭედენ და ყარადენიზ ჩევდენ. მერე არ ვიცი, გემით მოსულან და...

დამდგარან იქა, ბუცუნაკებმა რომ შეჭამა, მერე მოვდენ ამკენ.

ახლა რაცხა გითხრა კი: ჩვენ ჩვენებური დავკარქეთ...

ჩენგე მაგარი აქ იმასა.

აქაც არი ხებად, საბანჯეთ ზედთ.

- ჩიტეზი! შაშვი, ჩხიკვი, გულწითელა, მაჯაჯღა (შაშვის თეთრი - დააზუსტა მთქმელმა - ჩამწ.), ყორანი...

- აქა ბუკში მირტყმიდა მუჰელიმმა, ჰამა ვერ გამადგებია [სიგარეტის მოწევა - ჩამწ.], გევეცეოდი, დავმალვიდი. არ დამცხებენ, მარა აქიდან მეკიდებიან ყურზე ორი ქალი.

საუბრობდენ: შუქრი ძაშარ კორქმაზი (კოლოტოლლი, პაპინაზე),

რემზი სოღმეზი (კოლოტოლლი),

ჰასან ქესერი (ქესიმოლლი),

ფაზლი კოლატი,

მუსტაფა კოლატი,

უზუნ მამუდოლლი,

ზექირ შან (კოლოთ, კოლოტაშვილი).

* * *

ისტამბულ დერე

(ერდემლი, ულვიე. საფანჯეს ილჩე)

- პიწკანადან (ხინწკანა? - ავტ.) ვართ მოსულეზიო, რუსთამმა. სოადი - კიკნაძე, ბორჩხადადან.

ათი სახლი გურჯია. რუსიდან დავბეჩდით, ისტამბოლ მოვედით, ისტამბოლიდან - აქ.

- წინ მყავდენ ძროხები ონ იქი თანე. ახლა მარტვად ცხენი დარჩა. შიშა მოვტან, გუბრე (ნეხვი - ჩამწ.) წევლებ ბახჩაში, შევყდები...

- ჩვენ საბელი ვიტყვით.

არა, ჭო, ჩვენი არ ვიცით;

ცაში ბულუთია.

აგი? კატიყვერა და, კამპარა და.

- მე ჩამოვალ ბათუმში, ბევრი ჭამა მიყვარს, მოგიჭამოთ'ნა ყველაფერი.

მუსაფირი უჭმელი რაფერ გიგიშვათ?

საუბრობდნენ: **ისმაილ სარდარი** (მაიროლლი),

რუსთამ თიქნაზი (მაიროლლი).

* * *

გულდები

გვარი რა და? სოდადი? ბევრია: კახაბერი, სერდალოლლი, პაჭიჭოლლი, ფართალოლლი, არსლანოლლი, მელექოლლი (ლელოლლი), ველიოლლი, მემიოლლი, დემირჯოლლი, იმამოლლი, ონბაშოლლი... იქ რა სოდა ხარ, აქაც იმსოდა არიან.

ერთი ბაბოდა იყო იმასთან ვილაპარიკვბდი ბოინე.

ვაკოცოთ'და ერთი, მემლექეთია და...

ნენედა არაბოლლი იყო. ბევრია აქ. აქაურები სულ კირნათლია. რაამეთლი დედემ ისე იტყოდა.

რა ვთქვა და რა მევეგონო,

შენ თქვი და მე გევეგონო.

ერცხვა:

ლელე ლელე ევიარე,

ერთი გოგო ტიროდა,

რატომ ტირი, ვერ ვკითხე,

დედამისმა ყვიროდა.

კიდევ:

ლელეში ჩავდევი ნავი,

ხეზე გესულა ყავი,

შენ კაცი არ გახდები

მაგსოდა ჯირეკადა თავი.

ერცხვა მომგონდეს ვთქვან'და:

ჰაიდე წევდეთ, ლამაზავ,
ახალი სახლი მაქვა,
რა ლამაზი გოგო ხარ,
ამ სოფელში რა გაქვა?

- მამუდიეს კაპანი,
გადმოგორდა აკვანი,
ჩემი ტაძას ორი ქალი,
ჰემ თათარი, ჰემ ჭანი.
ერთი ორი დღე დაგაყენავთ.

სამი იყვენ, ერთი იქ მოკტა, მუსტაფა ჩაუმი. ღარჭებიდან ერთი გოგო იყო, დედებმა გაზარდენ. ნაილიედან ჩამოვდენ დედები მასკან.

ახლა რამ არ ვთესავ, სიმინდი, პურს...

საუბრობდნენ: აჰმედ სარდალი (ოროსადე),
ხალით სარდალი,
რემზი ოზგენი (ფართალოღლი),
ნეყდეთ სარდალი,
ჰასან მელექოღლი.

მამუდიე (სოქთოღლი)

ძველი გვარები? ჯეინანოღლი, არაბოღლი (ყარაფოღლი), თანთოღლი, ჯეილანი (ემირეისოღლი), საღიროღლი (მაიროღლი), დიღბეროღლი (დიღბერაშვილი ეტყვიან - მთქმელი), ისპიროღლი, მოღლაიბრაიმოღლი, ხაჯიოღლი.

იქიდან აუზ ხანე მოვსულვართ, ენ წინ შირინოღლები მოსულან. თეელი იქიდან ჩამოვბარგეთ, ჩვენ დევჰანტეთ აქა. ენ დიდი დედე მოსულა, აჰმედ არაბოღლი, იმის შვილი ხასანი, ჩანაქ კალეს მოკტა, იმის სახელი მე დამათქვეს, ჩემ ბაბას - ნიზამეთთინი, მე - ხასანი.

იქ ხება იყო, აქ ხება დაარქვეს.

ჩვენ დერგი ვეტყვით, იმნებმა ქოთანი ეტყვიან; ჩვენ თუთა ვეტყვით, იმნებმა ჟოლა ეტყვიან, იმნებმა ხებადან მოვდენ.

ჩვენი თავი მუუყვანიან, იმის უკან ჩვენ დავსახლდით, ჰასან ფაშა მააჰალესი დუურქმიან.

საჭმელი მედვა მაქვა: სხალი, ტყემალი, ატამი, ქლიავი... ჩვენ კაკალი ვეტყვით, კაკალს ჩამოვბერტყავთ წკნელით...



საჭმელები თეელი ვიცით: ლობიო, ფხალი, ძე, ძულურთი, აირანი, მოთრეველა (მალახტო), კვერცხი, ვაშლის ბექმეზიდან გააკეთებენ ექშაშის, სირსვალი (მოხარშული სიმინდი).

სულეიმანამ მღერა იცის, იმღერავს:

რა ვქნა, გულის დერდები, გითხრა, გიმიდელდებო...

საუბრობდა: უსამეთდინ ჯეილანი.

გველი

- მევლუდ დედემ, ქუჩუკ მევლუდი მოსულა აქა.
- მუსლიმანები თუ უნდანან, ისე წევდონ, არ უნდანან - ასე წევდონ!
- ჩვენ ახლა გურჯი ვიცითა?
- დარჭი ვიყავი, არ მახსოვს. ბაბუამა ზათი არ იცოდა. გადავატრიალე ქოროლაჯადი (ქართულიდან თურქულზე გადავედიო - ჩამწ.).
- მაშინ აქა სულ ტყე ყოფილა. თორმეტი მეტრე ხე ქონია ჩვენს სახლსა, იმხელა ხეები ყოფილა აქა. დაბლა სოფელში დამყდარა. კამაკამისთვინ უთქმინან, აქ კოლონი არისო, ვერ ვიჯებითო.
- უთქმია კამაკამსა, საცხა გინდა, იქ დაჯექითო.
- ჩვენი ორი დედემ აქ მოსულა, ორიც - იქ დარჩენილა. აჰმედ დედემ მოსულა აქ, სად წევს, არც ვიცი.
- გურჯი სახელები არის: საკერე ყანა, ჩვენი ყანა...
- სუფრა იმათი მოტანილი არაა, ჰამა ადნი, იმ მოდელი გვაქვა.
- ეს ლაპარიკი ვერ გავარიგავ. ონ ზამან დაჩუმდი, ჰა'ნა გინახოთ ახლა ისენი?
- ლემსი მოვა, იცოდე, დაგასო'და აქა! ახლა ისინი მე რავად მოვგონო?
- ორ თანეს ვერ მოიფიქრავ?
- იმან კად იცის ადნი... ეს დაფრეწილი ქითბებიც არ მქონდა.
- მოსურდებოდა თქვენი თავი...
- ჰამა ვერ იგავს, გურჯი თქვი ქი. ჩვენებური თქვი, ჭო!
- ჩვენი რაამეთლი დედემ იყო...

საუბრობდნენ: მაზარ სევიმი,
ხუსეინ ქესიმი,
ფაჰრი თაშქენი (დურმეშოლლი),
ქაზიმ თაშქენი,

* * *

ბიჩქათი (ქართლა)

- აქ თხილის იქეთ რამ არ არის. გურჯებმა თოხი, მანგალი არ იციან!
ძველებმა თურქა არ ილაპარაკებდენ.

- ხოჯას ჯამეში ძინავს. ტ-ში შუუძრეს მაცაყიო.

- ენწინ ძუზუკ ითამაშებდენ. ერთმა თქვა:

- ვინ დამალა?

- პატინამა!

- მიცხოს კოტინამა!

მე წუხელი სიზმარში,
იგიყუდე ხაშარი,
გემრიელი პასუხი გაქ,
გემიჯდები ღინჯებშიო.

ევლე მეფთის აბდესი

თენემურზე დამდევნი,

ნენი, სული ამომძრა,

ღრმა მეზერში ჩამდევით!

სახლი უკან ბრეწევლი,
ტანები ჩამოწევლი,
ჩემი ძარი დევნახე,
კლავები ამოწევლი.

ზივერ, ნუ ეჭირები,

გეგისკდება ბალანი,

შაფათ და ოსმან-აღა,

სევსუნ სენუმ ხალამი

(შემიყვარდა შენი დეიდა).

მოზვერ უკუნტია,
ჩემარა ვენახისკენ,
ვერ ნახა წყალი,
წამეყარა ტრინკები,
დაგანახა ნალი!

ახლა კაცი დგას და ბოსტნისკე ებუცება... ასე უთქმია და გუდუფულია.

ერცხვა რა იყო? ბევრი ასე სიმღერები იყო, ჰამა არ მახსენდება.

არხვადან გამოჩანდა,

ჩვენ მურღულის ჭვიტინა!

ამელიათი გავხდი ქი, მალ ვგულიანდები. ისე ემე გავგულიანდები, ის ემე ვერ ვიჯები.

სახლის უკან ნიორი
ხან ერთი, ხან მიორი,
გალმიდან მე დევნახე,
ჩემი ძარი მიორე...
არ იგინავს მი?

ჩვენ სოფელში ერთი ქალი იყო, ხარი გამოვდოდა, დედნახავდა, უღელი გატყდებოდა.

- ჰუსეინ, დანა დეიკარქა თუ შენი?
- არა, ზედან მაქ, ვარუნიავ!
- ამას ბევრი ცოდვა აქვა, მეზერში ახორთლადღება. მარა არ ახორთლა-ღებულა, არ ამდგარა.

- ამდგარა და თავი მუურტყია მეზერზე.

ქამელეთ ვილაეთი
ერთი-ორი ქოხია,
ელან ვერ გამარჩია,
ნეზაეთი კროხია.

ქამელეთ ძაშლი გოგო ყოფილა, ვერ გათხოვლა, იმისთინ გამუუთქმინ:
ემინა მუსა მუხტაჯ,
ზაიფლუგი კორხიაო (დაბეჩებულაო)...

გეველი მარისს დათესავს,
სერმად იფიორო (ანგრევსო).
ორჯი ფილუზ მემლექეთ,
კომშილარდა ახიორო
(განაყოფისას ჭამსო).
თოხვეთი თაროს გავსა,
ჰერქეზორია ჩიხიორ.

ქართლა ვეხში მილლეთი
ჰერქეზ ჩახმახ ცახიორ!

ქართლა, გეველი, თოხვეთი, ორჯი ქართულია, ორჯი - გარეველი.
თოხვეთი ერთი ხანეა გურჯი, სხვა - ჭანები. ქართლა - აზაზა, ჭანი, გურჯი.

ოზდახუთი ინსანი იყო, მე არ ვქენ?

გახოცონ'და მაშინ!

- ყველი ძერი ცალერია!
- მე ბევრი ვიცი და თელი დამვიწყდა დღეს...

საუბრობდა: ხუსეინ ქესიმი

* * *

მელანააზი (აქჩაკოჯას ილჩე, დუზჯეს ილი)

ზაფხულში მილლეთი ბევრია. მირვეთიდან მოსული ვართ.

- აქ გურჯები ვართ თეელი: თოფალოლი, კარასანოლი, ოსკოჯოლი, დემირჯოლი, გულეზი... სხვა არ ვიცით.

- ჩვენ დედებს რომ დუუგდიან მიწები, რა იქნა?

- დათვმა შეჭამა!

- რაიზა მედკითხე?

- ვთქვი და... რა ვიცი, მივდე'ნა!

- იქავრი სოდადი ჩემი ოსანამე, აქ ჩილოლი. ამათების იმედან არიან...

ასე წვევლ დევლანძე,

არ გეწევა ჯენნეთი,

შენი ნენეს და ბაბას

არ აძლევ თუ მინნეთი.

- მათაც უღმერინ, ჰამა ჩვენ თურქა მიმღერია!

- ჩემი ბაღნებმა თურქა ლაპარიკობენ. ძაღლმა თავლი ჭამს გააძე! ძაღლმა იცის, ბაბამ იცის, ჩვენ არ ვიცითო (ქართული ენა - ჩამწ.). ჩვენ აჯარი ქართველები ვართ. მართათლი არი, მეგრელები არი...

აქა სამი-ოთხი სოფელია, ყველა ლამაზია. ჩვენ უფრო ლივანელის ხარჯზე რჩება ჩვენი სოფელი, ჩვენ უფრო ლივანელის აქცენტი მაქვს. აზიზიეს უფრო ჩვენი ტერიტორიებიდან მოსული არიან...

მელენი პირი - ქართულად ასე ვეტყვით. პირი ქენარი და!

- ჩემი ბებამ ასე იძახდა, სიგარას მოწევსო.

- აქედან გადვენეს ჩვენებმა, ზეით გადვენეს. მე მგონია აქ რუმები ცხოვრობდენ. ჯენევიზების ციხეა, 7-8 კილომეტრი იქნება. აქა სომხები არ მგონია...

საუბრობდენ: **მაშარ ჩილი** (ოსანამე),

ოსკან დიასამიძე (მირვეთელი).

* * *

კოზლუქო (კოჯაალის ილჩე, ადაფაზარი)

- იგი უფუთლელი არიან, კაცი კლიან.

- აქ არის: ჩელიქოლი, ფართენამე, ესედოლი, სეიდიშვილი.

- ჩემი დედეს ბაბად, ორი ემიად, დეგენი, ერთმა იქა დარჩა. ჩემი დედეს დედემ მოკდომილი იყო იშტე. ჩვენი ძველებმა მეტი ბევრი ბაღნები ქნენ: ექვსი-შვიდი ბიჭი ერთ ოჯახში...



იქიდან თუ მოხველით, ამკენ ერთი სოფელია, ძველია, იმის იქეთ არის სოფელი... ამ სოფლის ძერები ფართო ევლეთ. ამკენაჲ ტყე იყო, ტყეჲ გახსნენ, ღელის ქენარები ფართო ევლეთ

- ჩემი ზამანზე აქავრობაში დუგუნებ ვქნავდით, ახლა სალონში ვიჯებით.

-მირვეთიდან ვარ! ჩვენ მექთებში წასლიხან ნენემ მეტყოდა ქი, ქართულად არ დეილაპარიკო, სირცხვილია.

ესნები და ჩვენ ჭელიძეები ვართ. მირვეთ ზეიდან სოფელი იყო, ახლა აღარაა, ტყეში იყო, იქიდან...

საუბრობდნენ: **ჯეზში ჩელიქი** (ჭელიძე),
დემირ აჩმა.

რიშაადიე

ართვინი ხატილადამ მოვედით, აქ ვართ. თამ გურჯი არიან. აქაური სულაღე: ჭიშკაროდლუ, ყადირჯოდლუ, იმამოდლუ, ბოდიები, ჩხალოდლუ, ყაჯიროდლუ... სოფელში 190 ხანეა, ყველაჲ გურჯი.

შერეფიეს ართვინიდან მოსული არიან, იუსუფელიდან მოსული არიან. ჩახალოდლები არიან შერეფიეში, იმათ იციან. ჩემ დედემა შეინახა ისა.

ესაც ჭიშკაროდლია, სუთლი ჭიშკაროდლი.

ართვინიდან მომსლელები იყნონ... ხანდაკში არიან... რამე დასწავლა თუ გინდა, გამკითხე.

მე თურქე ოქულში დევწავლე. სახში გურჯიჯა ვილაპარიკავთ ჩვენ. აქაური ღარჭები დეილაპარიკებენ...

აქ ქილისე არაა, ღვინის ქუფები იყო, გატყდა.

- მემრე დავკვიდებდი სახლი ღოჯებზე.

აქ ბერძნები იყვენ, აბდულაჰ მეორის მერე წევდენ აქედან.

საჭმელები იმფერი ვიცით, ართვინში რომ იციან: სილორი, ლახანა, ლობიო, შოთი ბორეგი, ერიშტე, ყველი - ფურების მოვჰსწველავთ, ქალები გააკეთებენ. ფურები არიან. ხარი არ არი ჰიჩ.

ნალიაჲ იყო სიმინდისთვინ, დავანგრიე. ნალიები მქონდენ, ახლა არ მჭირია.

ცხენით კალოს ვქნევდით. პურს გაფვენევდით, ცხენი მობრუნდებოდა. კევრ ვეტყვით...

პურ დავაფქვევნიებდით, ვჰამდით.

საუბრობდნენ: **სუთლი ჭიშკაროდლი,**
ხასან ჭიშკაროდლი,
იმდათ ილმაზი.

ლექსიკონი

ა

ა - კითხვითი ნაწილაკი: შენ საქმეზე **ხარა?** ორითმენი **ხარა?** რა მქვია **მეა** თუ?

ა' - არ: მე **ა'** ვიცი.

აბანვა - აბანო: **აბანვას** მივა და იქიდან იგზე გედევა, შუშანეთ.

აბანო - ადგილი დურჩაში.

აბდესი, **აბდესის აღება** - მუსლიმანთა ლოცვისწინა სარიტუალო განბანვა, ხელის, ფეხის, პირის დაბანა.

აბე - უფროსი ძმა: ე ჩემი ძალია, ძმას - **აბეს** ქალი.

აბლა - 1. ბიცოლა, უფროსი და: **აბლა** ჩვენ ძენგეს (ნ.) ვეტყვით (ადაგული); 2. თავაზიანი მიმართვა უფროსი ქალისადმი.

აბულაძე - იგივეა, რაც აბლა: მომიკდენ **აბულაძე**, ჩემი დიდი აბლას ვეტყოდი (აივაზფინარი).

აბუხჩვა - ჩხუბი, ომის დაწყება: რუსმა და აღმანიამ რომ **ეაბუხჩენ**...

აგარა - ისკების ძველი სახელი.

აგზე - აქ.

აგუსტო - აგვისტო: ონ სექიზ **აგუსტოში** გელინი'და მოვეყანო (ჰამიდიე); ნ. აუსტო.

ადაგული - სოფელი კლარჯეთში.

ადგა - 1. მოიშალა (წესი, ჩვეულება): სახლების დუგუნები არაა, **ადგა** (მურღული); **ადგა** გურჯი სამობა (შირინსულიე); 2. რომელიმე საგანი, ნივთი გავიდა ხმარებდან: კეცი წინ იყო, **ადგა** (ხება); თუთუნი **ადგა**, ახლა პური და სიმინდი იჯება (სირეთიე).

ადეთი - წესი, ჩვეულება: ნ. ჰადეთი. მაშინ ისი **ადეთი** არ იყო (ნუსრეთიე); ახალ წელზე ის **ადეთი** მაქვან (ჯივანი).

ადუჩა - ისკების უბანი.

ავადევლი - ავადმყოფი: ესა **ავადევლი** მყავს (ბუჯური).

ავადევლობა - ავადმყოფობა: გონჯი **ავადევლობა** ქონდა (ჯივანი).

ავადობა - ავადმყოფობა: ბადიშები ჩამოვდენ დედეს **ავადობაში** (ახალდაბა).

ავაზანთის წყალი - წყარო ქართლში.

ავანა - სოფელი მურღულში.

ავარა - უსაქმოდ მოხეტიალე: რემზი **ავარაძს** ერთია (კირნათი).

ავაშენავ - ავაშენებ: ფარა ბევრი მქონდეს, ბათუმში ფაბრიკას **ავაშენავ**.

ავლამ - ავლისას, ავლის დროს: **ავლამ** ერინჯი'ნა (ნ.) ავდენო (კირნათი); ნავებს **ავლამ** საბელით დეეწიკებოდენ (მარადიდი).

ავოკატი - ადვოკატი: მაგრა ჩემი ძეგანი მისულა **ავოკატთან** (კირქხარმანი); ნ. ავუკატი.

ავუკატი - იგივეა, რაც ავოკატი.

ათაბარი - ცეკვის სახეობა (მარადიდი).

ათანოღლი ქომ - ქვედა ქლასკური.

ათდახუთი - თხუთმეტი: **ათდახუთი** სოფელი ხართველია (ჰამიდიე).

ათიგორა - ადგილი ზ. მარადიდში.

ათიმი - რაიმე სამსახურში დანიშვნა, სამსახური ვადა: იმამა **ათიმი** გაათავა, იმამი არაა (ლუთბიე); თეთრი გულზე ბემლული დათვალე **ათიმი** (ერეგუნა).

ათმაჯა - ქორი: **ათმაჯა** იზმით უძახიან (გურბინი).

ათმეიდანი - ადგილი დურჩაში.

აივანჯანზაზობა(?) - **აივანჯანზაზობა** ქნა (ქირიმითი).

აინეშები - თანატოლები: თელი **აინეშები** მევეარნევიტ ორდიდამ.

აინი//ამნი - იგივე, ისეთივე, ერთნაირი: **აინი** ვარ, ჩემი ქალის **ამნია**, ისიც ქერაბიძეა (ჰამიდიე); ჩვენ **აინი** სისხლი ვართ (ლუთბიე).

აირანი - მაწვნისაგან კარაქის გამოხდის შემდეგ დარჩენილი სითხე; დო; **აირანი** მოსარეკელი ყოფილა (კირნათი); ძიდან გავაკეთავთ **აირანი** (ბუჯური).

აირი//ადრი - 1. ცალკე: ყველა ძერის ადგილი **აირია** (ჯივანი); 2. განსხვავებული: თქვენი კანონი **აირია**.

აკოწვა - აკოჭვა(?): მოზვერი დაყვერებდენ, ფეხებ **აკოწავ**, დააწვინავ (ლუთბიე).

ალამ ვერდი - შელოცვის ტექსტში ადგილის სახელია: **ალამ ვერდი** ჭალასა (შელოცვიდან) (სირეთიე).

ალამ-მალამ - სულ, მთლად, მთლიანად, სავსებით, სრულიად (შ. ნიჟარამე): ეს სიბერე ბეთია, **ალამ-მალამ** დიდობა (ერეგუნა).

ალთი - ექვსი.

ალთმიშ - სამოცი: **ალთმიშ** წლის ვარ (ლუთბიე).

ალთმიშ დოხუზ - სამოცდაცხრა: **ალთმიშ დოხუზში** შევედი (ადაგული).

ალთმიშ მედდი - სამოცდაშვიდი: მე ვარ **ალთმიშ მედდი** (ადაგული).

ალთმიშ სექიზ - სამოცდარვა: რამდენი წლის ვარ? **ალთმიშ სექიზ** წლის (მურკვეთი).

ალთუნამ - ხარის სახელი ისკებში.

ალთუნი - ოქრო, ოქროს სამკაული: მომიტანეს **ალთუნის** ბილეზუგები (ნ.) (ნუსრეთიე); მე სამი **ალთუნი** დამაბენ (მურკვეთი).

ალთუნი - ხარის სახელი ზ. ქლასკურში.

ალიყური - გათვალვის (თვალისცემის) საწინააღმდეგო საგანი: სუფერგეს (ნ.) მივადებდი აკვანზე, **ალიყური** დუუდებდი (ქლასკური).

ალლა რაზიოლსუნ - „ღმერთი დეგეშველოს“ – ეტყვიან მიცვალებულის დახნებსა, ალლა რაზიოლსუნ ეტყვიან ისინიც (ავანა).

ალმანი - გერმანელი: მუედინმა დაქორწილდა, იმან **ალმანი** ითხვა (ადაგული).

ალმანია - გერმანია: ერთი ბიჭი **ალმანიას** მყავსა (აივაზფინარი).

ამა - 1. მაგრამ: **ამა** ესენი ყოფილან წინ; **ამა** იმასაც მამას ვეტყვით (ნუსრეთიე).

ნ. ჰამა. 2. ამას: ესე მეტი კად კაცის გოგო იყო, **ამა** მეტი კად ბაბოდ ყავდა.

ამათ - ესენი: **ამათ** ახლა სად არიან?

ამარ - ამარა: ღმერთმა ვინმეზე **ამარ** არ დაგტიოს.

ამეზლამ - ამალამ: ნ. ამესლამ.

ამელია, ამელიათი - ოპერაცია, ნაოპერაციევი: შვიდპირ გამჭრეს, **ამელია** ვარ (ჯივანი); **ამელიათი** გავხთი ქი, მალ ვგულიანდები (ნ.).

ამკენ - აქეთკენ: ღვინოვს მსმელები იმკენ, მუსლიმანები – **ამკენ** (ნუროსმანიე);

ამკენ მოვსულვართ (მამურე); ხარები და ერინჯი ზედთკენ, **ამკენ** ავლილან.

ამკენისკე - აქეთკენ: იქ დადგომიდან მოსულან **ამკენისკენ**, ჩამოსულან: ართვინი, რიზე, კანდრა, - კანდრადან აქა.

ამნები - ამათი: ჩემი გოგო **ამნების**, ომეროღლების, გელინია (ჰამიდიე).

ამოკვრა - აქ: მარაგით, საფანელით საჭამანდის შესქელება: თუ თხელი იქნება, ჭადი ფქვილ **ამოკრავ** (დევსქელი).

ამოქნეშვა - ღრმად ამოსუნთქვა: [დივმა] **ამოქნეშვა** მეგერ და ნაცარ-ქექიად თაროზე შიაგდო (კირნათი).

ამსეფერ - ამჯერად: მამაშენი **ამსეფერ** რაფერ ვერ გააშვებით (კირნათი).

ამსოა - ასეთი, ამგვარი: **ამსოა** ჩვენი კითხვა (გურბინი).

ამუალი - ესა და ეს, ამა და ამ: სოფელში **ამუალს** კაი გოგო ყავსო (ადაგული); ვინა გითხრას: **ამუალი** მერზე ჩავლილია (ბუჯური); იმ კაცმა ხომ არ უთხრა, რომ **ამუალ** მერზე (ნ.) გაქ ილდიზიო (კირნათი).

ამჯა - ბიძა, მამის ძმა: ჩემი **ამჯა**ს ღარჭი წევდა (ლუთბიე). ნ. ემიჯე.

ანა - დედა: ნ. ანე.

ანა-ბაბოდ - დედ-მამა: ბერი **ანა-ბაბოდ** მყავდა.

ანალული - დედინაცვალი: მეთიმი დაგჩი, ბაბამაც **ანალული** მედყვანა.

ანანე - ბებია, დედის დედა: „ნენემს ნენე – გურჯიჯე“ (მთქმელის განმარტება) (ხება).

ანაა - დედა.

ანგვარი - ამგვარი: ...ზაფრანა არ მაქვა, **ანგვარი** რამე არ ვიცი, სობაც მაქვა.

ანგლიზი - ინგლისი: ახლა **ანგლიზი** აქ მოვდა (ავანა).

ანე - ნ. ანა: ჩემ **ანემაც** იცის (დევესქელი); ის რესმი (ნ.) ფეილამბერ **ანესია**, მერიემ **ანასი**.

ანეანე - იგივეა, რაც ანანე: ჩემი **ანეანე** კირნათელი [იყო] (დევესქელი).

ანემსილი – ასხმული (მაფზე, კანაფზე): ე თუთუნები ... შენი **ანემსილია?** (კირნათი)....

ანერთი - არცერთი: ჩემ ღარჭებმა **ანერთმა** არ იციან (მაამურიე); დაბადებული **ანერთი** აქ არ არიან.

ანკარპრავი - წმინდანი: გოგო ევლია, **ანკარპრავია**.

ანტერი - უპატრონო, ოხერი: ფარა, ფული, **ანტერი** ფული! ჯინჭველია, ანტეროლლი, **ანტერი** (იბრაქი).

ანტრად - ოხრად: ღმერთმა **ანტრად** დაგტიოს!

ანჯახ - ძლივს: ბებერები ამდენ **ანჯახ** იქმენ (გურბინი); ორ ძროხა **ანჯახ** ვუარ (ქართლა); [თხილი] **ანჯახ** საჭმელი იქნება წელს (ჩუბუქელი); ერთი შორვა **ანჯახ** გავაკეთე (იბრაქი); ახლა ვიწავლე ისინი, **ანჯახ** ახლა ვიწავლე (მურკვეთი); თხუთმეტი მისცა **ანჯახ** (ჯივანი).

ად - თვე: ბირ **ად** სონარ მოვდა, დევნახევით ერთმანეთი (მურკვეთი).

ადლუქი - თვე: ერთი ბიჭი დედი **ადლუქ** არი, პატინადა (ჰამიდიე); სექიზ **ადლუქ** არი ჯერე (აივაზფინარი).

ადნალი//აინალი - თევზის სახეობა: ჭოროღში... ერთიც **ადნალი** საზანი არი, ასე პტყელია, სუფრასავენ (კამბალა?).

ადნი - იგივე, ერთნაირი; ერთი და იგივე.

ადრი-ადრი - ცალ-ცალკე: ეს გელინისაა, მიერეც გელინისაა, **ადრი-ადრია** (ქართლა); ქათმებმა პური და ბრინჯი ემედენი გადაარჩიეს მეგერ **აირი-აირი** (კირნათი).

არაბა - ავტომანქანა: წევდენ გოგომს სახში **არაბადთ**, ცხენით (ხება).

არაბოლლი - „გვარი“ ნურუოსმანიეში.

არაბჩა - არაბული: აქ ერთი მარიად არი, იმან **არაბჩა** იცის (გურბინი).

არაფა - დღესასწაულის (ბაირამის) წინა დღე: დღეს ჩვენი **არაფაა**, დღევანდელი დღე **არაფაა**, ხვალ ბადრამია (ბაგინი); ბაირამის წინ **არაფაა** (ისკები).

არგავს - რგავს: შიაჭმევდენ, არ იცოდი? რაზე **არგავდი?**

არდლუჩა - ადგილი ისკებში.

ართვინელაჲ - ვაშლის ჯიშია ერთგვარი.

ართურაჲ - ფურის სახელი ისკებში.

არკადაში - ამხანაგი: ეს ჩემი ძმა, **არკადაში**, ალმანიაში საქმობს (ჰამიდიე). ნ.

არქადაში, არხატაში.

არმუთი - მსხალი: სხალი გვაქ, თეზგენაჲ **არმუთებია** (ისკები).

არსლანოლი - „გვარი“ გულდიბში.

არტანი - ადგილი ჩხალეთში.

არუნიება - რელიგიურ დღესასწაულზე ტკბილის, რაიმეს ჩამოტარება: ბადრამი მოვა, შექერმა (აქ ტკბილი, ტკბილეული - ავტ.) **არუნიავ**, მედარ ასე ხალხში, კოლონიას (ნ.) **არუნიავ**, მემრე ბაქლავას დადევ.

არქადაში - მეგობარი: მე და ჩემი კაცი'ნა წევდეთ ვინცხა **არქადაშებს** უკან (ნუსრეთიე).

არხატაში - ნ. არკადაში. შენი **არხატაშები** ჰა წევდენ? (ერენქოი).

ასავალი - ადგილი ზ. მარადიდში.

ასაქმება - ამუშავება: წისქვილი **ავასაქმე** (ელმალი). ნ. გასაქმება.

ასაყარი - ლობე: **ასაყარი** - აჭარლები, ჩვენ - ლობე [ვიტყვით].

ასახსნელი - გამოცანა.

ასკალდი - კინალამ: **ასკალდი** ბარდალი გავარდა (ნუროსმანიე). ნ. ასხალდი.

ასკერი - ჯარი, ჯარისკაცი, სამხედრო სამსახური: მე ოცდაშვიდი ვისაქმე **ასკერში**; მე **ასკერი** ვისაქმე, გავათავე (ჰამიდიე).

ასლანაი - ძროხის სახელი.

ასმანიძე - გვარი კლარჯეთში: ასპინძაიდან ვართ, **ასმანიძეს** გვეტყვიან.

ასხავს - ასხამს: მაწონ **მოვასხავთ**, ძალ მოვხრაკავთ, ნიორს ზოგი უჯება.

ასხალდი - კინალამ: მატყლით შევხვიე და **ასხალდი** გავდელდი (გურბინი). ნ. ასკალდი.

ასხმა - ძაფზე, კანაფზე თამბაქოს ფოთლების აცმა: მე ვერ **ვასხავ**, თვარა ერთ სოლოხში (ნ.) **ავასხავ** (კირნათი).

ატყვილავს - ატყუებს: მე ვვაზირობ, რატომ **ატყვილავ?**

აუსტო - აგვისტო: **აუსტოში** დუგუნი'ნა ვქნა (ჰამიდიე). ნ. აგუსტო.

აუფაშვილი - „გვარი“ ზ. მარადიდში.

აფაქვა - გაწმენდა: ეკლები **აფაქავს...** თოვლი **აფაქავს** (ლუთბიე).

აფერთხილი//**აფერთხული** - მოსულელი: ეს **აფერთხილია**, ჰამა იყოს. „აფერთხილი - ჭკვაგაქცევილი, ცოტა აქ“. „ჭკუადანგრეული“ (მოსაუბრის განმარტება): შეხედებენ, ლამაზია თუ ჭკვიანი, **აფერთხული**.

აფურტენა - აფურთხება: **აფურტენე**, ბუდულს (ნ.) მოხდა, დევფურტენე - წვერსაო (ანდაზა).

აქავრული - აქაური: ქალიც **აქავრულია**, გურჯია.

აქომამდი - აქამდე: ფეზლაი ჰა წევდა **აქომამდი?**

აქრაბა - ნათესავი: **აქრაბები** მევერებით ორი დღის უკან (სირეთიე); ჩვენი **აქრაბები** არი ბურსას. ხისიმები მოვდენ, თურქიე - **აქრაბა**. ნ. აყრაბა, ახრაბა.

აქში - აქ: **აქში** მარილი, ისინი შევეურვეთ.

აღა - უფროსი მამაკაცისადმი პატივისცემის გამომხატველი სიტყვა, მიმართვა: ეს **აღა** ზენგინია.

აღაზე - მაზლი: კაცის ძმას **აღაზე**ს ვეტყვით (მურკვეთი); ეს ჩემი **აღაზე**ა (ბაშქოე).

აღაშა - ხარის სახელი ისკებში.

აღება - ყიდვა: სახშიც მოჭრიან, მაღაზაშიც **ეღებენ**; წინ **აღება** არ იყო, შინ რაც იყო, იმას ვჭამდით, ახლა ხაზირ **ეღებენ**; ჩაის ბორჩხას **ვიღებთ**, ვიყიდავთ ფაქეთებში (ერენქოი).

აღებული - ნაყიდი: ეს ჩვენი გაკეთებულია, **აღებული** არაა (ისკები).

აღონება - (?) ღონე არ ჰქონდა: ადამ დეიქვა, სისხლი ჩეიქვა, ადგომა **ეღონებოდა** (შელოცვიდან) (ადაგული).

აყირო - გოგრა: მიწი ხაპი. . . **აყირო**, თელი ვთესავთ (დევსქელი).

აყრაბა - იხ. ახრაბა.

აშილი - შეყვარებული: **აშილი** ბილა (ნ.) ვიყავ (ერენქოი); მოწონდება, გოგო-ბიჭი **აშილი** გახდება (ქართლა).

აშურა - 1. რელიგიური დღესასწაული. 2. სხვადასხვა მარცვლეულისაგან (ბრინჯი, ღომი...) შემზადებული წვნიანი საჭმელი, რომელსაც აკეთებდნენ აშურას დღესასწაულზე (შ.ნიჟარაძე). ჩვენს მასალებში აშურა მეორე მნიშვნელობით დასტურდება: ჰო, **აშურას** იქმენ (ბაშქოი).

აგრევა - აკრეფა, შეგროვება, მოგროვება: თხილები **ვიცრიეთ**; გად. დამახსოვრება: შუულოცევდა... ჩვენც **ევიცრიეთ** [ლოცვები]. ნ. მომცრევა, მოცრევა.

აწალა - ზვინი: **აწალას** გავაკეთავთ, ღერს დავასოფთ, იმაზე მოვახვევთ ჩალას (ქლასკური).

აწევა - 1. აღება, მოსავლის აღება: სიმინდ **ავწევდით**, პურ დავთესევდით. 2. მიცვალებულის გაყვანა დასაკრძალავად.

აწერიავს - აწერინებს: ხოჯა **დააწერიავს**; თელი **დაგაწერიავ**, არ ვიცი.

აწინ - ახლა: და **აწინ** მოხვედით აქა? (გოლჯიქი).

აწმამდი - აქამდე, ამ დრომდე: **აწმამდის** რაები არ იმახდა მისთინ (კირნათი).

აწუწუნებული - იმ ჯენაზე **აწუწუნებული** არიან, ტირიან (დევსქელი).

აჭარალი - აჭარელი: რაამეთლი ნენე **აჭარალი** იყო.

აჭრევიეს - აჭრიეს: მე გუმინ შიშა **მაჭრევიეს**, უსტა'ნა მოვდესო.

ახალბიჭი - ახალგაზრდა მამაკაცი: იმ **ახალბიჭმაც** - ასე ქენიო (ხება).

ახალი - ახალგაზრდა: მე **ახალი** ვარ, მე რა'ნა ვქნა? (ჯივანი).

ახალმოზდა//ახალმოზდე - მოზარდი: ჩვენ მაშინეზე **ახალმოზდე** ვიყავით (ხება).

ახალტყე - ადგილი დევსქელში.

ახალშენი - ადგილი ებრიკაში.

ახალშენი - ადგილი ისკებში.

ახვევლი(?) - იმ წელიწად თუ ცოტა **ახვევლი** ხარ (ადაგული).

ახლობა - ახალგაზრდობის ხანა: **ახლობაში** ლამაზი ვიყავი (ბაგინი); **ახლობაში** თლად ექენა (ქლასკური).

ახლოპირ - ახლახანს, ახლო ხანში, ცოტა ხნის წინ: მარადიდში ჩვევლი **ახლოპირ** (ერენქოი).

ახოები - ადგილი ქართლაში.

ახოების წყალი - წყარო ქართლაში.

ახორთლაღება - რელიგიური რწმენის მიხედვით ცოდვებით დამძიმებული მიცვალებულის სულის საფლავიდან გამოსვლა (შ. ფუტკარაძე): ამას ბევრი ცოდვა აქ, მეზერში **ახორთლაღება**; ღმერთმა **აგახორთლაღა**; ღმერთმა **აგახორთლაღონ** მეზერიდან ძაღლისავენ (ავანა). ნ. ხორთლავი.

ახორი - საქონლის სადგომი: ქვეშ **ახორი** და იყოს, ზემოთ - სახლი (ჰაჯიოსმანი); მერეგ დუუწვენ, **ახორ** დუუწვენ (ავანა).

ახორიკარი - ახორი, ბოსელი, საქონლის სადგომი; ახორის ახლო-მახლო ადგილი: აგერ ჩვენ ვართ **ახორიკარებში** (კირნათი).

ახრაბა - ნათესავი: ერთმანეთის რა ხართ, **ახრაბა**? (ჯივანი). ნ. აქრაბა.

ახსი - ცული: ბელქი **ახსი** გული აქვა? (გურბინი).

ახუარი - ღობის ბოძი: **ახუარი** რა არი, იცი თუ? სვეტია, სვეტზე მიასობ ჭერსა, გახდა ღობე (ბუჯური).

ახშამი - საღამო: **ახშამადან** მუა სახში (ირმადიე).

ახშამ-საბაჰ - საღამო-დილას: ილაჯებ ვსვამ **ახშამ-საბაჰ** (ბუჯური).

აჯაბა//აჯაფ - ნეტავი: რა არ ვიცი მე, **აჯაბა**! (ნუსრეთიე); **აჯაბა**, რა ჭამსო? (მურღული); ხვალ წევალთ **აჯაფ**? (კირნათი).

აჯარა - უბანი გოლჯიკში.

აჯადინებს - აბრაზებს: ბაღნებმა ძაღლებ **აჯადინებენ** კალოზე.

აჯი - სიმწარე, მწარე: ღმერთმა რამ **აჯი** არ მოგცეს! (ჯივანი); **აჯი** გოლი - წარე წყალი (მურღული).

აჯიბაჯიობით - მწარე ენით(?): იმ წელიწად თუ ცოტა **ახვევლი** ხარ, **აჯიბაჯიობით** არ წამომადგა (ადაგული).

აჰი - ჟინი: **აჰი** მქონდა, მევიარე მარის ბოსტანი (ერეგუნა).

ბ

ბაბა//ბაბო - მამა: ბაბოს **ბაბა** - დიდი ბაბა (ხეხა); **ბაბოს** და - ბიბია (იბრიქლი); **ბაბოს** და ბიბია ვიტყვით (მურკვეთი); იმის წენე ალმანია, **ბაბო** - თურქი (ავაზფინარი).

ბაბანე//ბაბანე//ბაბანე//ბაბანე - ბებია (მამის მხრიდან): **ბაბანეს** არ ვიცნობდი, პატარა ვყოფილვარ, მომკატარა; ჩემი **ბაბანე** კირნათლი იყო (დევესქელი); ჩემი **ბაბანე** ბათუმიდან იყო (ესკიფერადიე); ამის ბაბოს ბაბა ყოფილა ჩემი ბაბუს **ბაბანე** (მურკვეთი).

ბაგა - საქონლის სადგომში საკვების ჩასაყრელი ადგილი: **ბაგაზე** დავაბამთ ზენჯირით (ნ.), ისთა თოკვითა (ბუჯური); თქვენითანა გოგვები ახორის **ბაგაში** დავაბი (დევესქელი).

ბაგინი - სოფელი დევსქელის ხეობაში.

ბავში - ბავშვი: ვინცხას **ბავში** არ ეყოლება, ვინცხა არ გეეთხვება, მიდიან იქ...

ბათი - ძაღლის სახელია.

ბათმანი - „საწყაო მარცვლეულის, ფქვილისა და მისთ.“, „ბათმანს წყლის ჭურჭლადაც იყენებენ“ (შ. ნიჟარაძე): შვიდი **ბათმანი** წყალი დავასხი.

ბათუმა - მსხლის ჯიშია.

ბათუმი - ადგილი ნურუსმანიეში.

ბაირამი//ზადრამი (bayram) - დღესასწაული: ამის ბაბო **ბაირამზე** გადელდა (კირქპარმანი).

ბალაბანა ქედი - ადგილი ზ. მარადიდში.

ბალაბანი - „გვარი“ ზ. მარადიდში.

ბალაკინი(?) - ჩემი ბიბი **ბალაკინი** აქ არი, აქ გათხოვდა (ნუსრეთიე).

ბალანა - მეტსახელი კაცისა.

ბალანი - ბეწვი, თმა (?): ზივერ, ნუ ეჭირები, გეგისკდება **ბალანი** (ქართლა).

ბალაძარღვა - მრავალძარღვა (ქლასკური).

ბალდიზი - ცოლის და: **ბალდიზი** - ქალის და (მურკვეთი).

ბალი - თაფლი.

ბალლი ყადა (თაფლის ხევი) - ადგილი ქლასკურში.

ბალუდი - თევზი: ისინი „თევზი“ არ იტყვიან, **ბალუდი**... (ნუსრეთიე).

ბანგა ძირი - ადგილი ჩხალეთში.

ბანი - აქ: სიმღერა: [პატარმალს, დედოფალს] კაცის სახში მიიყვანდენ, **ბანი** ეტყოდენ.

ბანკა - ბანკი: დედეს ბოვრი ფული დუურჩა **ბანკაში**.

ბაძან - ქალბატონი: დორთ თანე **ბაძან** გელდი.

ბაძარმიძე - კლარჯული „გვარი“ ჰამიდიეში.

ბარასოდლი - „გვარი“ ხეხაში.

ბარბიძე//აბრამიძე - „გვარი“ იქბალიეში.

ბარდალი - ჭიქა: ასხალდი **ბარდალი** გავარდა.

ბარდნალი - ადგილი დურჩაში.

ბარდნალი - ადგილი ქართლში.

ბარდნალი - ადგილი ჩხალეთში.

ბარესამი - ბევრი: **ბარესამი** ბაღნები არიან (კირნათი).

ბარზე - მიზეზით: მარხვის **ბარზე** უძინარი ვრჩებით (ნუსრეთიე).

ბარჯგლი - რაიმესთვის გასამაგრებლად შეყენებული სარი, ბოძი. „რისამე გასამაგრებლად შეყენებული კაპიანი სარი“ (შ. ნიჭარაძე). რომ დაასობ მესარი, დასაჭერათ – **ბარჯგლი** (ქლასკური).

ბარჯი (<ბარაჟი//ბარაჯი) - კაშხალი: **ბარჯებს** აკეთებენ (მურღული).

ბასმა - ცეკვის სახეობა: დელი ხორონი **ბასმას** ისამებდენ, ერთი **ბასმა**, ორი **ბასმა** (მამურიე).

ბატონობა - მფარველობა, პატრონობა: [განაყოფის ქათამს] მამალი არ მუუშვებდა, მამალმა **ებატონებოდა** თელი მის ქათმებს (თეშვიქიე).

ბაღდათი - ადგილი ისკებში.

ბაღელმა - ვაშლის ჯიში.

ბაღვი - ბავშვი: მეორე **ბაღვი** ლიცეშია (იჯადიე).

ბაღვი - მებაღე: **ბაღვიმ** უთხრა, სა მიხვალო (კირნათი).

ბაყვი - 1. ბარკალი: სუფრაზე ნახა ქათმი **ბაყვი** (კირნათი). 2. ბავშვი: ორი შვილი, ღარჭი ვეტყვით, ჩვენ ღარჭი, თქვენ – **ბაყვი**, აჯარები ეტყვიან. შდრ. ბაღვი.

ბაშბულა - სიტყვასიტყვით მთავარი ბულა. აქ: ძლიერი: ჩვენ მთებში **ბაშბულა** იყო, ვერ მიერიენ ვინმე (ქლასკური).

ბაშკანი//ბაშქანი - უფროსი, ხელმძღვანელი: მე პოლისი ვიყავ ისტამბოლში, უფროსი, **ბაშქანი** (ჰამიდიე).

ბაშხა - სხვა, სხვანაირი, განსხვავებული: ღმერთმა **ბაშხა** დერდი არ მოგცეს; ზოგს ვგნებულოფ, ზოგი **ბაშხია**.

ბახალუმ - ვნახოთ: ისტამბულში'ნა ჩამოვდე, **ბახალუმ** (გურბინი).

ბახირი - სპილენძი: სპილენძის ფაბრიკა იყო აქა **ბახირ**, გურჯიჯე სპილენძი (ბუჯური).

ბახუმი - (თ. Bakim - ზედამხედველი): დაბერდა ისიც, **ბახუმი** არ არის (იბრიქლი).

ბახშიში - საჩუქარი: **ბახშიში** მიცემდენ გოგოს.

ბახჩე//ბახჩი - ბოსტანი: სოფელში **ბახჩი** მაქვა, ჯვეიზი და ბალი (შირინსულიე); რამე არ ვიჯები, მარტო **ბახჩეში** ასე პატინე (მურკვეთი).

ბაჯა - ბუხარი: ვესროლე, **ბაჯა** დავამზევი. **ბაჯა**, ბაცა - საკვამლე, საკვამური, ბუხარი.

ბაჯანალი - ქვისლი: ქალის დის კაცია, **ბაჯანალია** (ბორჩხა); მე **ბაჯანალი** ვარ ამისი (მურღული).

ბაჯანჯული - ძაღლის ძუძუ, გამოცანიდან: ცხრამმეტი **ბაჯანჯული**.

ბაჯალი - ფეხი: ჭლიკები მტკივა... ჭლიკები, **ბაჯალები** (ჰაჯიოსმანი).

ბაჯახსუზი - დაბალი: **ბაჯაღსუზი** ბათუმ მივდოდა (კირნათი).

ბებერად - ბებიაქალი: ებე - გურჯიჯე უწინ **ბებერად** იტყოდენ (სირეთიე).

ბებექი - ჩვილი ბავშვი, მოსაუბრის განმარტებით: ადამიანი „სუფურ - ალთი წლამდი“ - ნულიდან ექვს წლამდე.

ბეგარმუთი - მსხლის ჯიში (ისკები).

ბეგი - ბატონი, მემამულე (ქეგლ): ამსოდ კაცი არ ვარ, **ბეგიებიდან** ვარ (დევსქელი).

ბედვა (<ბედუა) - წყევლა: **ბედვა** ჩვენ დავაწერივეთ (თხილაზორი); „ღმერთმა არ გაგახაროს“ - **ბედვაა** (თხილაზორი).

ბედიავა - ტყუილ-უბრალოდ, უსარგებლოდ, ამოდ: **ბედიავა** სიარულ-ზე ბრალი ხარ (ბაგინი); იმან **ბედიავა** წევდა იქ (კირნათი).

ბეთერი - უარესი: შენ მისზე **ბეთერი** ხომ ხარ? (კირნათი).

ბეთი - ცუდი, ულამაზო: არ მოვწონდი, **ბეთი** ხარო; მეგეჩვენე თუ **ბეთი** (აივაზფინარი); **ბეთი** ზამანში მოხვედი, გიავ (ნუსრეთე).

ბეთმეზი - ხილის დადუღებული ტკბილი წვენი: იი გახდება ტათლი (ნ.) **ბეთმეზი** (ჰამიდიე). ნ. ბექმეზი.

ბეთობს - ცუდად იქცევა: ამოდის, **ბეთობს** (ჯივანი).

ბელა - უბედურება, სიმწარე: ეს **ბელა** შემემელია (კირქხარმანი).

ბელედიე - მუნიციპალიტეტი: **ბელედიეში** ვისაქმე.

ბელი//ბელლი - ცნობილი, გარკვეული: ჩახმაღიც **ბელლი** არაა ჰადმე (კირნათი); ჯერ **ბელლი** არაა (დევსქელი).

ბელქი//ბელქინ - შეიძლება, შესაძლებელია, იქნებ: ამან იცის **ბელქი** (გურბინი); **ბელქინ** წყევლაა შენ მოგივდა (ქლასკური).

ბენდელოლი - „გვარი“ ხეზაში.

ბემ - ბატონი: ჰაჯია **ბემ**, ჰა ხარ? (სირეთიე); აბულა **ბემ** რა მითხრა, იცი?

ბეილილი//ბეილი - სათავადო. სოფელ ირზადიეს ძველი სახელწოდება: ჩვენ **ბეილი** ვებნევით.

ბეჟანა ყურძენი - ყურძნის ჯიში: (რ)თვლის ოდესაც არი. ერთიც არი, **ბეჟანა ყურძენი**.

ბერექეთლი - ბარაქიანი, უხვი: **ბერექეთლი** კეთდება (დევსქელი).

ბერიძე - გვარი ზედა ქლასკურში.

ბერობა - ასაკოვნები, მოხუცები: დასაქორწილებელი არვინაა, **ბერობაა** უმფო.

ბერძნევის ლელე - ლელე ზ. მარადიდში.

ბერძნეთი//ბერძნევი - ადგილი ზ. მარადიდში.

ბექარი - უცოლო, დაუქორწინებელი, გაუთხოვარი: დიდი დაქორწინებულია, პაწა ბექარია (შირინსულიე); ერთი გოგო ბექარია.

ბექმეზი - ნ. ბეთმეზი

ბექრობაში - დაოჯახებამდე, დაქორწინებამდე: ბექრობაში ზორ დილიდან სალამომდი მისამია (ისკები).

ბემიბილი - ოქროს მონეტა, ძველი ფულის ერთეული; სამკაული: ბემიბილი ყიაზე დეჟვიდავ.

ბემლული - ხუთიანი, ხუთერთეულიანი: თეთრი გულზე ბემლული დათვალე ათიმია (ერეგუნა).

ბემაუზ - ხუთასი: ბემაუზ იმახიან (მარადიდი).

ბემაუზ იქი - ხუთას ორი.

ბეჩი - სულელი: ორი ბეჩი შუუგდიან (დაბა ყარაფურჩეკი).

ბეძგება - აქეთ-იქით მოძრაობა: ხუთი ძმა არიან, ერთმა ებეძგება (გამოცანიდან - საქსოვი ჩხირები).

ბზე - 1. მზე: ასე მალე ბზე უნდანან ბაღნეფ. 2. ბზე - ხორბლეულის მარცვალგაცლილი თავთავი: ბზე უმახით ამას.

ბიბერი - პილპილი: ბიბერით ტოლმას ვაკეთავთ (ბაშქოი).

ბიბი - მამიდა: ჩემი ბიბი ბალაკინი იქ არი (ნუსრეთიე).

ბიბიაჲ - იგივეა, რაც ბიბი: ჩემი ბიბიაჲ იქ გათხოვდა (ერენქოი).

ბიბიაშვილი - მამიდაშვილი: ბიბიაშვილი მეყვანება (დევსქელი).

ბიბილი - პიმპილი: ბოსტანში ჩემი დინენემა დათესავდა: ფხალი, ლობიო, ბიბილი დათესავდა.

ბითუმ - ყოველთვის, მუდამ: რატონ მეკარქვიან ბითუმ ჩვენ დანა აგზე (კირნათი).

ბილა//ბილე - ც, ც(ა), ც კი ნაწილაკი: ჯაჭვი ბილე იყო (ლუთფიე); წყალი ბილე არ დამალევიენო; შორვა ბილა კეთდება (ადაგული).

ბილანდულა - ძველებურად: ბილანდულა აღარ ვთესავთ (ქირქხარმანი).

ბილევი - სალესავი: უსტურა და ბილევი, ვიწვი შენთვის ვილევი (ჯივანი).

ბილეზული - სამაჯური: მომიტანეს ალთუნის ბილეზულები (ნუსრე-თიე); ნიშანი არი ბილეზული (ხება).

ბიმბილი ძირი - ადგილი ჩხალეთში.

ბინ - ათასი: ორი, ორნახევარი ბინი არი (ჰამიდიე).

ბინ სექიზ აუზ სექსან უჩ - ათას რვაას ოთხმოცდასამი: [მოვდენ] ბინ სექიზ აუზ სექსან უჩ წლის წინ (ლუთბიე).

ბინა - სამირკველი, შენობის სამირკველი: დღეს ჩვენ გევდეთ იქა, ბინაჲს აერზე (კირნათი).

ბირ - ერთი: **ბირ** ად სონრა მოვდა (მურკვეთი).

ბირ ბუჩუხ - ერთნახევარი: **ბირ ბუჩუხ** საათ'და წევდე'ნა (=საათნახევრის შემდეგ უნდა წავიდე) (თხილაზორი).

ბირემედენი - უცხად, უეცრად: შენ ბრალი ხარ, გადაგადეს **ბირემედენი** (ელმალი).

ბირინჯი - **ბრინჯი**: სარმა **ბირინჯით** ვიქთ, ხორცი არ ვიცით (სირეთიე).

ბლაცვი - 1. სულელი, გულუბრყვილო, მიამიტი. 2. მეტსახელი კაცისა.

ბლევლი - ადგილი ზ. ქლასკურში.

ბლიძირი - ადგილი ქართლაში.

ბობი - სპორტ. შარვალი: **ბობებს** ჩვენ სოფლიერები არ ჩეცვამსა (ნუსრეთიე); შადაღის ფანთოლონი, **ბობს** შალვარს ვუძახით (ნუსრეთიე).

ბოგნარის წყალი - წყარო ქართლაში.

ბოდგე - მეტსახელი კაცისა (შდრ. დოდგე - მანქანის მარკა)

ბოდიები - ხატილური „გვარები“ რიშადიეში.

ბოვრი - აქ: ძალიან: ჩემი თავი ამ სოფლიერს **ბოვრი** უყვარს.

ბოვრი - ბევრი: წვიმა მეემატა, **ბოვრი** წვიმს. წინანდელზე **ბოვრია**, ჰამა თოვლი არ თოვს, წინ **ბოვრი** გათოვდებოდა. ნ. ბოული

ბოია//ბოია - საღებავი: **ბოია** შავი ქონდა, ყათრანი (ხეზა); **ბოია** ახლა ერთი მილიარდი ღირს (გურბინი).

ბოინე//ბოინე//ბოინა - განუწყვეტლივ, მუდამ: **ბოინე** წავალ (ნუსრეთიე); **ბოინა** სმენ, რა საქმე აქვან? (გურბინი).

ბოლათ - ბლომად: ამას **ბოლათ** ღორის ხორცი უჭამია (ქლასკური).

ბოლაქი - იქნებ, შეიძლება: ოსმანას ქალმა გამატანეს, **ბოლაქი** გაყიდავო ვაშლი (კირნათი); **ბოლაქი** მექნებიან (ჯივანი).

ბოლუქმაში - მეტსახელი კაცისა.

ბორელი - ნიგვზიანი ნამცხვარი.

ბორჯი - ვალი, სესხი, დავალიანება: ამ კაცსა თუ **ბორჯი** აქვანან (ავანა).

ბოსლევი - ადგილი ქართლასთან.

ბოსლოვანი//ბოსლევანი - ადგილი ქართლაში.

ბოტი - მამალი თხა: „თხის მამალი კოტოდა, შავშელემა **ბოტი** ეტყვიან“ (მოუბრის განმარტება – ჩამწ.); **ბოტები** დაკლეს (ქლასკური).

ბოული - ბევრი. ნ. ბოვრი. საქმელები-მაჰმელები იქნებოდა **ბოული** (მარადიდი).

ბოქმა - მსხლის ჯიში: **ბოქმა** სხალი აჭარიდან მუუტანიან (ავანა). შდრ. აჭარული **ბოქმუა** (შ. ნიჟარაძე).

ბოშინე//ბოშინა - ტყუილ-უბრალოდ: **ბოშინე** ნუ მიყურავ; **ბოშინა** ნუ გეზარსუნ, გუზელ სანა ათურ ვარ (ნუსრეთიე).

ბრაზიმოლი - ჭინჭარი.

ბრალი - შესაბრალებელი: შენ **ბრალი** ხარ, და (ქირიმითი).

ბრეწველი - ბროწეული: **ბრეწველი** არი, იცი თუ **ბრეწველი**? (ნუსრეთიე).

ბრონშიტი - ბრონქიტი: ჩემსასაც **ბრონშიტი** ქონდა (ბაგინი).

ბუდუხეთი - ადგილი ზ. მარადიდში.

ბუზდოლაბი - მაცივარი: მაწონ უზამ, **ბუზდოლაბში** შეინახ (ისკები).

ბუკი - პირისახე, სახე: **ბუკში** მიცინის, უკნიდან რა ვიცი, რას მიჯება (სირეთიე); აქ **ბუკში** მირტყამდა მუჭელიმმა (ნუროსმანიე).

ბუკომპრალი - სალანძღავი სიტყვა. ბუკი - პირი. გად. უპირო: **ბუკომპრალი!** (ბაგინი). შდრ. უცხვირპირო.

ბუკნათელაი - ძროხის სახელი.

ბულაშუდი - საპნის სახეობა: **ბულაშუდის** საპონი არი (გურბინი).

ბულდუნჯი - მსხლის ჯიშია. შდრ. აჭარული **ბულდუჯა** (შ. ნიჟარაძე), **ბულდუჯა**.

ბულუთი - ღრუბელი: ცაში **ბულუთია** (ნუროსმანიე).

ბუმბული - მატყლი, ბეწვი: მოქსოვილი წინდა ცხვარის **ბუმბულიდან** (ნუსრეთიე).

ბუიუქ - უფროსი: ჩემ **ბუიუქ** დედე (= დიდი ბაბუა) არ მოკდა (აივაზფინარი).

ბუიუქლი - უღვაშებიანი (ლოქო, მურწა) თევზის სახეობა (ხება).

ბუიული - უღვაში: **ბუიული** აქვა, მაღალია (გურბინი).

ბუიული - უღვაშიანი.

ბურბე - ნიგვზიანი ნამცხვარი.

ბურღაი - მცენარის სახეობა, ბულღო: **ბურღ** ვეცყვით, მოლია, აყიროს ფოთლებსავენ (ისკები).

ბურღნალი - ადგილი ისკებში.

ბურჯგელაი - მეტსახელი კაცისა.

ბულა - ხარი: **ბულას** დავკლებდით ქორწილზე (აივაზფინარი).

ბულარეთი - ბაგინის უბანი.

ბულდაი - ხორბალი: ის ბედელია. . . **ბულდაი** დავყრიდით (ქირიმითი).

ბულღეთი - ადგილი დურჩაში.

ბუშლული - ადგილის სახელია: თეთრი გულზე **ბუშლულა**, დათვალე ათიმია. შდრ. **ბუშა** - „შემოდგომაზე ჩათესლებული და გაზაფხულზე თავისით ამოსული კარტოფილი, ნიორი, ხახვი და მისთ“ (შ. ფუტკარაძე).

ბუცება - ყურება: საღამოს ნენეს **ებუცე**, მე კაცს **ვებუცები**, ვყყურავ (სირეთიე); ახლა კაცი დგას და ბოსტნისკე **ებუცება** (ქართლა).

ბუცუნაკი - მწერი, ქინქლა: **ბუცუნაკებმა** რომ შეჭამა, მერე მოვდენ ამკენ (ნუროსმანიე).

ბუჯალი – კუთხე, კუნჭული: შევხედე, რომე ერთი კაცი არი მიწოლილი **ბუჯალში** (კირნათი).

ბუჯერი - ბუდე: ქათამმა დებს **ბუჯერში** [კვერციხი] (ნუროსმანიე); ათას ხუთასი კვერციხი ქათამმა დებს **ბუჯერშიო** (ავანა).

ბუჯურელა - ვაშლის ჯიში.

ბუჯური - სოფელი კლარჯეთში.

ბღავრათი - ადგილი ქლასკურში.

ბ

გაალამაზავ - გაალამაზებ: ახლა ეძღებ, კალაიჯის მისცემ, მოკალავს, **გაალამაზავ**, საპონით გარცხავ...

გამაყება – გადიდგულება: **გამაყდა** და თახსინასთან ვერ გუუთია (კირნათი).

გახმებდა - გაახმობდა: კაკალი და წაბლი **გავახმებდით**, ზამთარში შევნახდით...

გაბეთება - გაუშნოვება: თუ გიყვარს ინსანი იგი სულ ლამაზი არი, არ **გაბეთდება** (დევესქელი).

გაბრაზება - აქ: გაფუჭება: „**გაბრაზდა** - რაცხა სუნს მიცემს, იგია“.

გაბრიალება - გაფრიალება: ნაჭარი (ნ.) თუ ქონდა, **გუუბრიალებდით** (ნუსრეთიე).

გაბუტილი - გაბუტული: **გაბუტილი** არიან და რამე ვერ აკეთეფს ხოშ!

გაბღეზება - გაჯავრება, გაბრაზება: ხოჯამ **გაბღეზდა** (თხილაზორი).

გაგდება - მიტოვება, დატოვება: კაცი გყავს, თუ **გააგდე**?

გაგნება - გაგება, მიხვედრა: **გააგნებენ**, ვერ ლაპარაკობენ; ერთი რაცხა ჰექიე **გაგაგნებო** (ჰამიდიე).

გაგნობილი - გაგონილი: ჩვენ ყურიდან **გაგნობილი** მახსოვან (ჰამიდიე); ჩვენ ყურიდან **გაგნობილი** მახსოვან, დედედან, ნენედან...

გაგროვილი - გაგონილი: ყურიდან **გაგროვილია**, დიდვანებიდან გაგონილი (ჰამიდიე).

გაგულიანება - გაბრაზება, განრისხება: ჩემი გელინის ბაბოძს ნენეა **გაგულიანდებოდა** (ჯივანი); მალ **ვგულიანდები** (ქართლა).

გადაგდება – გაცურება, მოტყუება ღალატი (ქეგლ ახ.): ბაღნებმაც ტადა არ **გადააგდეს** (ქირიმთი).

გადათურქული – გათურქებული: თლათ გურჯები არ არიან, **გადათურქული** არიან (ავანა).

გადაკარება – გადაკარგვა: ხარები იბუდლებენ, ვერ გაარიგებენ და **გადაკარდებიან** (ქართლა).

გადაკნეტა – გადაკვნეტა: თხამ შევდა და ფიდანო (ნ.) **გადაკნიტა** (ხება).

გადარევა - შერევა: გურჯიჯა **გუდუურიით** ჩვენ.

გადარეული - შერეული: ჩვენი ქართული **გადარეულია** (დევისქელი); **გადარეული** იფერხულებენ (ბუჯური); ჩვენი ლაპარაკი მოშლილია, თურქა **გადარეულია** (დევისქელი); გოგოს [სახლში] ათი კაცით ქალი **გადარეული** წებვალ.

გადარეცხვა - წაშლა: **გედეარეცხა** ჩვენი გურჯიჯე (ქირიმითი).

გადატანება – შეწუხება: იმ ძროხებმა **გიდიმიტანეს** (კირნათი).

გადატრიალება - შეცვლა: **გადავატრიალე** ქოროლაჯალი ქართულიდან თურქულზე (გევრი); ბაღები გიმიჩდენ, თურქეზე **გადავატრიალეთ**.

გადაფერება - გადარქმევა, შეცვლა: ამას კოკოლეტხევი ქვია, გოგონალეთი ყოფილა, ახლა **გადუფერებიან** (ბუჯური).

გადაყლონწვა - გადაყლაპვა: შუტი **გადამაყლონწიე**... იქ აკეთებენ, ჭამე.

გადაწყვედა - გადაწყვეტა: იმის დრო **გედეიწყვიდება**.

გადელეება - გასულელება, გაგიჟება: პირველად რომ იყო, ისე არ **გადელეებულა** (ელმალი); ამის ბაბოდ ბაირამზე **გადელდა** (კირქხარმანი).

გადმოზავება – გადმოყრა: [ქათამს] თაროდან ყველამფერი **გადმუზავებია** (კირნათი).

გავრული (<გიავრული) – ურჯულოს საკადრისი: იქ რაფერია, თურქული **გავრულია** (ნუსრეთიე).

გაზენგინება//გაზენგილება - გამდიდრება: ერთათ **გავზენგინდეთ** (ბუჯური).

გაზორება - გამწვანება: ახლა ცოტა **გაზორდა** იქა (ნუროსმანიე).

გათევა - გამღება: ამდენ ხანს ვერ **გუუთევს**; გამოზაფხულამდე ჭანურად სხალი **გუუთევს** (ბუჯური).

გათემიზება - გაწმენდა, გასუფთავება: გუუფაქებენ, **გათემიზებ**, გაასუფთებენ (ნუსრეთიე).

გათხელება - გადატ. დაღლა, დავიწყება: **გიმიტხელდენ** თავი.

გათხოვნა - გათხოვება: **გათხოვნა** მადლია (სირეთიე).

გაკითხვა - 1. მოკითხვა: თქვენი თავი **გეკითხოთ** (ირშადიე). 2. შეკითხვა: ხოჯამან **გაკითხავს** [ხალხს], ად კად იყო, ჰელალი უყავით (ელმალი); რამე დასწავლა თუ გინდა, **გამკითხე** (რიშადიე). 3. გამოკითხვა, შეტყობა: რაცხადა **გაჰკითხონ**.

გალეწილი - ადგილი ზ. ქლასკურში.

გამეერს - გამო, გულისთვის: მე ხმარვა არ ვიცი, **გამეერს** ღარჭებ ვაშველიეფ (სირეთიე). შდრ. აჭ. გამედეს (შ. ნიჟარამე).

გამევარე - გამოვიარე: ღია გჩება ბითუმ, **გამევარე** და მივძარი.

გამერჩხლება - გამერჩხრება: ჩერგნა ქალების ამბავია, გაშირვალება, **გამერჩხლება** (ქლასკური).

გამოგზანავს - გამოგზავნის: ჰუქუმეთი **გამოგზანავს**, არ შეინახვენ, გაწმენდენ.

გამოდრიკვა - მოხრა, მოდრეკა: ახლა დაბერდა, **გამედრიკვა**; წელებზე ტანგოები მიეზმენ, **გამედრიკვის** (ქართლა).

გამოზაფხული - გაზაფხული: მარტი **გამოზაფხულია**, ჭიჭყინა (თხილაზორი); ნენედ **გამოზაფხულზე** მოკდა (ისკები). შდრ. აჭ. გამოსული (შ. ნიჟარამე).

გამოკოჭვა - გამოსკვნა რაღაცის: მახარებელმა კაკალი მოთხოვს, ბაქლავა მოთხოვს, **გამოკოჭავს** (ხება).

გამოპანტვა - გამოფანტვა, გამოყრა: ჩვენები **გამოპანტენ** იქიდან (შირინსულიე).

გამორთვა - გამოშლა, გამოღება (რისამე): **გამურთვა**, გამურთვა, ჩავარდა [სახლი] (ქირიმითი).

გამოტყვილება - გამოტყუება: მე ღარჭი ვიყავ, **გამომტყვილეს** (ბაშქოი).

გამოფესა - (?): დედამთილი ნეფესა, თვალი **გამეგეფესა** (თხილაზორი).

გამოღება - ფოტოს გადაღება.

გამოშენება - გავრცელება, ხმარებაში შემოსვლა (რაიმე საგნისა): ახლა ესენი **გამოშენდა** (გურბინი).

გამოშპობა - გამოვარდნა, წასვლა: ერთი'და **გამოშპე** რემეზანში (მურკვეთი); ქოშებ **გამოშპა** (ქირიმითი).

გამოწევა - ფოტოს გადაღება: **გამომწე** (ჯივანი).

გამოწურება - გამოწევა, ახლოს მოწევა: **გამეწურე**, დასველდები (ქლასკური).

გამრეობა - შერევა: ქალები კაცებთან ვერ დაჟდებოდენ, **გამრეობა** არ იყო ზათინ (ქლასკური).

გამურთქმებენ - გამურთქვამენ: მერე სიძეე მოვა, იმას **გამურთქმებენ**, იმას ფარა არ ექნება, მურთქანეთო.

გამურმცხადეს - გამოუცხადეს: რემზიმ, წაყვანა რომ თქვეს, რომ **გამურმცხადეს**-და გაყვიტდა...

განაყოფი - 1. მეზობელი: **განაყოფებმა** მურთქანეს საჭმელები (ავანა); **განაყოფის** ქათამი ჩვენ კარში არ მოვდოდა (ქოშკი). 2. ნათესავი.

განიავება - 1. წასვლა, მოშორება: **განიავდი** აქიდან (შირინსულიე). 2. მიმოფანტვა: ქათმებმა **განანიავეს** კაკალი.

გარგანი - 1. ცომის გასაყვანი ჯოხი, „ოხლავა“: მოვზილავთ ცომსა პური ფქვილისა, **გარგნები** გვაქვა, თურქია „ოხლავას“ ვუძახით...2. ჯოხი. შდრ. არგანი: ქეშიშები (ნ.) **გარგან** დაარტყამენ (ქართლა).

გარეთ გასული - ცნობილი: **გარეთ გასული** კაცი იყო (დევსქელი).

გარეთ//გარიეთ - გარდა: ქლასკურელი არ ილოცავს ჯუმა-ბაღრამის **გარეთ**; ვენახში ჰიჩ რამე არ არი, კაკლის **გარიეთ** (ნუროსმანიე).

გარეთვანი - შორებელი, არაახლობელი: **გარეთვანებმა** უთხრეს.

გარეთიდან - შორიდან: კითხვა გააგდო, **გარეთიდან** კითხულობს (იჯადიე).

გარიბანი - ღარიბი: აქავრები თლათ **გარიბანები** დარჩონილან, უფაროები.

გარიგება - 1. მიხვედრა, გაგება: ვერ **არიგებენ**, გურჯი ვარ და ჩემი ლაპარაკი ვერ **არიგებენ**; ჩემ ღარჭებმა (ნ.) **არიგებენ**; გენჯების საქმე ჩვენ ვერ **გავარიგავთ** (ისკები). 2. გაყოფა: ერთ სახში ბევრი ნაყარი თუა, **გავარიგებენ** (ელმალი).

გარიგებული - გამოყოფილი, გაყოფილი: ამის ბიჭები, ორი ძმა, **გარიგებული** არ არიან (ავანა).

გარში - გარეთ: თვალეები **გარში** ქონდა (ნუროსმანიე).

გარცხა - გარეცხა: ნავთიანი, **გუურცხელი** დანა მომცა, სხალი ხოშ ვერ გავთლი ამ დანად?!

გასაქმება - ამუშავება: წისქვილი ავასაქმე, **გავასაქმეთ** (ელმალი). (ნ.) ასაქმება.

გასველება - დასველება: ჰიქმეთია განა! წუხელ **გასველდით**, გო?

გასივება - გასუქება: დაჟდომილ დერში **გასივდება** (ირშადიე).

გასხნა - გახსნა: თქვენი სოფელიც ლამაზია, ჩემიდან, აქიდან წამოვლენ, იქ **გასხნეს** საქმე.

გასხრეკა - გაგდება: ენ პაწად ბაბას **გუუსხრეკია** ოჯახიდან, ოჯახს ძმებურათ არ აკეთებსო და გუუგდია.

გატეხვა - 1. მარხვის დარღვევა: ეხანი იქნება, **გატეხავ** [რამაზანი], მემრე დასლულია (დეესქელი); 2. კალოს **გავტეხვედი**, ვისეირებდით (ნუსრეთიე).

გაფარჩვა - გაგლეჯა: ძალღ **გაფარჩავს**, გააგდებს მგელი.

გაფაქება - 1. გასუფთავება: **გუუფაქებენ**, გაათემიზებენ, გაასუფთებენ (ნუსრეთიე); 2. წასვლა, მოშორება: ძროხას ვეტყვი: **გაფაქდი**, წადი! (ჯივანი); 3. წყევლა: მოსპობა: ღმერთმა არ **გაგაფაქოს** შენ! ღმერთმა გაქცვითოს, **გაგაფაქოს** (ჯივანი).

გაფენა - გაშლა: გუუყარა და **გუუფინა** (ქლასკური).

გაფერება - მოხერხება: ერთმა თქვა მეგერ: იმ გოგოს ვთხოვნილობ, არ მაძლევენ, **გააფერე**.

გაქანება - მიწისძვრა: ზელზერეს მერე ამუელით, რომ **გვექანეთ**. . . (მურკვეთი); ოთუზ სენე არ ვიყავით აქა, რომ **გვექანეთ**, მემრე ამოვედით.

გაქვან - გაქვთ: შენ სახლიდან გადასახადი არ **გაქვან**, ხუთი ოდალი სახლი გქონებია?

გაქვანან - გაქვთ: თქვენ ფული **გაქვანან**, ჩვენ ფული არ მაქვანან.

გაქნევა - გადაგდება, სროლა: მისმა კაცმა მეგემ წყალში **გაქნია** (ქირიმითი).

გაქორება - გაღწევა(?), ბზის გამოყოფა ხვავისაგან: პურს **გაქორებენ**, აგინი ბზეს ეტყვიან (სირეთიე).

გაქცევა - ქალის, საცოლის მოტაცება: რომ არ მიცემდენ, რას იზამდენ? **გააქცევდა!** ჩემი ემოს შვილმა ერთი გოგო **გააქცია** (ჰამიდიე).

გაღმა ბოსტნები - ადგილი ადაგულში.

გაღმა ყანა - ქართული ტოპონიმი ჰამიდიეში, კლარჯთა სოფელში.

გაღმობანი - დევსქელის უბანი.

გაღმობანის მეჭელე - ადგილი დევსქელის ხეობაში.

გაყირმიზება - გაწითლება, გადატ. შებრაწვა: პური **გავაყირმიზეთ** (ერენქოი).

გაყირმიზებული - გაწითლებული, გადატ. შებრაწული: მიერე პური მოგიტანო, **გაყირმიზებული** (ერენქოი).

გაყრა - 1. დატოვება: ბაბოდ **გავყარე**, ამასთან წამოველ (ბაგინი); შორ არ წევველ, არ **გავყარე** ანად და ბაბოდ (ქართლა). 2. გაყოფა, გაყრა: მექთები **გედაყრა** ძარენ, გაათავენ (დევსქელი).

გაშვება - დატოვება: კახაბერში გადაბარგილი ვარ, უწუუსლელი არ იქნება, საკარმიდამო ხომ ვერ **გააშვევ** მარტოდ.

გაშვილი - გაშვებული: რომ **გაშვილი** იყოს, გეტყვი.

გაშირშვალება - გამარგვლა: ჩერგნა (ნ.) ქალების ამბავია, **გაშირშვალება**.

გაჩარვა - გაკეთება, აშენება: სახლი **გაჩარვა**, აქ ქირაზე იჯდა (ნუსრეთიე).

გაჩვევლი - მიჩვეული: დილას ჭამაზე **გაჩვევლი** ხარ?

გაჩვილება (გულის) - აჩუყება: ღმერთმა **გული** გიგიჩვილოს (მურკვეთი).

გაჩხიკება - გახმობა: მოვზილავთ ცომსა, რომ არ **გაჩხიკდეს**, ყაბებში (ნ.) ჩავაწყობთ (გურბინი).

გაძაღლილი - გაძაღლებული. გადატ. შეწუხებული, დაღლილი: აქავრი გოგოები ჩალიშიდან (ნ.) **გაძაღლილი** არიან (ქლასკური).

გაძვირება - ცნობილი მნიშვნელობის გარდა, გაბრაზება: **გაძვირდა** ხოჯა (ლუთბიე).

გაწევა - 1. გაძლება: თეთრი ვაშლი მაქ - დაღპება, ბევრ არ **გაუწევს** (ბუჯური). 2. გაგრძელება: გზა იქი საათ **გააწევს** (ადაგული) (გზის გავლას ორი საათი მოუნდება).

გაწელვა - გასწორება (მიცვალებულის), გაწყობა: **გავაწელავთ**, რომ მოკტა ონაგორა (ნ.) ვიქავთ (ავანა).

გაწვადება - მიშვერა (თოფის), დამიზნება, სროლა: თავრობა ვერ გეძვლიდა აქა, **გაუწვადებდენ** თოფები, მოკლიდენ.

გაწიკვა - გატანა, გაზიდვა: ვინცამა დაღობა, იმა **გააწიკვიე** მაგ ნეხვი (დევსქელი).

გაწყობა - მოწყობა, დაფუძნება: ეს სოფელი დედეს **გაუწყვია** (ქირიმითი).

გაჭრილი - ადგილი ზ. ქლასკურში.

გახოცვა - 1. შემშრალეზა, გამშრალეზა: ბიჭო, ოფლი **გეზოცე** (სირეთიე); 2. გაწმენდა: ვინახავ, **გეზოცო** თუ? (სირეთიე).

გახსნა - გაკაფვა ტყის: ტყე **გუუხსნიან**, ბოსტნები გუუკეთიან...

გაჯლაცნა - გათელვა: რაფერ **გაჯლაცნა** თუთუნები! (კირნათი).

გაჭერსება - გაბრაზება: **გაჭერსდებოდა**, მუუფერებდი (გურბინი); **გაჭერსდე**ნა, რომ დავწყევლო (ჯივანი); ჭუხ. . . ჭუხ. . . **გაჭერსდა** (ქლასკური).

გევეზობა - ქორწილში ქალის მყრონის ჭირვეულობა, იგივეა, რაც მყარჯობა (ნ.): მყარჯობა, **გევეზობა** ძველებმა იქმოდენ (ლუთბიე).

გეველი - სოფელი ისტორიულ კლარჯეთში: **გეველი** მარულ დათესავს (ავანა).

გევრიანი - (თ. Gever - წყალი) წყლიანი: ოზმანი შამოვლობე ბუჯურა, **გევრიანი** (ერენქოი).

გეზმე - სეირნობა, დათვალერება: მოსაფირი იყო და მივა, **გეზმე** მოვლაზე მოვდენ (გურბინი).

გეიჩ ხოჯა - (შდრ. **გეჩიჯი** - დროებით დანიშნული) დროებით დანიშნული ხოჯა: ბიჭი ისტამბოლ **გეიჩ ხოჯაა**, სახლი გაჩარვა (ნუსრეთიე).

გელდი - მოვიდა: რა ვქნა, ბიბი, **გელდი**, **გელდი**! (ერენქოი); დორთ თანე ბაინ (<ბაიან) **გელდი** (ნიმეთიე).

გელინი - 1. რძალი, ვაჟიშვილის ცოლი: **გელინები** კაი მყავს. 2. პატარძალი, დედოფალი: **გელინი** რომ მამამისის სახლიდან გამეფყვანდენ და კაცის სახში მიიყვანდენ... ძალი აქ ეტყვიან, **გელინი** იზნიქის სოფლებში ვეტყვით (ირმადიე).

გელინლუდი//**გელინლიკი** - საქორწილო, საპატარძლო სამოსი.

გემიჯი - მეზღვაური: გზაზე შეეყარა ერთი **გემიჯი** (კირნათი).

გენიშლამა - გაფართოება: **გენიშლამა**...აკეთებენ, გზას ადიდებენ (იბრაქი).

გენჩი - ახალგაზრდა: **გენჩები** მოვდოდენ, ახლები (ზაგინი). იგივეა, რაც **გენჯი**: ახლანდელი გენჯები არ მოგეხმარებიან (ერენქოი).

გენჯალა კარი - ადგილი ებრიკაში.

გენჯალები - ლაღაბი აივაზფინარში.

გერყალან|| <გერი ყალან - დანარჩენი: **გერყალან** კად სულალე არიან (ქირიმითი).

გერჩექ - მართლა, ნამდვილად: **გერჩექ**, რამითი კილო'ნა დარიგდეს წრევს? (კირნათი).

გვალი - მრგვალი: ძიდან ასე **გვალი** ყველი ვაკეთებდით (ქლასკური).

გვალი ნაპირი - ადგილი ზ. მარადიდში.

გვალიქედი - ადგილი მარადიდში.

გვარამეთი - ადგილი ქლასკურში.

გვერდი – კიდე, განაპირა: მანქანით **გვერდ** აერებს ვჭრით (ჰაჯიოსმანიე).

გიაგ - მოწონების, აღტაცების გამომხატველი შორისდებული: მააგორე, მააგორე, **გიაგ!**

გითხრავ - გეტყვი: ვიცოდე, **გითხრავ**, მოლასაც **ვუთხრავ**, დილავერის აეგანია.

გისხენებ - გეუბნები: კედელო, **გისხენებ**, გელინო, შენ გესმოდეს.

გააური - ურჯულო: დეიძინოს ჩემი **გააურმა**.

გობიყანა - ადგილი ზ. ქლასკურში.

გოგლიეთი - ბაშქოის უბანი.

გოგნარი - ადგილი ქართლაში.

გოგონალეთი - ადგილი კლარჯეთში.

გოგოცური - ადგილი ქართლაში.

გოგრები - ბორბლები: **გოგრები** ჰალა არიან, ძველი, ძველი **გოგრები** (ელმალი). შდრ. აჭ. გორგოლა, გორგლები.

გოდორა - მეტსახელი კაცისა ისკებიდან.

გოლახორა - 1. ადგილი ქართლაში. 2. ხატილას დაილა.

გოლი - ტბა: დიდი **გოლია** (ჯივანი); აჯი **გოლი** – წარე წყალი (მურღული).

გონჯალოდლი - „გვარი“ ზ. მარადიდში.

გონჯი - ცუდი: რუსები **გონჯი** არ არიან; ჰიჩ **გონჯი** არ ვიტყვი (სირეთიე).

გომა//გომამ - ვითომ, თითქოს: **გომა** მკალი'და მოკლას, ძმამ მუუკლია (მურღული); **გომამ** აქ არც'და ამოვსულიყავი (კირნათი).

გორა - ადგილი ისკებში.

გორგავლი ზ. - ადგილი ქლასკურში.

გორგავლი ქვ. - ადგილი ქლასკურში.

გორგვილ წინდა - ადგილი ქართლაში.

გორგიანი - ქართული: რუსული არა, **გორგიან** არი, „იმედი“ არი (ბუჯური). (მოსაუბრე გულისხმობს ქართულ ტელეარხებს).

გოროხ ყანა - ადგილი ქართლაში.

გორუმი//გორუმჯა//გიორემჯე - მული: **გიორემჯე** – კაცის და, მული, თურქჩე – **გიორემჯე** (ირმადიე); კაცის და – **გორუმი**, **გორუმჯა**, მული (ხება).

გუბრე - ნეხვი, ნაკელი: **გუბრე** წევღებ ბახჩაში (გულდიბი).

გუგუმი - თუნგი (სპილენძის): წყალი გაათფოვ **გუგუმით** (ბაგინი).

გუგუსერის წყალი - წყარო ქართლაში.

გუგუცური - ადგილი ქართლაში.

გუდიანი - მაჭახლელების მეტსახელი.

გუზელი - ლამაზი: ჩოქ (ნ.) **გუზელია** (ერენქოი).

გულბეძე – ძროხის სახელი: ი სულ თეთრი (მთქმელის განმარტება) (ქართლა).

გულეზი - „გვარი მეღანააზში.

გულიეთი - ადგილი ზ. მარადიდში.

გულის გაკოჭვა - გულის შეღონება: ჩევევი, მარა **გული მეკოჭვის**, სიხინთი მერევა.

გულისა – სასურველი: ამის **გულისას** ნუ ლაპარაკობ (ნუსრეთიე).

გულიყანა - მთა.

გუმანიძე - გვარი ზედა ქლასკურში.

გუმიში – ვერცხლი: სიტყვა **გუმიშია** (ქირიმითი).

გუნ – დღე: ონ ბემ **გუნ** მოვალ (ზაგინი); ონ აედი **გუნ** ვიყავით (ჯივანი).

გუნევრად – ვაშლის ჯიში (ჰაჯიოსმანი).

გუნლუგი - მზიანი: აედი **გუნლუგი** იყო, წევდა, წეყვანა შვილმა (აივაზფინარი). შდრ. აჭ. გუნეული.

გუნნაა – (?) მისი ხმა **გუნნააა**, სიხინთში ვარდება (დევესქელი).

გურბინი - სოფელი კლარჯეთში.

გურჯი – ქართველი: სამოცი სახლი ვართ აქ **გურჯი** (ჰამიდიე).

გურჯილა - ქართული შდრ. გურჯიჯა.

გურჯისტანი - საქართველო: თურქეთი დადენილია, **გურჯისტანი** რაფერაა, არ ვიცი.

გურჯიჯე//გურჯუჯე - ქართულად.

გულუგზანებენ - გაულგზანთან: მოწონდება გოგო-ბიჭი, აშილი გახდება, ელჩ **გულუგზანებენ**.

გუშინეზე - გუშინ: მარადიდ არ გევედა იმან **გუშინეზე**?

დ

დააბურებს - დახურავს: იმას ზედდან ყაფალი დიდი, მძიმე **დააბურებდენ**...

დააშიკება//დააშილება - არშიყოზა, ტრფიალება: გოგვები და ბიჭები მეყვებოდენ, **დააშიკებოდენ** (აზიზიე); **დააშილებენ**, **დააშილა** ჩემმა ბიჭმა, ისე მეყვანა (სირეთიე).

დაბდნა – დათხრა, მოთხრა: ვიცოდე, ალთუნი სად არი-მეთქინ, იქავროზას **დავბდნი** (ბუჯური).

დაბება - ჩუქება (ნეფე-პატარძლისათვის, უფრო პატარძლისათვის ტანსაცმელზე ფულის მიმაგრება): ფულები **დააბებენ** ბიჭს, გელინს დააბებენ, მეხმარებთან.

დაბელვა – გად. ძლიერი ცემა, მისიკვდილება: ჩემი დედედ დათვმა **დაბელა** (ქირიმითი).

დაბეჭვა – ცემა: ათზე მეტმა კაცმა ძვილად დედკავეს, ხუთი-ექსი **დაბეჭვა** (ელმალი).

დაბეტკნილი – დატკეპნილი: რაფერი **დაბეტკნილია**, ხედავ? (კირნათი).

დაბერება - შეშინება: **დაბერდებიან**-და, **დავბერდით** (საფულარი); რუსიდან **დავბერდით** (ისტამბულ დერე).

დაბლა ზეგანი - ადგილი დურჩაში.

დაბლითაი – ქვედა: მომიტანეს ჩასაცმელები: მაღლითაი, **დაბლითაი** (ნუსრეთიე).

დაბმა - 1. სამკაულის შებმა: ალთუნი **დააბამენ**, ფულები მიცემენ (ჰამიდიე); 2. დაჭერა, დაპატიმრება: დედეს ბევრი ფული დუურჩა, ბანკაში არ წევდა, **დამაბმენო**.

დაბრაწება – დაწვა, გადნობა: ფურების ერბოს პატინა ხანს **დავაბრაწებთ** (გურბინი).

დაბუდლება – გაბრიყვება, გასულელება, აქ: ჩხუბი, რქენა: ხარები **იბუდლებენ**, ვერ გაარიგებენ და გადაკარდებიან (ქართლა).

დაბურვა//დაბურება – დახურვა: ყაფალი (ნ.) დიდი, მძიმე **დააბურებდენ** (ჰამიდიე).

დაბზგალვა – დამტვრევა: დღეს წეაქცა, ცხვირ-ბუკი **დეაბზგალა** (კირნათი).

დადგმა – დაფუძნება: ეს სოფელი ჩემი დედემ **დადგა** (ჰამიდიე).

დადე - მდადე, პატარძლის - დედოფლის, ნეფის - სასიძოს ხელის მომკიდე: ბიჭის **დადე** არი, გოგოს **დადე** არი; ორი **დადე** ეყოლებოდა (სირეთიე).

დადინება - დაფანტვა, გაფანტვა: გელი ჩავარდნილა, საქონელი შეშინდენ, **დადინდენ**; თურქეთი **დადენილა**, გურჯისტანი რაფერია, არ ვიცი (ქლასკური).

დადუმუნვა - ჩაფიქრება, დაფიქრება: რამეს არ **დეიდუმუნავთ** (ჩუბუქლაბალა).

დავარგვი (<დავარგევი) - დავრგი: აქ ერთი პაწად ვენახი მაქვა, თხილი **დავარგვი**, კაკალი **დავარგვი**.

დავლი - დოლი: **დავლი** იყო, მუზიკა (სირეთიე).

დაზმანება - დაზომება: ჭიაყელად გველზე **დაზმანებულა** (ანდაზა).

დათვალყურება – დათვალიერება: **დაათვალყურე**, ცივ წყლებთან გეყვანე (მურღული); ბაშქოთ აგზეა, **ათვალყურებდით?** (მურღული).

დათვი - კაცის მეტსახელი ნუსრეთიეში.

დათვი ბაბა - მცენარეა, დათვა ფხალი.

დათვი ჭალა - ადგილი გურბინში.

დათვი ყანა - ადგილი ზ. ქლასკურში.

დათიბვა - აქ დაჭრა, დანაწევრება: დავჭრი, **დავთიბავ** (შელოცვიდან).

დათოფვა – დაჭრა: კიტრ **დავთოფავთ**, ნიორ... (გურბინი).

დაირე - ბინა: მარიჯები მყავან... **დაირე** მიცემული მაქვა, იძინებენ (მარადიდი).

დაკაეება – აქ ხარობს: ბილანდულა აღარ ვთესავთ, ჩვენთანაც ნახვარი აღარ იკაეებს (=ხარობს) (ელმალი).

დაკალთვა - დაკეცვა; ვკალთე, ვკალთე, ვერ დავკალთე (გამოცანა) (კირქხარმანი). (ნ.) აკალთვა.

დაკარქნილი - დაკარგული: ამდონი კაცები რომ არიან **დაკარქნილი**?! ზეკიე იყო, მგონია, მეტი ჩქარი მირბოდა. **დაკარქნილია**-და!

დაკიდული - მოუცლელი: [საქმისაგან] **დაკიდული** ვარ (ქირიმითი).

დაკითხვა - შეკითხვა: რატომ არ **დავკითხე**, მეცოდინებოდა (გოლჯიქი).

დაკვა//დაკიკა (<დაქქა//დაქიქა) - წუთი: ონ **დაკვა** სონრა მოკდა (ოცი წუთის შემდეგ მოკვდა) (ჰამიდიე). (ნ.) დაყიყა.

დაკლებს - დაკლავს: ... იქ ცხვარ ეყვანებენ, თხას ეყვანებენ, **დაკლებენ**.

დაკოდვა (ხარის, მოზვრის) - [ხარს, მოზვერს] არ **ვკოდავთ**, მუშაობისთვის **დავკოდავდით**.

დაკუწვა - წვრილ-წვრილად დაჭრა: დავჭრი, **დავკუწავ** (შელოცვიდან).

დალაგება – დამკვიდრება: აქ **დალაგულან**, იშტე (იჯადიე).

დალანბვა – გადატ. დაწვა: ასე წვევლ, **დევლანბე** (მელანაზი).

დალევა - დამთავრება, დასრულება: რა სამა გითხრა ახლა მე შენ? **დავლიე**, სხვა არ ვიცი.

დალენებული - ჩამქრალი (ცეცხლი), დამწვარი: ქვეშაე ჭალა იყო დამწვარი, **დალენებული** (შელოცვიდან) (სირეთიე).

დალეწვა - დამტვრევა: იმ ყურძენის წვენიე ღვინოს აკეთებდენ, **დალეწეს** ღარჭებმა; **დალეწეს** [დერგები] ღარჭებმა (ბუჯური).

დამ - თანდებული: **თოვლიდამ** დედეს აკეთებენ.

დამალვილა - დამალულა: ნენეე (აქ ნენეეს - ჩამწ.) დაე ყოფილა თეძუე, იქ **დამალვილა**.

დამბიწყდა - დამავიწყდა: ვფიქრობ-და, რა ვთქვა, თელი **დამბიწყდა**.

დამზევება (?) - ბაჯა დავამზევი (მამურიე).

დამკვრა – დაკვრა.

დამპალყანა - ადგილი დურჩაში.

დამპალყანა - ადგილი ჩხალეთში.

დამწვარი ტყე - ადგილი იბრიქში.

დანა ჭამა - დანა მოხვდა, დანა ჩაარტყეს, დანა იგემა: შუაში ჩადგა, **დანა ჭამა** (ხება).

დანარი – დანა: დუშმანების დასაკლელი წელში მაქვა **დანარი** (ერეგუნა).

დანგრევა - დაღლა, არევა: ტვინი **დემენგრა**.

დანდობა - დაბარება: მე ნენემა **დამანდო**.

დაპანტვა - დაფანტვა, გაფანტვა, წასვლა-წამოსვლა: ჩვენ **დევპანტეთ** აქა (გულდიბი); **დაპანტილან** გურჯები (ესკიფერადიე); საჭმელ-მაჭმელ ჭამდენ, **დეპანტვოდენ**.

დაპანტილი - დაფანტული: **დაპანტილი** არიან იქა (მარადიდი).

დაპეკვა - დაჭედვა (ცხენის): ერთმა კაცმა ვერ **დაპეკა** ცხენი (აზიზიე).

დაპწნილი - დაწნული: **დაპწნილი** ყველი იცით თუ? (ელმალი).

დაჟდომა - ცნობილი მნიშვნელობის გარდა: ცხოვრების დაწყება, დამკვიდრება, დაბინავება: იქ ევდენ და **დაჟდენ**; იზმითში **დაჟეჟი**; აქ წყალი უნახვან, აქ **დამჟდარან** (სირეთიე). (ნ.) დაჟდომა.

დაჟდომილი - დამჟდარი: **დაჟდომილი** ძერში გასივდი, ჰა (ირშადიე).

დარეგვა - მხლის ჩაჩეჩვა: [ფხალს] **დავრეგვავთ** ლაფერით (სირეთიე).

დარიგება - შერიგება, მორიგება: **დარიგება** არ იქნება (ქლასკური).

დარჩენილი - გაუთხოვარ ქალზე იტყვიან: ქალზე **დარჩენილიაო**, ვერ გეეთხვა, დარჩაო, იტყვიან.

დარცხება - დარტყმა, დაცხება: ტანსიონი (ნ.) გუუზომავს, ნემსი **დარცხებს** (ნემსს გაუკეთებს).

დასაბმელი - გამოცანა.

დასაკაზმელად - დასარჩევად: პური კაკალი ჩამედტანა **დასაკაზმელად** (კირნათი).

დასახიზნელად - დასასვენებლად: ბათუმიდან **დასახიზნელად** იყო ამოსული (კირნათი).

დასახლება - 1. დაბინავება, ცხოვრების დაწყება: იმის უკან ჩვენ **დავსახლდით**; დედიები აქ **დასახდენ** (ირშადიე). 2. **დაქორწინება** (მამაკაცისა): წინ მალე **დაასახლებდენ** (ავანა).

დასახლებული//დასახლილი - დასახლებული, დაოჯახებული, უმეტესად მამაკაცი: ერთი ბიჭი **დასახლებულია**, ოთხი თანე შვილი მყავს: სამი თანე ბიჭი, ერთი - გოგო, თეელი **დასახლებულია**.

დასახლკარება - დამკვიდრება, დაბინავება: მემრე, მემრე **დასახლკარდებოდენ** (ქოშვი).

დასმა - დაბადება, შობა: ბაბოდ ჩემი აქ **დასმულა** (ლუთბიე).

დასმევინება - მშობიარობა: ეს ორსულ ქალებს **დასმევიებს** (=ამშობი-არებს) (სირეთიე).

დასობა - დარჭობა: ჩვენ **დემესენ** მუხსავენო (ავანა).

დასხლეტა - გაქცევა: ლაწ და მისცა ყალდინუმზე, დემსხლიტა (ელმალი); **დემსხლიტა**, ხაპერზე მოხტა (ქირიმთი).

დასხრევა - გაქცევა: პოლიციელებმა **დამასხრევი**, რატომ **დამასხრევი**, არ ვიცი (ჰამიდიე).

დატანება - მოხვედრება, მიზანში მოხვედრა: ვესრი, ჰემ **დავატან** სამას მეტრზე.

დატოლება - დაზომება, შედარება: აქა **ვატოლავ**, ამ პატარად, ამ - დიდი (ჰამიდიე).

დაუთოლი - „გვარი“ ხებაში.

დაფანტება - დაფანტვა: **დუუფანტებენ** ფარას (ავანა).

დაფარჩვა - დამტვრევა, დანაწევრება, ნაწილებად დაშლა: ხუთი თანე მანქანა **დავფარჩე** (ჰამიდიე).

დაფეშვება - ცემით ხორბალზე კანის, ჩენჩოს მოცილება: სამიგველში პური **დავფეშვებდით** (სირეთიე). შდრ. დაფეშვა - ცემა.

დაფლობა - დამარხვა: ძვლები მიწაში **დავაფლობიე**.

დაფორვა - დაობება: [სიმინდი] რაფერ დასველებულიყო, იცი? **დაფორილიყო** თან (კირნათი).

დაფრეწილი - დახეული: ეს **დაფრეწილი** ქითბებიც არ მქონდა (გევრი).

დაფურტნა - დაფურთხება: **ეფურტნე**, ბუფულს მოხდა, **დეფურტნე** წვერსაო (ანდაზა).

დაფხუკება - დაფრთხობა: ცხენმა დავლი ხმაზე **დაფხუკდენ** (კირნათი).

დაქლიაგება - ჟარგ. გამოთაყვანება: არ დაპენტავ, არ **დააქლიაგავ** ხალხს (ნუსრეთიე).

დაქორება - დაბრმავება: დუნია იქცევას და ჭიაყელას თვალები **დუუქორებია** (ანდაზა).

დაქუხება - 1. ქუხილი: რომ დააქუხებდა, იტყოდენ (გოლჯიქი). 2. სროლა (თოფის, რევოლვერის): **დავაქუხებ**, მაბანს გავდენი; ფიშტოს **დააქუხებენ**; მეორე ძმამ **დაქუხა**.

დაქფილი - აქ: დაფქვილილი: **დაქფილია**, ქფილსავენ მოვა (მურდული).

დაქცევა - დაღვრა: ერთი დრამი წყალი ჩაასხა და... აჰა მევტანეო და **დააქცია** (კირნათი)...

დაღლუმპვა - ჩაყვინთვა: ჩაყვინთვას უმახიან **დეღლუმპვა** (გოლჯიქი).

დაღრიჭვა - ხელით დაქუცმაცება (მხალეულის): [ლახანას] ხამდან წყალი დავასხამთ, **დაღრიჭავთ** (ისკები).

დაყაფანება - დაკეტვა, გადაკეტვა: ახლა **დაყაფანდა** ძველი გზა.

დაყენება - გაჩერება: **დაყენდი**, ჩაი'და ვსვათ.

დაყვერება - დაკოდვა (შდრ. დაყვერვა): მოზვერი **დაყვერებდენ** (ლუთბიე).

დაყვი - ვაჟი: გოგოს ფაცი ეტყვიან, ბიჭებს **დაყვი** ეტყვიან (სირეთიე).

დაყრა - დაკეტვა: იტყოდენ, ახორის კარ **დუყყარაო** (მურკვეთი); **დუყყრი** კარებს და წავალ, ღარჭებთან წავალ (ბუჯური).

დაშენება - დამკვიდრება, გამრავლება: ახლა ზორ ბევრი დაბანჯი **დაშენდა** სოფელში (ნუსრეთიე); იმას გუუგზანია უკან, მემრე **დაშენებულან**.

დაშველება - დახმარება: კითხვა (=შელოცვა) არ **დეშველება** (მურკვეთი).

დაშიშხვა//დაშუშხვა - დაშუშხვა: ამ შავტარიან დანით დაგჭრი, **დაგშიშხვ** (ადაგული); ჯინჭარი ილაჯია (ნ.) **დაგშუშხავს** (ადაგული).

დაშლეპვა//დაშლიპვა - ჩამოხსნა, ჩამოგლეჯა: ის ზორ ლამაზი ყოფილა, **დაშლიპენ** გააგდენ ფოტოგრაფები.

დაცქინტლება - დაცემინება ცხვირის: **დავაცქინტლავთ**, მაშინ ვიტყვით: ღმერთმა კად სიცოცხლე მოგცეს (ჯივანი).

დაცხება//დაცხოზა - 1. ჩარტყმა, ცემა, გალახვა: თამამ, **დაცხოფს** (ირშადიე); **დაცხეთ** ერთი ამ თავზე, ჰა! (ირშადიე); არ **დამცხებენ**, ჰამა აქიდან მეკიდებთან (ნუროსმანიე); მიახლოვდება მეგემ იმიტომ, რომ მე'ნა **დამაცხოზიოს**; **დაცხე** თოხი. 2. ტელეფონით დარეკვა: **დუუცხო** ტელეფონით, მოვდეს'ნა (ჰამიდიე).

დაძახება - ცნობილი მნიშვნელობის გარდა - შეტყობინება, ამბის გავრცელება, გამოცხადება: მოკტება, ყველა სოფელში **დეძახებენ** (აფვაზფინარი).

დაძახნილი - დაძახებული: ისიც **დაძახნილი** იყო ისე ამაზე, იცი?

დაწვენა - ცნობილი მნიშვნელობის გარდა - ფულის შენახვა ბანკში: **დავაწვინე** ფარა (კირქხარმანი).

დაწვილი - დამწვარი: თლათ **დაწვილი** იყო, რამეთ იქდა-თუ?

დაწიგნვა - დაბეჭდვა, წიგნად გამოცემა: თქვენ'და **დაწიგნოთ**, თუ? (ქირიმიტი).

დაწიკება - დაკიდება, თავისკენ მოწევა: არ ვიცურვოთ, ქვემ მილეთია, **დეგვეწიკებიან**.

დაჭირვა - მარხვის დაცვა, მარხულობა: ყველა **იჭირვენ**, ვინცხას შექერი ბევრი თუ აქ, არ **იჭირავს**.

დაჭუჭვა - თვალის ჩაკვრა: თვალი **დუუჭუჭე**, მანაც **დიმიჭუჭა** (ჰამიდიე).

დახარჯვა - გარდაცვალება: ღარჭი რომ **დეხარჯენ**, იმის უკან...შდრ. აჭ. დახარჯვა (ჯ. ნოლაიდელი).

დახრისვა - დაფშვნა: [თხილი] სობაში შევდებ, გათბება, **დახრისევ** (ადაგული).

დახურვილი - დახურული: ჩემი **დახურვილი** შენ მოშალე?

დახუჭვა - ზურგზე მოკიდება: ღარჭი-ღურჭი **დეხუჭეს**, ისე წამოსულან (ქომკი).

დახჩენა - კბილების დაკრეჭა, უშნო სიცილი: **დუუხჩენია** კბილები.

დაჯდომა - 1. დაბინავება, დასახლება, დამკვიდრება: აქ, ტყეში **დამჯდარან** (მელაანაზი); ჩურუკბა **დაჯჯექით** (სირეთიე); 2. ქალის

თვითნებური მისვლა სასურველი მამაკაცის ოჯახში ცოლად გახდომის მიძინით: ად ქალი მოვდა, **დაჯდა**, ამის ქალი'და გავხდეო (ჰამიდე).

დაჰა - ძალიან: გურჯები **დაჰა** ცოტად არიან (ქირიმითი); მაჭახლელები **დაჰა** კაი ვაზირობენ (ქლასკური); **დაჰა** კაი იქნებოდა (ნუსრეთიე).

დედე - ბაბუა: ჩვენი **დედეები**, დიდვანი **დედეები** იქიდან მოსულან (მარადიდი).

დედე ყანა - ადგილი ჩხალეთში.

დედიოღლი - „გვარი“ ნურუოსმანიეში.

დეესხე - (?): ვინ'ნა მოკტეს მალე'ნა, ქათმიან ფილავი ვჭამოთ'ნა, **დეესხე** იტყვიან (სირეთიე).

დევეჯი ჰასან - კაცის მეტსახელი ნუსრეთიეში.

დეველეთი - სახელმწიფო, ქვეყანა: **დეველეთისა** ყოფილიყო, ვრა საათ ვისაქმებდით (ისკები).

დევესქელი - სოფელი დევსქელის ხეობაში.

დეკეველი - დეკეული: **დეკეველი** ეტყვიან პაწინას.

დელახმედოღლი - ლაღაბი აივაზფინარში.

დელი - გიჟი.

დელი ხორომი - ცეკვის სახეობა: ვიფერხულავდით, **დელი ხორომ** ვეტყოდით.

დელიყანლი//დელიყანდი - ახალგაზრდა, ყმაწვილი: ცამეტის მერე ღარჭობიდან გამოა, მერე **დელიყანდი**. ღარჭობაში **დელიყანლების** უფროსი ვიყავ (ჰამიდე).

დემენატრენ - მომენატრენ: სიცოცხლეში **დემენატრენ** ბაღნები.

დემექ - მაშასადამე, ესე იგი: ატრიალავ **დემექ** (ჩუბექლუბალა).

დემირ ელმა - ვაშლის ჯიში, გავრცელებულია მთელს ჭოროხის ხეობაში.

დემირჩი - მჭედელი: **დემირჩები** სოფელში მყავდენ.

დემირჯოღლი - „გვარი“ მელანააზსა და გულდიბში.

დემირჯოღლი - ლაღაბი აივაზფინარში.

დენისი - ზღვა: ჭოროლი ახლა **დენისი** გახდა (ქართლა).

დეიშუგი//დეიშული - განსხვავებული: **დეიშული** ინსნები არიან (ჰამიდე); ისინიც ბორჩხელია, ჰამა ლაპარაკი ცოტა **დეიშულია** (ნუსრეთიე).

დეიწავლავს - დაისწავლის: ესეც გეოზდა, **დეიწავლავს**, იმღერავს, მე სიმღერა არ ვიცი.

დერგი - 1. თიხის ჭურჭელი: ძალს **დერგებში** შევნახდით (ელმალი); 2. ჭური: ნახა შარაბის **დერგი** (მარმაწმინდა).

დერგულა - პატარა დერგი: იმდონ ყველ ჩამეიტანდა, რომ **დერგულეფში** ჩავმწათხევი.

დერღლი - დარდიანი: ნუ ხარა **დერღლი**, ჯანო!

დერვიშაძე - ხარის სახელი ზ. ქლასკურში.

დერსი - გაკვეთილი: ერთ **დერსდან** ინსანი არ შევა (ჰამიდიე); ღარჭებ ასწავლებენ, **დერს** აძლევენ (ბუჯური).

დესტანი - ვიღაცისადმი მიძღვნილი ლექსი, პოემა: იმფერი **დესტნები** წერდა (ნუსრეთიე).

დეფთერი - რვეული: უუვსიან **დეფთერები** (ქართლა).

დეღი ქედი - დეღიკიძეების ქედი, ზ. ქლასკური.

დეღიკიძე - გვარი ზედა ქლასკურში.

დეყე - წუთი: ირმი ბეშ **დეყეში** გახვალ (თხილაზორი). (ნ.) დაკკა//დაკიკა.

დვარული - გარეული მხალი (შდრ. დვალური).

დიბე - ადგილი ზ. მარადიდში.

დიდალაზანი - ადგილი ქართლაში.

დიდაღმართი - ადგილი ზ. ქლასკურში.

დიდვანი - უფროსები (ასაკით): **დიდვანებიდან** გაგონილი მაქ (ქლასკური).

დიდი - უფროსი (ასაკით): **დიდი** იყო, წინიდან **დიდი** ძმად იყო (ზაგინი).

დიდი ბაბაძე - ბაბუა, მამის მამა: „ბაბოს ბაბაძე - დიდი ბაბაძე“ (ხება).

დიდი ბატონი - ღმერთი: **დიდმა ბატონმა** მოგხედოს ყველას (ჩუბუქლუ ბალა).

დიდი მექთები - უმაღლესი სკოლა (?): ის ბიჭიც ნაკითხია, **დიდი მექთები** გათავებული აქვსა (ნუსრეთიე).

დიდი ნენეა//დიდნენეა - ბებია: „ბაბოს ნენეა“ (ხება).

დიდი ქედი - ადგილი ზ. მარადიდში.

დიდქუა - ადგილი ქართლაში.

დიდყანა - ადგილი ებრიკასა და ქართლაში.

დიე - სხვათა სიტყვის ნაწილაკი, ო (დემექ>დიე): მასლული'და ვჭამო, **დიე** (ნუსრეთიე).

დიზგინი - აღვრი, სადავე: აჰა, ცხენი, ჰამა რომ გაყიდავ, **დიზგინი** არ მიცეო (კირნათი).

დიზდარი - „გვარი“ ზ. მარადიდში.

დიზმე - ლაფარო (ბუჯური).

დიღბეროღლი (დიღბერაშვილი) - „გვარი“ მაამუდიესა და ზ. მარადიდში.

დიღეგი - საპატიმრო: რატონ არ ჩააგდეთ **დიღეგში**? (ქირიმთი).

დიღმა - „ბურღვად მიორო“.

დიმიტრიე - კაცის მეტსახელი ნუსრეთიეში.

დინენეა - ბებია: ჩემი **დინენეა** აჯარიდან მოსულა (ბუჯური).

დირეგი - ბოძი: მემრე ხეებს გუუღებდით, **დირეგებ** ავყუღებდით (ქოშკი).

დო - ფერექლები ნარეკას ეძახიან, ჩვენ - დოს (მეჯიდიე).

დოზილი - „ძუძუნაჭამი“: **დოზილი** არ იქნება (ადაგული).

დობრიმანჯო - ადგილი ზ. მარადიდში.

დოდოღლი - „გვარი“ ზ. მარადიდში.

დოდოფალა - ქლიავის ჯიში: ქლიავები არი: წყალქლიავი, **დოდოფალა** (ბუჯური).

დოზეჯი - მომწესრიგებელი: ორთაღულში **დოზეჯი** იყო ჩემი კაცი (შდრ. თ. duzen – წესრიგი).

დოლაბი - კარადა: ეს კარი – **დოლაბი** (ჰამიდიე); მე იქ ვარ **დოლაბში** (კირნათი).

დოლაბიზე - ადგილი ქართლაში. შდრ. დოლაბიძე.

დოლაბიკარი - ადგილი დევსქელში.

დოღირი (?) - ის არ ვიცი ქი, **დოღირი** (აივაზფინარი).

დოღმა - კერძი: ფხალიდან **დოღმას** შევახვევთ (ჰამიდიე). (ნ.) ტოღმა.

დომუზი - ღორი: **დომუზებმა** თხილი-მილი ჰამდენ.

დონუმი - ჰექტარი: ირმი ბემ **დონუმი** მიწა მაქ (ქირმითი).

დორთ - ოთხი: **დორთ** თანე ჩოჯუქ [მყავს] (სირეთიე); (ნ.) თორთ.

დორთუნჯი - მეოთხე.

დოსტი - ნათესავი, მოყვარე: **დოსტებში** მივალ (იბრიქა).

დოქსან ბირ - ოთხმოცდათერთმეტი:

დოქუზ - ცხრა: ჩემი კაცი **დოქუზ** ძაში დიდია ჩემზე (ბალაბანსირთი).

დოდრი - სწორი, მართალი: **დოდრი** რამე თქვით (ახალდაბა).

დოშამე - იატაკი: თეთრი ქვა ყოფილა, პლაკე, **დოშამე** დუურქმიან (ნუსრეთიე).

დოშორვა - დოს კერძი: „ერბოში მოწვავენ ხახვს და დაასხამენ გაღესილ დოს. ოდნავ ფქვილს მოუკიდებენ და აადულებენ. მარილს კი გადმოდგმის წინ ურთავენ“ (შ. ნიჟარაძე): საჭმელები თეელი ვიცი: ქალაჯო, **დოშორვა**.

დოხსან ალთი - ოთხმოცდათექვსმეტი: აქ ერთი ბებერი არი – **დოხსან ალთი** აშინდა (თხილაზორი).

დოხსან დოხუზ - ოთხმოცდაცხრამეტი: ზერზერე იქნა **დოხსან დოხუზში** (მამურიე).

დოხტური - ექიმი: ჩვენ ღარჭებ **დოხტურში** არ წევყვანდით (სირეთიე).

დრამ-დრამი - ცოტ-ცოტა: ყველამფერი არი, ჰამა **დრამ-დრამი** (სირეთიე).

დრამი - ცოტა: ღარჭებმა **დრამი** იციან (ბუჯური); თქვენ „პაწას“ ეტყვით, ჩვენ „დრამს“.

დრობიხან - დროს: ჩემ **დრობიხან** არ იყო კითხვა (ქართლა).

დუა - ლოცვა, შელოცვა, ვედრება, თხოვნა: ხოჯებმა **დუას** იქმოდა (სირეთიე); ნამაზის **დუაები** ვიცი; თუ არ გაწვიმდა, **დუას** იქმენ, თან გაწვიმდება (ერენქოი); ჩვენი **დუები** არაბჩაა (თხილაზორი).

დუგუნი – ქორწილი, წვეულება: **დუგუნი**’ნა ვქნა (ხება).

დუდერი - კომბოსტოს შეჭამანდი: კომბოსტოს ძირი არია, იმას გათლი, ნიორით და კაკალით შეანელებენ, ძროხის ერბოსაც შეურევენ (მურღული).

დუდუბე - ადგილი ხატილაში.

დუზ ხორომი - ცეკვის სახეობა: იფერხულებენ **დუზხორომი** (ისკები).

დუზი - სწორი, დაბლობი: ბაშქოდ **დუზია** (ისკები); ქვედა გზა ქომო მივა, **დუზი** გზაა (იბრიქი).

დუზდერი//დუზმაალე - ადგილი ქლასკურში.

დუმანი – კვამლი: ახლა **დუმანი** არაა (ისკები); დიდ თას დიდი **დუმანი** ექნება (ერენქოი).

დუნერი - მზახალი: ჩემი ბიჭის ქალის ნენეა **დუნერია**, ბაბამც **დუნერია** (ნუსრეთიე).

დუნია – ქვეყანა: ეს **დუნია** ჰერამი იყოს (ჯივანი).

დუნის დაფარება - წყალდიდობა, წარღვნა: **დუნის დაფარება** ქითაბებშიც არი (კირქხარმანი).

დუშმანი - მტერი: **დუშმანი** გყავს? (ხება).

დღესით - დღისით: მე **დღესით** სხვა რამ საქმეს ვიჯებოდი, მატყელ დავჩეჩდით.

ე

ებბედი - არასდროს: ჩემი სახელი **ებბედი** არ გეტყვი (ჰამიდიე).

ებე - ბებიაქალი: ე ორსულ ქალებს დაასმევიებს, თურჩე **ებე**, გურჯიჯე უწინ ბებერად იტყოდენ (სირეთიე).

ებრიკა - სოფელი კლარჯეთში.

ეგლანჯა - გასართობი: სული მიწუხს და ასე **ეგლანჯას** ვიჯები (გასართობად ვაკეთებ, ვერთობი) (ახალდაბა).

ევეთ - დიახ: **ევეთ**, ვერ მედცალე (ნუსრეთიე); **ევეთ**, სამი თანე ჩანაქ-ყალეში მომკტარან (თეშვიქიე).

ევლია - წმინდანი: [მყავს] ერთი გოგო, ერთი ბიჭი, ჰამა გოგო **ევლია** (ჰაიდიე).

ეზანი - სალოცავად მოწოდება მინარეთიდან: ხოჯამა **ეზან** კითხულობს (შირინქო).

ეზიეთი, ეზიეთ-მეზიეთი – გაჭირვება: **ეზიეთ-მეზიეთით** ჩამოსულან (ქოშვი).

ეზრაილი - სიკვდილის ანგელოზი, რომელსაც ადამიანის სული მიაქვს: მოვდა **ეზრაილი** (ბორჩხა).

ეილული// ეილული – სიკეთე, სამაგიერო: მე იმფერი შედთან ვარ, გიზამ **ეილულსო** (კირნათი).

ელან – ახლაც: **ელან** ვერ გამარჩია (გევრი).

ელაშმიშლი (?) – ნენეჲ აქ გათხოვილა, ერთსხვა **ელაშმიშლი** აქ დარჩენ (ჰამიდიე).

ელბისე – სამოსი: იმ [რ]ძალისა **ელბისე** – თელი ედღება; ნიშანი არი **ელბისეები** (ხება).

ელდევანი – ხელთათმანი: სათითო – ემე იცით **ელდევანი** (სირეთიე).

ელექტრიქი – ელექტრიკოსი: ემექლი ვარ, **ელექტრიქი** (ნუსრეთიე).

ელიაწმინდა – ადგილი ებრიკაში.

ელლი ბემ – ორმოცდათხუთმეტი: **ელლი ბემ** დონუმი მიწა მაქ (ქირიმთი).

ელლი იქი – ორმოცდათორმეტი: მე **ელლი იქიში** შევედი (სირეთიე).

ელლი სექიზ – ორმოცდათვრამეტი: **ელლისექიზ** ორმოცი და ერთიც ათი და კიდო ვრა (მთქმელის განმარტება) (ხება).

ელმა – ვაშლი: **ელმაადან** აკეთებენ, შექერ ჩაყრი (იბრიქი).

ელჩი – მაჭანკალი: **ელჩები** მოდიან, თუ ბაბოდ მიცემს (ერეგუნა).

ემანეთი – ვინმეზე მიბარებული შესანახად, მოსავლელად: ჩემი ღარჭები შენზე **ემანეთიაო**, შენ'ნა შეხედოო (აივაზფინარი); ერთსხვა ღმერთს **ემანეთი** გუუგდებენ (სირეთიე).

ემე – სათქმელის დავიწყების შემთხვევაში გამოსაყენებელი სიტყვა, ნაცვალსახელის მნიშვნელობით: ის... **ემე**, არ იჯებოდა; დედოფალ ის, **ემე**, დუუდებენ, უფრო ფინჯანი გაატეხიებენ; იმხნარა ყოფილა და ის **ემეები**... ყოფილან, ეშხიები; ის **ემეში**... თხის ტყავში ჩადებულია; ახალი ის, **ემეები** დუუკრავთ (ლუთბიე).

ემექლი – პენსიონერი: **ემექლი** ვარ (ნუსრეთიე).

ემელი – ამაგი: შენ თუ ჩემი **ემელი** გაქ, ყველა ჰელალი მიყავი (კირნათი).

ემია//ემო – ბიძა, მამის ძმა: **ემოაც** ხოჯა იყო (ადაგული); **ემოს** ქალია (ქართლა).
ნ. ამაჯა, ემუჯე.

ემიაშვილი – ბიძაშვილი, მამის ძმიშვილი: **ემიაშვილები** მყვანან (ერენქოი).

ემინჯი – დეკეული: დეკეული ეტყვიან პაწინას, ჩვენ **ემინჯი** ვეტყვით (ესკიფერადიე).

ემიჯე//ემიჯა – იგივეა, რაც ემია, ემო: **ემიჯები** მყავს (ბუჯური).

ემუჯე – იგივეა, რაც ემია, ემიჯე: „ბაბოდს ძმა” – **ემუჯე** (ირშადიე).

ენ – უფრო, ძალიან: გოლჯუკზე **ენ** დიდი სოფელია (ჰამიდიე); **ენ** ძველი მე ვარ (ერენქოი); **ენ** გაწუხებული იყო ეს თვე.

ენ წინ – უწინ, ძველად; ჯერ, პირველად: **ენ წინ** დედნიშნავდენ.

ენა – სიტყვა: **ენას** განა არ ამბობს, თავ აქნევს (კირნათი).

ენიშთე/ენიშტე - სიძე: ჩემი აბლასი კაცი - **ენიშთე**, სიძე (ირშადიე); თურქე ე **ენიშტე**, გურჯიჯე - სიძე (ნუსრეთიე).

ენიშტე ფუნდული - თხილის ჯიში.

ეაგიდი - შორისდებული, გამოხატავს დანანებას: **ეაგიდი!** ახლა ვაშლი იქნებოდა-ა!

ეადა - ჰოდა: ერთი მოსამე ქალი იყო, **ეადა**, კაცისგან ეშინია; **ეადა**, ასე იტყოდენ ბიჭები; **ეადა**, სოფელში წიგიყვანოთო (ჰამიდიე).

ეაკიდი - აიგიდი: **ეაკიდი**, ბაღანავ, გაგორებულხარ ამ თუთუნზე, მაგისმეტა ჭკვამ არ გიჭრის?

ეალული - სექტემბერი: **ეალულ** ქორწილი მაქ (ჰამიდიე).

ეაქი - ნუთუ: **ეაქი**, გურჯისტანიდან მოხველით (ბუჯური).

ერეგუნა - სოფელი კლარჯეთში.

ერთგან - ერთად, ერთდროულად: ჯარში **ერთგან** ვიყავით (ხება).

ერთერთმანები - ერთმანეთი: ეტყვიან **ერთერთმანებ** (აივაზფინარი).

ერთერთმანეთი - ერთმანეთი, ერთურთი: სამვიხან **ერთერთმანეთს** სიმღერა იტყოდენ (ნიმეთიე).

ერთი სხვა - კიდევ: შენ რომ ჩემი ხათრი დეგეჭირა, **ერთი სხვა** აღარ იტყოდი ხომ იმ მესელეს.

ერთპირ - ერთად, ერთდროულად: გზაზე **ერთპირ** ჩამოვედით (ხება).

ერთსხვა - კიდევ, მეორეჯერ: **ერთსხვა** იქ ვერ წევდენ (ჰამიდიე); ერთი ოცი - ირმი, **ერთსხვა** ოცი - კირქ.

ერთხან - ერთად, ერთ დროს: ესენიც **ერთხან** ამოსულან (იჯადიე).

ერთხელა - ერთად: ერთი მამამთილი მათ **ერთხელა** მოსულა (მამამურიე); გოგუებმა **ერთხელა** ისამებდენ, ზლები იჯდენ; ვერ მინახია, **ერთხელა** ვნახო (ბუჯური); გახარების დღეში თუ თქვენ ჩვენს უკან, ჩვენ **ერთხელა** ხარ; **ერთხელა** ვნახოთ, ვიცოდე, ალთუნი არი-მეთქინ, იქავრობას დავბდენი.

ერთხელემა - ერთად: ათათურქ **ერთხელემა** იყო (ჰამიდიე).

ერიშტე - კერძი პურის ფქვილისგან მომზადებული. შდრ. აჭ. ერიშტე (შ. ნიჟარაძე).

ერმენი - სომეხი: **ერმენის** შვილი (წყევლა); **ერმენები** და თურქები ეკიდნებოდენ, თურქები მორევლან **ერმენებსა** (ნუსრეთიე).

ერცხვა - 1. კიდევ, ისევ, მომავალში: **ერცხვა** ვერ დიგინახო (ისკები); **ერცხვა** მოხვალ, დეწავლით. 2. მეორე: **ერცხვა** წლამდი რომ ზარალი მექნას (ჯივანი). 3. დანარჩენი, სხვა: **ერცხვა** არ ვიცი (ავანა).

ერწამალა - ერთბაშად, სწრაფად, უცებ, წამიერად: ამას ახლა **ერწამალა** ჩაფლიან (ირშადიე).

ესედოლი - „გვარი“ კოზლულქოში.

ესელა - მაგალითად: **ესელა** სხვა რა ვთქვა? (ირშადიე).

ესიეთი - ადგილი ქართლში.

ესკი - ძველი, ძველად: **ესკი** ვიცოდი, ჰამა დამბიწყებია.

ესკიდან - ძველად: ნენემა **ესკიდან** ჩაქით დაჭრიდა მაკარინას (შირინსულიე).

ესქიბი - ძველები: **ესქიბი** მოვდენ, დედეები (ირშადიე).

ეტრაპი (<ეთრაფი) - მიდამო, ირგვლივ: ბაბანემა ... ლემსზე ლობიოს წამოაცმევდა, სირსვილის **ეტრაპში** მარუნებდა (სირეთიე).

ეფენდი - ბატონი: ხასან **ეფენდი** წამოსულა (მამურიე).

ეფე - საკმაო, საკმაოდ: მე **ეფე** ვიგნებ, ბავშები ვერ იგნებენ; **ეფე** რაცხები დაწერე (იბრიქა); **ეფე** ახლოს, ზორ ახლოს არ არი (ერენქოი).

ეფეაჯა//ეფეაჯე - 1. იგივე, რაც **ეფე**: ის ძველია **ეფეაჯა**; 2. საკმაო, საკმარისი; არაუშავს: შენ რაფერ ხარ? - **ეფეაჯე!**

ექინი - მარცვლეული: ის ბელელია, იქ **ექინ** (მისირ, ბულდაი) ჩავყრიდით (ქირიმითი).

ექშაში - მჟავე დასალევი: ვაშლის ბექმეზიდან გააკეთებენ **ექშაშის** (გევრი).

ემია (<ემქია) - ყაჩაღი, ბანდიტი: **ემიები** მომდევენო (მამურიე).

ემშია - პოლიცია: ის ემეები ყოფილან, **ემშიაები** გარბოდენ (ქლასკური).

ეჯელი - სიკვდილი, სიკვდილის საათი: კალფო თქვეს, **ეჯელი** (აივაზფინარი).

ვ

ვაგლახ - შორისდებული, დანანების: **ვაგლახ**, ჩემი ბერები იქ მიცდიან, იქ ოდებ გუუკეთებთან.

ვაზირობა - საუბარი, ლაპარაკი: მაჭახლელები დაჰა კამ **ვაზირობენ**; მე **ვვაზირობ**; ჩვენე, დიდვანები, **ვვაზირობთ**.

ვაზლია - სოფელი კლარჯეთში, მამაწმინდას წინ, იგივე ვარაჩკანი.

ვაიზი - ქადაგება: იმან გურჯიჯა **ვაიზი** იცოდა (ჯივანი).

ვაკე - ადგილი ებრიკასა და ზ. მარადიდში.

ვაკე (პაწად ბახჩა) - ადგილი ნურუსმანიეში.

ვაკე ზეგანი - ადგილი დურჩაში.

ვაკესოფელი - ადგილი ქლასკურში.

ვაკეყანა - ადგილი ქლასკურში.

ვალაა//ვალლაა - ღმერთმანი: არ ვიცი, არა, **ვალლაა** არ ვიცი (თხილაზორი).

ვალაში - სოფელი კლარჯეთში.

ვალახ (<ვალაჰ//ვალლაჰ) - დაფიცება, ალაჰის ხსენება: აა, არ მომგონდა, **ვალახ!**

ვალი - გუბერნატორი: **ვალიდან** იზნი'და (ნ.) აართვა (დევსქელი).

ვარ - არის, აქვს: არხატამ (ნ.) **ვარ**.

ვარაჩკანი - იხ. ვაზლია.

ვარია - მაწვნის, ნაღების სადღვებელი: ძალ მოვრეკავთ **ვარიაში** (ელმალი).

ვარკეთილი - ადგილი ზ. ქლასკურში.

ვასაჯე - ადგილი ქართლაში.

ვაყრავ - ვფსროლილობ: მე აქიდამ მაუზერი **ვაყრავ**.

ვაშლანას ნადიკვარი - ადგილი ადაგულში.

ვაციყვერამ - ქლიავის ჯიში.

ვახტი - დრო; **ვახტზე** - დროზე, დროულად: ბითუმ მეძვამ მიცემს ყვავილი,

ვახტზე არ ისხამსო (კირნათი).

ვაჭითი - დრო: როცხა **ვაჭითის** საათი მოვა, ინსანი წევა (ჰამიდიე). შდრ. **ვახტი**

- დრო, ჟამი, ვადა (შ. ნიჟარაძე, შ. ფუტყარაძე).

ვე' - ვერ: ახლა წებველით, წებველით, სხვა **ვე'** წებვალთო.

ველიოდლი - „გვარი“ ნურუოსმანიეში, გულდიბსა და დევსქელში.

ვენახი - ბოსტანი სახლთან ახლოს: „სახლი კარში ბოსტანი **ვენახ** ვეტყვით“ (მოსაუბრის განმარტება) (ქართლა).

ვერანა - მიტოვებული, უპატრონო: ერთი **ვერანა** წისქვილი ვნახე (კირნათი).

ვესი, ვესება - გატაცება: ბიჭი ზორ მერაყლია, **ვესება** (ნუსრეთიე).

ვეფ - თანდებული, იგივეა, რაც ვით: **დედასავეფ** უყურეფს იმან.

ვილაფეთი - ოლქი, მხარე: თურქეთში რამდენი **ვილაფეთია**, დაპანტილი არიან იქა; ჩვენი ყაზა, **ვილაფეთი** ბათუმი ყოფილა.

ვინები - ვინ: **ვინები** არიან აქ ნეტამ? რამდენი მირბი ასე ჩქარი, გო, **ვინები** მოგდევენ?

ვირიმჭამელები - ქლასკურელების მეტსახელი.

ვირის საყვერეთი - ადგილი ქართლაში.

ვისვავ - ვისვამ: მისებური შავდება, ქვეშიდან **ვისვავ**, დოდოფალს ადებენ.

ვიქავ - გავაკეთებ: ვჭამავთ, დევძინავთ, წყალი ვსვავ, გავაკეთეფთ, ფილავი **ვიქავთ**, კომბოსტო გავაკეთეფთ.

ვიძინევი - ვიძინე: **ვიძინევი**, კიდევ მეძინება.

ვრა - რვა: ... მე რამეს არ ვიჯები, მე მარტო სული ვარ, **ვრა** ბიჭი ვართ, ორი მოკდა.

ვქნევი - ვქენი: ისე არ **ვქნეფთ**. ბებერები ამდენ ანჯახ იქმენ; ფერხული, სიმღერა, ზორ **ვქნეფით**.

ზ

ზა - თანდებული, მნიშვნელობით იგივეა, რაც **თვის**: **ფულიზა** რას იზმენ, იცი?

ზაათი//ზათი//ზათინ - 1. მაინც, ისედაც, რასაკვირველია, რა თქმა უნდა: **ზათი** წყალში არ ვყრი?! (კირნათი); ტანსიონი **ზათი** მაქ; **ზათი** რამეს არ ისაქმავს (ნუსრეთიე). 2. უწინ: გამრეობა არ იყო **ზათინ**; ეს [იყო] **ზათი**, ახლა? (ჯივანი).

ზავალი – საბრალო: ახლა რა ვქნა მე, **ზავალმა**? (კირნათი).

ზალი - [რ]ძალი: ისაც ჩემი ძმის **ზალია**.

ზამანი - დრო: **ზამანი** გამედცვალა. ახლა წასულა **ზამანიო** (ჰამიდიე); ბეთ **ზამანში** მოხვედი, გიავ! (ნუროსმანიე); სავაშის **ზამანზე** მოსულან (შირინსულიე).

ზამთარად - მსხალია ერთგვარი.

ზამთრულია – ზამთარში გამოსადეგი, საზამთრო: თელლული (ნ.) მივცეთ, **ზამთრულია**.

ზანი - ძალიან: ევესება, **ზანი** უნდა დასწავლა (ნუსრეთიე).

ზაოდი – ქარხანა, ფაბრიკა: აქ **ზაოდში** ბევრი მუშაობს (ჯივანი).

ზარფი - კონვერტი: **ზარფებში** ფარას ჩუუდებენ (სირეთიე).

ზეგანი - ადგილი ქართლაში.

ზედა – ზედა ნაწილი, ნაღები: ძეს (=რძეს) **ზედას** ვამრობ (ისკები).

ზედან - თან: არა, **ზედან** მაქ, ვარუნიავ (=ვატარებ) (ქართლა).

ზედაა - ადრინდელი: ბაბაა, დედეა ღარჭი მოსულა, ჰასანი, მამუდი, იმის **ზედაა** არ ვიცი (ნუროსმანიე).

ზედვაკე - ადგილი ჩხალეთში.

ზედიეთი - ადგილი ტრაპუნში.

ზედობანი - ხეხას უბანი.

ზელზერე//ზერზერე - მიწისძვრა: **ზელზერეს** მერე ამუელით (სირეთიე);

ზერზერე იქნა დოქსან დოქუზში (მამურიე).

ზენგინი - მდიდარი: ფუხარა (ნ.) **ზენგინი** გავხდით (ბუჯური).

ზენგინოლი - „გვარი“ ქართლაში.

ზენჯირი – ძეწკვი, ჯაჭვი: ბაგაზე დავაბამ **ზენჯირით**, ისთა თოკვითა (ბუჯური).

ზი - ცხოვრება, სახლობა: ართვინ **ვზივარ** (=ვცხოვრობ, ვსახლობ); ჩვენ იზმით **ვზივართ** ზამთარში, ზაფხულში აქ **ვზივართ** (ნუსრეთიე).

ზითვალი - მზიანი ამინდი: ერთი-ორი დღე ცივია, იმის უკან **ზითვალია**.

ზიფთი - ფისი, კუპრი: **ზიფთით** კალაპოტი იქნებოდა; წყალი არ შევდესო, **ზიფთით** გაჭედავდენ. შდრ. აჭარული **ზიფთი** (შ. ნიჟარაძე), ზიმთი.

ზოგიები - ზოგიერთები: **ზოგიები** არ რიგდება (ავანა).

ზოღობანი - სოფელი გეივეს ილჩეში, ძენიქოა.

ზოვლი - 1. კარგად, ბევრი: ჩემ კაცმა **ზოვლი** იცის (ნუსრეთიე); 2. ძალიან:

ზოვლი ლამაზი დოდოვალი იყო ჩემი ძალი (ერენქოი).

ზომო ყანა - ქართული ტოპონიმი ჰამიდიეში, კლარჯთა სოფელში.

ზომობანი - ადგილი ქლასკურში.

ზომოსოფელი - ადგილი ქართლში.

ზორ - ძალიან: ქართველი (=ქართული) **ზორ** კად არ ვიცი (ჰამიდიე).

ზორე - კარგად: **ზორე** ვერ დიმიძინია (ნუსრეთიე).

ზორი - გაჭირვება: რა **ზორი** გაქ? (ბაგინი).

ზორით - 1. ძალით, იძულებით: ჩემ ნენემა დეინახა ლამაზი ბიჭი, **ზორით** მიმცა (სირეთიე); 2. გაჭირვებით, ძლივს: ორ წელიწადია, წემიხდა ყური, **ზორით** ვაგნავ, **ზორით** (ჰამიდიე).

ზოული - იგივეა, რაც **ზოვლი**: ქლიკები მტკივა, **ზოული** მტკივა (ჰაჯიოსმანიე).

ზულუდ - მოზვერის სახელი: მოზვერი გვყავს, ღარჭებმა დაარქვეს **ზულუდ**.

ზღვანთხევი - ადგილი ქართლასთან.

ზღვე - ზღვა: ქვა შრებოდა, **ზღვე** შრებოდა (მამურეი).

თ

თამინი - გონება, ფიქრი: გომა შემეცოდვა ჩემ **თამინში** (კირნათი). შდრ. თამინი (შ. ფუტკარაძე).

თაბი - რა საკვირველია, რა თქმა უნდა: იქიდან დევწავლეთ **თაბი** (ნუსრეთიე). (ნ.) ტაბი.

თაბიეთი - ხასიათი, თვისება: მე ბაბოღს **თაბიეთი** ვიცი-და (კირნათი).

თაბლი - ჭერის ნაწილი: თავანის **თაბლი** (ბუჯური).

თაბუთი - კუბო: **თაბუთში** ჩადვებენ, ჯამეში მედყვანებენ, ჯამეს წინ დადებენ (სირეთიე).

თავანი - ჭერი: **თავანში** ასულა (მურკვეთი).

თავდაღმა - ქვევით, დაბლა: ზეიდან **თავდაღმა** ჩამულათ (ირშადიე).

თავეთ - თვითონ: მე წაველი **თავეთ** ჩემითო (ისკები).

თავსოფელი - სოფლის ძვ. სახელი: „აქაური სოფელი **თავსოფელი** ყოფილა, ზემო სოფელი ბაშქომ გახადეს”.

თაზისი - განახლება: კაცმა მეგერ ეტონტა, **თაზისი** გახდა მეგომ (ქირიმითი).

თაგვაშვილი - „გვარი“ ზ. მარადიდში.

თალაში - (თ. Telaş 1. დელვა, პანიკა, არეულობა. 2. ფაციფუცი, ფუსფუსი) აქ: ფაციფუცი, ფუსფუსი: რა მალე მოვათავე მამის სახლობის **თალაში**.

თამ - კარგი, ნამდვილი: **თამ** გურჯი არიან (რიშადიე); გურჯიჯე **თამ** ვიცი თუ? ის **თამ** ჩვენებურია (ნუსრეთიე).

თამამ - დიახ: **თამამ**, დაგცხოვს (ირშადიე).

თამაშლი - მოთამაშე: სოფელში სულ **თამაშლი** ვიყავ (ჰამიდიე).

თანე - ცალი: სამი **თანე** იყო, აღარაა... ოთხი **თანე** ძმა ყოფილან (მარადიდი); ორი **თანე** გოგო მყავს, ოთხი **თანე** - ბიჭი.

თანთო ღელე - ღელე მამურიეში.

თანთოღლი - „გვარი“ მამურიეში.

თარაფი - მხარე: გოგოს **თარაფში** წავლენ (ისკები).

თეარე - თვითმფრინავი: თქვენ რას ეტყვით? ჩვენში გურჯულა **თეარე** ქვია.

თეელი - ყველა: წინ **თეელი** გურჯი იყვენ (ნუსრეთიე).

თეზგენად - მსხალია ერთგვარი.

თეთრამე - გვარი ზედა ქლასკურში.

თეთრი ღელე - ბორჩხელების დაილა: ხვალ შეიძლება, მე არ ვიყო, **თეთრი ღელეში** ვარ თაზე.

თეთრი წყალი - ბაგინის დაილა.

თეთრიეთი - თეთრამეების უბანი, ზ. ქლასკური.

თეიზე - დეიდა: „ნენედს და **თეიზე** (ირშადიე); მე ახლა **თეიზეს** მიძახის ჩემ ღარჭმა (ჰამიდიე).

თელეგან მაჰალესი - ტრაპენის უბანი.

თელევიზიონი - ტელევიზია: თქვენი **თელევიზიონის** კანალი ყური ვუგდებ (თხილაზორი).

თელეფონის გასხნა - დარეკვა: თელეფონი გიმისხნა (ავანა).

თელლული - ოთახის ჩუსტები: **თელლული** მივცეთ, ზამთრულია, ასეთი არაა (ჰამიდიე). შდრ. თელლიგი//თერლიგი (შ. ფუტკარამე).

თელდინი//თელყინი - დარიგება, მიცვალებულის სულის მოსახსენებელი ლოცვა: ხოჯამან **თელდინს** შუუძახავს (სირეთიე); **თელყინი** არი კი, იმას ხოჯა დუუძახავს (ავანა).

თემბელი - ზარმაცი: ჩვენი გურჯები **თემბელია** (ნუსრეთიე); **თემბელი** არიან, არ მუშაობენ (ჯივანი).

თემელი - საფუძველი, საძირკველი: **თემელ-ქირიშებს** [გუუყუდებდით] (თემვიქიე); ტრაქტორმა ქი ამუშავებს, **თემელებს** ამოყრის (ბუჯური).

თემიზი - სუფთა, სუფთად: კაი ხალხია, **თემიზი** ისაქმებენ; თმა დავაჭრიდით, გარცხებდენ, იმის უკან **თემიზი** გახადებდენ (ჰამიდიე).

თემიზობა - სისუფთავე: საქმობს ოქულის **თემიზობაში** (ირშადიე).

თენარა - ადგილი დევსქელში.

თენექე - მეტსახელი კაცისა.

თენეშური - მიცვალებულის განსაზანი ადგილი: **თენეშურზე** დამდევი (ქართლა).

თენჯერე – ქვაბი, კარდალა: ლობიას ჩაყვრით **თენჯერეში** (ჯივანა). შდრ. აჭ. თენჯერა (შ. ნიჟარაძე).

თერეფი - კუთხე, მხარე: კაცი(ს) **თერეფი** წამოსულა აქა (ქირმიტი).

თერჯი – (თ. Tercih - არჩევანი): ესე უნივერსიტეტში'ნა წევდეს, **თერჯი** ქნა, ჯერ ბელლი (ნ) არაა (დევსქელი).

თერჯიმანი – მთარგმნელი: **თერჯიმანი** თელ ფერზე გჭირია (დევსქელი).

თესვე – თესვა: თორნა **თესვე** იჯებიან (იჯადიე).

თეფე - ქედი, ბორცვი, მწვერვალი: ადე **თეფეს** უმახიან (სირეთიე); სირთი **თეფე** ადნია (დევსქელი).

თეფსი – ლანგარი: მემრე გამასახამ **თეფსზე** (დევსქელი).

თექ-თუქი – თითო-ოროლა: ზამთარში აქ ვინმე ვერ დედნახ, **თექ-თუქი** სახლი დარჩება (ერენქოი).

თექი – ცალი: ერთი ყავს, **თექი** (ჯივანი).

თექჩემ – ოღონდ: ერთ ვირ ალთუნ მოგცემთ, **თექჩემ** წედიო (კირნათი).

თეხჩიეთი - ადგილი დურჩაში.

თვა - თქვა: გო, მაგნების ამბავიც უთხარ, ყვირიან-**თვა**.

თვალანგელო - ადგილი ჩხალეთში.

თვალი ქნა - შემწიფდა: მარწყვებმა **თვალი ქნეს** (შდრ. აჭ. შემთვალვა).

სათარი - გზა ტყეში, რომლითაც ტვირთს ათრევენ (შდრ. აჭარ. სათრეველა): ჩამოსათრევი **სათარია**, **სათარ** ვეტყვით (ქლასკური).

სათიბი ხევი - ადგილი დევსქელში.

სათითი - ხელთათმანი: **სათითო**, ემე იცით? ელდევანი (ნ) (სირეთიე).

სათიმ კორდინატორი - ვაჭრობის კორდინატორი: ისიც ერთი ფაბრიკაში **სათიმ კორდინატორია** (ნუსრეთიე).

სათიმ მუდირი - ვაჭრობის გამგებელი: ჩემი ბიჭიც ერთ ფაბრიკაში **სათიმ მუდირია** (ნუსრეთიე).

სათუთო - სათუთი: **სათუთოა**, **სათუთო**, ერთი ბიჭია (ჰამიდიე).

- საიზი** - 1. მდადე: იქიდან ორი ქალი წამოვა - **საიზი**, დადე. 2. პატრონი, მფლობელი: იქიდან **საიზი**, დედე წამოვა (ისკები).
- საიოსტრანი** – ავტობუსი: **საიოსტრანი**მა გააწრა (კირნათი).
- საკერე ყანა** - ადგილი გველში.
- საკმელეთი** - ადგილი ისკებში.
- საკუკავი** - (?) ჩაგყრი ვარდის **საკუკავში** (შელოცვიდან).
- საკულუნე** - ადგილი ზ. ქლასკურში (შდრ. კოლონი)
- სალათლული** - კიტრი: ეს **სალათლულია**, ჰამა კიტრიც ვიცი (თხილაზორი).
- სალეიმან** - ჩამომავლობის მეტსახელი, სიტყვასიტყვით - ჯანსაღი, ჯანმრთელი: ამათსა „**სალეიმან**“ ეტყვიან, „მემლექეთ“ ადუჩელები (ნუსრეთიე).
- სალიკზე** – ადგილას: ამ **სალიკზე** მევეაროთ თავი (კირნათი).
- სალიოღლი** - „გვარი“ დევსქელში.
- სამალავი** - ადგილი ქართლაში.
- სამანი** - ბზე: ჩვენ **სამანი** ვეტყვით ... აგენი ბზე ეტყვიან (მურკვეთი).
- სამარგელი** - გასამარგლი: ჩვენ ახლა **სამარგელი** მაქვანან (ქართლა).
- სამგლიეთი** - ადგილი ქართლაში.
- სამედო** - ადგილი ტრაპენში.
- სამესამედო** - ადგილი ზ. მარადიდში.
- სამევა||სამა** - ცეკვა: იცით-თუ **სამევა?** (ნიმეთიე).
- სამევიხან** - ცეკვის დროს, ცეკვის პროცესში: **სამევიხან** ერთმანეთ სიმღერა ეტყოდენ (ნიმეთიე).
- სამთვენი** - სამივე: **სამთვენი** ერხელ იყო, **სამთვენი** ტყუპია (სირეთიე).
- სამეურამ** - ბალახია ერთგვარი.
- სამბიპირო** - ადგილი დურჩაში.
- სანათ ოქულ** - სახელოვნებო სასწავლებელი, ხელოვნების სკოლა: ეს [სწავლობს] **სანათ ოქული** (ლუთბიე).
- სანათისი** - შუახევის (დევსქელის ხეობა) უბანი.
- სანათისი** - სოფელი კლარჯეთში.
- სანდული** - სკივრი: **სანდულზე**, სკივრზე დაჟდომა არი (ჯივანი).
- სანთელამ** - მხლის ჯიში.
- სანისლე** - ადგილი ხეზაში.
- სანქი** - თითქოს, ვითომ: იარაღი დავაყრიდით, **სანქი** ომი იყო (ხეზა).
- საჟდომი** - ადგილი დურჩაში.
- სარალოღლი** - ლაღაბი აივაზფინარში.
- სარი** - ყვითელი: ანნი **სარი** მყავს, ბაბოდა მომიკტა იშტე, თეელი **სარი** ვართ (ნიმეთიე).

სარი ჩიჩელი - „ყვითელი ყვავილი“ - ცეკვის სახეობა: ისამაბდენ... **სარი ჩიჩელი** (ხეზა).

სარიალოლი - „გვარი“ დევსქელში.

სარმა - ტოლმა: **სარმა** ბირინჯით ვიქთ (ნიმეთი).

სასადილო - ადგილი ზ. ქლასკურში.

სასელაჲ - მსხალი ზ. მარადიდში.

სასვენი - ადგილი ზ. ქლასკურში.

სასირავი - ტოპონიმი: **სასირავი** - ჩიტები ბევრი არიან (ქართლა).

საფანი - ტაბიკი: **საფანი** მქონდენ აქ, ტაბიკი (ლუთბიე).

საფერი - შესატყვისი, შესაფერი: მე ვენახში ლობიოს ვიქ, ჩემ **საფერ** (ნუსრეთი).

საფექრო - საფეიქრო, საქსოვი დაზგა: ქილიმ ჩარჩავ **საფექროზე** მოვქსოვდი (ქლასკური).

საფეხე - წინდა: **საფეხე** - მსხვილი წინდა (სირეთი).

საფუტკრიეთი - ადგილი ქართლაში.

საქარათი - ადგილი დევსქელში.

საქინჯალი - საფრთხილო: **საქინჯალი** - რას ეტყვიან და რომე იქ ზორი გახდა (ნუსრეთი).

საქმე - სამუშაო, სამსახური: ჩემი კაცი **საქმეში** იყო (ნიმეთი).

საქმობა - მუშაობა: მარიჯები მყავან, ისინი **საქმობენ** (მარადიდი).

საქორი ქედი - ადგილი დევსქელში.

სალიროლი - „გვარი“ ზ. მარადიდსა და მამუდიეში.

სალ-სალამათი - ჯანმრთელი: მომიკტა **სალ-სალამათი** (ჰაჯი ოსმანი).

საყავრიეთი - ადგილი ქართლაში.

საყიდავი - შესაძენი, საყიდელი: **საყიდავი** მოვა (გურბინი).

საცარცხლეტი - ადგილი ქლასკურში.

საძიგველი - საცეხველი: **საძიგველში** პურ დაფეშვებდით (სირეთი).

საწვეტე - მშენებლობასთან დაკავშირებული საგანია: ვიცით... **საწვეტე**, თაბლი (ბუჯური).

საჭამადი - საჭმელი: საჭამადი თელი არი (შირინსულია).

საჭენებელი - სარბენი: საჭენებელი ძერი ლამაზია (ისკები).

სახი - სახლი: სიძე მოვა, ლივერი **სახთან** ისრის.

სახლი - ცნობილი მნიშვნელობის გარდა კომლი, ოჯახი: ოზდათორმეტი **სახლი** მოსულა აქ სხვადასხვა დროს (სირეთი); სამოცი **სახ-ლი** ვართ აქ გურჯი (ჰამიდიე).

სახლი თავი - ადგილი ნურუსმანიეში.

სახლი-კარი - სახლთან ახლოს მდებარე ადგილი, კარ-მიდამო.

სახლის დიდი - ოჯახის თავი, სახლის უფროსი: **სახლის დიდი** გაანაწილებდა საქმეს (ელმალი).

სახნელი||**სახნეველი** - სახნისი: **სახნელს** წვერი უტყდებოდა (შელოც-ვიდან); სახნეველი იყო ხარებისა (სირეთიე).

საჯი - 1. სახურავი; 2. თუნუქი, რომელზეც აყრიან ნაღვერდალს და ახურავენ კეცს, რომელშიც ცხვება მჭადი, პური... კეცს მივუყიდებდით, **საჯ** დაახურევდენ (ჰაჯიოსმანი).

სებები - საბაბი, მიზეზი: **სებებიც** იტყოდენ.

სედედრი - სიდედრი: მე აბლას უძახი **სედედრს** (გიოლჯიქი).

სედეროღლი - „გვარი“ ზ. მარადიდში.

სედეფი - სადაფი: მუშასავენ ხელები **სედეფის** ყუთინია (ერეგუნა).

სევადი - მაღლიანი: ძროხა **სევადიაო**, ის'ნა მეყვანო (ადაგული).

სევდა - სიყვარული: **სევდა** რა იყო, არ ვიცოდი.

სევრი - მარხვისა, რამაზნის თვეში ღამით ჭამა, დასლული: ღამეში ქი ჭამ, ადგები, იმას **სევრი** ვეტყვით; იმას **სევრებიხან** ვჭამ (მოსაუბრე გულისხმობს წამლის დაღევას - „ჭამას“ სევრის დროს).

სეიდიშვილი - „გვარი“ კოზლოუქოში.

სეირი - სანახაობა, გართობა, ზოგჯერ ყურება, დანახვა: ღარჭები ... თელევიზიონში **სეირობენ** (იბრაქი); მე არ მომხდაო, მარა **ვისეირეო** (ჰაჯიოსმანი).

სეკვიეთი - ადგილი გურბინში.

სელა - ლოცვა მიცვალებულის სულისთვის: მოკტება **სელა** დედახებენ, ხოჯას ქალად მიცემენ (სირეთიე).

სემა - მოსმენა, დევრიშების ღვთისმსახურების რიტუალი (ტრიალით ცეკვა): იმან იცის ესკი **სემა** (ნუსრეთიე); თქვენ ის... ემე ხართ, მუსაფირი, **სემეს** არ იჯება მუსაფირი (ლუთბიე).

სენა||**სენე** - წელი: ძუზ **სენა** წინ დედემ ამოვდა (შირინსულიე).

სერბესი - 1. თავისუფალი: ჩვენი დიდი დედემ... **სერბესი** ყოფილა, გამოქცეულა (ესკვერადიე); 2. ნებადართული, დაშვებული: უწინ ლაპარიკი არ იყო ადეთი [დანაშნულებს შორის], ახლა **სერბესია** (ადაგული).

სერდალოღლი - „გვარი“ გულდიბში.

სერენი - ბელელი: კარებზე **სერენია**, ყანაში ნალია; მე **სერენში** ვერ ევალ კიბეუყუდებელი (ხება).

სერვისი - მომსახურება: ოქულის **სერვისი** წიკავს (ირშადიე).

სერთოღლი - „გვარი“ ხებაში.

სერი - გორაკი: ეს აქვერი ოღლაგია, **სერები** (მარადიდი).

სერსემი - სულელი, გამოთავყვანებული: **სერსემი** დედაბერი რა'ნა ვქნაო, იტყვი; **სერსემი** რატომ'ნა გახდე?(ბუჯური)

სერსემობა - გამოთავყვანება, გამოჩერჩეტება: უწინ კად იყო, მეტი **სერსემობა** იყო.

სეფერი||**სეფერ**|**სეფელ** - 1. ამგვარად: თქვენ **სეფერი** ხართა ლახმაჯუნი გაჭამოთ? (ლუთბიე) 2. ჯერ (თანდებული): მე **სეფელ**, ორპირი მოველ ბათუმში (ჰამიდიე).

სეფილი - უბედური საცოდავი, გაჭირვებული, უბადრუკი: **სეფილია**, იმან არ ილაპარაკავს (მარადიდი); ჩემი დიდნენე მეტი **სეფილია** იყო (ჯივანი).

სეჭვი - ძველ სახლებში კედელზე მიშენებული საწოლი: ეს **სეჭვი** იყო, დააწვევივით (გურბინი).

სექიზ - რვა: **სექიზ** ყათიდან გადავარდა (იბრიქი).

სექსან უჩ - ოთხმოცდა სამი: დედამთილი მყავსა **სექსან უჩ** (სირეთიე).

სექსანი - ოთხმოცი: ორი ყირხ (=ორი ორმოცი) **სექსანი** (ახალდაბა).

სვამს - აქ: ეწევა თუთუნს: ჯერ არ **გისმია** ამფერი თუთუნნი? ძიგარად მე ებბედი არ მისმია, დეეჩვია, ნეჯეთ ემოდ **სმიდა**.

სვეტი - ბოძი, სარი: **სვეტზე** მისაობ ჭერსა, გახდება ღობე (ბუჯური).

სიაული - სიარული: ამდენ **სიაულში** ოცდაექსი მანათი ფარა ამომყვა.

სიბირია - ციმბირი: არ წამოვსულიყავ, **სიბირიას** გედევდოდით (მეჯიდიე).

სიბლაცყე - სისულელე: **სიბლაცყე** ვქენით (ქირიმითი).

სივრისინეგი (თ. Sivrisinek) - კოლო: **სივრისინეგი** ხასი ბუზია (ნუსრეთიე);

სუნგით ვერ მომკალით და **სივრისინეგებით** მომკლათ'ნა თუ? (ნუსრეთიე).

სიზე - სიძე: ფერხულ დუუძახდენ **სიზეს**, მემრე მოვდოდა.

სილორი - ნ. სინორი. საჭმელები ვიცით... **სილორი**... (რიშადიე).

სინაბ ელმა - ვაშლია ერთგვარი.

სინორი - 1. საზღვარი: ხე მუუგლეჯიან, ზეთ უუტანიან, **სინორი** გუუკეთებიან (ყარაფურჩეკი); 2. კერძის სახელი, იგივეა, რაც სილორი: საჭმელები თეელი ვიცით: დომორვა, ქალაჯო, **სინორი**... (ყარაფურჩეკი).

სირა - რიგი: კარში **სირა** გავხდებით, შევალთ, ვილოცავთ (ავანა); ასე რომ ჭკვები დააწყო **სირაზე**, ყველამ მის ჭკვას ასწევს (ბუჯური).

სირელი - გრძელი ჯოხი, ხალა, ლატანი: **სირელი** დააჭირავ, წევა ნავი წინესკე (ხეზა). შდრ. ლაზ. სირილი (ა. თანდილავა).

სირთი - სერი, ქედი: ეს **სირთები** ვენახები იყო (მარმაწმინდა).

სირსვალი - 1. კანის დაავადება, სირსვილი: **სირსვალი** ხნავს ყანასა (შელოცვიდან) (სირეთიე); 2. კერძის სახეობა: საჭმელები თეელი ვიცით... ლობიო, ფხალი... **სირსვალი** (მოხარშული სიმინდი, ლობიო) (მაამუდიე).

სირსვილი - კანის დაავადება, იგივეა, რაც სირსვალი.



სისტარი - საჭე: [ნავებს]... ჩამოვლად **სისტარით** ჩამეყვანდენ, გძელი ჯოხებით მიაწვებოდენ.

სისხლი - აქ: ეროვნება, ნათესავი: გურჯი ერთი **სისხლია**.

სისხლი, სისხლები - გად. სისხლით ნათესავები: გამარჯობათ, **სისხლებო!** (ჰამიდიე).

სიტყვა - ლაპარაკი: **სიტყვა** გუმიშია, უხმოზა - ალთუნი (ქირიმითი).

სიტყვით გალახვა - საყვედური, გალანძღვა: იჯავრებდენ, **სიტყვით გალახავდენ** (სირეთიე).

სიხინთი - წვალეზა, წამეზა, მოუსვენროზა: გული მეკოჭვის, **სიხინთი** მერევა (ქართლა).

სკიპუნტური - (?) სკიპუნტური მოვზარშე.

სლაკუნი - მოუსვენროზა: ნუ **სლაკუნობ!** (ზალაზანსირთი).

სოზა - ღუმელი: **სოზას** ვანთობდი (გურზინი).

სოიადი||სოადი - გვარი: ბაზას **სოიადი** - ქესკინ (სირეთიე); **სოიადები**, გვარი - ადინი (ქლასკური); გვარი რადა, **სოადი?** (გულდიზი).

სონრა - შემდეგ: ონ დაკვა **სონრა** მოკტა (ჰამიდიე); ბირად **სონრა** მოვდა (სირეთიე).

სოფრა - სუფრა: შარაზი მინდა, **სოფრა** (ნუსრეთიე).

სოლანი - ხახვი: **სოლან** ჩავჭრით (ჯივანი).

სოჭები ძირი - ადგილი დურჩაში.

სოჭიდიზი - ადგილი ხატილაში.

სოხახი - ქუჩა: ბაშქოდს **სოხახები** ზამთარ-ზაფხულ სველიაო (ისკები).

სრა - სროლა: **ვესრი**, ჰემ დავატან სამას მეტრზე, კარქა **ვსრი** მაუზერ; ლაზოდლი მივა და **სრისო** (ქლასკური).

სრის - ისვრის: ლაზოდლი მუა და **სრისო...**

სუზმე - ნადუდი, დო: დარჩეზა აირანი, აადულებენ, **სუზმე** გააკეტებენ (მარადიდი).

სულალე - შთამომავლობა: კად **სულალე** არიან (ქირიმითი); დედი **სულალე** და დეთარ, ეყოფათო (ნუსრეთიე).

სუნგი - ხიშტი: **სუნგით** ვერ მომკალით (ნუსრეთიე).

სუნეთჯი - ვინც სუნნეთს, წინადაცვეთას ასრულეზს, ჩვეულეზრივ მამაკაცი.

სუნეთჯოზა - სუნეთის შესრულეზა: **სუნეთჯოზა** იჯებოდა (ქლასკური).

სუნნეთი - წინადაცვეთა: თქვენში **სუნნეთ** იჯებიან? (იბრიქი).

სურე - პერიოდი, წელი: ენ წინ დემნიშნავდენ, რაცხამდონი **სურე** - ერთი თვე, ორი თვე, ხანდახან ბოვრი იქნებოდა (მარადიდი).

სუფურ - ნული: **სუფურ** ალთი წლამდე - ბებექი (მარადიდი).

სუფურგე - ცოცხი: **სუფურგეს** მივადებდი აკვანზე (ხეზა).

სუფხანელა - ღმერთო, ცოდვებისგან მიხსენ: მაშალა, მაშალა, **სუფხანელა** (ჯივანი).

სხლოვანის წყალი - წყარო ქართლში.

სხნის - ხსნის: რამისხელა ყვიროდა, იმა რატონ **სხნიო**, ჰამა იმან მაინც **გასხნა**.

ტ

ტაბანი - ტერფი, ლანჩა, აქ ძირი, ფსკერი: [ნავს] თხმელის **ტაბანი** ექნებოდა (მელანააზი).

ტაბი - ნ. თაბი: შენ, **ტაბი**, გოგუობის ხანუმი (შირინსულიე).

ტადა - უფროსი ძმა: ჩვენ ორი დავჩით, ერთი **ტადა** და მეა (ჰამიდიე); სამი ძმა, სამიც **ტადა** (ჰამიდიე); ჩემზე დიდი ბიჭი **ტადაა** (ნუსრეთიე); მისი **ტადაა** ავადეული გახდოდა (აივაზფინარი).

ტათლი - ტკბილი: იი გახდება **ტათლი**, ბეთმეზი (ჰამიდიე).

ტაი//ტაი - ბიძა, დედის ძმა: ნენეღს ძმა **ტაია** (ირშადიე).

ტაკოზი - შენობის სახურავის ხის საყრდენი: ხის **ტაკოზები** არიან... (ნუსრეთიე); მოზვერი დაყვერებდენ... **ტაკოზებით**, ხით **ტაკოზები** არიან (ლუთბიე).

ტამარი - ძარღვი: ხე'და გაარჩიო, გასინჯებდენ, რავარი **ტამარი** ქონდა (თეშვიქიე) (იგულისხმება ყავრის გასახდელი ხე).

ტანახრო - ადგილი დევსქელში.

ტანგო - (?): წელებზე **ტანგოებ** მედმენ (ქართლა).

ტანი - ცნობილი მნიშვნელობის გარდა ტოტი: სახლი უკან ბრეწველი, **ტანები** ჩამოწველი (ქართლა).

ტანკო - მეტსახელი კაცისა.

ტანსიონი - სისხლის წნევა: ავადეულებს ნემსი დაასებს, ტანსიონი გუუზომავს (სირეთიე).

ტანულოფს - იტანს, უძლებს: მისი განაყოფს თუ აქვა, ვერ ტანულოფს (ხება).

ტადა-ბიბიშვილი - ბიძაშვილ-მამიდაშვილი: მულის ბიჭი მოვეყანე, **ტადა-ბიბიშვილი** იქნება (ადაგული).

ტაროსი - ამინდი: **ტაროსები** აცივდება, წავალთ (აივაზფინარი).

ტაროსმა მედშავბედა - ამინდი მოიშალა: ხედავ, ტაროსმა მედშავბედა...

ტაშქოფი - ქვის ხიდი: ტაშქოფი იყო, ახლა გააკეთეს (ისკები).

ტაჩანი - ჭურჭლის სახეობა: კოჭობი იცი, **ტაჩანი** კოჭობი, რძე შეაყენებენ (სირეთიე).

ტერეფი - მხარე, კუთხე: ანა **ტერეფი** ღორჯუმელი ვარ (ჰაჯიოსმანი). ნ. თერეფი.

ტიალად – მტირალა: მეტი **ტიალად** ბალანა ყავან მაგნებს (მარადიდი).

ტიალი - ტრიალი: თავბრუ დემესხა **ტიალში**, გოდორი არ **მოტიალდა** და ჰალილად შენ'ნა **მოტიალდე**.

ტიკნაძე - გვარი ზ. მარადიდიში.

ტიფანიზე/დეფანზე/თეფანზე - ადგილი ხატილაში.

ტლინკავი - მწიხლავი, წიხლის დამრტყმელი (საქონელი): [ძროხა] ზოგი **ტლინკავი** იქნება (ადაგული).

ტობოდი - (?) დავჭარი დავთიზე [გველი] **ტობოდიანი** დანით (შელოც-ვიდან) (ირშაადიე).

ტოვარა - კაცის ზედმეტი სახელი, ლაღაბი: ჩვენი ჰასანის დედე „**ტოვარას**“ ეტყვიან, დუვარ სახლზე აკეთავს (ნუსრეთიე).

ტონტვა -(?): კაცმა მეგერ პაწამ **ეტონტა**, თაზისი გახდა მეგომ (ქირიმითი).

ტპა - ტბა გურბინში.

ტრაბზონლი - ტრაბიზონელი ქალი.

ტრაპენი - სოფელი კლარჯეთში.

ტრიალი - ადგილი ხატილაში.

ტრინკი - წიხლი, ფეხი (საქონლის): წამედყარა **ტრინკები** მოზვერმა (ქართლა); მოზვერ უკუნტია,/წამედყარა **ტრინკები** /დაგანახა ნალი (ქართლა).

ტუნელი - გვირაბი: ახლა პილენში არ არი, იქ **ტუნელი** არი.

ტურუბუდე - ადგილი ხებაში.

ტუჩი - მეტსახელი კაცისა.

ტყუპად - ქლიავის ჯიში.

უ

უზადი - შორი, მოშორებული.

უზუნ ომერ ოღლი - ლაღაბი აივაზფინარში.

უზუნი - ყურძენი: წაბლები თელი გახმა, **უზუნი** მოკტა (ნიმეთიე).

უზუნმაამუთოდლუ - „გვარი“ ნურუოსმანიეში.

უთინი - (?) შუმასავენ ხელები სედეფის **უთინია** (მურდული).

უკან - თან, ერთად: ერთი კაცი მივა ხარების **უკან** (ნუსრეთიე); მე და ჩემ კაცი'ნა წევდეთ ვინცხა არკადაშებს **უკან** (ნუსრეთიე).

უკანაკირბული - ადგილი ქლასკურში.

უკანად - შემდეგი, დანარჩენი: **უკანად** შენ თქვი (ავანა).

უკანეზე - შემდეგ: ერთი ქალი მუუკდა, **უკანეზე** ერთი მედყვანა (ერენქოდ).

უკანმერე - ადგილი ქართლაში.

უკანმერე - დევსქელის უბანი.

უკაცური - უკაცოდ, უქმროდ: შენსავე **უკაცური**'ნა მევლო?! (სირეთიე).

უკრებს - უკრავს: ქურთები ... სამობენ, ჩაღლი **უკრებენ**.

უმრი - სიცოცხლე: ღმერთმა დიდი **უმრი** მოგცესო (ელმალი). (ნ.) ომრი.

უმუდი - იმედი, მოლოდინი: **უმუდო**, ნუ დეიჯერავ (ისკები).

უმფროსი//უფროსი - უფროსი, აქ პატრონი, მშობელი: გოგოს უმფროსმა მისი ხალხი აწვევს; მოყვანიხან უფროს ეტყვის (ჯივანი).

უნიკა - ადგილი დევსქელში.

ურეყი - ადგილი ზ. ქლასკურში.

ურზუმა - ქოშვის (ხენდეკის ილჩე, საქარიას ილი) უბანი.

ურტყავს - ურტყამს, ცემს: ავნიმა **ურტყავს** ბაღანას, ჰელე მოგემშია, ვინ იცისო.

ურუსელაჲ - ყურძნის ჯიში, ადესა.

უსტა - ოსტატი: აქ ერთი ჰასან **უსტა** იყო (ბუჯური).

უსტურა - სამართებელი, საპარსი დანა: **უსტურა** და ბილევნი/შენთვის ვიწვი, ვილევნი (ჯივანი).

უფერავს - აქეზებს: ბუკში მიცინის, უკნიდან არ ვიცი, რა მიჯება, ჩემი ბიჭი **უფერავს** (სირეთიე).

უქუმეთი - (ნ.) ჰუქუმეთი.

ულურსუზი - შავბედიანი, უკულმართი, უბადრუკი (შ. ნიჟარამე): ფეხ დაცდი იშტე... **ულურსუზი** წამომადგაო, - იტყვიან და... (ადაგული).

უყურავს - უყურებს: ნუ **მიყურავ**, გურჯიჯა სიმღერები არ ვიცი.

ურ - სამი: მემრე, **ურ** სენა სონრა - სამი წელიწადის მემრე ბიჭი [მეყოლა] (ნუსრეთიე).

ურჩალი - თვითმფრინავი: ანკარაიდან **ურჩალი** მოიდეს'ნა (ბაშქოჲ).

ურუმარაჲ||ურუმელაჲ - ჩუმად, ფარულად: დარჭების **ურუმარა** გურჯიჯა დევლაპარიკებთ (სირეთიე); ქალებიც იკითხებენ **ურუმარაჲ** (ავანა); **ურუმელაჲ** წამოხვალ (ავანა).

უმრახი - დაულაპარაკებელი: სამ დილაჲ უნა იკითხო (ულოცო) საჭმელუჭმელი, **უმრახი** (სირეთიე).

უწინდელები - წინაპრები: ჩვენი **უწინდელები** იქიდან მოსულან (ჰამიდიე).

უჭვრიტავს - უყურებს: ქალმა **უჭვრიტავს** მეგერ, ნეტად რაფერიო.

უხმიობა - დუმილი: სიტყვა გუმიშია, **უხმიობა** - ალთუნი (ქირიმითი).

უხრაგი - ურთხელი.

უხსექი - ქალის სახელი: მისი ქალიც **უხსექი** თახსილია (ნუსრეთიე).

ფ

ფაზა (ფაზლა) - უფრო მეტი: ჩვენ **ფაზა** ბევრი მოველით (ნუსრეთიე); ისე არი, ჰამა **ფაზლა** არაა (შირინსულიე).

ფაზარი - ბაზარი: ჩემი კაცი **ფაზარში** საქმოდს (თხილაზორი).

ფათლიჯანა - ლელვის ჯიში: ლელვი არი **ფათლიჯანა** (ბუჯური).

ფათლიჯანი||**ფათრიჯანი** - ბადრიჯანი: [ხარობს] კიტრი, თომათისი, **ფათლიჯანი**... (მარადიდი); **ფათრიჯანი** მაქვა (მურკვეთი).

ფათხი - წნელი, მცენარის ტოტი: მუხი თუ არ დააქედებ, **ფათხით** ამუუხვევ (ხეზა).

ფაკირი - საწყალი, ღარიბი: ახლა ვინმე **ფაკირი** არაა, ახლა ზენგინია (სირეთიე).

ფალა - ანბანი: ჩემ ბაბომ გურჯული **ფალა** იცოდა, წერვიდა, ჩვენ არ ვიცით (აივაზფინარი).

ფალთო - პალტო: **ფალთო** ჩამოგიტანა, ჭო, შენა? (კირნათი).

ფალიგი - 1. უსინდისო(?): **ფალიგ** ვეტყვით შავშელებს, ფომობასაც ვეტყვი **ფალიგს**. არტანუჯი ფოშა და შავშეთ **ფალიგ** ვეტყვით (ბორჩხა). 2. შავშის მეტსახელი

ფამფალი - ქანობა, რყევა: ერთი ხიდი იყო, **ეფამფალეზოდა** (აზიზიე).

ფანთოლი - შარვალი: ბერებმა არ ჩეიცმებენ **ფანთოლი** (ლუთბიე).

ფანთოლონი - შარვალი: შადლის **ფანთოლონი**, ბობს შალვარს ვუძახით (ნუსრეთიე).

ფარალი - ფულიანი, შეძლებული: ჰურიევ, შენ **ფარალი** ხარ, ამეზლამ აქ რატონ დადექ?

ფართალოლი - „გვარი“ გულდიბში.

ფართენაძე - „გვარი“ კოზლოლქოდში.

ფასტა - ტორტი, ნამცხვარი: ასე დოდოფალ **ფასტას** მუუტანენ, ხუთი ყათი **ფასტი** (ისკები).

ფატატისი - კარტოფილი: **ფატასისის** საჭმელი გააკეთებენ (მარადიდი).

ფაფაზი - მღვდელი: ერთ ფაფაზ უთქმია (დემირაჩმა).

ფაშა - უმაღლესი სამხედრო და სამოქალაქო ტიტული ოსმალეთში: ერთი დედე ხოჯა იყო, მეორე დედე **ფაშა** იყო (აივაზფინარი).

ფაშვი - მუცელი: შენ თვალი ვერ გიგიძლია, **ფაშვი** ვერ გიგიძლია, მარტო გულით ვერ იქნება (დევსქელი).

ფაშვი ყანა - ადგილი ქლასკურში.

ფაცი - გოგო: გოგოს **ფაცი** ეტყვიან (მურკვეთი); ერთი **ფაცო** გევიჩინე, ჟუჟუნა თვალიანი (ერეგუნა).

ფახილი - გულქვა, ხარბი, შურიანი: **ფახილი** იყვენ, ჰამა ჭკვიანი იყვენ (ქოშვი).

ფახირი - სპილენძი: მღრეა ზომო წყალი, **ფახირი** ურევს მაქინები (ბუჯური).

ფედირი - ყველი: ჩლეჩილი **ფედირიც** არი (მარადიდი).

ფედამბერი - მუს. წინასწარმეტყველი, მოციქული: ის რესმა რომაა, **ფეიდამბერი** ანესია, მერიემ ანასი (მარმაწმინდა).

ფელჯი - დამბლადაცემული.

ფენჯერი - ფანჯარა: **ფენჯრები** ზემოთ ედღებოდა (ქოშვი).

ფერი - ავი სული, ჯინი: **ფერი** და გეაროს, **ფერების** უფროსმა იცის (ქირიმითი).

ფერხული, **ფერხულობა** - ცეკვა: გზაში იმღერებენ, **იფერხულებენ** (ხება); ევდოდით, **ვიფერხულავდით** (ქლასკური).

ფესიანი - „გვარი“ ხებაში.

ფექ - ძალიან, მეტი (თ. pek): **ფექ** არ ვიცით გურჯი (მამურიე).

ფემტემალი - წინსაფარი: **ფემტემალი** მქონდენ (სირეთიე). შდრ. აჭ. ფემტემალი (შ. ნიჟარაძე).

ფიდანი - ნერგი: თხამა შევდა და **ფიდანი** დაკნიტა (ხება).

ფიკნიკი - პიკნიკი: **ფიკნიკი** იჯებიან (ადაგული).

ფილავი - ფლავი: ქათმიანი **ფილავი** გააკეთებენ (სირეთიე).

ფირელი - (?): ის მის **ფირელში** საქმობს, არაბა ლასტიკია (ჰამილია).

ფისლუკი - ნეხვი: ისი [სხალი] ჩავარდა ძალლის **ფისლუკში**, ნეხვია-და (ისკები).

ფისტანი - კაბა: შესაკერელი დამჩა მისი **ფისტანი** (ერეგუნა).

ფიფინამ - რძითა და მაკარონით მომზადებული ფაფა: მოჭრილი მკარინაჲ ქია, იგი და ძე და გუურიო, გახდება **ფიფინამ** (მამურიე).

ფიქალი - ადგილი დევსქელში.

ფიშმანობა - ფიქრი: **ფიშმანობ**, **ფიშმანობ**, ვერაფერი ვერ მომიგონია (კირქხარმანი).

ფიშტო - დამბაჩა, თოფი: ლაგანი, **ფიშტო** ასწია (ქირიმითი); **ფიშტოს** დავაყრიდით, გაჩერდითო (მამურიე); **ფიშტოს** დააქუხვებდენ (ხება).

ფლატი - ადგილი დევსქელში.

ფლაქმა-ფლუქში - შორისდ. ციდან მუა რახა-რუხით, ქვეშიდან გადის **ფლაქმა-ფლუქშით** (გამოცანიდან – საცერი).

ფოთამ – განიერი, მოშვებული, ფართო: ქალმა რა იცოდა... რომ **ფოთამ** უძახდენ (მარადიდი). შდრ. სიგელი (შ. ფუტკარაძე), ძეგლი (მაჭახელი).

ფონი - ადგილი დევსქელში.

ფოროსეთი - ბაშქომს უბანი.

ფოროსეთი - სოფელი მურღულში.

ფორტი - ფორდი: **ფორტი** ფაბრიკაა, ერთმა ბიჭმა **ფორტში** საქმობს... „ფორტი“ უძახიან, არ ვიცი (მურკვეთი).

ფორჩვი - 1. დაცვენილი ფოთოლი: ცაცხვის, თელის, წიფლის, მუხის... ტოტებს ჩამოკაფავენ, ფოთლებს გააცლიან. დარჩეულ ფოთოლს საზამთროდ გაახმობენ... ზამთარში პირუტყვის საკვებს ამზადებენ (შ. ფუტკარაძე); 2. ყლორტებიანი მხალი: ვაკეთავთ... **ფორჩვი** ფხალი (მამურიე).

ფოსტი - ტყავი: იმ ღამეს გენჯები მეფყრებიან, **ფოსტები** მეფკრებენ ზრუგში (ქართლა).

ფოტოგრაფი - სურათი: დაშლიპენ, გააგდენ **ფოტოგრაფები**, შიგან **ფოტოგრაფი** ქი დეგენახა, ჯამსავენ განათებული იყო (ერეგუნა).

ფოქერი - მეტსახელი კაცისა.

ფოშა - 1. ბოშა, მოხეტიალე; 2. უსინდისო, უნამუსო: **ფოშა** გავხდი (შირინსულიე); არტანუჯი **ფოშა** (ქლასკური). 3. არტანუჯის მეტსახელი.

ფოშობა - უნამუსობა, უსინდისობა: ფალიგ ვეტყვით, შავშელებს **ფოშობასაც** ვეტყვი ფალიგს (ქლასკური).

ფრინჯი - ბრინჯი: **ფრინჯის** ფლავის ძებნაში ბურღულიც დაკარგა (ქლასკური).

ფსკილენძი - სპილენძი(?): მოსაუბრემ დოქზე მიუთითა.

ფუკარა - ღატაკი, ღარიბი: **ფუკარა** იყო და ერთი ცხენი ყავდა (ჩუბუქლუბალა). (ნ.) ფუხარა.

ფულლული - გუთან: ხარი, ხობო, ძროხა **ფულლულ** გაატანდენ (ჰაჯიოსმანი).

ფუნდული - თხილი: თხილი გვაქ, ენიშტე **ფუნდული** (იბრიქი).

ფურთუნა - ქარბუქი, ავდარი: **ფურთუნა** მოვდა წუხელი, დიდი **ფურთუნა** იყო (ხეზა).

ფური - ძროხა: ძროხას, პატინას, ფუჭინა ვეტყვით, დიდი - **ფური** (ნუსრეთიე).

ფუსკულაჲ - ძროხის სახელი (ისკები).

ფუსკული - ფოჩვი: სიმინდ **ფუსკული** აქ, ნერჩი (ისკები).

ფუფული - მუწუკი, გამონაყარი: ფეხზე **ფუფული** გამოვდოდა. საბა: **ფუფული** - გართხმული მუწუკი (მამურიე).

ფუჩინაჲ - ხბო, ახალდაბადებული: ერთი-ორი **ფუჩინაჲ** იქნებოდა (ჰაჯიოსმანი).

ფუჭინა - იგივეა, რაც ფუჩინაჲ: ძროხას, პატინას, **ფუჭინას** ვეტყვით (ლუთბიე).

ფუხარა - ღარიბი, უქონელი: **ფუხარა** ზენგინი გავხდით (ბუჯური). (ნ.) ფუკარა.

ფუხრობა - სიღარიბე: **ფუხრობა** იყო (ჰამიდიე).

ფშკერი - შკერი: **ფშკერი** არი ბევრი; იმაზე უთქმიან **ფშკერი** (ბაშქოჲ).

ქ

ქალაჯო - კერძი – ნადუღით, ერბოთი და მჭადით მომზადებული.

ქალი - ცნობილი მნიშვნელობის გარდა - ცოლი: მართოდ კაცია, **ქალი** არ ყავს (ნუსრეთიე).

ქანდარა - 1. აცმა; კანაფი, თოკი, ძაფი, რომელზეც ასხმულია თამბაქოს ფოთლები: ერთი, ორი-სამი **ქანდარა** თუთუნი მეც გავკიდო (კირნათი). 2. ღობეზე გადებული ხე: მაჭახელში **ქანდარა**, ბორჩხაში ჭერი, რაზეც დააჭედებენ ბარჯგი (ქოშვი).

ქართლა - სოფელი კლარჯეთში.

ქართლას მთა - ადგილი ხატილაში.

ქართული - აქ: ქართველი: ეს ქალი **ქართული** არაა, ართვინიდანაა. ჩემი ნენე, ბაბო **ქართული** არაა.

ქარი - სარგებელი: დაწერიდან რა **ქარი** გაქვან? (სირეთიე).

ქასეტი - კასეტა: გურჯიჯა სიმღერების კასეტი აქვა ჩემ ბიჭსა (იაკები).

ქაფული - ქაფი, ღუფი: ამისმა ბაბომ ბადრამზე გადელდა, პირიდან **ქაფულები** მოდიოდა (ქირიმითი). (ნ.) ქოფოყი.

ქეზავრი//ქეზაური - ადგილი ზ. ქლასკურში.

ქედიძირები - ადგილი ებრიკასა და იბრიქში.

ქელეში - ძაღლის სახელი: **ქელეში** ქვია ძაღლს (გურბინი).

ქემლოღლი - „გვარი“ ხებაში.

ქემენჩა - ქამანჩა: ადმოსავლური სამსიმინი, ხემინი საკრავი: მუზიკა იყო, დავლი, ზურნა, **ქემენჩა** (მურკვეთი).

ქენარი||ქენერი - კიდე, ნაპირი, განაპირა მხარე: ღელი(ს) **ქენერზე** ელლი ბემ დონუმში მიწა მაქ (ქირიმითი); ღელის **ქენარები** ფართო ევლეთ (კოზლულქოდ).

ქენევიტ - ქენით: ერთი - ამ ღარჭის ბაბომ იქ საქმოფს, ისე **ქენევიტ**, ასე **ქენევიტ**, - ასწავლის...

ქეფი - 1. ჯანმრთელობა: დღეს **ქეფი** არ მაქვა და საჭმელი ვერ გავაკეთეთ (კირნათი); 2. სურვილი, გუნება, განწყობილება: იმას ცოტა **ქეფი** არ აქ (სირეთიე); შენ(ი) **ქეფით** მოხვალ, შენ(ი) **ქეფით** მაგდებ (კირნათი).

ქერაბი - ადამიანის საკუთარი სახელი: ქერაბოღლი რუსიაში დიდი კაცი ყოფილა, **ქერაბი** იქა დიდი კაცი ყოფილა, იმის ბაბომ (ჰამიდიე).

ქერაბიძე - კლარჯული „გვარი“ ჰამიდიეში.

ქერაბოღლი - კლარჯული „გვარი“ ჰამიდიეში.

ქერენთი - ქერინდი, ცელი? **ქერენთი** ავწიე და... ჰემ ვჭრი, ჰემ სიღმერა ვთქვი (აზიზიე).

ქერტაში - ადგილი ხებაში.

ქესტანე - წაბლი: **ქესტანე** რას ეტყვიტ, წაბლსა? (ნუსრეთიე).

ქეფინი - სუდარა: **ქეფინში** გაახვევენ (სირეთიე).

ქეფჩე - 1. ციცხვი, ჩამჩა; 2. თოხის სახეობა: პატარა, პირმოღუნული ან პირმოტეხილი თოხი, წალდი და მისთ., ეზო-კარმიდამოში იყენებენ (შ. ნიჟარაძე): წაღანად **ქეფჩეით** მივდოდი (ელმალი).

ქეშიში - მღვდელი: **ქეშიშები** გარგან დაარტყამენ (ქართლა).

ქვა დოდოფალა - ქედი ზ. ქლასკურში.

ქვადიდი - ადგილი ისკეზში.

ქვეფგენ - ქვევით, ქვევითკენ: **ქვეფგენ** მიმყავდენ ვირით (ჰამიდიე).

ქვეშეთ - ქვეშ: **ქვეშეთ** დანა დამალე (ისკეზი).

ქვეშიდან - ქვევიდან: **ქვეშიდან** დევწყებდით (ქოშვი).

ქი - 1. კი: ალმანისას **ქი** არა, იმას ყავს გოგო (ჰამიდიე); 2. რომ: ჰიჩ **ქი** არ დეინახავ კაც... (გურბინი).

ქითაბი - წიგნი: ჩვენ მაგ **ქითაბებსა** ვერ მოვესწარით (კირქხარმანი); დუნის დაფარება **ქითებშიც** არი (კირქხარმანი).

ქილითი - კლიტე, ბოქლომი: ნაჯაქ ნერდე, **ქილით?** (ხეზა).

ქილიმი - ნოხი: **ქილიმ**, ჩარჩავ საფექროზე მოვექსოვდით (ქლასკური).

ქილისა||ქილისე - ეკლესია: **ქილისე** იყო, ჰეჩ რამ არ დარჩა; ის მეგერ **ქილისაში** ყოლიან (ერენქოე).

ქილიში -ქირიში(?): თუზ არ დააყრის **ქილიში**.

ქიმი - ზოგჯერ, ხანდახან: **ქიმი** ვარიგავთ, **ქიმი** ვერ ვარიგავთ (აივაზ-ფინარი).

ქირაზად - აპრილი: ენ გაწუხებული თვე ეს თვეა, აპრილი, **ქირაზად** (მარადიდი). შდრ. ქირეზად - ივნისი, „ხალხური სახელწოდება წლის მეექვსე თვისა“ (შ. ნიჟარაძე).

ქირაზი - ბალი, შავი წყავი (მარადიდი).

ქირვა - ნათლია: ამის ბაღანის **ქირვა** ვარ მე (ავანა).

ქირიში - ძელი, მორი: სახლზე თემელა **ქირიშებს** [გუუდებდი].

ქიჩმახური - გამოცანიდან: არც მეტი **ქიჩმახური** (ქათამს არა აქვს) ძუძუ (ქლასკური).

ქლასკური - სოფელი ბორჩხაში.

ქოთანად - მსხალია ერთგვარი.

ქოთანახევი - ადგილი ქართლასთან.

ქოლისტერი - ქოლესტერინი: ედდა, ქონდარი ჩორბაში აყრიან, **ქოლესტერისა** არაა?

ქოლონი - დასამწყვდევი ადგილი: მოვდა მეგერ მამალმა, დედმახა: ფადიმე **ქოლონიშია** (კირნათი). შდრ. კოლონია.

ქომარადიდი - ქომო მარადიდი: ექრემ ილმაზ-მემიოლლი, ბათუმიდან, დედემ - ბათუმიდან, ნენემ - მარადიდიდან, **ქომარადიდი**.

ქომო სოფელი - ადგილი ქართლაში.

ქომო სოფლის წყალი - წყარო ქართლაში.

ქომობა - ხეზას უზანი.

ქომობანი - დევსქელის უზანი.

ქომოსოფელი - ადგილი ქართლაში.

ქომური - ნახშირი: **ქომურები** ვაკეთებდი, დედებმა **ქომურები** იჯებოდენ (ლუთბიე); აქ **ქომურ** აკეთავდენ, ისტამბულ მიქონდენ (მამურიე).

ქომ - სოფელი.

ქოროლაჯადი - დასაბრმავებელი (წყევლის ფორმულა): გადავატრიალე **ქოროლაჯადი** (გვერი).

ქოფოცი - პირიდან **ქოფოციები** მოდიოდა (ელმალი). (ნ.) ქაფული.

ქოფრი - ხიდი: ესკი **ქოფრი** იყო, დეინგრა (დევსქელი).

ქოქვამ - სოკოა.

ქოქვამ - სოკოს სახეობა.

ქოქი - 1. მცენარის, ბოსტნეულის ფესვი: ერთი **ქოქი** გვაქვა (ჰამიდიე); 2. ჯიში, მოდგმა: **ქოქში** გეტყვი - ჯინსი (ზაგინი).

ქოქირდი - მთა.

ქოშე - კუთხე: **ქოშემ** გამოშპა (ქირმითი). იქ ენ **ქოშეში** არი (ისკები).

ქოჩარი - ცეკვის სახეობა: **ქოჩარი** დუგუნებზე მაგნები ისამებდენ (მარადიდი).

ქოოვანი - ადგილი ისკებში.

ქუთული - ხის მორი, გადანაჭერი: ჭოროლში **ქუთულები** ჩაყარენ (ნურუ-ოსმანიე).

ქულა - ჭურჭელია ერთგვარი: დაღ ჩადებსდა **ქულაში** (ქართლა).

ქუმუგი - ჭური: დიდი **ქუმუგები** ამოილო ჩემ დედმა (დევსქელი).

ქუნჩალი - ფუჩეჩი: მე **ქუნჩალი** ვიცი, ჩვენებმა **ქუნჩალი** იციან (ესკი ფერადიე).

ქურდიეთი - ადგილი ქლასკურში.

ქურელი - ნიჩაბი: ნავს **ქურელი** ეწიკება (მარადიდი).

ქუფი - ჭური: ღვინის **ქუფები** იყო, გატყდა (შერიფიე).

ქუქური - გოგირდი.

ღ

ღალიშკარი - ადგილი ჩხალეთში.

ღამეს ქეიფი - ყვავილის სახელი (მარადიდი).

ღარჭი - ბავშვი: ესკი თანე **ღარჭი** მყავს, ორი თანე გოგო მყავს, ოთხი თანე - ბიჭი (ქლასკური).

ღარჭობაში - ბავშვობაში.

ლაჯინი - გამოჯავრება: სარალოდლი, გენჯაღები ეტყვიან, **ალაჯინებენ** (აივაზფინარი). შდრ. აჭ. ჯადინი.

ღელე ყანა - ქართული ტოპონიმი ჰამიდიეში, კლარჯთა სოფელში.

ღვიორო - ნაღვერდალი: ახლა **ღვიორო**’ნა დავაყარო (დევესქელი).

ღინჯები - ღრძილი: გემრიელი პასუხი გაქ/გემიჯდები **ღინჯებშიო** (ქართლა).

ღლაფომ - მეტსახელი კაცისა.

ღმერობს - მღერის: ნახენ მეგერემ ხეზე დაკუკვილი და მარტომ **ღმერობდა**...

ღმეჭვა - ღეჭვა: პური (=პურს) **ღმეჭავს** (ჰამიდიე).

ღოჯე - „ფიცრებიანი შენობის კუთხე ორ კედელს შორის; ფიცრული სახლის კუთხედი“ (შ. ნიჟარაძე): მემრე დავკვიდებდით სახლი(ს) **ღოჯებზე** (ავანა).

ღრინო - ღვინო: **ღრინო** დალია; **ღრინო**’და დალიო-თუ? (შირინსულიე); დალევენ **ღრინო**, მანქანას ეჯახებიან (აზიზიე); მაგინი **ღრინოს** სმენ, ჯო!

ღრუტუნები - გამოქვაბულები: მუუთხრიან, **ღრუტუნები** არი, მაღარა ქვია (მურღული).

ყ

ყაბი - ჭურჭელი: არ გაჩხიკდეს, **ყაბებში** ჩავაწყობთ (გურბინი).

ყაბული - ყდა, კანი, ნაჭუჭი, ქერქი: ...ბექმეზი ყურმენისა ახლა წყალი (=წვენი) გამეღღე-თუ, **ყაბული** დარჩა თუ (ჰამიდიე).

ყაბულიანი - თხილის ჯიში: თხილი გვაქ... **ყაბულიანი**, შავი თხილი (იბრიქი).

ყადი - მაღალი თანამდებობის პირი, მოსამართლე: ჰუქუმეთის რაცხა დიდი კაცი ყოფილა, **ყადი** (ჰამიდიე).

ყადიოღლი/უ - კლარჯული „გვარი“ ჰამიდიეში.

ყადირჯოღლუ - ხატილური „გვარი“ რიშაადიეში.

ყავე - ყავა: დედემა **ყავეს** გააკეთებდა, მე ჩიმისხებდა (ლუთბიე).

ყავი - ციყვი: ხეზე გესულა **ყავი** (გულდიბი). შდრ. აჭ. ყავი (შ. ნიჟარაძე).

ყავლა - დავა, ჩხუბი, სკანდალი: **ყავლა** გააკეთებენ, წეკინდლებიან (ისკები).

ყაზა - 1. მაზრა, რაიონი: ჩვენი **ყაზა**, ვილაღეთი ბათუმი ყოფილა (მურღული); 2. უბედური შემთხვევა. (ნ.) ყეზა.

ყაზა-ბელა - უბედური შემთხვევა: ღმერთმა **ყაზა-ბელა** არ მოგცონ (გურბინი).

ყაზალი - სვიტრი: მატყლიდან ... კიდე **ყაზალი** გააკეთებდენ (ჰამიდიე).

ყაზანი - ქვაბი: ძველობაში ასე **ყაზანები** გვქონდენ (ავანა).

ყაზანლი - ყაზანელი: ბიჭის ქალი **ყაზანლია**, თურქი არ არი (ჰამიდიე).

ყათი - 1. ფენა, რიგი, წყება: ერთი **ყათი** ჩასაცმელი; 2. სართული: დაბლა **ყათი** არი (ნუსრეთიე); ორი **ყათი** იქნებოდა სახლი: ერთ **ყათში** დიდი ბაზომ იცხოვრებდა (ნუსრეთიე).

- ყათიმი** - ფენა: თავზე თეთრი ლეჩაქი, თხუთმეტი **ყათიმია** (ჯივანი).
- ყაია//ყაა** - კლდე: დიდი **ყაა** მას დეეცა (ისკები).
- ყაიმეკამი** - მეტსახელი კაცისა.
- ყაინალი** - შემდუღებელი: მე იმის უსტა ვარ, **ყაინალი**, რადიატორი გახეთქდება, გავაკეთავ (ბუჯური).
- ყადაფა** - კერძის სახეობა, ჩირისგან (ჭერამი, ქლიავი...) დამზადებული.
- ყადაული** - (?): ბიჭის ქალი **ყადაულია** (ნუსრეთიე).
- ყააში** - ქამარი: შენი კლავი'ნა გახდეს ჩემი წელის **ყააში** (ნიმეთიე).
- ყალა** - აკლია: იასი ზორ გვიან იმახიან, ონ ბირა ჩერექ **ყალა** (=თერთმეტს რომ თხუთმეტი აკლია).
- ყალდინუმი** - ქვაფენილი: ლაწდამიცა **ყალდინუმი** (ქირიმითი).
- ყალე** - ციხე-სიმაგრე: მე ვეძებ **ყალეს**, ვერ მინახია (ბუჯური).
- ყალო** - ნ. კალო.
- ყალფი** (ი) - გული? ყირიზი, **ყალფი**, ყირიზი ერთპირ მოკტა (ახალდაბა).
- ყანა** - მიწა: **ყანა** მიწაა აქაურისთვის (ხება).
- ყანაველა** - ღელე ზ. მარადიდში.
- ყანთარი** - სასწორი.
- ყანათა** - მამამთილი, „კაცის ბაბოა“ (ხება).
- ყანანა** - დედამთილი: ვინ **ყანანა** იმახს ახლანდელი ძალისთვინ, კად ძალი მყავსო? (ქართლა).
- ყარადერე** - შავი ხეობა (აქ: ადგილის სახელი): **ყარადერე** ვარ, დიდი შავი ვეშაპი გამოსულა (ქირიმითი).
- ყარაფოლი** - „გვარი“ მამამუდიეში.
- ყარაყიზა** - ფურისა და ხარის სახელი ზ. ქლასკურში.
- ყარშიბერი** - წინ და უკან, ყველგან: უწინ იღმერავდენ, **ყარშიბერი** იღმერავდენ (ხება).
- ყაურმა** - (ნ.) კაურმა: იმ დერგში არც **ყაურმა** მედმლება (ჰამიდიე).
- ყაფალობა** - ჩაკეტილობა: უწინ იყო **ყაფალობა**, ახლა ყველგან მედდანია (გურბინი).
- ყაფალი** - სახურავი ჭურჭლის ან სხვა რაიმესი: იმას ზეიდან **ყაფალ** დიდი მძიმე დააბურებდენ (ჰამიდიე).
- ყაფერა** - მეტსახელი კაცისა.
- ყაჩთანე** - რამდენი: ჩემ სიძეს **ყაჩთანე** დააწერია (ერენქოა); ღორები ჭამენ, **ყაჩთანე** კლავენ (ბუჯური).
- ყაწიმი** - მოსართავი: თავზე თეთრი ლაჩაქი, თხუთმეტი **ყაწიმია** (ერეგუნა).
- შდრ. საბა - ყაწიმი; ქეგლ - ყაწიმი.

ყაჯი გოლი - ტბის სახელწოდება: „ამღრველი, წარე წყალი დგას, ძროხები არ სმენ“ (ისკები).

ყაჯიგოლი - მთა.

ყაჯიროღლუ - ხატოილური „გვარი“ რიშაადიეში.

ყებილე - გვარი, ოჯახი, მოდგმა: მისი კაცი იქეთ გაქცეველა, იქიდან აქ მოსულა, **ყებილე** გახდენ (ბუჯური). შდრ. აჭ. ყებილე (შ. ნიჟარაძე).

ყეზა - უბედური შემთხვევა, ავარია: **ყეზა** იქნა, მომიკტა იშტე (ქირიმითი). ნ. კაზა.

ყედე - განწყობა, ხასიათი, გუნება: **ყედე** რა ვიცი, ჩვენი პასუხი ისეა და (ბაგინი); ლამაზი იყო **ყედედამ** (ბუჯური). შდრ. აჭ. ყეიდი (შ. ნიჟარაძე).

ყია - კისერი: ბეშობილ **ყიაზე** დეაკიდავ (ბაგინი).

ყიდავს - ყიდის: ისნებიც წესული არიან, სხალ **ყიდავენ**.

ყიზილბაში - 1. უცხო, გარედან მოსული: ორეთმენი **ყიზილბაში** იყო (აივაზფინარი); 2. გად. წვრილშვილი, შვილები: ოთხმოცდახრამეტი **ყიზილბაში**... ბაბოვ, ფული, ბაბოვ, ფული! მე ვინმე არ მაძლევეს (ისკები).

ყიიმეთლი - ღირებული: ამათი ფარა **ყიიმეთლია** (სირეთიე).

ყილინჯოღლი - ლაღაბი აივაზფინარში.

ყინა - ინა: **ყინა** დეადებდენ, დუგუნის ერთ დღეს წინ **ყინა** დეადებდენ.

ყინა, ყინაგეჯე - საქორწინო რიტუალი: ქორწილის წინა დღეს დედოფლისათვის **ინის** (ყინის) დადება: ერთი ღამე **ყინაგეჯე** იყო (სირეთიე); ამესღამ **ყინა** არი ამის დაღს (ქართლა).

ყიოღ - მეტსახელი კაცისა.

ყირავი - ყინვა.

ყირიზი -(?) **ყირიზი** ყალფ, **ყირიზი** (ახალდაბა).

ყირმიზად - ხარის სახელი ზ. ქლასკურში.

ყირხალთი - ორმოცდაექვსი: ერთი ბიჭი აღმანიას მყავს, **ყირხალთი** დაშინდა (აივაზფინარი).

ყისირი - ბერწი, გამრავლების უნარსმოკლებული: **ყისირ** უკაცოს ეტყვიან (მოსაუბრის განმარტება) (დევესქელი).

ყისმეთი - ბედი: **ყისმეთი** არ გამოგიჩდა? (ნუსრეთიე); შანსი ისე მქონებია, შანსი **ყისმეთი** (ადაგული).

ყლარქვა - დახრობა: ღარქებ **ყყლარქებდენ**. (ნ.) მოყლარქვა.

ყოღაღ - ადვილი: ბათუმ საქონლის წაღება ისე **ყოღაღ** არაა (კირნათი).

ყოღთული - სავარძელი: **ყოღთულები** არიან (ისკები).

ყონალი - ბინა, ღამის გასათევი ადგილი: მაქვა გოლჯუკში **ყონალი** (ნუსრეთიე).

ყოფნილობს - კმარობს: რაცხას მისცემენ **ყოფნილობენ**, რაცხას მოქცემს, ვყოფნილობთ.

ყოჩაღ - თხილის ჯიში: **ყოჩაღ** თხილი ჯობია (ადაგული).

ყრა - სროლა: მე აქიდან მაუზერი **ვაყრავ** (მამურიე); დომუზებმა თხილი-მილი ჭამდენ, ახლა კიდევ ჭამვენ, თოფი-მოფი **აყრიან** (მარადიდი).

ყუბუხი, ყუბუხად - კანი, ქერქი. ნ. ყაბული.

ყუდება - გამართვა, ფეხზე დგომა: წელი მტკივა, ვერ **ვეყუდები** ზემთკენ (ერენქომ).

ყუვეთი - ძალა, ღონე: ღმერთმა **ყუვეთი** მოგცოსო, **ყუვეთი**, ჰალი, ჯანი მოგცოსო (ქლასკური).

ყუთინი - (?): შუმსასვენ ხელები,/სედეფის **ყუთინია** (ერეგუნა).

ყულდღე - ყოველდღე: **ყულდღე** ჰასტანე არაა (ისკები).

ყუმარლი - მთა.

ყუმაში - ქსოვილი, მატერია: მომიტანეს **ყუმაშები** - შესაკერავები (ნუსრეთიე). შდრ. ძვ. ქართ. კუმაში (ი. აბულაძე).

ყუდ - ორმო, ჭა: ბევრი ღორები ჭამენ, ყაჩთანე კლავენ, **ყუდს** ვაკეთეფთ, ჩავფლავთ (ბუჯური).

ყურანი - მუსლიმანური წმინდა წიგნი.

ყურალი - გვალვა: **ყურალები** არწევდეს (ჩუბუქლუბალა). ნ. კურალი.

ყურბეთი - უცხოეთი, უცხო მხარე: მეც მყავდა ბიჭი, **ყურბეთში** არიან (გურბინი).

ყური ლობიო - ლობიოს ჯიში (ხება).

ყურუთი - მჭადის ფქვილისაგან, ერბოსა და ნადულისაგან მომზადებული მზეზე გამხმარი კვებები: აქ „**ყურუთი**“ იტყვიან, იქ „დო“ ვეტყვით (ირშადიე).

ყურშუმი - ტყვია: **ყურშუმები** უსრიან (შირინსულიე).

ყუსური - ნაკლი: **ყუსურზე** არ დიმიხედო (ჰამიდიე).

ყუჯალი - ერთი ბლუჯა, ერთი ხელში ალება: დორთუნჯი **ყუჯალი** ვართ ჩვენ (ლუთბიე).

შ

შავი - მეტსახელი კაცისა.

შავი თხილი - თხილის ჯიში.

შავიაა - ხარის სახელი: ჩემი **შავიაა** გაზდილა და კოლეექტურში მუშაოფს.

შავტყე - ადგილი ზ. მარადიდში.

შავყანა (ტყე) - ადგილი ნურუოსმანიეში.

შალმა ვაშლაა - ვაშლია ერთგვარი.

შამოუფერდავი - შემოულობავი: კარი **შემოუფერდავი**, ჰავლი(ნ) მოხმარდება თუ? (გურბინი).

შანსი - ბედი: **შანსი** ისე მქონებია, **შანსი**, ყისმეთი (ადაგული); სიცოცხლობა მაქ, კად **შანსი** მაქ (ჯივანი).

შანსლი - კარგი ბედის მქონე, იღბლიანი, ბედნიერი: მე ვიცი, **შანსლი** ქალი ხარ (ერენქო); **შანსლი** გოგო ვიყავი და წავყევი ბაბუაშენს (ხება).

შაადლი (შაპი ადლი) - საშაპო, სამეფო: **შაადლს** ქილიმსავენ დაქსოვდენ (ნუსრეთიე).

შარაბი - ღვინო: **შარაბი** მინდა, სოფრა (ნუსრეთიე); **შარაბი** კად არაა (ბუჯური); ნახა **შარაბის** დერგი (ნუსრეთიე).

შარაბის დერგი - ქვევრი: დედემ ყვირილი დედწყო, აქ ჩამოფო. ნახა **შარაბის დერგი**.

შარი - ლექსი: თელი იცის, ერთი **შარი** ქი თქვი (ნუსრეთიე).

შარშანი - მომავალი: ღმერთმა **შარშანი** არ მოგასწროს! (მოსაუბრის განმარტებით „მოსული“).

შაქა - ხუმრობა: კად კაცია და იმისთინ ისე **შაქა** ვიჯებით (ნუსრეთიე).

შაქათმვა - (?) მე გოგვები **შაქათმე** (ისკები).

შაქარეთი - ბაგინის უბანი.

შაყვერი - ადგილი ზ. მარადიდში.

შეელმა - ვაშლის ჯიშია.

შეიდი (<შეჭიდი) - მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპული: დედემ ხარფში **შეიდი** გახდილა (ავაზფინარი).

შეითმეზერი//**შეიდმეზერი** - წმინდანის საფლავი: იქ ერთი გოგო(ს) მეზერი იყო, **შეითმეზერიაო**, იტყოდენ (ქლასკური).

შელიგობა - მხიარულობა: **შელიგობა** იქნებოდა (ქლასკური).

შემერა - შემერია(?): ლამაზების ძებნაში ჩიჩვირა **შემერაო** (ბაგინი).

შემსიე - ქოლგა: დაგაცხუნა, **შემსიე** მოგიტანო? (იბრიქი).

შემშამილი - ცეკვის სახეობა.

შენური - საშენო: შენ **შენური** საქმე დაგჩა, პურ გამუაცხოზდი, ყველამფერ ვიქმოდი (გურბინი).

შეი - რამე, რაღაცა: იმსოდ **შეები**, არ ვიცი (გურბინი); ავსილი რაცხაები მომიტანეს, **შეები** მომიტანეს, შეები, ჩასაცმელები (ნუსრეთიე).

შეითანი - ეშმაკი, დემონი: რა **შეითანი** ხარ შენ! (ბაგინი).

შეპირება - შეთანხმება: გოგო, ბიჭი **შეპირდებიან** (ისკები).

შერეფი - თ. şerep – ღირსება, პატივი: ხუთი თანე შვილი მყავს, სამი **შერეფისაა** (ხება).

შესაღებელი - შესაღები: მაგ მაშინა ბათუმ მივა, **შესაღებელია**.

შეფ - უფროსი: ჰექიმი არა და მუდირი, **შეფ!** (მარადიდი).

შექერად - ვაშლის ჯიში.

შექერაძე სხალი - მსხლის ჯიში: გამოზაფხულებამდე **შექერაძე** სხალი გუუთევს (ბუჯური).

შექერი - 1. შაქარი; 2. დიაბეტი: მაბიწყდება, **შექერი** მაქ (ისკები); 3. კანფეტი: იმას **შექერებ** მივცემ (ადაგული).

შეყვარილი - შეყვარებული: ჩემი დედეს და ერთ ბიჭი **შეყვარილი** ყოფილა (ჰამიდიე).

შეყრა - შეხვედრა: ჩვენ კიდო **შეყვარეთ** (ჯივანი); წევდა მეგერ ეს კაცი, **შეყვარა** დათვმა (კირნათი).

შეშამილი - ცეკვის სახეობა.

შეცოდვილება - შებრალება: ი ღარჭი მეტი **შემეცოდვილა** (იბრიქი).

შეცოდვილება - შეცოდება: ამის ნენემა, ბაბომა რა ქნას? ი ღარჭი მეტი **შემეცოდვილა**.

შეძახება - 1. დაძახება: იმის უკან ხოჯამ თელყინს **შუუძახავს** (სირეთიე); 2. რჩოლა: ჩემი ძალმა მე არა, დაბანჯმა იქნება, **შეეძახება** (ისკები); ფუტკარი **შეგეძახება**, ზორ (ისკები); ძალი მყავდა, ჰემ ჰკვიანი, ერთ კაც უცემია და იმა **შეეძახა**, მოვკალი.

შეწვილი - შემწვარი: ე ვაშლიც **შეწვილა**, რაზე ზიხარ მაგზე?

შეწორება - შეთანხმება: **შეწორდენ** მაღლიდან და მეღლაპარიკენ (აივაზფინარი).

შეწყობა - შეგუება: ჩვენებური გურჯი თქვენ მეტი არ **შეგეწყობიან** (ნუსრეთიე).

შვა - შუა: **შვა** აერი თლათ ქვა ყოფილა, პლაკე (ნუსრეთიე).

შველება - 1. განკურნება: სირსვილი მექნებოდა... ბაბანემა ჩიმიკითხვებდა... **მეშველებოდა** (სირეთიე); დახმარება: სახლ გააკეთავს, ყველა **ემშველება** (ნუსრეთიე).

შვიდპირ - შვიდეკერ: **შვიდპირ** ამელია ვარ (ჯივანი).

შიან - შიგ, შიგნით: სახლი **შიან** დეინახე! (ლუთბიე).

შიანაი - შიგნითა: კორკოტანი - სიმინდის **შიანაი** გული (ესკიფერადიე).

შილი - მაზლის ცოლი: **შილი** კაცის ძმის ქალია (ირშადიე); **შილები** ვიყავით (ჯივანი).

შიმდი - ახლა, ამჟამად: **შიმდი** ეს ემე გამოვდა (ლუთბიე); **შიმდი** ჯანაზე რომ იყო, თელი აქ არიან (ირშადიე).

შინ - სახლი, ოჯახი: „**შინ**” არ იტყვიან აქა, სახლი იტყვიან (ირშადიე).

შიშა - 1. შეშა; 2. ხე: დაჯექ, **შიშის** სკამია, დაბალი (გურბინი).

შიშმანი - მსუქანი: [ვეტყვით] შენ **შიშმანო**, შენ თოფალო, შენ ყურმოჭ-რილო... (ჯივანი).

შკერი - იელი: მორგულ **შკერის** ჩიჩეგია (ისკები).

შოთი - ლავაში: ყველანი მი **შოთ** გააკეთავს (ნუსრეთიე).

შოთი ბორეგი - კერძი: საჭმელები იმფერი ვიცით... სილორი, **შოთი ბორეგი** (რიშადიე).

შორვა - წვნიანი კერძი: ერთი **შორვა** ანჯახ გავაკეთე (იბრაქი).

შტო - ტოტი, რტო: სისხლი ჩეძეცა, სისხლმა **შტოს** მიცა, **შტომა** ფურცელ მიცა (შელოცვიდან).

შუამეჭელე - ადგილი ტრაპენში.

შუაწვერი - ადგილი ზ. ქლასკურში.

შუახვევი - სოფელი დევსქელის ხეობაში.

შუბანი - ხეზას უბანი.

შუდი - შვიდი: ერთი, ორი. . . **შუდი**.

შუვალ - მთა.

შუტი - ნერწყვი: მომანდომე მეც, **შუტი** გადამაყლონწიე, ქომო სახში ჩადი, იქ აკეთებენ, ჭამე (ზაგინი).

ჩ

ჩაზავება - ჩანგრევა, ჩაშლა: ყორე თლათ ჩაშვებულა და **ჩაზავებულა** (კირნათი).

ჩაილი მაჰალესი - ტრაპენის უბანი.

ჩაირი - თივა: ჩემი **ჩაირები** ხმარობენ და მე მამლევენ (ერენქო).

ჩაკითხვა - შელოცვა: ჩემი ბაბანემა, სირსვილი მექნებოდა, **ჩიმიკითხავდა** (სირეთიე).

ჩალიში - მუშაობა: აქავრი გოგოები **ჩალიშიდან** გამაღლილი არი (ქლასკური).

ჩალღი - საკრავი: ახლა **ჩალღი** არი, იმით სამობენ (იბრიქი).

ჩამალილი - ჩამალული: მასკან წევდენ და ნახენ მეგერ **ჩამალილი**.

ჩამაშური - სარეცხი: **ჩამაშურ** ქი გარეცხავ (**ჩამაშური** - სარეცხელი - მოსაუბრის განმარტება - ჩამწ.) (ზაგინი).

ჩამერაყებული - დადარდიანებული: რემზი **ჩამერაყებული** დარჩა (კირნათი).

ჩამილღი (შდრ. ჩიმილ - კოლო) - აქ მკბენარი: ვინმეს ხათრ არ დავარჩენ, **ჩამილღი** ვარ (სირეთიე).

ჩამოვლაჲ - ჩამოსვლისას, ჩამოვლის დროს: [ნავებს] **ჩამოვლაჲ** სისტა-რით ჩამეიყვანდენ (მარადიდი).

ჩამოპაწკუნვა [თვალისა] - თვალის ჩაკვრა: **ჩამოპაწკუნვადი** თვალით გოგოს (მამაშურიე).

ჩამორჩობა - ჩამოხრჩობა: ქალის **ჩამორჩობა** მას დააბრალებს მეგერ და მანაც **ჩამოარჩეს**.

ჩამურლი - ტალახიანი (ტოპონიმი): მთა ტალახიანი ყოფილა, ტალახიანი დერი (მოსაუბრის განმარტება – ჩამწ.) (მურღული).

ჩამუში - ყურძნის ჯიში: **ჩამუში** ყურძენი უძახიან ამას (საფულარი).

ჩამწათხვა (ყველის) – ყველის შენახვა მარილიან წყალში (წათხში): იმდონ ყველ ჩამედტანდა, დერგულეებში **ჩავმწათხვედი** (მარადიდი).

ჩამხლევა - ჩანგრევა: მინარე **ჩეიმხლა** (სირეთიე).

ჩანჩი - ფუჩეჩი, ჩალა: **ჩანჩ** წედღებ, უკან მედტან; **ჩანჩი** – ჩალა აინია (ნუსრეთიე).

ჩანჩხალა - ჩანჩქერი ზ. ქლასკურში.

ჩანჩხითავი - ადგილი ქლასკურში.

ჩარული - ქალამანი, ტყავის ფეხსაცმელი: **ჩარული** ძროხის ტყავიდან [იკერება] (ნუსრეთიე).

ჩარში - ბაზარი, ქალაქის ცენტრი: ზამთარში **ჩარში** ვართ (გურბინი); ბათუმ **ჩარში** ხარ, სული არ გიწუხს? (იბრიქი).

ჩარჩაფ(ი) - ჩადრი: ერთი მაქვა ძველი **ჩარჩაფი** (ქლასკური).

ჩარხები - ადგილი გურბინში.

ჩატაკოზი - „გვარი“ ხეზაში.

ჩატირვა - ჩატირება: ოთხი ძმა ქოთანში **ჩატირავს** (გამოცანიდან - ძროხის ძუძუები).

ჩაუში - 1. სამხედრო პირი, გამგებელი; 2. საკუთარი სახელი: **ჩაუშ** ემიად იტყოდა (ქლასკური).

ჩაფად - თოხის სახეობა: თხელპირა თოხი, რომლითაც სიმინდის ყანას თხრიდნენ: **ჩაფად** თხრიდენ [ყანას] (მარადიდი).

ჩაფლებენ - ჩაფლავენ: ... შორიდან მომსლელი ყავან, თან **ჩაფლებენ**.

ჩაქი – პატარა, ჯიბის დანა: რადთ ჭრი, ნაზიმ ბიძასი **ჩაქი** აქაა? (კირნათი).

ჩაღმალი//ჩახმალი - ჩახმახი: უწინ **ჩაღმალი** იყო (ჯივანი); ერთი თოფი მაქვა, ჰამა კონდახი არ აქვა, **ჩახმალიც** ბელლი არი ჰადმეო (კირნათი).B

ჩაყუდება - ქვევით ჩასვლა: ეს არ'ნა დათვალო, **ჩაყუდებიხან** იქ ჩეარო (ისკები).

ჩაჩად - ცეკვის სახეობა.

ჩაჭრა [საზღვრისა] - ჩაკეტვა: ჰუდუდი **ჩეიჭრა**, აქავრელები იქეთ დარჩენ (ჯივანი).

ჩახრიკარი - ადგილი ისკებში.

ჩეთინად - ძნელად: თხილი გვაქ, შავი თხილი, **ჩეთინად** ტყდება (იბრიქი).

ჩეთინი - ძნელი: ზორ **ჩეთინია** (აივაზფინარი); ეს ქართული კად რაცხა არი, გაგაგებინებენ, **ჩეთინი** იქნება (ბუჯური).

ჩელიქოლლი - „გვარი“ კოზლულქოლში.

ჩემნები - ჩემები: **ჩემნებმა** იციან, ამნებმა არ იციან...

ჩენგე - ყბა: **ჩენგე** მაგარი აქ იმასა (ნუროსმანიე).

ჩენგელი - 1. ჩანგალი: დადეები სუფრიდან რაცხას მედპარავენ: კოვზი, **ჩენგელი** (ისკები). 2. მეტსახელი კაცისა.

ჩენჩი - ფუჩჩი: [სიმინდ] ფუსკული აქ, **ჩენჩი** (ისკები).

ჩერაბიძე - კლარჯული „გვარი“ ჰამიდიეში.

ჩერგნა - მარგვლა: **ჩერგნა** ქალების ამბავია (ქლასკური).

ჩერმუკი - ბაგინის აილა.

ჩერმუხი - ადგილი ქართლასთან.

ჩეშტი||**ჩეშთი** - სახეობა, ჯიში, სხვადასხვა, მრავალგვარი: **ჩეშთი** საჭმელი იჯებნებიან (შირინსულიე); დემირაჲ ვაშლი, შეელმა ვაშლი - ორი **ჩეშტი** ვიცი, სხვა არ ვიცი (მარადიდი).

ჩეჩმა||**ჩეჩმე** - საპირფარეშო: [ოდაში] მაღლაც **ჩეჩმე** იქნებოდა, დაბლაც (ნუსრეთიე); ...**ჩეჩმა** ჩავა ვენახში (ქართლა).

ჩენი ყანა - ადგილი გევლში.

ჩენური - ჩვენებური: „მერიემ“ **ჩენური** სახელია (ისკები).

ჩივთი - წყვილი: ორი **ჩივთი** ხარი გვყავდა (ელმალი).

ჩილი - ჭორფლი: **ჩილი** ქონებია და იმისთინ (ჰამიდიე).

ჩინამეთი - მეტსახელი კაცისა ისკებიდან.

ჩინი - 1. ძალა, შესამღებლობა: **ჩინი** არ მაქვა, ვერ ვილაპარიკებ (ბაშქომ); ლაპარიკის **ჩინები** არ მაქვა (ბაშქომ); 2. თვალის სინათლე, მხედველობა: თვალების **ჩინი** წიმივდა (ჯივანი).

ჩინჩავატი - მურღულელების მეტსახელი.

ჩინჩავატი - ჩანჩურა, ქონდრის კაცი, აქ: მეტსახელი „გვარისა“: **ჩინჩავატი**ა ეს, არ ვიცი, ჩენი გურჯები იტყვიან; მე დამნიშნეს ძან, **ჩინჩავატებს** მივეციტო (ნიმეთიე).

ჩიტავრი - ადგილი ზ. ქლასკურში.

ჩიტავრი - დევსქელის უბანი.

ჩიტიშარა - ადგილი ხატილაში.

ჩიფთე ნალია - ადგილი ჩხალეთში.

ჩიფჩი - ფერმერი: მე **ჩიფჩიდან** ემექლი ვარ (ქირიმიტი).

ჩიქელელი//**ჩოქელელი** - გამომშრალი ნადული.

ჩიჩეგა - ფურის სახელი ისკებში.

ჩიჩეგი||**ჩიჩელი** - ყვავილი: აქ რაც უნდა **ჩიჩეგი** არ იქნება (ნუსრეთიე);

ჩიჩელები დარგილი მაქვა (სირეთიე); შიგან [კომშში] **ჩიჩეგ** დებენ (ქართლა).

ჩიჩვირა - ჩიჩვირიანი, სქელბაგანი, მსხვილტუჩებიანი: ლამაზების ძებნაში **ჩიჩვირა** შემერაო (ბაგინი).

ჩიხეთი - ადგილი ხატილაში.

ჩლეჩილი - ყველი სახეობა: **ჩლეჩილი** ფეინირიც არი (მარადიდი).

ჩობნობა - მწყემსობა: **ჩობნობას** ვიჯებოდი (ქართლა).

ჩოთროდლი - „გვარი“ ხებაში.

ჩოლოხი - ჩოლოქი: ბათომიდან კი, არ ვიცი, ქუთაისი, **ჩოლოხი**.

ჩომა - საქონელი, პირუტყვი: **ჩომა** არ მოვდენ, **ჩომა** გარეთ დარჩენ (ქლასკური).

ჩორანი - მლაშე, უნაყოფო მიწა (ნუსრეთიე).

ჩორბა - წვნიანი კერძი (მარადიდი).

ჩოროხი - ჭოროხი, აქ: დიდი მდინარე//დიდი წყალი: აქა **ჩოროხი** არის (ნურუოსმანიე).

ჩოქ - ძალიან: **ჩოქ** გუზელია (ერენქოძე).

ჩოქელელი - გამომშრალი ნადუდი: **ჩოქელელიც** არი (მარადიდი). ნ. ჩიქელელი.

ჩოხა - პალტო: **ჩოხა** იქნებოდა წითელი, შავი... (ნუსრეთიე).

ჩოჯული, **ჩოჯულლარი** - ბავშვი, ბავშვები: „**ჩოჯულ** – ბავშვი, ღარჭი“ (მოსაუბრის განმარტება – ჩამწ.) (მარადიდი); იმის **ჩოჯულლარი** - ჩემი ღარჭები შენზე ემანეთიაო (ჰამიდიე).

ჩხავნარა - ადგილი ზ. მარადიდში.

ჩხაკუნაყანა - ადგილი ჩხალეთში.

ჩხალეთი - ბაშქოის უბანი.

ჩხალი - ფრინველია, ჩხართვი? **ჩხალმა** გააქცია კრუხი, ჭუჭულები მყავდენ (იბრიქი).

ჩხალოღლუ - ხატილური „გვარები“ რიშაადიეში.

ჩხიკვოღლი - მეტსახელი კაცისა.

ც

ცაცხვი ძირი - ადგილი ადაგულში.

ცემვენ - ცემენ: თუ საქმეში გასარკვევი რამე არი, მეზობლები მივლენ, **ცემვენ** და გაარკვევენ.

ცვავს - ცავს: ვინმე **ცვავს** თუ იმას?

ციფწყარიეთი - 1. ადგილი ქართლაში. 2. წყარო ქართლაში.

ცუტა - ცოტა: არ იკითხა, არ იკითხა ინსნები, ჭკუა **ცუტა** აქვა.

ცქემლი - ცრემლი: ისტამბოლიდან მოველი, **ცქემლები** მოდის...[ძაღლს].

ცხემნარაჲ - ადგილი ზ. ქლასკურში.

ცხენის ზურგი - ადგილი გურბინში.

ცხინვალი - ადგილი ქართლაში.

ცარიელი – თავისუფალი (სწავლისაგან, სამსახურისაგან): მექთების დაწყებამდე **ცარიელი** ვართ (გურბინი); **ცარიელი** დავრჩი, ამოვედი ბორჩხაში (ჯივანი); ის **ცარიელია** ზათი, ბევრს არ ისაქმავს (ნუსრეთიე).

ცაუსე (<*ჩაუში) – სამხედრო პირი, გამრიგებელი: ერთი იქ მოკტა, მუსტაფა **ცაუსე** (გულდიბი).

ცაქი (<*ჩაქი) – პატარა, ჯიბის დანა: ნენემა ესკიდან **ცაქით** დაჭრიდა მაკარინას (შირინსულიე).

ცეცხლი – ნაკვერცხალი, ნაღვერდალი: იმას უკან **ცეცხლი** და დააყარო (ხება). კეც მივაყუდებდით, მოზელდენ, დააკრევედენ, საჯ დაახურევედენ, დააყრიდენ **ცეცხლ**, გამოცხვებოდა ჭადი (ელმალი).

ცივი – წყარო: **ცივ** ვეტყვით, წყაროს ვეტყვით (ჰაჯიოსმანიე). შდრ. აჭ. საცივი (შ. ნიჟარაძე, ჯ. ნოლაიდელი).

ცინტალი – კნუტი.

ციცამ – გოგო: ხუთი **ციცამ** მყავს, ორიც – ბიჭი (ქირიმთი).

ცოცხლობა – ცხოვრება: იმის მერე **ცოცხლობთ** აქაურობაში (დევესქელი); ერთი აგზე **ცოცხლობს**, ერთიც – ბორჩხაში (ხება).

ცოხნულობს – იცოხნის: **ცოხნულობს** [ბალახს] (ქლასკური).

ცუდე – ამოდ, ტყუილად: **ცუდე** რამ მარები (ნუსრეთიე).

ცუტალალა – ცოტა: ჩუენ **ცუტალალა** ვიცით იშტე, ყველამ არ იცის (ახალდაბა).

ძ

ძალი – რძალი: „ძალი” აქ ეტყვიან „გელინი”, იზნიქის სოფელში ვეტყვით (ირშადიე).

ძალიანი – ძლიერი, ძალის მქონე: უნახიან აქ ჩემი მამას მამას ძმა, **ძალიანი** ხელებით, დიდვანი.

ძალობა – რძლობა: მეტი კამ **ძალობა** იჯება (ჯივანი).

ძე – რძე: ილიასამ წამედკიდა **ძიანი** კარდალი.

ძელი – ხე, ფიცარი: **ძელის** სახლებ გავაკეთებდით (ელმალი).

ძველებური – მოხუცი: **ძველებური** მოვა, ბერი.

ძველი – ასაკოვანი: აქ ვინმე **ძველი** არ არი, ენ **ძველი** მე ვარ იშტე (ერენქოი).

ძველობაში – უწინ, ძველად: **ძველობაში** ასე ყაზანები გვქონდენ (ავანა).

ძველური – ძველები, ასაკოვანი: **ძველური** ინსნები არ არიან, **ძველური** (ნუსრეთე).

ძიგარად – სიგარეტი: **ძიგარად** მე ებზდი არ მისმია (ადაგული).

ძიგვი – ცხემლის მსგავსიაო, ძელქვა (?)

ძივი - მძივი: ჩვენში ხოჯა ნუსხას დაწერავს, დაკიდავს. **ძივი**, იმა დაკიდვენ (ავანა).

ძირად - ძირს დაყრილი, ჩამოცვენილი: **ძირად** ვაშლი ვინმეს მიაქვან, ჭო? (მარადიდი).

ძიფიად - რძის ფაფა.

ძმუხი - ტყემლის წვენი, ტყემლის საწებელი: ზოგი **ძმუხი** ეტყვიან (ქლასკური).

ძოვნენ - ძოვნენ: ჩვენი ჩაი მარადიდ ძროხებმა **ძოვნენ**.

ძროხა - საქონელი: საქონელ „**ძროხა**“ ვეტყვით.

წ

წაკინდლება - წაჩხუბება: ჩვენთან **წაკინდლება** არ იყო (ზაგინი); დემეწვება, რძალმა **წემეკინდლება**.

წაკლებული - (?) **წაკლებული** ხელეზზე გოგებმა იმღერებდენ „ჯილველოდ ნანა-და“ (ჩუბუქლებალა).

წაკრილი - (ჭკუა რომ აკლია?) თვალნაცემი, გათვალული: ამან ბევრი მღერობა იცის, ცოტა **წაკრილია**.

წალოქრო - წყარო ზ. მარადიდში.

წანწალა - მოქანავე ხიდი: ხიდი ექანება, იმ ხიდ ვეტყვით, ჭოროხზე ათი ცალი **წანწალა** ხიდი იყო (ქლასკური).

წანწალებს - ქანაობს, ირყევა: ერთიც [ხიდი] სოფელში მაქვა, მარა ისე არ **ეწანწალება** (ქლასკური).

წასვლა - გადატ. გარდაცვალება: სამი ბიჭი მყავს, ორი **წევდენ** (ჰაჯიოსმანი).

წაღანა - წელან: **წაღანა** ქეფჩედთ მივდოდი (ქირიმითი).

წევს - გადატ. დაკრძალულია, დასაფლავებულია: აჰმედ დედედ მოსულა აქ, სად **წევს**, არც ვიცი (გევრი).

წევყვანავ - წავიყვან: **წევყვანავ** კაციც.

წვევა - დაპატიჟება, მიწვევა: ხალხი **ვაწვიეთ** (სირეთიე); **მაწვიეს**, ჰამა ვერ წველ (ნუსრეთიე); გოგოს უმფროსმა მისი ხალხი **აწვევს**, ბიჭის უმფროსმა მისი ხალხი **აწვევს**, დუგუნე მაქვაო (ხება).

წვერი ყანა - ადგილი ქლასკურში.

წვიპინტური - წვიპილის შექამანდი(?). წვიპილი „ერთი სოდ ბალახია, იჭმება“ (შ. ფუტკარაძე): დესა, დესა მამალი ქოსა, მემიტანოს'და **წვიპინტური** (ქართლა).

წვიტ-წვიტი - წვრილი: კაკიად – შაშვმა ჭამს, **წვიტ-წვიტი** შავია (ქლასკური).

წითელა - აქ: წითელი სიმინდი: ჩვენ დავარგით, ამსოდ **წითელა**, ენ წინ მივა, ჭადი არ ვაცხოზ, კონსერვე გავაკეთე.

წითელაძეები - წითელაძეები: **წითელაძეების** ძროხა გეეჩვია სიმინდის ჭამაზე.

წითელი ქოქჯაძე - სოკოს სახეობა.

წითელხევი - ადგილი ჩხალეთში.

წითლობი - ადგილი იბრიქში.

წიკება - მოწიწვა: ნავს ქურელი **ეწიკება** (ისკები).

წიკვა - ზიდვა, ტარება: ჯეფში (ნ.) **წიკავს** (ქლასკური) - ჯიბით ატარებს; ოქულ სერვისი **წიკავს** (ირშადიე).

წიკვავრი - ათანოღლი ქომ (ქვედა ქლასკური).

წინ - უწინ: **წინ** მყავდენ ძროხები (გულდობი); **წინ** აღება არ იყო (სირეთიე);

წინ მალე დაასახლებდენ (ავანა); კეცი **წინ** იყო, ადგა (ხება).

წინა - აქ: წინაპარი: ამ სოფლის სახელი **წინაების** დარქმეველი სახელია.

წინაები - წინაპრები: ამ სოფლის სახელი **წინაების** დარქმეველი სახელია (ბამქოი).

წინაკირბული - ადგილი ქლასკურში.

წინდელი - წინანდელი, უწინდელი: ენ **წინდელი** კად ვართ; **წინდელი** დრო ამსოდ იყო (ადაგული).

წინიდან - პირველი: **წინიდან** დიდი ძმა იყო, იმა(ს) ქალ მუყყვანდენ სიფთად (ნ.) (ბაგინი).

წინწკალაშვილები - ადგილი ქლასკურში.

წიქავრი/წიქვავრი - ადგილი ზ. ქლასკურში.

წიქარად - ხარის სახელი ზ. ქლასკურში.

წიქვაძე - გვარი ზედა ქლასკურში.

წკვინდა - წვრილი: იმის უკან **წკვინდა** ძაფი გააკეთებდენ (ჰამიდიე).

წწნელი - აქ: კაკლის დასაბერტყი ჯოხი: კაკალს ჩამოვბერტყავთ **წწნელით** (მამამუდიე).

წონა - მოწონება: ახლა ჩვენი თავი არ **წონან**, არა (ჰამიდიე).

წონს - მოსწონს: ახლა ჩვენი თავი არ **წონან**, არა.

წოწოლად - კერძის სხეობა: საჭმელები თეელი ვიცით: ქალაჯო, **წოწოლად** (ყარაფურჩეკი).

წოწოქაძე - ტყემლის საწებელი, იგივეა, რაც ძმუხი (ნ.): ზოგმა ძმუხი ეტყოდა, ზოგმა - **წოწოქაძე**. (ქლასკური). შდრ. აჭ. წოწოქაძე - მყავე.

წრეველად, წრევეს - წელს: **წრეველ** არ ვაკეთებ, წინ ვაკეთებდი (ისკები); რამითი კილოს'ნა დარიგდეს **წრევეს**? (კირნათი).

წუბი ვაკე - ადგილი დურჩაში.

წუმპო - - ადგილი დევსქელსა და ზ. ქლასკურში.

წურვილი - კერძის სახეობა (მამმურიე).

წყალთა[ნ]ყანა - ადგილი ქლასკურში.

წყალოთვარი - ადგილი ზ. მარადიდში.

წყალოქრო - ადგილი ზ. მარადიდში.

წყალქლიავი – ქლიავის სახეობა: ქლიავები არი... **წყალქლიავი** (ბუჯური).

წყაროთავი - ადგილი ჩხალეთსა და დევსქელში.

ჭ

ჭადიწვენა - კერძის სახეობა: საჭმელები თელი ვიცით: ქალაჯო, დომორვა, **ჭადიწვენა** (ყარაფურჩევი). შდრ. აჭ. **ჭადიწვერა**: „მოწვავენ ერბოს, მოტუმავენ ხახვს, დაასხამენ წყალს, წამოადულებენ და ჩაფშვნიან შიგ მჭადს, შეიძლება ზოგჯერ კვერცხიც ჩათქვიფონ“ (შ. ნიჟარაძე).

ჭალა - 1. სათიბი: ყანა **ჭალის** სახელებიც გინდა თუ? (ხება). 2. ადგილი ნურუოსმანიეში.

ჭამავს - ჭამს: **ვჭამავთ**, დევძინავთ, წყალი ვსვავ, გავაკეთეფთ, ფილავი ვიქავთ, კომბოსტო გავაკეთეფთ.

ჭამებენ - ჭამენ: რუსებმა **ჭამებენ** ღორი ხორცი.

ჭანი - მეტსახელი კაცისა ისკებიდან.

ჭანჭური შავი - ქლიავის ჯიში.

ჭარხალა – ჭარხალი: ახლა არ მაქვა **ჭარხალა** (იბრიქა).

ჭელითავი - ადგილი ქართლაში.

ჭენება – სირბილი: რას **ეჭენები**, გო? (დევსქელი).

ჭერული - ადგილი ისკებში.

ჭეჭები - თათები: [ძალლი] ინსანსავენ **ჭეჭებს** დაგაწყობდა, ისე მიყვარდენ (ქლასკური).

ჭვირთი - ტვირთი: მოსხნეს მეგერ **ჭვირთი** ვირ (კირნათი).

ჭვირთული - დატვირთული: ევა ცარიელი, ჩამოვა **ჭვირთული** (გამოცანა).

ჭვიტინა - ჭიტინა? არხვადან გამოჩნდა ჩვენ მურღულის **ჭვიტინა** (ქართლა).

ჭილაფრი - სოფელი კლარჯეთში, გურბინს გაღმა.

ჭილვანი - ადგილი ტრაპენში.

ჭიმური - ნადულითა და ერბოთი მომზადებული მჭადი: **ჭიმურ** გააკეთებდენ (ყარაფურჩევი). შდრ. საბა: „ესე არს პური დაფხვნილი, გინა ბრინჯი, ანუ სხვა მარცვალნი მგბარი ერბოსა, ანუ ზეთში მოხრაკონ, რომელსა სპარსნი ფლავსა უწოდენ“.

ჭისკარეთი - ადგილი ისკებში.

ჭიშკაროდლეუ - ხატილური „გვარები“ რიშაადიეში.

ჭლიკი - 1. ფეხი: **ჭლიკები** მტკივა (ქირიმთი). 2. წიხლი: **ჭლიკი** არ დამარტყა, მოვწველო (ძროხას მიმართავს).

ჭოროლი - ჭოროხი, დიდი მდინარე: **ჭოროლი** - ახლა დენიზი გახდა, უწინ **ჭოროლი** იყო; ეს **ჭოროლია**; მან გაცურავდა **ჭოროლში**; **ჭოროლში** ქუთულები ჩაყარენ (ნურუოსმანიე).

ჭოროხმხედნელი - 1. ჭოროხს რომ უყურებს ზემოდან; 2. ხეხას მეტსახელი.

ჭოჭიკვერა ქვა - ადგილი ზ. ქლასკურში.

ჭრიხინა - კერძის სახეობა: დაპწნილი ყველი იცით-თუ? **ჭრიხინა**... დააჭრიან, დაჭრიან და მალ მუასხმენ... ღორჯუმელები ბორან ეტყვიან და აჭარლები - **ჭრიხინა** (ჰაჯიოსმანი).

ჭუპი - ლაღაბი: ჭუპი დედე (მამამურიე).

ჭური ყანა - ადგილი ზ. ქლასკურში.

ჭუჭყუნი - ღრუტუნი (?): რას **ჭუჭყუნობ** ღორსავენ (შელოცვიდან) (ადაგული).

ჭყიმა - „ავი თვალის“ მქონე: **ჭყიმა** კაცი - თვალმაცემარა (მამამურიე).

ჭყიპინობს - ჭყიპინებს, ჭყივის: დაწერე მაგნების ამბავი, **ჭყიპინობენ**-თვა...

ხ

ხაბაზი - „გვარი“ დევსქელში.

ხაბაზოდლი - დევსქელის უბანი.

ხაბერი - ამბავი, ცნობა.

ხაბერის მიცემა - ამბის, რაიმეს შეტყობინება: **ხაბერი არ მივეცი**, მოსლამდინ **ხაბერი არ მივეცი** (ავიზაფინარი). (ნ.) ხებერი.

ხავიწი - შექამანდია ერთგვარი, პურის ფქვილის ფაფა, ერბოთი: წყალი აადულა'ნა, შიგან ცოტა მარილ ჩაყრი, კუნძი არ გახდეს. ფქვილი წყალში'ნა გასხნა, არ'ნა დედაკრას. ფურის მაღი'ნა დაასხა, დედაშუმვის, ქვილის სული წლუვა, შამურევ, შამურევ, მემრე გამაასხამ თეფსზე; ზედადნ, მაღი დაწვი, დაასხი.

ხაზირი - მზა, გამზადებული: ახლა **ხაზირ** ედებენ (ჰამიდიე).

ხაზირობა - მზადება: ზამთარში **ხაზირობას** იჯებიან (იბრაქი).

ხალა - დეიდა: **ხალა** - ნენეს და (სირეთიე); აიშე **ხალა**, ესენი ბათუმიდან მოდიან (დევსქელი).

ხალაშვილი - დეიდაშვილი: **ხალაშვილი** მეფყანება? (დევსქელი). (იგულისხმება დეიდაშვილზე დაქორწინება).

ხალვაში - გვარი ზ. მარადიდში.

ხალიმი - ნოხი, ხალიჩა: ჩემი **ხალმებიც** ასე დავანგრე (გურბინი).

ხამდან - ხელახლა, ისევ: **ხამდან** წყალ დავასხამთ (ისკები).

ხამი - ადგილი ზ. მარადიდში.

ხამითავი - ადგილი ზ. მარადიდში.

ხანე - კომლი: ამ სოფელში ჩემი ღარჭობიდან სამოცი **ხანე** იტყოდენ (მამამურიე); სამასი **ხანე** ვართ (ნუროსმანიე); ოზდაოთხი **ხანე** ყოფილა, ყველამ მისი წყალი მან იცის (სირეთიე).

ხანძართა - ხატილას დაილა.

ხაპერი - თავი: დასხლიტა, **ხაპერზე** მოხტა (ქირიმთი).

ხაპი - გოგრა: **ხაპები** გედესულა ხალხის ძერებში (ქლასკური).

ხარბი//ხარფი - ომი, ბრძოლა: ისტამბოლ **ხარბი** ყოფილა (ნუსრეთიე); **ხარფში** შეიდი (ნ.) გახდილა (აივაზფინარი).

ხართველი - ქართველი: აქა, ... ათ და ხუთი სოფელი **ხართველია**, თველი **ხართველია**.

ხარმანი – კალო: წინაჲ გზობა **ხარმანი(ს)** რჩევაზე ვეხმარებოდი (კირნათი).

ხარმანობა – კალოობა: **ხარმანობა** რომ მექნება, შენ იმა(ს) მეტყვი (კირნათი).

ხარტალი - თითისტარი: **ხარტალი** ვეტყოდით იმა (ესკიფერადიე). ნ. ხერტალი.

ხარხამი - ჭიშკარი: **ხარხამი** – შესასლელი-გამოსასლელი.

ხასი - სუფთა, ნამდვილი, წმინდა: სივრისირნეგი **ხასი** ბუზია (ნუსრეთიე).

ხასტაჰანე - საავადმყოფო: მე **ხასტაჰანეს** დირექტორი ვიყავ (მარადიდი);

ხასტანეში ვიწევი (ისკები). ნ. ჰასტანე

ხატილა - ხევი ართვინს ზემოთ.

ხაფიზოლლი - „გვარი“ დევსქელში.

ხაშარი - სარი, ჯოხი, რომელსაც უსობენ ლობიოს, პომიდორს...: **ხაშარმა** ვერ დეჲკავებდა ლობიო? (კირნათი); ლობიაჲ, **ხაშარი** რომ დიგისევი, ლერწი და მიეც ზეცაში (ყარაფურჩეკი).

ხაჯიოლლი - „გვარი“ მამუდიეში.

ხება 1. (ახლა კარშიქო) - სოფელი ბორჩხას ზემოთ; 2. ადგილი საფანჯეს ზემოთ.

ხებალი - ხებელი: ჩვენ „ოდოში“ ვიცით, **ხებალემა** „ჰყლინტი“ იციან.

ხებერი – იგივეა, რაც ხაბერი: მე **ხებერი** არ მქონდენ (ქოშვი).

ხევი - ადგილი ზ. ქლასკურში.

ხევიპირა - ადგილი გურბინში.

ხევისი - საუზმე.

ხეირი – სიკეთე, კეთილდღეობა: ღმერთმა **ხეირი** მოგცენ (სირეთიე).

ხეირსუზი – უხეირო, ხეირს რომ არ დაგაყრის, სიკეთეს რომ არ გააკეთებს: ბაბოჲ **ხეირსუზი** მყავდენ (ჯივანი).

ხეირუქნელი – უხეირო: **ხეირუქნელებმა** შიგვიშალენ ხელი (მარადიდი).

ხელზე მოკითხვა - ხელზე ამბორი: ავუკატმა **ხელზე მომკითხა** (კირქხარმანი).

ხერთალი - ნ. ხართალი: არის საჩეჩელი, იმას **ხერთალი** ვეტყვით (გურბინი); ხერთალი მე შევნახე (ლუთბიე).

ხეჭეჭურად - მეტსახელი კაცისა.

ხეჭეჭურად - მსხლის ჯიში, გავრცელებული მთელს ჭოროხის ხეობაში.

ხვართ(ქ)ლი - მცენარის სახეობა .

ხთომილობა – მიხედვრა: ახლა მათებური ვლაპარაკობ და **ხთომილობენ** (ირმადიე).

ხიზარი – ხერხი: ხიზარი ვისი ხმაროვ, გო? (კირნათი).

ხიზმეთლი – ადამიანი, რომელსაც უყვარს მომსახურება: კად ძალია, **ხიზმეთლი** (ერენქოი).

ხიმირო – წისკვილის ნაწილი, რომელშიც იყრება სიმიინდი: ერთი ვერანა წისკვილი ვნახე, ჩავწევი, ფქვილს რომ ყრიან იმაში, **ხიმიროა** თუ რაცხა (კირნათი). შდრ. ხვიმირი.

ხინკილა - საჭამანდია ერთგვარი: შავი ლობიო, ჭახე ვაშლი, ხორბალი, ჭადის ფქვილი, თხილი შუურევენ, მერე ძმარი...

ხინწკალაშვილი - ადგილი ქლასკურში.

ხინწკანა - ხებას უბანი: **ხინწკანა** და გოდორი მოქსოვს (მარადიდი).

ხისიმი – ნათესავი: თბილისში ბარათაშვილები ჩვენი **ხისიმი** გამოდგა (ხება); ბათუმსაც **ხისიმები** ყავს აზლას (ქლასკური).

ხლება – დადე ეახლებოდა (ხება).

ხმაები - ხმები: ქვეითაა ჯამე, **იქიდანაც** მოვა ხმაები.

ხმარვა - მოხმარება, გამოყენება: მე **ხმარვა** არ ვიცი (სირეთიე).

ხმიადი - უსაფუვროდ გამომცხვარი პური: **ხმიადი** „პურის ფქვილიდან გააკეთავენ“ (მამურიე).

ხოზიკად – ბალახის სახეობა, ორკბილა: ბოლომდე გაშვებულია **ხოზიკად**, აქ **ხოზიკადა** (კირნათი); **ხოზიკად** არ იყო ამ დროს (კირნათი).

ხოშ - ხომ: დღესაც **ხოშ** ქრის, ცივი ქარი ქრის (კირქხარმანი); იმ კაცმა **ხოშ** არ უთხრა, რომ (კირნათი); ზეჟიედთ ავატყოფობს იგი თვარა, მარტოდ რომ იყოს, ისე **ხოშ** არ იქნება?

ხოჯა - 1. მასწავლებელი, მოძღვარი: ისიც ამ ჯამის **ხოჯაა**. 2. მოლა: ერთი დედემ **ხოჯა** იყო (ჰამიდიე).

ხუთიდან მივა – ხუთ წელს ათაგებს: ბადიში მყავს, **ხუთიდან მივა**, არ გაათავა, მივა (სირეთიე).

ხუთპირ - ხუთჯერ: **ხუთპირ** ვუთხარ იმა, ჰამა ყურში არ შუუშვა.

ხურმა - მეტსახელი კაცისა.

ჯ

ჯაბეთი - დიდცხვირიანი(?): ერთი რათი **ჯაბეთია**, გევგნებდე (ბაგინი).

ჯაზი - ჯადოქარი, კუდიანი: უწინ მეტი ბევრი იყვენ **ჯაზი** (ქლასკური); **ჯაზი** მე რა ვიცი, ჩვენ ვერ ვხედავთ (გურბინი); ბაღანა ავაღველია, **ჯაზებიდან** ზორი აქვა (კირნათი).

ჯაზობა - ჯადოქრობა: უწინ იტყოდენ, **ჯაზობა** არიო (ქლასკური).

ჯაილი - უსწავლელი, გაუნათლებელი: ბაბომაც ვერ იკითხა (ნ), მეც ვერ ვიკითხე, **ჯაილი** დავჩით ორივე (ქოშკი).

ჯალაბაშვილი - ადგილი ქლასკურში.

ჯამბაზი - მატყუარა, ეშმაკი: სერსემი **ჯამბაზებით**, **ჯამბაზი** შენ ხარ იგზე (ხეზა).

ჯამე - მეჩეთი.

ჯამიკარი - ჯამის ეზო: ჯელალმა იძახის, **ჯამიკარ** მოვალო (კირნათი).

ჯამნარეთი//**ჯამნადეთი** - ადგილი ზ. მარადიდში.

ჯანა - დაკრძალვა, გასვენება: შიმდი **ჯანაზე** რომ იყო, თელი არიან (ირშადიე). (ნ.) ჯინაზე.

ჯანდარმა - ხარის სახელი ისკებში.

ჯანსუზი - არაჯანმრთელი, ჯანმრთელობაშერყეული: ქრისტიანული თუა, **ჯანსუზი** თუა, არ მივცემ [გოგოს] (ავანა).

ჯანსული - სოფელი კლარჯეთში.

ჯარგვალი - ძელური, ძელუბით ნაშენი: **ჯარგვალი** სახლიც იყო (ელმალი).

ჯარის ადამიანი - ჯარისკაცი: **ჯარის ადამიანი** მუუკლია (ავანა).

ჯალინი - გაბრაზება, გაღიზიანება: ძალლებ **აჯალინებენ** კალოზე (კირნათი).

ჯახება, **დაჯახება** (დანის) - დანის ჩართყმა: მიახლოვდება მეგემ იმიტომ, რომ დანა'და **მაჯახების** (ქლასკური).

ჯეელი - ახალგაზრდა.

ჯეენემი - ჯოჯოხეთი: ჰა **ჯეენემში** დემეკარქა (კირნათი).

ჯევაბი - პასუხი: მე ველაპარიკები, აგნებს, ჰამა თურქქე **ჯევაბი** მამღევს (სირეთიე).

ჯევაიზი - ძვირფასი ქვა: მუცელში იმას აქვა **ჯევაიზი**, ალთუნზე მეტი (კირნათი).

ჯევიზი - ნიგოზი: სოფელში ბახჩა მაქვა, **ჯევიზი** დაბალი (შირინსუ-ლიე); **ჯევიზი** მქვა (ადაგული).

ჯეიზი - მზითევი: **ჯეიზი** მოქონდა (ბაგინი); [მქონდა] **ჯეიზი**? - რაცხა მაცვიოდა, ისა (მურკვეთი).

ჯეილანი - ფურის სახელი ისკებში.

ჯეილანი (ემირეისოლლი) - „გვარი“ მამუდიეში.

ჯეინანოლლი - „გვარი“ მამუდიეში.

ჯენა//ჯანაზა//ჯანაზე - დაკრძალვა: აქ **ჯენაზე** ქი ეიყვანებენ, მაშინ იტყვიან (ერენქომ).

ჯენგება - შეჯიბრება, შერკინება: ბიჭები **ეჯენგებიან** გაღმით-გამოღმით სიმღერით (ავანა).

ჯენემ დერე - ადგილი ჩხალეთში.

ჯენეთი - სამოთხე: ჰაივანს (ნ) რომ აწვალე, **ჯენეთში** ვერ წახვალ (ლუთბიე); **ჯენეთი** არაა, ჰამა კად დერია (ისკები).

ჯერ|ჯერე - ჯერ (თანდებული): დედი **ჯერე** ჩუუკითხავდი (ირზადიე).

ჯეფი - ჯიბე: **ჯეფში** წიკავს (ქლასკური). (ნ.) ჯიფე.

ჯვალი - ტომარა: ერთი **ჯვალი** ედვსობა (სირეთიე).

ჯიბრი - ზედმეტი მონდომება, მეტის ნდომა: ზედმეტი არ'ნა **იჯიბრო**: ფრინჯის ფილავის ძებნაში ბურღულიც დაკარქა (ქლასკური).

ჯიგარი - შიგნეული: ღამეში **ჯიგრები** ამუღდიან, ჭამდენ (ქლასკური).

ჯივანი - სოფელი კლარჯეთში.

ჯილღა - კავი, სახვნელი იარაღი: **ჯილღით** დავთესდით, **ჯილღით**, ხის იყო (ჰაჯიოსმანი).

ჯინ ყადა - ადგილი ხატილაში.

ჯინი - ეშმაკი, გაიძვერა: შენ ფერო, შენ **ჯინო** (ჯივანი).

ჯინოშთანა - წყარო ზ. მარადიდში.

ჯინსი - ჯიში, ჯილაგი: **ჯინსი** ისე მაქ (ქლასკური); ღაზი სხვა **ჯინსია** (მარადიდი); ქოქში გეტყვი, **ჯინსი** (ბაგინი).

ჯინჭველი - ჭიანჭველა: **ჯინჭველია**, ანტეროლლი ანტერი!

ჯინჭრი ყანა - ადგილი ზ. ქლასკურში.

ჯირეკად - ჯირკის მსგავსი: შენ კაცი არ გახდები, მაგსომ **ჯირეკად** თავი (გულდიბი).

ჯირეკევი - ჯირეკები (ტოპონიმი).

ჯირეკევი - ჯირეკის სახლი.

ჯიფე - ჯიბე: მემრე უთქმია: **ჯიფეში** ჩეიდე, ისე ჩამომიტანეო (ისკები).. ნ. ჯეფი.

ჯო - ბიჭო! მაგინი ღრინოს სმენ, **ჯო!** (იბრიქი).

ჯოლიგი - საგანთა გროვა, კრებული: [ქვის] **ჯოლიგი** დადგა (შელოცვიდან). შდრ. აჭარული **ჯოლიგი** - ხერგი, ჯორგი (შ. ნიჟარაძე).

ჯორიფები - ადგილი ქლასკურში.

ჯოშქუნი - „გვარი“ ქართლაში.

ჯუანჯე - ადგილი ქართლაში.

ჯუზდანი - პორტმანი, საფულე: **ჯუზდანიც** ამედლო, ფარას **ჯუზდანი**, ისეც მისცა (აივაზფინარი).

ჯუმა - პარასკევი: მე ჯამეში **ჯუმაზე** მივალ (მარადიდი); ესენი **ჯუმაებზე** წედიხუბებოდენ (მარადიდი).

ჯუმურიეთი - რესპუბლიკა.

ჯუხუმერე - ადგილი დევსქელში.

ჯღელიფერი - ადგილი ზ. მარადიდში.

ჰ

ჰა||ჰად - სად: მინდა პასპორტიც, ჰამა **ჰადაა?! (ხება)**; **ჰად**'ნა წევსულიყავი? (კირნათი).

ჰაბელაში - სად, „სად ჯანდაბაში“: **ჰაბელაში** წედ, გო? (კირნათი).

ჰადეთი - ადათი, ჩვეულება: ჰაზირები ზორ **ჰადეთი** არ იყო (ნუსრეთიე). ნ. ადეთი.

ჰავლი - დერეფანი: ვიცით კარის **ჰავლი** (ბუჯური); კარი შამუფერდავი, **ჰავლი** მოხმარდება თუ? (გურბინი).

ჰაზირი - მზა: მომიტანეს შესაკერავები, ყუმაშები, მაშინ **ჰაზირები** ზორ ჰადეთი არ იყო (ნუსრეთიე); ჰაზირი მაშინ კალოზე ჩამოგეყვანა (კირნათი).

ჰაიდან - საიდან: შენ ეს ააზი **ჰაიდან** დეიწავლე? (ქართლა).

ჰაივანი - ცხოველი, პირუტყვი: **ჰაივანები** არიან (ირშადიე); **ჰაივანს** რომ აწვალე, ჯენნეთში ვერ წახვალ (ნუსრეთიე).

ჰალა - ჯერ კიდევ, ახლაც: **ჰალა** არიან ძველ-ძველი გოგრები (ქირიმითი).

ჰალი - 1. ღონე, ძალა: ღმერთმა ყუვეთი, **ჰალი**, ჯანი მოგცოსო (ქლასკური). 2. გაჭირვება: აუ, რა **ჰალი** გუუწევია (ყარაფურჩეკი); ნახეთ რა **ჰალშიაო!** (ნუსრეთიე).

ჰალილაჲ - აუცილებლად, „გინდა, არ გინდა“, „იძულებული ხარ“: გოდორი არ მოტიალდა და **ჰალილაჲ** შენ'ნა მოტიალდე (კირნათი).

ჰამა||ჰამე - მაგრამ: ის ლაზია, **ჰამა** აქ გეიზდა (ქლასკური); აქ ზორ თოვლი იქნებოდა წინ, **ჰამა** ახლა არ არი (ისკები) (ნ.) ამა.

ჰამაილი - ჯადო, თილისმა: აქვანან **ჰამაილი**, ჰამა ახლა არ იჯებიან (ნუსრეთიე).

ჰამან - 1. თითქმის: ახლანდელელები **ჰამან** ეპარაკებიან (ადაგული); 2. სწორედ: თოფიანი კაცი დგას შიან, **ჰამან** აი (კირნათი).

ჰამანქი - თითქმის: **ჰამანქი**-და ორი-სამი კვირა რჩებიან აქ (ადაგული).

ჰანი - თითქოს: პური კაკლით მოარუნებდა ბაბამა, **ჰანი** დალობავდა (მამამურიე).

ჰაიდე - წამო, წავიდეთ: **ჰაიდე**, ვასპიე, და! (იბრიქი).

ჰარბი - ომი: **ჰარბი** იყო, გამეიქცენ (მარადიდი). ნ. ხარბი, ხარფი.

ჰასტანე - საავადმყოფო: იმ ლელეს'ნა უუყვე, **ჰასტანე** არი (ჯივანი); ყუელდღე **ჰასტანე** არაა (ისკები). (ნ.) ჰასტაჰანე, ჰოსტანე.

ჰაჩან - რადგან, რაკი: **ჰაჩან** შენ'ნა მოქხმარებოდა, სახში რატონ წევდა ? (მარადიდი).

ჰაჯი - მუსლიმანი, ვინც მექაში მოილოცავს, მომლოცავი (შ.ნიჟარაძე): დედე **ჰაჯი** იყო (ჰამიდიე); მოვდა ერთი **ჰაჯი**, მიეწონა ცხენი, მომყიდეო... უძახს **ჰაჯმა** ცხენს (კირნათი).

ჰაჯიკეთი - ადგილი დურჩაში.

ჰეამო, ჰეამო - სიმღერაში შეძახილი.

ჰედიე - (?): საჩუქარი **ჰედიე**'ნა წამოგელო (ზაგინი)...

ჰელალი - ალალი: შენ თუ ჩემზე ემელი გაქ, ყველა **ჰელალი** მიყავი (კირნათი); ად კად იყო, **ჰელალი** უყავითო (ავანა).

ჰელბეთ - ალბათ: **ჰელბეთ** დასლულ აკეთებენ რემეზანში (ისკები); ახლა შენ **ჰელბეთ** პროფესორი ხარ თუ? (ჰამიდიე).

ჰელე - აბა: **ჰელე**, თქვი (იჯადიე); **ჰელე**, ყველა გეცხსენო (ხება); **ჰელე**, მიყევ, გო! (კირნათი).

ჰელვა - ჰალვა: მემრე **ჰელვა** დავწვავთ (სირეთიე).

ჰელლაქი - აუცილებლად: შვილი უნდებიან **ჰელლაქი** (მარადიდი).

ჰემ - თან (ზმნიზედა), კიდეც, ამასთან ერთად: **ჰემ** დავლი აქვა, **ჰემ** ზურნა (კირნათი); ვესრი, **ჰემ** დავატან სამას მეტრზე (ქლასკური); **ჰემ** ვჭრი, **ჰემ** სიმღერა ვთქვი (აზიზიე); **ჰემ** ლამაზია, **ჰემ** გურჯია (ერენქოა).

ჰემე - რამე, რაღაც: ბიჭი ემექლია, ელექტრიკის **ჰემე** იჯებოდა (ჰამიდიე).

ჰემენ - სწორედ: **ჰემენ** მაღლა, ერთი-ორი სახლის მაღლა (ჰამიდიე).

ჰემშიმე (<ჰემშირე) - ექთან: ერთი გოგო ბექარია, **ჰემშიმეა**, ჰასტანეში მუშაობს (მარადიდი).

ჰენ - ძალიან: **ჰენ** წინ, უწინ, ძალიან ადრე. ნ. ენ.

ჰერალდა - ყოველ შემთხვევაში, ნამდვილად: იმის მერე წევა, **ჰერალდა** (ავანა); ბაზანე მისიროლლია, **ჰერალდა** მარადიდ იყო (ნუსრეთიე)..

ჰერამი - არამი: ეს დუნია **ჰერამი** იყოს! (ჯივანი).

ჰერისა - ბურღული: **ჰერისა**, პურით იჯებნება, პურის მარცვალით (ნიმეთიე).

ჰერ სენე - ყოველ წელს: კაკალი **ჰერსენე** იძებნებოდა, წრევა არ იძებნება (იბრიქი).

ჰერსი - ბრაზი: მე **ჰერსი** მაქვა, იცი? (კირნათი).

ჰესაბი - ფიქრი, აზრი: **ჰესაბში** აქ განა (კირნათი).

ჰეფსინე - ყველა: ქლასკური თეებზე კარში არიან, **ჰეფსინე** კარში არიან (დედეები არიანო) (მარადიდი).

- ჰეცია** - ზღაპარი, ლეგენდა: ეს **ჰეცია** არალი, მართლა გადამხდა (კირნათი); მე **ჰეციები** არ ვიცი (ბუჯური).
- ჰეციაჯი** - მეზღაპრე, ზღაპრების მცოდნე: **ჰეციაჯი** ერთი სოფელი არი აქა (ბუჯური); **ჰეციაჯი** ნენედ ზომო სახში არიან (ბუჯური).
- ჰეციაჯი** - მეზღაპრე: **ჰეციაჯი** ერთი სოფელი არი აქა, იქიდან მოდიან, მიდიან.
- ჰეციმი** - ექიმი: **ჰეციმი** არი და მუდირი, შეფ (მარადიდი).
- ჰერ//ჰირ** - სულ, სრულიად: ქილისე იყო, **ჰერ** რამ არ დარჩა (მარამწმინდა).
- ჰიდავრი** - სადაური: **ჰიდავრი** გოდორია, გო, ესე? (კირნათი).
- ჰილდიზად** - ძროხის სახელი.
- ჰიმე** - მწვანილეული: ლახანა, ქინძი, პრასა იჯებიან, **ჰიმე** არ იჯებიან (ლუთბიე).
- ჰირ** - (ნ.) ჰერ: ახლა **ჰირ** არ ვახსოვარ (კირნათი); **ჰირ** ქი არ დეინახავ კაც (გურბინი); ნატეხარაევი **ჰირ** არ გიმიგია (ხება).
- ჰიჯარეთი** - ვაჭრობა: სიღირი იყიდის და **ჰიჯარეთით** გაყიდის (ქირიმითი).
- ჰოსტანე** - (ნ.) ჰასტანე: ამის კაცი **ჰოსტანეში** საქმობს (ადაგული).
- ჰუდუდი** - საზღვარი: **ჰუდუდი** ჩეფრა (ჯივანი).
- ჰუქუმეთი** - მთავრობა. (ნ.) უქუმეთი.

ლექსიკონისათვის

- ა. თანდილავა** - ალი თანდილავა, ლაზური ლექსიკონი, თბილისი, 2013.
- ა. ქობალია** - ალიო ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბილისი, 2010.
- ალ. მაცაშვილი** - ალექსანდრე მაცაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბ. 1991.
- არაბ.** - არაბული ენა.
- აჭ.** - აჭარული დიალექტი.
- ბერიძე, ბაკურაძე, ნახუცრიშვილი** - მარინე ბერიძე, ლია ბაკურაძე, ნიკოლოზ ნახუცრიშვილი, ფერეიდნული დიალექტის კორპუსული ლექსიკონი, თბილისი, 2018.
- გადატ.** - გადატანით.
- გურ.** - გურული დიალექტი.
- ი. აბულაძე** - ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, მასალები, თბილისი, 1973.

იმ. - იმერული დიალექტი.

იხ. იხილე.

ლაზ. - ლაზური ენა.

ლექს. - ლექსუმური.

ნ. - ნახე.

ნ. მარი, ჭან. – Н. Я. Марр, Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматиею и словарем, СПб, 1910.

ოკრ. - ოკრიბული.

რაჭ. - რაჭული კილო.

საბა - სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი, თბილისი, 1949.

ქეგლ - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 8 ტომად, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი, 1950-1964.

ქეგლ ახ. - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ახალი რედაქცია, ავთანდილ არაბულის რედაქტორობით, ტ. I, 2008, ტ. II, 2010, ტ. III, 2015, ტ. IV, 2019, თბილისი.

შ. ნიჟარაძე - შოთა ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, ბათუმი, 1971.

შ. ფუტკარაძე - შუმანა ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993.

შდრ. - შეადარე.

ჩამწ. - ჩამწერი.

ჩიქ. ფრდ. - არნოლდ ჩიქობავა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი. ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, II, ტფილისი, 1927.

ბოლოთქმა

დავასრულეთ თხრობა ქართული ენის კლარჯული დიალექტის შესახებ. კვლევა გაგვიგრძელდა... თითქმის ორი ათეული წელი ვიშრომეთ, რომ ნამსხვრევებადქცეული კლარჯული მეტყველების ერთიანი სურათი აღგვედგინა... იქნებ დაგვიგვიანდა?! ვფიქრობთ, არა!

ჯერ იყო დიალექტოლოგიური მასალების შეკრება დავიწყეთ - ისტორიულ კლარჯეთში. აღმოჩნდა, წინაპართა ენაზე მხოლოდ ბორჩხისა და მურღულის მკვიდრთა უფროსი და ნაწილობრივ საშუალო თაობა საუბრობს, არტანუჯის და ართვინის რაიონების კლარჯული მოსახლეობა - ვერა. დავიწყეთ მეტყველების ნიმუშების სოფელ-სოფელ შეკრება: ვიწერდით ყველაფერს, რასაც მოგვითხრობდნენ, ძველ ისტორიებსა თუ ახალ ამბებს, ადგილისა თუ მცენარეთა სახელებს, ძველსა თუ ახალ „გვარებს“, შელოცვებსა თუ დალოცვებს... უპირველესად თვალში საცემი იყო გასული საუკუნის 50-

იან წლებში კირნათსა და მარადიდში ჩაწერილ ტესტებთან ახალი მასალების სხვაობა - „ფერი უცვლია“ კლარჯულ მეტყველებას; ძველი კლარჯული არც ქვემო მარადიდში, კირნათსა და მირვეთში ისმის. ამის მიზეზი კი ბევრია. ახლა მთავარია მასალების შეკრება და სისტემატიზაცია, შემდეგ - კვლევა.

პირველი შთაბეჭდილება ასეთი იყო:

კლარჯეთის ვრცელი ქვეყანა ორადაა გაყოფილი: ერთი მექართულეა, პირობითად მაინც, მეორე - მეთურქულე. ცვდილობთ, შევისწავლოთ მთლიანი კლარჯეთი: მეთურქულეშიც ვეძებთ გადარჩენილ ქართულ ელემენტს, ვპოულობთ კიდევ, უპირველესად გეოგრაფიული სახელების, ზოგადად ონომასტიკის სახით:

- კლარჯებს ჯერ კიდევ ახსოვთ ქართული გეოგრაფიული სახელები, განსაკუთრებით - მიკროტოპონიმია;

- ახსოვთ მცენარეთა სახელები (უმეტესად მაინც);

- ახსოვთ „გვარები“;

ამჟამად, რომ ზოგიერთმა სოფელმა არცთუ დიდი ხანია, რაც წინაპართა ენა დაივიწყა.

ტოპონიმებსა და ფლორონიმებში ჩანს კლარჯული დიალექტის ზოგი თავისებურება. ესეც სასიკეთოდ წაადგება ჩვენს კვლევას.

და ყველაზე მთავარი: კლარჯთა ნაწილმა ასიმილაცია განიცადა, დაივიწყა წინაპართა ენა, იქცა სხვა ენის მატარებლად, სხვა კულტურის ნაწილად. მნიშვნელოვანია, რომ მიწა ჯერაც ქართულია, კლარჯეთის მიწას ასიმილაცია არ განუცდია. მას ქართველი კაცის ნაკვალევი დღესაც ატყვია და ვიდრე მშობლიურენადაკარგულ კლარჯებს ახსოვთ ქართული გეოგრაფიული სახელები, კლარჯული მიწა ასიმილირებულად ვერ ჩაითვლება, „მიწის ენა“ ამის დასტურია.

თანდათან მასალები დაგვიგროვდა. ვგრძნობდით, მეტი გვჭირდებოდა. ეს მეტი კლაჯ მუჰაჯირთა სოფლებში უნდა გვეძებნა. სამისოდ მოვიარეთ თურქეთის ქვეყნის სხვადასხვა პროვინციაში გაშენებული კლარჯული სოფლები, კერძოდ:

ქოჯაელის ილის გოლჯუქის რაიონში - 16 სოფელი;

ბურსის ილის არმუთის რაიონში - 5 სოფელი;

ქესტელის რაიონში - 4 სოფელი;

ბურსის რაიონში - 3 სოფელი;

გემლიქის რაიონში - 7 სოფელი;

მუსტაფა ქემალ ფაშას რაიონში - 2 სოფელი;

საქარიას ილის ხენდეკის რაიონში - 1 სოფელი;

საფანჯას რაიონში - 3 სოფელი;

დუზჯეს ილის აქჩაკოჩას რაიონში - 1 სოფელი;

ბალიქესირი ილის გონენის რაიონში - 6 სოფელი;

შამლის რაიონში - 1 სოფელი;

სინოპის ილის სინოპის რაიონში - 1 სოფელი;

ერფელეკის რაიონში - 15 სოფელი;

გურჯეს რაიონში - 4 სოფელი;

თოქათის ილის ნიქსარის რაიონში - 1 სოფელი;

სამსუნის ილის ვეზირქოფურუს რაიონში - 1 სოფელი.

იქნებ ეს არც არის კლარჯ მუჰაჯირთა სოფლების სრული სია, იქნებ დაგვრჩა კლარჯული დასახლებები, დაგაც ვერ მივედით...

კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლების 71 სოფელში შევკრიბეთ დიალექტოლოგიური მასალები, რამაც ჩვენი ცოდნა საგრძნობლად შეავსო. სასიამოვნო მოულოდნელობა: აღმოჩნდა, რომ ისტორიული კლარჯეთის ზოგიერთ სოფელში, სადაც წინაპართა ენა აღარ იციან, ქართულად საუბრობენ ამ სოფლებიდან წასული მუჰაჯირების შთამომავლები:

ხატილას ხეობა კლაჯეთში მეთურქულეა, მუჰაჯირი ხატილელები ქართულად ლაპარაკობენ;

კლარჯეთის ცოცხობა//ცოცხობანი მეთურქულეა, ქართულად საუბრობენ მუჰაჯირი ცოცხობელები.

არის სხვა შემთხვევებიც.

მუჰაჯირი კლარჯების ხარჯზე გაფართოვდა მექართულე კლარჯული სოფლების რიცხვი. ამ სოფლებში კლარჯული დიალექტის მნიშვნელოვანი დამატებითი მასალა მოვიპოვეთ.

ჩვენ ხელთ არსებული მასალის ანალიზით ვცადეთ, შეგვექმნა კლარჯეთის ლინგვისტური პორტრეტი, რომელიც გამოგვაქვს მკითხველის სამსჯავროზე. ყველა საქმიან შენიშვნას მაღლიერებით მივიღებთ და სამომავლოდ გავითვალისწინებთ.

დაბოლოს, ჩვენთან ერთად კლარჯეთსა თუ კლარჯ მუჰაჯირთა სოფლებში მუშაობდნენ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის მუდმივმოქმედი კომპლექსური ექსპედიციის წევრები: პროფესორი თინა შიოშვილი, პროფესორი ზაზა შაშიკაძე, პროფესორი მალხაზ ჩოხარაძე, პროფესორი შოთა მამულაძე, პროფესორი ნუგზარ მგელაძე, პროფესორი რამაზ ხალვაში, ასოცირებული პროფესორი ნუგზარ ცეცხლაძე, ისტორიის დოქტორი რუსლან ბარამიძე, ფილოლოგიის დოქტორი გიორგი მახარაშვილი, ისტორიის დოქტორი თამთა ხალვაში, მწერალი ნიაზ ზოსიძე, ფილოლოგიის დოქტორი ვარდო ჩოხარაძე, ბატონი ტარიელ დიასამიძე. მათთან ერთად მოვიარეთ ისტორიული კლარჯეთი და კლარჯ მუჰაჯირთა დასახლებები თურქეთის პროვინციებში. მაძლობა თითოეულს ერთად ყოფნისა და თანადგომისთვის.

ავტორები



**Mamia Paghava,
†Meri Tsintsadze,
Maia Baramidze**

A Klarjian Dialect of the Georgian Language

Summary

The monograph consists of three parts: In the first part, the phonetic, grammatical and lexical features of the Klarjuli dialect are discussed.

The Georgian speech of the Chorokhi Basin is called the southern speech while the results of the

differentiation of this speech are called southern dialects.

The speech of the local inhabitants of historical Klarjeti is called **Klarjuli**. The main area of its dissemination is the Chorokhi gorge. Most part of Klarjeti is within the republic of Turkey today, in the regions of Borchkha, Murghuli and Artanuji of Artvini Ili (province) whereas part is in Georgia – Mirveti, Qyemo Maradidi and



Kirnati (Ajara Autonomous Republic, Khelvachauri municipality), in other words, throughout the vast country of ancient Klarjeti.

One part of the Turkish Klarjeti speaks Georgian, the other part speaks Turkish.

In the historical Klarjeti Georgian is heard in the Turkish part of Borchkha and Murghuli and in the Georgian part of Klarjeti – in Mirveti, Qyemo Maradidi and Kirnati.

In the Turkish-speaking Klarjeti the Georgian toponymy is preserved, mostly in plant names. Georgian lexis is deposited in Turkish speech as well. The local way of life hides Georgian traces. It is impossible to restore the entire picture of the Klarjeti dialect without considering all the above said. Taking into consideration the present-day situation in historical Klarjeti, we talk about the Klarjuli dialect and not the Livanuri dialect (the term is created according to the part of Klarjeti where the Georgian language is preserved).

As a result of Muhajirs (after the Russian-Turkish war in 1877-1878) and new migration waves, the Klarjians happened to establish villages in other provinces of Turkey as well, namely:

Kojaeli Ili, Gjoljiki region: Hamidie (Borchkha. This is how the village is called by the local Klarjians. They have Georgian toponyms: gaghma kana, ghele kana), **Aivazpinari** (ancient Chataaltashi, Artvin), **Sihretie** (Murghuli), **Maamurie** (ancient Chubuk bayaer), **Ijaadie** (anc. Ali Mezari), **Irshaadie** (anc. Beili, Katapkhia), **Nusretie** (anc. Doshame), **Lutbie** (anc. Begoghli), **Sopulari** (Mamaneti//Mamanati, the village of the Klarjians and the Laz from Chkhali), **Yeni Peradie** (Tsotskhoba. The Klarjian Tsotskhoba does not speak Georgian while the Peradie Tsotskhoba knows it), **Eski Peradie**.

Izmiti Ili: Bilabili (Borchkha), **Nusretie** (Maradidi, Borchkha, Murghuli. Here the Turks are also living; they all have their districts), **Shirin Sulie** (Borchkha), **Chubuklubala** (Maradidi), **Auzlu** (Borchkha).

Bursa Ili, Armuti ilche: Hairie (Borchkha), **Mejidie** (Borchkha), **Selimie** (Borchkha), **Gemliki** (anc. Eljiva, Borchkha), **Haidarie** (Borchkha).

Sakaria Ili, Khendeki Ilche: Nuruosmanie (anc. Michkidere, Maradidi; they have Georgian toponyms: shavkana, chala, vake, patsai bakhcha, Batumi, Napuravi, Nasakhlevi).

Sakaria Ili, Sapanje Ilche: Istanbul Dere (anc. Erdemli, Borchkha), **Guldibi/Goldibi** (Kirnati), **Maamudie** (Maradidi).

Duzje Ili, Akchakocha Ilche: Melanaazi (Mirveti. They have Georgian toponym: Meleni piri...).

Bursa Ili, Kesteli Ilche: Saipie (anc. Baidin. Murghuli; they have Georgian toponyms: Nakeravi, Tsiskvilikari, Chanebi, Bolokana, Vashlovani), **Alachami** (anc.



Teshvikie. Murghuli), **Orhanie** (Khatila; they speak Georgian relatively well), **Osmanie** (Khatila; they speak Georgian less).

Bursa Ili, Suleimanie (Tandzoti, Doliskana), **Soutpunari** (Jmerki, Daba, Berta. Does not speak Georgian), **Karaislahi** (Artvin, does not speak Georgian).

Bursa Ili, Gemliki Ilche: Adlie (Irsa, Sinkoti, Beshavi. There are 120 houses in the village, out of which eight ones speak Georgian, the rest – does not speak; **FYI**: In Klarjeti Irsa the inhabitants do not speak Georgian), **Hamidie** (mixed village, Machakhelis and Klarjians live in separate districts), **Selimie** (Berta. Does not speak Georgian), **Derikalani** (does not speak Georgian), **Hairie** (anc. Chiptliki, Adaguli, Devskeli; they have Georgian toponyms: kordebi, didi kana, belkechebi, palioshi karebi, dishbudaebi...), **Selimie** (Borchkha), **Teshvikie** (Borchkha).

Bursa Ili, Mustafa Kemal Pasha Ilche: Karapinari (Borchkha), **Komurji Kadi Koi** (Borchkha, anc. Akimi).

Balikesiri Ili, Goneni Ilche: Balji dede, Ekshi Dere, Kochbairi, Suchikteshi, Dohanji (Borchkha), **Jumurie** (anc. Sultanie. The Klarjians call it Gevli).

Balikesiri Ili, Shamli Ilche: Armutalani (Osmanie Mahale – Borchkha).

Sinopi Ili: Lala (Pirenki Mahale, Taukchi mahale – Kheba, Najvia. **FYI**: Najvia in Klarjeti speaks Turkish, Najvia in Sinopi speaks Georgian). **Akkirachi Mahale, Tangali Mahale, Levranti Mahale** are Najvia districts but they do not speak Georgian.

Sinopi Ili, Erpeleki Ilche: Keiseli, Dermanjili, Inje Meidani, Apturahman Pasha, Yenichami (is a mixed village, the Klarjians live in a separate district), **Hasan Dere** (a mixed village), **Hamidie** (Borchkha), **Hatukoi** (Borchkha; a mixed village, the Borchkha inhabitants live separately), **Veiseli** (Klaskuri), **Dermanjili, Inje Meidani, Apturahman Pasha, Lala, Avdali, Tangali** (Najvia, does not speak Georgian), **Kilicheli** (Najvia).

Sinopi Ili, Gurze Ilche: Aqkiraji (Artvin, Najvia), **Iuvali** (Artvin), **Yakhadibi, Akhcha Chami** (anc. Hasandere).

Tokati Ili, Niksri Ilche: Tepe Yataghi (Artanuji, does not speak Georgian).

Samsun Ili, Vezirkopru Ilche: Yurtdaghi (Ebrika).

We would like to note one fact, namely, in some villages of historical Klarjeti inhabitants do not speak Georgian any longer. The Georgian is spoken by the descendants of the Muhajirs exiled from the villages or gorges of the same name that increases the linguistic value of the Muhajir Klarjians' speech even more.

The following is the clearly distinct subsystem of the Klarjian Georgian language: it sharply differs from the adjacent Ajarian, Shavshian and Taoian dialects. The difference is seen in phonetics, morphology, syntax, lexis, in a word, on each and every level of linguistic hierarchy. However, it has much in common with other Samkhruli dialects as well as a part of the entire Samkhruli speech.



Peculiarities of Klarjuli are well seen in the verb-formation: person and number markers, alteration of thematic suffixes, formation of subseries... create an interesting lingual picture in the Klarjian sub-dialect. Peculiarities of the dialect are also noticed in phonetics (umlaut, tonic stress), nominal formations, gerund, especially if formation of participles, adverbs (e. g. the meaning and syntactic function of the word “behind”), syntax (subject-object cases), etc.

Except the “Ajarian” Klarjians, the Klarjians mostly speak two languages: Georgian as family language, and Turkish – as official state language. Out of two mentioned languages Turkish is the dominant language. Taking into consideration that Georgian is spoken by the older and rarely the middle generations of the Klarjian population, whereas the young generation does not know the language of the ancestors at all, as well as the fact that the most part of historical Klarjeti speaks Turkish, it will be clear to understand the entire picture and the future of preservation of the Klarjuli sub-dialect. Despite all this, the Klarjuli sub-dialect still preserves its structural entity on the phonetic and grammatical levels. The Turkish influence is palpable on the lexical and derivational level that is quite natural.

Onomastic of Klarjeti is discussed in the second part: Klarjeti toponymy, klarjeti hydronymy, surnames in klarjeti, plant names...

The materials for Klarjeti toponymy are met in Georgian historical sources (The Life of Kartli, Vakhushti Bagrationi’s work, Tbeti Souls’ Chronicles and other historical documents) as well as literary sources (The Life of Gregory of Khandzta, the work of basil of zarzma, etc.). also, in the recordings of the 19th-20th cc scholars and travellers (D. Bakradze, J. Murie, G. Kazbegi, E. Veidenbaum, N. Marr, M. Janashvli, Z. Chichinadze, Vl. Lisovskyi, etc.). We should separately single out the “Five-Verst Map of the Caucasus” and Pagirev’s “Index to the Five-Verst Map of the Caucasus” (1913). The latter contains all the geographical names of the “Five-Verst Map”. Among the contemporary scholars, the geographical names of Klarjeti have been recorded by Sh. Putkaradze, R. Malakmadze, N. Tsetskhladze, E. Beridze and others. The materials of Klarjeti toponymy are met in the Ottoman book “Artanuji Records” (compiled in 1251 in Hijri calendar, 1835-36 AD) and the works of Turkish scholars.

The Klarjeti toponymy has been recorded by the comprehensive expedition of the Center for Kartvelian Studies of Batumi Shota Rustaveli State University (Head of the expedition, Prof. Mamia Paghava). About 4 000 geographical names have been gathered that are significant sources for the study of Klarjeti toponymy as well as the issues of historical geography of Southern Georgia.

It should be noted that Georgian toponymy is remembered in the Georgian-speaking as well as Turkish-speaking Klarjeti that is quite useful and significant is the

study of Klarjeti toponymy as well as the problems of historical memory of the descendents of historical Klarjeti inhabitants.

Several groups can be singled out in Klarjeti toponymy according to the word-formation:

I. Toponyms without affixes, the vowel-base as well as consonant-base names: tsumpo, chibo, tskaro, ghado, akho, poso... vake, tepe, lashe... ebrika, arkhva, tuba, opiza... (We should note here that in some vowel-base names the last vowel can later be understood as an affix...);

Venakhi, zegani, plati, kapani, orji, khevi, ureko...

II. Prefix toponyms: sakhtomi, sasveni, naplati, nasabuzi, nakhraki... It should be noted that the geographical names with prefix formation are rather small in number;

III. The following affixes can be singled out in suffix-derivations:

- et: shakush-et-i, jobar-et-i, makhl-et-i, tsetil-et-i... It should be noted that toponyms with -et suffix are met in Ajara and Shavsheti as well as Lazeti and other parts of Georgia. The function of -et suffix in toponyms is to denote multitude of people or things: khinkileti//khinkiladzeebi, gorgazeti//gorgadzeebi... one of the functions of -et suffix – to denote the dwelling place of the patriarchal family is well preserved in Machakheli: Dznelieti is the dwelling place of the Dzneladzeebi or Dznela (man's name). The suffix has the same function in Klarjeti and Shavsheti too.

There is a different viewpoint in Georgian linguistics as well, namely, in "Tbeti Souls' Chronicle" the names with -et suffix are considered as surnames (-et suffix as derivative of surnames together with -dze, -shvili...) that is incorrect viewpoint.

In Klarjeti toponymy next to the -et suffix we can find the suffixes: -it (nakhs-it-i), -ot (tandz-ot-i), -ut (Chur-ut-i), -at (goli-at-i), -ta (bosel-t-a). In these suffixes it should be the same as the plural suffix in *tan* in nominals and verbs.

-a (kamar-a), -ur (asma-ur-i), -ar (momtsv-ar-i), -il (gatsel-il-i), -el (norgi-el-i, tsorts-el-i), -ol (takhn-ol-i), -an (samkur-an-i), -om (kontr-om-i, tolg-om-i), -eb (isk-eb-i), -ob/-op (tetr-ob-i, chisl-op-i), -is(i) (tarkhn-is-i, sanat-is-i), -ovan (kakl-ovan-i, khaj-van-i), -nar/-nal (tskhemn=ar-i, bard-nal-i), pkhe/pkh (kata-pkh-ia), -ona/-una (ereg-un-a, chub-un-a), -ish (vala-[i]sh-i), -ev (kotal-ev-i, pant-ev-i), -okh/-ukh/-kh (chor-okh-i, kor-kh-i, jib-ukh-i), -lar/-ler (zakur-lar, bashkoi-rel), -lugh (nar-lugh-i), -gil (panti-gil), -li (gunesh-li) ...

It is remarkable that the suffixes are not used in equal intensity. We will also note that the majority of the enumerated suffixes are of Georgian origin, only a few are non-Georgian, mostly Turkish. Turkish suffixes are a new layer in the Klarjeti toponymy. The presence of -ev and -pkhe/-pkh affixes in Klarjeti toponymy seems interesting inasmuch as it broadens their distribution area.



IV. Prefix-suffix derivation: a-a (a-dran-a, a-gar-a), na-av (na-sel-av-i), na-a (na-jvi-a), na-ar/-al (na-kokh-ar-i, na-ghom[v]-ar-i), na-ev (na-ghar-ev-i), sa-e (sa-tsvi-e), sa-o (sa-sadil-o), sa-a (sa-korni-a), sa-ev (sa-lir-ev-i)... in some geographical names the independent derivational function of suffixes and prefixes can still be observed that provides the background for different conclusions.

V. Compound names in Klarjeti toponymy: here we distinguish between several groups: a. The root in the composite is a name: katridziri, [m]tikalta... b. The second part of the composite is -dze or -shvili: dolabidze, kotaladze... c. Foreign-root composites: kapanumbashi (cf. Kapnitavi), sochdibi (cf. Sochidziri), guldibi/gyoldibi (cf. Tbidziri)... the latter row of the compound toponyms is new, often it is a direct translation of the old one; d. Attributive toponyms: sasvendukani, tetrkilde, tsitelmitsa... e. udetres in composite toponyms: ukanmere, shubani, komoba[ni]... f. Onomatopoeic words in toponyms: bakhbukha, chanchakhi... g. toponyms with word combinations (syntagma toponyms): tsveri kana, patsai kedi, tetri tskali... h. Toponyms with substantive determiners: tsikhis ukan, tsikhis tsin... i. A relatively new and rarely used Turkish layer is distinguished in the syntagma toponyms: patare khane, maghara boghazi...

Finally, there are described some attempts of defining the etymology of several geographical names (Shatberdi, Khandzta, Dzegli, Midznadzori, Parekhi, Kori...).

Conclusion: the Klarjeti toponymy completely repeats the peculiarities of formation of the Georgian geographical names. The impact of the Turkish language on the toponymy of historical Klarjeti is minimal. The Turkish layer is very interesting for the study of naming principle in the Klarjeti toponymy.

In the third part of the monograph comprises the materials of Klarjeti dialects, with a glossary at the end.

The materials of Klarjeti folklore and sub-dialect have been accumulated at different times by the scholars of old and new generations of the Centre for Kartvelian Studies of the Faculty of Humanities of Batumi Shota Rustaveli State University during the comprehensive field expeditions and individual trips, namely:

One part of Klarjuli sub-dialect samples was recorded by emeritus Professor Meri Tsintsadze in Kirnati and Maradidi in 1951, part of which was published in 1998 in volume VIII of "Structures of Kartvelian Languages". The materials are extremely interesting and reliable inasmuch as they are recorded from the native-speakers of the sub-dialect. These were the first records of the Klarjuli speech that heralded a new dialect to the Georgian linguistics. As far as Kirnati and Maradidi are within the administrative borders of present-day Ajara Autonomous republic, the materials recorded here were called "Ajarian Texts", although knowing that Mirveti, Maradidi and Kirnati were historically parts of Klarjeti and, naturally, the local

speech was not Ajarian. We should hereby remark as well that Kirnati and Maradidi speeches completely differ from their neighbouring Ajarian and Machakhela speeches as they are the parts of the other sub-system of the Georgian language. Other materials of the Klarjuli dialect are recorded in 2007, 2011, 2013, 2014 and 2015 during the expeditions in historical Klarjeti and the villages of the muhajir descendents with participation of Meri Tsintsadze, Mamia Paghava and Maia Baramidze.

The most part of the samples of Klarjeti folklore was recorded during the above mentioned expeditions by Professor Tina Shioshvili, part – by Ramaz Khalvashi, Giorgi Makharashvili, Meri Tsintsadze, Maia Baramidze and Vardo Chokharadze (the materials fully record the date and recorder). We tried to retain natural sounding to the materials as much as possible. Therefore, we think that the presented dialectological materials can equally be used in the study of the Klarjuli sub-dialect.

შინაარსი	
შესავალი	4
ნაწილი პირველი, კლარჯული დიალექტი	8
თავი 1. ფონეტიკა	9
§1. კლარჯულის ბგერითი შედგენილობიდან	9
1.1. ო კლარჯულში	9
1.2. უმარცვლო უ	10
1.3. უმლაუტი კლარჯულში	10
§2. ფონეტიკური მოვლენები	11
2.1. ბგერის დაკარგვა	11
2.1.1. იკარგება მ	11
2.1.2. იკარგება ს	12

2.1.3. იკარგება ვ	13
2.1.4. იკარგება რ	14
2.1.5. იკარგება თ.	16
2.1.6. იკარგება ლ	16
2.1.7. იკარგება გ	17
1.1.8. იკარგება ნ	17
2.1.9. იკარგება დ	18
2.1.10. იკარგება ქ	18
2.1.11. იკარგება ა	19
2.1.12. იკარგება ი	19
2.1.13. იკარგება ე	20
2.1.14. იკარგება უ	20
2.2. ზგერის ჩართვა	21
2.2.1. ჩართულია ვ	21
2.2.2.. ჩართულია მ	22
2.2.3. ჩართულია ნ	22
2.2.4. ჩართულია ლ	22
2.2.5. ხმოვნის ჩართვა	23
2.3. ასიმილაცია	23
2.3.1. ხმოვანთა ასიმილაცია	23
2.3.2. თანხმოვანთა ასიმილაცია	27
2.4. დისიმილაცია	29
2.5. სუბსტიტუცია	30
2.6. მეტათეზისი	32
2.7. ზგერთა შერწყმა	33
2.8. ტონური მახვილი	33
თავი 2. მორფოლოგია	35
§1. სახელები	35
1.1. არსებითი სახელი	35
1.1.1. მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი, მრავლობითი რიცხვი, მავრცობი ხმოვანი	35
1.1.2. კუმშვა	37
1.1.3. კვეცა	37
1.1.4. ხმოვანზე (ა,ე) დაბოლოებული სახელების -ებ'იანი მრავლობითი	38
1.2. რიცხვითი სახელი	40

1.3. ნაცვალსახელი -----	40
§2. ზმნა -----	43
2.1. პირისა და რიცხვის ნიშნები -----	43
2.1.1. -ან -----	44
2.1.2. -ენ -----	47
2.2. მომავალი დროის გადმოცემა -----	49
2.3. ზმნისწინი -----	50
2.4. თემის ნიშანთა მონაცვლეობა -----	52
2.5. ვნებითი გვარის ფორმათა წარმოება -----	60
2.6. მჭკრივთა წარმოება -----	61
§3. სახელზმნა -----	66
3.1. საწყისი -----	66
3.2. მიმღეობა -----	67
§4. უდეტრები -----	69
4.1. ზმნიზედა -----	69
4.2. თანდებული -----	71
4.3. ნაწილაკი -----	72
§5. სინტაქსი -----	74
5.1. პირდაპირი დამატების ბრუნვა I სერიის ფორმებთან -----	74
5.2. ქვემდებარის ბრუნვა -----	76
5.3. შემასმენლის რიცხვი სხვადასხვა ჯგუფის სახელით გადმოცემულ ქვემდებარესთან -----	77
5.4. განსაზღვრება და საზღვრული წევრი -----	80
§6. გარემოებანი -----	82
6.1. ადგილის გარემოება -----	82
6.2. დროის გარემოება -----	83
6.3. აღწერითი წარმოება -----	85
თავი 3. ლექსიკა -----	86
§1. კლარჯულის ზოგიერთი ლექსიკური თავისებურება -----	86
§2. სიტყვაწარმოება -----	94
2.1. მქონებლობის სახელები -----	94
2.2. წარმომავლობის სახელები -----	95

2.3. აბსტრაქტული სახელები -----	97
2.4. ნასახელარი ზმნები კლარჯულში -----	99
2.5. კომპოზიტები -----	100
2.5.1. გაორკეცებულია ზედსართავი სახელები -----	100
2.5.2. ასონანსური კომპოზიტები -----	101
2.5.3. ნაირფუძიანი კომპოზიტები -----	102
2.5.4. მსაზღვრელ-საზღვრულისაგან მომდინარე კომპოზიტები --	103
2.6. ქართულ-თურქული აფიქსებით ნაწარმოები ლექსიკისათვის კლარჯულში -----	104
2.7. თურქული სიტყვები ქართული აფიქსებით - -----	106
2.8. ქართულ ძირეულთაგან თურქული სუფიქსებით ნაწარმოები სიტყვები -----	107
2.9. ქართულ-თურქული სინონიმური ლექსიკა -----	107
2.10. ქართული სინონიმური ლექსიკა -----	113
2.11. კირნათ-მარადიდული ლექსიკის მიმართებისათვის თურქეთის კლარჯულ ლექსიკასთან -----	116
ნაწილი მეორე, კლარჯეთის ონომასტიკა -----	128
თავი 1. კლარჯეთის ტოპონიმია -----	129
§1. უაფიქსო ტოპონიმები -----	133
1.1. ხმოვანფუძიანი სახელები -----	133
1.2. თანხმოვანფუძიანი სახელები -----	135
1.2.1. ტოპონიმი სახელობით ბრუნვაშია -----	135
1.2.2. ტოპონიმი ფუძის სახითაა -----	136
§2. ოდენპრეფიქსით ნაწარმოები ტოპონიმები -----	137
§3. ოდენსუფიქსური წარმოება კლარჯეთის ტოპონიმიაში -----	138
3.1. სუფიქსი -ეთ -----	138
3.2. სუფიქსი -ით -----	149
3.3. სუფიქსი -ოთ -----	150
3.4. სუფიქსი -უთ -----	150
3.5. სუფიქსი -თ -----	151
3.6. სუფიქსი -თა -----	153
3.7. სუფიქსი ა -----	154
3.8. სუფიქსი -ურ ულ -----	158
3.9. სუფიქსი -არ -----	165

3.10. სუფიქსი -ილ -----	166
3.11. სუფიქსი -ელ -----	166
3.12. სუფიქსი -ორ// -ოლ -----	168
3.13. სუფიქსი -ან -----	168
3.14. სუფიქსი -ომ -----	169
3.15. სუფიქსი -ებ -----	171
3.16. სუფიქსი -ობ -ოფ -----	171
3.17. სუფიქსი -ის -ის(ი) -----	172
3.18. სუფიქსი -ანთ -ენტ -----	174
3.19. სუფიქსი -ოვან -----	175
3.20. სუფიქსი -იან -----	175
3.21. სუფიქსი -ნარ -ნალ -----	176
3.22. სუფიქსი ფხე ფხ -----	177
3.23. სუფიქსი -ონა -უნა -----	178
3.24. სუფიქსი -იმ -----	179
3.25. სუფიქსი -ევ -----	180
3.26. სუფიქსი -ობ -უხ -ხ -----	184
3.27. სუფიქსი -ლარ -ლერ -----	185
3.28. სუფიქსი -ლულ -----	187
3.29. სუფიქსი -გილ -----	188
3.30. სუფიქსი -ლი -----	189
3.31. სხვა სუფიქსებით ნაწარმოები ტოპონიმები -----	190
§4. პრეფიქს-სუფიქსური წარმოება -----	190
4.1. პრეფიქს-სუფიქსი ა-ა -----	191
4.2. პრეფიქს-სუფიქსი ნა-ავ -----	191
4.3. პრეფიქს-სუფიქსი ნა-ა -----	192
4.4. პრეფიქს-სუფიქსი ნა-არ (-ალ) -----	192
4.5. პრეფიქს-სუფიქსი ნა-ევ -----	193
4.6. პრეფიქს-სუფიქსი სა-ე -----	193
4.7. პრეფიქს-სუფიქსი სა-ო -----	194
4.8. პრეფიქს-სუფიქსი სა-ა -----	195
4.9. პრეფიქს-სუფიქსი სა-არ ალ -----	195
4.10. პრეფიქს-სუფიქსი სა-ევ -----	195
4.11. პრეფიქს-სუფიქსი სა-ეთ -----	195
4.12. პრეფიქს-სუფიქსი სა-ათ -----	196
4.13. პრეფიქს-სუფიქსი სა-ავ -----	196

§5. რთული სახელები კლარჯეთის ტოპონიმიაში -----	196
5.1. კომპოზიტი შემავალი ფუძეები არსებითი სახელია -----	196
5.2. კომპოზიტის მეორე ნაწილი ძე, შვილია -----	202
5.3. უცხოურფუძიანი კომპოზიტები კლარჯეთის ტოპონიმიაში -----	203
5.4. ლაზური ფენა კლარჯეთის ტოპონიმიაში -----	206
5.5. ატრიბუტივიანი ტოპონიმები კლარჯეთიდან -----	206
5.6. უდეტრები კომპოზიტებში -----	207
5.7. ხმაბაძვითი სიტყვები კომპოზიტის ფუძეში -----	208
§6. სიტყვათშეერთებით მიღებული ტოპონიმები -----	208
6.1. სინტაგმა შედგება ზედსართავი და არსებითი სახელებისაგან ---	209
6.2. არსებითი მსაზღვრელად -----	209
6.3. რიცხვითი სახელი მსაზღვრელად -----	209
6.4. ზმნიზედა სინტაგმა ტოპონიმში -----	210
6.5. თანდებულიანი სახელი მსაზღვრელად -----	210
6.6. სუბსტანტიური მსაზღვრელ-საზღვრული ტოპონიმად -----	210
6.7. ქართულ-თურქული და თურქული ფუძეები სინტაგმა ტოპონიმებში -----	211
§7. რამდენიმე ტოპონიმური ფუძის ეტიმოლოგიისათვის -----	214
7.1. ხანძთა და შატბერდი -----	214
7.2. ძეგლი და მიძნაძორი -----	225
7.3. ქორი -----	227
7.4. პარეხი -----	229
თავი 2. კლარჯეთის ჰიდრონიმია -----	232
§1. „ღელე“ კლარჯეთში -----	232
§2. „წყალი“ კლარჯეთში -----	233
§3. მდინარე და ტბა საკუთარი სახელით -----	234
თავი 3. გვარ-სახელები კლარჯეთიდან -----	236
§1. გვარ-სახელების შესახებ ქართულში -----	236
§2. „გვარები“ კლარჯეთიდან -----	239
თავი 4. მცენარეთა სახელები კლარჯეთიდან -----	245
§1. ვაზი და მარანი კლარჯეთში -----	245

§2. ხილი კლარჯეთში -----	251
2.1. ვაშლი კლარჯეთში -----	251
2.2. მსხალი კლარჯეთში -----	252
2.3. ქლიავი კლარჯეთში -----	255
2.4. ლეღვი კლარჯეთში -----	255
2.5. სხვა ხილი კლარჯეთში -----	256
§3. ბოსტნეული და ბალახები კლარჯეთში -----	257
§4. ტყის მცენარეები კლარჯეთში -----	263
თავი 5. მასალები შინაური ცხოველების სახელებისათვის კლარჯეთში -----	265
§1. ფურის სახელები კლარჯეთიდან -----	265
§2. ხარის სახელები -----	266
შემოკლებანი -----	267
გამოყენებული ლიტერატურა -----	269
ნაწილი მეცამე -კლარჯული დიალექტის მასალები -----	285
ლექსიკონი -----	448
ლექსიკონისათვის -----	548
ბ ო ლ ო თ ქ მ ა -----	550
Mamia Paghava, †Meri Tsintsadze, Maia Baramidze, A Klarjian Dialect of the Georgian Language (Summary) -----	553

მამია ფალავა, †მერი ცინცაძე, მაია ბარამიძე

ქართული ენის კლარჯული დიალექტი

Mamia Paghava, †Meri Tsintsadze, Maia Baramidze



A Klarjian Dialect of the Georgian Language

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ., #47
ტელ.: 239-15-22
E-mail: meridiani777@gmail.com